ქართული

VI ტომი

პოეტები

პოეტები საქართველოსი

ტომი VI

თბილისი
2024

კრებულის მთავარი რედაქტორი და შემდგენელი:
მანანა სამყურაშვილი

კავშირის„,პოეტები საქართველოსი" - დამფუძვნებელი და ხელმძღვანელი.
საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი, ჯუმბერ ლეჟავას სახელობის საერთაშორისო სამეცნიერო აკადემიის წევრი.
ტაო-კლარჯეთის სამეცნიერო აკადემიის ნამდვილი წევრი და აკადემიკოსი, მარიკა ბარათაშვილის პრემიის მფლობელი,
ასევე მიღებული აქვს სამშობლოს ერთგულებისთვის და პატრიოტული ლექსებისთვის პირველი ხარისხის ოქროს მედალი, სამეცნიერო საქმიანობისთვის - დავით აღმაშენებლის ოქროს მედალი, შ პ ს„ სალიტოს" (სალომე ტოგონიძე)
დირექტორი, შპს„გომავანის" პარტნიორი, ოთხი საკუთარი და ოცდათვრამეტი კრებულის თანარედაქტორი, სამართალმცოდნე, პედაგოგი.
დაიბადა ყვარელში - საბუეში.

თანარედაქტორი
თენგიზ ფანცულაია

სამართლის მაგისტრი-პოლიციის პოლკოვნიკი, შს ორგანოების დამსახურებული მუშაკი, შ.რუსთაველის სახელობის პოეტთა, მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა კავშირის „პოეტები საქართველოსი“ თანადამფუძნებელი და სწავლული მდივანი. ჯ.ლეჟავას სახელობის საერთაშორისო მრავალპროფილიანი აკადემიის აკადემიკოსი.

© ავტორთა ჯგუფი, 2024

გამომცემლობა **„პოლიგრაფლუქსი“, 2024 წ.**

ISBN 978-9941-33-344-6 (ყველა ტომისათვის)
ISBN 978-9941-8-6361-5 (VI ტომისათვის)

ჭენ ილე ლომა ხარ, ქართველო ცაო, ჭენ ილე ლომა ხარ...
ნაძალვიდლო ჭენს ქვეშ მცრალ ჭემოსულმა ვერავინ ნახა:
ვერცა ოსმალომ, ვერცა მონღოლმა და ვერცა სპარსმა...
ჭენი დიდების მომლერალია ოჭყი და ზარზმა,ჭეჭერი ცაო...
ჭენ ილე ლომა ხარ, ილე ფაქიზი, ქართველო ცაო...

ანა ყალანდაძე

წ ი ნ ა ს ი ტ ყ ვ ა ო ბ ა

- ძვირფასო მეგობრებო,პოეზიის ხუთტომეულმა წიგნმა ,,პოეტები საქართველოსი" ბინა დაიდო პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში და განათავსეს ოქროს ფონდში. ფოლიანტი დაცულია როგორც ერის საგანძური.

- ეს კრებული შეიქმნა ლოცვა კურთხევით, უფლის განდიდებით და მისი ზე ამაღლებული მფარველობით.

ყოველი კრებულის წარდგინებაზე ვატყობდი როგორ ძლიერდებოდა და ივსებოდა სიხარულით თვითვეული თანაავტორის გული.

კრებულს დღემდე მომღიმარი და გაცისკროვნებული თვალებით უყურებთ, ეფერებით, ეამბორებით და გულში იკრავთ მონატრებული პირმშოსავით.

- პირველი კრებულის პრეზენტაციაზე ,მამა ამირან ამირანაშვილი ფეხზე წამოდგა, წიგნი გულში ჩაიკრა და გაკვირვებით წარმოსთქვა: - ვერ მომითმენია, უნდა ვეამბოროო და წიგნი ასი წლის მონატრებულივით გულში ჩაიხუტა.

- კრებული დაგვილოცა სამმა დიდებულმა ღვთის შვილმა, მამა ამირან ამირანაშვილნა, მამა სერაფიმე ფილიამ და მამა ილია ჩიკვაიძემ.

,,ეს წიგნი განძია, ისე როგორც ბიბლია, სახარება და ვეფხისტყაოსანიო."

- მათი ლოცვა კურთხევა ზეცამდე ავიდა, თვითვეული თანაავტორის სიხარულმა ზეცის სამანსაც გააღწია, აღსრულდა ნება ღვთისა , კრებული განადიდეს და „ ერის საგანძურის ‘სახელწოდებით, ბინად განთავსდა ოქროს ფონდში!

- ხარობს თვითვეული თანაავტორის გული. ოვაციები და მილოცვები არ ჩერდა, ,,ნუთუ ეს მართალია?!"-ისმის სახემომღიმარი თანაავტორების კითხვები ...

- დიახ, ჩვენო ძვირფასო თანამემამულენო და ჩვენო ღირსეულო ავტორებო, ჩვენი კრებული, „პოეტები საქართველოსი“ დაცულია ოქროს ფონდში სახელწოდებით, ,,ერის საგანძური."

- გიხაროდენ მეგობრებო, რამე თუ მამა, ძე და სულიწმინდა ჩვენთან არის! უფალი ჩვენთან არის!

- ყველას გილოცავთ ამ, წარმოუდგენელ უფლის ჯილდოს!...

თურმე, როგორ ჰყვარებია უფალს თავისი გამორჩეული სიტყვით მოუბარი შვილები. კრებული ღვთაებრივი და მეტად ეროვნული სულისაა. მისმა ძლიერებამ გადაწყვიტა სად უნდა განთავსებულიყო, სად უნდა ჰქონოდა ამ ძვირფას განძს შესაფერისი ბინა.

სწორედაც, რომ უფლის ნებასურვილით, სამარადჟამო ადგილსამყოფელი მან ერის საგანძურში დაიდო, რამე თუ მისი ელექტნონული ვერსიით მსოფლიოს ნებისმიე ენაზე შესძლებს ესაუბროს კაცთა მოდგმას, რათა გაეცნონ ქართულ ზე მაღალ კულტურას, დახვეწილ გემოვნებას და ქრისტეს ენის ცოდნას!

- უფლის ენით მოსაუბრე ქართველებო, გილოცავთ განსხვავებულ კრებულს! –

- გილოცავთ ამ კრებულში ბუმბერაზი პოლიტიკოსების თანაავტორობას

სტალინის გვერდზე უშიშრად გაშალეთ ამაყი და ლაღი ფრთები, რათა თქვენმა მუზამ მასთან ერთად შემოიაროს მსოფლიო და სამყარომ გაიგოს რომ საქართველოში ,,ყველა პოეტია და პოეტი ორჯერ პოეტია..."

მეგობარო თანაავტირებო, სრულიად ერი და მსოფლიო გულში ჩაიკრავს ამ კრებულს და სალოცავი ხატივით ილოცებენ მასზე!

- ამ კრებულში თანაავტორებად არიან ჩვენი ერის ჭირისუფალი, მარად უკვდავი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია და მისი გამზრდელი მშობელი, მუზის ღმერთთან მცხოვრები, მარად უკვდავი პოეტი-პროზაიკოსი კონსტანტინე გამსახურდია.

- ამ კრებულის თანაავტორია, საქართველოსთვის თავგანწირული პოლიტიკოსი მერაბ კოსტავა, იგი თავისი უკვდავი პოეზიით წარსდგა საქართველოს და მსოფლიოს წინაშე როგორც ბრწყინვალე პოეტი და ერის ქომაგი...

- გიხაროდენ! უფალი ჩვენთანაა!

უძლეველი მხედართმთავარი სტალინი (სოსელო) და საქართველოს პირველი პრეზიდენტი, საქართველოს მარადიული ჭირისუფალნი ჩვენთანაა!

- ღვთის ნება იყო კრებულის დაბადება და მისივე ნებაა კრებულის აღზევება და განდიდება.

- ღვთის წყალობა და მისი ზე მფარველობა ჩვენს კრებულს.

ჩვენთან არს ღმერთი!!!

მთავარი რედაქტორი: **მანანა სამყურაშვილი**

მივყვეთ,
სახელოვან წინაპრების
წმინდა საკვალეგს!

ბრძენ წინაპრების
ლოცვით ქმნილა და დღეგმდე
მოსულა ეს, დალოცვილი
დედა საქართველო!



იოსებ ბესარიონუს ძე ჯუღაშვილი
სტალინი - სოსელო

მორჩილი

(მარადიულზე ვისაუბროთ)

მარადიულზე ვისაუბროთ, მოდი, მართლაცდა:
ეს უდაოა, ბევრ რამეში ვარ დამნაშავე!
მაგრამ ვიღაცა ბედისწერას ჩემსას მართავდა,
ის მზერა მდევდა ყოვლისმჭვრეტი, ვგძნობდი ამას მე.

არ მასვენებდა, არ მაძინებდა იგი არასდროს,
ჩემში ცოცხლობდა, თან მაღლიდან მმართავდა ფიცით,
მე, როგორც მონა სამყაროთა განწყობის, ამ დროს
ფოლადის ნებით მივუძღოდი ქვეყანას, ვიცი.

ვინ იყო ჩემი იდუმალი ზე მბრძანებელი,
რისი თქმა სურდა ჩემი მართვით, ვერას ვადგენდი,
მე, როგორც, მონა, მოსამართლე, შემსრულებელი -
ამ ღატაკ ქვეყნის ყველაფერსაც წარმოვადგენდი.

და სინამდვილე იყო ისე მიუწვდომელი,
საიდან მქონდა ძალა, ნება, ძალაუფლება,
მანქანის ბორბალს ჰგავდა სული ჩემი, რომელიც
თელავდა ვნებებს მილიონთა, ჰქონდა უფლება.

შხამით აღსავსე ფიალა...

ამ ქვეყნად იგი, ვით ლანდი,
კარის-კარ დაწრიალებდა;
ხელთ ეპყრა მუხის ფანდური,
ხმა ტკბილად აწკრიალებდა;

მის საოცნებო ჰანგებში;
ვითარცა სხივი მზიური,
ისმოდა თვითონ სიმართლე
და სიყვარული ციური,

ბევრს აუძგერა იმა ხმამ
გული, ქვად გადაქცეული;
ბევრს გაუნათლა გონება,
ბნელ-უკუნეთად ქცეული.

მაგრამ, დიდების მაგიერ,
სად ჩანგმა გაიწკრიალა,
განდევნილს ბრბომ იქ დაუდგა
შხამით აღვსილი ფიალა...

და უთხრეს: "შესვი, წყეულო,
ეგ არის შენი ხვედრიო!
შენი არ გვინდა სიმართლე,
არც ეგ ციური ხმებიო!“

მთვარეს...

იარე დაუღალავად,
თავი ნუ ჩაგიკიდია,
გაჰფანტე ნისლი ღრუბლების,
უფლის განგება დიდია.

ნაზად შესცინე ქვეყანას
შენ ფეხ-ქვეშ გადაჭიმულსა;
მყინვარს დამღერე ნანინა,
ზეციდან გადმოკიდულსა.

კარგად იცოდე, რომ ერთხელ
ძირს დაცემული, ჩაგრული
კვლავ აღემართვის მთას წმინდას,
იმედით აღტაცებული.

მაშ, ტურფავ, წინანდებურად
ღრუბლებში გაიკაშკაშე,
ლურჯ კამარაზე საამოდ
სხივები შეათამაშე.

მეც გადავიხსნი საკინძეს
და მკერდს მოგიშვერ მთვარესა,
ხელ-განპყრობილი თაყვანს-გცემ
ქვეყნად შუქ-მომფინარესა!

მოხუცი ნინიკა

მოხუცდა ჩვენი ნინიკა,
გაუცვდა მკლავი გმირისა.
რარიგ გატეხა ტიალმა
ჭაღარამ ღონე რკინისა!

ჰაე, დედასა!.. მრავალჯერ
"აფთარა!" - ნამგლის ტრიალით
მკერდ-ღია ყანის ბოლოში
წამს გავრდნილი გრიალით,

ხელაურების გორები
გვერდით-გვერდ აუყენია
და ხვითქით მორთულ სახეზე
ალმური გადასდენია...

ახლა კი მუხლებს ვეღარ ძრავს,
სიბერით მოკვეთილებსა,
წევს, ან ოცნებობს, ან წარსულს
უამბობს შვილი-შვილებსა...

ხან-და-ხან ახლო ყანებში
ყურს მოჰკრავს ხოლმე მღერასა
და გული, ჯერეთ მაგარი,
უწყებს სიამით ძგერასა:

წამოიწევა ცახცახით,
ყავარჯენს დაებჯინება
და, რა გაჰხედავს ბიჭებსა,
შვებით-ღა გაეღიმება...

და იმედები მიღორძინდება...

როდესაც ბადრად მნათობი მთვარე
ცის კამარაზედ გადაცურდება
და მისი შუქი, გაბრწყინვებული,
ლურჯ ჰორიზონტზედ შეთამაშდება;

ოდეს ბულბულის სტვენა-სიმღერა
ჰაერში ნაზად გაიწკრიალებს,
როს სალამურის სულის კვეთება
მთისა მწვერვალზედ შეისრიალებს;

ოდეს მთის წყარო, შეჩერებული,
კვლავ გზას გააპობს, გადიჩხრიალებს
და ტყე, ნიავით გაღვიძებული
შეიშმუშნება, გაიშრიალებს;

ოდეს მტრისაგან გადახვეწილი
კვლავ ეღირსება თვის ჩაგრულ მხარეს
და როს სნეული, შუქს მოკლებული,
კვლავ დაინახავს მზესა და მთვარეს,

მაშინ მეც, ჩაგრულს, სევდისა ნისლი
თავიდან მწყდება, მყისვე მშორდება
და იმედები კეთილდღეობის
უბედურს გულში მიღორძინდება!

და ამ იმედით გატაცებულსა
სული მიხარის, მშვიდად ძგერს გული:
ნუთუ წრფელია იმედი ესე,
ჩემდა იმა დროს მოვლინებული?!

თავად რაფიელ ერისთავს....

როს მშრომელ გლეხთა ვაებით
საბრალოდ აცრემლებული,
ზეცას შეჰკვნესდი, მგოსანო,
ერისთვის თავდადებული;

როს ერის კეთილდღეობით
საამოდ აღტაცებული,
სიმთ აჟღერებდი ტკბილ-ხმაზედ,
ვით ზეცით მოვლინებული;

როს დაჰგალობდი სამშობლოს,
ის იყო შენი ტრფიალი,
მისთვის გაჰქონდა შენს ჩანგსა
გულის წარმტაცი წკრიალი....

მაშინ, მგოსანო, ქართველი
თურმე ციურ ძეგლს გიგებდა
და წარსულ შრომას, ვაებას
აწყმოთი აგვირგვინებდა.

შენმა სიტყვებმა მის გულში
უკვე გაიდგა ფესვია,
მოიმკე, წმინდა მხცოვანო,
რაც სიყრმით დაგითესია;

ნამგლად იხმარე ერისგან
გრძნობით ჰაერში ძახილი:
,,ვაშა, რაფიელ, გამრავლდეს
მამულში შენებრი შვილი!”

სტალინის გამონათქვამები:

1. "მუსიკა კარგი რამაა - ის ადამიანში არსებულ ურჩხულს ამშვიდებს."
2. “გმირები კი არ ქმნიან ისტორის, არამედ ისტორია ქმნის გმირებს.”
3. “მწერალი ადამიანის სულის ინჟინერია”.
4. “მე მხოლოდ ერთი რამის მჯერა - ესაა ადამიანის ნებისყოფის ძალა”
5. “რომ მოვკვდები ხალხი ნაგავს მომაყრის, მაგრამ მოვა დრო და ხალხი ნაგავს ისევ გადაქექავს”:
6. გეშინოდეს იმის, ვინც შენს ნასროლს არ უპასუხა;
7. ღმერთს ყველა ადამიანი არ შეუქმნია, მან მხოლოდ საუკეთესოები შეგვქმნა;
8. ერთდროულად იყო დიქტატორი და ამავდროულად კარგი-შეუძლებელია.

ზვიად გამსახურდია

ალბათ თვითონ ღმერთი ...

ალბათ თვითონ ღმერთი ირჩევს, უცნაური რამეა,
ქრისტეშობის ღამე მუდამ საოცარი რამეა,
დეკემბერი დააჭენებს ყინვით ნახატ ეტლებსა
ამ ღამეს ხომ წამებული, ქრისტე იშვა ბეთლემსა!

მერე ზეცად აღევლინე, არ გიგუეს მიწაზე,
ნუთუ აღარ დაბრუნდები ცოდვილთ დედამიწაზე
ზეცად წასულს უკან მოგყვა ლოცვა, ცრემლის დამდენი
ქვეყნად, ერთი ქრისტე დარჩი და იუდა რამდენი!

ალბათ მისთვის გაიაფდა ღალატი და გაცემა
ფეხზე დგომა არის ძნელი ადვილია დაცემა,
მეც დავრწმუნდი არ გამქრალა ქვეყნად შური და მტრობა
მეც მომიწევს ლეონარდოს საიდუმლო სერობა!

და წარსული სიზმრად მექცა, მომავალი ოცნებად
მეგობარი ვეღარ მიცნობს, მნახავს და გაოცდება
ხოლო შენზე სხვა ჩემს გარდა, სევდას ვინ დაიბედებს
ძველი წელი ხსოვნას მართმევს, ახალი კი იმედებს!

ქრისტე აღსდგა! - ქრისტე აღსდგა! - ჩემი სული ცას უხმობს
ჭეშმარიტად! - კვლავ იუდა ნიშნისგებით მპასუხობს!
მაგრამ, გულზე სამარცხვინოს მინდა დაღი დავაკრა
ჯვარს ვერ ვკადრებ, ქრისტეს მერე ზედ იუდა გავაკრა!

შერცხვენილი, წაწყმედილი ეგდოს, ქვეყნად ეთრიოს
ხოლო, შენზე მრავალ მლოცველს მრავალ ღამე ეთიოს,
რწმენა ძნელად გადარჩება, ხატი უფრო ადვილად,
ქრისტე აღსდგა! - ჭეშმარიტად! -ქრისტე აღსდგა ნამდვილად!

ღიმილი და მილოცვები თუმცა ბევრი გავეცით,
ქრისტე აღსდგა! - ჭეშმარიტად! - ხოლო ჩვენ კი დავეცით !...

''საუკუნე უახლესი''

ამ ენგურჰესით და ჟინვალჰესით
სურთ საქართველოს აუგონ წესი,
ჩვენს ბრგე ციხეებს, ტანკენარ ტაძრებს
ეს საუკუნე სპობს უახლესი.

მალე გვექნება მინაძე-ჰესი,
დაშლის ვარძიას, ზარზმას და ხერთვისს,
გმინვა-გოდება ჯავახის, მესხის
აბობოქრებულ ტალღებს შეერთვის...

ამ ხუდონჰესით, ნამოხვანჰესით,
სვანეთს და ლეჩხუმს სურთ დასცენ მეხი
რომ სამუდამოდ ჩვენს მთიანეთში,
ამოუკვეთონ ქართველ კაცს ფეხი.

ამ ენგურჰესით და ჟინვალჰესით
სურთ საქართველოს აუგონ წესი,
თან გვარწმუნებენ: იცავსო ძეგლებს
ეს საუკუნე უდიადესი!"

1. დაცემული მუზა

მუზამ აიღო ქრთამი,
სხვას მიეკედლა მუზა,
მისწევდა მის ფრთათა ჩქამი,
მტრის კართან აიტუზა.

მუზამ იყარა ქოში,
კალთები აიკეცა,
ვაჭარ პოეტთა ბრბოში
ცქრიალებს მატრაკვეცა.

მუზამ გაუგო გემო
პატივს ხალათს და ჩინსა:
“ნურც გამიხსენებ ჩემო,
დიდებულთ თვალის ჩინსა”,

მითხრა და უცებ გაქრა,
არც უდარდია ჩემზე,
მუზა გამხდარა აფრა
დიდ სოვდაგართა გემზე.

გადაივიწყა ცრემლით,
რარიგ თუთქავდა გულებს,
მუზა გამხდარა გრდემლი,
ზედ სჭედენ ვერცხლის ფულებს.

გასწირა ოქროს ვერძი,
გახდა ღორების მწყემსი,
გახდა პოეტი თერძის
მაქო, ძაფი და ნემსი,

გადაივიწყა გედი,
გახდა ბატების ძიძა,
ირჩია ხარჭის ბედი,
ტრფიალი დაამიწა,

ო, აღარ გალობს ქნარზე
მზიურ ოცნების ნავში,
მუზა მიადგა კარზე
ვაჭარ პოეტთა კავშირს,

მათ კი ქვესკნელის ურჩხულს
მუზა მიჰგვარეს ხასად,
უსმენს ღვთაებრივ ჩურჩულს
ქვეწარმავალი ნასად.

დავჯექ და ცრემლი ვღვარე,
ვჭამე პეშვებით მიწა.
თავს მადგა შავი მთვარე
და... უცებ გამეღვიძა.

2. ქეშმარიტი მუზა

აჰა, უეცრად გაქრა
ეს საზარელი ხილვა,
მუზამ ფრთის წვერი გამკრა,
ნაზად დამიწყო კილვა:

“რად დაიჯერე ჩმახი,
ეგ სიზმარია კრული,
დიდ პოეზიის ჭაღი,
დიდ აღმაფრენის სული

განა ჩაჰქრება ოდეს,
თუნდ ჩამოიქცეს ზეცა,
ავდარს სიამედ მოსდევს
ბადრი მთვარე და მზეცა.

იმად ვიცვალე სახე,
აღარ გამოვჩნდი ცადა,
რახან მიჯნურად გსახე,
შენი გამოცდა მწადდა.

არ შეორგულდი, ვიცი,
არ ამედევნე თანა,
არ შეგიბღალავს ფიცი
და პოეზიის მანნა

სასოწარკვეთილს, გულმწყრალს
ცრემლი გდენია თქეშად,
მაგრამ სინდისი ურცხვად
შენ არ მიჰყიდე ეშმას

და მის მსტოვართა ბრბოში
არ გაერიე შენა,
არ დაიჯერე როში,
არ წაიბილწე ენა.

ჩემის დაცემის მნახველს
ცრემლის გდენია ღვარი,
მაგრამ ჩემს წმინდა სახელს
გიჩურჩულებდა ქარი.

განა დაისის ღრუბლის
ცის კაბადონზე ფენა.
ჩემი ნათელი შუბლის
შენთვის არ იყო ჩენა?

განა ტალღათა ტაში,
განა ნიავთა ნანა
არ გიმღეროდა მაშინ,
რომ დაგყვებოდი თანა?

ამიერიდან შენთან
იქნება შენი მუზა,
შენთან ჩაუშვა ღუზა,
შენს სულში ჩაიღვენთა”.

მთვარის ნიშნობა
გალაკტიონ ტაბიძისადმი

არფაზე გაკრული გველი
ჩუმი ნიშნობაა მთვარის.
გათავდა ვარსკვლავთა რთველი
აღმოხდა ცისკარი ჯვარის.

მნათობთა ეს სამოსელი
სარკეა ანგელოსთ მხარის
გაბრიელ – ზღურბლისა მცველის
მიქაელ – დამცემი ზარის!

ალმასით მოსთული სელი,
ტატნობზე – ელვათა ბზარი
ზავდება კამარა ვრცელი
იხსნება ცხოვნეთის კარი.

აფრაზე გაკრული გველი,
ფერისცვალება ქნარის,
ცის გარდაცვალებას ელი,
ახლოა დარობა დარის!



კონსტანტინე გამსახურდია

ტფილისური საღამო

ცას გაეკრა ღრუბელი, ვით შუბლს ფიქრი ფარული,
ჩემორეცხა წვიმამ ცას ღაწვით ფერუმარული;
ნისლის რუხი ზოლები მძინარ სახურავიდან
მიიწევენ ცისაკენ გაწეწილი კავითა.
სულიც ისე ისრწაფვის, ცისკენ მზეგადასული,
როგორც კვამლი საღამოს, საკმეველად ასული.
მოიბურა მთაწმინდა ნისლის სამოსელითა,
ღმერთმა ციდან დაუშვა ოქროს ჯაჭვი ხელითა.
ფიქრი მოვა საღამოს, ფიქრი შავნაღვლიანი,
შეამოაღებს ჩემს კარებს როგორც მგზავრი გვიანი.
ბნელ ქუჩებში უმიზნოდ, დავალ დავეხეტები
ვნახო მტკვარში ვითა კრთის სინათლისა სვეტები.
დაეხატა მტკვარს მკერდზე საფირონის ციონი.
„მოკვდა ბაგრატიონი, მოკვდა ბაგრატიონი“, -
აგუგუნდნენ ზარები, აქვითინდა სიონი...

მარია სტელლა

კონსტანტინე გამსახურდიას ლექსი
შემოღამდება, გაისვება დისკო მთვარისა,
დისკო მთვარისა მოვერცხლილი და მოქარგული
და გუმბათებზე აენთება ქრისტეს ჯვარისგან,
ქრისტეს ჯვარისგან მოფენილი სხივი ფარული.
როგორც ბინდისას მათხოვარი ბრმადმოარული,
სხივი ბარბაცით კანალებში გადაიჭრება,
გატყდება ბროლი მინანქარით შემობზარული,
აედევნება ბნელ ხეივნებს ლანდების წყება.
შადრევანებზე ეზმორებათ გრანიტის ლომებს,
გულში იღვიძებს სათნოება, ქუჩაში ბნელა,
ჩრდილის მანტია მოეხვევა წმიდა ბართლომეს
და მღერის ვიღაც პორტალებთან: „მარია სტელლა“.
მახვილამოწვდილ ანგელოსის გაჰქრება ლანდი,
როგორც დემონი გაფრენილი ბრინჯაოს რაშით,
ამურეტები აიყვანენ ბამბინოს ცაში,
ოქროს ფირმამენტს ჩაიხუტებს ტიბროსი ზანტი
და მთვარე, სხივთა არტახებში ნაზი ინფანტი,
აღმოსავლიდან გვირგვინოსან მოგვებს მოელის.
კაშკაშებს ჯვარი კაპიტოლზე არაკოელის,
ვით ბრილიანტი...
დაარისხებენ სან-პიეტროს მწუხარე ზარებს,
ნარინჯის ფონზე მოიჭრება ავგუსტის არკა
და ტრიუმფები მოინდებათ ისევ ცეზარებს,
ნაზ სერენადებს კვლავ იმღერებს ღამით პეტრარკა.
დავეძენ ღვთიურ ჰარმონიას, ჰანგად დარხეულს,
დავეძებ ტაძარს ღვთაებისას და ვითხოვ შველას!
წავალ - ვემთხვევი მაცხოვარის წამებულ სხეულს
და მუხლმოდრეკით მეც ვიმღერებ: „მარია სტელლას“.

1921 წ. რომი

კვიკლოსიდან - "დიდი ქალაქი"

კურფიურსტერ დამმი. თეთრი ქვებით უცხოდ ნაგები,
პიქუში, ვრცელი გველეშაპი მარად მქშინავი,
ეგ საარაკო ქარვასლები, სარკოფაგები,
კარიბჭეებთან - სიმბოლიურ არწივის თავი,
ტალღა ხალხისა, შემორტყმული ელექტროს სალტით
იცინის, კვნესის და ჩოჩქოლებს ნაირნაირად,
შავნი დარბაზნი, აგებულნი შავის ბაზალტით,
პირმოქუშულნი დამხობილან შპრეეს ნაპირად.
რაღაც ირყევა, იზნიქება... შავი ლანდები
შემოიჭრება დიდ ქალაქში ქშენით, დაფდაფით,
ტოკავს ოქროთი დაჩითული გირლიანდები,
გირლიანდები აკინძული ელექტრო ძაფით.
ისმის ხრიალი, ხრაშა-ხრუში, ზარების ჟღერა,
შოფრებისა და ვატმანების ფრთხილი პაროლი,
მთვრალ მეზღვაურთა ხმადაბალი, ნელი სიმღერა,
როკავს, ირხევა და ტორტმანობს სინათლის რგოლი.
ოჰ, რარიგ მიყვარს ფეერის უხვი წუთები,
ქშენა, ზანზარი, თქარათქური, რბენა, განგაში,
ამ ქედმოხრილთა ოფლიანი მკლავის კუნთები,
დიდი ქალაქის ავხორცობის წითელი რაში!
- მეზღვაურები, რომ ეტრფიან უცხო ნაპირებს,
შორეულ ზღვებზე დაეძებენ ნიადაგ ზღვაურს,
ეგ სიყვარული აწ ვერავის ვერ გააკვირვებს,
თუკი მიცნობენ ოდისეის მხლებელს უცნაურს.
ქარხნის საყვირი გათიადის წინამორბედი,
ათიათასთა მბრძანებელიპოზაუენი,
ბედის მორჩილთა უსასოოდ დახრილი ქედი,
მათი ამაგი უანგარო და და შრომის ძრვენი.
ო, ბერლინ, ბერლინ, მიყვარს შენი თეთრი მონები,
ღანის სიგიჟე, ფერული ღამის ფანტაზმა,
მე ვნახე შენი ფერგამკრთალი მიკიონები,
როს ქარხნის გვერდით ჩაიარა ლანდების რაზმმა.
შენთვის ტვირთავდნენ ინდოეთში ოქროს გემებს,

ოკეანეებს რომ სერავენ ათასნაირად,
მოაქვთ ოქსინო, ფარჩეულიზარმაც აქლემებს,
შემოღამებულ ქარავანებს არეზის პირად.
დიდია შენი გარყვნილება, შენი ცთუნება,
ფერსა ჰკარგავენ შენს სხივებთან მნათობნი ცისა,
მე შენს წიაღში მავიწყდება დედა-ბუნება,
შენს ქარხნებს ასდით ოხშივარად ოხრვა მიწისა.
ვხედავ ჭირნახულს და სადღაა შემქმნელი ხელი,
კაცუნებს ვხედავ პირშებურვილთ ტყვიისფერ მასკით,
გუგუნებს ტკილსა საგალობელს შენი ორღელი,
როგორც შეიხი ბინადარი შორი დამასკის.
ლხინობს, ზეიმობს ენერგია დაუშრეტელი,
მოძრაობს დისკო უხილავის და შეუცნობის,
მილიონები ერთის ნების გამომხატველნი,
მუნჯნი მსახურნი ვიღაც კუშტის, ვიღაც უცნობის.
აქ უფლის ნაცვლად ელექტრობას ევედრებიან,
ყვითელ ლიტონსა შეუცვლია მაცხოვრის ხატი,
მილიონები თვალის ფშვნეტით ფეხზე დგებიან,
აქ ისარია მბრძანებელი და ციფერბლატი.

პარიზი 1919 წელს
ავტორი: კონსტანტინე გამსახურდია

დაუკარ სანჯი

ცხენს დეზი ვკარი, გავკვეთე ქარი
და გადავლახე უდაბნო ვრცელი,
ჩემი მიჯნური, გვირიტი მწყაზარი,
უკვე მიმელის...დაუკარ სანჯი...

თუნდ იყოს მტუმე ეგ ღამე გიშრის,
ჩავიდეს ბნელში თითბერის მთვარე,
მე შენს სიყვარულს ვერვინ დამიშლის,
ტკბილო მოყვარე, დაუკარ სანჯი...

ჩავიდეს ბნელში თითბერის მთვარე,
ათასი მთვარე ისევ ამოვა,
ცრემლმა ღაწვებზე გადამათოვა,
ტკბილო მოყვარე, დაუკარ სანჯი...

ვერც ქრისტე გაგვყრის, ვერც იეჰოვა,
ვერც ნათესავთე მშიერი ხროვა,
ვერც მოენეთა ბოროტი ხვანჯი,
დაუკარ სანჯი...

ავტორი: კონსტანტინე გამსახურდია
1940 წ. პარიზი



მერაბ კოსტავა

ღვთისმშობლისადმი...

ადამის მოდგმა დაობლდა
თუ გველი გაწვა ცაზედა,
ედემში ალვა ჰყვაოდა
აქ ნაცარს ვიყრი თავზედა.
სოფლისა წარმავალობამ
გამიასკეცა ჭრილობა,
თუ მიხსნის, შენი წყალობა
და შენი წილხვდომილობა.
შენგან, შენგან განიდიდა
და განახლდა მიწა ძველი.
შენ დაჰბადე სიკვდილითა
სიკვდილისა დამთრგუნველი.
ანგელოსთ დასმა გადიდა
უკვდავი სიტყვის მშობელი
მე ბაგით, მწიკვლევანითა
ვით გკადრო საგალობელი.

ვნებანი ვეღარ წარვხოცე,
ავმან, საავდროდ ვიავე,
ნიჭი, ზეგარდმო ნაბოძი
გავფანტე, გავანიავე.
სული მომმადლე თმენითა,
გამოუთქმელო ენითა,
ხრწნილებათაგან დამიხსენ
უხრწნელებითა შენითა.
თუ რამ ვცოდე, მომიტევე,
დამიშრე ცრემლთა ტბორები,
ნუ სადა მე დამიტევებ,
ნუ სადა განმეშორები.
სინანული განმიახლე
სიწმინდეო შეუვალო,
ტაძრად ღვთისად მიმაახლე
ღმრთისა სძალო დედუფალო.

შენგან, შენგან განიდიდა
და განახლდა ზეცა ძველი
მკვდრეთით აღდგა სიკვდილითა
სიკვდილისა დამთრგუნველი.
დაუსაბამო ნათლის ცისკარო,
სწრაფშესმენითა მადლის მგებელო,
შენდა გღაღადებ ყოველ ცისმარე
უბიწოო, შეუგინებელო.
შენგან დამესახოს მაღალი მიზანი,
შენით დავუტევო გზანი ცოდვისანი.
შენ თვალო სულიწმინდისა,
ადამის მოდგმის გაისო,
ცისკენ გამდებო ხიდისა,
სერაბინთ უზესთაესო,
წინაშე ძისა შენისა,
მას დღესა განკითხვისასა,
ნუგეშად გამოგვიჩნდი რომელი
გვექმენი შუამდგომელი.

* * *

შენ გევედრები სულით გლახაკი,
ვინმე დევნილი სიმართლისათვის,
თუმც ვერ ვამრავლე სამსხვერპლო ხარკი,
ვეღარ გავიღე თავი ღვთისათვის.
გამოუთქმელო წმინდა საბაოთ,
თვალაპყრობილი მოგმართავ ზენარს,
მასმინე სიტყვა დაუსაბამო,
ნუ ამარიდებ მშობლიურ მზერას.
არ მითხოვია შავი დღისათვის
თვალის წილ თვალი, კბილის წილ კბილი,
არ განმიკითხო ცოდვებისათვის,
არ დამიტეო უძღები შვილი.
ოდეს ვირეკდე, განმიღე კარი,
ელვავ, ღრუბლებში შემოპარულო
და განმიახლე სულის საყდარი,
სასოებაო და სიხარულო.
როდესაც წართქვი: "იყავნ ნათელი",
აღენთო ჭაღი მზიანი ღამის.
აელდა თვალი, ტაძრის სარკმელი,
განმმარტებელი სანთელი გვამის.
შენ მიანიჭე ნათელი იმ მზეს,
რადგან გწადია ჩვენც გაგიმზევდეთ,
რომ იმავ თვალით, რომლითაც გვიმზერ,
შენვე გხედავდეთ, შენვე გიმზერდეთ.
მაშ რაღას ვაქნევ წელთა სიბერეს,
რაღას დამაკლებს ჟამთა დინება.
თუკი მეოხად ხმა შენმიერი
და შენი მადლი მომეფინება.
სული მარტვილი აღვაპყარ შენდა,
ოდითგან ქმნილი შენეულ ხატად,
გულის სიღრმეში დაფარულს ხედავ,
დაფარულთათვის მიმაგებ ცხადად.
და დაფარული თუ გაცხადდების,
იმ პირველ სიტყვას მადლით მთოვარო,
ღირსად მყავ შენი გამოცხადების,
დამბადებელო და მაცხოვარო.
თუ სიდიადე იმ პირველ თქმულის,
საღვთო სინედლის არის პირობა,
მომმადლე ლექსით აღვსებულ გულის,
დაუშრეტელი ოქროპირობა.
ცდაში მარჯვენა არ მომიცარო,
აბჯრად ამასხი ძალი თმენისა,

უკვდავებისა შთამასვი წყარო,
შემასხი ფრთენი აღმაფრენისა.
და მაშინ ვიტყვი, მსხვერპლი შენთვისაც
ეკლიან გზებზე ავათავთავე,
რადგან ვით სულის, ნაღდი ლექსისაც,
სასუფეველი არის სათავე.
იმედი იგი, ყოვლის მძლეველი,
მეოხად ჩვენდა შენგან ისახვის,
რადგან კაცთაგან შეუძლებელი,
შესაძლებელი არის ღვთისათვის.
ჭეშმარიტების მიჯნურთა მწდეო,
ბჭეთა დახშულთა ლოცვავ ფარულო,
მარადი მამის მარადო ძეო,
რწმენავ, იმედო და სიყვარულო.

თუკი ქადაგებ ქვეყნად ჰუმანიზმს ...

თუკი ქადაგებ ქვეყნად ჰუმანიზმს,
კიდევაც შესძელ ტანჯვის ატანა,
შესძელ ალაგმო შენში გურმანი,
გაავებული, როგორც სატანა.
შიმშილის განცდა მწვავეა ფრიად,
ვით სიცოცხლეზე აღმართვა ხელის,
გვამში გეღვრება, ვით ცხელი ტყვია,
თავს დასტრიალებს სიკვდილის ცელი.

მამულო ჩემო ..

მამულო ჩემო, კვლავ დადგა ჟამი
მაღალ ზრახვათა არ დაოკების,
დროა დაიმსხვრეს სატანის სკამი,
დროა მტარვალთა დაწიოკების!
დაე, აღენთონ შენთვის გულები
და ჩირაღდნებად დადგნენ ღამეში,
და გამხნევებდეს გრძნობა ულევი
შეწირულ სისხლის სიელვარეში.

ლოცვა

შემაძლებინე, მაღალო ღმერთო,
მოყვასთა ჩემთა მუხლი ვუყარო,
მოძმე მკერდიდან არ მომივკვეთო,
ტრფიალი მისი არ განმიქარვო.
გთხოვ, მარტვილობა მიქციო ბრძმედად,
გარდასახდენი არ განმარიდო,
ღირსად მყო ძისა შენისა ჭვრეტად,
ჩემის ცხოვრების სამაგალოთოდ.

რამეთუ მწადის დიდო გამჩენო,
მოსახდენს ზურგი არ შევაქციო,
სურვილი შენი, განზრახვა შენი,
მიზნები შენი ჩემად ვაქციო.

იქ თავგანწირვა გაგიღებს კარებს...

ართა გამრიგემ არ გაიმეტოს
ვინც სამყაროთა თვალის ჩინია.
ადამიანო, შენდა იმედად
ღაღადებს სიტყვა "ნუ გეშინია".

ზეცამ ძუძუდან არ მოგიკვეთა,
ყოველი არსი შენთვის ხმიანობს,
ვაგლახად სასო არ წარიკვეთო,
ვინძლო სული არ დაიზიანო.

ფათერაკს მკერდით დაგაუდექი,
მოძმეთ იმედი არ წარუხოცო,
ადამიანო, იყავ უდრეკი,
იყავ უშიში, ვითა უხორცო.

სტიქიონების ველურ თარეშში
სულის სიმტკიცე გმართებს მალული,
რადგან ვაჟკაცურ გზნების გარეშე,
არ არის ქვეყნად არც სიყვარული.

როცა წინასწარ თქმული ახდება,
როცა სამყარო ფაფარს აიშლის,
განსაცდელს მშვიდად თუ არ დახვდები,
როგორ იწოდო პირმშო ქარიშხლის.

ნაჭუჭის კაცად ნუ გადიქცევი,
თორემ დინება წაგლეკს, გაგრიყავს,
სტიქიის რისხვას თუ გაექცევი,
რაღას დააკლებ ცხოვრების გრიგალს.

უტეხი რწმენით შენ არ წაწყდები,
დააცხრობ ღელვას, დათრგუნავ ქარებს,
სად თანაგრძნობა ვერას გახდება,
იქ თავგანწირვა გაგიღებს კარებს.

ყველგან ან არსად...

მზე გადაიხარა...
მოშუღართა იქნება შერიგება,
შურისგების
არც ერთი მისხალი
სისხლის არიდება!
ჩადგება ქარიშხალი
დარჩება...
მხოლოდ გარინდება.
ყოველი საწყისი სასრულს ჩაბარდება
შეწყდება სიკვდილი,
შეწყდება, დაბადება,
ცდომილთა დუნე სიარული,
ყოველივე,
სიბრძნეც კი განქარდება
დარჩება...
მხოლოდ სიყვარული.
აღარც აქა და აღარც იქა,
არც საიქიოს, არც სააქაოს...
და რომ განმართლდეს ძველი იგავი
ან ნურსად იქნები,
ან ყველგან იყავი.

უფალი ბევრჯერ გამოცდის რუსეთს ..

უფალი ბევრჯერ გამოცდის რუსეთს,
ვეშაპის მუცლით გასულ იონას
და აიაზმას გადაასხურებს,
როცა განწმენდის ჟამი იელვებს,
როცა იქცევა ყველა მსახურად,
როცა ფეხს დაჰბანს გადამთიელებს.

* * *

თუ ის ვაღლიმე, თუ ის ვაღრინე,
ის ეს ღხლვრეა შეგშ—ინ!...
თუ ის დაივიწყე ზლვეის სადარეკ—ი,
სევდა უსათუოდ შეგღვგ—ინ....
თუ ის მლეხია, აქეთ მლვეხვა-
ხუსტი ულეგ—ხარლ გეტყვინ!...
ვუ—ზე ვადავივ—ინ, წვიმებს შემლვარვეს,
სუ—ზე დალს დავამზვეს სეტყვინ!...
უნდა ვაღლიმლ,მზრებში ვაიმართლ!...
ქვეყნად უჯ—ინ ნება მეჯლებს!...
მეკრი სიხარუ—ი უნდა დაიხვავლ-
სევდა არასლდეს ვეკრძნლს!...
უნდა ვაღინლ! ვუ—ით ვაღინლ!
თითქლს არღ ვაწუხებს ჩამე...
დარდი ვაიჯიქრებს უკვე დამარღვდალ-
ჯლდა, ვაიქეკვა სადმე!...

* * *

ღარიმი ის კი არ არის ვისაღ ღარეი—ი სუჯრა აქვს,,
ღარიმი ის არის,, ვისაღ ღარეი—ი სუ—ი აქვს!...

[მ.ო.]

ჩვენი ფლოის
ეთნოლოგი პოეზია

არქიმანდრიტი სერაფიმე, გოგი ფილია

წუთი სოფელში მემალებოდა

წუთი სოფელში მემალებოდა,
არსებობა კი მუდამ მშიერი,
ხორციელ ყოფას ებარებოდა,
თუმცა თან ახლდა სევდა ძლიერი.

ვერც სიამაყე ვერ ავიცილე,
მეგონა ყველგან ვიყავ პირველი,
ვეცადე მაგრამ ვერ დავიჭირე,
ვეღარ გავხედნე ზნე ხორციელი.

ქარი უდაბნოს ეფერებოდა,
პირდაღებული მიწა ფხვიერი,
შეუპოვარი მებრძოლებოდა,
გაუმაძღარი და მანკიერი.

შორიდან თითქოს ვიღაც მეძახდა,
ცნობიერი და ქვეცნობიერი,
ერთად აჯანყდნენ და რაც მებადა,
დავკარგე თუმცა ვარ ბედნიერი.

ფიქრი გონებას არ შორდებოდა,
სამყარო თრთოდა და ყოფიერი,
მეცნიერება უმეცრდებოდა,
მყოფობის მიღმა დასალიერში.

ერთი ბერძენი ასე ამბობს

წუხელ სიზმარში მიღიმოდა,
ოცნებათა ზღვა მაგნოლია,
გაღვიძებულზე გარეთ თოვდა,
ფიქრმა ისევ ამიყოლია.

განპირობებულ ფიქრთა ჭიდილს,
სული ჩემი ზედ მიჰკრობია,
გული ძგერს თუმცა სულის ფსკერზე,
აჩრდილად მსდევს მელანქორია.

მთვარე ღამის გზირს ცის კიდემდე,
ჩუმად მაყრად გამომყოლია,
მტყვანს კი მართალთან იღბალ-ბედზე,
აუტეხავს დემაგოგია.

ერთი ბერძენი ასე ამბობს,
რომ ცდებოდეს არა მგონია,
მხოლოდ ის ვიცი გონი მამცნობს,
არაფერი რომ არ მცოდნია.

წუხელ სიზმარში მიღიმოდა,
ოცნებათა ზღვა მაგნოლია,
გაღვიძებულზე გარეთ თოვდა,
ფიქრმა ისევ ამიყოლია.

ამ წუთისოფელში ყიალ-ყიალით

ცისკრის მზის სიმღერა სიცოცხლის სიამით,
ტანსგახდილ ხეებთან ალერსით შრიალით,
ღამის მკაცრ სიცხადეს მიუხტა სიავით,
და წარსულს გადასცა მსუბუქი ზიანით.

დროსა და სივრცეში მრუდე გზის ტრფიალით,
ზოგჯერ უიღბლო,და ზოგჯერ იღბლიანით,
ამ წუთისოფელში კვლავ ყიალ-ყიალით,
ცხოვრების ურემი მიღოღავს ჭრიალით.

მდუმარე სამყარო იდუმალ ტრიალით,
მომავლის წარსულად გარდაქმნის ნიავით,
აღვიძებს გონებას კვლავ გულთან ზიარით,
დღე იდგა უბრალო, თებერვლის მზიანი.

ფერგადასული ძველი ფრესკიდან

თითქოს ვიგრძენი მზერა ზეციდან,
და ისტორიის უშრეტი კალმით,
ფერგადასული ძველი ფრესკიდან,
მოაბიჯებდა დიდგორზე დავით.

თითქოს წარსული გულის ძგერიდან,
წითელჯვრიანი ქართული ალმით,
გამოძახილი სულის ფსკერიდან,
მეალერსება დღეს ძველი შარმით.

გაელვებაა წუთი სოფლისა,
თვალცრემლიანი ვიღვიძებ ღამით,
და გალობანი სინანულისა,
გადავიკითხე კვლავ ისევ მალვით.

მაძღარი მონის ცრუ ამბიცია

ცოდვათა ძილში ჩაფლულ ქვეყანას,
გამოღვიძება არც კი უცდია,
თუმცა მონობის ნიღბით დამალვა,
ადრეც მრავალჯერ გამოუცდია.

გაუმაძღრობით შეპყრობილ "მეგას,"
მანიფესტიც კი გამოუცია,
ვინც ვერ მოერგო ბატონის ჩექმას,
თავი თვითონვე ჩამოუხრჩვია.

თავისუფლების უსაზღვრო სევდას,
ბორკილებს ადებს ოქროს უნცია,
და ასამართლებს საჯაროდ ღმერთკაცს,
მაძღარი მონის ცრუ ამბიცია.

დატყვევებული გულის სამიზნე,
მაინც არ კარგავს თავის მისიას,
კვლავ შეგახსენებთ რომ სინამდვილე,
გონიერ ყოფის არის ფუნქცია.

იქ სადაც

იქ სადაც მტრობას არქმევენ ძმობას,
ცრუ ამბიცია ნიჭს და მადლს ბოჭავს,
ადამიანის სიმდაბლით ყოფას,
ამჯობინებენ ნიღბიან მორალს.

ვერავინ ამჩნევს რომ სულით მშფოთავს,
კარგი არადროს არსად არ მოაქვს,
და მწიგნობარი რომელიც ბოდავს,
კვლავ დაწერს წუმპის ბაყაყთა რომანს.

თავისუფლების აღქმებით ცოდნას,
თავს მოახვევენ უბირთა ხროვას,
მყოფობის მიღმა მყოფობის ჭვდომას,
ვერ დააჯერებ გამაძღარ მხოხავს.

მუდამ მშიერი კვლავ თავის სტომაქს,
კერპად აქცევს და დიდებით მოსავს,
ორსახოვანი სტანდარტებს ორმაგს,
ამკვიდრებს და ამ საზომით ზომავს.

იქ სადაც მტრობას არქმევენ ძმობას,
და ანგელოზი წააგავს ხონთქარს,
ოცდაათ ვერცხლად აღვლენილ ხოტბას,
გამოუნახავს ვიღაც კვლავ ქომაგს.

სიმართლის ხელით მართალის მთოკავს,
მუდამ ჰგონია რომ სწორად ხოცავს,
ჰეროსტრატობით შეპყრობილ მონას,
სულით მკვდარს ვერვინ გიწოდებს
ცოცხალს.

განსაცდელს რწმენით რომ გაივლი

მიჰყვები ცხოვრების აღმართს და,
გონება თავისას არ იშლის,
ეკლიანს გთავაზობს სავალ გზას,
რომელსაც ყველა ვერ გაივლის.

გაგიღებს დაკეტილ სულის კარს,
განვლილ წლებს წამებად დაგიშლის,
წარსულში ჩაკარგულ ავს და კარგს,
გახელილ თვალის წინ დაგიყრის.

იარად დარჩენილ გულში კვალს,
გიწამლებს და მერე წაგიშლის,
წუთით და სოფელით დაღლილ მგზავრს,
სასთუმალს საფარ ქვეშ გაგიშლის.

მოიმკი ცხოვრების სამკალს და,
მიხვდები ვერავინ დაგიშლის,
სიყვარულს,სივრცეში აღმა სვლას,
ჯვარცმულთან ერთად თუ განიცდი.

სიკვდილის სიცოცოცხლედ გარდაქმნას,
მყოფობის საწყისად გაიხდი,
და ვერას დაგაკლებს დროთა ცვლა,
განსაცდელს რწმენით რომ გაივლი.

მიჰყვები ცხოვრების აღმართს და,
გონება თავისას არ იშლის,
ეკლიანს გთავაზობს სავალ გზას,
რომელსაც ყველა ვერ გაივლივს.

ისევ დათვრება ამაღამ მთვარე

წუხელის, ისევ ბარდნიდა ღამე,
ვიცი,ამაღამ კვლავ ისევ დალევს,
ისევ დათვრება ამაღამ მთვარე,
და შუაღამეს კვლავ მომთხოვს ვალებს.

ისევ დამიწერს არნახულ ანდერძს,
ფიქრებს დამალულს კვლავ ისევ ამხელს,
და თოვლად ქცეულ სევდიან წამებს,
ვიღაც დაარქმევს ამაღამ ნალექს.

დაარქმევს ნალექს თოვლიან ნამღერს,
ლექსად ყინვაში მოვარდნილ ნამქერს,
და მონავარდე ჩემს სულში რაშებს,
ლაგამს ამოსდებს ვიღაც და ამხელს.

კვლავ დააჭედებს ამაღამ ნალებს,
ვნებებად ქცეულ ფიქრებს და აზრებს,
და ხელის გულზე ანთებულ სანთელს,
ლოცვას დაარქმევს ვიღაც ჩემს სათქმელს.

ნაბახუსევზე კვლავ ისევ არევს,
დაულაგებელ არეს და მარეს,
თავის ტკივილის მომაყრის წამლებს,
და მერე ისევ ას გრამს კვლავ დალევს.

წუხელის ისევ ბარდნიდა ღამე,
ვიცი, ამაღამ კვლავ ისევ დალევს,
ისევ დათვრება ამაღამ მთვარე,
და შუაღამეს კვლავ მომთხოვს ვალებს.

შენდობის კვირა

ამ ბოროტების დიდ სასახლეში,
სიმწრით და ოფლით ნაგებ საკნებში,
ყოფამ გამაბა ისევ მახეში,
და კვლავ გამაწნა სილა სახეში.

გაოგნებული და დაბნეული,
დიდხანს ვიდექი ღია კარებში,
და დავინახე გამომწყვდეული,
თვით უკვდავება სულის სამხელში.

გამომეცხადა უცხო ფერია,
დრო და სივრცეში ხსნის მისტერია,
სინანულს სევდა გამოლევია,
და სიყვარულად გადაქცევია.

მივხვდი რომ ზეცა სულ სხვა ფერია,
წუთი სოფელში რომ არ წერია,
და რაც რომ უქმად დამიბნევია,
დღეს უნდა მოგცეთ ჩემი ჯერია.

მივხვდი ჯვარცმული ეს ის ღმერთია,
ვისი რწმენაც რომ ყველას ხვედრია,
მტერი მოყვარე ერთი მთელია,
და პატიებას ჩემგან ელიან.

გთხოვთ მაპატიოთ მშობლებო ჩემო,
ქრისტეში ძმებო და ჩემო დებო,
შენდობას ვითხოვ ერო და ბერო,
მოძულეებო და მოყვარენო.

ნეტავ ვინ მოაწყო ეს აყალმაყალი

თებერვლის სუსხით და სიცივით მაძღარი,
შუაღამის ყინვებით კეკლუცობს ზამთარი,
გონებამ გამიჯნა ფიქრებთან საზღვარი,
კვლავ ჯიჯგნის ქვეყანას კვლავ ვაი მართალი.

სიყალბემ სიმართლეს გახადა აბჯარი,
ცრუ პატრიოტებმა გამართეს ბაზარი,
ვიღაც კი ხელს ითბობს და გაუმაძღარი,
მწიგნობრობს ცრუ პეტრე ინგრევა საყდარი.

თებერვალის სუსხი კი ბობოქრობს გამწყრალი,
ნეტავ ვინ მოაწყო ეს აყალმაყალი,
უღმერთო სამეფოს გაუჩნდა ხანძარი,
ყრუ ამბიციების საშველი არ არი.

ჭირით და ვარამით კვლავ წელში გამწყდარი,
ერთ წრეზე მავალის დამშვრალა საგზალი,
შურით და ღალატით მაძღარი მავანი,
როდემდე ვითმინოთ მართალი და მტყუანი.

თებერვალის სუსხით და სიცივით მაძღარი,
შუაღამის ყინვებით კეკლუცობს ზამთარი,
გონებამ გამიჯნა ფიქრებთან საზღვარი,
კვლავ ჯიჯგნის ქვეყანას კვლავ ვაი მართალი.

გული ძგერს სულს კი გაუჩნდა ბზარი

(ცრუ პატრიოტიზმი)

გამოხდა დრო და გამოხდა ჟამი,
მოყვასმა მოყვას დაადგა თვალი,
დროშებით ხელში და ისევ მთვრალი,
ამბიციების დაიძრა ჯარი.

დღეს ისევ უსევ მოჭრილი მკლავით,
შეიწირება უმანკო კრავი,
თავისუფლებას ბორკილის კვალი,
ისევ დაეტყო და არა მკრთალი.

გამოხდა დრო და გამოხდა ჟამი,
ძალას უფლებამ გაუღო კარი,
მძიმეა ზიდო მსუბუქი ჯვარი,
წუთის სოფელში როცა გაქვს ვალი.

დრომ ისევ სივრცეს აუბა მხარი,
თებერვლის ღამემ გაყინა წამი,
გული ძგერს სულს კი გაუჩნდა ბზარი,
მატერებელი კვლავ მიჰქრის ჩქარი.

გამოხდა დრო და გამოხდა ჟამი,
საერთო ისევ კეფაზე ხალი,
მაყრად მპატიჟებს მეძავი ქარი,
სამყარო კვლავ დუმს რატომღაც წყნარი.

კვლავ შეგახსენებთ ერთ კარგ თქმულებას

კვლავ შეგახსენებთ ერთ კარგ თქულებას,
ნუღარ აყვებით ხალხო ცდუნებას,
თუ კი დაეძებ თავისუფლებას,
აღარც წარსულში გარგებს ყურება.

წუთი სოფელში მაშინ ტყუვდება
ყოფიერი რომ ტანჯავს ბუნება,
ცნობიერსაც კი ბრძოლა უხდება,
როცა არჩევანს არ აქვს უფლება.

ნუ გეშინია

ნუ გეშინია სიმართლის მთქმელის,,
კალამო ჩემო მადლით აღვსილო,
ნურც გულში ჩასულ გონების თმენის,
ჩემი ცხოვრების ყოფით აჩრდილო.

ნუ გეშინია იმ მაღალ მწვერვლის,
ობლად მთის ძირში ველად გაზრდილო,
ნურც ამა სოფლის მუდმივი დევნის,
რომელიც უნდა გაიადვილო.

ნუ გეშინია უარყოფილ ღმერთის,
ოცდაათ ვერცხლის ტკივილ განცდილო,
უარყოფილი მაინც შენ გეტრფის,
ხატად და მსგავსად იავარდქმნილო.

ნუ გეშინია წარსულის ხევდის,
წარსულს ხომ მოსდევს აწმყო საგმირო,
ყოფნის არყოფნა ვერაფერს შეცვლის,
მომავალში რომ ჩნდება სამკვიდრო.

ნუ გეშინია სიმართლის მთქმელის,
კალამო ჩემო მადღით აღვსილო,
ნურც გულში ჩასულ გონების თმენის,
წუთის სოფელში ყოფის აჩრდილო.

ვაშლის გემო რომ გასინჯა ერთმა

როგორ უცებ გაირბინეს წლებმა,
თუმცა გული ძველებურად ჟღერს,
თითქოს ზურგი შემაქცია ბედმა,
მაგრამ ჩუმად კვლავ წერილებს მწერს.

სინამდვილის ჩამოქცეულ ჭერმა,
ისევ თავი შემახსენა დღეს,
სულის ფსკერზე მოფათურე ხელმა,
კვლავ დასცინა კარზე მომდგარ ბედს.

წოთისოფლის სიავკარგე ჭრელმა,
სიტყვა ბანზე გადაუგდო ღმერთს,
ვაშლის გემო რომ გასინჯა ერთმა,
დღეს ცხოვრებად გადაექცა ბევრს.

დრომ სივრცეში ამიტეხა დევნა,
შედეგი კი ხელის გულზე დევს,
სიყვარულსაც თუ მოაკლდა რწმენა,
ზღაპარიც კი სინამდვილედ ჟღერს.

როგორ უცებ გაირბინეს წლებმა,
თუმცა გული ძველებურად ძგერს,
თითქოს ზურგი შემაქცია ბედმა,
მაგრამ ჩუმად კვლავ წერილებს მწერს.



მამა ამირან ამირანაშვილი
ამაღლების ტაძრის წინამძღვარი

უფალო შეგვიწყალენ!

ჩემო სამშობლოვ, კავკასია გადგას გვირგვინად,
შენ მწვერვალებზე აღმართულია ჯვარ-მონასტრები,
გაბრწყინდებაო ივერია, ბრძანებს უფალი,
ზეციდან გვესმის წინაპართა უკვდავი ხმები.

დავითისა და თამარის ხმა ჩაგვესმის ყველას,
მათი ნაგები ციხეები გვიცავენ დღესაც,
ვერ იმორჩილებს დარიალი მოღრიალე თერგს,
შერკინების ხმა ანგრევს კლდეებს, აყრუებს ზეცას.

ღამის წყვიადში, კელიებში ანთებენ სანთლებს,
თერგსაც წასთვლიმა, აქაფებულს, დაღლილ-დაქანცულს,
ზეცით დაადგა მოკაშკაშე ვარსკვლავი ოდას,
თოფმა დასჭექა, ყრმა იშვაო,ამცხო სამყაროს.

დიდი ხეობაში აღიზარდა ქვეყნის დამცველი,
კათალიკოსად მოგვევლინა ერის სანთელი,
ერთად ღვთისაკენ! - მოგვიწოდებს უნეტარესი,
ქვეყნის დამცველად მასთან დავდგეთ ერი და ბერი.

უფალო,ღმერთო! დაგვიფარე ცოდვებისაგან,
გააძლიერე, აღადგინე სული ქართული,
განდევნე ჩვენგან ბოროტი და ავი სულები,
გაამთლიანე საქართველო, შენგან დაცული.

ყინვასთან გამოთხოვება

ჩემი პირადი ცხოვრების გარდა,
ბუმებაც მკაცრად მიმასპინძლდება,
სულს მიხუთავენ ორივე ერთად,
ხვალაც, არ ვიცი, ვინ რას მპირდება.

სუსხიან ზამთარს ვერ გავექეცი,
მთელი სიმკაცრით ჩამიგდო ხელში...
ვერავითარი ძალა ვერ გიხსნის,
თუ გაიხლართე ამ ბნელ მახეში.

სიბნელისა და სიცივის გარდა,
ჯერ ვერაფერს ვგრძნობ,მე ამ მხარეში,
ვინც კი თბილ სიტყვას დღეს შემომაწევს,
შემოვინახავ სულის არეში.

გული მძიმდება და მოთმინების,
უკვე ივსება ყველა ფიალა,
ნელა გადიან თებერვლის დღენი
და ორმაგდება მწვავე იარა.

გაზაფხულს ველი და დღეებს ვითვლი,
იქნებ სხივებმა მოათბოს სუსხი,
გაყინულ სისხლსაც აამოძრავებს,
დამიამდება ტკივილი უხვი.

ქართულ გაზაფხულს მე ვერ ვინატრებ,
ვაზის გაკვირტვის, ბუდის შენების,
ატმებისა და ტყემლის ყვავილებს...
აქ ვინ მოიყვანს იმათ მშვენებას.

აი, მარტის დღე აქაც მოვიდა,
მერცხალი იწყებს ბუდის შენებას,
ყინვა გაალღო და გაგვახარა,
ვინღა დაეძებს იმის მშვენებას.

ასე რო, ალბათ ,ამ გაზაფხულზე,
ბევრი ოცნება ჩაივლის ფუჭად,
ჩემი თბილისი,მწვანე ჭადრები,
ჩემი სოფელი და ძველი ქუჩაც...

არ მომილოცავთ დაბადების დღეს,
ოცდაოთხ აპრილს ვიჯდები მარტო,
ფიქრის ფანჯარა გამოვაღე და...
თევენ მახსენდებით,
მხოლოდ თქვენ გნატრობთ.

კიდევ მოვლიან გაზაფხულები
და აყვავდება ატამი, ვაზი,
ერთად შევხვდებით მრავალ გაზაფხულს,
მხარს დამიშვენებს ქალი, ლამაზი.

და მაშინ ვიტყვი ჩემო ცხოვრებავ,
ტკბილი ყოფილხარ და თანაც მკაცრი,
ერთი წლის ჯარმა როგორ დამაფრთხო
და შემაშინა ამზელა კაცი!.

კვლავ შევუდგები ბუდის შენებას,
პატარა კუთხეს მოვძებნი მყუდროდ,
რომ ჩემ ოცნებას ფრთები შევასხა,
რომ მომავალი არ დამემდუროს.

სიზმარი

უსაქმურობამ და უძილობამ,
დამფრთხალმა ღამემ, თაკარა სიცხემ,
ჩვილი ბავშვივით შემაკრთო ძილში
და გამიტაცა ბუნების სივრცემ.
ცრემლები მზად მაქვს გამოულევლად,
სულ მუდამ წვეთავს ნადუღი სული...
რომ არ იწვეთოს,დამახრჩობს ალბათ,
უკუნ ღამეში სიზმრები კრული.
მხეცები ღრიალს,ფრინველთა ჩხავილს,
უსაზარლესს ხდის ბნელი უკუნი,
ქარი უბერავს,მტვერი ცას სწვდება,
ჩემ წინ უეცრად ჩნდება უფსკრული.
ზემოდან წვიმა კოკისპირული,
ცდილობს დააცხროს ეს მძინვარება,
ცეცხლზე ნავთიო, რომ იტყვის კაცი,
ბუნების ღელვა ვერაფრით ცხრება.
ქარაშოტები დაჰქრიან ყველგან,
გუგუნებს მიწა, გრიალებს ზეცა,
იხოცებიან ფრინველნი,მხეცნი,
თითოსდა ყველგან სიცოცხლე შეწყდა.
მეს ვაღარ აღვწერ საშინელ სურათს,
მიახლოვდება შმაგი ურჩხული,
თმა გამითეთრდა, ენაც დამება,
სუნთქვა შემეკრა, გაჩერდა გული...
ბუნებამ იწყო დაშოშმინება,
მთელი ქვეყანა ძლივს იტევს ნაგავს,
ვინც გადაურჩა ამ ზეცის რისხვას,
კვლავ შეუდგება ცხოვრებას ახალს.
აღმოცენდება ფესვიდან ყლორტი,
ყაყაჩოები დაფარავს მიწას,
კვლავ აშენდება სასახლეები,
ღმერთის წყალობა ააცდენს ხიფათს.
მთვარიან ღამით ახალგაზრდები,
სულს დაიცხრობენ, ფიცსაც დადებენ...
კმაყოფილები თავიანთ ბედით,
ახალ აკვანში ჩვილს დაარწევენ.
მე არ მეღირსა ბედნიერება,
არც ქალწულთხვევნა, არც მომავალი,
გულდაფლეთილი ვაგდივარ მინდვრად,
მზე მიინავლა ამოსავალი.
თითქოდა დედის მგლოვიარე ხმას,
ბანს აძლევს ჩემი ჭირისუფალი...
ცრემლების ზღვაში თევზად ვიქეცი,
თქვენსკენ მოვქროდი თავისუფალი.
ყველა მდინარე მე გადმოვცურე,
დრომ და საწუთრომ მე მამყიფინა,
კვლავ ამირანად გადავიქეცი,
სიზმრად სიკვდილი კარგი ყოფილა.
დილით სარკეში,რომ ჩავიხედე,
თმიდან ჭაღარამ მითხრა სალამი,
ამ შფოთიანი სიზმრის ბრალია,
ამაღებინა ხელში კალამი.
მინდა აღვწერო განცდები ღამის,
ცოტა სიმართლეც გამოჰყვა სიზმარს,
მართალი გითხრათ, ის ვერ მიხვდება,
ვინც არ გამოსცდის ცხოვრების რისხვას.
გამოანათებს მზე ოქროსთვალა
დადედამიწა გამოიფხიზლებს,
ალბათ რიჟრაჟზე წაიღებს ქარი,
ჩემ ნაფიქრალს და ღამეულ სიზმრებს.

დაბადების დღე

იბადებიან და იზრდებიან,
მოხუცდებიან,მერე კვდებიან,
ბუნების კანონს ვერავინ შეცვლის,
„ხორცნი კვდებიან,სულნი რჩებიან“
დიახ, რაც რჩება ადამიანის,
საინტერესო აი რა არის-
ვიბრძოლოთ ჩვენი სახელისათვის,
შრომა კი,მართლა დიდი ზღვა არის.
მინდა,რომ ჩემ გზას პატიოსნების
და შრომის ოფლი ერგოს სადენი,
რომ მომავალში არ შემიძრახოს,
არ ვიყო ცუდი, რამის ჩამდენი.
აი, რა არის ჩემი მიზანი,
ამ ოცდაშვიდ წელს რისთვის ვიღწვოდი,
გზა ეკლიანი, ბევრჯერ მიკაფავს,
სიყვარულითაც ბევრჯერ ვიწვოდი.
მახსოვს ბავშვობა, სწავლა და შრომა,
წვიმა და თოვლი, მზეზე გაშრობა...
და კვლავ მწყემსობა,წისქვილი,წყარო,
ცელქობისათვის დედის გაწყრომა.
ბებიაჩემის ტკბილი ზღაპარი...
და სიყვარულზე ოცნება ღამით,...
ვარდების კონას დავკრეფდი დილით,
მოვალეობას ვიხდიდი ამით.
გაქრა ჩვიდმეტი ცემი ბავშვობასც,
სტუდენტურ ლუკმას გავუგე გემო,
დავემშვიდობე პირველ სიყვარულს,
იმ გრძნობას ისევ, კვლავ ჩემად ვჩემობ.

ასე ჩავები შრომის ფერხულში,
შრომა და სწვალა ძლივს შევათავსე...
ცხოვრება გარბის სწრაფად და მკაცრად,
განვილ წლებს მერე, ყველა ვაფასებთ.
ასე სიფრთხილით ვიბრძოდი დღემდე,
სად არ ვიარე ზღვასა თუ მთებში...
ოცდამეშვიდე ჩაბარდა წარსულს,
ვერსად წაუვალ ჭაღარას თმებში.
რამდენ რამეზე მითქვამს უარი,
სიამოვნებას ვუქციე გვერდი,
მკაცრმა ცხოვრებამ მე გამამკაცრა,
ბევრს გავუწბილე გრძნობა და ხვედრი.
ანგელოზობას მე არ ვიბრალებ,
დიდი ცოდვა კი არ მადევს მხრებზე,
იყო ასაკში ჩემ პირობებში,
ქალის ცდუნება მოქმედებს ბევრზე.
ბევრი მქონია ტკბილი წუთებიც,
ბევრი მღელვარე დღეები მახსოვს...
გამოცდის ფრიადს რა დამავიწყებს,
ის მღელვარება დღესაც კი მათრობს.
ასე დაიწყო ოცდარვა წელი,
მოსალოცებით ამევსო ქუდი.
რას მილოცავენ, თავად არ ვიცი,
ეს წელიც მოდის, სიცოცხლის ქურდი.
მაგრამ მე მაინც იმედს არ ვკარგავ,
დამშვიდებული ველი მომავალს,
რადგან მისურვეთ ყოველი კარგი,
შემოდგომაზე ვიღებთ მოსავალს.

ბაღათერ არაბული პოეტი
მწერალთა კავშირის თანათავმჯდომარე

ზ ა მ თ რ ი ს ე ტ ი უ დ ე ბ ი დ ა ნ

... ვინ ჩამოჰკიდა ამ ზეცას მთვარე?-
ჭაღი,-ათასი სხივის ამნთები,
ანდა ყინვებით მოხატულ ზამთარს
ვინ დაათოვა თოვლის ნათელი?..

ან ვინ აუშვა ქარები ღამით?-
ვინ გადაჰფინა სივრცეს ქარიშხლად?
და ვინ აანთო დილა სისხამი?
ღამის უკუნი ვინ დაარისხა?..

ან ვარსკვლავები ჩუმი წკარუნით
ვინ მიაქარგა ზეცის ხალიჩას?
ვინ მომისაჯა ეს ს ი ყ ვ ა რ უ ლ ი?
ეს ს ა ტ ა ნ ჯ ვ ე ლ ი ვინ მომანიჭა?..
.....
ვინ ჩამოჰკიდა ამ ზეცას მთვარე?-
ჭაღი,-ათასი სხივის ამნთები,
ანდა ყინვებით მოხატულ ზამთარს
ვინ დაათოვა თოვლის ნათელი?..

ცხოვრება

არეულია ნათელში ბინდი,
ალერსში-შხამი, შხამში-ცდუნება,
დრო კი თავის გზით მიდის და მიდის,
საკუთარ თავში დასაბრუნებლად...

და სიყვარული, რომ გვწამდა გუშინ,
ჩვენგანვე მოკვდა და გაიაფდა,
შემოგვპარვია მალულად სულში
თვითონ იუდა და კაიაფა...

ლამის მოყვარე გავაკრათ ჯვარზე
ჩვენი გესლის და შურის ლურსმნებით,
დაუსრულებლად გრძელდება ასე,
ბრუნავს და ბრუნავს კვლავ კარუსელი...

არეულია ნათელში ბინდი,
ალერსში-შხამი, შხამში-ცდუნება,
დრო კი თავის გზით მიდის და მიდის,
საკუთარ თავში დასაბრუნებლად...

ი ა გ უ ა რ ი

... აქ დამწყვდეული ვინ მიგატოვა?
როს თავისუფლად უნდა ბრდღვინავდე
და კვლავ ზარავდეს შენი ნახტომი
განებივრებულ ტყეთა ბინადრებს...

უღრანებით და ეკალ- ქაცვებით
ამოვსებული გელის საუფლო,
აქ კი მომსვლელთა რამდენ დაცინვას
და რამდენ ქილიკს უნდა გაუძლო...

ზოგჯერ ველურად გითრთის სხეული
და გამწარებით კაწრავ გისოსებს,
დაბეჩავებულს და მონად ქცეულს
იცი, არავინ არ შეგიცოდებს...

იცი, ამ ქვეყნად ვერ გადარჩები,
თუკი გალიამ დაგიმორჩილა,
მაგრამ კვლავ მოაქვთ ხორცის ნაჭერი
და მომვლელის წინ დგები მორჩილად...

მთელი ცხოვრება, ბედს მინდობილმა,
მაგ კედლებს ირგვლივ უნდა უარო;
შენ- მარტოობის ჩუმო დობილო,
ბწკლებდაცვეთილო იაგუარო...

იესოს დაბრუნება

ზეცა გრგვინავს და მიწა ზანზარებს,
ელვით ეშვება მთებზე ავდარი;
მიდის იესო ისევ ნაზარეთს,
ჩვენთვის ჯვარცმული და კვლავ აღმდგარი...

დაბზარულია სივრცის კედლები
და სივრცის იქით მოჩანს სხვა ხედი,
შორს კი ნისლებში ელავს ბეთლემი,
როგორც სამყაროს გადასახედი...

გადაჰკრავს რიჟრაჟს ფერი იოდის,
ღამე დაიმსხვრა და დაიბზარა
და თვით იუდა ისკარიოტელს
თავის ღალატი თვითონვე ზარავს...

მიდის იესო და მრევლი მისდევს,
ციდან მოისმის გუგუნი ზარის,-
ისევ ბრუნდება ნატანჯი ქრისტე,
ო, გიხაროდენ, იერუსალიმ...

ზეცა გრგვინავს და მიწა ზანზარებს,
ელვით ეშვება მთებზე ავდარი;
მიდის იესო ისევ ნაზარეთს,
ჩვენთვის ჯვარცმული და კვლავ აღმდგარი...

ს ი ყ ვ ა რ უ ლ ი...

... ამ საწუთროში ჩვენ ერთმანეთს ვეძებდით
ოდით,
ირგვლივ ეფინა მოყვავილე ფერი არეთა;
მე თქვენ მ ი ყ ვ ა რ დ ი თ,
არ შემეძლო, ა რ მ ყ ვ ა რ ე ბ ო დ ი თ,
რადგან ჩემსავით
სხვა ვერავინ შ ე გ ი ყ ვ ა რ ე ბ დ ა თ...

გამოვაღწიეთ რამდენ ტკივილს
და ღალატს რამდენს,
ამ სიყვარულმა ერთგულების ნერგი იყარა;
მე თქვენ მ ი ყ ვ ა რ ხ ა რ თ
და არ ძალმიძს,
რომ არ მ ი ყ ვ ა რ დ ე თ,
რადგან თქვენსავით
მე ვერავინ ვ ე რ შ ე მ ი ყ ვ ა რ ა...

ვ ი დ რ ე...

ვიდრე... დაგვიფენს ბედი გზაზე
მწარე ნარ-ეკალს
და ვიდრე... ჩვენთვის გამგზავრების
ზარი დარეკავს...

ვიდრე... საწუთროს გვილამაზებს
კვლავ მზე- ნათელი,
ვიდრე... ვიღაცას ვაგონდებით
და ვენატრებით...

ვიდრე... გადუვლის უკუნეთი
დროს- უნეტარესს,
მოვეფეროთ და გავუფრთხილდეთ
უნდა ერთმანეთს...

ვიდრე... ვიღაცას ვუყვარვართ და
ვიღაცა გვიყვარს,
ვიდრე... ქცეულა ვარდ- ყვავილი
ნარად და დიყად...

ვიდრე... მნათობი დილის პირზე
ჩვენთვის ამოდის
და ვიდრე... ჩვენთვის მთვარეს იბნევს
ცა - საღამოთი...

ვიდრე... აქა ვართ და შორია
კიდევ... ლეთამდე,
მ ო ვ ე ფ ე რ ო თ და
გ ა ვ უ ფ რ თ ხ ი ლ დ ე თ
უნდა ე რ თ მ ა ნ ე თ ს !..

ს ა დ ა ხ ა რ, ქ რ ი ს ტ ე ?..

... სადა ხარ, ქრისტე, სადა ხარ, ნეტავ?
შენი გზა მკრთალად გ ა მ ო კ რ თ ი ს ბნელში,-
პ ი ლ ა ტ ე ე ბ ი დღეს ყველგან სხედან
და ბრბოს უ ს მ ე ნ ე ნ შურისგან შეშლილს...

დღეს ა ქ დ ა რ ჩ ე ნ ა გახდა საშიში,
სად ა ნ ტ ი ქ რ ი ს ტ ე ბოროტად გვიმზერს;
დაბრუნდი, ქრისტე, დაბრუნდი ცაში,
თორემ ა ქ ჯ ვ ა რ ზ ე გ ა ც ვ ა მ ე ნ ისევ...

ზ ა მ თ რ ი ს ე ტ ი უ დ ე ბ ი დ ა ნ...

...მოვიდა თოვლი და. მოიყოლა
ვრცელი მინდვრების ქარი მსახურად,
სახურავები წაშალა თოვლმა
და ახლა სახლებს თოვლი ახურავს...

ირგვლივ ხეებიც უკვე არ ჩანან,
თითქოსდა თოვლის ძეგლებად იქცნენ
და მხოლოდ ერთი ყვავი- ყვანჩალა,
როგორც ფოთოლი ჰკიდია სივრცეს...

ქ ა რ თ ლ ი ს ქ ე დ ე ბ ო, ვ ი ნ ჩ ა გ ა ც ვ ა თ თ ო ვ ლ ი ს ს ა მ ო ს ი...

(ზამთრის ესკიზებიდან)

ქართლის ქედებო, ვინ ჩაგაცვათ თოვლის სამოსი?
ან ვინ დაგხურათ დაღლილ მხრებზე ნისლი იმედად?
ვინ გაგიმეტათ სუსხით ავსილ ამ საღამოსთვის?
ამ ქარბუქიან ღამისათვის ვინ გაგიმეტათ?..

ვინ მიგატოვათ, უღრანებო, თოვლში და ქარში?
ან ვინ დაგკიდათ ლოლუები ტანზე ზარებად?
დაჰნათის მთვარე თეთრად მდუმარ სივრცეებს გაშლილს,
ვით იდუმალი ღამის ფიქრი და აღსარება...

ვინ მიგატოვათ თქვენც, სერებო,ზეცის ტატნობზე?
შეცივნულ ქედზე ვინ აგინთოთ ფიფქი ფთილებად?
ეს ვარსკვლავები ვერასოდეს ვერ გაგათბობენ
და მზის სინათლეც სითბოდ აღარ დაგეფინებათ...

ქართლის ქედებო, ვინ ჩაგაცვათ თოვლის სამოსი?
ან ვინ დაგხურათ დაღლილ მხრებზე ნისლი იმედად?
ვინ გაგიმეტათ სუსხით ავსილ ამ საღამოსთვის?
ამ ქარბუქიან ღამისათვის ვინ გაგიმეტათ?..

ო ქ რ ო ყ ა ნ ა შ ი N-ს

...ნისლმა დაფარა ირგვლივ ველები,
ქარმა მთებს ფრთები გაჰკრა გლოვითა
და როგორც შენი თეთრი ხელები,
ისეთი თეთრი თოვლი მოვიდა...

გულნაზ ხარაიშვილი (ცისკარელი)

ჯუმბერ ლეჟავას სახელობის, საერთაშორისო მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, ჟურნალ„ათინათის” რედაქტორი.

* აფხაზეთის მიწაზე *

უსაფლაო გვამები,
ჩონჩხი ახლაც ბევრია
ცოცხლად განაწამები,
გმირნი ცაში მღერიან.

აფხაზეთის მიწაზე,
ჩაიხოცნენ ბიჭები,
სახტარს ყველა წირვაზე,
დარდის ცეცხლში ვიწვები.

დედებს თვალწინ უკლავდნენ,
შვილებს დაუნდობელად,
ყრიდნენ არა კრძალავდნენ,
სტოვდნენ დედაშობილად.

ახლაც ბრძოლობთ ცის იქით,
გამარჯვებას გვპირდებით...
ლეგენდებად იქეცით
გმირნი გააპრილდებით!..

გაზაფხული უშენოდაც მოვა

შინდი უკვე შეიკერავს ყვითელ კაბას,
გაზაფხული დაიბერავს ტუჩებს,
დამეკარგე ცის ღრუბლებში შვილო სადღაც,
სევდის ფერი აფენია ქუჩებს.

ვინ ჩაწვდება ჩემი დარდის საიდუმლოს,
ცისკარელი ცის სივრცეში დადის,
სიახლოვეს დედი უნდა დამიგულო,
შენ ხარ ჩემი სიხარული- დარდიც.

ხან მზედ გხედავ გენაცვალე ჩემო გელა,
ხან ღრუბლები დაგიფარავს სახეს,
ფრონის წყალი ძველებურად ისევ ღელავს,
ქარი ფოთლებს სევდიანად არხევს.

ფიქრით ვიყავ მთვარესთან და
ვარსკვლავებთან,
მიგამგვანე ლამაზ მნათობს შვილო,
ჩემთვის დარჩი იმ ბავშობის ნაკვალებთან,
ჩემი ღამის გატეხილო ძილო.

* მოხტუნავე ციყვები *

აღარავინ არ მოკვდეს,
დედის არაკს გიყვებით,
კიდევ ცუდი არ მოხდეს,
მოხტუნავე ციყვებით .

ამ ჩემს შექმნილ კარავში,
მზე და სიყვარულია,
მჭადიც ცხვება - ლავაშიც,
შოთი სულ კახურია.

ვლოცავ ერის მოყვარულთ,
სამშობლოს რომ იცავენ,
დავგმობ იმ გულს სატანურს,
მართალს როცა კიცხავენ.

თუ მომრავლდა ჭინკები,
გაზაფხულის ზამთარით,
კუდფაფუკა ციყვები,
სახტუნაოდ მზათ არის.

იჟღურტულეთ ჩიტებო,
მოალერსე მტრედებთან,
ქართვლის გოგო- ბიჭებო,
არ ჩაიჭრათ დედებთან.

ნაჯაფ გზაზე გავლილებს,
მტერი არ ეკარება
შვილებს შრომით დაღლილებს,
დედა მოგეფერებათ!

სიწესიერის საზღვრის სამანთან

(დავით ახლოურის)

ხან დრო მაშინებს, ხან ბედისწერა,
ხანაც სამანის მისწვ- მოსწევა,
დილით მე როცა პირჯვარს ვიწერავ,
მზეს არ ჭირდება ციდან მოწვევა.

სიწესიერის საზღვრის სამანთან,
ზრდილი პოეტი შემომხვდი შვილო,
შენი ლექსების იასამანთან,
წიგნის მკითხველმა უნდა იფრთიხილოს.

შენი კალამი წყარო წარსულის,
პოეზიაც და თვით ისტორიაც...
უნდა ისწავლონ დრო ის გასული,
რომ ახალგორი შენთვის შორია.

ზრდი თაობებს და თან ჩააგონებ,
ძილშიც გაბოდებს ქსანის ხეობა,
ხან წიგნის შექმნას გამოიგონებ
და ელი ერის კეთილდღეობას!

* ველოდები *

ველოდები გაზაფხულის ყოჩივარდებს,
კვირტები რომ დაიბერავს დიდრონ ტუჩებს,
საქართველოს მომავალი იავარდებს,
იქნებ ყინვას ყვავილებო გადაურჩეთ.

კვლავ ღამეა ...უსათუოდ გათენდება,
ქართვლის გული გაუძიძგნავს მხეცის ხროვას,
მზის სხივებით კვირტი ისევ აფეთქდება,
იები და ზამბახებიც ისევ მოვა!

* გილოცავ *

დედაშვილობა არის სხვა სუნთქვა,
ზღვასავით დიდი ფიფქივით სუფთა,
ამ დიდ გრძნობაზე ჯერ ცოტა უთქვამთ,
დედაშვილობა სხვა გრძნობით გსუსხავს.

შვილი- ეს დედის ხორცის ნაწილი,
დედის ძარღვები, ჰაერი- დედის,
გაჩნდი და გულში გადანაწილდი,
კაიკაცობას რომ შეაბერდი.

ასოცი წელი სწიეთ უღელი,
ერთად შვილებო, დათო და ცირა,
სიკეთის თესვით ხართ მოუღლელი,
თქვენ ბედისწერამ მოგნათლათ გმირად.

გამრავლდით შვილო შვილიშვილებით,
მზედ იბრწყინეთ და მზედ იდიადეთ,
გადაფუფუნდით შვილთაშვილებით,
გყავდეთ შოთა და გყავდეთ ზვიადი!

* უნდა გეჩხუბო ბუნებავ *

რატომ მაშინებ ბუნებავ,
მართლა ძალიან მიყვარდი,
საყვედურს უკვე გიბედავ,
ბაღდადს მიადექ მიპარვით.

რა დაგიშავა ბავშვებმა,
რა ცოდო მადლი ტრიალებს,
ეს წვიმა- თოვლი რას შვება,
სოფელი რატომ ღრიალებს.

ოჯახს მიადექ მძინარეს
პირტიტველები ჩაყლაპე,
ადიდა ცოდვის მდინარე,
ხალხს მიწა გადააყლაპე.

შიშმა შემიპყრო დავფიქრდი,
იმედი გაქრა- გაქარწყლდა,
სიკვდილო, მთებშიც ჩაფრინდი,
კლდე შენით წელში გადაწყდა.

* შ ე ე ს ი ს ხ ლ ხ ო რ ც ე *

სულის ტაძარში გიხმობ შვილო, ხვალ შენი დღეა,
მოდი ძვირფასო აქ დაგხვდება ,,ათინათები"
სიყვარულია ... ერთგულება... სიკეთის მზეა,
გზავნილ ლექსებთან მთელი წლობით ღამეს ვათევდი.

შემოგყვეს მინდა უბოროტო სახის ნათება,
შეესისხლორცე არტერიას გულის კედლებში,
აქ, საქართველოს მომავალი გამონათდება,
სიღარიბეა... თუმც მოხვდები სულის ედემში!

==:· თქვენთვის ვამბობ ·:==

დამიჯერეთ, თქვენთვის ვამბობ,
განა ჩემთვის მინდა რამე,
დღე რომ დღეა, ის იწამოთ,
დრო სიცოცხლის ითვლის წამებს.

მტერი აღარ გააცინოთ,
არ ჩააქროთ გრძნობის ალი,
გული გულს არ დააცილოთ,
კვლავ გარიგებთ დარდის ქალი.

გთხოვთ, ოჯახის თქვენს მყარ ფუძეს,
საძირკველი ჰქონდეს მყარი,
თქვენთვის ბედის დიდ ცეცხლს ვუძლებ,
გამოგიღეთ გულის კარი!

არ შემიძლია მტერიც რომ მძულდეს

დამსაჯეთ, დამწვით, მაქციეთ ფერფლად,
არ შემიძლია მტრის სიძულვილიც,
გთხოვთ არ გამყიდოთ არავინ ვერცხლად,
არასდროს გქონდეთ ამის სურვილი.

სიცოცხლე არის სულ ერთი ციდა,
არავინ რჩება აქ საუკუნეს,
ძალიან ბევრჯერ მე ბედი მცდიდა,
მაგრამ სიკეთით კვლავ განვიკურნე.

არავის ვგავარ მე სხვა ვარ უცხო,
უფრო ლამაზი გრძნობის მფრქვეველი,
ყველა გარდაცვლილს ზეციდან ვუხმობ,
მათთვის გული მაქვს ხელუხლებელი!

მე და სანთელი

ჩვენ ერთად ვცხოვრობთ
მე და სანთელი, ერთად ვიღვიძებთ ...
ერთად ვიძინებთ, მთელი ცხოვრება
ჩვენ ვართ დათმენით,
ცუდად არავის გამოვიძიებთ.

წმინდაა ფიქრი და უბოროტო,
დაუბადებელ ბავშვივით სუფთა,
გული რათ უნდა გავაბოროტო,
მე სანთლის ალის ჰაერით ვსუნთქავ.

გულის წამალი სიყვარულია,
დედაშვილური ტკბილი - უბიწო,
თავზე ქარიშხალს გადაუვლია,
სულელურად და სულაც უმიზნოდ.

ნეტავ ცოტა ხანს მაცადონ ლოცვა,
მადლმა აჯობოს ბოროტთა ხროვას,
სულის სამრეკლოს გადმოგილოცავთ
და თუ წავედი ისევე მოვალ.

იცი როგორ მიყვარხათ?

როგორც დედას შვილები
ისე ძლიერ მიყვარხართ,
ხართ თაფლივით ტკიბილები,.
სადაც მე ვარ იქა ხართ.

სიყვარულის ელექსირსს,
ბღუჯა-ბღუჯა ვარიგებ,
თქვენთვის ვწერე ეს ლექსი,
მწავს სიყვარულს გამიგებთ.

აგერ გული კეთილი,
ენერგიით პირსავსე,
ცოდნის გაკვეთილი და...
მჯერა თქვენც რომ აფასებთ.

ჩემს სიყვარულს სხვა ფასი,
სხვა გემო აქვს შვილებო,
სხვა გემოა ამაში,
ტკბილი -- მთის არწივებო.

ზოგი მღერით ზოგმა კი,
ლექსით მთები დაიპყვრეთ,
ლექსი ღვთისგან მოგდისთ და...
სიყვარულიც გაიყვეთ.

,,ათინათის" კარიბჭე,
ცამდე მხრებით ასწიეთ,
შვილის ტიტულს განიჭებთ,
დედა- სულის არწივების!

იცი როგორ მიყვარხათ?

როგორც დედას შვილები
ისე ძლიერ მიყვარხართ,
ხართ თაფლივით ტკიბილები,
სადაც მე ვარ იქა ხართ.

სიყვარულის ელექსირსს,
ბღუჯა-ბღუჯა ვარიგებ,
თქვენთვის ვწერე ეს ლექსი,
მწავს სიყვარულს გამიგებთ.

აგერ გული კეთილი,
ენერგიით პირსავსე,
ცოდნის გაკვეთილი და...
მჯერა თქვენც რომ აფასებთ.

ჩემს სიყვარულს სხვა ფასი,
სხვა გემო აქვს შვილებო,
სხვა გემოა ამაში,
ტკბილი -- მთის არწივებო.

ზოგი მღერით ზოგმა კი,
ლექსით მთები დაიპყვრეთ,
ლექსი ღვთისგან მოგდისთ და...
სიყვარულიც გაიყვეთ.

,,ათინათის" კარიბჭე,
ცამდე მხრებით ასწიეთ,
შვილის ტიტულს განიჭებთ,
დედა- სულის არწივების!

* სიკეთის ცეცხლი *

მე უნდა მენთოს სიკეთის ცეცხლი,
ჩემში და... გათბეს დედა სამყარო,
უნდა ვიშოვნო სიკეთის ფერფლი,
საქართველოს მსურს გადავაყარო.

დავთესო მინდვრად, ტყეში და ბარში,
აღმოვაცენო მადლის საკვები,
უმადურობამ გაიმინვდრა და...
გულს რომ შემომრჩა გამოსაკლები.

იყოს რა უშავს გარდაიქმნება,
აუცილებლად იერს შეიცვლის,
ის უმადური ჩემთან იქნება,
ასეთებზედაც ძალზე განვიცდი.

მე ვარ ის გრძნობა რაღაცა უცხო,
სიყვარული და დარდის გამქრობი,
მტკივა და მაინც სხვის ტკივილს ვუხმობ,
ვარ ცრემლ- ქარბუქის თოვლის საშრობი.

ხვანის ტყის ტოტით ცეცხლი მინთია
გულში გავზარდე ია-იები,
გთხოვთ არ გეგონოთ სიტყვა მითია,
დარდიანებს მსურს მოგცეთ იმედი!

* ისევ გათენდება *

ისევ სიხარულით ივლი,
თუმცა ბედი ფიფქებს ბარდნის,
შვილო, დაგიბრუნებ ღიმილს,
ვატყობ მზე ჯერ არსად ჩადის.

ვნახოთ მიმოვფანტოთ ერში,
ყვავილს დაგიკრიფავ იმდენს,
ერთად ვუდარაჯოდ იმედს,
რომ ვერ დაიჭირო ხელში.

ჩემი სახელია დედა,
გული სიკეთის გზით დადის,
ეკლებს სულ კბილებით ვძეძგვავ,
თუმცა ბედისწერის ვადით.

ყველას მოგიშუშებთ ტკივილს,
შევძლებ რაც არ უნდა მოხვდეს,
სახეს დაგიბრუნებთ ღიმილს,
ცრემლით რატომ უნდა მოვკვდე.

უფალს შევავედრებ მერცხლებს,
ვივლი ყვავილების კონით...
თქვენთვის გავუღიმებ ვერხვებს,
მტერს მე კვლავ სიკეთით ვჯობნი!

* უმიზეზოდ *

ამ ერთ სტროფში ჩავალაგებ იმდენ დარდებს,
რომ ძნა დავდგა დიდზე- დიდი სევდის ზვინის,
ბედო, აქვე არხეინად დარდიმანდობ,
მართლაც მიკვირს რად გწყურია ჩემი ჟინი.?

შარი გინდა მომიძებნო უმიზეზოდ,
გინდა ფრთები მომაწყვიტო ასაფრენი,
მდარაჯობ და თან დამყვები ეზო- ეზო,
ჩემთვის უკვე აღარახარ არაფერი!...

ირაკლი ნადარეიშვილი

იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი
ასოცირებული პროფესორი.
დაბადების ადგილი თბილისი

ვერ მიცანით, ქალბატონო?

არ მითხრათ, რომ ვერ მიცანით, ქალბატონო,
ნუთუ, დროის ღვარცოფებმა ისე მშთანთქეს,
რომ წარსულის აჩრდილიც კი აღარ შემრჩა
და თვალებმაც ვინაობა ვეღარ გათქვეს.

არ მითხრათ, რომ ვერ მიხსენებთ, ქალბატონო,
ვერც იმ იებს, წვიმაში რომ ერთად ვკრეფდით?!
ეჰ, ოდესღაც, თქვენი ერთი შემოხედვით,
ჩემს ბაგეზე ღიმილების კონებს წყვეტდით.

ჩაის სახლი და ბლითებიც აღარ გახსოვთ?
სტუდენტურ რიგს რომ ვტკეპნიდით მოთმინებით,
მე კი, თქვენი ვარდისფერი კოფთაც მახსოვს,
წელს რომ კვეთდა თეძოსაგან მოხდინებით.

არ მითხრათ, რომ არც ის გახსოვთ, ქალბატონო,
კედელზე რომ ამოვჩხაპნეთ სახელები
და ბავშვურად, ხელნაწერი კონსპექტების
დამალვით რომ გტანჯავდით და გახელებდით.

მომიტევეთ, მგონი, არა, მართლა შევცდი,
უსათვალოდ სულ სხვა ქალად შეგიცანით,
თუ ღმერთი გწამთ, ახლა არ თქვათ, რომ გახსოვართ
და რომ ახლა მე ვცდები და თქვენ მიცანით...

შენ, ჩემო ბედის ყორანო!

შენ, ჩემო ბედის ყორანო,
მფლეთავ-მკორტნავო იღბლისა,
ნეტამც თვალს მოატყუებდე,
ჟამი დაგიდგეს ძილისა.

მცირე ხნით დამეხსნებოდე,
წელში გამართვას მაცდიდე,
დაჩხავლებ-დაყრანტალებით
ჩემს ბედისწერას არ სცდიდე.

ვერ შეცვლი მას, რაც მარგუნა
ჩემს წილად ყოვლის გამრიგემ,
ისედაც მამეკითხება,
თუ რამ ურიგო ვარიგე.

ბალღი აღარ ვარ, ყრანტალის
ხმაზე ბეჩავი ვხდებოდე,
უმთვარო ღამის დადგომას
სიკვდილის შიშით ვხვდებოდე...

შენი შავი ფრთის შრიალზე
უიმედობით ვხმებოდე,
აღარც ცოცხლებში ვერიო,
აღარც მკვდრებს ვეგებებოდე...

ისეთ მოსისხლედ ნუ მაქცევ,
სადმე რომ წაგაწყდებოდე,
საკბილოს თავად - საკბილოდ,
სათოფედ გამიხდებოდე.

იქნებდა, გადაგიყოლოს
ჩემ მძორად ხილვის წადილმა,
ჩემს დატირებას დაასწროს
შენი ბახალის ჩხავილმა...

ჰოდა, მცირე ხნით დამეხსენ,
გემო შევიგრძნო შვებისა,
სიმშვიდის ჟამმა ჩამოკრას,
სანაცვლოდ გავეშებისა...

შენ, ჩემო ბედის ყორანო,
თანმდევო დაბადებისა,
ჩემო კბილავ და ტოლ-სწორო,
ზიარო ყოველ ხვედრისა...

მცირე ხნით თვალი მილულე,
არ გთხოვ გამართვას ხელისა,
ჩემს სამკელს თავად მოვიმკი,
თუკი, სიმშვიდე მეღირსა...

კვირტი

ყმაწვილ ქალის სადარი და
საარშიყოდ შემართული,
მიმზერს კვირტი დაბერილი,
შემომარტულ - შემარტული.

თოვლის საბან-ნაზეწრალი
ვნების ალით მომართული,
სამარტევე, სიმარტოვით
მოღერებულ-მომარტული.

რადა ვწერ?!

დარჩა კი, განა, სათქმელი,
მწერალს აქამდე არ ეთქვა?!
არც რამ ფარული ყოფილა,
დრო და ჟამს რომ არ გაეთქვა...

არც ტკივილია ახალი,
სიკვდილიც იშვა ძველადვე,
სიცოცხლის მომადლებიდან
თან რომ გვებოძა ძღვენადვე...

ჰოდა, რას ვჩივით, რას ვტირით,
აქამდის რომ არ გვტკენია?!
სვე-ბედზე მოთქმა, გოდება,
მეტადრე მოსაწყენია.

ვერც სიყვარულზე გალობით
შევქმნით შოთაზე უმჯობესს,
ვერვინ გაბედა ტარიელს
თავის მიჯნური უჯობდეს...

ვერც გალაკტიონს ვეტოლეთ
და ვერც ტატოსთან გავსწორდით,
აქეთ ტიციანს ჩამოვრჩით
და იქით გოგლას დავშორდით...

ყაყაჩოებად შემოგვრჩნენ
არაგველები ლადოსი,
აკაკის ,,გამზრდელთან“ ერთად
მოკვდა გაზრდილთა პათოსი.

აბა, ვაჟამდე რას მივალთ,
არც შნო გვაქვს ბებერ მუხისა,
არც გრიშაშვილის აშპაშხნის,
არც კალანდაძის თუთისა...

მიხას - ამოქთქომ ოხეროს
და ბინდისფერი ქვეყნისა,
მირზას - თოვლივით ვარდების
ლანდი ბარბაცით გვდევნისა...

გრანელის - მემენტო მორი,
დუტუს - პატარა ქართველი,
მუხრანის - ანდუყაფარო,
კიდევ ვინ მოსთვლის რამდენი...

მაშ, რა გვრჯის, ვის ვემართლებით,
სიტყვას რომ ვიწყებთ ,,ქუხილით“,
ხან მეგობრობას ვაღმერთებთ,
ხან მარტოობას წუხილით...

ვხლართავთ, ვლამბავთ და ვიგონებთ,
ახალ სიტყვათა წყობასა,
ახლის ძიებით ვამართლებთ,
საკუთარ ენის მტრობასა...

თუ ვინმე შექმნის უკეთესს,
ვუწყებთ ქილიკით კბენასა,
აქეთ გონებას ვაწამებთ
და იქით დედა ენასა...

მაგრამ რას ვიზამთ, არ უყვარს
ქართველს მოდრეკა ქედისა,
ამპარტავნებას ვმონებთ და
კერპს ვეტრფით სითავხედისა...

ყველას ,,მეფობა“ გვწყურია,
საღვთო ტიტული მგოსნისა,
გვახარებს ,,მრევლის“ სიმრავლე
ხელ-პირის გადამკოცნისა...

მაგრამ, რასა ვწერთ, რადა ვწერთ,
სიტყვას დავაგდებთ რისთვისა,
თუ შესაცნობი არ იქნა,
ქვეყნის და კაი ყმისთვისა...

თუკი ლაყბობად დარჩება,
ჩვენი ნააზრევ - ნაგეში
და ამ ,,სიახლის“ ძიებით,
სხვებიც გავაბით მახეში...

ჰოდა, მაშ, რა გვრჯის, რადა ვღლით
ცალკე გონს, ცალკე კალამსა,
წაიკითხოს და არავინ
გვაძლევდეს საღვთო სალამსა ?!

ბევრი ვიფიქრე, რადა ვწერ,
ან რით მიკურნა-მიამა?!
ალბათ, თქვენსავით გამომღრღნა,
უძღებმა გულის ჭიამა.

ვითომ, დამაკლდა ის ხუთი ასო?!

საკუთარ წვენში ვხრაკე აზრები,
თითქოს, რითმებიც დავრთე ჯარაზე,
სიტყვა, რომელიც დღეს უნდა მეთქვა,
წუხელ მიმეწვა თავის ქალაზე...

ისევ ვსაუზმობ გაჭვარტლულ ფიქრით,
წამონადუღარს ვაყოლებ გრძნობებს,
ლექსის სიმჟავემ წამკრა ენაზე,
ოცდაცამეტი საკმაზის მფლობელს.

ვით ძაღლმა ძვალი, გამომღრნა ეჭვმა,
,,კერძს“ ის სურნელი არ ასდიოდა,
ვითომ, დამაკლდა ის ხუთი ასო?!
მაშ, რატომ ითხოვს ლექსი იოტას?!

,,პურს, არსობისას“ ზედ გადავუსვი
ახალმოხდილი მარცვლის ნაღები
და, თითქოს, მასაც აკლდა დუღილი
და ჯერ არ იყო გადმოსაღები.

სტროფის საწებლის ვერ ვგრძნობ სიცხარეს,
სტრიქონს დააკლდა, თითქოს, მარილი,
სულ სხვა ცხვებოდა გონის ღუმელში
და სულ სხვა იყო გადმოტანილი.

მთელ ღამეს ვდღვიბე აზრის ნაწველი
რომ ამომეღო დილით ქალალდზე,
სწორედ ის სიტყვა დამაკლდა ბოლოს,
რაც მიმეგლისა თავის ქალაზე.

დღეს ვერ დამათრობ!

დღეს ვერ დამათრობ, თავის მოხდით თავს ნუ მოიჭრი,
დღეს ფუჭი გარჯა დაადგება პაპის ორშიმოს,
არამგონია, რომ შესძლოს და შენმა ზედაშემ
გულს მოდებული სარეველა გამომიხშიროს.

დოლის ტყავივით გადაჭიმულ სხეულით სულზე,
მხოლოდ ინსტინქტი მიმოძრავებს ნერვულ საცეცებს,
დღეს ღვინო დარდში ჩამეხრჩობა და უშედეგოდ
მორიგ ალიონს სათვითგვემარს გამიათკეცებს...

დღეს არ მესმევა შენი ღვინო, ქვევრთა მეუფევ,
სირცხვილნაჭამი, ნაქვევრალად რომ არ დამირჩე,
საკუთარ წვენში ჩავიხარშო უნდა დილამდე
და ასე, მაინც ,,ჰო“ და ,,არად“ თავად გავირჩე...

უმზეურ დარდებს საშამფურე ნაჭრებად ავქნი,
ყველა ,,მინდაზე“ ზედ წავიყრი თითო მწიკვ მარილს,
ვერ გამხელილი ვნების წალამს მაყალზე დავყრი
და გრძნობის ცეცხლის ჩანაცრებით მოვისპობ წადილს...

წარსულის ლანდებს ამოვგანგლავ ნაცრით და მურით,
თუ რამ მომრჩება, ზედ შევიზელ სახეზე უხმოდ,
რომ დღეის შემდეგ, არ იმზირონ თვალებმა გულით,
და ჩემს საშველად აღარასდროს არავის უხმონ.

დღეს ვერ დამათრობ, ნუ მოიჭრი თავს თავის მოხდით,
დღეს უძლურია ჩემს დარდებთან შენი ზედაშე,
ალბათ, ოდესმე, კვლავ გეწვევი და ქედის მოხრით
გაუმხელელი გრძნობებისას შევსვამთ მე და შენ...

მერე იტყვიან აცდუნაო...

მერე იტყვიან- ,,აცდუნაო, საწყალი გოგო!“
,,დაანგრევინა ოჯახიო“ - იტყვიან კაცზე
და ერთხმად ეშმაკს დაბრალდება თავიც და ბოლოც,
ხელის შეწმენდა ადვილია ყოველთვის მასზე.

,,უღალატაო“ -აქაც ეშმაკს ექნება წვლილი,
,,კაცი მოჰკლაო“- ალბათ, ეშმა შეაჯდა მხარზე,
ჰო, ყველა ცოდვას ეშმაკს უყოფს ადამის შვილი
და ყველა თავის ნაჩათლახარს მას ,,ჰკიდებს“ რქაზე.

თავისმართლება ხელოვნებად ვაქციეთ, ვხვეწეთ,
ნამოქმედარის სინანული დღითიდღე ქრება,
უსირცხვილობა-უტიფრობის თავთუხი ვლეწეთ
და თვით ეშმაკი, ჩვენ შემყურე, უსაქმოდ რჩება...

მერე იტყვიან - ,,აცდუნაო ეშმაკმა კაცი!“
,,ეს რა ეშმაკი შეუჩნდაო“ - იტყვიან ქალზე,
ეშმაკზე მეტად, ჩვენ გაგვიწყდა ცოდვებით ქანცი
და ჩვენ შემყურეს ცრემლი ადგას ეშმაკსაც თვალზე.

უფალი მაშინ გვახსენდება, გვჭირდება როცა,
მოჩვენებითი სინანულით თავს ,,ვახლით“ ქვაზე,
თავისმართლებით გვიმთავრდება ყოველი ლოცვა,
რადგან ჩვენს ცოდვებს ბოლოს, ისევ, სხვას ,,ვკიდებთ“ მხარზე.

ნინო უძილაური მშენებელ-ინჟინერ-პედაგოგი:
პოეტი, მწერალთა კავშირის გამგეობის წევრი:
დაბადების ადგილი ყვარელი

გაზაფხულმა

გაზაფხულმა გააღვიძა ენძელები,
მზის სხივები აელვარდა ცაზე,
ყვავილებმა ნაირფერად მორთეს მდელო,
მორცხვი ია ქათიბსა ქსოვს მთაზე.

გაზაფხულმა მზის ჰანგებით ამამღერა,
სიყვარულად შემოიჭრა გულში,
ყვავილების სურნელებამ გამაბრუა,
მეფერება კვირტი თეთრი ნუშის.

ლალისფერი მზე აენთო და აისმა,
უკვდავება აზიარა ფერებს,
გაზაფხულდა, ბედნიერი ხმა გაისმა,
და სიცოცხლე მზეს გაუწვდის ხელებს.

სიყვარულად ამღერდება გაზაფხული,
ოცნებების ასრულებას ველი,
რახანია მოგიძღვენი ჩემი გული,
კვირტებს ისხამს ხეზე ტოტი ხმელი.

* * *

ნუ ჩაითვლით სიმაღლედ,
პირველად თუ თქვენ იშვით,
ნაღდია და სიმართლე,
ვერ იმეფებთ დღეს შიშით.
ნურც გონი გედიდებათ,
აზრების იმპერია,
რასაც თქვენ თვლით დიდებად,
ქალის გულის მტერია.
სიყვარულის ის ფორმა,
რაც ადათი წესია,
ქალისთვისაც კაცებო,
უფალს დაუწესია.
ჩვენც გაღმერთებთ როდესაც,
გული გულის წილია,
ჰარმონია ყველასთვის,
ვგონებ ტკბილი ხილია.
და გენდერულ ბალანსსაც,
ნუ გაშიფრავთ სათქვენოდ,
ურთიერთსიყვარულიც,
ერთურთს უნდა ვაჩვენოთ.

ბოლო წვეთი

წვეთი კმარა ჯამის ასავსებად,
წვეთიც მერე ისევ დასაცლელად,
სული? მამის და ძის ერთ მსგავსებად,
მერე ამ მსგავსების დასაცველად.

ბოლო წვეთი?... ცაში ფრენა მინდა,
ვნატრობ, იმედია წამიერი,
მამა, ძე ღმერთი და სული წმინდა,
მერე?... ჩვენი მრავალჟამიერი

მრავალჟამი-ერო

როგორ არა ვთქვა, ან არ ვიმღერო,
ბრწყინავს ათასფრად მიწა ივერთა,
მრავალჟამიერ, ქართველო ერო,
კავკასიონმა კვლავაც იღმერთა.

გაბრწყინებულხარ ჩემო ქვეყანავ
და ბედნიერი უმზერ მომავალს,
ღმერთმა დალოცოს ზე ცა, ქვე ყანა,
სადაც სიმართლე იმკის მოსავალს.

ჟამი

ჟამი მოახლოვდა უკვე,
მშვიდად შევეგებო სიკვდილს,
როგორ გაპარულა უცებ,
წლები წუთებს როგორ ითვლის.

სწრაფად გავირბინე გზები,
ბედით მოხაზული ფრთებით,
მაინც სინანულში ვრჩები,
დარდად შემოყრილი წლებით.

სიკვდილს ველოდები გროშით,
დღე დღეს მიუყვება უფრთოდ,
სული გაძარცვული დროში,
მხოლოდ ზეცით უფალს უხმობს.

ჰეი, შემოდი

ჰეი, შემოდი, შემოდგი ფეხი,
შემოაბრძანე იმედი ხვალის,
ქარს გაატანე ელვა და მეხი,
გააფერადე მომავლის კვალი.

ხვავი, ბარაქა, წყალობა ღმერთის,
ჯანის სიმრთელე, გონი ნათელი,
ერთისთვის ყველა, ყველასთვის ერთი.
ტაძრად აანთე რწმენის სანთელი.

მოდი და რიხით შემოაბიჯე,
წარსული წელის დაფარე ვალი,
ჩამოარიგე წყალობა ღმერთის,
მადლი, სიკეთე იმედი ხვალის

მე უფალთან

მამა, ძე და სული წმინდა,
მე უფალთან ყოფნა მინდა,
ლოცვის ძალა, წრფელი გული,
წყალობა და სიყვარული,
სათნოება და შვიდობა,
სულმა ზეცა მოინდომა.
ამ ტაძარში, ამ მიწაზე,
სიკვდილ-სიცოცხლის მიჯნაზე,
სიყვარულის გამარჯვება,
სიძულვილის დამარცხება,
სიკეთე და სიალალე,
ცაში სიტყვები გავლალე,
რომ უფალთან ყოფნა მინდა,
მამა, ძე და სული წმინდა.

მხატვარი

ივანე კეზუას

ასე მოხატა და ასე გამოხატა,
ფიქრი ფერთა სხივად მოსულმა,
ფუნჯის სიფაქიზით ტილო ხატა,
მუზამ შთაგონებით ორსულმა.
ნიჭი ღვთაებრივად აღმავალი,
მადლად მოფენილი რულია,
თვალით დანახული მომავალი,
ნახატს ჩაქსოვილი სულია.
მაღლით წვეთავს ფუნჯი მხატვრის ხელზე,
ფერთა ცისარტყელაც ანთია,
დრომ შემოახვია მხატვარს მხრებზე,
მარად უკვდავების მანტია.

გაზაფხულდა

გაზაფხულდა და ენძელა, ია,
მიწამ მზის სხივი გულზე არწია,
მოქარგა მდელომ სხივთა ფერები,
ანგელოზებად მონაფერები...
და დაარწია აკვანი დედამ,
შთამომავალთა სიმრავლის ზენამ,
სითბოდ იღვრება დღეს გაზაფხული,
მიწა სიცივით გადაზაფრული,
სიცოცხლის ხესთან ყვავილებს ქარგავს,
გიჟმაჟი მარტი სხვა თვეს ხომ არ გავს,
მზე წვიმის წვეთებს სხივებით ფერავს,
ზღვა სიყვარული დრო და დრო ღელავს,
მთებში ირმების ისმის ყვირილი,
ტყეში ფრინველთა ჟივილ-ხივილი,
დედაბუნებას უფეთქავს გული,
ჩემ სამშობლოში დგას გაზაფხული.

იმერულად

იმერულად ავამღერებ,
ბაფთაშებმულ გიტარას,
შემოგფიცებ სიყვარულის,
სამარემდე მიტანას.

ქუთაისო, გელათის და
მოწამეთას ალაგო,
ბაგრატიდან დანახულო,
ქუთათურთა ქალაქო.

გულს სიმღერა მოუნდება,
თეთრი ხიდის გავლისას,
რიონი და წყალწითელა,
სხივს იხუტებს მთვარისას.

სიყვარულში დავითვრები,
საფიჩხია გამიგებს....
ვერაფერი შეედრება,
ქუთაისურ ამინდებს.

ზასტავა და ბალახვანი,
გაგება და მეობა,
ქუთათურთა მაისობა,
გვირილების დღეობა.

იმერულად ავამღერებ,
ძველ ბაფთიან გიტარას,
დაგიფიცებ სიყვარულის,
სამარემდე მიტანას.

ცხოვრება

მოვიარე მთა და ბარი,
შევხვდი დღეს და შემხვდა ღამეც,
ძვლებს მიმტვრევდა სუსხი ქარის,
გეძახდი და ხმა არ გამეც.

ქვესკნელსა თუ ზე ზეცაში
სული ჩოქით იარება,
უმხედროა თეთრი რაში,
მოჰკლეს სულის იარებმა.

სასიმღეროდ ვერ ვივარგე,
თვალი მიცქერს სხვის ბაღიდან,
ლექსზე სული წამოვაგე,
სისხლმდინარე ჭრილობიდან.

მიჭირს ცურვა ბრმად ჭაობში,
კბილთა ღრჭენა, ჭმუნვა, ურვა,
გახვეულა ღრმა ჭა ობში,
წყალთ კურნება არ ისურვა.

სად არ ვიყავ, სად არ ვეგდე,
სად არ ქუხდა ბრავო, ბისი,
უფალო, კვლავ შენ მოგენდე,
აღარა მწამს არავისი

ეთერი ჭელიძე - ფინასტისტი ეკონომისტი
დაბადების ადგილი მესტია, უშგული

პოეტის მსგავსად...

პოეტის მსგავსად არავის უყვარს-
არავის სტკივა პოეტის მსგავსად,
მზის როიალზე მთვარე რომ უკრავს
პოეტი მუზებს აცეკვებს სდაღაც...
პოეტი ძერწავს ბგერათა ლერწმებს,
ლივლივა ზღვის და ლაჟვარდის ხაოს,
პოეტი მოქსოვს ანბანთა რითმებს
და ქარ-ავდრიანს გალეწავს კალოს...
დასაპურებელს მოგივლენს თავთავს,
ოღონდაც სულს არ მოაკლდეს საზრდო,
პოეტი რადგან არავის არ ჰგავს-
ვით ვაზი, სათქმელს ფურცლებზე ამყნობს...
პოეტის ცრემლი, ტირილს ჰგავს ვაზის,
დუღს მაჭარივით გრძნობათა ქვევრში.
შემოდგომების ოქროსფრად ნაწვიმს,
დააგემოვნებს, ვით შარბათს, პეშვით.
დუმილი მისი ალლმოდებული,
ჩამქრალ ნაპერწკალს წააგავს, რადგან
სტრიქონი, უცებ აფეთქებული,
ყველა სიავეს ამოსდებს ლაგამს...
პოეტის მსგავსად არავის უყვარს-
სამშობლო, მიწა, თავისუფლება!
ის, ერის ფესვებს, შეკრულს ერთ მუჭად...
პოეზიითაც დაეუფლება!
რადგან პოეტი ცვილივით იწვის,
შეშლილ მუზების ბილიკებს ერთვის,
დგას ჯარისკაცად მამულზე ფიქრში
ერისკაცობაც სხვაგვარად ესმის...
პოეტის მსგავსად ვერავინ გეტყვის,
უხმოდ, უსიტყვოდ ნამღერი ლექსით,
რომ სიყვარული ეს არის ღმერთი
და ღმერთის ენა პოეტებს ესმით...
პოეტის მსგავსად არავის უყვარს!
არავის სტკივა პოეტის მსგავსად,
მზის როიალზე მთვარე რომ უკრავს,
პოეტი, მუზებს აცეკვებს სდაღაც...

რომ სამამულე ფესვი აკინძოს...

განა დარდი კლავს ყოველგვარ კეთილს,
ღიმილის წუთებს გგონია გართმევს?
ტკივილს უხილავს და შემოჩენილს,
შენ გულს, ვით ჩოხას, ნუ შემოაცმევ...

ან გაზაფხულის სევდიან ქარებს,
განა ზამთარი ფიფქებად ბარდნის?
ბუნება მუდამ იზამთრებს გარეთ
და გიჟურ ციებ-ცხელებით დაქრის.

ან შემოდგომა არ ყვავილობსო,
არ ფერადობსო გგონიათ იქნებ?
დრო, თავისებურ ფერში ხალისობს,
თავისებურად ყველაფერს იხდენს...

იქნებ გგონიათ უსწორმასწორო
მთაგორიანი მიწა მცირეა?
ან ნაკუწებად ქცეულ სამშობლოს
ცა ერთობისა არ გაბრწყინდება?

ან არ ჩაიცმევს ერი ქალამანს,
რომ სამამულე ფესვი აკინძოს?
რომ დედამიწას ასჯერ ნახანძრალს,
მონატრებული ცრემლი აპნიოს?

მარადისობა ჩვენი ერისა
არს ძალა განა, რითაც იმსხვრევა?
ერი სიკვდილის დროსაც მღერის და
მზის აკვანს ახალ ჰიმნად ირწევა!!!

მაშ, გაგიმარჯოს შენ, საქართველოვ!
ვერ გაკემსილო, ყველა იარავ,
სადაც არ უნდა იყო, ქართველო,
შენს დღეგრძელობის ვავსებ ფიალას,

შენ გაგიმარჯოს დაუძლეველო,
სისხლის დუღილო, ფესვო მუხისა,
ციხე სიმაგრევ აუღებელო,
მოუდრეკელო მტკივან მუხლითა...

მაშ, გაუმარჯოს, ახალ განთიადს,
ქართულ ჯიშ-ჯილაგს, ენას, მზეთა-მზეს...
ჭერს, ცას მიბჯენილს, ოქროს თაღიანს,
ლოცვას მადლიანს წასულს ღმერთამდე...

შენ გაგიმარჯოს, შენ, საქართველოვ!
მზე ნათლის სვეტად რადგან იწამე,
ცად მოღაღადე უფლის ნათელო,
მშვიდობა ჰქმენი დედამიწაზე..

სიკეთე!

სადაც სიკეთე ბუდეს იკეთებს,
იქ, სიბოროტე ვერასდროს მზაობს...
ცოცხალ ხარ ვიდრე, სუნთქავ ვიდრემდე,
დაგცქერის სანამ მაღლიდან ცაო...

***

დამხატე უფუნჯოდ, უკალმოდ დამხატე,
უსაღებავოდ და უხელოდ დამხატე...
თვალისთვის, გულისთვის ნანდომი გამხადე...
ჩარჩოში ჩასმულიც მაქციე სახატედ!

გეძებ უფალო!

ისე მივყვები აღმართებს
როგორც გოლგოთას მწყემსი
და, ვეზიდები წარაფზე
ამ დედამიწას ღმერთით!
მოვიგდე მიწა გაცრილი,
ისევ მემძიმა ტვირთი...
ვერ ვახარისხებ რა დოზით
ბოლთავს უცნობი ზვირთი...
დაუხვდე უნდა თუ არა,
თუ ავუარო გვერდი,
მართალმა ანდა მტყუანმა
ვინმემ ახსენა ღმერთი?..
მიგორავს მაგრამ ვინ იცის,
ვისკენ მიგორავს ლოდი...
უსამართლობის განცდა მჭირს...
გეძებ, უფალო მოდი!

მიდიან მექარავნენი
მიაქვთ დიდება ძველი,
ვერ შემოვიცვი აბჯარი
ჩემი სამშობლოს მცველი.
ვერ მოგიქარგე ანბანი
მარგალიტებად ქმნილი,
ახალ, ვერ გითხარ ამბავი,
ვერ შევიტანე წვლილი...
უცნობ დინებას მივყვები
გონ მოთელილ ჟინით,
რომ ვეღარფრით ვიცვლები
ხმა არ მომდევს და, ვყვირი...
ვის გავაგონო ტკივილი,
გულს მაწევს უცხო ლოდი.
გამომიშიგნეს სამშობლო,
გეძებ! უფალო მოდი!

ისეთ ქართველს ველოდები

ვდგავარ მოთმინების ჯვართან,
გულზე დაყრილ მჯიღებს ვითვლი
და ჩატეხილ ხიდის თავთან,
შენ ლოდინში ფეხს არ ვიცვლი...
ვიცდი, რადგან შენ სჭირდები
ჩემი კოშკის გამჭოლ ბზარებს,
სისხლის ღელვას ვაკვირდები,
მაგრამ ვერვის ვერ გამსგავსებ...
ა ქ შეურყვნელ სინდისს ვეძებ,
ძეგლს დაუდგამს ვინც ჩემ ენას,

მტერ-მოყვარეს პასუხს გასცემს,
უსახურთა მოვა ძლევად...
შეერკინოს, თუნდაც მახვილს,
მტრის ხელიდან მრუდედ ნასროლს
და წინაპრის ძვლების ძახილს,
არ ჩაუვლის შორიახლოს...
გელი, დედა-სამშობლოსთვის
აღმოცენდე ქართულ წიაღს
და სიცოცხლით ქვეყნისათვის,
უნანებლად თავს გაწირავ.

დგას სინანულის წამი....

მზეშეუსმელი ქალი
ქუჩას მიჰყვება ცვრიანს,
და ჭორიკანა თვალი,
მის მკერდზე ისევ გდია...

ქარის ტალღების სიღრმეს
მზერა შეცურდა მალვით,
ახლა დუელში იწვევს
უკრძალველობას, კრძალვით...

დაგეშილია სიტყვა
და, ეძებს ისიც, სამხილს...
კითხვა-პასუხი: -,,ვინ თქვა“,
ტყვიას სჯობია დახლილს...

ქალი მიჰყვება ნაპირს,
უკვე ამოყრილ ქუჩის...
გზა-გზა დაყრილი ვარდი
ძვირფასი იყო უწინ...

ახლა? გათელილ სკვერში
გონდაკარგული ლანდი
დამჭკნარ იებით ხელში,
ვარდის ფურცლებზე დადის...

ღირდა? არ ღირდა იქნებ?..
მწველი ფიქრებით დაღლილს
ახლა შორიდან უმზერ
უკვე, დაკარგულს...ნამდვილს...

ქალს!

ქალს ცოტა რამ უხარია,
ცოტა რამე სწყინს...
მოგიზგიზე ბუხარია
როცა გარეთ წვიმს...
ქალი ხშირად ავდრიანობს,
ელვაც არის მზის.
იგი მუდამ ელოდება,
სიჩუმეში ზის...
ქალი ტკივილს ისე იტანს -
ღიმილს არ წაშლის,
ქალი ფურცლავს, მაგრამ მშვიდად
დღეებს გარდაცვლილს...
ქალს ცოტა რამ უხარია
ცოტა რამე სწყინს,
გული მისი მზისდარია,
როცა სულში წვიმს...
ქალი მყარი კედელია
მისი ნდობა ღირს,
იგი ბედის მჭედელია
იასავით თრთის...
ქალებს უყვართ თაიგული,
სურნელება მზის,
ფურცელ-ფურცელ აკინძული
გვირილები მთის.
ქალს ცოტა რამ უხარია,
ცოტა რამე სწყინს,
ქალი დარდის ბუხარია
როცა ,,შიგნით“ წვიმს!...

ბუნებაც უფლის შვილია

ისევ მოჯარდა წვიმის ჩრდილები.
ყელს ჩაენასკვა სევდა მძივებად.
ჯერ ვერ ახსნილი დანასიზმრები
ისევ ერთმანეთს როგორ მიება...

მეც შევიცვალე, წვიმა რომელიც
მიყვარდა მისი ცრემლების თრთოლვა,
არ მსურს მოვარდეს ნაბახუსევი
და ამიტანოს შიშმა და ჟრჟოლამ...

რადგან ლოდინის უხმო ტაროსი
ისევ რას იტყვის შემოთენება?
ბუნების კალოს ლეწავს ქაოსი
და დედამიწის მესმის გოდება...

გვაოცებს ჩვენივ ხელით მოკლული
და განგმირული დედა ბუნება,
ტყე გაკაფული, კვირტებ მოსხმული,
ფესვმოჩეხილის ყალბი კურნება!

გვესმის და მაინც აღარ ვჩერდებით,
სიცოცხლის ფესვი როგორ გვიხმება,
დგას მთა მდუმარე, მხრებ ჩამოთლილი
და შებილწული მისი დიდება...

შენ შეუცვალე რუს და ნაკადულს
ზღუდე, ჯებირი, კალაპოტები
და ქვებს, ფერადებს, შენგან დანაღმულს
კვლავ ათარიღებ უცხო კოდებით.

შენა ხარ ომის მძებნელ მთესველი,
გკარნახობს რასაც ხარბი გუნება,
დედა, სამყაროს ღამისმთეველი
ვეღარ აუდის შენ განკურნებას.

გეყო, შეჩერდი ადამიანო,
ნუ გადაჯეგე ფერდი, ტყე, ველი...
ბუნება, ტყით და მთებით ზვიადობს,
ის ღმერთმა შექმნა როგორც ედემი...

* * *

შემოდგომის დილა...
ბარდნიდა თუთა იმგვარად
ბროწეული და ბალი,
ქუჩებზე მიმოეყარა
ლალის და ქარვის თვალი...
გზად ცეცხლის რვალი კვესავდა
ღიმმოთენთილი ქალის
იმედის მნათობს ეძახდა
ხმელ ფოთლებივით ჩავლილს...
არ ჩაუქრია ნამზევსაც
ერთი ციმციმა თვალი,
ხეებს ნიავი არხევდა
ნიავს მისდევდა ქალი!

დგას სინანულის წამი....

მზეშეუსმელი ქალი
ქუჩას მიჰყვება ცვრიანს,
და ჭორიკანა თვალი,
მის მკერდზე ისევ გდია...

ქარის ტალღების სიღრმეს
მზერა შეცურდა მალვით,
ახლა დუელში იწვევს
უკრძალველობას, კრძალვით...

დაგეშილია სიტყვა
და, ეძებს ისიც სამხილს...
კითხვა -პასუხი: -,,ვინ თქვა“,
ტყვიას სჯობია დახლილს...

ქალი მიჰყვება ნაპირს,
უკვე ამოყრილ ქუჩის,
გზა-გზა დაყრილი ვარდი
ძვირფასი იყო უწინ...

ახლა? გათელილ სკვერში
გონდაკარგული ლანდი,
დამჭკნარ იებით ხელში
ვარდის ფურცლებზე დადის!

ღირდა? არ ღირდა იქნებ?..
მწველი ფიქრებით დაღლილს,
ახლა შორიდან უმზერს,
უკვე დაკარგულს...ნამდვილს...

უფლის განაჩენი...

ახლა მოყვასი მოყვასად დარჩეს
უკვე ყოფაზე უფრო ძნელია,
უფალთან ვგზავნი სიმართლის სარჩელს
უსამართლობას უფლით შველიან...

რადგან სიკეთის ფერებს ვერ არჩევთ
და ხედვაც თქვენი ლიბრისფერია,
მე ველოდები კაცთმოდგმის გამჩენს
მას არაფერი გამორჩენია...

* * *

დამხატე უფუნჯოდ, უკალმოდ დამხატე,
უსაღებავოდ და უხელოდ დამხატე.
თვალისთვის, გულისთვის ნანდომი გამხადე...
ჩარჩოში ჩასმულიც მაქციე სახატედ!

ცისანა ბებრიშვილი -
პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორი,
კრებულების „განმავითარებელი ლექსები და
გამოცანები-ს ავტორი

გაზაფხული ზეობს

მზის სხივების სითბო შემოიჭრა გულში...
ტანზე ვარდისფერებს დაიმშვენებს ნუში.
შემოიხვევს მორცხვად ყვავილების ფანტელს,
რომ უნაზეს, ტურფა საპატარძლოს ჰგავდეს.

ლურჯი ფერის ნატვრით ფურცლებსა შლის ია,
მზის ლოდინით დაღლილს გული გაუღია.
გავიგონებთ ისევ ცაში მერცხლის ჭიკჭიკს,
ნაკადულიც მთაში გაჭრის ახალ ბილიკს...

სურნელებით ისევ გაგვაბრუებს ვარდი,
ჩაგვესმება ბულბულთ ჯადოსნური ჰანგი...
მტრედისფერად ისევ დაიღვრება ზეცა
და მინდორ-ველს მორთავს გამა ფირუზ ფერთა...

ყური უგდეთ მკერდში უჩვეულო ფრთხიალს –
ეს ხომ გული უხმობს მზის სხივების ციალს!
მისი სითბოს ლოდინს სულიც დაუღლია –
ცაში ფრენას ლამობს, ფრთები გაუშლია...

გაზაფხულის სითბო ჩაიღვარა გულში,
სულ სხვა ჰანგი ზეობს ჩვენს ნაზამთრალ სულში.

რადდაღვრემილხარ ტირიფო

რად დაღვრემილხარ, ტირიფო,
რად დაგიხრია ტოტები?
მდინარეს ეჩურჩულები
ვერცხლით დაფერილ ფოთლებით.

იქნება, ცუდი სიზმარი
გინდა გაანდო მდინარეს,
რომ მისმა წყალმა წაიღოს,
რაც გსიზმრებია მძინარეს?

იქნება, შენი ფიქრები
სხვა ვერავისთვის გითქვია,
იქნება, ჩემებრ, სათქმელი
შენც ვეღარ გამოგითქვია...

ეგება, გავუზიაროთ
ერთმანეთს გულის ნადები?
შენ შენი ფიქრი გამანდო,
მეც გაგიმხილო დარდები...

ვიცი, არავის გაუმხელ
გულიდან გამომდინარეს...
მხოლოდ ჩვენ გვეცოდინება,
ჩვენ სამს – მე, შენ და მდინარეს.

სამშობლო შენი გიყვარდეს

სამშობლო უნდა გიყვარდეს,
ქართველო, შენი ვალია!
საითაც უნდა წახვიდე,
გულს გაჩნდეს მისი კვალია...

ყური მიუგდე – გეძახის
შენი სახლი და ნალია,
მიწაც, წინაპართ საძვალე –
სად მამა-პაპა არიან...

სად ნახავ ასეთ ქვეყანას?!
აქ ხომ სამოთხის კარია –
აქ მზეც სხვაგვარად ანათებს,
აქ სულ სხვაგვარი დარია.

მისი ცა, მისი ლაჟვარდი
განა სხვის შესადარია?!
აქ ზურმუხტნაქარგ მთა-ველებს
შვენის ყვავილთა ჯარია...

კლდით გადმომსკდარი ჩანჩქერნი
ხევისკენ მიიჩქარიან.
ყველა ეს შენ გელოდება –
საოცარ-სანახავია!

არ დაივიწყო სამშობლო,
ქართველო, შენი ვალია!
გიყვარდეს შენი ქვეყანა –
წინაპართ საფიცარია!

განა ცოტაა გასახსენებლად?

გზები სავალი მთავრდება ოდეს,
რაც უნდა დარდი და სევდა გქონდეს,
ღმერთს ნუ მიმართავ საყვედურებით
და ნურც ბედ-იღბალს დაემდურები...
ჯობს გაიხსენო წარსული ჟამი –
ბედნიერების ნათელი წამი...
მოსაგონარი განა გაქვს ცოტა? –
თუნდ ძველი სახლი, ან ძველი ოდა,
ბავშვობის წლები ბედნიერების,
უდარდელობის, ლაღი ფერების –
ჟამი ცელქობის, ჟამი ანცობის...
ანდა დრო-ჟამი ყმაწვილკაცობის.
პირველი ტრფობა და სიყვარული,
გრძნობა ძლიერი და დაფარული...
ან გაიხსენე ის დღენი ტკბილი,
როცა ხარობდი, რომ შენი შვილი
ფეხს იდგამდა და ტიკტიკს ლამობდა.
მაშინ ხომ თვლიდი – ბედი გწყალობდა.
სხვაც ხონ ბევრი გაქვს მოსაგონარი?!
თუნდაც, ნისლები თეთრად მთოვარი
შორს ჰორიზონტზე მთებს რომ ეტრფიან
და ალიონზე გულში ეკვრიან.
ანდა, მინდორში ლურჯთვალა ია –
მზისთვის რომ მუდამ გული აქვს ღია,
ან გაზაფხულის ნაზი სურნელი –
ასე ნანატრი და სასურველი.
ზეცა დაღვრილი ლაჟვარდფერებად –
განა ცოტაა გასახსენებლად?!

მაშ რად ემდური ბედ-იღბალს, როცა
ეს ყველაფერი განგებამ მოგცა?!

ცხოვრების ბილიკს მივყევი...

ცხოვრების ბილიკს მივყევი უცნობი არემარისა...
დღისით მზის სხივი მათბობდა, ღამით ციალი მთვარისა.
გაზაფხულს ვარდი ვუკოცნე, ზაფხულს მცხუნვარე სხივები
და შემოდგომით დავლოცე მტევნების მარცვალ-მძივები...

ზამთარმა ვერა დამაკლო თავის სუსხიან ფრთებითა,
ყინულნი წყაროდ ვაქციე თვის რაკრაკა ხმებითა...
სირმით ვქარგავდი ბილიკებს, ეკლებს ვაქცევდი იადა,
მეგონა, ციდან მოვწყვეტდი ვარსკვლავებს, თანაზიართა.

მუდამ სიკეთე სთესეო! მივყევ წიმაპართ მცნებასა:
– უფლის წყალობას მოგიტანს და სულის გადარჩენასა...
გოდრით ვარიგე სიკეთე, არ დამითვლია თითებზე,
მოყვასის გადასარჩენად ვმდგარვარ ჩატეხილ ხიდებზე.

ყურს ჩამესმოდა ძახილი, ვინც შველას მთხოვდა გზაშია –
გულგრილად არ ჩამივლია, ობოლს ვედექი მხარშია...
მათი ტკივილი გულს მაჩნდა, მკაწრავდა ხანჯალ-დანითა –
მათსავით ვიტანჯებოდი მათივე სატკივარითა.

შიშველს ვმოსავდი ტანზედა – არ ეგრძნო სუსხი ზამთრისა
სნეულს ვასმევდი იაზმას, გადასარჩენად თავისა.
უქონელს ვანუგეშებდი, ლუკმას ვუყოფდი ორადა,
ობოლს ვუწევდი დედობას, მიმაჩნდა შვილის ტოლადა.

შეცდომაც ბევრი დავუშვი – ამას ვიხსენებ სევდითა,
ვერ მოვერიე ცხოვრებას, მატარა თავის ნებითა...
მისმა ბორბალმა ტრიალით ჩემს თავზეც გადაიარა...
მაგრამ მაინც ვერ გამტეხა, თუმც დამიტოვა იარა.

დრო-ჟამმა ჩემი ბილიკი თითქმის ბოლომდე გალია...
უკან მოხედვის დროც დადგა – ხომ არ მიმყვება ვალია?
დამშვიდდი გულო, ნუ დარდობ, არა გაქვს საფიქრალია!
თუკი რამ ვეღარ შესძელი, ეს მხოლოდ ბედის ბრალია.

ბედ-იღბლის უკუღმართობა წაღმა ვის შეუქცევია?!
აყვავებული ბაღნარი ბევრს ჯოჯოხეთად ჰქცევია.
თავის ბედს ვერვინ წაუვა... მხოლოდ ისღა მაქვს სათქმელი –
პირნათლადა მაქვს მოხდილი ამა სოფლისა ვალები!

ჭ ე რ ო, გ ა ი ხ ა რ ე ო !

ო, ღვთისაგან დალოცვილო მადლიანო კედლებო,
ცისფერნო და ვარდისფერნო, თვალის გამხარებელნო!
თეთრო ჭერო თაღიანო, ჭაღო მოელვარეო –
სხივთა მფენო, მანათებო, როგორც ბადრი მთვარეო.

სიხარული დაგებედოს, ჭერო, გაიხარეო!
შენი მკვიდრნი და ჯალაბნი მტრისგან დაიფარეო!
ათასად აქციე ერთი – ისე გაამრავლეო,
შვილიშვილი, შვილთაშვილნი ბევრი დამითვალეო.

სტუმარი არ დაგელიოს და არ გექცეს ძვირადო,
ქორწილები, ძეობები დაგებედოს ხშირადო.
სიკეთე და მადლი მოგცეს, დაგებერტყოს ხვავიო,
ბოროტება ნუ მოგწვდება და ნურც ავი თვალიო!
.....
ფუძის ანგელოზს მივმართე და შევთხოვე ვედრებით –
დამილოცოს თეთრი ჭერი, ვარდიფერი კედლები!

ჩ ა კ ა რ გ უ ლ ი რ ი თ მ ე ბ ი

თაროებზე ერთმანეთთან მიწყობილი წიგნები –
რამდენ კაცთა ოცნებები და რამდენის ფიქრები...
წარსულ ჟამთა, წარსულ დროთა, წარსულ წამთა მპყრობელნი
და რამდენი გარდასული კაცის სულის მფლობელნი...

ფერად ყდებში ჩამალული, ჩაკარგული რითმები –
ზოგი თეთრი, ზოგი თალხი, ზოგიც – ალგორითმები.
ზოგი ღვარად მოვარდნილი, ზოგიც ტალღა ეული
პოეზიის ცისფერ ზღვაში ქარაშოტად ქცეული.

რამდენ აზრთა-განაყართა ერთმანეთთან ჭიდილი,
სიხარულის, ზოგჯერ დარდის ცრემლი, ხანაც ღიმილი...
ზოგთა კაცთა – შეწირულთა ცხოვრება სასწაული,
წინაპართა გმირობის და სიკეთის საწყაული.

ო, რამდენი აღმაფრენა, ტრფობა, თავდავიწყება,
აქ რამდენი სიყვარულის ისტორია იწყება.
და ღალატის მღვრიე წყალში ჩაკარგული ცრემლები
ღაღადებენ ეჭვისა და მარტოობის მხევლები.

აქ რამდენი კაცის სიტყვა დარჩა მარად უთქმელი,
ან რამდენი ოცნებები კალმით გამოუთქმელი...
და როდესაც ცის ტატნობზე ვარსკვლავები ინთება,
მათი სულის ძახილია გარდმოსული ფიქრებად.

ყველა წიგნი ჩემს თაროზე სულ სხვადასხვა ფერია
და რამდენი, ო, რამდენი კიდევ დასაწერია...

ასეა ადამიანიც

არწივი ნატრობს: – ნეტავი,
ფარშავანგს დავემგვანოო,
შემეძლოს მარაოსავით
მეც ბოლო გადავშალოო!

მეც მედგას თავზე გვირგვინი
იაგუნდ-ზურმუხტ-ლალისა,
ტანს მიფარავდეს ბუმბული
მზისებრ მომჭრელი თვალისა.

ფარშავანგი გედს შენატრის:
– ნეტავი გედის ბედსაო!
ტბაში დაცურავს, ამაყად
მოიღერიებს ყელსაო...

სითეთრით ყირმიზს წააგავს,
უთეთრეს თოვლსა თეთრსაო.
წყლისა ფრინველთა დედოფლად
გაუჩენია ღმერთსაო.

გედი კი ბულბულს შენატრის:
– ნეტავ, მისი ხმა მქონდესო,
მასავით სტვენა შემეძლოს,
გალობის ნიჭი მომცესო!

ხომ დავატკბობდი სამყაროს,
ჩავბერდი ნაზსა სულსაო!
ბაღში ვარდსა და შროშანსა
ჩავეფსკვნებოდი გულსაო.

ბულბული ნატრობს: - ნეტავი,
არწივად გადამაქცია,
ძლიერი ფრთები შემასხა,
ფრინველთა მეფედ მაქცია!

შემოვიფრენდი სამყაროს,
დავცემდი ზარსა ფრთოსანთა,
მომბეზრდა ბაღში გალობა
და პირველობა მგოსანთა!

არწივს შურს ფარშავანგისა,
ფარშავანგს თეთრი გედისა,
გედს კი ბულბულის და ბულბულს
არწივის იღბალ-ბედისა.

ასეა ადამიანიც –
რაგინდა ბედი წყალობდეს,
მაინც სხვის იღბალს შენატრის,
კმაყოფილია არაოდეს.

მანანა სამყურაშვილი - სამართალმცოდნე
დაბადების ადგილი ყვარელი საბუე

არ მინდა ჩინი, მედალი

არ მინდა ჩინი, მედალი
და არც ოქროსა მძივიო.
უბრალოებით შემამკეთ
მხოლოდ
მზისა მსურს სხივიო.
სიღარიბისა მგმობელი,
სიმდიდრეს არა ვჩივიო.

არ მინდა ხელზე ბაჯაღლო,
ყელს ვერცხლის,ოქროს წნულიო,
არად ღირს გული ბოროტი
სიხარბეს გადართულიო.
ხე არ გინახავს უბრალო,
წელშია გამართულიო?!-

ოქროს კრუხი და წიწილი,
ან ოქროს ხარი,გუთანი,
,,შაირ სიტვითა მესტვირეს"
სული, გული აქვს სუფთანი,
დღეს
პირზე სევდას მოვწმენდ და
ხელსახოცი მაქვს სუფთანი.

მზეს სხივთა კოცნით მივყვები,
გაზაფხულს იის კონითა,
ბოროტება და სიხარბე
ჩემგან დადექით შორითა,
ყოველი მინდა მივიღო
მხოლოდ ალალი შრომითა.

ნუ გამომყვებით ნურავინ,
შურით,ბოღმით და ომითა,
არც ძლიერება არა მჭირს,
არ განვირჩევი ღონითა,
ასპარეზს ერთხელ დაგითმობთ
თუ გსურთ ვიჭიდოთ გონითა.

დარია ვარდთა ნათლობის...

რამდენი დღეა ცა დამტიროდა,
დარდიანი და სულდამეხილი...
დიდი დარდების ნიშანი იყო
მისი თვალიდან ცრემლის თქრიალი...

გადაირეცხა თვალ-წამწამი და
ხელსახოცები გაწურა ღრუბლის,
ახლა კი ზეცას თვალებკრიალას,
მზე სხივთა ცეკვით, ალერსით უვლის.

დღე შემეგება კართან მცინარი,
მზე ჩამომჯდარა სხივდაფენილი.
ყელს შებნევია სხივთა მძივები,
მარგალიტებად მიმოფენილი.

ვარდსაც გადაჰკრა სიწითლის ფერი,
გულგახსნილია მზესთან არშიყობს,
რომ დამინახა არეზე მდგარი
შემომაფრქვია სუნამო, რიდობს...

რა სურნელია?---ღმერთო,იდიდოს
ღვთის ნების ძალამ ,ყოველთა გულში,
ეს საიდუმლო ბუნების ძალის
რად დაგიმალავთ ვარდებო გულში?!-

არეს მოედო სურნელი უცხო,
ისე ვით ემბაზსს მირონ- საკმევლის,
მაისია და თბილი დარია,
დროის ემბაზში, ვარდთა ნათლობის!

რას ვიფიქრებდი...

მთვარე გამიდგა,ნეტავი რატომ?
მის სიყვარულს არავინ მაცლიდა...
გზად მისასვლელი ვიხილე,
ყველა ხიდი რომ ჩაცვივდა.

გავინაპირე შორს დავდექ,
თანდათან გულიც გაცივდა...
ხეს სიყვარულით შევხედე,
ყველა ფოთოლი გასცვივდა.

განგების ძალამ ნეტავი,
უგულოდ რატომ გამწირა,
ვხედავ რომ სარეველები
ამ ქვეყნად არსად გაწმინდა.

ვდგევარ დღეს გულდარდიანი,
თვალი ცრემლს მკერდზე მაცრიდა,
რას ვიფიქრებდი,მე ტრფობას
მთვარეც კი არ დამაცდიდა!

ნეტავ ეს სიზმარი ამხდენოდა...

გზაზე ერთი ქალი მიდიოდა...
ვითა მოწყვეტილი მთის ყვავილი.
მისი გაცნობა და ახლოს მისვლა
არა ყოფილაო მთლად ადვილი...

სახე ცვილით ნაბანს უგავდა და,
ვითა ცად დილის მზე გაბადრული.
მისსა შემხედვარეს ვატყობდი რომ
ღამეც არ სდიოდა თვალზე რული...

ნეტავ, ვარდი იყო ქალავ ნაზი,
ჩემსა ბაღის კარზე გადმორგული.
გული ახლა დამაქვს ფიქრით მწვავედ
დამწვარ, დაჩეხილი, დადაგული...

გზაზე ერთი ქალი მიდიოდა...
ვითა მოწყვეტილი მთის ყვავილი.
ტანზე კაბა ეცვა აბრეშუმის,
თითქოს ია იყო მობნეული.

ბაბთას ელვარებდა სხივი მზის და
ქამრად ცისარტყელა შებნეოდა,
მისსა შემხედვარეს მწველი ცრემლი,
მკერდზე მძივებივით მებნეოდა...

ქალი გაბადრული, მთის ყვავილი,
ვითა, ჩვილი მკლავზე გადვიწვინე,
თვალი გავახილე, სიზმარს გაჰყვა
ოი, რა მწუხარედ დავიგმინე...

მწარედ გავიცინე დარდიანმა,
თითქოს გული მკერდში მადნებოდა,
როცა მივხვდი, თურმე სიზმრად ვნახე,
თვალში ცრემლის გუბე არ შრებოდა.

რატომ?- ნეტავ რატომ?- სიზმრადაც კი
დარდი გულზე ლოდად მაწვებოდა...
სულ არ ვიფიქრებდი არა დარდზე,
ნეტავ, ეს სიზმარი ამხდენოდა!

მადლისთვის არა...

მომეცი ღმერთო, პური არსობის,
მშიერ მწყურვალი რომ დავაპურო,
მინდა ყოველსა, გლახაკს-მათხოვრას
ყოველ წამიერ ვასვა, ვაპურო!

უბოძო, მასაც გავუნაწილო,
პური არსობის მე რაც მიბოძე,
რომ მანუგეშე და არ გამწირე,
ტვირთად ავიღე, ნება ვიბოძე.

შენც გელოდები უფალო ჩემთან,
შემომიარე, გლახა მივიღე,
ადათ -წესიდან მე ეს კურთხევა
უფალო! შენი ნებით მივიღე!..

არ მიფიქრია ის იყო გლახა,
ჩემი თვის ტომი გულით მივიღე,
ღმერთო, წინაპრის სულს მიაგებე,
მადლისთვის არა, მათვის გავიღე!

რა ჭიდაობა გცოდნია დარდო!..

რა ჭიდაობა გცოდნია დარდო!..
ტატამზე ბევრჯელ ბეჭით დავეცი.
თავი ავწიე თავლაფდასხმულმა,
 გამარჯვებულის ხმა ვერ გაგეცი.

დანარცხებულმა მოვიკრიბე ძალი და ღონე,
ფეხზე დავდექი, მაგრამ დარდო, გული დასერე...
მწველი დარდები შენი ბრჭყალით გულზე მაწერე...

დრომ წაიმძღვარა სიხარულის ყოველი წამი,
გულში შემომრჩა იარები, დარდების კვალი,
თვალზე ჩამომდის უშრეტელი მდუღარე წყალი...

ფიქრო! ჰყოფილხარ ცოდვიანი, დარდების ბუდე,
როგორ იბარტყე, ვერ მოგიშორე, ვეღარ გაგგუდე,
ვერ დავაწესე გულის საზღვარი და გულის ზღუდე...

მსურს შემოვივლო ეკლიანი მყარი მესერი
რომ მოვირჩინო იარები, შენი ბჭყალებით ნასერი...
ნეტავ, აქამდე შენს სიახლოვეს როგორ გავძელი?!..

ჩამჭიდე ხელი, გულში ჩამეკარ, ვერ მოგიშორე,
ყველა ბილიკი მომიჭერი თვალთ გამიზნული...
მოკალათდი და აღარ მირჩება დარდებით წყლული!---

რაც კი ქვეყნად დარდი იყო სულ ჩემს გულში ჩაიწურა...
დარდით სავსე მღელვარე ზღვა, გულის ნავმა ვერ გაცურა,
ნაკვალევი ღრმა დარჩა და ჭრილობა არ დაიხურა...

სიყვარულია თვით ღმერთის ძალა...

მიტოვებული სახლის
ეზოში ვარდის კოკორთან
გავისაუბრე...
პატრონს ელოდა,
გულს არ მიხსნიდა,
მხოლოდ რიდისგან
თავს დამიხრიდა.
გული სტკიოდა,
სინანულისგან ცრემლი
სდიოდა.
ვაუწყე,ვამცნე რომ
პატრონის გულს
ამიერიდან
ვერ იხილავდა.
თმები იშალა,
გულს ცხელი ცრემლი
გადაიშალა.
წამწამნი მკრთალნი
ცხარე ცრემლისგან
მან ღაწვებამდე
ჩამოიშალა.
ხან სახლს გახედა
ბუხარში კვამლი
არ ადიოდა.
მისი ცოდვისგან
ატირებული
მეც თვალზე ცრემლი
ჩამომდიოდა.
მითხრა, სად არის
ჩემი პატრონი?-
სურით მას ჩემთან
წყალი მოჰქონდა და
ნაზ სიმღერას სულში
სიმებად ამიმღერებდა,
ნანას მიმღერდა,
მეფერებოდა,
ზეცას ჩემს სიცოცხლეს
ევედრებოდა...
დრომ მიითვალა
დღეები მკრთალი,
აღარ ამოდის ბუხარში
კვამლი,
აღარ იღება არც
სახლის კარი.
ნეტავი მითხრათ,
ხომ არ იქნება
ჩემი პატრონი
დარდისგან
მკვდარი!
ქნარი ავიღე,
სიმი დავჭიმე,
გულს ვატრიალე
დარდი.
მეც სახლს გავხედე
ფანჯრის რაფაზე
სხივი შევნიშნე
მკრთალი.
სურა რომელიც
ვარდმა ითხოვა
ლაქები ჰქონდა
შავი.
გვერდჩამოტეხილს
იქვე ეყარა
თიხის ნაშალი-შვავი,
სურაც ტიროდა,
ხანაც წლების
ვარამს კიოდა,
პატრონის ლოდინით
გულგატეხილს
ცრემლები გულზე
ჩამოსდიოდა
მივხვდი რაც მოხდა...
მივედი ვარდთან,
ოხვრა აღმოხდა,
ამ დროს ვარდის
ტოტს მჯდარმა
ბულბულმა
სიმი ჩამოჰკრა,
იწყო ისეთი
სტვენა, გალობა,
ვარდმა ფიქრებით
გულჩათხრობილმა
იწყო ქალობა...
გული გაშალა,
ისეთი ნაზი
სურნელი დადგა
ცამ ბურუსები
გადაიყარა...
ამ სიხარულმა
ცის კიდეებზე
ლამაზად ექოდ
გადაიარა.
მზემ სხივი
ნაზი ზედ
მაქმანებზე
გადაიყარა,
ოქროს დალალი
მან უმალ მხრებზე
გადაიშალა.
კოშკი გააღო,
მძინარე მთვარე
დღიდან ბნელეთში



გადაასვენა.
მთვარე მის მერე
დღესთან სირცხვილით
ვეღარ გამოჩნდა.
ასე აღმოჩნდა.
ბულბული-ვარდთან,
დღე ბნელ ღამესთან
შეყვარებული.
სიყვარულია თვით
ღმერთის ძალა და
ყველაფერი ერთმანეთთან
შეხამებული.
ბულბული-ვარდთან,
ვაზი-ჭიგოსთან,
თევზი-წყალთან,
ქალი-ქმართან,
დედა-შვილთან,
ბებია-შვილიშვილთან,
ღმერთი-მირონთან,
ეს წმინდა მადლი
არავის ერგო,
მხოლოდ
ნათლია-ნათლულია
მირონცხებული...
აი ამათი სასამართლოა
მისხალ-მისხალ,
წერტილ-წერტილ...
ბედის ბორბალი
დატრიალდება,
განაჩენი ჩაწკრიალდება,
სამი წმინდანის
ხელმოწერით,
მამა-ძე-სულიწმინდა,
გრძნობა ძლიერი,
სადიდებელი,
დედამიწელთა
სამფლობელოდან
ზეცის კიდემდე!

თუ გინდა შეირგო ეს წუთისოფელი...

მოღრუბლულ სახეზე დასვი მზე მცინარი,
სულს ვერ გაახარებს თვალები მტირალი,
იცოდე, დღეს არის მხოლოდ ის, მდიდარი,
ვისი თვალიც არის სიმართლით მზირალი...

რად გინდა გული, თუ ჭინკა შეასახლე,
ან სული, თუ მასში ეშმა გყავს მოსახლე,
ერთი მწამს, სიკეთე გულში შეასახლე,
ტრფობის ზარ-ზეიმი გულში ჩაისახლე.

გაეცი გულიდან სიტყვა უფლისდარი,
შენს სიტვის გალობას უსმენს ზენაარი!...
იცოდე, მადლის და სიკეთის ლამპარი
სხეულში ყოვლისშემძლე მხოლოდ ენაარი!...

ბაგეზე, სიტყვებს გიქარგავს უფალი,
შენ ძალგიძს, უხვად, შაქარი მოაყარე!...
თუ გინდა შეირგო ეს წუთისოფელი,
მტერსაც ტკბილი სიტყვით შეეყარე!...

ნეტავ...

ნეტავ, მზე ვიქმნე ცის კიდეს მდგარი,
ოქროს სხივები მემწყემსა ციდან,
დილით ადრიან ჩამობნეულნი
ამომეკრიფა ლივლივა ზღვიდან.

ნეტავ, მთვარე მქნა ღამის ბინდებში-
ცისთვის ვარსკვლავი მებნია ღილად,
ცას ჩავკონოდი როგორც მნათობი-
მასა ვყოლოდი განუყრელ შვილად.

ღმერთო, ვიქმოდი ნეტავი მძივად,
ჩამოვბნეოდი ლამაზმანს მკერდზე,
ან იის ცრემლი ვყოფილიყავი-
გადავბნეოდი გვირილებს ველზე.

ადამიანად მოვსულვარ, რისთვის?!
ცრემლი და შიში მქონოდა თვალზე?!
რომ გულდამდუღრულს...სამშობლოს
ჭრილობები მეთვალა მის დაჭრილ გულზე?!



ნელი საგინაძე - ფილოლოგი
დაბადების ადგილი ქალაქი თელავი

ვიცოდი რომ მოხვიდოდი

წუხელ, როგორ ჩემს ეზოში უჩვეულოდ ბარდნა,
დათოვლილი ბროწეული თეთრ ყინვის ხეს ჰგავდა
მერე , ქარი ამოვარდა რა საშინელ, მძაფრად
თოვლის ფანტელს ჩემს სარკმელზე ზედ აყრიდა ამბად!

ღმერთო, როგორ ფრთილა ფიფქი გაგიჟებით ბარდნა,
შენი კვალი თეთრ თოვლზე კი , სულაც არსად სჩანდა,
ყინვის ეტლი ზამთრის ღამეს ორნამენტით რთავდა
ვიცოდი რომ მოხვიდოდი, ვიცოდი და მწამდა!

ყური მოვკარ ნაცნობ ექოს, ეს ხმაც შენს ხმას ჰგავდა,
ბრაზიანი ქარი თეთრ ფრთებს ჭიშკრის კარებს ჰკრავდა,
სწრაფად ფანჯრის მძიმე, მუქი გადავწიე ფარდა
შეგამჩნიე, გამიხარდა, ახდა ჩემი ნატვრა!

მხრებზე ჩამოგეკიდე და არ გაგიშვი რა ვქნა,
ჩემი მზერა შენს თვალებში თეთრ თოვლივით ჩადნა
მერე, სადღაც შორს გავფრინდით, აღარ მახსოვს..ალბათ
თოვლის ფრთილა ფანტელებმა გააგრძელეს ბარდნა!!!

თოვს

თოვს. უშენობა მომეძალა ამ სითეთრეში,
მე კი ჯიუტად ყველა ფანტელს ვარქმევ შენს სახელს,
თითქოს ხვდებიან ეს ლამაზი ფერიები და
სულ სიყვარულით მიკოცნიან თმებსა და სახეს!

გადაათეთრა, ო რა ძლიერ გადაათეთრა,
თოვლის ზეწარში გაეხვია მთელი სამყარო,
ვერსად ვერ გხედავ, მენატრები და ლამისაა
შენს მოსაძებნად, ფანტელების ჯარი ავყარო!

თოვს. ალბათ ,იქნებ ჩემს ჯინაზე მუხლამდეც დადოს,
მე კი ჯიუტად, თეთრ ფიფქებთან შენს სახელს ვამხელ,
მილეული დღე გაედევნა სადღაც ფანტელებს
და ასაფურცლავ კალენდარზე დრო ფურცელს ახევს!!!

ალილო

ალილო და ღმერთს დიდება,
ზეცით დასი ტკბილად გალობს
და სამყარო დედამიწას
სიკეთით მშვიდობას სწყალობს!

ვარსკვლავი გაბრწყინებულა
შობის ღამით ედემსაო,
თავს გვირგვინად შემოედგა
ჩვილ იესოს ბეთლემსაო!

ანგელოზთა გუნდი გალობს
მხსნელი იშვა ბაგასაო,
ღმერთო, ყველა დაესწარით
ქრისტესშობას მრავალსაო!!!

ვარსკვლავეთი

წუხელ ცაზე ამობრწყინდა
ნათლით სავსე ყამარ-მთვარე,
ბადრი ჰქონდა სახე, მკერდი
ანათებდა რა მთოვარედ!

ოტარიდმა და იშტარმა
დაუმშვენეს გვერდით მხარე,
მარიხს ვთხოვე დედამიწას
ემეგობრე, დაიფარე!

ზუალმა და მუშტარ-- დიამ
სულ ციმციმა ცეცხლი ჰყარეს,
მაგრამ არდის-მზის ნათებას
ვერ აჯობა ვერა მგვანემ!

ამ სამყაროს, უფლის შექმნილს
ვერ მისწვდება თვალის არე,
ჩემთან მყოფები მნათობები
ლექსად, კალმით ჩამოვთვალე!!!

გალაქტიონი

უფლის მადლია როცა, რომ მშვიდად
აქ, ჩემს ედემში კვლავ დის რიონი,
რამდენი უნდა ვიცოდეთ ჩვენ, რომ
აღმოვაჩინოთ გალაქტიონი!

მიდი მეეტლევ, "ლურჯა ცხენები"
არწივებივით ზეცად აფრინე,
გალაქტიონის "მშვიდობის წიგნი'
ცხოვრების გზებად გადაგვაფინე!

უშიშარნო და ზეცად მფრენებო,
არ შედრკეთ არა "ლურჯა ცხენებო',
თქვენ ,იმედი ხართ ავთან ბრძოლაში
ბევრის მცოდნენო, ბევრის მთმენებო!

ნიშანს ელოდეთ ჩემო მცველებო,
თქვენი სისწრაფე აღმოაჩინეთ
"ლურჯა ცხენებო," წიგნის ფურცლებით
გალაქტიონი გამოაჩინეთ!

წყნარდება ღამე და "პეგასებიც"
თვის მეეტლესთან დაეშვებიან,
თუ ბოროტება რამეს გაბედავს,
ცად ლომებივით აეშვებიან!

რკალად აღარ ხრის ქარი ხეთა რიგს,
"ლურჯა ცხენების" ფრენაც სრულდება,
გალაქტიონმა , რაც დაგვიწერა
სულ, სიტყვა სიტყვით აგვისრულდება!

მწუხრის ნისლებიც შორს გაიფანტნენ,
ჯვრისწერის ღამეც შედგება ვიცი,
"მეფე ლირივით" არვინ იტირებს
აქ ძლიერებმა კვლავ დადეს ფიცი!

გენია როცა დაიბადება
ცხოვრება მისი არ არს იოლი
ქართველო, უნდა გახსოვდეს მუდამ ,
ნიჭთა ნიჭი გყავს -გალაქტიონი!!!

ასაკი

რა გლახაკივით ჩემს ეზოსთან მოდგა ასაკი,
ღიმილნარევი, მშვიდად თვალში მაპარებს თვალებს,
მასპინძელი ვარ, ჭიშკრის კარი უნდა გავუღო,
მაგრამ ბოდიში, ვერ გავუღებ ამ გულის კარებს!

მგონი საჩუქრად მომიტანა თმისთვის ჭაღარა
და თვალის გასწვრივ რამდენიმე დამატყო ბზარი,
ჯერ არ მცალია ასაკისთვის სად მაქვს მე, ის დრო
თმებზე სითერე და ნაოჭის ვითვალო ღარი!!!

აქ სხვანაირი იცის აპრილი

აქ , სხვანაირად გაზაფხულდება
აქ, სხვანაირი იცის აპრილი
აქ ,ყვავილია ღმერთო, იმდენი
თვალი ფერებით გაქვს გადაღლილი!

აქ, სხვანაირი გაზაფხულია
გვირილით, იით, ვარდით, ნარცისით,
ამოენთება ძოწისფრად დილა
ატმის კაბისფრის გვაქვს აქ, დაისი!

მართლაც , სულ სხვაა აქ გაზაფხული
სხვა ფერის ტონი აქვთ იასამნებს,
დაუპენტიათ ლილისფერი ცა
ტყემლის, ალუბლის ფერთა სამანებს!

აქ გაზაფხული მთლად გაზაფხულობს
მარტით, აპრილით, თავის მაისით,
აყვავებული ბროწეულისფრად
ამონთებული ცეცხლის აისით!

აქ, სხვანაირად სუნთქავს სამშობლო,
აქ, სულ სხვა არის მიწაც და ზეცაც,
სამყაროს თვალი, რომ შემოვავლე
საქართველოსკენ სული გამექცა!!!

ცხოვრება ჭადრაკია

ცხოვრება ჭადრაკია და აზრიც ამაშია
თამაშიც სიმართლით მჩვევია,
დღეს, ახალ პარტიას თუ შემომთავაზებ
იცოდე, თეთრები ჩემია!

კი, გამიგონია მეფეს და პაიკსაც
ბოლოს, რომ ერთ ყუთში ჩაჰყრიან,
ცხოვრების დოლაბზე შავები თავის და
თეთრები თავისას აყრიან!

კანონს ვერ დავარღვევთ, წესი და რიგია,
ხომ იცით?!---თეთრები იწყებენ,
თამაში სიმართლით თუ შედგა ვიცი, რომ
სულ ბოლოს თეთრები იგებენ!

ცხოვრება, ხომ ხედავთ რამხელა ბრძოლაა,
ომი სიბნელის და სინათლის,
მე, იქ ვითამაშებ სადაც, რომ მზის სხივი
თავისი სიმართლის ლოდსა სთლის!

გვინდა თუ არ გვინდა, ახლა მთლად ის დროა,
გამოვყოთ ზღაპრისგან, იგავი--არაკია,
ცხოვრება მთავარია და აზრიც ამაშია
შავ-თეთრი ფიგურების ბრძოლაა-ჭადრაკია!!!

შობის ღამე

შობის ღამე დგებაო,
ცას ვარსკვლავი ჩნდებაო,
ყველა ამღერებული
ქრისტესშობას ხვდებაო!

ჩიტი გალობს ხესაო
ქრისტე იშვა დღესაო,
სიხარული დაგებედოთ
შობა--ახალ წელსაო!!!

მე ქართველი ვარ

მე ქართველი ვარ, გულმართალი, კაცური სიტყვით
და რასაც ვამბობ, კვლავაც ისევ თამამად ვიტყვი,
ღმერთო, ადიდე საქართველო კიდით--განამდე,
ქართველი ვარ და არავითარი ---მაშასადამე!

მე ქალდ-იბერის-ივერიის ძველი ერი ვარ
და თეთრ თორაში გამოწყობილი წმინდა ბერი ვარ,
მთის არწივი ვარ, ბარში ყვავილი ნაზი იების
იცით რა მქვია?!--კაცი მქვია კავკასიელი!

ღმერთია ჩემი რწმენის ლოდიც, ჩემი პატრონიც,
უხსოვარ დროდან ხელჩაკიდულნი მოვდივართ ორნი,
მასთან მყოფი გზა უკვდავებისკენ მიმავალია
დანარჩენი კი მაცდური და წარმავალია!

მე , პაპაჩემის გენები მაქვს ისე ძლიერი
ეს მოდგმა ვიცი, ოდითგანვე იყო იბერი,
სვეტიცხოველში დაფენილი კვართის მცველი ვარ
"მამაო ჩვენოს" ყოველ წუთში ვგალობ, ვმღერივარ!

ქართველი მქვია და ვეფხისტყავზე ვარ გამოზრდილი,
უფროს- უმცროსის კანონებით ვარ მე აქ ზრდილი,
ადათი, წესი, ტრადიცია მაქვს ყველა ჩემი
რის უცხოელი, კავკასიის არწივად ვრჩები!

დიახ ასეა, ბარისაც ვარ და ვარ მთიელიც,
ქრისტე უფალმა მიწოდა მე კავკასიელი,
ბერი მთები მაქვს შემორტყმული წელზე ვედრებად
ჩემს ქართულ მიწას, ვერა მიწა ვერ შეედრება!

ლაზარეც მქვია, მეგობარი ვარ ჩემი უფლისა
და მფარველად მყავს სვეტიცხოველი, გრემი, უბისა,

ღმერთი ამ ჩემს სულს, ჩასახლებია სიმართლის სწორით
ვისთანაც დღემდე არ მოუგია არავის ომი!

მე ჩემის ნებით, ჩემი მიწის მქვია მძევალი,
ამ ხელებით მაქვს დაწურული ყველა მტევანი,
იმ გზის მცველი ვარ, ძველთაგანვე ქრისტე რომ ერქვა,
წმინდა ნინომ რომ მის სიმბოლოდ ,ჯვარი თმით შეკრა!

მე, ვაჟკაცობის იქეთ რა ვქნა სხვა გზა არ ვიცი,
ღვთისმშობელთან მაქვს დადებული მე, ესე ფიცი,
დროს ვერ დავკარგავ, არ მჭირდება არვის სიზმრები,
ტყუილს ვერასდროს, ვერაფრით ვერ შევეხიზნები!

ეხ, ვინ რა იცის დემეტრე რომ მყავდა წინაპრად,
დიდ ვახტანგი და ერეკლე მის მეინახად,
დღემდე სიტყვები "დავითიანნის" უფლამდე აგვაქვს
"საწამებელი ოქროსაი" კვლავ ზურგით დაგვაქვს!

ქართული მიწა სამოთხეა , მე აქ ვიზრდები
ჩემს საქართველოს ცოცხალიც და მკვდარიც ვჭირდები,
ძალა მაქვს ხარის, არწივისა და ლომისანი
ალგეთიდან ვარ ,სადაც იბადნენ ლეკვნი მგლისანი!

ქართველო, მეტი რაღა გითხრა დაშვრა კალამი,
რაც დაგიწერე და რაც კი ვთქვი, ვთქვი მე მართალი,
გამოიღვიძე, შენს ეზოში უკვე გათენდა,
წუხელ ჭიშკართან ცისკრის ვარსკვლავმა ღამე ათენა!

ის დრო ჩამოდგა, ვთქვა ხმამაღლა და მიტომ ვყვირი,
ყველა ქართველნი იცით, რომ ვართ თურმე მზის შვილნი?!
სად მივილტვოდე, ვოცნებობდე, ნეტავ სად ერთი?
გაჩენის დღიდან თავზე მადგას გვირგვინად ღმერთი,
ეს ყველაფერი მაშინ რატომ, რისთვის,სადამდე?!
მე ქართველი ვარ, არავითარი--- მაშასადამე!!!

თენგიზ ფანცულაია-ხერგილელი ოქროპირი
დაბადების ადგილი: სამტრედია, დაბა კულაში
სამართლის მაგისტრი-პოლიციის პოლკოვნიკი
შინაგან საქმეთა ორგანოების დამსახურებული მუშაკი

ცუდ სიფხიზლეს არაფერი შველის

ცუდ სიმთვრალეს, შეიძლება ეშველოს,
სიმთვრალეში ვიცით, ვის რა გველის?
სჯობს ბოღმას და ცუდად ქცევას ერიდეთ,
ცუდ სიფხიზლეს? ვერაფერი შველის.

პ.ს:
ქალი ერთხელ სალანძღავად მიეტანა მთვრალს:
"ლოთო შენი საქციელი აბა რასა ჰგავს",
უბედური „მერე რაო“, ასე იცავს თავს.
ქალი რომ არ გაჩერდა და არ მოეშვა ნასმს,
წყარად უთხრა:"შენ ფეხები დაღრეცილი გაქვს".

"მერე რაო" ახლა უკვე, ქალი იცავს თავს,
თან ამრეზით კი შეჰყურებს, მართლა ნასვამ კაცს,
"მე ხვალ ფხიზელი ვიქნები", წყნარად უთხრა ქალს,
ჩავიდა და საფიქრალი დაუტოცა მას.

მგონი ყველა კარგად მიხვდით ამ გამოთქმის აზრს,
ნასმურევს კი ეშველება, ანდა ცოტა მთვრალს,
ყველამ უნდა მოერიდოს, სხვაზე ცუდის თქმას,
მყრალი სიტყვა გულში ურტყამს და უბრალოდ ჰკლავს.

ქუჩის კუთხეში სლუკუნებს ბავშვი

ქუჩის კუთხეში სლუკუნებს ბავშვი,
ეტყობა შია, ან უჭირს მაშინ,
არვინ მიიღო ის სტუმრად კარში,
მშიერი დედა ავად ჰყავს სახლში.

უჭირს მას დგომა ქუჩაში, გზაში,
გათოშილია სუსხიან ქარში,
მოქცეულია გულგრილთ ალყაში,
არვინ ჩახედა ცრემლიან თვალში.

იშვიათია უკვე ამათში,
რომ გულით დადგეს ობოლის მხარში,
მოფერებაში და თბილ გრძნობაში,
თუნდაც რომ თბილი სიტყვების თქმაში.

მიიჩქარიან რესტორან- ბარში,
მალე დაკავდნენ ცეკვა-თამაშში,
სელფის პოზების ამორჩევაში,
სასმელის სმაში და გართობაში.

ქუჩის კუთხეში რომ სტირის ბავშვი,
რად არ უდგებით დაცემულს მხარში,
ცურაობთ ქონში და სკდებით კანში,
თქვენ რა ნამუსით მიდიხართ სახლში.

მითხარით ხალხო ალალად,ნაღდში,
და მომეხმარეთ ამ ჩემ ძნელ აზრში,
სხივი სითბოსი რად გაქრა თვალში,
და რად გამეფდა სიცივე ხალხში???!!!.

პ.ს:
მე აქ აღვწერე ობოლი ბავშვი,
მაგრამ რამდენი დიდია შარში,
გახვეულია ბანკების ვალში,
ან გახლართული ახლობლის შარში,

ასეა ხშირად ამ ცხოვრებაში,
კაციც კი ხშირად იხრჩობა დარდში,
მიტოვებული მარტო ბრძოლაში,
ჩუმად რომ არის ცრემლების ღვრაში.

გთხოვ მიმანიშნე უფალო

თუკი გამოდგა მავანი,
არაკაცი და მურტალო,
მე განსაცდელში, რატომ ვარ,
გთხოვ მიმანიშნე უფალო.

ან რატომ მხვდება ყოველთვის,
სხვისკენ ნასროლი ისარი,
ღმერთმა განსაჯოს სულყველა,
ბრალში ან თავში ვინც არი.

ამდენი უსამართლობით,
დათხელდა გულის ფიცარი,
რატომ გამირბის ძმაკაცი,
ჩემთვის სულ დასაფიცარი..

არ მიხარია დარდიანს,
უკვე დილა და ცისკარი,
სხვისი ღალატი-ცოდვისთვის,
მე რად ვისჯები, მითხარი.

სამშობლოს სადარაჯოზე

სამშობლოს სადარაჯოზე, პოლკოვნიკები დგას,
მამულის საქმეს კეთებას, ანაცვალებენ თავს,
არ უყურებენ თბილ ოთახს, სავარძელსა და სკამს,
პირისპირ მედგრად უდგანან, ოკუპანტების ჯარს.

არ შეარჩენენ დამპყრობელს,, წლობით დაგროვილ ჯავრს,
ამოადენენ ორგულებს, ცხვირში საკმაოდ ძმარს,
ეფერებიან ხეობის, მამაც და ამაყ ხალხს,
სუფრაზეც ლაღად მისდევენ, ღვინის ლამაზად სმას,
და ვაჟკაცობით არ ჰგვანან, გულით ჯაბანებს, სხვას.

არ ივიწყებენ, წინაპრის, უკვე გაკვალულ გზას,
არ ღალატობენ რწმენას და უკვე არჩეულ ჯვარს,
ეფერებიან მეგობრებს, ქართულ ფუძეს და კარს,
და ქცევით ასახელებენ, თავის ერსა და გვარს.

ჩემ ქალაქში სახეები გაქრა

ჩემ ქალაქში სახეები გაქრა,
პანდემიამ ყველას კბილი გაკრა,
ეს მაწუხებს, რომ.იცოდედ ნაღდად,
კაცის ღიმილს ვერსად ნახავ წამლად.

ლამაზ ქალის დანახვის და
სახით ტკბობის ნაცვლად,
ნიღაბი და პირბადე გვაქვს,
ჯიბეეებში მრავლად.

გადაივლის პანდემია,
ეშველება თბილისს,
იშვიათად გავიგონებთ,
წასულებზე ტირილს.

ერი ფეხზე წამოდგება,
ხელს დავუქნევთ ტკივილს,
ქუჩებში კვლავ დავინახავთ,
ხალხის ალალ ღიმილს.

ნატალია კვანტალიანს

ხომ გითხარი ნატალია,
შენი ნატვრა აგიხდება,
დათო გვერდში დაგიდგება
და ოჯახი შეიკვრება.

ახლა უფრო აზრიანად,
შენი სახლი დალაგდება,
ყველა ერთად, რომ იქნებით,
ჭერი უფრო ამაღლდება.

პატარები გალაღდება,
მამა გვერდში ეყოლება,
სიყვარული სიხარული,
შენს კედლებში გამეფდება.

პ.ს:
ნეტა ყველა შენნაირად,
მუშაკობდეს, იღწვოდეს,
ოჯახი და ერისათვის,
გულიანად იბრძოდეს.

გაჭირვებულზე ზრუნავდეს,
წაქცეულზე ფიქრობდეს,
ავადმყოფი, სნეულისთვის
ხელში წამლით მირბოდეს.

აგიყვავდეს ყველა საქმე,
გლდანის თეთრი ტბა,
აგხდენოდეს ყველა ნატვრა,
შენი ფიქრი, თქმა.

არ გქონოდეს გულში სევდა,
თუნდ მცირედი დარდი,
ყოველ დილას სასთუმალთან,
დაგხვედროდეს ვარდი.

ნეტა ყველა შენნაირად,
მისი ხელით ბარავდეს,
უფლის მადლი შენთან იყოს,
გეწეოდეს, გფარავდეს.

დღეს სულ სხვა მზე ამობრწყინდა,
დადგა კარგი დარი,
სიხარულით აჭრიალდა,
შენი ეზოს კარი.

შენ ხარ ჩვენი სასახელო,
გოგო ამაგდარი,
ვიცი ღირსეულად მოგაქვს,
ამ ცხოვრების ჯვარი.

ქართველის გვერდით ქართველის მხარი

სულ ჩემი ხალხის ყოფაზე ვფიქრობ,
თქვენთვის მუშაკობს ეს ჩემი ქნარი,
ნეტავ მომასწრო და დამანახა,
ქართველის გვერდით ქართველის მხარი.

ნეტავ დაბრუნდეს თავის ოჯახში,
დაფასდეს უფრო ქართველი ქალი,
დე მან გაგვითბოს სახლის კედელი
და გაგვიმრავლოს ქართული გვარი.

ტკივილი დოიჯას გამო

ვერ მოგიარეთ ჩემო დოიჯა, ყველას დაგვწყვიტე გული,
ვასიკომ დილას შემატყობინა, მწარე ტკივილი თქმული,
თურმე ზეცაში აცურებულა, ზურას ლამაზი სული,
ძნელი გამოდგა შენთვის ცხოვრება, ბოლო წლები კი რთული.

კიდევ გაივლის მელიქიშვილზე, ბევრი ლამაზი წყვილი,
მჯერა არასდროს დაავიწყდებათ, შენი ხმა ჩახლეჩილი,
და მუდამ ყველას გაახსენდება, ძმობაში შენი წვლილი,
გვერდში დგომა და მოფერებები, მოგონებები თბილი.

მახსოვს ზუზუმბო,თქვენი ჩამოსვლა, გალა კონცერტი ტკბილი,
შენი სცენაზე გამოჩენამდე, წყლის პროცედურა გრილი,
კონცერტის შემდეგ კაი ქეიფი, განთიადს შევხვდით დილით,
კობეშავიძის მანქანა მახსოვს და გვერდით ონაშვილი.

მახსოვს სენაკს, ფიგაროსთან, დავხურეთ ქორწილი,
თამადა და მოადგილე, რჩეულ- გამოცდილი,
მახსოვს ხალხი, იმ ქორწილზე, შენ ხმას აყოლილი,
ყველა შენი მოფერების, სურვილით გავსილი.

მუდამ ერთად ხომ იყავით შენ და ონაშვილი,
მხიარული რინგი მახსოვს, თქვენი წაყვანილი,
რინგის შემდეგ აღნიშვნები, სუფრები გაშლილი,
გული გქონდა შენ ძმობისთვის, მუდამ გადაშლილი.

სწორედ ეს გული იღებდა, ბევრჯერ მწარე ტკივილს,
მივხვდი, ამიტომ დაგირჩა, იგი გადაღლილი,
დააკლდები შენს სამშობლოს, შენ საყვარელ თბილისს,
კი ვწერ მაგრამ არაფერი, არ მიკლია ტირილს.

ალბათ რამდენი დაგირჩა , სიტყვა ძმობაში სათქმელი,
ან რამდენს მოენატრება, შენი ხალასი ნამღერი,

კვალი გაგყვება იმ სოფლად, დოიჯაშვილო ნათელი
და შენ სახელზე იცოდე, სულ აინთება სანთელი.

ნაადრევად კი დადუმდა, შენი ქნარი, სტვირი,
სხვებთან ერთად ჩემო ზურა, მეც ცრემლებით ვტირი,
არასოდეს, არავისთან, ყოფილხარ ჩაჭრილი,
იმ სოფელშიც კაცად შეხვალ, მისამართ შეცვლილი.

ხომ იყავი სითბოსათვის, კაცი გაჩენილი,
რამდენი გაქვს ამ სოფელში, მადლი დათესილი,
რამდენი გაქვს ნაკეთები, რამდენი შექმნილი,
და ყველასთან სუფთა იყავ, ვით ახალშობილი,

ის ტანიაც კვალს მონახავს, მას მიყვება გალია,
ჩვენ რაღა ვქნათ, რომ უშენოდ აგვერია კვალია,
ისრაელში თავზე გედგა, წასულების ალია,
ყურადღება დაგაკელით?, ცოტა ჩვენი ბრალია.

არ მეყოლები აწი სუფრაზე, ჩვენ ძმაკაცებთან ერთად,
ვასიკოც სუფრას უკვე აღარ შლის, ნინომ დატოვა კენტად,
ვერ აგვისრულე რასაც დაგვპირდი, ვეღარ მოხვედი ჩვენთან,
დამშვიდობება ვერ მოასწარი, ისე წახვედი ღმერთთან.

ლამაზ ოჯახის პატრონო და ყველასთან ჩაუჭრელო,
თბილო, ყურადღებიანო და კაცობაში პირველო,
მუდამ მეგობრის მომფერო და ახლობლებზე მზრუნველო,
როგორ მინდა დღეს ზარს-ტირილს, ლექსი მივაშველო.

ვიცი ბევრი შემეშლება, საქმე ვიტვირთე საძნელო,
ლექსად როგორ მოგეფერო, ერის შვილო სასახელო,
სევდა როგორ გამოვხატო, დარდი როგორ გავანელო,
ვიტყვი სანამ იარსებებს, შენი კოხტა საქართველო,
მჯერა მუდამ შეისმება, დოიჯასი სადღეგრძელო.

რევაზ ნაჭყებია -
დაბადების ადგილი ოჩამჩირე - 1961 წლი
სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობის
ინჟინერი, სამართალმცოდნე, ბიზნესმენი

ზღვის ტალღები

ზღვის ტალღები ეხეთქება ნაპირს,
ჯებირები იგემებენ დარტყმას,
ცის ღრულლები იშლებიან ფართოდ
და ქარი კი ფიქრობს, მაგრად დაკრას.

თოლიები დაფრინავენ მაღლა,
მზის სხივი კი სადღაც მოჩანს გაღმა,
აბობოქრდა, აბობოქრდა ქარი,
აზვირთდება, აზვირთდება ტალღა.

დაიჭექა, დაიქუხა მაგრად.
ნაკვერჩხალი გადაეკრა მთელ ცას,
წამოვიდა ნიაღვარი ერთხმად,
დაეუფლა შავი ნისლი მთელ მთას.

Bბუნებაა ღვთისგან მოგონილი
და სიცოცხლე მისგან ნაბოძები,
თუ ვილოცებთ გადაგვარჩენს ღმერთი,
შეისმინეთ, შეისმინეთ- მეთქი.

შენ სტუმრიანო, ჩემო ქალაქო

ქარი ქრის, ამსხვრევს, ლეწავს, გრიალებს,
მიმოგორავენ ცაზე ღრუბლები,
ამ მეხთატეხვამ მინდა ალაგმოს,
ძმებს შორის ომის გამჩაღებლები.

თქეშმა და თქორმა ააღვარცოფა
ღალიძგა, მოქვი, თომუშ - აკვარა,
და ზღვამ წალეკა, მიმოარბია,
ნაპირ-ჯებირი, ყველა გზა-შარა.

შენ, სტუმრიანო, ჩემო ქალაქო,
მითხარ, როგორ ხარ ახლა, უჩემოდ,
შემძახე, როგორ დავბრუნდე შენთან,
ძველი დროება როგორ უჩვენოთ.

სულ მესიზმრება შენი ქუჩები,
სად ავახილე მაშინ თვალები,
გუენოსი ხარ, თუ - ოჩამჩირე,
ილორის ხატებს ვენაცვალები.

დაუფიქრებლად გადავეშვები

მე დაგინახე ერთხელ ზღვისპირზე,
შენ თეთრი იყავ, თოვლის ფიფქივით,
ქარისგან ტალღა - აფოფრებული,
წამოშლილიყო ჩემი ფიქრივით.

შენი უებრო, ლურჯი თვალები,
რომ მომანათე მე ალმაცერად,
იმ განშორების სიმძიმე დღემდე,
გულზე მატყვია განაკაწრებად.

სულ თვალწინ მიდგას შენი ღია თმა,
თან სამოსელი, - თხელი, ზღვისფერი,
შენ დედიკოსთან ერთად იყავი,
მან დაგიძახა სახელი – ნელი!

შეხმიანება: - გისმენ, დედიკო,
მარად ჩამესმის მთრთოლვარედ ყურში,
მთელ დღეს ვატარებ შენზე ფიქრებში,
ღამე სულ გხედავ მღიმარეს - რულში.

დილით ვიღვიძებ, სიზმარს ვიხსენებ,
გული მევსება მდუღარე დარდით,
ნეტავ, ვიცოდე, ის შენი ქუჩა,
გადაგივსებდი ალისფერ ვარდით.

ვერ მიგაკვლიო, დავიტანჯები,
ალბათ, ასეა მაცხოვრის ნება,
ფიქრი ჩვენს შორის მიჯნურობაზე,
შემრჩება მხოლოდ, როგორ ც ოცნება.

მივალ იქ, სადაც პირველად გნახე,
ავიხედები ზეცისკენ, მაღლა,
დაუფიქრებლად გადავეშვები,
და ალბათ, მშთქანთავს მბორგავი ტალღა.

გონს მოვუხმოთ ქართველებო

ვეღარ ხედავთ, დღითდღე რომ,
აფხაზეთი გვშორდება?
ფსოუს ხიდზე შუქი ბჟუტავს,
და ნელინელ რომ ქრება.

გონს მოვუხმოთ ქართველებო,
დადგა ჟამი ერთობის,
ქრისტეს ჯვარი წარვიმძღვაროთ,
ვისაც გვჯერა ღმერთობის.

ვილოცოთ და ღმერთს შევთხოვოთ,
არ დავკარგოთ იმედი,
ჩემო ერო! განსაცდელში
მუდამ შარას იკვლევდი.

გავიხსენოთ წინაპრების
თავდადება, მეობა,
მათი დამსახურებაა,
რომ გრძელდება ძეობა.

ჰე, კაცებო, არ დავნებდეთ,
არ დავყაროთ ფარ-ხმალაი,
და უფალიც მადლს მოიღებს.
რადგან ჩვენ ვართ მართალი.

აქ, ენგურის შხუილს ავყვეთ,
იქ - კოდორის მხნეობით,
ქართველობა აღვამაღლოთ,
რჯულითა და ზნეობით.

აქ, ვლაქერნის ეკლესიის,
მადლით, იქ კი - ილორის,
აღარასდროს არ შეწყდება,
მოდინება მირონის.

დედას...

ჩემს ცხოვრებაში რა დამავიწყებს,
თვალცრემლიანი დედიკოს მზერას,
იმ გაგანია ომში ვისმენდი,
მის აღელვებულ გულმკერდის ძგერას.

მისი ლოცვით და ხვეწნა - მუდარით,
შემინარჩუნა ზეცამ სიცოცხლე,
მე ვთხოვდი უფალს, მუხლმოდრეკილი,
ჩემი მშობელი მარად მიცოცხლე,

მინდა, ვუყურო სულ მის ჭაღარას,
და მის სახეზე ნაოჭს, დაბლანდულს,
მისი რჩევა და დარიგებებით,
უნდა მოვუხმო აზრებს - გაფანტულს.

მისი დამჭკნარი ხელით ალერსი,
გულზე მედება, როგორც მალამო,
ყველამ გაიგოს, დედა რას ნიშნავს,
დამაწერინე ლექსი, კალამო.

დედა დედაა, რახნისაც იყოს,
არ გააჩნია მას წლოვანება,
მოვიდა ჟამი და აღესრულა,
ვწუხვარ, ასეა განგების ნება.

მე მახსოვს შენი თაფლის ტუჩები
ალისფერი და ალერსიანი,
აბორგებული გულმკერდის ძგერა,
და ჩაკონება ქარ - ცეცხლიანი.

მახსოვს ხმა - შენი, ათრთოლებული,
და სიოსავით სუნთქვის შრიალი,
უებრო ვნების შემოძალება,
და აღგზნებული თვალის პრიალი.

ოცნებად მექცა ის წუთი – წამი,
ჟრუანტელს მივლის ტანზე , მარადის,
ნეტავ, იცოდე, როგორ ვინანე,
მე, რომ გითხარი, მაშინ ნახვამდის

მოგვადგა გაზაფხულია!

დილა ადრიან მაღვიძებს,
ჩიტების ჟრიამულია,
მზის დასიცხვამდე, ჯერ კიდევ
მინდორი დანამულია.

სიო მოიჭრა - მასქური,
ყველაფერს ავსებს სიცოცხლით,
ფოთლები ააშრიალა,
მოკრძალებით და სიმორცხვით.

ხარობს ია და ენძელა,
თითქოს, ეკლები ცვარდობენ,
ბულბულის სტვენა გაისმის,
მერცხლები დანავარდობენ.

რასაც გიამბობთ, ჩემივე
თვალებით დანახულია,
გალაღდით, დატკბით, იხარეთ,
მოგვადგა გაზაფხულია.

ეჰა, როგორ მენატრები

საღამო ჟამს ზღვის ნაპირზე,
მახსოვს დედა დამეძებდა,
სახლში თუ არ მიგულებდა,

უჩემობით ვეღარ ძლებდა.
მე ნაპირზე წაწოლილი,
შევცქეროდი მაღლა ზეცას,
ვოცნებობდი ტრფობის დაღი,
გამუდმებით გულზე მესვას.

ტურისტების ალიაქოთს,
აჰყოლოდა ზღვის ხმაური,
დამიჯერეთ, რომ სუფევდა,
ჰარმონია უცნაური.

დღე , ღამეს კარს არ უღებდა,
უბერავდა ზღვაურ ჰავას,
კაფე-ბარში ცხელ ქვიშაზე,
ადუღებდა ვანო ყავას.

ვინც ყოფილა ამ ქალაქში,
გაზაფხულზე და ზაფხულში,
გაუვლია ზღვისპირეთი,
უგემია ერცახუში.

ის ყოველ წელს ჩამოსვლაზე,
მომზადებას გულით იწყებს,
ამ ქალაქის ამო სითბოს,
რადგან ვეღარ დაივიწყებს.

მძირარესაც ჩამესმოდა,
ზღვის შფოთვა და ბორგვა, ღელვა,
სიზმრად ბნელ გზას მიმიკვლევდა,
ცაზე დაკლაკნილი ელვა.

ეჰა, როგორ მენატრები,
ოჩამჩირევ, ერთადერთო,
შეგთხოვ, ის დრო დამიბრუნო,
მოწყალეო მამაღმერთო.

ექსპრომტად

ცვივა თოვლის ფიფქები,
მომეძალა ფიქრები,
ნუთუ ესე ვიქნები,
ნუთუ გარდავიქმნები.

თავს არ ჩავხრი არასდროს,
ვის, რაც უნდა აგოროს,
ვის, რაც უნდა აბოლოს,
თუნდაც გადამაყოლოს.

ეშმა მომეფერება,
ცივად მომეჩვენება,
თუ კი მომეპარება,
ღმერთი მომეშველება.

ჰეჲ, გერგეზებო

საფლავით გვესმის თქვენი გულისთქმა,
(დღეს ოცდაშვიდი სექტემბერია),
წევხართ, ბიჭებო, ცივ სამარეში,
აქ თქვენზე ლექსებს გაიმღერიან!

ჰეჲ, გერგეზებო, თქვენი სახელი,
გასდევს სამშობლოს კიდიდან კიდეს,
წმინდა გიორგის მადლით ადიხართ,
,,უკვდავებისკენ აღმავალ კიბეს“.

სული გვიშფოთავს, გვემღვრევა გონი,
მძაფრად გვიფუის ძარღვებში სისხლი,
ღამეებ ს ვათევთ ფიქრების ჯანღში,
ირეკებიან ზარები რი სხვის.

ეჰეჲ, ძმებო, უფალი გვფარვის,
მისი წყალობით გეწვევით მალე,
ვიდრე ჩავაღწევთ, მამულის სურნელს,
დაეპატრონეთ და მოუარეთ.

ჩვენ გადავლახავთ გვარგვასელ ენგურს,
სათანჯოს ქედი განახვნის კარებს,
წმინდა ილორის ტაძარში შევალთ,
გამარჯვებისას დავრეკავთ ზარებს.

ოჩამჩირეში ჩავიმუხლებით,
ჩავებღუჯებით ჩვენს ძირძველ მიწას,
მოვეფერებით, ჩავეკონებით,
ართათ ქჲდიბჭყანთ ნგარას დო ძჲცასგ.

სოხუმში ჩავალთ, გავივლით ათონს,
გუდაუთას და ავალთ რიწაზე,
ამგვარი მთები, კლდეები, წყლები
არ არსებულა დედამიწაზე.

მოვეფერებით გაგრის სანახებს,
კოლხიდას, ცანდრიფშს, ბზიფს და ბიჭვინთას,
მერე ფსოუზე აღვმართავთ დროშას,
სოდე ჩქჲნ გურიშ სჲნთე იჭვიტანს.

ეკლებს ავკაფავთ, სანთლებს დავანთებთ,
გმირთა საფლავებს დავივლით ჩოქვით,
იმათ საუფლოს ცრემლით დავნამავთ,
სულს დავუმშვიდებთ მხურვალე ლოცვით.

საფლავით გვესმის თქვენი გულისთქმა,
(დღეს ოცდაშვიდი სექტემბერია),
წევხართ, ბიჭებო, ცივსამარეში,
აქ, თქვენზე ლექსებს გაიმღერიან!

არ მიმატოვო ეული

უფალო, შეგთხოვ მაშორო,
ეს გამქელავი ფიქრები,
სანთელს ავანთებ, ვილოცებ,
შენი ერთგული ვიქნები.

შენდობის ძალა მომმადლე,
არ მიმატოვო ეული,
მოიღე ჩემზე წყალობა,
მარგუნე დღე - კურთხეული.

დაცემულს წამომაშველე,
შენი მკურნალი ხელები,
შენეულ ხატებს ყოველთვის,
ლოცვებით მოვეფერები.

ჩემო სოხუმო

დიოსკურია, ნართა, პინგვინი,
აპრა, ელბრუსი და ,,ამრა”- ბარი,
სტუდენტობა და ზღვის სანაპირო,
ეს არის ჩემი მოსაგონარი.

ქალაქში ლაღად დავსეირნობდი,
ყმაწვილობაში გულანთებული,
ვინ იფიქრებდა, რომ გაგვრიყავდა,
მტრის ნიაღვარი აზვირთებული.

ახლა, იქ რომ წვიმს, წყალი გგონიათ?!
არა, ის არის ჩვენი ცრემლები!
ციდან რომ ცვივა, თოვლი გგონიათ?!
არა, ის არის ჩვენი ფიქრები!

იქ რომ გრიალებს, ქარი გგონიათ?!
- გმირთა ერთობის დიდი სულია!
იქ ვარსკვლავები რომ ჭიატობენ,
ის ქართველების ცხელი გულია!

მთვარემ კი, რა ქნას? - მაინც გუშაგობს,
თავის საქმეზე შეყვარებული,
მზეც მოწყენილა, მაგრამ აცხუნებს,
მუდამ ღრუბლებში შეფარებული.

შენ, დაგიცავენ ცის კამარიდან,
თვით კანანელი და წმინდა ნინო,
ჩვენ მალე მოვალთ, ჩემო სოხუმო,
თავს ნუღარ ჩახრი, არ მოიწყინო.

ღმერთი გფარვიდეს

ღ-ამე მძინარეს, ეულ ბინადარს, ნაგვემს და ნატანჯს,
მ-ესიზმრა იგი, ცის სამყოფლიდან-გადაქანცული,
ე-შველებაო ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყანას, მამცნობს,
რ-აჟამს მის მადლით მარადიულად ჩვენ ვართ დაცული,
თ-ალხით აროდეს შეიმოსება ქართვლის ქედები,
ი-ა-ვარდებით მოფენილია მინდორ-ველები.

გ-ახსოვდეთ, ასე იქნება მარად აყვავებული,
ვ-იდრე ილოცებთ, რწმენას მიჰყვებით უზენაესის,
ფ-იქრები გტანჯავთ მოძალებული, მეორედ მოსავლის,
ა-ლავერდობა არ დაივიწყოთ უწინარესი,
რ-ელიგია კი ამა სოფლიურ ცოდვებს მოგიხსნით,
ვ-აება-ჭირი, უკუღმართობა ვეღარ დაგჯაბნით,
ი-ავარი ვარ, შუაღამეა თვალშეუალი,
დ-არდი მომაწვა, გული მიშფოთავს გონება აშლილს,
ე-ბგური ზეცის, უმალ გამოჩნდა შორს მიმავალი,
ს-იამით შევხვდი, რადგან წინსვლაა და მომავალი.

ვანო რევაზის ძე ჟვანია - იურისტი, საქართველოს თავდაცვის სამინისტოს მოქმედი ოფიცერი. დაბადების ადგილი: აბაშა

სამშობლოს

ვერ ვწვდები მე შენს სიმაღლეს,
სისხლის გზა არის შენამდე,
ცოცხალი თავს ვერ ვიმართლებ,
გთხოვ შენი დაცვა მე მანდე!

მიწავ ზურმუხტის ვარაყო,
ვამბობ და აღარც ვფიქრდები,
გამოგიტყდები ვამაყობ,
რომ ჰაერივით მჭირდები!

ცაო, მთებო და ქარაფო,
თქვენით დღითიდღე ვდიდდები,
ამ სიტყვებს გული მკარნახობს
და გულს ვერ ავუხირდები!

დაუშრეტელო მარაგო გმირთა
თუ საზღვრებს გავცდებით,
კვლავ შენ სიყვარულს ვდარაჯობ,
შენთვის მე მკვდრეთით ავღსდგები!

სამშობლოს სადარაჯოზე,
ცეცხლით და კალმით როდი ვარ,
სიცოცხლეს დავდებ სასწორზე,
შთამომავლობით მოვდივარ!

მე შვილებს გიზრდი ქართველებს,
სწავლის წინ ვცეკვავთ, მღერივართ,
შენს ჭრილობებს რომ ამთელებს,
ის მიწა ვარ და მტვერი ვარ!

შენს თითოეულ გოჯს განვიცდი,
თუმც მოჩვენებით მშვიდი ვარ,
მტრისთვის ქედს ვეღარ დავიხრი,
დამიზნებული მშვილდი ვარ!

მე შენ გადიდებ უფლამდე,
ჩემო სამშობლო ალაგო,
რომ ბოლო ამოსუნთქვამდე,
ლოცვებით გელაპარაკო!

ფიქცია

როდესაც აზრები ორდება,
სამყარო ჯოჯოხეთს გაგონებს,
ღამეში ჭორები გორდება,
ჭორები სიმართლეს აყოვნებს.

დახრილი თვალები სწორდება,
ვინმე თუ ურცხვ მზერას გაყოლებს,
სიცოცხლე ცრემლებით გროვდება,
გულზე კვალს ტოვებს და ნატორებს.

სხეული უსულოდ მძორდება,
ჭამაზე ფიქრი კი გვაღორებს,
ვინც სიკეთეზე ყოვნდება,
ეს ქცევა უფალთან აშორებს.

გზები და ბორცვები სწორდება,
ძალა ხომ ზვავებსაც აგორებს,
როდესაც მაისში თოვდება,
მიწასთან ვარდებსაც ასწორებს.

სიბნელე რით გაიზომება?
მადლიც თუ ვერაფრით გაზომეს,
ადამის მოდგმიდან ომებმა,
სიცოცხლე ვერასდროს დაზოგეს.

დიდების მწვერვალზე თოვდება,
ვერ გავცდით ბორცვებს და მთაგორებს,
სიცოცხლე დღითიდღე გვშორდება
და სიკვდილს დროებით აყოვნებს.

ვუყურებ ნაბიჯებს, ორდება,
წარსულში განვლილს და ნაქონებს,
ხალხი ხომ სიმართლით ღონდება
და ჩემი ;ფიქცია ჩაქოლეს!

ეძღვნება შვილებს

მე თქვენ გაჩუქებთ გაზაფხულს,
თქვენ მხოლოდ გადაიხატეთ,
გზად შეეწიეთ დაჩაგრულს
და ამით გადამიხადეთ.

სხვისი ტკივილი გტკიოდეთ,
მოყვასი მუდამ გიყვარდეთ
ციდან რისხვა რომ ცვიოდეს,
არ უღალატოთ სიმართლეს.

თუ ცოდნა სხივად გაშუქებთ,
ბრძოლა მიგიყვანთ მიზნამდე,
უიმედობის მარყუჟებს
სძლიეთ და მაშინ ივარგებთ.

მუდამ თქვენს დღეებს ვდარაჯობ,
თქვენთვის ვლოცულობ ბაგეთი,
ჩემთვის არაფერს არა გთხოვთ,
სამშობლოს გამოადექით.

თქვენ ქართველებად შობილნო,
არ უნდა გადამიგვარდეთ,
თქვენთვის იმიტომ ვცოდვილობ,
საცდურს არ უნდა მიბარდეთ.

უკან არასდროს იხევდეთ,
თუნდ მტერი სიკვდილს გიქადდეთ,
სანამ სინდისი გაწუხებთ,
მე მეყვარებით იქამდე.

მე თქვენ გაჩუქებთ გაზაფხულს,
თქვენ მხოლოდ გადაიხატეთ,
ადამიანად დარჩით და
მე ამით გადამიხადეთ!

შობა

დაგვღუპავდა ალბათ რისხვა,
სიტყვა რომ არ დაფასდა,
ღვთის განგებით იგი იშვა,
ყველას მხსნელად განკაცდა.

ვით ტაძარში მისი მირქმა,
კურთხევა და განწმენდა,
ღვთიურ მადლით როგორც კირქვა,
მოკვდავთ ძალას აძლევდა.

სულგრძელობით კაცთა მოდგმის,
ყველა ცოდვას ამხელდა,
როგორც წყაროს წყალი დოქით,
სისპეტაკეს აფრქვევდა.

მან შეუნდო ბრბოს და ფარას,
სიკეთისთვის განსაჯეს,
რადგან მტერიც შეიყვარა,
მოკვდავებმა დასაჯეს.

იშვა მისთვის რომ ეზიდა,
ცოდვა ჩვენ რომ გვაშინებს,
სისხლით შეძრა დედამიწა,
ცაც გაბრწყინდა მაშინვე.

დაგვღუპავდა ღმერთის რისხვა,
სიტყვა რომ არ დაფასდა,
ღვთის განგებით იგი იშვა
ჩვენდა მხსნელად განკაცდა.

„სიყვარულსა მალვა უნდა, ვითა ცხენსა ნაპარავსა“

„სიყვარულსა მალვა უნდა, ვითა ცხენსა ნაპარავსა“,
რომ გრძნობები არ დავთრგუნოთ და არ ვავნოთ ალბათ თავსაც.
სამსჯავროზე სააშიკოდ, ვფიქრობ ბევრი ვნება დაცხრა,
ჰო და მოკლედ თქვა ბრძენმა და ყველა ჭორი დაამარცხა.

ქალის წლებიც მიბმულია სიყვარულთან სამწუხაროდ,
მიბმულია მზის სხივებთან, სილამაზით ცოცხლობს, ხარობს
და ხანმოკლე მშვენებით და ნორჩი წლების ტკბობით წვალობს,
ამიტომაც მალავს ასაკს ან მას მალავს ვისაც ყვარობს.

თუმცა მაშინ ცდება სწორედ, ყველა ვცდებით ალბათ ხშირად,
სიმართლეს თვალს ვერ ვუსწორებთ, საჩვენოთ თუ ჩვენდა ჭირად.
ქალის გამო უცხო მოყმე წყლის პირს „ჯდა მტირალი“ ნახეს,
თუმცა ვფიქრობ კაცებს ქალი ყველა დროში გვიგებს მახეს.

ცოდვას ვამბობ გამხელილს

ღირსებით და თვისებით,
ქცევა სულის თაღია,
მზის სხივით თუ ვივსებით,
დაღამებაც ლაღია.

ოქროთი და ქისებით,
ხშირად მაღლა ადიან,
მათი ვნება, ფიქრები,
დიდების ტუსაღია.

მე კი ოფლად ვიღვრები,
როცა რამე მწადია,
მაგრამ ჩემი მიზნები,
სხვის მიზნებზე საღია.

ვნერვიულობ წინსწრებით,
უდარდელს რომ მადრიან,
მე ვერ გამოვიცვლები
და რაც არ მიკადრია.

ვერ ვიკადრებ, ვხირდები,
რა ვქნა? სიტყვა ბასრია,
ღმერთო! ყველას ვჭირდები
ნუ თუ ესეც მადლია?

როცა თავთან მარტო ვარ,
ისევ მახრჩობს ნაღველი,
აქეთ არვის ვახსოვარ,
ცოდვას ვამბობ გამხელილს.

უკვირთ ჩუმად რატომ ვარ,
ხელს რად ვმალავ გაშვერილს,
სხვისთვის ვზრუნავ არა და
თავადა ვარ საშველი.

თუ მოწყენილს მხედავენ,
ჩემგან მაშინ გარბიან,
მადლობას ვერ ბედავენ,
ალბათ ესეც ხათრია.

მაგრამ მე მათ ვპირდები,
ვერ მნახავენ დარდიანს,
მაინც დავეხმარები,
უმადურს და მადლიანს.
ვიცი არ დავიღლები,
წლებმა ნერვი დახია,
რადგან ჩემი მიზნები,
ჭეშმარიტად საღია.

***

ბოლოს კვლავ ღვინომ გახეთქა კასრი,
ჯაჭვიც გაწყვიტა ერთ დროს ფინიამ,
ბრძოლას ყოველთვის ექნება აზრი,
ზოგჯერ მეტს რისკავ, რომ გეშინია.

არის რომ ტკივილს ვნებებში გავცვლი,
დროა გრძნობასაც დავთმობ ჟინიანს,
ზოგჯერ მტრის მკერდზე ცხელ ვაზნას დავცლი,
არის დრო ქათმის კვლაც მეშინია.

არეული რითმები

ტაძარს უფლის სახლი ჰქვია,
ღმერთი უმანკოესია,
ყველას თავის ჯვარი მიაქვს,
ბერი უმარტოესია.

ბოროტება ხალხში ხვიად
ჯოჯოხეთის მორევშია,
სიკეთე ვერ შემიტყვია,
ობლის პური თონეშია.

თავად მკვლელის არის ტყვია
თუ საცდური მოესია,
ხსნა არასდროს არის გვიან,
კიდობანი ნოესია.

ვერ იზრდება ისე ვაზი
თუ რამეს არ მოეხვია,
ღვინის არის ალბათ თასი,
ამყაყება მდორესია.

მტერს არა აქვს მაინც აზრი,
ასია თუ ორასია,
საშიშია მხოლოდ ბრაზი,
ყვირილი კი მოლასია.

ლამაზია ყველა ვარდი,
ძალა ძმების ყოლაშია,
გულის არის მაინც დარდი,
დასი ემილ ზოლასია.

წყალწაღებულს უნდა ნავი,
შიში დიდგვაროვანია,
ადამიანს ერგო თავი,
პატარა თუ მცხოვანია.

მთას ეკუთვნის ყველა ზვავი,
ყველა აზრი მორალია,
მწვანე ველი ასე ნაზი,
ადრე ნადიდგორალია.

ღმერთმა ყველას მისი მისცა,
რადგან უსათნოესია,
კაცს ნუგეში, გუთანს მიწა,
მე მარგუნა პოეზია.

გავჩნდი შენს მიწაზე ბედად

გავჩნდი შენს მიწაზე ბედად,
მთები მომყვებიან მაყრებად,
“მიყვარხარ გუშინდელზე მეტად,
მაგრამ ხვალინდელზე ნაკლებად.”

მიწას ვეამბორო ვბედავ,
მტრები გეხვევიან მახრებად,
შენს მზეს სიზმარშიაც ვხედავ,
იგი არასოდეს ჩაქრება.

როდის გამთელდები ნეტავ?
როდის გაიშლები აფრებად?
გაღმერთებ უპირობოდ მე და
მეკუთვნი ფიქრებად და აზრებად.

გავჩნდი შენს მიწაზე ბედად,
მთები მომყვებიან მაყრებად,
“მიყვარხარ გუშინდელზე მეტად,
მაგრამ ხვალინდელზე ნაკლებად.”

კითხვაზე პასუხი

კითხვას მისვამენ: „რატომ ხარ ასეთი შემწყნარებელი?
ყველაზე ზრუნავ, განიცდი, მოყვასია თუ მხლებელი.

განა შენ ერთი აუხვალ? ქვეყნის ჭირსა და სატკივარს?
უთხარი არა და მორჩა, გზა გააგრძელე მარტივად“.

არას, თქვენ გეტყვით სუყველას, ვინც ამ რჩევებით მაბრკოლებთ,
ვინც დამეხმარეთ იმათაც და მერე გადამაყოლეთ.

ასე ვცხოვრობ და ვიცხოვრებ, მოყვასისათვის ვირჯები,
თუ ყველა არ დამიფასებს, ვინმეს გულში ხომ მივრჩები.

არც მისთვის არ ღირს სიკეთე, რომ ბოლოს თითქოს ცხონდები,
მთავარი არის რომ წახვალ ვინმეს თუ მოაგონდები.

მთავარი არის წყალობდე და სხვისთვის გული გეწვოდეს,
იქნებ თავადაც წვალობდე, სიტყვა კი მაინც გეთქმოდეს.

მთავარი არის? არ ვიცი, კიდევ რა არის მთავარი,
ასეთი ხალხის მხრებზე დგას, ჩემი ფრთები და ყავარი.

ასეთმა ხალხმა მასწავლეს: სიმართლის სწორად ყურება,
ახლაც მხრებში ვარ გაშლილი, ისინი რომ მეგულება.

ზოგისთვის შვება, იმედი, ზოგისთვის მხოლოდ დარდი ვარ,
ღმერთო მომეცი ძალა რომ სიკეთე შევძლო მარტივად.



მერაბ კვიცარიძე - ექიმი - ურولოგი
საოჯახო მედიცინის ცენტრის დირექტორი
დაბადებული ქუთაისში

ჩემს ქართველ ებრაელ ძმას
კაკული გურიელაშვილს

კაკული ჭიქას აკლია ღვინო
მალე სამყაროს შენც დააკლდები,
განედენია შენი სამოთხე
აფრინდები და იქ დასახლდები.

ვერ მოვასწარი შენი მოკითხვა
სახლში ვაგდივარ ღვთისგან ნაცემი,
შენა ხარ ჩვენი გულის ტკივილი,
ულევი სითბოს ბევრჯერ გამცემი.

მაცა გავტეხეთ მაშინ ერთგულად
შეხვედრა გვქონდა, მართლაც ზღაპრული,
შენთვის ბოღლიწო, ჩემთვის კიდუში,
ჰქონდათ ყოველთვის გადანახული.

დაკეტილია აქეთ სახლები
თუმცა არასდროს არ გამიქრები,
ისრაელიდან დილით მოფრინდნენ
წერილები და შენზე ფიქრები.

თუ მოგენატროს ორთავ სამშობლო
ორივეს მიწა გიცავს იცოდე,
არ შეგეშინდეს შენთან ვართ ყველა
და ძმობის ხელსაც გამოგიწოდებთ.

მშვიდობით ძმაო, ვერ მოგისწარი,
ცრემლებს დავაფრქვევ აქეთ მიწაზე,
ცხოვრება ერთად ვერ მოგვახვედრებს
თუ არ ეწამე, ან არ იწამე.

ციდან სიმღერებს რას გამაგონებ
ღვინის ჭიქები მიდგას ნაკლული,
დიდება შენდა,
ცხონება შენდა,
აწ და მარადის,
ჩემო კაკული!

***

ახალ წლის ღამეს, ქუჩაში, ბებოს,
გამოტანილი ჰქონდა ცოცხები,
ნეტავი იმ დროს, მამიდაც, მამაც,
დეიდაც, ბიძაც მყავდა ცოცხლები.

ყველა იყიდა მამამ უეცრად,
ვიღაცის ბებოს მისცა ნუგეში,
მთელი ცხოვრება ის სიხარული,
გადანახული ჰქონდა უბეში.

რომ იხსენებდა ამ ამბავს მამა,
ჩაუდგებოდა თვალში კურცხლები,
მეუღლე, დედაც, მეც და ჩემი დაც,
ვუსმენდით ერთად გასუსულები.

მის მერე ბევრი წელი გავიდა,
სახლშიც შევცვალეთ ბევრჯერ ცოცხები,
განაოცები ვიყავით დიდხანს,
ამ სიყვარულით განაცოცხლები.

წინა წლის განცდის გამოსახვეტად,
სახლებში მიგვაქვს ყველას ცოცხები,
და იმ წასულის მოსაგონებლად,
ამქვეყნად ვცოცხლობთ, ცოტა ცოცხლები.

მიდის ცხოვრების მატარებელი,
ყოველ წელს ვხვდებით სავსე „ბოცებით“,
მსგავსი ტკივილის განსვენებისგან,
ბევრჯერ ვყოფილვართ განაოცები.

ვერ დავამთავრებ ამ ლექსს მინორით,
როცა ვბერდებით ვხდებით მორცხვები,
ღმერთო, იმ ბევრის გასახსენებლად,
დიდხანს გვაცოცხლე ცოტა ცოცხლები.

კახა მაღლაკელიძეს

ცრემლები მახრჩობს, რითმაც გამირბის,
არ მეწერება შენზე ლექსები,
ჩემი ბავშვობის ტკბილო ოცნებავ,
შენს ძმობას ვერვის დავესესხები.

ჩამოურიგე გული სუყველას,
არ გეყო ბოლოს გულის ფიცარი,
მახსოვს აღდგომას, სიცილით როგორ
შემომაჩეჩე კვერცხი ციცარის.

სასაფლაოზე წამოსვლა მინდა,
როცა ხშირდება ჩვენში წვიმები,
გუშინ სიზმარში ერთად ტიროდნენ,
ბუხართან მჯდარი შენი შვილები.

წყალტუბოს გზაზე ფოთლებს დილიდან
მიაცილებდნენ ქვენა ქარები,
რომ მოიტანონ საიქიოდან
ბაღის კიდეზე დანაბარები.

ვფიქრობ და მართლა ასე მგონია,
რა გავიხსენო, ანდა რომელი,
გაჩერებაზე გიცდის, არ მიდის
ჭომისკენ, ძმაო, ექვსი ნომერი.

ყველა კარები გქონდა სულ ღია,
მაგრამ დაკეტე გულის სარქველი;
უნდა გენახა ალბათ სუხია,
რომ მისთვის გეთქვა ბოლო სათქმელი.

გულგაგლეჯილი წევხარ ვერხვებთან,
თითქოს ტკივილიც წარსულს ჩაბარდა,
შენი სიცოცხლე იყო დიდგორი,
შენი სიკვდილი არის მარაბდა!

ღუღუნა კოსტავას

დღეს ასაკში სხვანაირად გაგისწარით,
შენ კაცობის თვითნაბადო ნიჭო,
იყავ ყველა სტუდენტების მასპინძელი
გაგანათლოს, ღუღუნია ბიჭო!

აღარ დარჩი სააქაოს არც მომხვდური,
არც დამხვდური ამნაირად გიჯობს,
აქეთ იყავ, სუყველას რომ პატრონობდი,
სასაფლაოს მასპინძელო ბიჭო.

ლადო ასათიანს

გუშინ ლადო ასათიანი დამესიზმრა და...
დამაგვიანდა შენზე სიტყვის თქმა
ამ სტრიქონებსაც სიმწრით ვახერხებ,
რა დაგიშავე ლადო ასეთი,
სიზმრად ლექსებით რომ გამახელე.

აბასთუმანში შენი პალატა
უკვე ვერ იტევს ამდენ მნახველებს,
შენ კი დერეფნის ბოლოს დგახარ და,
დგახარ და, მარტო რითმებს ახველებ!

ქეთინოს

როცა დაღლილი მოვდივარ სახლში
და სანადიროდ მიმზადებ საგზალს,
შენი ბრალია, ხანდახან, ჩემო,
ახალ მოდაზე რომ მიწევს ჩაცმა.

ხანდახან ლექსით გიშლი დალალებს,
სადღეგრძელოებს ისმენ მოთმენით,
ფეხაკრეფით რომ შემოვალ ჩუმად,
მთვარეულივით გეტყვი, მოვედი.

ხან ღამენათევ წიგნებს გიყვები,
დილით თვალები გევსება ისევ,
ო, რა ტკბილია შეხება შენი
უკიდეგანო რისხვების სივრცე.

მიძლებ თამადას, ექიმს და პოეტს,
შენი არჩივი ეს არის კარგო,
ასი წლის მერე, როცა მე წავალ
და შენ დარჩები ფიქრებთან მარტო.

იცოდე, შენს თავს არ უთხრა ჩემო,
ეს ყველაფერი ასეა რატომ,
მადლობა უფალს, რომ მიძლებ ასეთს
და შენთან ერთად ერთ სახლში ვსახლობ.

მთვრალი მეტაფორები

გავხსენი ღილი
და დავრჩი შენთან,
და ჩამეძინა,
დილისთვის დაღლილს
მზის ათინათში,
უცებ ჩამესმა.

მოუზომავი მთქნარება არღნის.
ავდექი სწრაფად,
სახელდახელოდ,
თან შეგიკარი კაბა ზონრებით,
წამოვედი
და ხიდზე მათხოვარს
ვაჩუქე მთვრალი მეტაფორები.

სულხან მამისეიშვილს

პატარ-პატარა ყველამ წამართვით,
სითბო და ცოტა ყველამ გაგწირეთ,
ჩვენ ჯოჯოხეთში ვრჩებით უშენოდ,
შენ სამოთხიდან ხედავ ქარწვიმებს.

გული დაგქონდა სავსე სიკეთით,
ეხეთქებოდი გრძნობით ნაპირებს,
ეს რანაირი დილა გათენდა,
რაღაც უცნაურ ამინდს აპირებს.

უფალმა ქვეყნად მადლით გატარა,
ხათრით გაგისკდა გულის ფიცარი,
ყველა გვიცანი პატარ-პატარა
და ჩვენ ვერცერთმა ვერ შეგიცანით...

* * *

იმ წუხანდელი ქეიფის შემდეგ,
ღამენათევი ხურდები დამრჩა,
ისიც თეთრ ხიდზე ვაჩუხე მოხუცს
და სამათხოვროდ მივდივარ ახლა.

* * *

იმ წუხანდელი ქეიფის შემდეგ,
ღამენათევი ხურდები დამრჩა,
ისიც თეთრ ხიდზე ვაჩუქე მოხუცს
და სამათხოვროდ მივდივარ ახლა.

* * *

ჩემ ბავშვობაში ნამდვილად მახოვს,
ზეციდან ბალღი მოჰყავდა წეროს,
ახლა,ამ ზღაპრის გადასარჩენად,
მინდა ლექსები დილამდე ვწერო!

* * *

გიჟივით მომნატრებიხარ
უკვე ზამთარიც მოვიდა,
შენ ერთი დამრჩი ძვირფასო,
ამხელა შემოდგომიდან...

მეობას - ოთარ სულაბერიძეს

არა მარტო სავარდოს და სამაისოს,
მიწას რჩეულს, უფლის კალთით ბარაქიანს,
ჩვენ ვუმღერით სიყრმის წლებს და მოგონებებს,
ქუთაისი სიყვარულის ქალაქია.

ძმაკაცობა, სიკეთე და სიყვარული
შენ არასდროს ერთურთიდან გაგიყვია,
უკანასკნელ კაპიკს სხვისთვის იმეტებდი,
ლუკმაპურიც ხშირად სხვისთვის გაგიყვია.

ისე, ძმაო, გიხსენებ და ბევრსაც ვნანობ,
მიწაში რომ ეტეოდე არ მგონია,
შენ სახელზე დაფიცებულ არაკაცებს
მყისეულად ემართებათ აგონია.

ისევ ყვავის ქუთაისში ბროწეული,
შენს საფლავზე ცრემლის წვეთმა მორთო ია,
ოღასკურის თავდაღმართში მოწყენილად
აკაცია ისევ მღერის ოდოიას.

კიდევ დამრჩა შენთვის სათქმელ-საკითხავი,
ჭიქას შევსვამ, რა თქმა უნდა, „უსუნთქიად“,
ქუთაისში მაისობის თბილი სიო
შენნაირად ჯერ არავის უსუნთქია.

არა მარტო სავარდოს და სამაისოს,
მიწას რჩეულს, უფლის კალთით ბარაქიანს,
ჩვენ ვუმღერით სიყრმის წლებს და მოგონებებს,
ქუთაისი სიყვარულის ქალაქია!!!

მამაჩემი

ბავშვობის სურათები თავიდან დავალაგე,
რაღაც სხვანაირად მეტკინა ანაცერი,
ნუ გეშინიაო, ხმა რომ შემომესმა,
ათასში გავარჩიე, ეს იყო მამაჩემი.

მერე მოვიყვანე ერთი თეთრი გოგო
და რომ წარვუდგინე ჩემი ანარჩევი,
ჩემს შვილს თუკი მოსწონს, მეც ხომ იმ აზრის ვარ,
თავისთვის იღიმოდა კუთხეში მამაჩემი.

სათამაშოებიც გადმოვალაგე და
აგერ, თოჯინებიც ჩემი დის ანაჩემი.
ყოველთვის გვერდით მედგა, ყოველთვის მამხნევებდა,
ყოველთვის მამაგრებდა, გულწრფელად მამაჩემი.

სახლებიც ბერდებიან, ქუჩებიც ბერდებიან,
ბერდება, რა თქმა უნდა, რაც დარჩა, დანარჩენიც.
ბავშვობის კარუსელთან, ცხოვრების მოსახვევში,
თავიდან იწერება ახალი განაჩენი.

ბავშვობის სურათები თავიდან დავალაგე,
რაღაც სხვანაირად მეტკინა ანაცერი,
ქუჩაში პაემანზე დედაჩემს ელოდება,
ბეჭებში მოხრილი, ჩემი ხნის მამაჩემი.

ცისარტყელა

ფოთლებზე სიცხე გაწოლილიყო,
ცაში ეკიდა წვიმა მძივებით,
მთვარე ღრუბლებთან ტიროდა სატრფოს,
მზეს დავარცხნილი ჰქონდა სხივები.

ეკატერინე გაბედავა

***

რომ არ ვდარდობდე ჩემი მეგობრის
ჩამქრალ თვალებს და ღია ჭრილობას,
რომ არ მძარცვავდეს სევდა მეკობრე
ჩამოქცეული ცა და ჭილოფი..
მე რომ მზე მათბობს რომ არ მრცხვენოდეს,
მაშინ როდესაც შენ გცივა დაო,
რომ არ მტანჯავდეს მიტოვებული
ჩემი ტაძრები ოშკი და ტაო..
რომ მტკიოდეს აფხაზ გოგოზე
შემოხეული ატლასის კაბა,
რომ არ მეძახდეს ასე ნამუსრი
მოძმე ერისგან მე ახალდაბა,
ჩემი ოდა და ჩემი ძარგვალი რომ
არ მეწვოდეს სულში ცეცხლივით,
რომ არ ვიფიქრო საით გაფრინდნენ
ჩემი აივნის მკვიდრი მერცხლები..
დაცემულს თუ ვერ შევეხიდები
თუ ლუკმას ვეღარ გავუყოფ მშიერს,
თუ ჩატეხილი დროის ხიდები
არ დაიბრუნებს პირვანდელ იერს..
თუ დამეძინა ღამე როს ვიცი,
სავსეა ცრემლით შენი თვალები,
თუ გატეხილი ჩემი ძმის ფიცი
არ მექცა რწმენის დასაფლავებად..
თუ არ მოგიკვდი, შენ რომ იცრუებ
და თუ შენს გამო მე არ შემრცხვება,
თუ დანგრეული სხვისი ფიცრული
თმაში თეთრად არ შემევეცხლება!..
თუ სიყვარულის სიპატარავემ
შენმა მე გული ვერ ამატკია
თუ არ მოგყევი სახლის კარამდე
არ მიგაცილე ღამე ნაკიანს..
სიცოცხლე ყველა საზრისს დაკარგავს
რად მინდა მერე ზე-ცა მზიანი,
თუ ვერ ვიცხოვრე ასე ავ-კარგად
თუ ვერ ვიქენი "ადამიანი!"

***

ზღვა ღელავს..
სოხუმს ჩაუცვამს ცისფერი ძაძა,
პალმის გამხმარ რტოს შეწირული
ჩემი ბიძების
სისხლის სუნი სდის!
ზღვა ღელავს..
მაგრამ
ისეთი უმწეოა ვერ აქრობს ხანძარს
და ვიწვი ცოცხლად..
დაკარგული ჩემი მიწების
წამებით..
დაიბრუნეთო
მოსვენებას არ მაძლევს ღამ-ღამ,
ბაბუა...
როგორმე უნდა მოვიშორო-თ
სულიდან დამღა...
ზღვა ღელავს..
ისევ ისე..
ისევ ისე..
ისევ ძაძაში
შემოსილია და აფხაზი უზის კალთაში..
რუსმა რომ გუშინ დააობლა
დებით და ძმებით..
დედა და მამა შეუმოსა შავი ძაძებით...
და მე...
და ჩემი ახალდაბა..
ჩემი ტკივილი..
ვდუმვართ...
ვდუმვართ და სული ხორცში გამოკერილი
დაგვაქვს...
ზღვა ღელავს...
ღელავს...
მემატება დამღა დამღაზე....
მე ქართველი ვარ ჩემო ძმაო,
ჩემო აფხაზო,
და ჩემს მიწაზე
ბიძაჩემის სისხლით დამბალზე
შენ დააბიჯებ...
და მე ვტირი ახალდაბაზე....
ზღვა ღელავს...
ღელავს...
მეც ზღვასავით ვღელავ დობილო..
ვერდატირებულ ძმებს დავეძებ
გულდალპობილი...
იმ ორღობეში
სადაც ფეხი ერთად ავიდგით...
სადაც ბაბუამ სათამაშო
სახლი დაგვიდგა
უჩემობის და უშენობის
ცოდვით დამწვარი
დაძრწის და გმინავს
უპოვარი
ქარი აშარი..
ზღვა ღელავს..
ღელავს...
ლურჯ ძაძაში
და ცას აშავებს...
და ჩვენ ყველანი ამ
ტანჯვაში
ვართ დამნაშავე!
და გვეძახიან წინაპართა
წმინდა სულები
გადავარჩინოთ ერთმანეთი
დაკარგულები....
სანამ ჯერ კიდევ არ არის გვიან!...

ცირა ოქროპირიძე -
დაბადების ადგილი გორის რ-ნი სოფელი დისევი.
მსახიობი, ლანდშაფტის დიზაინწრი

როცა გიწამე

იცი?
მე მართლა შეგიყვარე,
ჩურჩულით დამცდი,
სურვილებს გასცდი,
ნაწვიმარი ქუჩით გიდარდე.
მთვარე გაწითლდა,
შეიმოსა სიჩუმის ლანდით,
დღე ღამედ იქცა,
მიწა ზეცად,
ზე ცად მიწა მე
და ვეღარ გზიდე ვეღარც წვიმად,
ვეღარც ფიქრებად,
მაგნოლიების სურნელებით
შევრჩით მირაჟებს,
შენი თვალებით
ჩავუსახლდი გრძნეულ
ავატარს,
შენი სურვილით
შევეფარე ციურ ნიაღვრებს,
ციდან ფიფქებად ავირიე
გარდავისახე...
ვარდისფერ ნისლში დავიფურცლე,
გარდავიცვალე,
ვარდი რა იყო,
სურნელებად
შემოგისახლე,
მერე წავშალე ყველა ბგერა,
ყველა ჩურჩული,
სულით ზეციდან ჩაგისუნთქე
კუბოს ფიცრამდე!
ქარს მოვარღვიე ყველა ნოტი,
ყველა სიზმარი,
სუნთქვა რა იყო,
არეული მარტით გიწამლე.
და შენს ტუჩებზე
ალუბლების ცრემლით დავეშვი
შენი თვალებით
ღვთაებრივი
როცა ვიწამე!

თოვდა...

სუნთქვა ალაკრული
ფიქრი,
სული ვარდისფერი
ბოდვა,
ობლად დარჩენილი
ცრემლი,
ისლით შემოსილი ოდა!
მერე გაზაფხული
ფეთქვით
ნუშის ფანტელებში
კრთოდა,
მე შენს სიყვარულზე
ვწერდი,
თეთრი სიმარტოვით
თოვდა!
სულის გარდასახვად
ცრემლი,
მეტი არაფერი მქონდა!..
მე შენს მონატრებას
ვთმობდი,
თოვდა, თოვდა, თოვდა,
თოვდა!..
გრძნობა იისფერი
ღმერთი,
სული - ისლისფერი ოდა,
იქნებ ბოდვა იყო ჩემი,
იქნებ ნეტარებით თოვდა!
სუნთქვაც აფრენილი
ცამდე,
ღამეც ფრთებს ისხამსა,
ჰოდა...
მე შენს ნაფეხურებს
ვგრძნობდი,
ო, რა უსაშველოდ
თოვდა!

ღმერთო შეიწყალე წამი...

ღმერთად ჩამისახლდი სულში,
სურნელს სიახლოვით მამცნობ,
ზეცა შენს თითებზე დამრჩა,
წამი ვარსკვლავივით ანცობს.
ფიქრი უსხეულო კალამს
ღამის ზამბახებში აწობს,
სული ატირდება ნისლში,
ისევ მონატრება გაგვყოფს...
ისე მოწყალეა სევდაც,
ისე კარგი ხარ, რომ ვდარდობ!..
მხოლოდ შენში მინდა ვდუმდე,
შენში ვხმაურობდე მარტო!..
მზეო, შეიწყალე სუნთქვა ჩემი,
არასოდეს დაგთმობ...
იცი?! სიყვარულის ზღაპარს
შენთან ვიწამებდი მარტო!
ღრუბლებს შევაძულე ცრემლი,
წვიმა სეტყვასავით მაკრთობს,
ისევ არითმია სუნთქვის,
ლამის ტკივილამდე მახრჩობს!
უხმოდ აჯანყებულ სიტყვებს,
თითქოს ჯოჯოხეთზე ვამყნობ,
სრული ანშლაგებით გეძებ...
არა, აღარ მკითხო, რატომ?!
სულის ნაპრალებში მატანს,
თითქოს მოქცევაა ახლოს,
ვარღვევ ბედისწერის მიჯნებს,
მხოლოდ შენ ერთადერთს განდობ!
ახლა აღსარება ჩემი
მხოლოდ შენს სურვილში სახლობს,
ღმერთო, შეიწყალე წამი -
ზოგჯერ სიგიჟესთან ახლოს!

გურამი სახვაძე - გემოკვების ინჟინერი
დაბადების ადგილი ხარაგაული

გოდებს ათენი

ათონის მთიდან ცრემლი სდის
გოდებენ წმინდა მამები,
დაგვიბრუნეო ღირსება
უფალო გემუდარებით.
- ბერძნებს შეერყვნათ სახელი
ქრისტიანული გაგებით,
ერთსქესიანთა ქორწილის
მათ ქვეყანაში ჩანერგვით.
აღტკინებულან ყველანი
ჰგმობენ შეცდომის დაშვებას,
ხელისუფლება დუმილით
ნიღბავს მის თავის ჩაშვებას.
აწი რა უნდა ვიწამოთ
მიწიდან ბრდღვინავს პაპანი,
ბერძნები იყვნენ რომ ვიტყვით
საქრისტიანოს ლამპარნი.
ევროპას სოდომ გომორი
იპყრობს, და გასცქერს აზიას,
რა რწმენითაც ვართ გაზრდილი
ნუთუ ყოველი ფარსია?

ჩვენ ვინღა გადაგვაკეთებს
მოვკვდებით ამგვარ რწმენაში,
მაგრამ მომავლებს მოუწევთ
მტრისგან ატანა რევანშის.
უფალმა არვინ მოგვასწროს
ჩვენშიც მსგავსი რამ დაიშვას,
და ბერძნებივით გოდება
აქედანაც არ გაისმას.
ყველაფერს უნდა ველოდოთ
ლიბერალების მეთოდით,
კარგი საქმე კი მემგონი
გაქრება მათთან ერთობით.
- მე როგორც ერთი ქართველი
ამას გეტყოდით ჩემებო,
ურემს როდესაც ტვირთი აქვს
მას უნდა წამოვეშველოთ.
თორემ წაქცეულ ხარს მერე
ყურებში ქაჩო რამდენიც
მომთავრებული ექნება
მტერს მიზნებიც და სათქმელიც.

მიიწურა იანვარი

მიიწურა იანვარი
ყინვიანიც, მზიანიც,
თოვლიც გვქონდა,
ქარიც მაგრამ
იყო ხალისიანი.
ბევრ ლამაზ დღეს შეგვახვედრა
ვერსად ვტევდით ბარაქას,
თვით ახალ წელს, ბედობის დღეს,
შობასა თუ კალანდას.
საახალწლო ემოცია
გაისამდე გაგვყვება,
იბრწყინვალეს ქალაქების
ქუჩებმა თუ დაბებმა.
შემდეგ ნათლისღება იყო
ბავშვებს ეცხოთ მირონი,
გასანათლებს ვერ იტევდა
მტკვარია თუ რიონი.
აგერ ეხლა წმინდა ნინოს
ხსენების დღეც ავღნიშნეთ,
ჯვრის მადლით და ქრისტიანულ
რწმენით უფრო აღვივსეთ.
დღეს იანვრის ამ ბოლო დღეს
მადლი უფალს პირადად,
რომ ერთ - ურთთან ჩახუტება
გვიხდებოდა ნიადაგ.
კიდევ უფრო დავვახლოვდეთ
მოდის თბილი თვეები,
იღიმილეთ ქართველებო
თქვენ კი შემოგევლებით.

შ ე გ ო ნ ე ბ ა

კაცმა იმგვარად უნდა
იღვაწო
როგორც რომ სუფრის
კარგმა თამადამ,
განცდებშიც იყო, თან
იღიმილო
მაგრამ გეჭიროს თავი
ამაყად.
უნდა ეცადო არ შეგეშალოს
ბევრი გიცქერს და
თვალია ხარბი,
ყველა შენს პლიუსს
წყალს გაატანენ
ერთ შეცდომასაც
გპატიებს არვინ.
სხვებზეც იზრუნო,
შენს საქციელზეც
და მასზეც სუფრას
როგორ წარმართავ,
ყველა თამადას მე
კარგ კაცად ვთვლი,
და ყველა კარგ კაცს
კიდევ თამადად.
ნუ აგამჩატებს სიტუაცია
კონტროლზე გყავდეს
მუდმივად თავი,
კარგი როცა ხარ
როგორც ღირსეულს
ისე გიცქერის ამდენი თვალი.

მ ო ნ ა ტ რ ე ბ ა

ეხლა შენზე ვფიქრობ
ჩემო მაგნოლია
წვიმის ფარდის იქით
ნათლად მესახები,
წვიმა გადაღებას
არც კი ეპირება,
მე კი უკვე ასე
ძლიერ მენატრები.

წარღვნად ჩამოიქცა
ზეცა მოქუფრული,
თითქოს ეს წვეთები
გულზედ წკაპუნებენ,
ჩემი თვალები კი
ისევ გეძებენ და
წვიმის ფარდის მიღმა
სივრცეს გაჰყურებენ.

ამინდს შეუძლია
გარეთ გაგიტყუოს,
გული გაგიმჩატოს
სევდით დაცხრილული,
ასეთ თავსხმაში კი
აბა სად გეძებო
წვიმის ფარდებია
ირგვლივ დაკიდული.

ხეც დაბერდა

დაბერდა ჩვენი
დიდი კაკლის ხე
ჩვენი ბავშვობის
თავშესაფარი,
მაშინ როდესაც
ჩვენ გვიფარავდა
დღეს თავად არის
მიუსაფარი.
ხავსს დაუფარავს
მისი სხეული
შემხმარ ტოტებში
მზე სჩანს მცინარე,
ზოგი მათგანი
სულ მოსტეხია
ასაკისაგან
გამომდინარე.
მოგონებებში
ვაცოცხლებ ეხლა
იმ ლამაზ წლების
იდუმალ ამბებს,
პატარობისას
რომ ვუყვებოდით
ერთმანეთს ტკბილ და
საამო ზღაპრებს.
იყო გულწრფელი
სჯა და ბაასი
ემოციების აშრიალება,
ეს ვებერთელა
კაკლის ტოტები
თავზე რომ ნაზად
დაგვშრიალებდა.
თუმცა ასაკმა
როგორც ჩვენ ყველას
მასაც დაატყო
თავისი კვალი,
დრო ულმობელი
არის ხისთვისაც
დრო ტკბილი, მაგრამ
მაინც მზაკვარი.
ამ კაკლის მსგავსად
ჩვენც შევიცვალეთ,
ბევრია ხესთან
ჩვენი მსგავსება,
ვბერდებით მაგრამ
სანამსაც ვცოცხლობთ
ჩვენი ბავშვობაც
გულში დაგვრჩება.
ალბათ ამ ხესაც
ბევრი რამ ახსოვს
გული ხომ ყველა
ხეს აქვს უკლებლივ,
მაგრამ რადგანაც
ვერ მეტყველებენ
რჩებიან სიტყვა
ამოუთქმელნი.
დღეს სინანულით
ვუცქერ საბრალოს
შემხმარ ქერქზე რომ
უჩანს ბზარები,
და როგორც იმ ჩვენს
ლამაზ ბავშვობას
მასაც ფიქრებით
ვეთაყვანები.

არ დაივიწყო ვისი გორის ხარ

ოჯახს და მოყვასს
ქართველებისთვის
აქვს უჩვეულოდ
დიდი დატვირთვა,
ის იმნაირად
ახლოა ჩვენთვის
განმარტებები
მგონი არც გვინდა.
მაგრამ მოზარდებს
თუ დასჭირდებათ
უმჯობესია
კიდევ განვმარტოთ,
ოჯახი ჩვენი საცხოვრისია
რომლის წევრებით
მუდამ ვამაყობთ.
მშობლებს, და- ძმებს და
ბებო - ბაბუებს
მივიჩნევთ ჩვენი
ოჯახის წევრად,
მნიშვნელი არ აქვს
ამ შემთხვევაში
ცალკე ცხოვრობენ
თუ ჩვენთან ერთად.
- ხოლო მოყვასი
გახლავთ ის ხალხი
ვისგანაც ვიღებთ
შვებას და ლხენას,
ნათესავიდან
მეგობრის ჩათვლით
ეს შესატყვისი
ერგება ყველას.
ეს ის ხალხია
ჭირში რომ გვკურნავს,
ლხინში კი უფრო
გვმატებს მზიანეთს,
და დამცავ ფარად
გვევლინებიან
ჩვენ, მათ მოკეთე
ადამიანებს.
ოჯახი მაინც წინ დგას
მოყვასზე
თუმც უმოყვასოდ
ვიქნებით ბრალი,
რადგან ჩათვალეთ
უთვისტომოა
ყველა ასეთი
კაცი თუ ქალი.
და თუკი ვინმე
სინდის გამდგარი
პატივს არა სცემს
საკუთარ ოჯახს,
ის ვერასოდეს
ვერ დააფასებს
თავის ეთნოსს და
თავისვე მოყვასს.
ამიტომაა ეს ორი მცნება
ქართველებისთვის
ასე მთავარი,
და ვისაც მათი
არსობის სჯერათ
ჩვენს გულებშიც აქვთ
თავშესაფარი.
თუ კარგ ქართველად
მიიჩნევ შენს თავს
უნდა გესმოდეს
კიდეც სიტყვები,
და სადაც წახვალ
შენი ეთნოსის
დამფასებელი
თავად იქნები.
- არ დაივიწყო
ვისი გორის ხარ
ებრძოლე ბედის
ტრიალა ბორბალს,
რომ სათანადოდ
არგოდე მამულს,
შენ ოჯახსა თუ
შენივე მოყვასს.

გ ა მ კ ვ ი რ ვ ე ბ ი ა

სიყვარულით გაჟღენთილი გული-
ვეღარ უძლებს გულგრილობას ამდენს,
ქართველების უღმერთობა მტანჯავს,
მათი ქცევა ზოგჯერ ცრემლსაც მადენს.
რად არ ეწვით გაყიდული სული,
რად არ ეწვით შერცხვენილი სახე,
ფეხქვეშ უნდა ეცლებოდეთ მიწა-
ვინც ცდილობენ ერს დაუგონ მახე.

* * *

აჰა მე - 5 ტომიც
ხელთა გვაქვს
ვხარობთ ერი და
ვხარობთ ეთნოსი,
ყველაზე მეტად
ჩვენ ვართ ამაყნი
ჩვენ, პოეტები
საქართველოსი.
მომილოცნია
ძმანო და დანო,
ყველა აქ მყოფნო
და არა მარტო,
წიგნის შემქმნელო
რედკოლეგიავ
გაწეულ ღვაწლს რომ
ნამდვილად გმადლობთ.
ღმერთმა დაგლოცოთ
თვითოეული
გამკლავებოდეთ
საქმის ატანას,
ამ წიგნებისთვის
განსაკუთრებულ
მადლობას გიხდით
ჩვენო მანანა.

წიგნი კი მართლაც
ღირებულია
გემახსოვრებათ
მე ადრეც ვაქე,
კრებულებს შორის
უკრებულესი
და რომ იტყვიან
ბეჭვდითი სახე.
დაბეჭდილიყოს
აწ და მარადჟამს
და ხალხის გული
მართლა გაეთბოს,
ახალ - ახალი
ავტორები კი
თანდათან უფრო
მეტი გაგვეცნოს.
ვწეროთ ჩვენებო,
ჩვენო მკვიდრებო
სისხლხორცეულად
ქართულო გენო,
ვწეროთ იმაზე
როგორ თანდათან
მშვენიერდება
ეს საქართველო.

ვწეროთ თუ როგორ
დავჯაბნეთ მტერი
რომ არ ავყევით
იმათ სურვილებს,
და სხვებიც ისე
გაწბილდებიან
ვინც მსგავს სურვილებს
მოისურვილებს.
დღეს ამ დარბაზში
ზეიმის დღეა
თქვენ მონა მორჩილს
გული მიხარის,
მიზეზი კიდევ ეს წიგნია და
ყველა თქვენგანი
დღეს აქ ვინც არის.
არ დაგვლეოდეს
მსგავსი დღეები
წინსვლა გვქონოდეს
სახლში თუ გარეთ,
რომ გიცქერივართ
მეიმედებით
გენით ქართველნო,
თქვენ გაიხარეთ!

ბატონი ვაჟა

ვაჟა აზარაშვილის ხსოვნას

ერის ტკივილს
საზანდარის მსგავსად
აჰყოლია მწუხარებაც ჩემი,
ჭირში ცრემლი
შვებაარ მაგრამ
დიდ მაესტროს
ვეღარავინ გშველით.

საცხონებელს
არ მოგაკლებთ ღმერთი
ერი კიდევ
ტკბილ სიტყვებს და სანთელს,
გწამდეთ, მარად
ცოცხლად რჩებით ჩვენთვის
ქართველების
დიდო მოამაგევ.

ა რ ა მ ი ი ყ ო ს

მხოლოდ უფალმა იცის სიმართლე
რაც ჩვენს გარშემო მოხდა და ხდება,
და კიდევ კარგი მან მაინც იცის
კაცობრიობის ჭირად თუ ბედად.
ღმერთმა ის იცის რაც სხვამ არავინ,
და საიდუმლოდ გულში ინახავს,
მაგრამ რომ გასთქვას ეს საიდუმლო
სად გაგონილა ან დაგვინახავს?
უფალი მისხალ - მისხალ აგროვებს
ყველას კარგ საქმეს თუ ორგულობას,
ვინ ასახელა მისი ეთნოსი
და ვინაც არცხვენს მის ახლობლობას.
თუმც ზოგი ისე ზღვარს გასულია
გასცდა ზნეობის ყოველგვარ შკალას,
რაც არ ეშლება უფალს კი არა
როგორც იტყვიან უბრალო ხალხსაც.
ვაფრთხილებ ყველა მტერსა და ორგულს
(ჩვენივე ხალხზე მაქვს საუბარი,)
არ მოსწონს ღმერთს და
არც კარგ ქართველებს
თქვენი ქმედება თუ ნაუბარი.
ბილწსიტყვაობა, ღვარძლი, სიცრუე,
ქვეყნის წინსვლაში დამუხრუჭება,
თქვენი უნარი და საქციელი
წლებია მხოლოდ ამას უნდება.
ეს იცის ხალხმაც, ერმაც და ბერმაც,
და გიხედებათ მაღლით უფალი,
ყოველგვარ კეთილს მასე რომ მტრობთ და
გახდით სატანის ჭირისუფალი.
მაოცებთ ასე როგორ უარყოფთ
ტრადიციებს და ერის ერთობას,
და თუ არა და გამყიდველობა
სხვა რა დავარქვა თქვენ გემოვნებას?
აღარც ქრისტე გწამთ,
არც სულიწმინდა,
აღარც ჯვარი და აღარც ეთნოსი,
და მასე წამხდართ თავები მოგაქვთ
პატრიოტებად საქართველოსი.
არამი იყოს თქვენთვის ეს მიწა,
ეს ცა და ყველა მადლი ქართული,
რადიკალურად ვისაც არ მოგწონთ
ჩვენი ადათი და სიყვარული.
თქვენ ქართველობის ღირსნი არახართ
თქვენთვის ზიზღს იწვევს
ჯვარი და ხატი,
გაქრით საერთოდ ამ ქვეყნიდან და
ვინც გაფინანსებთ იქ გადაქარვდით.

ს ა ყ ვ ა რ ე ლ ხ ა ლ ხ ს

იკოპწიავეთ გაზაფხულივით
და თქვენი ხიბლი დაატყვეთ არეს,
ო, როგორ მინდა ჩვენს საქართველოს
თქვენნაირები რომ ბევრი ჰყავდეს.

გაგა გომართელი -
სამართალმცოდნე, დიპლომატი
დაბადების ადგილი - ქალაქი თბილისი

1 / 8

ჩემს მომავალ თაობას

ახლა ჩემი ფიქრები მომავლისკენ გარბიან,
დამიჯერეთ, ქართველის ყველა ფიქრი დარდია,
სიბერისკენ წასული ვარ ნამცეცი თაობის
უბედური ეპოქის, მდგმური არარაობის.
ავი დროის ტუსაღი, სისასტიკის მთხრობელი
დროის უკუღმართობის ყინვით გაუთბობელი,
ქრისტეს ასაკს მიმდგარი, გონება დარღვეული
ერთ დროს სხვისი ჯალათი, სული გადარეული.
თავს ვიმართლებ, ასეთი ბედი ჭედა დროებამ
ცხოველივით გამქონდა ნაცრისფერი ცხოვრება,
ახლა ვხვდები ყველაფერს, მაგრამ არის გვიანი
ყურთან ღმერთის ხმა მესმის, შენ ხარ ადამიანი?!-
სინანულის მჭამს განცდა, ყველა ნამოქმედარის
მინდა სული გავრეცხო, ღმერთის გავხდე მხედარი,
მაგრამ ერთხელ დალაქულ ვეღარ ვშველი გონებას
უბადრუკი ცრემლები, აი ჩემი ქონება!
ზამთარია ჩემს გულში, სევდისფერად მთოვარი
აი ჩემი მეფობის, ოქროს მონაპოვარი,
ახლა ვხედავ ავსა და სიკეთეში სხვაობას
ჰოდა ,გემუდარებით ჩემს მომავალ თაობას .

უფლის კვალზე იარეთ, ნაცვლად ძმათა ომისა
მორჩილებით შეაღეთ კარი ამბიონისა,
გონება არ დაუთმოთ ცოდვას ,ფიქრად მოწოლილს
ბოროტებას ნუ დარგავთ, ჩაიხუტეთ ობოლი!
2 / 8
რწმენით, მამა-პაპურით ახათქუნეთ თასები,
კაენს ნამოქმედარში ნუღარ დაემსგავსებით,
სულს ცოდვა გამოგლიჯეთ, ყური კეთილს ათხოვეთ
საქართველოს დიდების ჟამი მოიახლოვეთ!
გახსოვდეთ, რომ ამ ქვეყნად არარსებობს პირადი
ლუკმა გაუნაწილეთ, მიუსაფარს, მივარდნილს,
ჭეშმარიტი გზის მკვლევად, ერთი გქონდეთ კომპასი
სადაც სიყვარულია, სადაც გიხმობთ მოყვასი!
გონაბნეულ ასულის, დევნა არის საცდური,
ჩანასახში ჩაკალით საქმე არაკაცური,
პატიების მომთხოვნელს, მუშტებს ნუ მოუღერებთ
ტყუილს ნუ გაამეფებთ, ნამდვილ გრძნობას უმღერეთ!
კუპრის ტბორში ჩაფერფლილს, გამაგონეთ ძახილი
სამშობლოსთვის ნალესი, დამანახეთ მახვილი,
ჯოჯოხეთის ქვესკნელში გამაგონეთ შავლეგო
მინდა სულმა ქართულმა, საზვერენი წალეკოს.
მჯერა, მეიმედება, რომ გოლგოთას გაივლით,
ქართულ სულსაც დაანთებთ ცაზე ჩირაღდანივით,
არ დაკარგოთ ოღონდაც ძლიერება, ერთობა
ერთმანეთის სულისთვის უფალს სთხოვეთ შენდობა!
გულით მიუსამძიმრეთ, სევდას ცრემლად ჩამოშლილს,
სუნთქვა გადააფარეთ, დედის ხელებს გათოშილს,
დამანახეთ ქართველი ,ერი როგორ აშენდა
ჩამომძახეთ რომ დილა ბედნიერი გათენდა!
მამა-პაპის ნასისხლარს ფუჭად არ ჩაუვლია
რომ ქართველის მოშურნე ყველა დამარხულია,
გუნდმა შევარდენების, გული შემომინგრიოს
ვისაც შური აცოცხლებს, შურიც იმან იძიოს
თქვენ კი მიტევებასთან მოახდინეთ თანხვედრა

ირაკლი დარძული
ახმეტა, ვეძები პედაგოგი

ვიდრე ბოგინობს

ვიდრე ბოგინობს ავაზაკი, მკვლელი, მპარავი,
ბევრი რამ ხდება უსაშველო და შემზარავი
/ჩვენი თვალისგან დაფარულიც, დაუფარავიც/,
ღმერთის გარდა რომ განმკითხველი არ ჰყავს არავინ
    და დანაშაულთ საკუთარი ჰქვიათ სახელი,
გარკვეულია ბრალეული, მსხვერპლიც, სამხილიც..
ბევრს სჯიან, ბევრსაც ჰპატიობენ მუდმივ ან ვადით
/დე ეპატიოთ, უნებლიოთ ვინც ცოდვას სჩადის/.
    მაგრამ ვინც ხელი აფათურა ურცხვად ჩემს სულში
ვინც მაშვრალს წყალი მომიტანა, თან დააქცია,
ვისაც გულებზე ნადირობას არავინ უშლის
და სიყვარული გასართობად გადააქცია,-
რა ჰქვია ასეთ დამნაშავეს, ღმერთო ძლიერო,
და თუ ღირსია, შენ მიუზღე სამაგიერო.

ქართული ენა

რა რიგ სხარტია ენა ქართული,
ყოველ ნააზრევს მიწევნით რომ ესადაგება;
ენათა შორის ამაყი და წელგამართული-
ლაბირინთებში რომ არ უჭირს გეზის გაგნება.

წიწამური (1987)

საქართველოვ, გაფიცებ შენს წყალსა და პურს,-
ეს არც უფლის ნებაა, არც შვილთაშვილს გვსურს,
ტოტსა ზედა მჯდომარენი მასვე ვცემდეთ ცულს!
ნუ გასწირავ ამაოდ მის ღვთაებრივ სულს.
ნუ, საკუთარ სინდისთან ნუ გამართავ ომს,
მანდ ხომ მცხეთის ჯვარია, სძინავს მეფე-ლომს
და ეგ ერთი გასროლაც მისთვის კმარა, რომ
ნაკრწანისალ ჭრილობებს ვერ უწამლოს დრომ.
ბედისწერამ იმარჯვა,-ეღიმება მტერს..
ერი?
ერი ცოცხალია დღეგრძელობა ერს!
ბაზალეთით ჭაბუკური ხმაც ძალუმად ჟღერს:
დრო მოდის და ჩამოგბანო მაგ სისხლსა და მტვერს!

რა უნდა იყოს?

ის ამ ბუნების შვილია, ერთ-ერთი მისი მშვენება;
ჰაერით სუნთქავს, არა-და, უმისოდ რა ეშველება?1
წყნარია ალერსიანი, თუ ჩრდილში ყოფნა ენება,
თუმცა სჩვევია სიშმაგეც, ნგრევა და არა-შენება!
(თუ რამე მოაქვს უკანვე მიაქვს და მიეჭენება).
მისთვის სიკვდილი ძილია, ცელქობს, არ მოესვენება.
არც უყვარს, როცა დაცხება, ტანზე მზე მოეფერება,-
მაშინვე ზღვისკენ გაქუსლავს, ტალღები კეცოს ფენებად.
იგი ბუნების შვილია, ერთ-ერთი მისი მშვენება,
თუმცა ვერც ცხადად იხილავ არც ძილში მოგეჩვენება.

ვინ უნდა იყოს ვაჟაის მეტი! (1968წ)

რად სდუმან ხევსურთა შვილებ-გულცხელები,
ფშაველთ რად ჩაქინდრეს თავი..
კიდევ თუ წაასხა მუცალმა ცხენები
ქავს მოჭრილ მკლავებით რთავენ!
მართლა არ-თუ ინდობს მოძმეებს აფშინა,
თათრები იკლებენ კახეთს...
ამბობენ, წიწოლა მტერმა შეაშინა,
ვინ მოჰბანს მურიან სახეს?
რად მიწყდა ლაშარში ლხინი და ზარის ხმა,
რად-არ ჰკლავს ალუდა კურატს?..
დაჯარდნენ, დაჯარდნენ, აბჯარი აისხან,
ვისაც კი ბიჭობა ჰგულავს!
სადა გყავთ ლუხუმი ან ქალი ლელაი,
მინდია უწამლებს წამალს..
მოუკლავთ ზეზვაიც, კვირიაც, ყველაი
უდროოდ საფლავში წვანან.
დაჭრილა არწივი, ობოლი მართვენი
სალი კლდის ნაპირზე სხედან..
აღსდექით, გამოდით, ვინა ხართ ქართველი,
ვის უყვარს სამშობლო დედა!
ვაი, რომ სიცოცხლეს ტანჯვით ამთავრებენ,
აქ ცხენი წაექცა ტატოს..
და, მაინც, მყინვარზე ილიას თვალებით
აჩრდილი მიჰყვება ტატნობს!
და მაინც არაგვზე ირევა ღურბელი,
მთით ხარის ბუბუნი ისმის,
გალაღდი, მამულო, ზენაქარ უბერავს
ვაჟაის ხორცის და სისხლის!
უსმინე, მამულო, მთანი რო ხვივიან,
წყალნი რო კლდის ლაგამს წყვეტენ,-
ვაჟაის ხმა არი ,იმის ძახილია,-
ვინ იზამს ვაჟაის მეტი!

...აღარსად ტირიან ბნელ ხევში იანი,
დარიალს წაჰკიდეს თვალი,
ინათა, არაგვზე მზემ დაიგვიანა,
დგანან და ელიან მთანი!
წიწამურს დაღვრილი სისხლი კვლავ ცხელია,
ჩარგალში ობლდება ლექსი
მთანი კი დგანან და ისევ გმირს ელიან
თავიანთ კაცური წესით.
ამბობენ მას აქეთ ჟამი-ჟამ შოთაი
ჩარგალში ფიხონზე დადის
და ლომგულს წინაპრებს სამშობლოს მოთავედ
დაჰყვებათ თამარის ლანდი!

საყდრისის საგალობელი (2015)

ჩვენი ღირსეების საყრდნისი, სიმბოლო უძველესი,
ათასწლეულთა წიაღში შორს გატანილი ფესვით,-
ამოვძირკოთო საყდრისი,- ხმა სატანური გვესმის!
ძმებო, რა უნდა დაგვმართონ ამაზე უარესი?
უნდა დუმდესო სიმართლე, თუ ოქრო სიტყვას ამბობს;
ეს მოწოდება იმათი მოგავს იუდას ამბორს.
თუმცა ზეციდან მხნეობით გვმოსავს ექვთიმეს სული:
იმაგრეთ, რომ მოიმკოთო კეთილი დასასრული!

პ.ს.
ქველმოქმედს გველმოქმედებაც არ დავუნახოთ-ძნელია,
მის დაპირებულ სამართალს დღემდე რომ უქმად ელიან
და დაქცეული საყდრისიც ბანკებით საძებნელია...

პ.ს.
რაღაა იგი სინათლე, რასაცა ახლავს ბნელია?!
(ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია).

ვაჟას (1965)

მთასთან სახლობდა და მისი ეშხით
ცას სვამდა პეშვით როგორც არაგვი,
მთა კალამივით მოსდევდა ხელში
და ლექსს ავსებდა მისი ბარაქით!
ლტოლვა ფარული ვერ სცვლიდა არჩივს,
თუმცა გხიბლავდა შვება ბარული,
და მთებში არჩვის მეზობლად დარჩი
ყველა ტკივილით და სიყვარულით.
ნიავის სუნთქვა გაიზიარე,
დასწვდი ბალახის იდუმალ სიმებს
და სიმღერებად აამზიანე
ბუნების ფერთა ხმა მოციმციმე.
ღამეებს სტეხდი დაჭრილ არწივთან
და ნუკრს უმწეოს ასმევდი წყაროს;
გულში იების ცრემლით გაწვიმდა
პატარა მთა და დიდი სამყარო.
გხიბლავდა, მიწას მკერდი რომ უხურს
და მთას ირმები ლაღად ჰყვირიან,
ლაშარის გორზე შემომდგარ ლუხუმს
გზას უნათებენ მზეც და კვირიაც.
მდინარე რომ ღრღნის კლდეების ლაგამს
და შენს მუხლმაგარ ლურჯას გზა ვერ ღლის
და მკერდით არყის ჩურჩული დაგაქვს
როგორც მთებს სდაგავს ამბორი მეხის.

***

ო, რა დიდია უფლის რწმენა და ლოცვის ძალა,
დაბადებითვე ბოძებული ნიჭად და ვალად,
რომ აღვასრულოთ ყველა ჩვენი კეთილი ნება
წრფელი გულით და მხურვალე ლოცვისდა კვალად.

ძისადმი(2003)

ციდან აგელოსთა მომესმა გალობა
და ვიქეც ღაღადად,
რამეთუ უფალმა მოიღო წყალობა,-
ლოდინში ამაოდ არ შემომაღამდა.
იშვა ძე, ძე იშვა-ნამცეცა პატარა
და თავი იმწამსვე ქვეყანას გააცნო!
გულებში იმედის მზე გამოადარა
ყრუ სევდის სანაცვლოდ.
დაგლოცავ, პატარავ იცოცხლე ილაღე;
დაე სიკეთისთვის სიკეთეს იმკიდე.
ვინძლო, შენს სამშობლოს შემატო სმაღლე,
ხოლო დედამიწას-სიდიდე!
ცხოვრების გრძელ გზაზე მარადის
მადლი ღვთაებრივი გფარავდეს.

ბედნიერება

თუ შენი თავის მეუფე შენ ხარ
და ყოველ დილას იმედით შეჰხარ,
თუ ქვეყნად ბრძოლის ხალისით იშვი
და არა გნუსხავს მომავლის შიში;
თუ გულით მხნე ხარ, სულით-ძლიერი,
იგულისხმე, რომ ხარ ბედნიერი.

სიცოცხლის არსი

ამქვეყნად ჩემი სიცოცხლის არსი
იზომებოდეს, დაე, თუნდ ასით;
ოღონდ მუზებო გონების თასით
გაუკვდავების იმედი მასვით,
რომ გარდაუვალ სიკვდილის შიშმა
არ დაუკარგოს ჩემს რუდუნს ფასი.

ღიმილი

ის ჩანჩქერივით ხარხარებს?
-არა!
ეგებ კისკისებს ნაკადის დარად?
-არა!
ის წყაროდ გადმოდინდება
და გარეშემოს ყვავილით ფარავს.
მოეწონებათ
და მას ანკარა
თვალებით კრეფენ, კრეფენ ტუჩებით...
ხელი უხეში თუ მიეკარა, გაიფურჩქნება?
-დაჭკნება მარად!

ესენინს

ველებში თივის სურნელით მთვრალი
ქოჩორს დაიგლეჯს ბაბუაწვერა;
ციკლოპის ღამე კი ერთი თვალით
გიცნობს ქალაქშიც, ვით ბედისწერა..
ფანჯრის მინებზე დასერილ თითებს
შეაწმენდს შენი სულის კლავიშებს
და როცა უშრეტ სენს შემოინთებ
ლექსი საფლავშიც აღარ გაიშვებს



გიორგი ბერძნიშვილი- მხატვარი-გრაფიკოსი
დაბადების ადგილი თელავი

შენ, საქართველოვ, მარგალიტო რჩეულთა შორის

შენ, საქართველოვ, მარგალიტო რჩეულთა შორის,
მზეს შენს მთა-ბარში სამუდამოდ დაუვანია,
აქ, შენს მამულში შობილი და გაზრდილი კაცი,
თვით მამაუფალს მეცხრე ცაში აუყვანია.
    რუსთველის დონეს ვერვინ შესწვდა ოდითგან დღემდე,
ვაჟა-ფშაველას გაუტოლდა ვერავინ ბრძენი,
დღემდე ვერავინ ითამარა მეფეთა შორის,
პატრიარქი გვყავს ბერთა შორის პირველი ბერი.
     მთელმა მსოფლიომ ითავისა ქართული სიბრძნე,
გალაკტიონის უზადო ნიჭს ბევრმა შენატრა,
ჩემო ქვეყანავ, შენ გაზარდე დიდი ილია,
დღეს შენს მამულში რომ ანთია უქრობ კელაპტრად.
     შენ, საქართველო, მხრებზე გედგა შრომის უღელი,
მემატიანემ შეგვინახა საქმე ყოველი,
 საუკუნეთა დატოვილი დიდი მადლია,
ბაგრატიონთა საფლავები სვეტიცხოველის.
    შენ, საქართველოვ, მარგალიტო რჩეულთა შორის,
პოეტის სიბრძნევ, მხცოვან მგოსნის თავნეტარებავ,
უხსოვარ დროდან ჯადოქარის დაგყვება ძალა,
შენს თილისმას კი ავი თვალი არ ეკარება.

ჩემო მშობელო ქვეყანავ!

ჩემო მშობელო ქვეყანავ,
ეს საიდუმლო გამანდე,
იმდენ ქარტეხილს გაუძელ,
როგორ მოხვედი აქამდე?
ან შვილთა შენთა ვინ მისცა
ჭირგამძლეობის უნარი,
დღემდე მოგყვება დევგმირის
სახელი გაუხუნარი.
ზოგჯერ თუ მეფურ თანხმობით
ხშირად ხმლითა და ფარითა,
იყავ ერთგული დამცველი
შენი მთისა და ბარისა.
როგორ აგებდი ღვთის ტაძრებს
მომხდური მტრების თარეშში,
დღესაც რომ წამომართულა,
ამ ქვეყნის ყველა მხარეში.
ყველა დროებამ გაზარდა
შვილები, ერს რომ მოძღვრავდნენ,
მთაწმინდის პანთეონიდან
მათი სულები გლოცავენ.
ვერ დაგამუნჯებს ვერავინ,
მტერი რაც უნდა ეცადოს,
სამშობლოვ, ომახიანი
შენი ტონი არ შეცვალო.

ჩვენო სამშობლო-დედაო ჩვენო!

ჩვენო სამშობლო-დედაო ჩვენო,
ყველა დროება ტანჯვით გივლია,
თავისუფლების დაგიდგა ხანა,
ახალ თაობას შვებით ივლიან.
მე შენთან ერთად წლები ვიარე,
ძველი დღეები სულ თვალწინ მიდგას,
ღმერთს ვეხვეწები ცოტაც მაცოცხლოს,
შენს აყვავებას მოვესწრო მინდა.
მინდა გისურვო ერთიანობა,
თამარის დროში რომ გამშვენებდა,
მწამს, უფლის ნება კვლავაც იმარჯვებს,
გრემი, გელათი სხვა აშენდება.
ახლა რომ დაქრის ნელი ნიავი
შენს სიყვარულზე მეჩურჩულება,
ამ სიყვარულით უნდა იაროს,
ყველა თაობის ნორჩმა გულებმა.
ჩემო ქვეყანავ, დედაო ჩვენო,
აპრილობაა ახლად დამდგარი,
აფეთქებულა ნუშის კვირტები,
გულს გასჩენია ტრფობის ხანძარი.
აჰა, დაჰქროლა ცივის ნიავმა,
ჭაღარა თმებზე მეალერსება,
მე ერთი ნატვრა მაცოცხლებს მხოლოდ
რომ დროს გაუძლოს ჩემმა ლექსებმა.

შენ, პოეზიის ერთგულო!

შენ, პოეზიის ერთგულო,
ფიქრი არ უნდა დაღალო
აიყოლიე ხალხი და
გამართე ლექსის საღამო.
    შაირ კაფიის მოყვარულს
თაყვანისცემა დაუწყე,
მის ნიჭის გამობრწყინება
მთელ საქართველოს აუწყე.
    შენ, პოეზიის ერთგულო,
მოციქული ხარ ღმერთისა,
შენი სპეტაკი ფიქრები
სამშობლოს ფიქრებს ერთვისა.
    ამ წუთისოფლის ტრიალში
ბევრნი უკვალოდ ქრებიან,
ღმერთის სამართლის დასტურად
შენ უკვდავება გრგებია.

დიდგორი ჯერ ისევ მოსაგებია

საგმირო საქმედ არ ჩაგეთვლება,
თუ თავს დაღუპავ თავის თავისთვის
საგმირო საქმე ისაა მხოლოდ
თავს თუ გასწირავ მამულისათვის.
    ასეთი გმირი უთვალავია,
ყველა მათგანი ხომ დედამ შობა,
ხალხში დაირწა მათი აკვანი,
სამშობლო იყო მათი ბავშვობა.
  სამშობლო არის მისი სიბერეც
და ერთადერთი ავლა-დიდება,
გმირის გარეშე ვინ მოიგონა
სამშობლოსა და ერის დიდება
  სამშობლოსათვის თავის დადება,
ყველა დროების გმირებს რგებია,
დღეს პატრიარქი ხშირად გვახსენებს,
„დიდგორი ჯერაც მოსაგებია“.

ჩემი სამშობლოს სურათებია

სულ სხვა სული აქვს მშობლიურ მიწას,
სულ სხვა ფერი აქვს სამშობლოს ზეცას,
სულ სხვა ეშხი აქვს მამულის მთა-ბარს,
როს გადაიფენს თეთრ თოვლის ზეწარს.
    საოცარია ჩემი კახეთი,
ყველგან უფალის თვალი ტრიალებს,
ყურძენს გოდრებით ჩამოარიგებს
მარნების კარებს ააჭრიალებს.
    რა ლამაზია ჩვენი აჭარა,
ყველგან ციტრუსის ხეივნებია,
ზღვის ნაპირები, მთის კურორტები,
სასურველ სტუმრებს ელოდებიან.
    ეს ორი მხარე, ორი საუნჯე,
ქართველი კაცის ზრუნვით გამთბარა,
გაუსაძლისი დროების შემდეგ
დედა სამშობლოს ნატვრა ამხდარა.

მთის ბილიკს მოსდევს გოგონა

მთის ბილიკს მოსდევს გოგონა,
აცვია ბაწრის ჩითები,
თვალებს წკურავენ ხელჯოხზე
დაყუდებული ბიჭები.
ნეტავ რა უნდა? ვისკენ დის,
საით უჭირავს გეზია?
სალამი უთხრა მწყემს ბიჭებს,
მთის კურთხეული წესია.
გასწია, ბილიკს მიჰყვება,
თითქოს მზე მისდევს გვერდშია,
იქნება, მამასთან მიდის?
იქნებ, ძმაი ჰყავს ჯერშია?

ერთი კი არის,- მწყემს ბიჭებს,
სულ აუძგერა გულები,
ძაღლებს უღერენ ხელჯოხებს
ცხვარ-ბატკან დაფანტულები.
„ნეტავ, ვინ იყო ღვთისშვილი,
მზე-ქალად დაბადებული?
ნეტავ, ამ გზით თუ გაივლის
შინისკენ დაბრუნებული?“
წავიდა, გული წაიღო,-
ჩითებიანმა ქალამა...
ხორცეულ ანგელოზ იყო?
თუ მოჩვენება მანამა.

***

მზის სიცხოველე იგრძნო გარემომ,
ამწვანებულა, მოსულა ია,
ვაზის კვირტებმა იწყეს დასკდომა,
აპრილის ბაღი რა ლამაზია.
მანათობელი აფიცხებს მდელოს,
ჩრდილებს აფენენ დიდი ფიჭვები,
ფართო შარაგზას ასდის ბოტორო,
დგას ღრიანცელი გოგო-ბიჭების.
მე კი მოვყვები ვიწრო ბილიკებს,
მარტო, ეკლები უხვად ჰფენია,
ამ მკერდის ბოლო ამოსუნთქვამდე
უნდა ვიარო,- რა დამრჩენია?
ვისთვის, საწუთრო სანატრელია,
ჩემთვის,- აქ ყოფნა ასე ძნელია.

***

მოდის აპრილის ფერისცვალება,
გარემო ედემს დაემგვანება,
მიჯნური მიჯნურს დაევანება,
არ გათავდება ჩემი ზმანება.
თქვენ გეკითხებით ლამაზმანებო:
რად მომახვიეთ დარდი თავნება?
როდემდე ვიკლა ვნება თბილ მკერდში?
წლები მელევა, მოცარულ ხელში,
თეთრი ფიფქები გამიჩნდა თმებში,
თქვენით ჩავვარდი უკუღმართ ბედში,
თქვენ გეკითხებით ლამაზმანებო:
როგორღა გავძლო ოცნების ცეცხლში.

დამავიწყდა

დამავიწყდა მტკვარზე ტივი,
იეთიმ გურჯის ნაღდი ლექსი,
აბა, ეს რა თბილისია?
დუდუკი რომ აღარ კვნესის.
    დამავიწყდა აშუღური,
ძია გლახო აღარ მღერის,
მუზის მეფეც სარკმელიდან,
გაჰყოლია თავის მერის.
    დამავიწყდა ქალაქური
ამქარი და უსტაბაში,
ავლაბრული დროს ტარება:
რა დუდუკი, რა შაბაში!
    ვისი გახდა ფიროსმანის,
ლამაზმანი მარგარიტა?
...უზნეობას, უჯიშობას,
მომკალით და ვერ ავიტან.
    ვერ შევიცვლი ცხოვრების წესს,
რომც დავიწყო სულ თავიდან.

ისე მიყვარხარ, ჩემო თელავო!

ისე მიყვარხარ, ჩემო თელავო,
როგორც ბავშვს დედის მკერდის სურნელი,
შენა ხარ ჩემი სულის სიმშვიდე
და ლექსის წერის წყარო ულევი.
    შენ გეფერება ცივის ნიავი,
ნელი ფარფატით დაედინება,
დაღლილ-დაქანცულს შუაღამისას,
ნადიკვრის მოლზე ჩაეძინება.
    მთვარე გაუწევს მეურვეობას,
ღამის გუშაგს სხვა რა აბარია,
მიწაზე დადის მთვარის აჩრდილი,
მზე შენი ზეცის მეგობარია.
    ჩემო თელავო, ისე იარე,
წლების მანძილზე როგორც გივლია,
ჩემგან მიიღე ქება-დიდება,
ჭაღარა პოეტს რაც შემიძლია.

ისევ თუშეთის უღელტეხილი

ისევ, თუშეთის უღელტეხილი,
ისევ, კლდეები: სალი, ფრიალო,
ისე მიზიდავთ ანდამატივით,
ალბათ თქვენ უნდა გამატიალოთ.
    მაინც, რა მკერდით სუნთქავთ, ზვიადნი?-
რა სიმშვიდე გაქვთ, გარეგან ხილვით,
ვერ ამიხსნია ის საიდუმლო-
როგორ მიმონებთ თქვენებურ ხიბლით?
    როგორ ჩაგხედოთ გათოშილ მკერდში?
როგორ დაგითვლით მაგ ნატყვიარებს?
ქარტეხილების გადავლის შემდეგ,
როგორ იშუშებთ ამდენ იარებს?
    ხავსიან ლოდებს ატყვიათ წლები,
ცრემლებსა ღვრიან ჭაღარა კლდენი,
...მისურვებია უღრუბლო ზეცა
და უთვალავი ნათელი დღენი.

ისევ თოვლის ფანტელები

ისევ თოვლის ფანტელები,
ისევ თეთრი ფიფქები,
შარიშურა, თეთრ ქუჩაზე
თეთრ ნაკვალევს მივყვები.

მე სიყვარულს ავედევნე,-
ფანტელებში დაკარგულს,
შენს პატარა ნაფეხურებს
ქუჩა-ქუჩა დაფანტულს.

მეშინია გენაცვალე
გაზაფხული დამზაფრავს,
იებით და ენძელებით
შენს ნაკვალევს დაფარავს.

აჭრელებულ მწვანე მოლზე
სად გიპოვნი ფერიას
ეს სამოსიც, გენაცვალე,
გვირილების ფერია.

ჰოდა, ნუღარ მემალები
თეთრ ფიფქების ცვენაში,
სიყვარული დამიოკე
შენს კოცნაში, ხვევნაში.

შენ, ჩემო გამხარებელო

შენ, ჩემო გამხარებელო,
ობოლი სულის მფარველო,
ცაო ქორ-შევარდენების,
ამწვანებულო მთა-ველო.
    რა დიდი საოცრება ხარ,
„პატარა“ ამერ-იმერო,
შენა ხარ მისი პატრონი,
თავისუფალო ივერო.
    მებაღევ ედემის ბაღის,
მეზვრევ კახეთის ზვრებისა,
მხატვარო ზღვის ნაპირების
აჭარულ საოცრებისა.
    ღმერთმა გიმრავლოს შვილები,
გამგები თავის ნებისა,
შავნაბდიანი მწყემსები
თუშურ თეთრ ქარავნებისა.
    კვლავ ერთად უნდა გახედნოთ
იორღა ლურჯი კვიცები
მტერს თვალი უბრმავდებოდეს
ხარობდეთ ძმადნაფიცები.
    შენ ჩემო გამხარებელო,
დარდო და ლხენავ გულისა,
ბრმა დავჯექ ლექსის საწერად
ნეტავ რამ გამაგულისა.



თეიმურაზ კვარაცხელია - პოეტი

სამოქალაქო მოძრაობა ეროვნული ღირსების
დარბაზი უკეთესი საქართველოსათვის თავმჯდომარე -
კვარაცხელიების საგვარეულო კავშირის წინამძღოლი,

***

ნაპირს გავყურებ, ზეციურ რხევებს უსმენს ნიავი,
ერგასის დილა სამოთხის წუხილს ეთამაშება,
განაჩენებით დახუნძლულ მიწას იპყრობს ლიახვი,
მე კი ასეთ დროს ცრემლებს ვიწმინდავ, რა მემართება?..
მევალე სულის ათინათინებს შენდობის სურვილს,
ნანას მიმღერის მწვერვალს მომწყდარი მდინარის წყალი,
მე კი ასეთ დროს, ვდგავარ და ვარჩევ უსიტყვო დუმილს,
არ ვიცი ამ დროს, მეფე ვარ უფრო თუ ცოდვით მკვდარი...
ორომტრიალობს ნახირს გაცლილი ამ სოფლის მდგმური,
განწირულ აწმყოს რიგებს ვერ უთვლის საკმევლის კვამლიც,
იადგარების კრებულს სიწმინდით გარშემო ვუვლი,
რომ ცას აღმართულ ღვთაებრივ გრძნობებს გავუღო კარი...
გავანებივრე, მაგრამ იუდა მაშინვე ვცანი,
კიდამონების სურნელით მთვრალმა ავხედე ზეცას,
მე იმ წუთებში, ფერიცვალობის სურვილებს ვახლდი,
მსურდა სიცოცხლე, მხოლოდ ისეთი რომ არის ღმერთთან...
ნაპირს გავყურებ, ზეციურ ჰანგებს ვუსმენ სიამით,
ცრემლთა გორგალი ამომებურცა მუზების მკრეფავს,
თუკი მოზღვავდა, არაფერია ვფიქრობ გვიანი,
თუკი შესძელი, ეს ყველაფერი აღმართე სვეტად.

***

მაშინ, როდესაც ბეწვზე ჰკიდია სამშობლოს ბედი,
არაკაცები როცა ერჩიან სიწმინდეს ჩემსას,
ქუდზე კაცია გამოსაყვანი პაპათა წესით,
„ჰეი მამულო“, უნდა შევძახოთ სუყველამ ერთად...
მაშინ, როდესაც მოყვრის ნიღაბით მტერი დგას კართან,
ღრუბლის ნაფლეთებს, როცა ვერ წონის გონება დღეის,
ის დაგვრჩენია, გზა ჩავუხერგოთ სუსხიან ზამთარს,
ხმალი ვიშიშვლოთ, არ დაველოდოთ სიმღერას მერცხლის...
მოვარდნილ ტალღას, როგორც ოდესღაც, მჯერა და ვიცი,
როგორც ოდესღაც, მეფე დავითის მახვილი წმინდა,
ვერ შეაკავებს დედამიწაზე ვერც ერთი გიჟი,
მხოლოდ იმიტომ, რომ ასე მწამს და მე ასე მინდა...
პასუხებს ელის, შავით მოსილი შვილმკვდარი დედა,
სისხლის ლაქები ყოველ კუთხეში მასპინძლობს დილას,
გამოთხოვებას აზრი არ აქვს, სანამ წესს სჯერა,
სანამ ჯერ კიდევ ადამიანის სიცოცხლე მიყვარს...
ცეცხლის ნაგლეჯი ებღაუჭება შორს მავალ ალებს,
რწმენა ვით მამულს, გულზე ედება, ლექსს უდგენს სტროფებს,
მჯერა განთიადს ბორკილდაყრილნი შევხვდებით მალე,
სულის უფლებით ავაფრიალებთ სიწმინდის დროშებს.

***

ენას, მამულს და სიწმინდეს,
მტერი ვით ოქროს მითვლიდა,
მაშინ როდესაც მოყვარე,
აზრს, წამდაუწუმ იცვლიდა...
მაშინ, როდესაც ხსნა იყო,
ჟამი წვეოდა ცის ფიქრებს,
რა ჰქვია, სინდისს მოყვარე,
ცხვირსახოცივით იცვლიდეს?..

ჯერ არ ყოფილა არასდროს,
მამული ჩემი, მით ერი,
თუ შინაურმა არ გასცა,
დაჩოქილიყო მტრის ხელით...
ამიტომ ძმანნო ქართველნო,
სანამ ხელს მტრისკენ გავიშვერთ,
გირჩევთ სინდისი მაჩვენოთ,
მოყვრის სახელს ვინც დავირქმევთ..

***

ხომ არ დამიბერდი, ხომ არ დამისევდდი, ხომ არ ამიმხედრდი ლექსო,
დედის ენად თქმულო, ალერსს მოხდენილო, სულის ნაყოფობავ ჩემო,
რჯულით გამოზრდილო, აღმართგამოვლილო, სიკეთის მწვდომელო წესო,
ღირსთა წარმოჩენა, ნიჭთა გამოფენა, მსურს რომ ძველებურად შეძლო...
ბარძიმს გუებულო, უსაზღვროდ ერთგულო, ციურ წესს შერწყმულო, ხალხო,
ერად წოდებულო, ლოცვად აღვლენილო, მტერმაც რომ ვერა გავნო,
გოლგოთგამოვლილო, ჯვარზე ასჯერ ცმულო, ასჯერ ხსნილო, საქართველოვ,
მე ვინ უნდა მსჯიდეს, სიკვდილიც რომ მჭირდეს, სული ჩემი შენ არ განდო...
ლექსთა სტროფებს შორის, როგორც იმედს გეძებ, ჩემო სულის მხსნელო ღმერთო,
მინდა, ძლიერ მინდა, სიმართლე რომ გითხრა, რაც მაქვს, ის რომ შენგან მერგო,
წუთისოფლის სუნთქვავ, ზეციურო მტკბობო, დღისით და ღამით რომ გეძებ,
რამ უნდა დამჩაგროს, ან ვინ დამამდაბლოს, შენს სულს შევწვდე, რომ ვერ შევძლო...
მაგრამ ვაი იმ დროს, სანთელს დრო რომ გვიქრობს, ლუციფერი მისას ცდილობს,
სული მერყეობს და საბაბს ეძებს ისეთს, უცხო მის სულს როგორ არგოს,
როცა ჩემი წესი, როცა ჩემი ღმერთი, ცას და დედამიწას იპყრობს,
ქარაფშუტობ მსგავსად, ვიღაც ოხერს ჰგავხარ, წმინდას არ იკარებ ახლოს...
ოდითგანვე ოდით, ეს ჩემგან არ მოდის, მამა-პაპის ნათქვამს გეტყვი,
ბაძავ როცა უვიცს, ადღეგრძელებ უღირსს, თავს უყადრებ თუნდაც ტყუილს,
ასე თუ განაგრძე, დრო თუ ცრუ კაცს ანდე, ვშიშობ ვერგზით დაღვინდები,
და როგორც იტყვიან, ვაის გაეყრები, მაგრამ შეეყრები უის...
ნამუსგარეცხილო, რწმენაგაფანტულო, სინდის დაკარგულო, ვიღაც,
როცა ქვეყნად მეტი, მეტი კარგი ჭარბობს, გკითხავ, მსგავსებს რად ვერ იტან?,
როცა დედამიწა, წყურვილს ლოცვით იკლავს, რწმენით იმედს უხმობს, გკითხავ:
ამ დროს ავთან დგომა, ამ დროს ავად ყოფნა, იცი, ერო ეს რას ნიშნავს?.
მიწას მოწყვეტილო, ციურს ვერ რგებულო, ვითომ ერისკაცად ჩანხარ,
ნიღაბს რომ მოგხსნიან, ლაფში ამოგსვრიან, დრო, ხომ არ იქნება გვიან?.
გირჩევ, როგორც მოყვასს, როგორც ქრისტეს მონას, როგორც საკურნებელ წამალს,
ნუ დაკარგავ ნდობას, ნუ ჩაიდენ ცოდვას, უცხოდ ნუ ქმნი ადამიანს...
გწამდეს, არ აგვცდება უფლის განაჩენი, ღმერთი მისას მაინც იტყვის,
როგორც რჯული ამბობს, მიგვანიშნებს ყოველს, მოვა ის, რაც ოდეს ითქვა,



რწმენით განვლაგდებით, ლოცვით გავლაღდებით, ცოდვით დავმარცხდებით ისევ,
უფლის განაჩენი, კიდევ დანარჩენი, მაინც არ აცდება მიზანს...
ბევრჯერ წაქცეულო, ბევრჯერ წამომდგარო, უფრო მეტად მსგავსო ღირსთა,
იქნებ გაიხსენო, იქნებ დაიჩემო, პავლე წმინდანად რომ იქცა,
იყო ღვთის მგმობელი, გახდა ღვთის მთხოვნელი, დარჩა უფლის პირველ სიტყვად,
ეს ხომ კმარა მისთვის, გავხდეთ უფლის ღირსნი, სული ავარიდოთ მიწას...
ჟამი როცა ბორგავს, ეშმაკს რომ არ ძინავს, მიზეზი რომ სხვაა, ვეჭვობ -
გარდა დაცემისა, გარდა ღალატისა, გარდა იმისა, ვერ ვმეფობთ,-
ისე, როგორც ერთ დროს, ერი დავითს ენდო, რჯული ბევრმა რომ არ დათმო,
განა ეს არ კმარა, მაგალითად იმის, აწიც მსგავსი რომ კვლავ შევძლოთ?...
გულის გულით მინდა, სული დაგიამო, წესი დაგილოცო მსგავსი,
დრო როცა დადგება, ცოდვილი აღსდგება, ნაყოფს გამოიღებს კაცი,
რითაც ვიყვავილეთ, ღმერთის სული ვპოვეთ, რითაც ვესულდგმულეთ სოფელს,
განა ეს არ კმარა, იმით ვიამაყოთ, იმით ვინავარდოთ აწიც.
ხომ არ დამიბერდი, ხომ არ დამისევდდი, ხომ არ ამიმხედრდი ლექსო?
ქართულს მოხდენილო, ქართველს მორგებულო, ცას შეკედლებულო წესო?
აღმართგამოვლილო, ჯვარზე სისხლდაღვრილო, ქანცგაუწყვეტელო ღმერთო,
მინდა დავითისებრ, ერის ხსნა რომ ყველამ, ყველამ ერთობლივად შევძლოთ.

***

ლექსის დამწერი ასია,
მისი აღმქმელი ერთი,
ისიც თუ მხოლოდ ცაშია,
დაბადებული ღმერთით...
ლექსებს წერს დიდი, პატარა,
ხორცს მორგებული აზრად,
ვით წყაროს წვეთებს ანკარას,
ჩოთქით არ შვენის დათვლა..
მაშინ როდესაც ქარიც კი,
რითმას აყოლებს სრბოლას,
ასეთ დროს ლექსმა არ იცის,
რა ქნას, არ დარჩეს ობლად...

გამოელია სამყაროს,
დროის წარმტაცნი თვალთა,
პოეტიც იმით ამაყოფს,
როს ლექსი რითმას აცდა...
ასე ყოფილა ოდესმე,
ლექსს დრო უკვეთავს მისას,
როს დრო არ არის მოწესე,
ბრიყვიც კი მისას იცავს...
ასე არის თუ ისეა,
ლექსი ვერ აგნებს მიზანს,
როს ლექსი ცას ვერ მიწვდება,
რაღა დარჩება მისგან?!..

***

ერთხელაც ადრე, ერთხელაც ადრე,
ოცნების ბაღში ყვავილებს ვკრეფდი,
სულიერ ზღვაში მღელვარე გნახე,
დავარდნილ სივრცეს ფოთლებზე ფენდი...
შენსკენ ვიწევდი, ვითარცა ქარი,
ნიავის ღელვა მიქრობდა ფიქრებს,
შორს გავიხედე, დავკარგე კვალი,
არ გაბედოო, სიზმრებმა მითხრეს...
ვეთამაშები გრძნობების რყევებს,
სინათლის ნაწილს ვაცლი მზის სხივებს,
ისევ და ისევ ბავშვობას ვეძებ,
ვერ გავექეცი რომლითაც ფიქრებს...
მეძახდა, მახსოვს შენი წადილი,
გაზაფხულს ვთხოვდი სინაზის ხილვას,
ვითარცა მხეცის კლანჭებს დახსნილი,
გეფერებოდი ძალიან დიდხანს...
ო, სიყვარულო, ოცნების სივრცევ,
სანამ შენთან ვარ, განთიადს გადრი,
ფანჯრის სარკმელში შემოაღწიო,
თავს რომ დაადგე ლოდინის ადგილს...
დიახ, სიყვარულს ფეხ და ფეხ დავდევ,
ობოლი ვრჩები, სევდიან ღამეს,
ბაღი ბაღია, თუმც სევდა ახლავს,
თუ, ვერ გიხილე ერთხელაც, ადრე...
ერთხელაც ადრე, ერთხელაც ადრე,
მძინარე ყვავილს ყუნწებით ვკრეფდი,
ეკლიან ვარდებს, პირობას ვაძლევ,
არ შევაწუხებ, სანამ შენ გეტრფი.

***

გაზაფხული ლექსთა წერის დროა,
საკოცნელად გამზადებულ ქალს ჰგავს,
აფეთქებას მიჩვეული როა,
სუნთქვის ბგერით აგისრულებს ნატვრას...
გაზაფხული ლექსთა ცეკვის დროა,
ნაქარგ კვირტებს გამოუღებს სარკმელს,
დროს მიაწვდის სტრიქონების კონას,
სიყვარულით ლექსს უმზადებს სათქმელს..
მარადმწვანობს, დაბნეული თითქოს,
ახალ წესში მოქცეული ქალი,
გაზაფხული ყველას მისკენ იხმობს,
განურჩევლად, ვინც როგორი არის...
ისევ ქალი, ისევ ქალის სუნთქვა,
მოწოლილი ვით ნარჩენი ქარი,
თუ აქამდე ზამთრის ფერი დუმდა,
გრძნობებმა ხომ ვერ დამალეს თავი...
დიდ-პატარა სითბოს ირგებს ტანზე,
ფოთლის შრიალს ელოდება ყველა,
რასაც ვგრძნობ და რასაც ახლა ვხედავ,
წელიწადში მხოლოდ ერთხელ ხდება...
შიშველ ტოტებს გაჩენიათ ბზარი,
ამოვსებას წყალი ცდილობს მისას,
გაღვიძება განუძრახავთ ფოთლებს,
იებსაც კი უკვე აღარ ძინავთ...
ჩასაცმელად ემზადება ცაცხვიც,
მუხის ტოტებს გაუშლიათ მხრები,
კარს მომდგარა ქალების თვე მარტი,
სიხარულით აკაციაც მღერის.
გაზაფხული ლექსთა ქროლვის დროა,
ასაფრენად აფოფრილა მუზაც,
როს ქარს ლექსის სტრიქონები მოაქვს,
პოეტიც კი ახლებურად სუნთქავს.

***

საფარ - საფარ მოფენილო,
მდელოსფერო ლექსო,
ისე მინდა მოგეფერო,
როგორც ქარი ტყესო...
წუთისოფლის მკურნალი ხარ,
კვალად დასდევ მზესო,
საფარ-საფარ აკრეფილო,
ჩემო კალმის წვერო,-
მინდა გითხრა იმ დროიდან,
როცა ღმერთი მენდო,
მე კი არა, ლექსი თვითონ,
ლექსი თვითონ მწერსო, -
მინდა, იცი, როგორ მინდა,
ისე მოგეფერო,
როგორც კაცის გულის ფეთქვას,
ღვთიმშობელი მწყემსობს...
მინდა, მაგრამ ვერ გიბედავ,
სიტყვა ისე ვთესო,
ნაყოფობას რასაც ველი,
ის, რომ ვეღარ შევძლო, -
დედაენით ჟამი ესე,
ისე ავაკვნესო,
როგორც ჩონგურს ბოლო სიმი,
მისამღერად ენდო...
ქართველობით, ქართველობა,
ვითარც ხმალი ვლესო,
საფარ-საფარ მოფენილს რომ,
სიყვარულით ვეყო...
იასამნის ფერებს ყელზე,
ყელზე შეგაბნევო,
საკინძედ რომ გაზაფხული,
თუნდ ცოტა ხანს გეყოს,-
მერე, მერე, ვითარც ფარდა,
ბოლო სცენას ფარავს,
იმდაგვარად მინდა დამრჩეს,
ნააზრევი ვალად.
საფარ-საფარ მოფენილო,
ბევრზე ბევრად ბევრო,
ლექსად თქმული ყველა სიტყვა,
დაგვილოცე ღმერთო.

***

დუმილი ერის,
ვერაფერს შეცვლის,
ცვლილებას, გონი
ჭირდება კაცთა -
ვაი, რომ ამ დროს,
სულ სხვა ხმა მესმის,
ხმა, რომლის ძალით,
ვერც დღეს და ვერც ხვალ,
ეროვნულ დროშას,
თუნდ, სიტყვას მართალს,
თუნდ, წესს უფლისას,
თუნდ, აზრს ქვეყნისას,
თუნდ, სათქმელს ჩვენსას,
ვერ ავწევთ მაღლა!

***

ასე მგონია, მე და ცის ენა ერთად რომ ვიშვით,
და ამ ცის ენით მე პოეზიამ მასწავლა სუნთქვა,
ასე მგონია, დრომ მომაკუთვნა პირობად ნიჭი,
ადამიანებს, ჩემი ენით რომ სიმართლე ვუთხრა...
ასე მგონია, მზის ამოფრქვევას ვუცქერ ლექსიდან,
თანამეგზურად წუთისოფელში მისი ხმა მფარავს,
ნავსაყუდელი ბოლო სუნთქვისთვის, ლექსმა შემიქმნა,
კალმის ტრიალით ცამ დამიდგინა სიცოცხლის ვადა...
გახდე პოეტი?... ჰმ, აუკრძალავს ვერავინ მოკვდავს,
ადამიანი, რადგან სიცოცხლით ცის იმ ნოტს მოჰგავს,
ვალდებული ხარ, რომელიც უნდა აიღო ვალად,
სიყვარულით რომ, დრო გააჯერო, თუნდაც რომ ოდნავ...
ბოლო გვერდს ცა წერს, დავიმახსოვროთ ლექსთა მკინძავნო,
სიბრძნის ტახტს ირგებს, ვინც რჩეულია უფლისგან მხოლოდ,
თუ გსურს აცრემლო, თუნდ დაამჩნიო, უნდა მიბაძო,
ვინც მოგავლინა წუთისოფელში, ცის წესს ვინც მონობს...
თუ ცას ცრემლები არ ჩამოწმინდე, ვერ ერგე მის წესს,
ვერ ააცილებ ხეების შრიალს, ტკივილს და ქაოსს,
ქარს აცეკვებდეს ლექსის წადილი, ეს თუ ვერ იგრძენ,
პოეზიის ხმით, ცეცხლს ვერ ჩააქრობ, რაც უნდა ცადო...
თუ დაბრუნება სულს უწერია, აღდგომით ისევ,
დანაბარები თუ შეუსრულე, ცის მეფეს, ქრისტეს,
ლექსს უნდა თხოვო, მოგაძებნინოს თავშესაფარი,
სადაც პასუხებს, მხოლოდ იქ სცემენ, აქ დასმულ კითხვებს...
და რატომ ასე?... მხოლოდ იმიტომ, ნათლობით მერგო,
როს ქრისტიანის აღმართს შევუდექ, გოლგოთის ფერდობს,
დედამშობელმა ის დამანათლა, იმ ერთ წუთს ვეყო,
რომლითაც იქნებ, ქრისტეს მწვერვალის დაპყრობა შევძლო...
ცას შემომსხდარან მოლაღურები, მტევნებად მუზის,
ლექსის წვეთებით რომ დაუმიწონ სიცოცხლეს სული,

რასაც მიწვდები, ის სად მთავრდება, რომ შეძლო ახსნა,
ლექსს უნდა ენდო, შეეცილება ამაში ნურვინ.
აღმართმძებნელო, სადარაჯოზე თუ სულის დგახარ,
თუ წმინდა გულით დაბადებული, სულს აჩვევ ჯვარცმას,
დაიმახსოვრე, ლექსად ნაშობო მდგმურთა სოფელში,
მადლს იზამ თუკი, ლექსთა სოფელშიც, ლექსადვე ახვალ.

***

ზღვას გადავისვრი იმედის ბადეს,
ოცნების ნაპირს მივეყუდები,
აზრით იმდენი სიმძიმე მაწევს,
სიბრძნე მჭირდება, სიბრძნე ულევი...
ბადე ერთია იმედთა შორის,
რითაც მებადურს დიდი სიბრძნისა,
ვერვინ ჩაუქრობს ოცნებას, პოვნის
აზრების - ცამ რაც ოდეს იტვირთა...
თუ გამიმართლა, სიბრძნეს დავიჭერ,
მებადურის აზრს შევკაზმავ ფიცით,
ამ დედამიწას სვეტად ავირჩევ,
ნაყოფს ზეცაში დავკრიფავ ნიჭით...
ზღვა ნელა არხევს ჩემს დედამიწას,
ტალღებს მოყვება ნაყოფი ცისა,
მე, მებადური იმ წესებს ვიცავ,
რითაც ჩემს დავკრეფ და არა სხვისას...
დაუნდობელი ბუნების წესი,
უსმენს დროებას, თითქოსდა კვნესის,
ერთი სული აქვს - მე, მებადურმა,
როგორმე სიბრძნე არ ვნახო მეტი...
იცის ამ მიწამ, თვითონ არ ძინავს,
გონება როცა მისი არ ჰყოფნის,
სამოთხის სიბრძნეს ემთხვიოს დილას,
უფლება ჰქონდეს მეორედ მოსვლის....
იცის ამ მიწამ, თუ ვნახე სიბრძნე,
ჩემისთანები სხვა კანონს დაწერს,
ისეთს, რომლითაც ქვად უნდა იქცე,
თუ სიწმინდემდე ამ წესს ვერ აწევ...
სწორედ ამიტომ სიბრძნის დამჭერებს,
ჩვენ, მებადურებს, იმედის ხვალის,
მხოლოდ ერთი გვაქვს, ერთი გვაღელვებს,
არ უნდა გაწყდეს ძაფები ბადის...
ზღვა წყლის ტალღებში სიმდიდრეს მალავს,
გადარჩენა რომ იყოს მიზანი,
რითაც ეშმაკთან ბრძოლების ნატვრა,
ნაღდად იქნება მისთვის ისარი...
მებადურები სჭირდება მიწას,
რაც შეიძლება იმაზე მეტი,
რამე თუ, მოკვდავს ცოდვისგან იცავს,
სიბრძნით თუ არის ნაგები სვეტი...
წმინდა მიზანი ზეცას გაარღვევს,
სული იქნება რწმენით მორთული,
ადამიანი იმას აანთებს,
სიბრძნით რაც არის მიწას მოსული...
ჩვენ მებადურებს, ერთი გვაღელვებს,
არ უნდა გაწყდეს ძაფები ბადის,
რომ არ გაგვექცეს - სიბრძნის დამჭერებს,
დრო, რასაც ვადა არასდროს გასდის.



ეთერ გოგეშვილი-ისაკაძე - პედაგოგი
დაბადების ადგილი ლანჩხუთი ნიგოითი
საცხოვრებელი ადგილი თბილისი

მ ო ნ ა ტ რ ე ბ ა

ჩემს ბავშვობაში
ბარდნიდა თოვლი,
ნაძვის ხეს ესხა
ნამცხვრების რენა,
რარიგ ვხარობდით,
ღვიოდა ცეცხლი,
სულ სხვანაირი
ფიფქების ცვენა?!...
ზამთარი იდგა,
მამა ნაძვის ხეს,
შუხუთის ტყიდან
მ ო ა ბ რ ძ ა ნ ე ბ დ ა,
პატკუ ბიცოლას -
ვაყრიდით ბამბებს,
ჩიტებს გვიცხობდა
დედიკო რამდენს?!...
ჩურჩხელებს ვკიდებდით,
მანდარინს, ჩირებს,
მერე ჩამოვაჭამდით
ნაძვის ხეს ფთილებს,
აცხობდა ქადიანებს
დედა ხაშურულს,
მამა ღვინოს დგამდა -
ფეხით დაწურულს...
რამდენი სიხარული იყო
ღმერთო მაშინ,
არ ეტეოდა
იმ ჩვენს ლამაზ სახლში!...
ახლა სხვანაირი
დამდგარა ზამთარი,
მე იქ არა ვარ,
არც დედა არ არის!...
მამას ნაძვის ხეს
ურთავს ლელა-ბელა,
ღმერთმა დაგლოცოთ კარგებო:
ყველა, ყველა!...
დგას იანვარი და
თოვლი გამქრალი,
ტკბილად მაგონდება
იმ წლების ზამთარი!

ფოლადის ღვედი

შენ, რად იშენებ სასახლეებს
სტუმარო სოფლის,
ანწლიკას ღობემ დაიჭიროს
სიმდიდრე შენი,
როცა ხალხს სტკივა, დედა ეძებს
შვილების საზრდოს,
გაოცებული შემოგვყურებს
უფალი ზენით!
დღეს რა ვიფიქროთ,
რატომ ხოცავთ სკამისთვის
ერთურთს,
რომელ სახელზე მაღლა არის
ღირსება ჩვენი,
რას ეუბნებით, როცა მიხვალთ
იმქვეყნად წასულთ,
ეს ის ხალხია, ოდითგანვე
სიბრძნისა მჩენი?!...
კმარა სიხარბე,
ორთავე ფრთის ურცხვი გნიასი,
ჭკუას მოუხმეთ, არ გასწიროთ
ქვეყნისა ბედი,
დროა მოთოკოთ ცხარე ვნება,
ბოღმა ტიალი,
შემოუჭირეთ სადავეებს
ფოლადის ღვედი!

სვანეთი - ჰაწვალი

ზურულდის მთიდან ვიხილე
უშბის თეთნულდთან ტრფიალი,
ყინულით თეთრად დაფარულს,
ცხრათვალა მზისა ციალი!
ჰაწვალში სცენას შევესწარ
სასიყვარულოს მწვერვალის,
მთას სიყვარული სცოდნია -
ო, - მოკრძალება მხევალის!...
ძირს მოხატულა მესტია,
ულამაზესი მთა - ველით,
ნეტა მას, ვინაც იქ ცხოვრობს,
რა გადაღება კამერით?!
ცად ატყორცნილი კოშკები,
ენგურს გაუდის გუგუნი,
მჟავე წყალს კუპტარს გეახელთ,
მიგვაქვს სვანური სულგუნი!
გული სავსეა ტრფიალით,
თვალს არ შორდება ნანახი,
სვან ქალს მწვანილი ეკრიფა,
რის ,,ბოზბაში'' და ,,ჩანახი''!
მეამაყება სვანეთი,
მე ქართველი ვარ გვარადა,
მთის სალოცავებს ვავედრებ,
ჩემს საქართველოს მარადა!

* * *

ისევ ამოხეთქს ენძელა მიწას,
იები ისევ გადიბიბინებს,
ცხრათვალა სფერო გაგვითბობს გულებს
და, ნაკადულიც წაიღიღინებს.

,,პოეტი ხარო"

განაჩენ გამოტანილი,
კედელს ავეკარ ირიბად,
ნატიფად ამოტვიფრული,
წოდება დამრჩა სვირინგად!
დე ღირსეულად ვატარო,
ფეხი ავუწყო მათ რიგსა,
წმინდა გიორგი დამიცავს,
ქურმუხისა და სარკისა!
ძე ღმერთი ყველას გულშია,
არავის ტოვებს ნაწყენსა,
მადლობელი ვარ უფალო
რომ მომასწარი ამ დღესა!

გერგეთი

ან რა ცაა, ან რა მიწა,
რა ყვავილი, რა მყინვარი,
ცის ტატნობზე არწივთ ბუდე,
კლდეზე სვავნი მომყივარნი!
ხან ცხრათვალა მზე ანათებს,
ხანაც ციდან ისმის გვრგვინვა,
მომლოცველთა დასი გალობს,
ღვთის წყალობა მოევლინა!
ოთხთა კუთხეს ლოცავს ჯვარი,
თვით სამება გვიხმობს წმინა,
რაც აქ მადლი შენახულა,
ყველამ იღეთ გულით მინდა!

მე ჩემი კალო გავლეწე

მე ჩემი კალო გავლეწე,
დარდი დავმალე ძნაშია,
არც არვის დავესესხები,
ქვეყნად სიკრთის ქმნაშია...
კვლავ შემოდგომა დამდგარა,
ღვინო ლიცლიცებს ჯამშია,
სუყველას გულით დაგლოცავთ,
სითბო გქონოდეთ ჯანშია...
სულ სიყვარული მეფობდეს,
ირგვლივ მთასა და ბარშია,
წინ გასავლელი ბევრი მაქვს,
მიფრინავს ჩემი რაშია!

მე ჩემი კალო გავლეწე

მე ჩემი კალო გავლეწე,
დარდი დავმალე ძნაშია,
არც არვის დავესესხები,
ქვეყნად სიკრთის ქმნაშია...
კვლავ შემოდგომა დამდგარა,
ღვინო ლიცლიცებს ჯამშია,
სუყველას გულით დაგლოცავთ,
სითბო გქონოდეთ ჯანშია...
სულ სიყვარული მეფობდეს,
ირგვლივ მთასა და ბარშია,
წინ გასავლელი ბევრი მაქვს,
მიფრინავს ჩემი რაშია!

მხოლოდ იმედი

,,ო, იქნებ" - არა,
ეს არ გვიშველის,
ეჭვი მომავლის,
ავის მაცნეა,
მაშ, რად ეწამა
ასი ათასი,
სასუფეველი
ლოცვით სავსეა!
მე კი მგონია,
იბერთ ქვეყანა,
იქნება მარად,
ღვთისმშობლის მადლით,
მომრავლდებიან
მეტეხის ხიდთან,
თეთრი მანდილით
და, არა ჩადრით!
ქვაფენილს, ლამაზ
ხალიჩას გაშლის,
ჭადრის დიდრონი
ფოთლებით ქარი,
კვლავ ივახტანგებს,
კვლავ ილომგულებს:
დავითი, დემე,
გიორგი,
მარი.
ღალატი, მტრობა
ოდითგან იყო,

თებერვალი მიიწურა

თებერვალი მიიწურა
მარტი იკრებს ძალებსაო,
ო, ჰო, ჰო, ჰო გადიშლება
ააყვავებს ბაღებსაო!
ატმების კვირტს აბრდღვიალებს,
ააფეთქებს ვაშლებსაო,
გაზაფხული მობრძანდება,
გზა დაუთმეთ ვარდებსაო!
ენძელები თავდახრილი,
ღიღილო დგას განზედაო,
იები კი ამშვენებენ
სალის ქოთნებს ბანზედაო!
ქარი არხევს გრძელ დალალებს
დააწვინა მხარზედაო,
გამომწვევი გოგონები
იპრანჭება ძალზედაო!
გადიხსნიან თეთრ საკინძეს
აშუქებენ ლალებსაო,
წუთიერად რომ ატყვევებს
მოჟუჟუნე თვალებსაო!

სახალისო

გაზაფხულივით ვფეთქავდი,
ვატყობ ზამთარი მეწვია,
ახლა ბეღურას ვემსგავსე,
ადრე ვიყავი მზეწვია...
კისკისით ამოვირბინე,
გულს სიხარული მივსებდა,
სამოც საფეხურს გადაველ,
ფრთხილად, დაშვება იწყება!...
ისევ მოველი გაზაფხულს,
ღვთიური ძალა დიდია,
წლები?! - ემატოს ჩემს ასაკს,
სიბერე?! - სიბერე ფეხზე მკიდია!!!...
გავბრაზებულვარ მგონია,
არ მომეწონა ,,მკიდია'',
ღმერთო, მომეცი მშვიდობა,
შენი წყალობა დიდია!

რა დღე გიდგას საქართველო

ამეტირა, ღმერთო ჩემო,
რა დღე გიდგას საქართველო,
ქართველები გაგირბიან,
სხვებმა ლამის გადაგთელონ...
სხვის მოხუცებს ევლებიან,
ვაი, მშობლის თვალო ბნელო,
თურქებს ქართველებად ზრდიან,
აქ კი „შავებს“ გააქვთ ლელო...
დედა-ბოძი მოგეშალა,
უფლის ძალით გიძგერს გული,
ვინაც ამ დღეში ჩაგაგდო,
აუძაღლდეთ იმათ სული...
არ ეთმობათ თბილი სკამი,
გაუცივდათ გულის გული,
არ ადარდებთ საქართველო,
ქაოსია მართლა სრული...
ემიგრატის მონატრებას,
ცრემლების ზღვა მოჰყოლია,
ადრეც იყო: გვჭამდნენ, გვკლავდნენ:
რუსი, თურქი, მონგოლია...
ახლა იძულებულს გვხდიან,
ჩვენი სისხლი, ჩვენი ხორცი,
თავად გავხდეთ სხვების მონა,
არა დასჯით, არა როზგით...
არ იდარდო საქართველო,
ერთგულებიც ბევრი გყვანან,
გიცავდნენ და კვლავ დაგიცავთ,
თადარიგში დღესაც დგანან.

ჩემი საქართველო

უჰ, დილა იდგა საოცრად წყნარი,
ეზოდ გამოველ ქართველი ქალი,
ნამით მოკირწლულ ხასხასა ველზე
მიმოვატარე - დაღლილი თვალი!
ოთხი დღე-ღამე არ დავიძინე
მინდოდა ხილვით გამეძღო თვალი,
მეხილა ირგვლივ - წალკოტი მწვანე,
თვალუწვდენელი კლდეები სალი!
აქ ყველაფერი ქართული არის,
დაურქმევიათ სახელი მდარი?!
ერთდროს მართავდა ტაოს და კლარჯეთს,
ბაგრატიონთა ქართული გვარი!
იყო სიკეთე, იყო შენება,
იყო ომები, ზმანება ავი,
აქ იზრდებოდნენ ქართულ წიაღში
დავითი, ნინო, გიორგი, ანი!
...ახლა საბაჟო გადმოვიარეთ
დათვლილი დღე და დათვლილი ღამე,
აქ დაგვხვდა ჩვენი სალოცავები,
უტყვო კედლებო გვითხარით რამე?!
საუკუნეებს როგორ გაუძელთ,
ყველას ხომ თქვენზე ეჭირა თვალი,
საქრისტიანო როგორ გადიხდის,
განუზომელი, დიდია ვალი!...
მთელი სიცოცხლე რომ ვწერო ლექსად,
რომ ვწერო, ვწერო დღითა და ღამით,
მაინც ვერ გეტყვით, ვერ დაგანახვებთ,
სანამ არ ნახავთ საკუთარ თვალით!

გამოსათხოვარი უერთგულეს მეუღლეს - როინ ისაკაძეს

ახლა არ მყავხარ გვერდით,
ახლა ცრემლია ჩემთან,
ასე გაიყო გზები,
წახვედი მაღლა, ღმერთთან!
არა, მიწაში ჩაგდე,
მამის და დედის გვერდით,
მიგიხაროდა მათთან,
გელოდებოდნენ ძმები...
ჯვარი მძიმეა ძლიერ,
ჩემი საზიდი მხრებით,
მითხარი შევძლო როგორ,
არ მეყოლები გვერდით...
მიფრთხილდებოდი ძლიერ,
ახლაც ვგრძნობ ძალას კაცის,
რომელმაც მიერთგულა,
დედოფალივით გყავდი!
მინდა მადლობა გითხრა,
მაჩუქე წყვილი შვილი,
ვიტყვი ხმამაღლა, ყველგან,
ცხოვრება მქონდა ტკბილი!
ეს გუშინ იყო თითქოს,
ახლა წარსული არის,
კვლავ მაახლოვებს შენთან,
ყველა გაღება კარის!
დადგა ეს დრო და ჟამი,
გეუბნებოდი, გახსოვს?!
ერთი დარჩება ბოლოს,
ტიალი ყოფა გაგვყოფს!
შენ არა - მეთქი, მე - კი,
კაცი ცოდოა მარტო,
აი, დამატყდა მეხი
და მხედავ, როგორ ვდარდობ?!
სალი, საბა და ელე,
გამიფერადებს აწმყოს,
შენ მეყოლები სულში,
გულის ფეთქვასთან ახლოს!

რა ძნელი ყოფილა

რა ძნელი ყოფილა,
სიტყვები, სიტყვები
გაფრინდა, წავიდა...
ზოგისთვის დამთავრდა,
ბევრისთვის აეწყო,
აეწყო, აეწყო
ცხოვრება თავიდან!
ეჰ, ბრალი მას...
ღმერთო, რა ცოდოა,
ის, ვინაც დაგვტოვა,
ის, ვინაც წავიდა...
ჩემთვის - აქ დამთავრდა,
შენთვის - კი ბატონო,
დაიწყე, დაიწყე
ცხოვრება თავიდან!

ნანა დარჩიაშვილი - პოეტი
დაბადების ადგილი - თბილისი

ლექსის ნაკადულები

მოწანწკარებს, როგორც მთიდან,
ნაკადულთა რიგი,
ჩემი ფიქრთა ნაკადები,
კრძალვითა და რიდით.

ვუალერსებ ცას და მიწას,
გეფერებით ყველას,
ლექსებს ვატან მე თქვენამდე,
ჩემი გულის ძგერას.

ჩემი მამული

თეთრად ქათქათებს ტოტები ტყემლის,
აყვავდა ნუში, ამშვენებს არეს.
ხევში ჩარბიან ნაკადულები,
რა შეედრება ჩვენს ტურფა მხარეს?!

შაშვი მიგალობს,მიგალობს მტრედი,
გულგასახარად უსტვენს ბულბული,
გალობს ფრინველი, დგას გაზაფხული,
ნაზად ჩანესმის ფოთოლთ ჩურჩული.

დედის კალთა

ვენაცვალე დედის კალთას -
თბილს, სათნოს და შრიალას,
მე სუყველა დედა მიყვარს
მარტო ჩემი კი არა.

ვეფერები გალაქტიონს

სიო დაჰქრის ნება-ნება,
დაუკოცნა პირი რიონს,
გადმოსერა ნარიყალა,
დაჰქრის ეძებს გალაქტიონს.
ეძებს სარკმელს, სადაც ოდეს
უყვებოდა ველთა ზღაპარს,
ეძებს სიო გამალებით
პოეზიის უქრობ ლამპარს.
ზეციდან კი მოკაშკაშე
სხივებს დაბლა აფენს მთვარე,
თავდახრილი ღრუბლებიდან
მთვარეც სარკმელს უთვალთვალებს!

ეძებს მთვარე გალაქტიონს,
უჩურჩულოს უნდა რამე,
ახსოვს მასთან ერთად სწერდა
პოეტთ მეფე ,,მე და ღამე"- ს,
მე კი როცა ამ სტრიქონს ვწერ
,,შუა ღამე ისვის დნება",
ცოცხლად ვხედავ გალაქტიონს
მისი სახე მელანდება.
გარანდული არის ღამე,
ხმა ჩამესმის ცხადად თითქოს,
ვფურცლავ ლექსებს, ვეფერები,
ძალას მმატებს მათი სითბო.

კლდე ტირის

ბარათაშვილზე კლდე სტირის,
ცრემლი მტკვარს ჩაედინება,
ვინც ამ სასწაულს იხილავს,
მშვიდად არ დაეძინება...

კლდე ტირის ქალაქს დანგრეულს,
ყმაწვილებს ადრე წასულებს,
ოდითგან მტრისგან გატანჯულ,
მამულის დამცველ არწივებს!..

კლდე ტირის ჩუმი ქვითინით,
კლდეზე ნაპრალი უჩნდება,
მიწა ტიროდეს უფალო,
სხვა ქვეყანაში თუ ხდება?!..

კლდე ტირის და ხმა მწუხარე,
გმირებს საფლავში ჩაესმით,
ნადენი ცრემლი ვაჟკაცებს,
ჭრილობებს უბანს ალერსით!

ბარათაშვილზე კლდე ტირის,
ნატანჯი,ნაიარევი,
მეც,მისებრ თვალცრემლიანი,
კლდის ძირში დავიარები.

კლდეო დაწყნარდი, ნუ ტირი,
გეყოფა ცრემლის დენაო!
რა მგრძნობიარე ყოფილხარ,
ნეტავი გქონდეს ენაო!...

არ დაიჩოქებს ქართველი,
ჩვენ დაგვიფარავს ზენაო!

ზაზას, ზვიადს, ირაკლის

კლდე ტირის, თქვენ კი ბიჭებო,
არვის ენახოთ მტირალი,
თუმცა ცხოვრება რთულია,
საოცრად გასაკვირალი...

გულს ვერ ვასვენებ, ბობოქრობს,
როგორც ირემი მყვირალი!
შვილებო, ჩემი სუნთქვა ხართ,
თქვენზე ძვირფასი ვინ არი!

მაგრამ ერთს გეტყვით-სამშბობლო,
ერთია როგორც უფალი,
ქართული მიწა დედაა,
ზეცა კი ჭირისუფალი!

დილის სტუმარი

გათენდა,ღამემ გამოიძინა,
ვარსკვლავების და მთვარის ალერსში...
მზემ ჩემ სარკმელში შემოიჭყიტა,
ჩამომაცქერდა თბილად თვალებში.

კარიც გავუღე, დილის სტუმარი,
ბინაში ყველგან შემოვატარე
და ოქროსფერი სხივების გუნდი,
გულს ჩავახუტე მძინარ პატარებს.

ისეთი სითბო შემომაფრქვია,
თითქოს მთელი მზე მესვენა შინა,
ღმერთო,არასდროს არ მოგვიშალო,
უღუბლო ცა და მზიანი დილა!

თბილისში დაბრუნება

წუხელის მტკვრის პირს ვეწვიე სტუმრად
და ნარიყალას შევავლე თვალი,
თბილისის ღამემ ჩამიკრა გულში,
დაფიქრებული შემომხვდა მტკვარი.

ცა იყო მშვიდი,კაშკაშა მთვარე,
ელვარე სხივებს ირგვლივ აფრქვევდა,
ელნათურები მტკვრის წმინდა წყალში,
ჩაძირულიყვნენ ღამის სათევად..

ყური მივუგდე მტკვრის მდინარებას,
ჩუმად ჩამესმა ქვათა ჩურჩული,
ავყევი ნაპირს, ვეფერე, ვკოცნე,
მონატრებული კუთხე-კუნჭული!..

ტალღები ლაღად მონავადობდნენ,
მტკვარი მასპინძლურ რიდით მხვდებოდა,
ვსუნთქავდი ხარბად, გახარებული,
თითქოსდა დედა მეფერებოდა.

მთვარე ჭაღივით ჩამომნათოდა,
კვლავ მინათებდა ნატრულ ბილიკებს,
ფეხქვეშ მიწაც კი გრძნობდა ნაბიჯებს,
მგონი ჭადრებიც მცნობდნენ თბილისელს.

შემომათენდა! ჩავიდა მთვარე,
გამოიღვიძა ჩემში თბილისმა!
მტკვრისა და მთვარის დახვედრა ღამით,
შემოვინახე,როგორც თილისმა!..

მე დავიბადე საქართველოში

მე დავიბადე საქართველოში,
ჩემი სამშობლო საქართველოა,
მარადმზიანი ქართული მიწა,
დედაღვთისმშობლის სამლოცველოა.

მამული,ენა სარწმუნოება,
ისმის ტაძრიდან.რეკავს ზარები,
ჩემი სამშობლო საქართველოა,
მე სამშობლო მაქვს სათაყვანები.

ლოცვად მოვედი ქართული ცის ქვეშ,
ცით მომავლინა მაღალმა ზენამ,
ვიზრდები დედის იავნანათი,
მაწრთობს ფრთამალი ქართული ენა.

ენა ღვთიური, მუსიკალური,
მადლით მოსილი რუსთველის ენა,
ენა ჰანგებად მიმობნეული,
ჩემი სიმდიდრე და აღმაფრენა.

მე გავიზრდები იმედით, რწმენით,
გზას დამილოცავს დიდი უფალი,
მექნება ზეცა ფირუზისფერი
და საქართველო თავისუფალი.

მოლოდინი

ვაჟიშვილი გაისტუმრა ომში,
არ დაიტყო ნაღველი და სევდა.
შვილო! ტყვია არ მოგხვდესო ზურგში --
მედიდურად მიაძახა დედამ.

...თეთრ ღამეებს აღარ ჰქონდა დათვლა,
ქალს უფრთხობდა ძილს ფიქრები მწარე,
მოიღრუბლა და ატირდა ზეცა,
ველზე მწარედ ჭიხვინებდა ცხენი ...

ოჯახი

მართლაც „ჯახი“ და დავიდარაბა,
ღამით მშფოთვარე ძილი,
ოჯახურ რბოლას ვინ გაუძლებდა,
რომ არ ჩნდებოდეს შვილი?!

ჩვენი მეორედ მოსვლა-აღდგომა,
გამგრძელებელი გვარის,
მათზე ფიქრი და ტკბილი ალერსი,
ყველაფერს ვიტანთ ამით.

ობლის ტირილი

ალაზნის პირთან ლოდინის ნაცვლად,
მდინარე სუფსის მერგო ნაპირი,
მამა-პაპეულ კარიბჭეს ვნატრობ,
ჩამქრალ კერაზე, ვდარდობ და ვტირი.

ომმა სავალი გზები არია,
მამას რუსეთის მიწაში სძინავს,
მე, დედულეთში ვარ დასავლეთში,
გურიის მთებში დავიდე ბინა.

ვარ მოშორებით ცივგომბორიდან,
ჭირისუფლად მყავს ნასაკირალი,
მამის კერაზე სხვა გვარი სახლობს,
და განმკითხავი არავინ არი.

ათეულობით წლები გაფრინდა,
ვერ გვიპოვია ჩვენ ერთმანეთი,
სულ სხვა კუთხეში ვარ მასპინძელი.
სტუმარი გავხდი ჩემი კახეთის.

სისხლიანი აპრილი

აპრილის მოსვლა იყო სიცოცხლე,
ძარღვებში სისხლის ახმაურება,
ლურჯი აპრილი შეღებეს წითლად,
ტირის სული და ტირის ბუნება.

მივდივარ,მივდევ სისხლიან ბილიკს,
ჩიტები ფრენენ მწარე ჟღურტულით,
წინ მიძღვის ცხენი ფაფარაშლილი,
ფეხის ბაკუნით, ფრუტუნ-ფრუტუნით.

შეჩერდა ტბასთან,წყურვილი ჰკლავდა,
ფეხით გათელა გვიმრა და შქერი,
წყალს დახედა და აღარ დალია,
წყალი დაუხვდა წითელი ფერის.

აპრილის მოსვლა იყო სიცოცხლე,
ძარღვებში სისხლის ახმაურება,
ლურჯი აპრილი შეღებეს წითლად,
ტირის სული და ტირის ბუნება...

სიმღერა გლდანზე

ძველ საძირკველზე დგას სალოცავი,
სამრეკლოს წვერზე ნავარდობს ქარი.
ლაჟვარდებისკენ მიიწევ მედგრად,
იზრდება შენი სიგრძე და განი.

გამშვენევს ტბები, მამკოდის მთები,
სუფთა, ჯანსაღი, ჰაერით მკვებავ,
ხარ ფალავნების აკვნის დამრწევი,
მრავალი გმირის გამზრდელი დედა.

მე მიყვარს შენი შარა და ქუჩა
და სართულები ცაში აჭრილი,
ცრემლდანამული ჩემი მამულის,
გლდანო, შენა ხარ გულის ნაწილი!

მისამღერი:
დიდება შენს გზას, დიდება გლდანო!
მაღალი ღმერთი გფარავდეს მარად,
იყოს მშვიდობა, იყოს მშვიდობა,
წინ სიყვარული გვიძღოდეს ფარად.

ჭრელი წინდა

წვიმს..უბერავს მწარედ, შემოდგომის ქარი,
ყვითელ-ყვითელ ფოთლებს დააქროლებს მინდვრად,
ბაზრის კართან მთიდან ჩამოსული ქალი,
აქებს თავის ნაქსოვ-ამოქარგულ წინდას.

წინდის ყელზე მოსჩანს, ჭედილა და ჯიხვი,
მთის ბექობზე ყალყზე, ჯიქურ შემომდგარი,
შეუმკია წინდა ნაიფერი ძაფით,
ოსტატურად ნაქარგს ვერ მოვწყვიტე თვალი!

წინდა, თბილი წინდა,აბა ვისაც გინდათ!...
გამვლელ-გამომვლელებს წინ უხვდება ქალი,
ჭრელი წინდის ყელზე ამოქარგულ ნიშნებს,
კვლავ ეტყობა ძველი ნიმუშების კვალი.

ისევ ცოცხლობს მათში ძველი ადათ-წესი,
ქალს უმშვენებს ხელებს ზამთრის თბილი წინდა,
დააქროლებს ქარი ყვითელ-ყვითელ წინდებს,
ისევ ისე წვიმს და ქალი ჰყიდის წინდას.

ჩარგალში

თვალი ვერ სწვდება ცამდე აზიდულ
მთის წვერს არწივთა ბუდით მოქარგულს.
ჩარგლურა მორბის ხმაურით მთებში,
მასპინძლობს სტუმრად ჩასულ ნაკადულს.

მე მოხიბლული უცქერი მთა- გორს,
ლამაზ ზღაპარს ჰგავს ჩარგლის ბუნება.
აღმომხდა ნატვრა, ნეტავი ღმერთო,
შეგეძლოს ვაჟას შინ დაბრუნება!

მალხაზი ფუტკარაძე
ვოკალის პედაგოგი,
დაბადების ადგილი - ქობულეთი

ქართული ტრადიციები უცხო მხარეში...

რა გითხარ წუთისოფელო:-
დედის მაგივრად ნენემ,
გამიღო გულის კარი,
ნენეს კალთაზე დამიხვდა
ამღერებული ქნარი,
ნუ გამამტყუნებ უფალო,
მას, თუ ხელი ვერ ვკარი...
ბავშვი ვიყავი პატარა,
ჯერაც უგონო, მკრთალი.
ნენემ უბეში გამზარდა,
არ ამარიდა თვალი.
ნენე დღემდე მყავს საფიცრად,
თუმცა დიდი ხნის მკვდარი,
ის ცოცხლობს დღემდე ჩემს გულში,
ჩემი სულისა დარი.
მან ამიმღერა ლამაზი,
ჩემი სიცოცხლის ქნარი.
თუ გამიჭირდა, დიდ ნენეს,
იხმობს ეს ჩემი სული,
თითქოს ის ჩემთან ახლოა,
ასე გრძნობს ჩემი გული.
მან შემაყვარა სიმღერა,
აჭარულ ძველი სტილის,
მე რომ დავუკრავ, მგონია
კლავიშზე დედეი ნენე ,
სიხარულითა ტირის.

წამოვიზარდე მე ნენეს
დიდი შრომით და მადლით,
ისეთი ვაჟი ვიყავი
როგორც ნახატი კალმით.
ქობულეთს ქალი ვიხილე
სახელად იყო თეონა,
ისეთი ნაზი ქმნილება,
მე მარწყვის კონა მეგონა.
უმისოდ ჩემი ცხოვრება,
მე უაზრობა მეგონა,

არ მეგონა თუ დედა, მასზე მე,
უმკაცრეს უარს მეტყოდა...
დედას გავანდე ფიქრები.
არას ვმალავდი მასთან...
სწრაფად, უეცრად შემცვალა,
მისი რჩევებით ნათქვამმა...
მე ამის მერე დედასთან
არაფერი არ მეთქმოდა,
რადგან ვატყობდი მის მკაცრ
ხასიათს, მაინც უარს რომ მეტყოდა...
საქმის ბოლო რომ მცოდნოდა,
მე სათქმელს დავუმალავდი
და ამ სიყვარულს ბავშურად,
ლამაზად დავიფარავდი.
ვეღარ მოვზომე ჭკუა და
დედის სიტყვამ შემაშინა,
სად იყავ ჭკუავ, მაშინ შენ,
სიტყვებმა რად შემაშინა?!...
დარდით დავტოვე სამშობლო,
დედეი ნენეს ნაზარდ შვილს,
რუსეთმა კარი გამიღო,
მადლობელი ვარ ბედისა,
უცხოს, უცხომ რომ გამიგო.
რუსეთის სასწავლებელში
მარის შევხედე თვალადა,
ესე ნატიფი ქმნილება,
სხვებთანა ღირდა ქალადა...
არშიყი სიტყვა გადავკარ,
მან შემომხედა მკაცრადა,
მაგრამ სიტყვები ბაგიდან
გულში შემომრჩა დარდადა.
შენ ყველა ქალი მოგწომს და
მე არ გავხდები საშენოდ,
დრო გაატარო ჩემთან და
მერე შევიქმნა საწუნოდ?!

ამ სიტყვით მარი, დღემდეა
ჩემი გულისა მბყრობელი,
ასე შევიქმენთ ორივე
ჩვენ ოთხი შვილის მშობელი.

ერთი ვიყავი, ერთ ხანად
ახლა ოჯახში ექვსი ვართ,
ექვსივე ქართველთა შვილი
და საქართველოს გენი ვართ.
ფუტკარაძე ვარ გვარად და
ფუტკარს შრომითა ვჯობივარ,
მშრომელი ქართველი კაცი,
რუსულ მიწაზე დავდივარ.
მე ოთხი შვილის ხალისით
ხან მეცხრე ცაზე ავდივარ!...

ქუჩაში გასულს რუსეთში,
ყველა ღიმილითა მხვდება,
თუ ბაღში ვინმე შემოვა
შეშინდება და კრთება,
სამ ჰექტარს თვალს რომ მოავლებს
ხილს ვეღარ ითვლის თვალი,
ბევრჯერ უკითხავთ სად არის
მალხაზი, შენი ქალი?!
ასე მარტოდ რომ შებმიხარ
როგორც უღელში ხარი,
ამას სჭირდება იცოდე,
არმია, ოჯახის სრული ჯარი!...

ქალი ოჯახის ბურჯია,
განა აშარი?! დინჯია!
ოთხი შვილი ყავს საზრდელი,
ჩვენი ოჯახი დიდია!...
ოთხი შვილი მყავს ოთხივე
ქართულად გამოზრდილები,
ვერც გაბედავენ მკაცრ მამას,
რომ არა ჰყავდნენ ზრდილები...



კარტოფილისა საკრეფად
ბაღში მჭირდება ბავშვები,
ისე ღუღუნით კრეფავენ
როგორც კენკრაზე შაშვები.
შრომას, დიდ ნენეს უმადლი,
მისი გეზით ვარ ნაჩვევი.
მე, მაპატიე მკითხველო,
ეს არის ჩემი ნენეს და
ჩემი ალალი ნარკვევი.
მისი ნასწავლი გეზებით
ყველა საქმეში ვერკვევი.
თეთრი სიმინდის ყანაში
მოსავალს უხვად მოვიწევ,
ღომზე, ნენეის კეცის მჭადებზე
ყველს და სულგუნზე მოგიწვევ...
ცოტა რამ საკუჭნაოზე,
შავ კუხნაზე მსურს მოგიყვეთ,
ბაღებიდან მსურს ძვირფასნო,

ჩემს სახლამდე რომ გაგიყვეთ.
გაზაფხულზე რომ შემოვა,
მარწყვი ბალი და ატამი,
ჯემებს, მურაბებს მოვხარშავ,
თქვენ არ გექნებათ ნაჭამი.
შემდეგ ალურჩის ხეზე ვარ,
საწებელა რომ მოვხარშო,
კვაწარახებით შემკული
წიწილები რომ მოგართო...

ღვინოც უხვად მაქვს ბოცებით,
გაგემოთ ალადასტური?
დელეგადესი ღვინო მაქვს,
მოცხარისა და ჟოლოსი, ამისთვის
კი დაგჭირდებათ თხოვნა,
და ჩემი დასტური.
გავაორგულე ფიქრები,
დედა არა მყავს გვერდზე,
ნენეც წავიდა იმ ქვეყნად!
მაგრამ დავმარხე მკერდზე.
ფეხწამოკრული ვყვიროდი,
ვაი, მიშველე ნენე!
ღმერთო მაღალო, მითხარი!
გულის დარდები მწველი
შენს ძალით გადმოვფინე?!
ნენეის გვერდით პატარას,
თოხიც მეჭირა, ბარიც,
და მე იქიდან, აქამდე,
ვენახიც მიყვარს ბაღიც.
დღეს მე აქ, უცხო მხარეში
ჰექტრებს მარტოდ მე ვფერავ,
მაგრამ იმ ძველ დარდს დედაზე,
გულო! ვერაფრით ვკერავ...
ჩემს ბაღში მარწყვი მწიფობს
და ვაშლები ლოყა წითელი,
ხეზე ასული ვაზები, ჩემ

ნენესია თვალები.
ისიც მაღონებს იქნებ და
მე დედის გულის დარდივარ,
გავემტყუნები ახლა მე,
დედასთან თუ ვერ ჩავდივარ?!

ირა სოფრომაძე
ფილოლოგი, იურისტი, სისხლის სამართლის სერთიფიცირებული ადვოკატი.ფსიქოლოგი.
ორგანიზაცია„ქართული დიასპორა იყალიაში”„სამშობლო ერთადერთია”
ოფიციალური ხელმძღვანელი.
დაბადების ადგილი ტყიბული საწირე. (ემიგრანტი.)

უშენოდ

ვეღარ ვხედავ შენი წასვლის
ნაფეხურებს,
თოვლმა იგი წლების წინათ
გადაფარა,
ბრაზმორევით ღამე სარკმელს
მიჯაჯგუნებს,
ისევ ტირის განშორების
სერენადა.

ლოლოებად დაკიდულნი ის
ცრემლები.
შენი მოსვლით ელოდება
დათბუნებას,
ჩიტებივით აბუზულან და
დღეები,
გულნატკენი კვლავ ფიქრობენ
შერიგებას.

მონატრება დალასლასებს ცრემლ
გამშრალი,
შენზე დარდში სიბერეც კი
შეპარვია,
გაიარა დავიწყების გზა
სავალი,
მაგრამ გული ისევ დარჩა
შენთვის ღია.

თოვს და თოვლმა ჩამოთოვა
ნოსტალგია,
როგორც მაშინ ისევ გხედავ.
მენატრები,
მოგონებაც იმ წარსულის
ნახატია,
და მე ზამთარს უშენობით
ისევ ვხვდები.

* * *

გამომიხუნდა იმ დღეების ყველა ფურცელი,
სიტყვებიც თითქოს მხართეძოზე წამოწოლილან,
მაგრამ რა ვუყო ,გული თუ მაქ ისევ უცვლელი,
და მაინც გიცქერ სიბერეში ჩუმად შორიდან.

მეგობარი წვიმა

სონეტებს მიწერს შხაპუნა წვიმა,
წვეთი ჩამოკრავს წკაპუნით სიმებს,
შენი ალერსი წვიმასაც ტკივა,
იუდას კოცნით ისევ რომ მიწვევს.

გრძნობები ხატავს ცხოვრების ფრესკას,
შენ ზედ ლაქებად ტოვებ შუქჩრდილებს
და აღარ იცის წვიმამაც რა ქნას,
რით მომაშოროს გულს ვერ იმშვიდებს.

როცა მე ვტირი მაშინ ის ტირის,
და აკორდებად აწყობს ჩემ ცრემლებს,
ჩანგად შეუკრავს წვეთები დილის,
თქეშად რომ მოდის, მაშინ აჟღერებს.

სონეტებს მიწერს შხაპუნა წვიმა
შენი ალერსი გულს ისევ ტკივა..

აგვისტოს ხვატი

ზაფხულის მზე ჩამოგორდა პლაჟზე,
აგვისტოს ხვატს გულს ალმური ასდის,
ზღვა ნარნარით წამოგვიწვა მკლავზე,
თითქოს დარდი შემოაწვა ხვალის.

აგვისტოს ხვატს დადგომია ბუღი,
ცეცხლი ასდის მზის უბეში ჩასვლას,
თვალზე თითქოს მოსდგომია რული,
თავს ვერ აღწევს აცეტებულ ტალღას.

აგვისტოს მზე დაგოგმანოს პლაჟზე,
ჭყუმპალაობს, გულს იგრილებს ზღვაში,
დასველებულ თმას ივარცხნის განზე
ოქროსფერი ულივლივებს თმაში.

ზაფხულის მზე ჩამოგორდა პლაჟზე...

წვიმად მოვედი

ატირდა ღრუბელი ბიბლიურ წვეთებით,
სიმართლე აწვეთეს ზედ კაცობრიობას,
დასასრულს უთუოდ ჩვენ ისევ შევხვდებით,
მადლობას შევწირავთ უცნაურ განგებას.

ღრუბლებმა იწმინდეს წარსულის ცრემლები,
წვეთებმა დაიწყეს თამაში მისნური,
მოვდივარ წვიმებად გკოცნი და ვერ ხვდები,
თავს რომ გევლებიან წვეთები გიჟური

ვცხოვრობ აფროდიტეს მითურ სამყაროში,
წარსული მონატრებას ისევ ელალება,
წვიმით გეფერები, მოვალ სისრულეში,
რადგან ვერ შევძელი შენი დავიწყება.

აპრილი მოდის

(13 წლის წინ ...პირველი ლექსია უცხო მიწაზე და პირველი გაზაფხული)

გულდაწყვეტილი ზამთარი გმინავს,
აწყვეტილ ქარებს კარს ჩაურაზავს,
მისი მეფობის წუთებს აკრიბავს,
და მომავლისთვის გადაინახავს.

როცა გაზაფხულს დაუთმობს ტახტს და
წუნწკლიანივით კვლავ მოუბერავს,
კვირტებს ტკაცუნით ააცლის კანს და
ზედ ბოროტებით თავს წაუყინავს

თან აპრილისგან ისესხებს დღეებს,
და ისისინებს იმ ნასესხებში,
 შიგ გულგამთბარი მიწა იფუებს,
და იზმორება ძველ ნახნავებში.

ჩონჩხებად ქცევა არც კი ეძნელა,
კვირტს შემომსკდარი აკაციების,
სულ არ ადარდებს ია, ენძელა,
ტყედ შემოსული არც ნარციცები.

ზამთარი უკვე წვეთებად ტირის,
მარტმა იტვირთა კვლავ ნასესხები,
ულამაზესი აპრილი მოდის
ხელში უჭირავს ბღუჯად იები.

აპრილი მოდის ულამაზესი...

****კაცური ჟინი****

მონუსხულ მზერის ლამაზ თვალების,
გიჟური ვნების სუნთქვა ძლიერის,
კაცური ჟინის აელვარების,
ტუჩს დაკონება როგორც მშიერის.

ჩუმი კვნესა და ვნების კრუსუნი,
გადახლართული სხეულთ სიშიშვლის,
გამონათება თეთრად უკუნის,
კმაყოფილებას თავად რომ შველის.

წუთებში ათვლის წლების ნანატრის,
როგორც სელაპი ეკვრის სიშიშვლეს,
ამოოხვრაში სიტკბოს ააცლის,
ზედ დააცხრება სულს დაიმშვიდებს.

თავადაც უკვე ჟინით მთვრალია,
მისი ვნებები , ჟინში დაცურავს
აბა, რას იზამს , ის ხომ კაცია,
და აისრულებს იმას ,რაც უნდა.

p.s.
გიხაროდეთ, კაცებო!
ერთი ჩვენთვის სასიამოვნო ლექსი
დაწერეო,ა, ბატონო, მოგართვით ,
მაგრამ ძაან არ აგივარდეთ თავში.

წლების იარა

უცებ დაბერა ჩამობერტყა
წლები ამართვა,
ტუჩებს მოპარა ვნებიანი
აბურცულობა,
სამაგიეროდ თან მოასწრო
ნაოჭთ გარანდვა,
აღარ მიხდება ის ბავშვური
გაბუტულობა.

სანაპიროზე მივუყვები ,ვფიქრობ
დასასრულს,
სველი ქვიშა კი ისე მიჭერს
როგორც წარსული,
მზე უკანასკნელ სხივს
აართმევს ტალღების ალანძულს,
არტახებივით შემომეხვა
დრო გარდასული.

ვიყავ ამ დროში სტუმარი და დროის ის მაცნე
მგზავრი, რომელმაც წუთისოფლის გზად ჩაიარა,
გარდასულ წლების ვარ დაღლილი ის მატიანე,
გულში გახსნილი დარჩენილი რომ აქვს იარა.

*** ..მწველი ალივით..***

ალივით მლოკავს მოგონება გულზე მადნება,
დამსუსხა წლებმა შენ უბეში არ გამაჩერა,
ჩაკეტილ სკივრის აღარ მინდა ისევ გაღება,
და აღარ მინდა ამ გრძნობების გამოზამთრება.

ტანგო

ხელის შეხება შეატოკებს
თითქოს სამყაროს,
ვნება აშლილი წაიქოჩრავს
თავს სისრულეში,
ცდილობს განცდები ერთიანად
ერთად აყაროს,
როგორც ავაზა აწყვეტილი
დარბის სხეულში.

თითქოს ახლოა წამიერი
ეს გატაცება,
მერე გარბის და ისევ გიწვევს,
ისევ გახელებს,
ვნება შიშველი დასრიალებს
სულში გეღვრება,
გრძნობა ნახელებს აღარ ძალუძთ ჭერა ამ ხელებს.

გადადინდება ერთმანეთში
ერთურთის ტკბობა,
თავდავიწყებას მიეცემა
თრთოლვა სხეულთა,.
როცა მუსიკა შეაჟრჟოლებს
მთავრდება თრობა,
ერთ ამოსუნთქვით დასრულდება ტანგო
რჩეულთა.

* * *

თავად შენა ხარ სიყვარულში ზღაპრული მოსვლით,
ღამის ვნებებში გადახვითქულ სარეცელს მიყოფ,
ჩემ კელაპტარში კვლავ ლოცულობ შენეულ ლოცვით,
ტანს შემომსკდარი ალმოდებით თვალებით მიხმობ.

აფროდიტეა შენ გრძნობებში გართხმული ქალი,
და იმ წამებში ის განაგებს მითურ სამყაროს,
დიდ არტემიდას ტაძარივით ტრიალებს ალი,
განმეორებას სულდამცხრალი ისე რომ მომთხოვს.

გაქცევა

როცა თოვლისგან დაიბერტყა
ზამთარმა კალთა,
მაშინ თეთრ ბუქში ათეთრებულს გაყევი ფიქრებს,
თვალს მიყინული სინანულის
ცრემლი დგას კართან,
მინდა გაქცევა, მაგრამ გული
შენგან არ მიშვებს.

შემოდგომაა,მე კი მსუსხავს
ზამთარი წინა,
ყვითლად დამცვივდა ის დღეები, ფიქრი გაშიშვლდა,
რა მოხდებოდა, რომ გაქცევა გესწავლებინა,
ეს მონატრება ისე მტანჯავს სული ამტკივდა.

რა მოხდებოდა, რომ გაქცევა
გესწავლებინა,
და თან წაგეღო შენეული რაც ხსნის იარებს,
და სამუდამოდ არ დაგედო ამ გულში ბინა,
ამ ტკივილს ახლა ვეღარც ცრემლი ვერ დამიამებს.
რა მოხდებოდა, რომ გაქცევა გესწავლებინა.....
...

თოვდა..

თოვდა,თოვლი სიყვარულის ფარდაგს ქსოვდა,
და საჩუქრებს ვიღაც უხვად გვიგზავნიდა ციდან..
სიყვარულიც თოვლთან ერთად მოდიოდა,
მონატრებულ ფიფქებს ისე გულიანად ცრიდა.

ამ ფიფქებში იყო რაღაც სრული სწრაფვა,
გზააბნეულ ფიფქებს მასპინძლობდა კორდი,
თუ გრძნობები გასული წლის ზამთარს გაჰყვა,
ამ ზამთარში მოდი მაინც, სტუმარივით მოდი.

მალხაზ უღრელიძე
სამართალმცოდნე პოლიციის მაიორი
დაბადების ადგილი - სამტრედია - კულაში

გიბერდები დედა...

თმაში თეთრი შემეპარა და გულში კი სევდა,
ის ბავშვობის ტკბილი წლები გაქრა, ვეღარ ვხედავ,
მონატრების ცრემლი მომდის, სხვა ვერ ამჩნევს ქვეყნად,
ხალისიც კი გაქრა სადღაც, გიბერდები დედა.

მახსოვს მე შენი ამაგი, სულ თან დამდევს, ყველგან,
შენი ლოცვა მასულდგმულებს, მაძლიერებს ყველგან,
აღარა ვარ ონავარი, რაც ვიყავი ძველად,
თმა და წვერი შემევერცხლა, გიბერდები დედა.

შენი ნანა მენატრება, შენი მოფერება,
მე შენს ხელებს ვეფერები და სევდიან მზერას,
ასი წელიც რო ვიცოცხლო, შენ მე ბავშვად მხედავ,
მაგრამ არ ვარ მე ის ბავშვი, გიბერდები დედა.

თმაში თეთრი შემეპარა, გულში დარდი, სევდა,
მენატრება მე ბავშვობა, სიზმრებში რომ ვხედავ,
მაგრამ ვიცი, არასოდეს იქ ვერ დავბრუნდები,
იმიტომ რომ, რა ხანია დაგიბერდი დედა...

მიდის თებერვალი...

მიდის ზამთარი და მიდის თებერვალი,
მალე გაზაფხული მოვა ჟრიამულით,
წავა დარდი, სევდა, წავა მწუხარება
მოვა ხალისი და მოვა სიხარული.

კვირტებს გამოსხამს ირგვლივ არე-მარე,
კვირტთა სურნელება არის მათრობელა,
გული გათება და კვალავაც შეიყვარებ
და აღარ დარჩები აწი მარტოხელად.

მიდის თებერვალი, ზამთრის ცივი ელჩი,
გიჟურ ხასიათით მარტი გვესტუმრება,
ირგვლივ ყვავილები გაიღვიძებენ და
მზით თბილი სხივები კვლავ ჩაგვეხუტება.

მოვა გაზაფხული, ანცი და თავნება,
დაგვიბრუნდებიან მერცხლები შორიდან,
მე შენ მოგილოცავ გაზაფხულის მოსვლას,
მოვალ და მე მინდვრის ყვავილებს მოგიტან.

მიდის ზამთარი და მიდის თებერვალი,
მოდის გაზაფხული, მოაქვს სიხარული,
წარსულს ჩაბარდება დარდი და ნაღველი,
კვლავ დაისადგურებს ირგვლივ ჟრიამული.

* * *

როცა ვიხილე შენი თვალები,
როცა ვიხილე მე შენი სახე,
შენ დაიმონე ჩემი სული და
ჩემს გულს შენ ერთმა დაუგე მახე.

შენ დამავიწყე მე სამყაროში
ყველა მდედრი და ცოცხალი ქალი,
შენ სითბო ჩემში შემოიტანე
და ამიხილე ამ ქვეყნად თვალი.

ვნატრობ მე შენთან ერთად ცხოვრებას,
ვნატრობ მე შენი ტუჩების გემოს,
მსურს სიკვდილამდე რაც დამრჩენია,
შენთან ვიცხოვრო ძვირფასო ჩემო.

ალბათ ოდესღაც ერთად ვიქნებით,
დღეს გამითენებს მე შენი კოცნა,
შენ ჩემი სულის ხარ ანგელოზი,
ამიტომ მინდა მე შენთან ყოფნა.

ვოცნებობ შენზე მე დღე და ღამე,
მინდა რომ იყო მეცხედრე ჩემი,
მსურს შენთვის ვენთო როგორც სანთელი
და მონატრება რომ მერქვეს შენი.

ალბათ...

ალბათ ოდეს მეც იმ ქვეყნად წავალ,
ალბათ ოდეს მეც მიგლოვებს ვინმე,
ალბათ ოდეს ჩავა ჩემი მზე და
გიტარაც კი არ დაუკრავს სიმებს.

ალბათ ოდეს დამინთებენ სანთელს,
ალბათ ოდეს განათდება სული,
საიქიოს რაც გამათბობს ალბათ,
ეს იქნება თქვენი სიყვარული...

ქართულ ანბანს...

ფარნავაზ მეფემ შეგქმნა, დაგწერა,
დაგწერა ისე, ვით წმინდა ხატი,
შენით ვამაყობთ ყველა ქართველი
და სამუდამო დაგიდგით ტახტი.

ენავ ქართულო, ენავ უკვდავო,
შენი ანბანი ძველთა ძველია,
ეს ლექსი შენი ქება-ხოტბისთვის
და დიდებისთვის დამიწერია.

სად აღარ გნახავს შენ კაცის თვალი,
შენი ჩუქურთმით და სილამაზით,
ა-დან ჰაე-მდე რაც იწერების,
ბრწყინავ, კაშკაშებ როგორც ალმასი.

ვით ყოვლადწმინდა სამება ჩვენი,
შენც სამი სახის გაქვს დამწერლობა,
ასომთავრული, ნუსხურ-მხედრული,
შენს სადიდებლად ესეც გვეყოფა.

შენ ხარ ქმნილება უხსოვარ დროის,
ისტორიაში ფართოდ გაშლილი,
დედაენა კი როგორც გვირგვინი
გშვენის იაკობ გოგებაშვილის.

ფარნავაზ მეფემ შეგქმნა, დაგწერა,
დაგწერა ისე, ვით წმინდა ხატი,
შენს სადიდებლად, უკვდავსამყოფად
გაბრწყინებული დაგიდგით ტახტი...

მტირალი ქალი...

სადღაც ძალზედ შორს, ცივ სამარესთან,
ქალი ვიხილე, ცრემლ მომდინარი,
გულში სიკვდილის ვიგრძენ ტკივილი,
რომ დავინახე ქალი მტირალი.

მის მწუხარებას და სევდის ღრუბელს
და ცრემლთ მდინარეს შევავლე თვალი,
თავი ვინატრე იმ სამარეში,
სადაც ტიროდა ის უცხო ქალი.

ცრემლი ნამავდა საფლავის ცივ ქვას
და გლოვის იდგა იმ ჟამად ხანი,
მის დიდ სიყვარულს, ბედნიერებას
მწარედ ტიროდა მტირალი ქალი.

ცაზე გაელვა, დაიგრუხუნა,
მეხიც გავარდა იქვე მახლობლად,
საფლავის ქვაზე ჩახუტებული,
მტირალი ქალი სიკვდილს ნატრობდა.

დასრულდა, მორჩა მისი სიცოცხლე,
ბედნიერება და სიხარული,
რადგან საფლავში განისვენებდა
მტირალი ქალის ზღვა სიყვარული.

მორჩა, დასრულდა ბედნიერება,
ცრემლით ივსება იმ ქალის თვალი
და იმ საფლავთან სულს განუტევებს,
ოდესღაც ალბათ მტირალი ქალი...

როცა გიხილე...

როცა გიხილე, გულის ცემა გახშირდა უცებ,
მიჯნური გავხდი შენი ეშხის და სილამაზის,
გადამავიწყდა მე წარსული ჩემი ცხოვრების,
გადამავიწყდა რაც მინახავს ქალი ლამაზი.

შენი შავი თმა დატალღული, ვით ოკეანე,
შენი თვალები მოკაშკაშე როგორც ალმასი,
ჩემი ლექსების მუზად იქეც შენ ერთადერთი,
ჯერ არ მინახავს ქალი შენებრ ქვეყნად ლამაზი.

ამეკვიატე ფიქრად, სიზმრად შენ ერთადერთი,
დამაკარგვინე მოსვენება, ადუღდა სისხლი,
ყველგან დაგეძებ, მსურს შევიგრძნო შენი სურნელი,
მხოლოდ შენ გნატრობ, დანახვაც კი არ მინდა სხვისი.

მსურს დავეწაფო ვით მწყურვალი შენს ლამაზ ტუჩებს,
მსურს, რომ ვიგემო შენი სითბო, შენი ალერსი,
მსურს ჩემი იყო, სხვას არავის არ ეკუთვნოდე,
მსურს გამოგიტყდე სიყვარულში შენ ერთს ამ ლექსით.

მსურს რომ შევიგრძნო შენი კანის სინაზე, სითბო,
მსურს რომ გიყვარდე, ისე როგორც მე შენ მიყვარხარ,
შენზე ფიქრებს და შენზე ნატვრას მინდა იცოდე,
მე მხოლოდ შენი სახლის გზებით შენსკენ მივყავარ.

მსურს დავეფინო შენს ნაკვალებს ვით ია-ვარდი,
მსურს შენი კოცნით თენდებოდეს ჩემთვის ყველა დღე,
მსურს ჩემს მკლავებში რომ გეძინოს ვნებისგან დაღლილს,
თვალს რომ გავახელ, მინდა მხოლოდ შენ ერთს გხედავდე.

მე მადლობას ვეუბნები უფალს...

თუ კი სევდამ შემოგხვია ფრთები,
თუ კი დარდში ჩაიძირა გული,
არ დანებდე, წამოდექი ფეხზე,
არ მიანდო ეშმაკს შენი სული.

თუ კი შენში ტკივილი კვლავ მეფობს,
კაეშანის თავზე გადგას მიტრა,
ილოცე და მადლი მოგეცემა,
უფალს ესმის შენი ყველა სიტყვა.

თუ კი ირგვლივ ისევ წყვდიადია
და ვერავის ვერ აგონებ სათქმელს,
გჯეროდეს, რომ შენი ესმის უფალს
და მოგმადლის უიმედოს სანთელს.

თუ კი ზურგი შეგაქცია ყველამ,
თუ კი გიმზერს შენ თვალები ცივი,
გულმხურვალედ შეევედრე უფალს
და გაგათბობს მისი მზერის სხივი.

არ დანებდე არასოდეს, არა,
მე ამ ქვეყნად მხოლოდ უფლის მჯერა,
რაც კი ძალას მმატებს ცხოვრებაში,
არის მხოლოდ უფლისადმი რწმენა.

ბევრი იყო ჩემს ცხოვრების გზებზე,
აღმართები დასაძლევად რთული,
არ დავნებდი, მაინც გადავლახე,
დამეხმარა უფლის სიყვარული.

მხოლოდ უფლის იმედი მაქვს ქვეყნად,
მისი მადლით ვამბობ მე ჩემს სათქმელს,
მე მადლობას ვეუბნები უფალს
და ყოველთვის ვუნთებ წმინდა სანთელს.

* * *

ვისთვის კაცობა ფულის დასტაა,
ვისთვის კაცობა არის პორთფელი,
ჩემთვის კაცობა არის სინდისი
და არაფერი სულ სხვა ყოველი.

ვისთვის კაცობა დიდი სკამია
და მეგობრობა თვით ამ დიდ სკამთან,
ჩემთვის მთავარი არის სინდისი
და ვიმეგობრო მე ნამდვილ კაცთან.

ვისთვის კაცობა არის სიმდიდრე,
ბევრი ფული და თანამდებობა,
მეგობარს ვირჩევ მხოლოდ სინდისით,
მე ერთგულება მისი მეყოფა.

მე მეგობარი მინდა ერთგული,
მე მეგობარი მინდა მართალი,
კაცს მე ვაფასებ უბრალოებით,
აი რა არის ჩემთვის მთავარი.

მე არასოდეს ვმეგობრობ „სკამთან“,
მე არასოდეს ვმეგობრობ ფულთან,
მხოლოდ ვმეგობრობ უბრალო კაცთან,
სინდისი რომ აქვს ამ ქვეყნად სუფთა.

გავა ჟამი და მას თან გაჰყვება
თანამდებობა, ფული, ქონება,
დარჩება მხოლოდ კაცის სახელი
რომელიც ქვეყნად არ იწონება.

ვისთვის კაცობა „კაცუნობაა“,
ვისთვის კი არის მხოლოდ სინდისი,
ვინც კი მეგობრობს გამორჩენისთვის,
დედა ვატირე ყველა იმისი.

ფესვები...

ხის სიმაღლე ფესვებიდან იწყებაო გამიგია,
ამ ფესვების სიყვარულით ძმობის კოშკი ამიგია,
მიყვარს ჩემი საქართველო, ერთადერთი კარგი ქვეყნად,
ჩემს სამშობლოს ვერ დავტოვებ და ვერ წავალ მე შორს ვერსად.

მე სამშობლო მიყვარს ჩემი, მისი მთებით და ველებით,
მისი ცით და მისი წყლებით და ერთგული ქართველებით.
მიყვარს ჩემი საქართველო, ჩემი დიდი სიამაყე,
განაცვალებ ჩემს სიცოცხლეს, ჩემს სულს შენ ერთს გიამაგებ.

მიყვარს ჩვენი ტრადიცია, ადათ-წესი წინაპრების,
ჩვენი სტუმართ მასპინძლობა, შესაშური მართლაც სხვების,
მიყვარს ვაზი მე ქართული, ჭურში ღვინო მათრობელა,
ჩემი ქვეყნის სიყვარულში თუნდაც დავრჩე მარტოხელად.

მიყვარს ბუხრის ცეცხლის ალი, მჭადი კეცზე გამომცხვარი,
ბუხრის თავზე თიხის დოქი, წინაპართა სახსოვარი,
მიყვარს მე ჩემი სოფელი, არ დაგიწყებთ ამის დასტურს,
საქართველოს ვადღეგრძელებ, დავლევ ჭურთან ალადასტურს.

წინაპართა სისხლი მიყვარს, მიწას ჯერ არ შეშრობილი,
გმირ ვაჟკაცთა საქმე მიყვარს, ქართულ მიწაზე შობილის,
ღმერთო ბევრი მოუვლინე ქართველთ შვილი სასახელო,
რომ ბრწყინავდეს მათი სახით ჩემი ტკბილი საქართველო.

ხის სიმაღლე ფესვებიდან იწყებაო გამიგია,
ამ ფესვების სიყვარულით ძმობის კოშკი ამიგია,
ვადღეგრძელებ ბებებრ მუხას და ღრმად გადგმულ მე მის ფესვებს
ამ ფესვების სიყვარული მაწერინებს მე ამ ლექსებს...

იზა კარიჭაშვილი - ინჟინერ ეკონომისტი
დაბადების ადგილი გორი

უფალი ხატავს...

თვალხილულია პოეზია არსთა განმგებლის,
ბუნების ხელით გასაოცარს ქმნილებებს ხატავს,
ზოგჯერ გვიგალობს ზეციური ღვთიურ ჰანგებით,
ხან, ფიროსმანის ფუნჯით ხატავს, უმანკო ნახატს.

ხან კლდის ჩანჩქერით მიგვანიშნებს, უფლის ძალაზე,
ჯიხვებს ქარაფზე დააჭიდებს, დიდრონი რქებით,
ხან მიაქროლებს ლურჯა ცხენებს, მზისფერ ტრამალზე,
ხან გაგვაოცებს განთიადთან მთვარის შეხვედრით.

ხან ობლის ქოხში ანთებული, გვხვდება კელაპტრად,
და ტყის მდელოზედ ყვავილნარში გადაინაცვლებს,
სურნელს მოაფრქვევს ფუტკრებისთვის ღვთიურს, ველად და,-
სანთელ-საკმევლით მიაცილებს ღამეს დილამდე.

განსაცდელისას არ დაგვტოვებს, მრავალჯერ ითქვა,
ერთგულ მეგობრად დაგვიდგება გვერდში, მყარ ხიდად,
ქართულ ენაში,- ღვთისნიერი,- გვქონია სიტყვა,
რაც ნიშნავს იმას,რომ კაცი კაცს, სითბოს აწვდიდა..

ზოგჯერ მადლია, დადებული ქვაზე წინაპრის,
სამშვიდობოზე გასასვლელი,- გრძელი ნაპირი,
მოხუცი მამის სიწმინდეა, - ცხადი სიზმარი,
და ამ სიზმარში სანუკვარი, გრძნობა ნამდვილი.

დაბადებიდან ჩვენზე ზრუნავს უფალი,-დედა!
და ბავშვობის წლებს გვიფერადებს ღვთიურ ნათელით,
დედმამისშვილში მარადიულ სიწმინდეს ვხედავთ,-
ღმერთს დაუნთია თურმე ჩვენთვის წმინდა სანთელი!

ზოგჯერ უფალი კართან მოდის, როგორც უმწეო,
ხელგამოწვდილი, მორიდებით, დაგვიკაკუნებს,
ჭიქა წყალს ითხოვს, მეტს არაფერს, გთხოვს რომ უშველო,
და გრძნობ რომ გულში, ჩუმი სევდა დაისადგურებს..

სიკეთისათვის იღვენთება როცა სანთელი,
ნათელი , უფლის სიყვარულში, მარცვლებად ყრია,
და როცა ვამბობთ,- იმ ქვეყანად ჰქონდეს ნათელი,
ზეცაში თურმე, ამ ქვეყნიურ მარცვალს ითვლიან...

მეფე- დედოფალს პირჯვარს დასწერს უფალი თავად,
მრავალ-ჟამი-ერს უგალობებს ტაძარს საოცარს,
ცხრა ძეს უსურვებს და ცხრა ასულს,- უფალი ნათლავს!
ჯვრისწერას მართავს საუფლოში, კვერთხით დალოცავს!

საჩუქარია უფლისაგან,- ტიტინი ჩვილის,
თვით ანგელოზი გვიგალობებს უფლის ენიდან,
ღმერთმა საჩუქრად გვიწყალობა ღიმილი შვილის,
და“აი ია“ გვისახსოვრა დედა ენიდან!

და საჩუქარი უმთავრესი, დასაფიცარი!
წმინდა მიწაზე უფლის რწმენა სანთლად ანთია!
ქრისტეს ვიცავდით ქართველები, გულის ფიცარით,

უფალს ქვე-ყანა , ქართველისთვის შეუნახია!
ქართული ვაზი! დალოცვილი მტევანი ყურძნის!
უფლის ცრემლია! სალოცავი წმინდა ხატია!
და მობიბინე ველ-მინდვრები ქართული ხორბლის!
უფალს ამ ცის ქვეშ, ოქროსფერში დაუხატია!

როცა სულშია შემოსული უფლის საწყისი,
ამ დროს უფალი, მორჩილებით, გვთხოვს ზიარებას...
სინანულია მონანული სულის საწმისი,
უფლის ერთგული ამ სასმისით ეზიერება!

და დედამიწა ბრუნავს მადლით! ღვთიურით მხოლოდ!
ჩუმი სიკეთე ატრიალებს ყველა დანარჩენს!
სიყვარულია ამ ყველაფრის თავი და ბოლო!
თვით სიკვდილიც კი ელოდება უფლის განაჩენს!

..თვალხილულია სიმფონია არსთა გამგებლის,
წუთისოფელში , უკვდავებას ,- უფალი ხატავს...
ზოგჯერ, მუსიკით,- ფოთოლცვენის სევდით, ყანჩელის,
ხან, ფიროსმანის ფუნჯით ხატავს, უმანკო ნახატს.
.....

წუთისოფელი...

....

ცხოვრება ბეწვის ხიდს ჰგავს, ბურჯებს უფალი იჭერს...
ყველა სულდგმული ცის ქვეშ ამ ხიდზე დააბიჯებს..
ზოგი ალალად ჰპოვებს დაუმადლებელ ლუკმას,
ღვთის სასუფეველს იმკის, წინაკაცს ასე უთქვამს...

სვე-ბედი ვის იმონებს, ვის დაფნის გვირგვინს ადგამს,
ვის ქუდბედს დააყოლებს, ბილიკებს დაუქარგავს.
ვინ ბამბას აჩხრიალებს,ვის ოქრო უღირს ჩალად,

შარბათით სავსე თასი ვინ გრძნობით გამოსცალა.
ზოგს სიკვდილამდე ჰხურავს თავზე ნამუსის ქუდი,
ზოგს გულით დააქვს ჩუმად სიკეთის მკრთალი შუქი.
ზოგი უმიზნოდ ფლანგავს ღმერთის ნაჩუქარ წამებს,
ზოგი დღესა და ღამეს ლოცვაში გაატარებს...

ზოგი სიმართლის თქმის დროს ამჯობინებდა დუმილს,
თვალს არიდებდა გლახაკთ და დაჩაგრულთა წუხილს.
ოქრო-ვერცხლისთვის ზოგი ეშმაკებს მიეყიდა,
და დიდებისთვის ზოგი საკუთარ სინდისს ჰყიდდა.

წუთისოფელის როკვა ვინ ნიჭიერად დადგა,
ვინ ჩადენილი ცოდვა მოინანია ხატთან.
ვის ჯვარცმის ტვირთი მძიმე, ჯილდოდ მოჰმადლა ზენამ,
ვინ მრუდე თვალით მზირე დასწვა და დაანელა...

ვინ ამა სოფლის ბილიკს ფართო შარამდე გაჰყვა,
ვის საცალფეხო ხიდი ჩაუტყდა, ტალღებს ჩაჰყვა.
ვინ ხელგაწვდილი მორცხვად, გამვლელებს სთხოვდა ხურდას,
ვის სხვისი ნაოფლარის მისაკუთრება სურდა...

ვინ ვაჟკაცური მკერდი მტრის ტყვიას შეუშვირა,
ვიღაცას სწყალობს ბედი, ვიღაც ფულს შეუცვლია...
სიკეთით სავსე გულით ვინ მტერი შეიყვარა,
მაგრამ, ამაოდ, თურმე კლდეს ცერცვი შეაყარა...

ზოგი ნატვრისთვალს ეძებს, ძებნისას მთავარს კარგავს,
მომხვეჭელობით, შურით ზოგს სული დაუკარგავს.
ზოგს მზე უნთია გულში და სხივებს უყოფს ყველას,
ვინ მოყვავილე ნუში რა უღვთოდ გადაბელა...

ვინ მოყვასს უმტრო გუშინ,ბოროტი გაახარა,
მისმა სიმცირემ თავად ეშმაკი ახარხარა.
ვინ სხვის გაკვალულ ხნულში ფეტვის მარცვლები ჰყარა,

ზოგმა სიკეთის ნერგი ხრიოკზე გაახარა...
ვიღაც იღიმის სულ და ვინ სევდას დაატარებს,
ვინ სხვის ტკივილზე სწუხს და ნისიად იღებს ვალებს...
ვიღაც აკვნესებს გარმონს დარდებს გაატანს ქარებს,
ვინ დაკარგულზე დარდობს, ვინ ახლად შეიყვარებს...

ვინ ომებს წამოიწყებს, ეშმა უძვრება სულში,
ვის დოღში გაუმართლა და ვის კი სიყვარულში,
ვიღაც სხვის ომში ბრძენობს და მტრობას გააჩაღებს,
სახედარიც კი "ცხენობს", საპალნეს დაატარებს...

ვინ მეგობრისთვის მზეა და ღვთიური აქვს ენა,
ადამიანთა სევდას ვინ ღამე გაუთენა.
ზოგი რაინდად იშვა, ვის დედოფლობა შვენის,
ვინ ანგელოზად იქცა ღვთიური განაჩენით.

...ზოგს შაშვის სტვენა ართობს, ზოგს მოლაღურის მღერა,
გრძნობებით ნამღერ ნოტებს ვინ ბანი შეაშველა.
ქვაზე დადებულ მადლის ვის უპირობოდ სჯერა,
ზოგმა ფიქრების რაში ნისლებში გააჭენა...

ზოგს უყვარდება გულით, ზოგი სხვას გულსაც პარავს,
ღვთის სამართალი ურმის ოდეს გადმოჰფენს კარავს,
მარცვლისოდენა რწმენა თურმე განგვაღმრთობს მდოგვის,
დედამიწაზე ყველა თავის მისიით მოდის....

...ვინ მღერის "თავო ჩემოს", ვინ ქვე-ყანაზე სწუხდა,
ვინ მთელ დუნიას ჩემობს, ვის ჭიქა ღვინო სწყურდა...
ზოგი ამ ქვეყნად მეფობს, ზოგი იმ ქვეყნად ცხონდა...
გადასასვლელი ხიდი ყველას საერთო ჰქონდა...
....
PS
მთვარიან ღამეს ბედად სარკმელთან მუზა თოვდა,
მეც ვიცოდვილე ლექსად, მუზას რისი თქმაც სურდა...
შევაკონწიწე ერთად, თქვენთვის მომეთხრო მსურდა.

წვიმა...

.....

წვიმა ღვთის ცრემლი ყოფილა, როცა მძიმეა ჟამია,
დარის დროს ცვრიან ბალახზე ციდან ნაჟური ცვარია,
შხაპუნა წვიმის წვეთები ღვთისმშობლის ცრემლის ნამია,
მთის წყარო ბროლისწყლიანი უკვდავებისა წყალია...

გულს ამიტომაც მიჩქარებს მთის ჩანჩქერები ჩქარია,
წყალვარდნილები კლდეებზე, კოკისპირული წყალია,
სულს მითბობს წვიმის შხეფები,-უფლის ცრემლების ნამია..
თურმე რატომა მშვიდდება ცრემლის დროს სულის კარია...
.....

შემოდგომის ვალსი

.....

ფერდაკარგულ, გამხმარ ფოთლებს აფრიალებს გზებზე ქარი,
ნაგვიანევ შემოდგომას მიაცილებს ხეთა ჯარი,
შემცივნებულ ფოთოლთმცვენებს მოსდგომიათ კარს ზამთარი.
ქარის ზუზუნს აჰყოლია სევდიანი ჩემი ქნარი.

მერე რაა, თუ ვერცხლისფრად უთოვია ზამთრის ბაღში,
გახუნებულ , გამხმარ ფოთლებს ქარი აფრიალებს გზაში,
ფერად-ფერად მოგონებებს მოხდენილად ვიბნევ თმაში,
შემოდგომის რევერანსით საცეკვაოდ მიწვევს ვალსი!

ქარებს ესმით, მხოლოდ ქარებს მეარღნის ხმა გულსაკლავი,
ქარიც სევდას დაატარებს , ტირის ქნარიც და არღანიც...
...რა მინორულ მელოდიას უკრავს არღნის კლავიშები.
რომ შემეძლოს, ზამთრის სუსხში , გულო, როგორ გაგიშვებდი...
....

ვალიდა, ნესტან ხარებავა - მედდა
დაბადების ადგილი თბილისი

ჩემო მამულო

დამდევს მამულო, შენი სითბო, ყველა მხარეში...
სულს გაუმართავს ლხინი, სხივი ბრწყინავს თვალებში,
თან მასმენინებს ბულბულების ქართულ გალობას,
ღმერთო! რაღა სჯობს,- ნათელ გრძნობას,შენსა წყალობას.

ისევ გავაბი დღეს ბაასი ულევ მუზებთან,
წამომეწია გასახარად ჯვარედინ გზებთან,
ჩემო მამულო! მონატრების ცრემლებს ვმალავ და
მაინც გაგიმხელ,-მრავალი დღე დარდში დაღამდა.

არ ვნებდები,უფალი მალე მიშუშებს წყლულებს,
დასაწყისები მოჰყვებაო სულ,- დასასრულებს,
მწამს ასე არის,მე გავივლი შენს მიწა-წყალზე,
მერე მითები დაიწერება ემიგრანტ ქალზე...

ჰო,მამულო! გამოვიდარე,დღეს მღერის გული,
რომ მეგობრებმა კვლავ მაჩუქეს,ზღვა სიყვარული,
რა მიხარია?- მათი გული არის მთლიანი
და რომ არსებობს სამყაროში ა დ ა მ ი ა ნ ი!

შენ ხარ პოეტი

შენ ხარ პ ო ე ტ ი!
დაგიწერია ციცქნა ლექსიც და დიდი ს ო ნ ე ტ ი,
ხარ უ კ ვ დ ა ვ ე ბ ა,
დაგიხატავს მუზით,- მზის ამოსვლა და
დ ა ღ ა მ ე ბ ა...
ღამის წ ყ ვ დ ი ა დ ი
შეგიმოსავს სინათლით და გამხდარა
გ ა ნ თ ი ა დ ი,
მთელი ბ უ ნ ე ბ ა
გიცოცხლებია, მტირალს გიმრთელებია
გ უ ნ ე ბ ა.
შენ ხარ პ ო ე ტ ი!
ამას დრო იტყვის,რა საჭიროა მიეთ-მ ო ე თ ი,
ყველა ც ი ნ ი კ ო ს ს
ღუპავს გონება და შედეგებზე თვითონ
ი ფ ი ქ რ ო ს,
მოგიძღვნი ს ა ლ ა მ ს
და დაგილოცავ კრძალვით,ჩუმად აღებულ
კ ა ლ ა მ ს,
არ აქვთ უ ფ ლ ე ბ ა
შეგიზღუდონ წერა,ფიქრები და
თ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ბ ა!

ყვითელგულა გვირილა

დღეს ფერდობზე, ყვითელგულა,
გვირილები ვნახე,
დაისს ზურგი შეაქციეს,
გამიბადრეს სახე,

თავს უხრიდნენ მორიდებით,
მონანავე ნიავს,
ყურს უგდებდნენ მთების არწივს,
ომახიან ხმიანს.

მის გარშემო სხვა ყვავილებს,
მოუხატავთ ველი,
გუშინ წვიმდა,მიწა ჯერაც,
ისევ იყო სველი.

მზე,დაღლილი იკრიბავდა,
ახლოს ბოლო სხივებს,
სულის სკივრში ვინახავდი,
ამ საოცარ ხილვებს...

ჰო,ფერდობზე,ყვითელგულა,
გვირილები ვნახე...

გავუყვე მინდა,ზოგჯერ ტრამალებს...

გავუყვე მინდა, ზოგჯერ ტრამალებს,
გამრთობი იყოს ცხენების რემა,
ანდა ავიდე მთაზე,ციცაბოს,
ან მიმასპინძლოს სალისა კლდემა.

დავიდო ბინა შორს,მტარვალთაგან
და ვეზიარო თუნდაც მშრალ ქვიშას,
მუზებს მივუჩენ ადგილს,-ძველ ქოხში,
რომ დაისვენონ,ჩამოვდებ ნიშას.

მერე დავუგდებ ბუნებას ყურს და
გავითავისებ მშვიდად მათ წუხილს,
თავს მაღლა ავწევ,სახეს მაწვიმდეს,
შევხვდები ზეცის მრისხანე ქუხილს.

რომ დაერქმევა შემოქმედება

გამთენიისას კვლავ ზარზეიმით,
მეწვია მუზა თავაწყვეტილი,
ვბეჭდავ სტრიქონებს ტუჩებზე ღიმით
არ მინდა დავსვა ბოლო წერტილი.

ჩამესმის ხმები,-მტრედის, ქედანის,
ღუღუნი მშვიდი,ასე საამო,
ჩემი სამშობლო ვგრძნობ,რომ მეძახის,
ლექსებით ვცდილობ,რომ დავაამო.

სარკმელს მოადგა გარიჟრაჟი
და ახალი დილის სურნელით მატკბობს,
ვფიქრობ,რამდენი წელი გავიდა,
ალბათ მამულიც ჩემსავით დარდობს.

დღეს ისევ აქ ვარ,სტამბოლის ქუჩებს,
მარმარილოს ზღვის ნაპირებს ვსერავ,
ისევ ღიმილი მიპობს ამ ტუჩებს,
როდის მიმიღებ სამშობლოვ ნეტავ?!

ვგრძნობ გაზაფხულის მოახლოებას,
ჩიტების ჟღურტულს,- სულ სხვა აქვს ხმები,
აღარ ჩამოვრჩი,არა,დროებას,
მიგზავნის ძალას სამშობლოს მთები.

დაწერილი მაქვს და კიდევ დავწერ,
ლექსად შევკარი ყველა ქმედება,
მკარნახობს ღმერთი,სათუთად ნაწერს,
რომ დაერქმევა შემოქმედება!

და თუ გაწყენინეთ, პატიებას ვითხოვ!...

დავაღამე დღე და
გავათენე ღამე,
დღეს შფოთვა დამჩემდა,
გაწყენინეთ რამე?

ჰანგებს,-ვიოლინო
აფრქვევს, ისმენს მთები...
მინდა მოგივლინოთ,
ანგელოზთა ხმები...

თუ მიბერავ ქარო,
თხოვნა შემისრულე,
ცრემლი,რომ არ ვღვარო,
ყველა დამიპურე.

ისევ ჩამოვკარი,
ვიოლინოს სიმებს,
ვაღე მათთვის კარი,
ვინც კარგს დამიპირებს.

დავაღამე დღე და
გავათენე ღამე,
დღეს შფოთვა დამჩემდa,
გაწყენინეთ რამე?

პაწაწინა ჩემი ხეთა

სად არ ვიყავ, საქართველოვ,
შენისთანა ვერსად ვნახე,
სხვა ქვეყნების სილამაზემ
ვერ დამიგო მე გზად მახე.

საზღვრებს გარეთაც იციან
ჩვენი კუთხე,სავსე მძლეთა...
თითქმის ყველგან ცნობილია
პაწაწინა,ჩემი ხეთა!

მთის ფერდობზე ციტრუსები
ბარად მოშრიალე დაფნა,
ამოტივტივდა წარსული
მოგონებამ იცი,-რა ქნა?!

გააღვიძა ბავშვის გული,
მიმალული სულის კუთხეს,
ჩაუარა ნოსტალგიებს,
ერთმანეთს სალამი უთხრეს.

უცაბედად განმიახლდა
ის სიმწარე, განვლილ დღეთა,
ის ტკივილი შენც გტკიოდა
პაწაწინა,ჩემო ხ ე თ ა!

თითქოს მოვკვდი,მაგრამ ღმერთმა
არ დამტოვა წაქცეული,
ნელა,ნელა სვლა დავიწყე-
აღმა, გავიმრთელე გული.

გვერდში დგომა გამახსენდა,
მთელი ჩემი რაიონის,
თანადგომით მოვახერხე
გადარჩენა,-მაშინ გონის.

ქართველებო!-გეფერებით,
დაგილოცავთ კვალსა ფეხთა,
ამიყვავდი საყვარელო
პაწაწინა ჩემო ხ ე თ ა

ხევსურულ მოტივებზე

ჩამოდი ჩემო მეცხვარევ,
გამოგყვე იალაღზედა,
იქნება იქ გადავსახლდე,
ბინა დავიდო მთაზედა.

ერთად ვეწვიოთ მწვერვალებს,
არწივებს ავყვეთ ბანზედა,
ცხვრის ქურქი შემოვიფაროთ,
როცა ჩამოთოვს, ტანზედა.

მზეს ერთი სხივი,მოვსტაცოთ,
ბრწყინავდეს მუდამ თვალზედა,
გვირგვინად გვედგას სიმტკიცე,
განათლებულსა თავზედა.

ვტკბებოდეთ თავისუფლებით...
ხელი გვეკიდოს ხმალზედა,
ლეგენდებს ქმნიდეს სამყარო,
შენს ულამაზეს ქალზედა.

რა მოგივიდა...

იყო ლხინი და შლიდნენ პურმარილს,
არავინ გრძნონდა თავს იქ ავადა,
მერე წარმოთქვეს სადღეგრძელო
და ამოირჩიეს ერთხმად თამადა.

ტაში ქუხდა და ქარს მიჰყვებოდა,
ხმა სიმღერისა მთად და ბარადა,
არ ისურვებდა განა ყოველი?
ელხინა სოფელს,მუდამ,მარადა.

სადღეგრძელოებს ცვლიდნენ რიგ-რიგად,
დავიწყებოდათ დარდი და სევდა,
ჭიქა ასწიეს,განსაკუთრებულ ,
გრძნობით დალოცეს მშობელი,დედა.

ბოლოში იჯდა მოხუცი კაცი,
მოულოდნელად ადგა,დასჭექა,,
ვეღარ შევძელი ორიოდ სიტყვა,
მე ჩემებურად,რომ აღარ მეთქვა.

ჩამოწვა უცებ სიჩუმე,
ყველამ გაფაციცებით დაუწყო ცქერა,
თითქოს ესმოდათ მოხუცი კაცის,
აჩქარებული,წრფელ გულის ძგერა.

ვაჟკაცისათვის დედის მანდილი,
მნიშვნელოვანი არისო, წმინდა,,
სუფრიდან ამდგარს,ზოგს ავიწყდება,
მოძღვრავ,ფუჭია,უთხარ რაც გინდა.

,დედა სამყაროს მშობელი არის,
უფალმა დიდმა ასე ინება,
შენ როგორ ბედავ გაბრაზებულზე ,
ენას გეკეროს დედის გინება.

ისევ სიჩუმე ჩამოწვა ხალხში,
წამომდგარიყო სუყველა ერთად,
გაფითრებოდა მოხუცსაც სახე,
თავზე ეფინა თხელი თმა,თეთრად.

ღია ფანჯრიდან მაშინ სიჩუმეს,
არღვევდა მხოლოდ ქარი,აშარი,
შეპასუხებას,-მოხუცის ალბათ,
შესძლებდა ბილწი,სულით ლაჩარი.

და გაიარა ნელა,ბარბაცით,
კარებთან კიდევ ერთხელ მობრუნდა,
,,„ყანწების დაცლა ადვილი არის,
სულის დახვეწვას ძალა ხომ უნდა."

გაუჩინარდა ღია კარებში,
თან გაიყოლა მრავალთა მზერა,
საუკუნეებს ვითვლით,მოკვდავმა,
გადაეჩვია გინებას?-ვ ე რ ა!

მერე რა მოხდა?-ლხინი გაგრძელდა,
ლოცეს სამშობლო,ღარიბი,გზირი,
ზოგს დაავიწყდა მოხუცის სიტყვა
და აიმყრალეს ნელ- ნელა პირი.

ერთიც იჯდა და ილანძღებოდა,
გამივსეთ ჭიქა,-თქვენი დედაცო...
,,წეღან ფხიზელს თუ სინდისი გქენჯდა,
რა მოგივიდა ახლა შე,-კაცო"...

ვარდის ჩეროში

თვალდახუჭული,სევდანარევი,
წყლის წვეთს ვეძებდი ლერწმის ღეროში,
მერე წავედი,ნამტირალევი,
ჩამოვისვენე ვარდის ჩეროში.

ტყვედ გადავიქეც ტკბილი სურნელის,
სევდამ დამტოვა მის ანაბარად,
გულის წამალი, განუკურნელის-
ვარდი დედოფლად მოსულა ბარად.

მივეალერსე და ვეჩურჩულე
არ გადავღალე ჩემი წუხილით,
ვიგრძენ უნდოდა ეთქვა,-მიგულე
შენთან!-მოვსულვარ სეტყვის ქუხილით!

გაკვირვებულმა ვახილე თვალი
ღრუბლის ქულაც კი ვარდისფერ იყო,
არ შემრჩენოდა წუხილის კვალი,
მტკივანი გული ორად გაიყო.

ერთში წვალობდა ძველი სევდა და
მეორე ფლობდა სიმს სასიმღეროს,
მზე ანათებდა ფერმკრთალი ციდან,
თავს ვაფარებდი კვლავ ვარდის ჩეროს...

დიალოგი -

წელს რომ გვიან აყვავილდი,
რაა ამის საიდუმლო?! –
ჩემთვის ხშირად ვერ იცლიდი,
გაგიბრაზდი სიყვარულო...

მაპატიე,მთელი გულით,
მოველ,უნდა ჩაგეხუტო,
გთხოვ ლამაზო, გევედრები ,
არასოდეს გამებუტო.

გაგებუტო?-არც იფიქრო,
მე უბრალოდ მოვიწყინე,
ნელა ვშლიდი წითელ ფოთლებს,
უშენობა მოვითმინე...

-ჰა,მოვედი,შენც ძვირფასო,
მიგატოვო,არც იფიქრო,
სილამაზის მწვერვალები,
შენთან მინდა,რომ დავიპყრო. ----

ახლა მე უნდა დავწერო,
ერთი მწირე,ჰო,პროლოგი,
დღეს დილიდან შედგა ჩემს და
ყვავილს შორის,დიალოგი.

ლეილა არხოშაშვილი - იურისტი
დაბადებული თბილისში

* * *

მიყვარს სამყარო, სადაც ყველა ერთურთს კითხულობს,
ვის რა უჭირს და ვინ მოლხენით ცხოვრობს ყოველთვის,
თუ ვინმეს უჭირს, გაუყოფენ ლუკმას ერთმანეთს,
ბედნიერია ასეთ დროში, ალბათ, ყოველი,
ეს სიზმარია, სამწუხაროდ, ასე არ ხდება,
ქვეყნად სიძულვილს გაუდგია უკვე ფესვები,
ვინ ვის უმტროს და გაიმეტოს, იმას ფიქრობენ და
სიძულვილის მორევში ხომ სწრაფად ვეშვებით,
ეს რატომ ხდება, დავივიწყეთ, მოკვდავნი რომ ვართ
და არცა ვფიქრობთ ხვალინდელ დღეს კიდევ ვიქნებით,
მიტომ ვართ ასე, ჩვენ გვგონია, მუდამ ვიცოცხლებთ,
სამწუხაროა, მაგრამ არსად აღარ ვიქნებით,
სული უკვდავი კი გვგონია, ზოგჯერ კი ვცდებით,
გულს ნუ ვიმშვიდებთ, ასე არის, უნდა ვიცოდეთ,
როგორც მოვედით, ისე წავალთ, უხმოდ, უკვალოდ,
გასარკვევია მხოლოდ ერთი, როგორ ვიცხოვრეთ.
შენ თუ ფიქრობდი სხვების ბედზე, კვლავ მოხვალ, ალბათ,
რადგან სჭირდება შენნაირი ამ ჩვენს სამყაროს,
შენნაირებზე იდგა მუდამ სიცოცხლე ჩვენი,
შენნაირებზე ვლოცულობთ და მუდამ ვამაყობთ.

* * *

მიყვარს მოგონება კარგი,
სიცოცხლით აგვივსებს გულებს,
ინატრებ, სულ გქონდეს ლხენა,
ჩრდილი არ მიადგეს სულებს.

სიცოცხლე ხომ მისთვის გვინდა,
გვილხინდეს, ვალხინოთ სხვებიც,
სულ მუდამ თან გვდევდეს სიტყვა,
სულში გვწვდებოდეს ხმები.

მაშინ არ გვექნება დარდი,
ყველას რომ ექნება შვება,
მშვიდად ვიქნებით, რადგან
არავის დასჭირდება შველა.

* * *

იქნებ, მიხედოთ სერიალს,
არაერთია, დადგმული,
ოჯახურ ძალადობაზე,
კანონდარღვევა,ართქმული.

კანონებს,თუკი, ამკაცრებთ,
უნდა, შექმნიდეთ საჯაროს
და არა სერიალებით,
ძალადობა რომ "გვახაროთ".

თქვენ,თქვენი აგიტაციით,
ოჯახს არაფრად მიიჩნევთ,
კანონი თავისას იტყვის,
თუმც, ყველა მისებრ მიიჩნევს.

* * *

როცა ცუდად ხარ, არ იცი რა ჰქნა,
სასოწარკვეთა საქმეს არ შველის,
უნდა იცოდე გამოსავალი,
იქნებ, იპოვო, რაც კი გიშველის.

შენა ხარ შენი თავის პატრონი,
ნუ დაეყრდნობი სხვების იმედებს,
შენ რასაც შეძლებ შენი თავისთვის,
იცოდე, სხვა არ გამოიმეტებს.

ამიტომ, იყავ თავის იმედად,
ნუ ელოდები სასწაულს სადმე,
იცოდე, შენთვის არვინ მოიცლის
და არ გადადებს არასდროს საქმეს.

* * *

აბობოქრებულ ლექსთა გრიალში,
ჩვენი ლექსებიც "ზეცას გააპობს",
მკითხველს, სულს, ვარდი მოეფინება
და ნაზად იტყვის, გულს რომ გაათბობს,
ვიცი, ოდითგან, ჩემი მკითხველი,
გვერდით დაიდებს წასაკითხ წიგნებს,
უფრთილდება, რომ რამე არ დარჩეს,
ან წასაკითხი, თუ დარჩა,იქნებ,
ჩემი მკითხველი, მუზის გვერდით დგას
და მასთან ერთად სიტყვებს მკარნახობს,
რა უფრო მეტად მოეწონება
და რა მოაწყობს სადმე "მარათონს",
მიყვარს, როდესაც ჩემს ლექსზე წერენ,
რა მოეწონათ,რა უთბობთ სულებს,
მე მათზე ვზრუნავ, ვეცდები, მუდამ,
გავულამაზებ ლექსებით გულებს.

* * *

უკან ნუღარ გავიხედავთ,
წინ ვიაროთ, ყოველთვის,
ვიფიქროთ, რომ მომავალში
სიხარული მოგველის,
თუ წარსულის მძიმე წუთებს
გავიხსენებთ, ყოველ წუთს,
გამოდის, რომ მომავალში
სიხარული არა გვსურს,
ვერ ვიქნებით მხიარულნი,
თუ წარსულს გავიხსენებთ,
ბევრი იყო დაბრკოლება,
თუმც,სჯობს, ნუ გავიხსენებთ,
მინდა, ყველა დავივიწყოთ,
თუ რამ ცუდი გვქონია,
წინ ვიყუროთ, მომავლისკენ,
ცუდი ნუღარ გვგონია,
ეს ცხოვრება ჩვენი არის,
ჩვენს ხელთ არის სილაღე,
თუკი, გვინდა, კარგად ვიყოთ,
გაიცინე,ილაღე,
რატომ გვინდა ბედნიერი
წლები ფუჭად გავლიოთ,
ვადღეგრძელოთ სიცოცხლე და
სადღეგრძელო დავლიოთ,
ჩვენი ბედი ჩვენს ხელშია,
სხვა არავინ განაგებს,
ძლიერი რომ ძლიერია,
მას ცხოვრება გვანახვებს,
მიტომ მინდა, ყველამ ერთად
სიყვარულზე ვიფიქროთ,
მტერს კი კითხვა გავუჩინოთ,
იქნებ, ჩვენზეც იფიქროს,
დაივიწყებს სიბოროტეს,
თუ მიხვდება სიკეთეს,
დაფიქრდება, თავს რომ ავნებს
და ცუდ საქმეს იკეთებს.

* * *

ცხოვრება ხშირად გვაოცებს,
სიურპრიზებით სავსეა,
რასაც არ ველით,მოგვივლენს,
ცხოვრება,თურმე ასეა,
რამდენი გზა გავიარე,
ფათერაკებით მოსილი,
თუმც, კარგი ხალხის იმედად
და ღვთის იმედით მოსილი,
ღმერთი სულ ჩემს გვერდით იყო,
გასაჭირში და “ავდარში”
იმედს მაძლევდა ხვალისას,
“ხმალი ჩამეგო ქარქაშში”,
ასეა, ჩვენი ცხოვრება,
რას აღარ გადაეყრები,
თუმც,ძლიერს ვერაფერს აკლებს,
ბოროტს თუ გაეყრები,
უნდა მოძებნო კეთილნი,
სიკეთით სავსე გულებით,
ნურვინ მოგხიბლავს, იცოდე,
არმად ნაშოვნი ფულებით,
ვიყოთ იქ, სადაც მიიჩნევს
ღმერთი, თვით გვიჩენს სამყოფელს,
ვიკმაროთ, რაც გაგვაჩნია,
ღმერთი მშიერს არ გვამყოფებს.

* * *

გრძელ სიტყვებს მე ვერ ვკითხულობ,
არ მსურს სიტყვები ართქმული,
უკეთესია, სიტყვები,
სიტყვები, ნაზი, ქართული.

ვისაც სურს, სხვაგვარად წეროს,
მე ვერ დავუშლი, ასეა,
თუმცა, ქართულად ნათქვამით,
ჩვენი გულები სავსეა.

მაშ, გულებს ნუ დავიმძიმებთ,
ვიმღეროთ, ქართულ სიტყვებით,
ქართულ სიტყვებით ვამაყობთ,
ბევრი რამ კარგად ითქმების.

ქართულ სიტყვას რომ აქებდნენ,
ამად მიღირდა სიცოცხლე,
ქართული თუ არად გიღირს,
რამდენიც გინდა იცოცხლე.

* * *

სახლი, სადაც დავიბადე,
საოცნებოდ მექცა,
ვერ ვივიწყებ, ვერასოდეს,
მას ბავშვობა ერქვა.

ყველა ერთად, ერთ სივრცეში,
სიყვარულს ვიყოფდით,
დედა, მამა, და-ძმა ჩემი,
ამას არ ვიქმოდით.

თუ ოდესმე ვერ ვნახავდით,
ოდას, ძვირფასს, ჩვენსას,
გადაგვევქცა საუცნებოდ,
საოცნებოდ გვექცა.

ახლა ვნატრობ, რომ დაბრუნდეს,
ის ძვირფასი წლები,
ვერაფერში ვერ გავცვლიდი,
დამიბრუნეთ, ველი...

* * *

“დრო ყველაფრის მკურნალია”,
თუმც, იარას ტოვებს,
სიტყვებიც, კი, ვეღარ შველის,
რითიც შევქმნით, ჩვენ, ტომებს,
ვერაფერი ვეღარ შველის,
რაც არ უნდა, ისა ვთქვათ,
მხოლოდ, გულებს დავისერავთ,
აგვიხდება წინათქმა,

ბოლომდე ვერ იკურნება,
ეს ხომ ერთხელ არ მითქვამს,
დავიხსომოთ ყველა სიტყვა,
რაც კი ოდესმე ითქვა.
იქნებ,ცოტა გავანელოთ,
კარგზე ბევრი ვიფიქროთ,
მან,კი,ვინც თქვა ცუდი სიტყვა,
შედეგებზე იფიქროს.

* * *

ბოროტი ადამიანი,
არად მიცვნია, არასდროს,
მან "კოშკებიც" რომ აგვიგოს,
კვალს დაგვიტოვებს, ამავდროს
ადამიანი, მისთვის ვართ,
გული ერთმანეთს გავუთბოთ,
არაფრად გვიღირს სიმდიდრე,
ერთმანეთს,უნდა გავუგოთ.
რა დაგვრჩენია ამ ქვეყნად,
იქით არაფერს წავიღებთ,
მთავარი არის სითბო და,
გაყინულს არა, არ ვიღებთ.
ზოგიერთს თავის სიცოცხლე,
მარადიული ჰგონია,
ამიტომ,ცდილობს სხვას ავნოს,
მას მოყვარე არ ჰყოლია,
ვის რაში უნდა, თან ჰყავდეს,
ფლიდი,ბოროტი,ორგული,
კეთილს არაფრად მიიჩნევს,
გვერდით ხომ ჰყავს ორგული.
წუთია წუთისოფელი,
ნუ გვეგონება მარადის,
ზოგიერთს ბოროტი მართავს,
მასთან სითბო რომ არ არის,
ვაი,შენ,წუთისოფელო,
რა გინდა, რაღას აჯამებ,
გგონია, კეთილი გყავდა,
ბოროტი უფრო აჭარბებს.

* * *

რამე განსაცდელს თუ გადაურჩი,
აღარ გადარდებს, სხვა რა იქნება,
კვლავ, განსაცდელის აღარ გაქვს დარდი,
იმაზე ცუდი რაღა იქნება.
დარდს, ხომ, იმედი, მუდამ, თან ახლავს,
მწუხრი არ გვინდა, აღარ ვიფიქროთ,
თუ რამე ცუდი თავზე გადაგვხვდა,
გადავივიწყოთ და არ ვიფიქროთ,
რადგან ჩვენ ვიცით სიტყვების ძალა,
კარგსაც რომ ცუდად წარმოსთქვამს,ზოგი,
ამიტომ მუდამ კარგზე ვიფიქროთ,
გვერდზე გადადე კალამი, მორჩი,
ეს მაშინ, თუ გსურს წარმოთქვა ცუდი,
უარყოფითი,რამე,სიტყვები,
მე კი გითხარი შედეგი მისი,
ასეთ დროს,მუდამ ცუდად იქნები,
ამიტომ, მინდა,გადავივიწყოთ,
თუ რამე ცუდი იყო წარსულში,
რად გვინდა ვიყოთ, ყოველთვის, მწუხრში,
სითბო ჩავღვაროთ, სითბო, ჩვენს გულში.

* * *

იმ დროს მივტირი,
როცა სახლში კერია გვენთო,
დედის კალთისქვეშ
სითბოს ვგრძნობდით,
ვთბებოდით, ერთობ,
არსად არ იყო, თუკი, რამე
ჩვენ არ მოგვწონდა,
ჩვენს ირგვლივ ყველას გვიხაროდა,
რაც ჩვენთან იყო,
არც ის არ იყო, მთლად, სირცხვილი,
თუ სამოსს ვცვლიდით,
ერთი სამოსით გავიარეთ ჩვენი ბავშვობა,
ეს გვიხაროდა,
მაგრამ ეჭვით არვის ვუმზერდით,
თუ, ვინმე, გვერდით
ჩვენზე მეტს, რომ სარეცხს აშრობდა,
იქნებ, შეგვნიშნეს
ერთ ქურთუკს რომ ორნი ვიცმევდით,
რადგან არ გვქონდა,სხვა რა გვექნა,
არც კი ვიცოდით,
თუმცა, ვიცოდით, საცოდავი
ჩვენი მამა როგორ ზრუნავდა,
გვსურდა ხმამაღლა გვეთქვა,
მშობლებს როგორ ვუყვარდით,
ოხ, ღმერთო, ჩემო, სად წავიდა
ის ტკბილი წლები,
რატომ ვართ ასე,
გაგვყინია გული, ვერ ვითბობთ,
რას არ ვიზამდი,
განმეორდეს ის წლები ისევ,
რომ დავიბრუნოთ ის დიდი სითბო.

* * *

ბევრჯერ მკითხავენ, როგორ ვწერ ამდენს,
ჩემი პასუხი ერთადერთია,
ლექსის დაწერას, არ უნდა ძალა,
როცა ჩემს გვერდით, ჩემი ღმერთია.

მან იცის რას ვწერ და რატომ ვწერე,
იცის, ჩვენს გულებს მოუტანს შვებას,
ასე მიბარებს, ნუ დავდებ კალამს,
რადგან ეს არის ყველასთვის შვება.

ვემორჩილები ამ დანაბარებს,
ამას გამოცდა არა სჭირდება,
გულმაც ხომ იცის, როდის რა უნდა
და ლექსის წერა როდის სჭირდება.

ტომებსაც დავწერ,თუ გული მეტყვის,
გულს ვერ ვუბრძანებ, რა უნდა ვწერო,
როს მოფრინდება მუზა,ძლიერი,
არ გვეკითხება, რა უნდა ვწეროთ.

მუზაა გულის მაცოცხლებელი,
ბევრჯერ მითქვია და მუდამ ვიტყვი,
უერთმანეთოდ ვერ სძლებენ, ვიცი,
ვიცი, ორივე სიტყვას რომ იტყვის.

რამაზ ჩხიკვაძე - მშენებელი ინჟინერი
დაბადების ადგილი თერჯოლა
1972 წლის 27 ოქტომბერი

მელანქოლია

მოგკლავს მაგ ფიქრი, ხორცზე უადრეს
ალბათ ასეთი, ბედი გქონია,
მე ნოსტალგიის მძორი მიმათრევს
შენ კიდე შეგჭამს მელანქოლია...

რას იზამ როცა თავს ვერ ერევი
საღათას ძილი დღეებს გინაცლებს,
და დღე და ღამის ,ასე შერევით
უცდი ცისკარი ,როდის ინათებს.

იქნება შეძლო ,ნატვრის ახდენა
ლაჟვარდს აპობდეს ფრთები არწივის,
ჯადოსნური წრის ოდენ სამხილად,
გახდე იმედის იქნებ ნაწილი.

ზეცას ახედე, მზერა გიჭრიდეს,
თავი არასდროს, ძირს არ ჩახარო,
ამ ცხოვრებაში თუგინდ იგიჟე,
ოღონდ ფარ-ხმალი, ძირს არ დაყარო...

ამ ზეცას ვფიცავ

ამ ზეცას ვფიცავ , სამშობლოს ზეცას
მაცხოვარივით თავს რომ დაგვყურებს,
და იმ ვაჟკაცებს, ხმალს ვინც კი ლესავს
სამშობლოს ედგეს მოსამსახურედ....

იმ ხალხს , იმ ფუძეს, აკვანს რომ არწევს
სოფელს და ქალაქს, რიჟრაჟს დილისას,
ქართული სულის , ყივილს და მაცნეს
მკერდს რომ გვიმშვენებს როგორც თილისმა.

ფრთები მესხმება , ფრთები არწივის
მიწას რომ ზეცა გამოვაცალო,
და საქართველოს ლოცვა ბარძიმით
სულმოუთქმელად ვთქვა და დავცალო.

ამ ზეცას ვფიცავ , სამშობლოს ზეცას
ღვთისმშობელივით ტკბილს და მადლიანს,
და იმ ვაჟკაცებს , ხმალს ვინც კი ლესავს
უკვე ათასი წელიწადია.

მეც მინდა

მეც მინდა დავდო,ერთი აგური,
სადაც სიცოცხლის დროშა ფრიალებს,
რომ ჩემი სითბო გავუზიარო
რწმენადაკარგულ ადამიანებს.

რა თავში ვიხლი ლამაზ მთა გორებს
ან დედულ მამულს,როგორ ვიკმარებ,
მოყვას თუ სათქმელს ვერ გავაგონებ
და ადამიანს ვერ შევიყვარებ...

მიწამ შეჭამოს ყველა სურვილი
და უნასივით ფეხში გამთელონ,
თუ დამეშრიტოს იმის წყურვილი
ან მოყვასისთვის ვერ ვიქართველო.

ვეამბორები გენით თქვენისას
დღე ცისმარე რომ დედას მაგონებს,
და ჩემი ნატვრა ფრთებს მით შეისხამს
თქვენი დარდი თუ გადავაგორე.

ვეტრფი ამ დროშის ზრუნვით ტარებას
გრძნობავ ცხადო და ზოგჯერ ფარულო,
ბედნიერი ვარ ეს ნეტარება
რომ მომანიჭე დედულ მამულო...

ასე მწამს

რა ღვთაებრივი სიმსუბუქეა,
გწამდეს, გიყვარდეს,იმ შეფარდებით,
რომ ეს ცხოვრება,ისე მოკლეა
უკეთ სხვა რაზე დაიხარჯები...

ვცან უნაპიროდ რაც შევიყვარე,
ნაღველს რომ ურევს, გულზე მოფენილს,
სხვას რას წავიღებ, იმას ვიკმარებ,
რასაც იძლევა წუთისოფელი.

ვედიდგულები სიმებს ხემივით,
ზოგჯერ დამახრჩოს ლამის ცრემლებმა,
მზეზე გაფენილ ბალახებივით,
ქარში აფრენა თუ შემეძლება...

წამოვიშველებ ვით სიყმაწვილეს,
მუზამ რომ ქექოს, გულზე ღადარი,
და იმედია არ გამაწბილებს,
ვიყო ამაყი და ამაგდარი.

ვარ გრძნობებისგან გადაწონილი
და ზეცას ვეტრფი თავშეკავებით,
რომ ჩავიხუტო გულისწორივით
და მოვიქციო გაშლილ მკლავებში....

გილოცავ

რომ მეხვეწებოდი, გაღმა ნაპირიდან,
დიდუ ეს რამხელა წყალი გადმოვცურე,
ერთი ორი ბწკარი,ლექსსაც დაგპირდი და
შენ რომ გაჩნდი ქვეყნად ძმობა მომაწყურე...

ახლა ცეცხლთან ვზივარ,ღამე ნამთვრალები
ბუხარს შევუკეთე შეშის ორი ღერო,
მინდა დაგლოცო და სანამ არ დავთვრები,
ძაან გეხვეწები რომ არ გამაჩერო...

ცაში ეძებენ ისევ მაცხოვარს

უფალი ისევ, არჩევანს გვიძღვნის,
ჩვენ კიდევ ურჩად ,ვირჩევთ არადანს,
და სამსჯავროზე ქედმაღლურ ზიზღით,
ბრბოს ალმაცერად უცქერს ბარაბა.

როცა მოკეთის გულში გაქვს ღვარძლი
და სიმართლისაც არ გაქვს ატანა,
ქედმაღლობით თუ აზრსაც არ იცვლით,
მხოლოდ და მხოლოდ ხარობს სატანა.

არ გაიყიდო,იმედად კაცის,
ამას ამ დროში გმირიც კი უნდა,
თორემ იფიქრო, დაუშვა არც კი
გამცემი ერქვას მხოლოდ იუდას...

ჩაეძიებით, ჩაძირულს ფსკერში,
თითქოს ეს იყოს, გზა და სიმართლე,
მაგრამ ამჯერად, სინამდვილეში
განსაკითხველად ცოდვა მიგვათრევს.

ვიდრე გულგრილობ, უმართლო ქცევით
და ხელს არ გაძლევს, სრული სიმართლე,
მაშინ რად ყვედრი, ასე მოქცევით
და მაგალითათ, მოგყავს პილატე.

დაგკისრებია, თითქოს ურვადი
და უმსგავსობას ზეცას ვავედრებთ,
უფალი ისევ ჩვენს გვერდით დადის,
ჩვენ ურცხვად ისევ ცაში დავეძებთ....

ირაკლი (ბიჭიკო)

შენ გაიზარდე,სპარტანულ დამღით,
შრომით და ღვაწლით, თავს რომ იჩენდი,
დღეს აღარახარ,უმწეო ბალღი
ხარ ინტელექტის სავსე ჭურჭელი...

იკრებ სკვნილივით ჩამოცმულ გულებს
და ჰიპოკრატეს ,ფიცს რომ აბევრებ,
ქართული გენის სასიქადულოდ
ნიჭს სამზეოზე გამოაგელვებ.

მოგდგამს სისხლი და გვარიშვილობა
და მოყვასისთვის სანთლად ინთები,
ისეთი მრჩება შთაბეჭდილება
საუფლო მადლით დაგვირგვინდები...

ცხოვრება

ცხოვრება გვტკივა,როგორც სამსჭვალი
და ცისმარე დღე სისხლით ინთხევა,
რა ტკივილია როცა მართალი,
უსამართლოსგან განიკითხება...

თრთთის კელაპტარი გადასანთლული,
არ იმახსოვრებს დროს და თარიღებს,
რადგან ქრისტეში ,ყველა ნათლული,
უსამართლობის ტვირთს თუ წაიღებს..

მომნატრებია მადლის მომქმედი,
სხვა ყველაფერი წყალმა წაიღოს,
მაცხონებელი და შემოქმედი,
უშურველობით გააღარიბოს..

სიმართლე

მიყვარს სიმართლე,როგორც დღეს ღამე,
ასე ვნებით რომ , ერთურთს შერწყმია,
სიმართლის არსი მაშინ ვიწამე,
უსამართლობა როცა მეწვია.

ჩემი ნატვრაა ,ხელის გაწვდენა,
სიტყვა რომ გულის კარებს გაგიღებს,
და თუ კეთილ სულს გადააწყდება,
ბედნიერ დღედ რომ დაათარიღებს.

დე იყოს ასე რაც განვიცადე,
და სიკდილამდე ასე დარჩება,
ყველა მართალთან თავს ვხრი მიწამდე,
მწამს ან სიკვდილი , ან გადარჩენა....

მინდა აგიტაცო ხელში

მინდა აგიტაცო ხელში,
იქნებ ვარსკვლავებსაც მიწვდე,
ალბათ გონებიდან შემშლი
ისე მახელებ და მიწვევ....

გრძნობებს მოდებია ცეცხლი
ღამეს სასთუმალთან უთევს,
არ მწამს საფეთქლების ვერცხლი
სადაც სიყვარული სუფევს.

მინდა აგიტაცო ხელში
მაღლა აგიტაცო ცამდე,
როგორც მიჯნურობის თესლი
ისე სიყვარულის გწამდეს .

მინდა

მინდა მოგგლიჯო მიჯაჭვულ სივრცეს,
წარსულში დარჩეს ყველა ტკივილი,
რომ კეისარის კეისარს მისცე,
ეს არც მტრობაა და არც სირცხვილი...

აწმყო მომავლის იმედებს თესავს,
ზეცაც გიყურებს და გაკვირდება,
თუ ზიარებულ ქრისტეს სისხლს შესვამ,
ღვთიური მადლი დაგემკვიდრება.

დრო არის როცა მტკივნეულ ფიქრებს,
ჯიუტად მაინც ფეხზე ხვდებოდე,
რომ მითიური ბიბლიის ფურცლებს,
ახალ სტრიქონად ევლინებოდე....

ბახმარო

როცა უმზერი მის სილამაზეს
არ გინდა თვალიც დაახამხამო,
ცად აზიდული , მთების კალთებით
სამოთხის დარი , მხარე ბახმარო.

იქ სადაც ნისლი ზეცამდე იწვდის
და ბუნებაც კი , გულით ხარხარებს,
იშვიათია , ქართული მიწის
ასეთი ხიბლი , ანდა სხვა მხარე...

ვიდრე მინახავს სულ სხვა წალკოტი
მინდა მის წინ რომ , თავი დავხარო,
მოხიბლული ვარ , მის სილამაზით
ეს რა ყოფილა, მხარე ბახმარო.

ვერ შევიყვარებ

ისეც ხდება რომ მძულდეს,
ესეც მგონი გრძნობაა,
რაც არ მიყვარს, მიყვარდეს,
ეს ხომ პირფერობაა...

მოღალატის,გამცემის,
ვერ შევძელი გაგება,
რა ვქნა გული ვერ იღებს,
ვინც მათ დაემგვანება.

ღმერთი გმო და არ იცის
როგორ ეძმო სატანას,
ვერ მივიღებ უქმია,
ჩემგან მისი ატანა.

სამშობლოა ერთი და
ვინმემ სხვაში გაცვალა,
რა აქვს ჩემთან საერთო,
ყალბისმქნელს და ცანცარას..

ვინაც მოხუცს ზიზღისგან,
თვალით აღარც გახედა,,
მძულდეს თავს ვერ ვიკავებ,
თუ მივიჩნევ თავხედად.

ვინმე ქედს არ იდრეკდეს,
ბევრჯერ წყრომით ვამხელდი,
თავმდაბლობის მაგივრად,
თუ ხელიდან წახვედი.

ორპირი და უნდობი,
როგორ უნდა გიყვარდეს,
ყველა ფეხის ნაბიჯზე,
გეცრუოს და გრიყავდეს.

მძულდეს ესეც გრძნობაა,
ალბათ ზოგჯერ საჭირო,
რომ საკუთარ ხედვებში,
რწმენა გადაარჩინო....

მირაჟი

თამბაქოს კვამლში მუზის მირაჟი,
ფიქრში გაბნეულ წუთებს მაგონებს,
გადაუღებელ ცრემლის წვიმაში,
ტკივილს სუნთქვა რომ ამოაყოლებს...

ღერი იწვის და ფიქრი ეული,
ნაფაზის ჯერზე უფრო იმატებს,
დაქანცული და ღამეთეული,
დაველოდები დილის სინათლეს.

იწვის ფიქრები, როგორც თამბაქო,
მიმსგავსებულად და შეფარდებით,
ვიცი რაც უნდა გელაპარაკო,
მივხვდი არასდროს შეგიყვარდები..

რა დამრჩა, არც რა, ტკივილის გარდა,
იმედი ხსოვნის ლამაზ ნაფერი,
წავიდა ერთად, ოცნებაც გაქრა
და დამრჩა მხოლოდ.....აღარაფერი....

მესათნოები

მესათნოები მაგ ტურფა სახით
ვერგამხელილი ფიქრი მაოცებს,
ენადაბმულმა მაგ თვალთა ეშხით
ჩემი სათქმელი როგორ გადმოვცე....

მივიპარები დილის ნისლივით,
საირაოზე ფრთები გავშალო,
ჰორიზონტიდან აორთქლილ ფიქრით
დილის ბინდბუნდი მინდა წავშალო.

გააფერადე შავთეთრი სივრცე,
გამოცოცხლდაო თითქოს პალიტრა,
შურმა შეჭამოს დე მზე და მთვარე
შენს ბრწყინვალებას თუ ვერ აიტანს...

ფერისცვალება

ღრუბელმა დაფარა თაბორი
და ელვამ მიდამო დაისრა,
ხელთუქმნელ მისტიურ ამბორით,
უფლის ხმა მეხივით გაისმა...

გამოჩნდა კაშკაშა სამოსით,
ზეციურ სახეთა ელვება =,
ფერს იცვლის, ფეხად ღვთის
ჩამოსვლით,
სამყაროს ღმერთი და მშვენება.

ძე ღვთისა კაცი და უფალი,
მზესავით მარადის ანთია,
სიწმინდით ღაღადებს მქუხარით,
სამყაროს შემქმნელი ნათლია...

თუთის ხე და განთიადი

ჩემს სარკმელთან მოციაგე დილის შუქზე
ლივლივებდა თუთის ხესთან განთიადი,
ეტყობოდა ლორთქო ფოთლებს ფორიაქზე
ყმაწვილური ,უდარდელი ხასიათი.

ნიავს ისე მოეხარა ხის კენწერო
ვგონებ ჩემსკენ ტოტებს ხვევნით მოიწვდიდა,
რომ ცარგვალის მოსარკული მთელი სფერო
თითქოს მხოლოდ მის საცქერად მოიცდიდა.

მივეკარი სარკმელს უტყვი გაცეცებით
მოხიბლული თუთის ხესთან ლამაზ ფერთა,
მაკვირვებდა უხილავი საცეცები
რაც ბუნებამ ასე მჭიდროდ შეაერთა.....

სიტყვებს ვმარცვლავ

სიტყვებს ვმარცვლავ მოწმენდილი ცის ქვეშ
თავზე მადგას ვარსკვლავების რეში,
მე შენს ჩურჩულს განუწყვეტლივ ვუსმენ
ალბათ მალე გონებიდან შემშლი...

მინდა გულში ბრდღვიალა მზე გენთოს
ჰორიზონტზე ცის ტატნობს რომ ერთვის,
რადგან ხვდები დღევანდლამდე ვერ გთმობ
არაფერი მენანება შენთვის.

მაჯისცემას ვერ ვიოკებ ჯერაც
ულმობელი გრიგალების ხმაში,
და თუ კარგო ამ სიტყვების გჯერა
ტკივილს ერთი ხელის მოსმით წაშლი....



რუსუდან კერვალიშვილი - ექიმი-თერაპევტი
დაბადების ადგილი ონი, სოფელი სორი

მენანება

მოვიარე დიკლო და
მოვიარე გირევი;
ჩემი ქვეყნის მთა-ბარზე,
ისე მიყვარს, ვირევი.

მენანება მუცო და
მენანება შატილი,
საოცარი მდელო და
საოცარი ადგილი.

წარსულის დაბრუნება
არ გეგონოთ ადვილი;
ყველაფერი ხუნდება,
ლამაზ დღეებს დავტირი.

მივატოვეთ სოფლები;
დაიცალა შუკები,
თითქოს დავრჩით ობლები,
აღარ ბოლავს ბუხრები.

ა ღ მ ს ა რ ე ბ ლ ე ბ ს

უფალს გზაზე მოწიწებით დაუფინეს ბზა,
აღსარება_სამოთხისკენ მიმავალი გზა,
ზიარება_ფართოდ გვიღებს უფლისაკენ კარს,
უკეთ დაცვა შეუძლია,ვიდრე აბჯარს, ფარს.

გიხაროდენ! თქვენ არ გავხართ
გზააბნეულ მგზავრს,
რადგან სულის ცხონებისთვის
შედგომიხართ გზას.

უფლის მადლი,სიყვარული
გაგიმრთელებთ ბზარს,
სითბო მივცეთ ერთმანეთს და
მხარი მივცეთ მხარს.

სინანულის ცრემლი გვწვავდეს და
ვილოცოთ კვლავ,
და გავუყვეთ უფლისა და
ღვთისმშობელის კვალს!..

დ ე დ ე ბ ო

გაზაფხულს ველოდით იმედით,
ბუჩქთან ამოფეთქილ იებით,.
ბოროტი კი კვლავ მძვინვარებს
ბომბებით, პანდემიებით...

რატომ იმეტებთ შვილებს,
ბოროტს უნერგავთ სულში
ნუთუ სიკეთის ნამცეციც
არ დაგრჩენიათ გულში.

რამ გაგიყინათ სისხლი!
რატომ არა გწამთ ღმერთი.
ნუთუ არ გიყვართ დედა,
სამშობლო- ერთადერთი!

ნუთუ, არ გხიბლავთ ტყე და
ზეცა ლაჟვარდისფერი.
სულის სიმებს არ გირხევთ
ბავშვის ტიტინი წრფელი.

რატომ არ გყოფნით სივრცე
ცა, ზღვა, ხმელეთი, მიწა,
გსურთ ბრძოლის ველად იქცეს
ეს ჩვენი დედამიწა.

დედებს არ გვინდა ომი!
შვილებს ვადარებთ მზესა!
ერთურთის გვერდში მდგომი
ვნატრობთ ნათელსა დღესა!

დედებო!!! შევკრათ ჯაჭვი
მტკიცე, როგორც რომ რვალი
და შევაჩეროთ მტერი
გულბოროტი და ავი.

შვილებს რომ აღარ ჰქონდეთ
ცრემლებით სავსე თვალი,
წინ ავეფაროთ ფარად
და მოვიხადოთ ვალი.

ქართველნო!!! დავდგეთ ერთად,
ვებრძოლოთ ამ მტარვალებს.,
თუ გვძლევს სიმრავლე მტერთა,
დაე, გვესროლონ ქალებს!—

როგორც უმწეო შველს და
როგორც უწყინარ მტრედებს...
მსოფლიოს დავანახოთ-
რა შეგვიძლია დედებს !!!

მარტი მოდის

მარტი მოდის! ყინვა აღარ მიხსენო;
გაზაფხული ჰაერივით მინდა.
იმ ზამთრამდე უნდა გადავინახო
პალტო, ქუდი, თბილი შალის წინდა.

გაზაფხულზე უთუოდ უნდა ვნახო
ჩემი რაჭა, ნაკადული წმინდა;
ტყის სიმწვანე, სიკასკასე დამატკბობს,
დამასველებს მე შხაპუნა წვიმა.

ს. ი. ს. ხ. ლ. ი. ა. ნ. ი. ღ. ა. მ. ე
(20. ივნისი)

ენით უთქმელი სევდა და დარდი,
რძისფერ ნისლივით ჩამოწვა სულში,
ქართველმა ქართველს დაუდო ფანდი,
ტყვია ესროლა შიგ გულის გულში.

ცრემლი გაშრობიათ დედებს,
სისხლი გაყინვიათ მამებს,
თვალწინ უხოცავენ შვილებს,
ვერსად პოულობენ მშველელს.

ეს რა გვემართება, ქართველებო!
სატანამ დაგვრია ხელი,
სამშობლოვ, ჩემო საფერებო!
შენს გადარჩენას ველი.

სისხლით მოირწყა რუსთაველი,
შფოთი და ტკივილი ყველგან...
შეჩერდით! შეჩერდით! შეჩერდით!
ჩვენ უნდა მივიდეთ ღმერთთან.

სიყვარული - ორი გულის ერთად ფეთქვა

რა კარგია სიყვარული,
ერთად ცხოვრობს ორი სული,
ორი გული ერთად ფეთქავს,
არ შემეძლო, ეს არ მეთქვა.

სიყვარული არის შერწყმა
ერთმანეთის ცხოვრებისა,
სიყვარული ზეიმია
გრძნობისა და გონებისა!

გვეყო ვაება და ცრემლი,
უკვე გვეღუპება ერი.
დავდგეთ აქ ერი და ბერი
და გავანადგუროთ მტერი.

მამული_ ჩემი და შენი,
არს მთელი სამყაროს მშვენი,
შევიკრათ ერთ მუშტად ყველა
და ვიხსნათ სამშობლო ჩვენი.

აღზევდეს ლამაზი გენი,
რომ არ ჩაიძიროს გემი,
იცოდეს, გაიგოს ყველამ,
ეს მიწა ჩემია! ჩ. ე. მ. ი!

გიხმობ, გაგვინათე ბნელი,
დაგვხურე საფარველი,
მხსნელად მხოლოდ შენა გხედავ,
ჩემო ღვთისმშობელო დედავ!

ზეცაში ავყავარ ლოცვას

უკვე გადავცდი სამოცს და
გულს სინანული ამოსცდა,
უნდა ჩავაბარო გამოცდა,
მზად შევხვდე მეორედ მოსვლას.

ძალას მძენს შვიდგზის ლოცვა,
სულს უფლის წყალობა მოსავს;
მამშვიდებს ღვთისმშობელი
ზეცაში ავყავარ ლოცვას.

ჩ.ე.მ. ს. ნ.ი.ნ.ო.ს.

ტყემ ჩაიცვა უკვე კაბა,
ხასხასა მწვანე ფერის,
კლდეები ასულან ცადა,
მათზე ჩანჩქერი მღერის.

პატარძალივით ლამაზს,
ვეთაყვანები აპრილს
და ჩემ ნინიკოს ლამაზს,
ვულოცავ თერთმეტ აპრილს.

სითბო ხალისი ამ დღის,
გაჰყვეს მრავალი წელი
და ღვთისმშობელი დედის,
ფარავდეს საფარველი!!!

გარს გვიფრენენ ორბები

გულზე მაწევს ლოდები _
დანგრეული ოდები...
იბერიის დიდებას
მაინც სულ ველოდები!

მოგვიტევე ცოდვები,
უფალო! გევედრები!
გაგვიბრწყინე მამული,
ლამაზი და ტანჯული!

აქ ომალო მელოდა,
იქით კიდევ _ შატილი!
საოცარი მდელო და
საოცარი ადგილი...

ჩემი პატარა საგანძური

დედის მოწერილი ბარათები,
ფაქიზად დაკეცილი თაბახები,
ლამაზი ხელით დაწერილი,
გულში სამუდამოდ ჩაწერილი.

სათუთად გადავშლი და წავიკითხავ,
ცრემლი დამინამავს თვალებს,
თითქოს ახლახანს მომიკითხა...
ვიხსენებ გარდასულ წამებს.

ლამაზად დაკეცილი თაბახები,
ვრცელი, საყვარელი ბარათები,
დიდი სიყვარულის ალმასები,
ვკითხულობ ძველებური აღმაფრენით.

ისევ ბავშვობაში დავბრუნდები,
ისევ სიხარულით ავივსები,
რამდენ ლამაზ წუთს მაგონებენ,
სადღაც გაფრენილი მაისები.

ჩემი საგანძური პატარა,
ცრემლის გუბესავით ჩამდგარა,
ბავშვობას შეედრება რამე განა?
არავინ მიყვარდა დედის დარად.

. . . . . .

გულში დუღაბივით ჩაკირული,
სულში ხომალდივით ჩაძირული,
სევდით ავსებული საგანძური,
დედის ბარათები აკინძული...

დ ე დ ა მ ი წ ა

ჩვენო გამომზრდელო,ჩვენო მარჩენალო,
სიცოცხლის წყარო, ჩვენო დედამიწა.
ნეტავი შემეძლოს ყველასგან დაგიცვა,
სულ გავანადგურეთ, შენი მთა და მდელო.
გული გამოგიღეთ, წყალი აგიმღვრიეთ,
ფესვი მოგირყიეთ,ჯებირი მოგირღვიეთ.
ამიტომ არის,რომ ვულკანად იფრქვევი,
ქარიშხლად იქცევი,წარღვნისგან ვიქცევით...
ყველას ვეკითხებით: ასე რად ვიქცევით?
ჩვენმა წინაპარმა შენ დედა გიწოდა,
უფალმა იმდენი სიმდიდრე გიბოძა...
უნდა მოვეფეროთ,
უნდა გავუფრთხილდეთ.
ეს ჩვენი მიწაა, ეს დედამიწაა.
ის ჩვენი წყაროა,
ის ჩვენი სუნთქვაა,
ჩვენი ტკივილი და
ჩვენი გულისთქმაა.
კოსმოსიდან მოსჩანს
ლურჯად მოლივლივე,
ულამაზესია ზღვები მოლიცლიცე,
ნუ გავსრესთ ბალახს, მწვანედ მობიბინეს...
გვიყვარდეს ტყეები,
გვიყვარდეს მდინარე,
წყარო და ხეები,
მზე მუდამ მცინარე.
უნდა მოვეფერეოთ,
უნდა გავუფრთხილდეთ,

ეს ჩვენი მიწაა,
ეს დედამიწაა.

დ ე დ ა ს

დ ე დ ა !
რამდენ რამეს იტევს
ეს ერთი სიტყვა!
დედა ამქვეყნად ერთადერთია;
ზღვაში წვეთია, რაც დღემდე ითქვა.
ჩირაღდანივით ჩვენთვის ანთია
სიცოცხლის წყარო და გულის ფეთქვა!..

მე დაგიკოცნი ღამენათევ
და დაღლილ თვალებს,
მოგიძღვნი ლექსებს
და მოგიტან საყვარელ ტიტებს
შენს მონატრებას,შენს სიყვარულს
გული ვერ იტევს.
რა ღირსეულად ადიოდი
ცხოვრების კიბეს...

ლექსში წვეთ- წვეთად დის სევდა,
ვეღარ მოვერიე დარდს.
როგორ მომენატრე, დედა!
შენთან განშორება მკლავს.

თან წაიღე გულის სითბო, დედა!
შენს დაკარგვას ვეღარ ვუძლებ, ვერა.
ეზოში სულ შენს ნაკვალევს ვხედავ,
ცაში გეძებ ცისარტყელას ფერად.

აღარა მაქვს თითქოს თვალთა ხედვა,
როს ვიხსენებ იმ დღეების სევდას,
რაც კი დღემდე გაწყენინე რამე,
მაპატიე, საყვარელო დედა!

ამოხეთქეთ ლექსებო

ამოხეთქეთ ლექსებო,
დამეხვიეთ ფიქრებო!
ვაითუ, მეორე დღე
აღარ დადგეს, იქნებო.

მო, მოჯარდით გრძნობებო,
ამოხეთქეთ გულიდან
და ის მოგონებები
კვლავ მოვა წარსულიდან.

ღელავს, მოსთქვამს სული და
ბორგავს ლექსიც მასავით,
ისევ დავდარდიანდი
ნისლიანი მთასავით.

გაზაფხული მოვიდა,
ვფორიაქობ ზღვასავით,
იას მოვეფერები
და მეც ვხარობ მასავით.

მინდა სული რომ მქონდეს
ამ კრიალა ცასავით,
დაუდგრომლად ვიდოდე
დედა მდინარესავით.

ვიღიმოდე, ვხარობდე
ამომავალ მზესავით,
ლექსი ვწერო ლამაზი-
შემოდგომის ტყესავით!

წმინდა ბერი გაბრიელი

სიყრმითგან გამორჩეულს
უფალმა მოგმადლოს ძალა,
ამ ძალამ საოცარმა
გაქცია შენ ერის მამად.

სიცოცხლე ღვაწლში გაატარე,
ცხოვრობდი ეულად და ცალად,
იესო ქრისტე გლოცავდა და
ანგელოზი დაგიდგა ფარად.

უპატიო ადგილას, ნაგავში არეული,
წმინდანთა ხატები განაშვენე,
საკუთარ ეზოში, მამის დანგრეული,
პატარა ეკლესია ააშენე..

სალოსობით იყავ შენიღბული,
ბევრი მოძღვრისა გან გაწირული,
რამდენი განსაცდელი დაითმინე,
უფლისთვის თავი ჰქონდა შეწირული!

ქრისტეს მიუძღვნა სული და გული,
" უფალი არის თვით სიყვარული"!
წმინდანის ნეშტის თაყვანსაცემად
მთლად საქართველო არის დაძრული.

ბერო გაბრიელო! ჩვენო საფარველო,
უფალს შეავედრე საქართველო,
ლამაზი მამული არვინ გადათელოს,
მალე გაგვიბრწყინოს ჩვენი მთა და მდელო!

ელგუჯა ადეიშვილი - ეკონომისტი
დაბადების ადგილი - ვანი -ყუმუთი

გზა უფლისკენ

თუ გზა ავირჩიოთ უფლისკენ
უნდა ვადიდოთ ქვეყნის გამჩენი,
გვწამდეს მოძღვრება სამყაროს შექმნის
წუთისოფელში თუ ვართ დამრჩენი.

დავძლიოთ ეშმაკთან ბრძოლა
ვიყოთ მორწმუნე ღმერთისა,
სამყაროს კუთხე - კუნჭულის
მიდგომა რაკი გვეღირსა.

ყველა წმინდანმა, სწავლულთა მოდგმამ
ქვეყანას უთხრა თავის სათქმელი,
ღმერთია ჭეშმარიტება
და გახლავთ ქვეყნის გამჩენი.

მხოლოდ ღმერთია მარადიული
ქრისტე სიკეთის მისი დამცველი,
ჭეშმარიტების მაძიებელ ხალხს
მუდმივად ენთოს წმინდა სანთელი.

შეხედულება !!!

ტყუილის თქმით არავინ კვდება,
მისი მთქმელი არ ინდობა,
იღუპება მეგობრობა,
ნდობა - ადამიანობა.

ყველას! ვერ უმხელ შენს გულისტკივილს,
მით უფრო დარდის ნამდვილ სამყაროს,
თუნდაც ეს იყოს - ერთი არსება
ეს მძიმე ტვირთი შენთან ატაროს.
ხედავდე იგი, რომ გითანაგრძნობს,
ტკივილებს შენსას ღიად გაანდობ,
რადგან აღარ ჩანს - ასეთი ვინმე,
ირჩიე, გზა რომ თავად განაგრძო.

***

არ გაგიმართლა? არ ნიშნავს იმას,
განწირული და მარტოდ-მარტო ხარ,
ღმერთი, მუდმივად გვერდში გყავს,
შენთვის იძლევა გაბრწყინებულ გზას.

ჩემი მხარის ყუმურის მონატრება!

რიკოთი გადმოვიარე,
დიდი გზა მშვიდად ვიარე,
შენ ჩემო თვალის სანათლევ,
მოკითხვა დაგიგვიანე.

საჩინოს, მინდვრებს მოვყევი,
მოსჩანს მაღალი მთებია,
სურვილი არ მაქვს შევჩერდე,
საკეთებელი ბევრია.

შუამთიდან - მსხალთავაკემდე,
ულამაზესი ხევია,
ამშვენებს წმინდა გიორგი,
ყუმურის მონასტერია.

სიკეთე მუდამ გვენახოს,
ყველას დამცავი ღმერთია,
გაილოურშიც ვიხილეთ,
ღვთისმშობლის ტაძრის ხედია.

ყუმურის წყალთან ჩამოვჯდეთ,
ირგვლივ წარმტაცი ხმებია,
ავაღორძინოთ ჰანგი ნადურის,
იგი ამ მხარის გედია.

ქვეყანა შემოვიარე,
კარგი გზა გამოვიარე,
შენ ჩემო დიდო იმედო,
სურვილი გაგიზიარე.

მწვერვალი

უმაღლეს მწვერვალს - ვინც იპყრობს,
იგი მძლე გახლავთ-
მთებზე მავალი,
ვინაც ვერ აღწევს
ასეთ შედეგებს,
თავად ეძებოს გამოსავალი.

მწვერვალს ვერ იპყრობს - ყველა მსურველი,
არც ბედი შველის - აღარც იღბალი,
იგი მოითხოვს უთვალავ გარჯას,
დრო აღარ რჩება - თავისუფალი.

ერთეულების ხვედრია -
მწვერვალზე ასვლა, მიზნის მიღწევა,
ვისაც ის ძალუძს მძლეთა - მძლე არის,
ჭეშმარიტებას - ვინ გაექცევა.

ნუღარ ეცდები სიმაღლის პყრობას,
რადგან არა გაქვს ამის უნარი,
ნუ მოინდომებ რასაც ვერ დაძლევ,
თავშეკავება - შენს თავს უთხარი.

აღარ იფიქრო მიუღწეველზე,
რასაც მიწვდები, იგი იკმარე,
არ იოცნებო-რაც არ გეკუთვნის,
მაშინ იქნები ქვეყნად ბრწყინვალე.

"წვიმა მოვიდა კოკისპირული,
გამოთქმებია მთლად შექსპირული"

... ბედნიერი ვარ ყოველთვის,
ბედად აეწყო ნოტები,
არც არასოდეს არვისგან,
არაფერს არ ველოდები.

...ხანმოკლე არის ცხოვრება,
უნდა გიყვარდეს შვილივით,
ვალია სწორად იარო,
გზა გააგრძელო ღიმილით.

... მოლოდინი რომ მტკივნეულია,
ცნობილი არის ყველასთვის,
არ დაელოდო რამეს უგონოდ,
ვერ დაძლევ ძალას ვერასგზით.

...იცხოვრე წყნარად თავს ნუ იტვირთავ,
ილოცე ეკლესიაში,
არ ჩაიხედო სხვის სამყაროში,
თუ გინდა მოხვდე ხალხის სიაში.

... სანამ საუბარს დაიწყებ,
კარგად უსმინე მსმენელს,
გაიაზრე რა უნდა თქვა,
არ მიგამსგავსონ რეგვენს.

... სანამ დაწერდე დაფიქრდი,
მოკლედ ასახე დამშვიდდი,
ბევრს ნუ აიღებ შენს თავზე,
გათვალე ყველა ნაბიჯი.

... სანამ დახარჯავ იშრომე,
სისხლის წვეთამდე იყავი გამრჯე,
ხარჯე, რაც შრომით შეგიძენია,
იცოდე ამით ყველაფერს არგე.

სხვას აპატიე,თუ შეგიძლია,
შემდეგ ღმერთს სთხოვე თუ რამე გინდა,
აზრი დაკარგა ტაძარში ყოფნამ,
უფალი ხედავს შენ რაც არ გინდა.

...იფიქრე სანამ დაზარალდები,
კარგად დახურე ღრიჭო კარები,
გვიან არ დარჩეს ფარ- ხმალის ძებნა,
მომხვდურს ნუ დაემალები.

... სიძულვილს სიყვარული სჯობს,
დარწმუნდი თუ ხარ ჯანმრთელი,
ბოროტების გზას აცდები,
ღმერთი იქნება შენი დამცველი.

... სანამ ნებდები - სცადე ყოველი,
არ გადაწყვიტო მარტივად,
იქნებ არ ჩაყვე გზა გამონახო,
ბედს დაელოდე ბრძოლა არ გინდა.

... სანამ მოკვდები - იცოცხლე,
აჯობებს ასე მგონია,
სიკვდილს რად უნდა სახელი,
ცოცხალს რომ ქონდეს, ბევრად სჯობია.

... აქ როცა ცხოვრობ- ამ ქვეყნად,
სახელს უფრთხილდი იცოდე,
იმ ქვეყნად როცა იქნები,
დიდებით იქაც-გიცნობენ.

ჩემი მხარის დასადარი
სხვა სამყარო არსად არი

მიყვარს იმერეთის მხარე,
სამეგრელოს ზღვისპირი,
ჩემი ქვეყნის დაცვისათვის,
ღობედ მინდა - ქვითკირი.

გურიაში ასვლა მინდა,
დღემდე რისთვის ვიცდიდი,
ბახმარო გავაძლიერო,
მთისპირიდან ვივლიდი.

აჭარის მთებს მოვეფერო.
ვნახო ცხენის ჭიხვინი,
სვანეთის მწვერვალზე ვიყო,
მქონდეს ბედის გვირგვინი.

შევიარო აფხაზეთში,
რიწას ვუთხრა ქვითინით,
გავიღვიძოთ, ფეხზე დავდგეთ,
მკვიდრნი არ ვართ სხვისი თქმით.

რაჭა - ლეჩხუმს მოვეფერო,
დროს ვიპოვი - დიდი ხნით,
ხშირად ვნახავ ნიკორწმინდას,
ნაქერალას ბილიკით.

ქართლის მთა - ბარს ხოტბას ვასხავ,
გავაღვიძო - ცხინვალი,
სამაჩაბლოს აღსადენად,
ბრძოლა ისევ წინ არის.

ქვემო ქართლს ვერვის დაუთმობ,
მხიბლავს მისი დიდება,
ოქრო-ვერცხლის სამშობლოა,
ქართველს - არ ავიწყდება.

ბევრსაც ვფიქრობ ჩვენს წარსულზე,
მფარველ უფალს დიდება,
დღემდე, რაც დავკარგეთ ძალით-
მალე ჩვენი იქნება.

მოვეფეროთ ფშავ-ხევსურეთს,
თუშეთს , ხევს და მყინვარწვერს,
უკიდეგანოდ ლამაზ მთებს,
უთვალავ ძლიერ სიმდიდრეს.

დიდ სივრცეში მონავარდე -
ჯიხვებს, არჩვებს, არწივებს,
მათი ნახვა ზამთარ - ზაფხულ
ყველა მხილველს აკვირვებს.

მდიდარ კახეთს თაყვანი ვცეთ,
პურ-ღვინოთი მძლეთამძლეს,
მის საოცარ სიმღერებს და,
უჭკნობ მრავალჟამიერს.

წყაროს - დედოფლის, ერთობ მიმზიდველს,
და თვალუწვდენელ მინდორ - ველს,
პურის ბეღელს - ქვეყნისათვის,
ბარაქიან ბაღებს - ზვრებს.

სამცხე-ჯავახეთს - ჩვენს ისტორიას,
უნდა დავუთმოთ გული ნამდვილი,
ქართული სულის ბრწყინვალე მოდგმას,
მიწა გადავცეთ მისი ნაწილი.

რა ვქნათ, რომ ბედუკუღმართმა დრომ,
ყოველთვის ხელი დაგვრია,
მაგრამ ვერასდროს - ვერაგმა მტერმა,
ვეღარ იხარა ჩვენზე ძალიან.

ვერ დაგვანგრიეს, ვერ ამოგვწყვიტეს,
თუმცა უნდოდათ ძალიან,
ვეღარ ასრულდა მტრების ოცნება,
რისი მოწმეა - ძველი ვარძია.

ქართველი ერი უძველესია,
დედამიწაზე არ ჰყავს ბადალი,
მსოფლიოს მისცა ცივილური გზა,
ბორბლის შექმნამ - ჰყო გამოსავალი.

მოდგმაა იგი ქალდეველების,
გონიერ ხალხის შთამომავალი,
შექმნეს სამყაროს მძლე გასაღები,
გასარკვევია - კიდევ მრავალი.

თბილისი ჩვენი!

თბილისი -ბუდე კავკასიისა,
დედაქალაქი ქართველთ მოდგმისა,
ასაკი მისი თექვსმეტს აჭარბებს,
სიძველის კუთხით - საუკუნითა.

იწყება იგი მეოთხით,
მუდამ იქნება უფლის მეოხით,
დღემდე ცენტრია იდენტობისა
და შემკრებია ქართველობისა.

ბევრი რამ გადახდენია,
მტერი მრავალგზის დამუქრებია,
თუმცა გმირების თავგამოდებით,
იგი უკანვე განუდევნია.

დიდხანს იყო დაპყრობილი,
სულთა - მხუთავი მტრისაგან,
მაგრამ მაინც არ ტყდებოდა,
ზეობდა მადლით ღვთისაგან.

ბიზანტიელნი, ოსმალნი,
ასევე სპარსნი თუ რუსნი -
მტრად მოდიოდნენ გროვებად,
უმალ ხდებოდა შემობრუნება,
ბოლოს რჩებოდნენ მოყვრებად.

იკრებდა ყველა ჯიშსა თუ მოდგმას,
უამრავ ენას - სარწმუნოებას,
უცხო კულტურის გათავისებით,
აღწევდა მრავალფერობას.

იშვიათია ამქვეყნად იყოს,
სხვაგან ასეთი ქალაქი,
უმტკივნეულოდ, ერწყმოდეს ერთად,
ძირძველ და მომხვდურთ, რწმენა - სანათი.

მშვიდი გზა იყო მუდამ გავლილი,
ერთად იღწვოდა სალოცავები...
მეჩეთი და სინაგოგა,
არ იყო გვერდზე მდგარები.

კათოლიკეთა ტაძრებში,
არ იხშობოდა კარები,
იღებდა მრავალ მომლოცველს,
არ სჭირდებოდათ ფარები.

მართლმადიდებლურ ეკლესიებში,
ზეობდა წირვა და ლოცვა,
მირონის გადმოდინება -
ურყევი სარწმუნოება.

დედა-თბილისი, ყველა სიკეთის -
იყო მფარველი მარადჟამს,
ამ ტრადიციას თბილისელები
სულ გვერდში ედგნენ დარაჯად.

სამოცი წელი გავიდა,
როცა ვიხილე თბილისი,
ახდა ბავშვობის ოცნება,
მახსოვს თვე იყო ივლისი.

დავიწყე მისი შეცნობა,
რა დრო დასჭირდა ვინ იცის,
ცაზე მაღალი აღმოჩნდა
ვუწოდე ჩვენი თბილისი.

თბილისი მართლაც საოცრებაა
და გააჩნია მას დიდი ხიბლი,
იგი სამყაროს მშვენება არის,
და სიყვარულის ურღვევი ხიდი.

თბილისი მარგალიტია,
სილამაზით მრავლის მთქმელი,
მეგობრობის სამჭედლოა,
სიძულვილის ხელშემშლელი.

ვეღარ ნახავ მსგავს კულტურას,
მსოფლიო რომ ასჯერ ნახო,
საოცრებებს ნახავ მაგრამ...
გსურს თბილისში დაესახლო.

***

არ მიუბრუნდე...იმ პიროვნებას,
ვინაც, ღირსება შენში ვერ ნახა,
კეთილგაგებას- პატივი არ სცა,
შენი სიკეთე ძირს დაანარცხა.
თუმც, მიუტევე შენი ვალია,
არ გახდე უღირსის სწორი,
დათმე იქ სადაც დასათმობია,
რჩევა- ეს არის არ ვცდები მგონი.

***

ცხოვრება, სადაც წამიყვანს-
ყველგან იგივე ვიქნები,
ვერ შევიცვლები ვერასდროს
ცბიერს... ვერ შეურიგდები.
არ შევცვლი,არცერთ მიდგომას-
რაც გინდა კარგი მანახონ,
თუნდაც კუთვნილი სამყარო,
მრავალჯერ გამილამაზონ.

ზაზა მედულაშვილი - სამართალმცოდნე
პოლიციის მაიორი
დაბადების ადგილი გურჯაანი არაშენდა

წ ი ნ ა პ რ ე ბ ს...

საქართველოში იბადებოდნენ და იზრდებოდნენ,
მათი წარსულის ისტორია დღეს შევიცანი.
სამშობლოსათვის იჭედებოდა ელვარე ხმლები,
სამშობლოსათვის ძგერდა მათი გულის ფიცარი.

არ ახარებდნენ მტერს და უგნურ შინაურებსაც,
უსაზღვრო იყო მათი ბრძოლა და თავგანწირვა.
არ არსებობდა უკანდახევა დღისით თუ ღამით,
თოვდა,მზე იყო,ქარი იყო თუ თავს აწვიმდათ.

უყვარდათ ცოლი,შვილი,დედ-მამა დათავისი ხალხი,
უყვარდათ ფუძე,კერია და ამისთვის სულს აწამებდნენ.
უყვარდათ კუთხე,სამშობლო და ერთგული მეფე
და ამ სიყვარულს თვით სიცოცხლეს ანაცვალებდნენ.

ანაცვალებდნენ მაგრამ რჩებოდა მათი სახელი,
მათი გმირობის ფასად ვუყურებთ ქვეყანას მზიანს.
ფიალით მინდა შევსვა მათი ხსოვნის დიდება,
მათი სულები შევავედროთ სამშობლოს სვიანს...

,,ლექსი ნამდვილი,,

თუ რამე დრო მაქვს საფიქრი,
სულ შენზე ვფიქრობ სამშობლო.
ღმერთმა შიმშილი,ღალატი
და ჭირვარამი გაშოროს.

მაგრამ ვაი რომ აფერუმ,
ასე არ არის ნამდვილად.
ათასი ჯურის სატანამ,
წელში გაგტეხა ადვილად.

ქართულუი ჩოხის მაგივრად,
კაცმა შეიბა საყურე.
ქალი არ იცმევს არაფერს,
ღიპი მოუჩანს საპურე.

ილიას ნაქადაგები,
ბევრს აღარ ახსოვს ვგონება.
ენა,მამული და ჩვენი,
ნამდვილი სარწმუნოება.

ქალი ქალს არ ჰგავს,კაცი კაცს,
ვერ გაუგიათ რა უნდათ.
გეი აღლუმებს აწყობენ,
დროც საამისო დაუდგათ.

არ უნდათ რამე იცოდნენ,
გორგასალ ფარნავაზისა.
არ უნდათ ტკბილად შეირგონ,
მადლი პურის და ვაზისა.

გადავიწყებას მიეცა,
ვაჟა,ილია,აკაკი.
დიდი რუსთველის პოემა,
სულხანის იგავარაკი.

სამშობლოს ბედი ყოველთვის,
გმირების მხრებზე დგებოდა.
ლაჩარი იმალებოდა,
ვაჟკაცი ომში კვდებოდა.

ამ შიმშილ გაჭირვებაში,
ქვეყანას ასდის ალმური.
სამშობლოს ტოვებს ქართველი,
სხვებს რჩებათ მიწა მამული.

ღონე მოკრიბე ქართველო,
დაძაბე ტვინი,გონება.
რომ არ გვესმოდეს არასდროს,
ვაი,ვიში და გოდება...

გ ა ე ლ ვ ე ბ ა

წამმა წუთი გაიყოლა,
საათებად უმალ იქცნენ.
დღეს დღე მოჰყვა და თვეებიც,
მრავალ წლებად გადაიქცნენ.

მაგრამ თვითონ ეს წლებია,
გაელვება წამიერი.
დღეთა მოკლე წუთისოფლის,
ჩვენი მრავალჟამიერი.

რ თ ვ ე ლ ი...

თითქოს ცოტა აგვიცივდა,
ალბათ შევძლებთ მის ატანას.
გაგვიჩაღდა რთველი კახეთს,
გვიხარია დიდ-პატარას.

ხალხი ამინდს ეშურება,
ყველა კრეფავს თავის ყურძენს.
სულ მიკვირდა გლეხი კაცი,
ამდენ ჯაფას როგორ უძლებს.

დასაწურიც დაიწურა,
დასტრიალებს კაცი მარანს.
ბაბო ბადაგს ჩამოასხამს,
პაპას ,,დასალევსა,, ჰპარავს.

მაჭრის სუნიც დატრიალდა,
ველოდებით ახალ ღვინოს.
შემოდგომის შემდეგ ცოტა,
გლეხმა უნდა დაისვენოს.

შემდეგ მოვა ზაოდობა,
ჭაჭა ჩამოარაყდება.
სუფრის თავში თამადისგან,
ლექსიც ჩამორაკრაკდება.

ცოტა თოვლიც თუ მოგვივა,
მაშინ წავა ღორის კვლები.
ყანწით ხელში სიყვარულით,
ძმაკაცს გულში ჩაეკვრები.

ახალ წელსაც ჩაატარებ,
ინდაურის ბარკლით ხელში.
ერთი კვირის ქეიფობა,
ამოგივა მალე ყელში.

აქვე არის თებერვალი,
ამ დროს დგება ხეში წყალი.
რომ ვუყურებ ამდენ საქმეს,

დავღონდები მე საწყალი.
მემრე მოვა გაზაფხული,
დაიწყება ისევ შრომა.
ჩვენ სიკეთეს ვემონებით,
ღმერთმა კაცი ამად შობა.

თოვლის სიხარული

პირველი თოვლი მოვიდა,
ფიფქებს უყეფავს მურია.
ბავშვები სარკმელს მიაწყდნენ,
ატეხეს ჟრიამულია.
სიხარულს ვეღარ მალავენ,
ძლიერად უძგერთ გულია.

საჭმელს არ ჭამენ, გაურბით,
გარეთ თვალი და ყურია.
ამათ სახეს რომ ვუყურებ,
თითქოს ბავშვობა მწყურია.
ვბერდებით, უკან დავტოვეთ,
სითბო და სიყვარულია.

ვერ შეგაშინა

ვერ შეგაშინა დღეთა სიბევრემ,
თმაში თეთრმა და ხმაში კანკალმა.
ამაყობ იმთ როცა წინ გიდევს,
განვლილი წლები სუფთა კამკამა.
წარსულის ცოდნით აწმყოს იშენებ,
გიადვილდება მომავლის ხედვა.
სამართლიანი იყავი მუდამ,
სადაც არ უნდა გატაროს ბედმა.
დაიმახსოვრე პირველი მტერი,
არის სიფიცხე კაცის ჯავრისა.
შურისძიება შენ არ გეგონოს,
შემსუბუქება გულის დარდისა.
საქები იყავ ცხოვრების გზაზე,
კეთილი საქმით სულ მადიანო.
გამარჯვებული გევლოს ყოველთვის,
ალალ მარჯვენით ხელ-მადლიანო.

ზამთრის ბოლო

ეს ფრთაფარფატა ფიფქები,
რა საყვარლები არიან.
გადათეთრებულ მიდამოს,
ვხედავ და გულს უხარია.
მოდი არ გვკითხო დათოვე,
გლეხის ყანა და ზვარია.
ზამთრის ასეთი ამინდი,
მოსავლის საწინდარია.
აგვავსე უხვი ნალექით,
რაღა დროს პირის ქარია.
რომ გვიხაროდეს შევაღოთ,
თამამად ბეღლის კარია.
არ მოგვკლებოდეს არავის,
ჩვენ ბარაქა და ხვავია.
როს სიკეთეში გავხარჯოთ,
უხვი მოსავლ;ის ზვავია.

ნისლი დაედო

ნისლი დაედო მიდამოს,
ველ მინდორს, ღელე-ხევებსა.
სიცივემ თეთრად აქცია
და შეეყინა ხეებსა.
ჯანღი ჩამდგარა დაბლობში,
შორიდან მოჩანს ზღვასავით.
ჩემეულ წარმოსახვებით,
მაღლიდან ვუცქერ მთასავით.
ხშირად სიზმარში ნანახი,
ვხადშიც იგივე მინახავს.
ჩემი გლეხური გონება,
ბევრ ასეთ სურათს ინახავს.
იანვრის სუსტი მზის სხივი,
ჯერაც ვერ ალღვობს მიწასა.
ამ სილამაზემ მომნუსხა,
ფიქრებით შორს გამიტაცა.
კიდევაც მრავლად ვიხილავთ,
შემოდგომებს და ზაფხულებს.
ზამთარში ვნატრობთ ყველანი,
ახ მალე გამოზაფხულდეს.

მ ა რ ტ ი

მშობლიურ მიწას ვუყურებ,
ყვავილთა ჯარით მოფენილს.
დასტურად მივესალმები,
მარტის თვეს მერცხლად მოფრენილს.
კვლავ მოვესწარით გაზაფხულს,
ჩვენ უფლის ნების წყალობით.
გული გამითბა ამ დილით,
სოფელში შაშვთა გალობით.
აგერ ნელ-ნელა გამოთბა,
მარტმა ჯერაც ვერ იმარტა.
ხეს დაებერა კვირტები,
შინდმა კი ყვითლად იბარტყა.
მწვანე ჯეჯილში თამაშობს,
კურდღელს სიზმარი აუხდა.
ბუმ დაუჭყიტა თვალები,
იქვე გუნება წაუხდა.
წერონი ჟივილხივილით,
ზეცას სერავენ გუნდებად.
მათი მრავალი ოჯახი,
თბილ ქვეყნებიდან ბრუნდება.
ტყეში ჩავარდა სიცოცხლე,
ფრინველნი ბუდეს იწყობენ.
სასიყვარულო დრო უდგათ,
ცეკვავენ, თავს იწონებენ.
ცხოველნიც იმავ სურვილით,
გვევლინებიან წყვილებით.
ბუნებას თავის წესი აქვს,
ჩვენ კაცნიც ვემორჩილებით.
სიცოცხლე მოსჩქეფს ძარღვებში,
იწყება სისხლის დუღილი.
სულ მალე სოკოს მოიყვანს,
რამის ჭექა და ქუხილი.
მარტებს აპრილი მოჰყვება,
აპრილს მაისი ხატრულა.
ბევრი პატარა გაჩნდება,
სიცოცხლე თვალებხატულა.
ყველა არსება სულდგმულობს,
ლაღი სიცოცხლის წყურვილით.
ჩვენც მუდამ ვიგაზაფხულოთ,
კვლავ სიყვარულის სურვილით.

ღ ვ ი ნ ი თ

ღვინით გამნათლეს,ღვინით ვიზრდები,
ღვინო მახარებს,ღვინით ვბერდები.
როცა ხელადა ღვინით სავსეა,
ალბათ სიკვდილსაც არ დავნებდები.
ღვინო იყო და ღვინო იქნება,
ახლაც ღვინოა კაცის სასმელი.
ღვინოს დალევ და სიყვარულის მეტს,
ამ სითხისაგან აბა რას ელი.
ღვინო მინდოდა,ღვინო დამისხეს,
ღვინო დავლიე,ღვინო შევირგე.
ღვინოს ვმეგობრობ,ღვინოს ვეყმობი,
თუ ღვინით მოვკვდე ღმერთო შემინდე...

ისევ რთველს...

დამშვენებულხარ კახეთო,
ზეიმი გიდგას რთვლისაო.
გამოირჩევი ბარაქით,
წლევანდელისა წლისაო.

გაქოთ გადიდოთ ზედმეტად,
ნაყვა იქნება წყლისაო.
კუთხე ხარ საქართველოსი,
ამომავალი მზისაო.

ეს ამოდენა ყურძენი,
მოსავალია წლისაო.
არ მოგვეშალოს იმედი,
ჩვენ ხვალინდელი დღისაო...

,,ვაი,, და ,,ვუი,,

შენ ჩემი ქვეყნის იღბალო,
მტანჯველ ფიქრებად მეშლები.
ვის უნდა შენი დაცემა,
მტერს ალბათ სხვაში ეშლები.
გამაგრდი, ისევ დაძრულა,
ოხერს შენსკენ აქვა გეშები.
სურს შენი სისხლით გაივსოს,
უზარმაზარი პეშვები.
ბევრი გყოლია ,,მეფენი,,
ბევრსაც ჰქონია შეშლები.
რამდენჯერ ვაი გადაგხდა,
ვუისაც ვეღარ ,,ეშვები,,

მ ა ი ს ი

მარტი აპრილმა გააგდო,
აღარ მაწუხებს ქარები.
ადგილი შემდეგს დაუთმო
და გაიხურა კარები.
ოხ, ეს რა გოგო მოსულა,
სახელად ლამაზ მაისად.
სულ ჭრელა-ჭრულა ფერებით,
კიდევაც ვნახავ გაისად.
ვარდობის თვეა მაისი,
კარის გამხსნელი გულისა.
ვისთვის გრძნობების მპოვნელი,
ვისთვის კი დაკარგულისა.
პატარძალივით მორთულა,
ამშვენებს ჩიხტიკოპები.
კოკისპირული წვიმებით,
შუბლზე დაისვა კოპები.
ზაფხულის პირი დამდგარა,
ახლა დღეც უფრო მეტია.
იმდენი სითბო გავეცი,
რაც ჩემში არ დაეტია.
ამაყად მეგებებიან,
ზამბახები და ვარდები.
სურნელმა ისე დამათრო,
ლექსის მუზაში ვვარდები.
მარტი აპრილმა შეცვალა,
მობრძანებულა მაისი.
გალობით გაჯერებული,
მინდა ვიხილო აისი.

ნანა კაკიაშვილი-ქაჯაია
ფსიქოლოგი სამართალმცოდნე
დაბადების ადგილი თბილისი

დრონი ვერ მეფობენ. . .

დრონი მეფობენ და არა მეფენიო,
ტყუილად უთქვამთ ოდესღაც ბრძენთა,
შენ ჩემი მეფე ხარ, რა დროს დრონიაო,
მე არ ვეთანხმები ციტატებს ბრძენთა.

ხუთი ათეული წელი ჩაკეცილა,
წლების სიმტკიცე ხარ, სულის სინატიფე,
აზრთა კრების წნულში გრძნობებს გახლართვიხარ,
სულთან მისასვლელი გზის ხარ სიმარტივე.

ისევ მინდა გნახო, გავიგო ვინა ხარ,
ჩემს სულს აკრული, თუ ზეცას არყორცნილი,
მეგონა, დაგკარგე, არსად დამკარგვიხარ,
სულ აქვე მყოლიხარ სულში ჩაგრაგნილი.

ახალ თავსატეხებს არ მინდა გიქმნიდე,
სულის კაეშანში დავდივარ ეული,
დაცემას მაჩვიე, შენი ფასი მეგრძნო,
ტირილი მასწავლე, ვერ გავხდი გრძნეული.

ჩემი იდილია წუთმა დაარღვია,
ცაში დატრიალდა როგორც ქარბორბალა,
ათასერთი ღამის მე ათასმეერთე,
ნეტავ, მაცოდინა, გავხდები თუ არა.

მეშემოდგომება

მეშემოდგომება, თურმე, რად ვწუწუნებ?!
ხეების შრიალმა დღე ააწრიალა,
დღეს შემოდგომა და ხვალ ზამთრის სიცივე
ღმერთმა გვისახსოვრა, განგებამ კი - არა.

ქარებმა ფერხულში ჩააბეს ფოთლები,
ფერადი პალიტრა აკინძეს კაბებად,
გაძარცვულ ვარჯებად გადიქცნენ ტოტები,
ოსტატმა აქცია სალოცავ ხატებად.

წვიმამ წკაპა-წკუპით ალმასის წვეთები
უხვად ჩამოყარა იმ მთვარიან ღამეს,
ზამთარს გაურიგდა მზე შემოდგომისა,
ჯერ გულს ვიჯერებო, ფიფქებო, მაცალეთ!

ნალდით საკაფია შენი გასავლელი

წლები წლებს მისდევს,
დღეებს- დღეები,
ჩვენი ცხოვრებაც ესაა თითქოს,
ცხოვრება ზღვაა, ტბა, ოკეანე,
მთა და ბარია, ჩიტია თითქოს,
შიშვლად მოსული უმწეო არსება
შეიბუმბლება და ფრენას ითხოვს,
ცხოვრება სულია, ჩვენი სხეულია,
მასში დამწყვდეული აზრია თითქოს...
თითქოს აღმართია ძნელად ასავლელი,
იქვე დაღმართია იოლი თითქოს,
ნალდით საკაფია შენი გასავლელი,
სხვისი გასავლელი - შარაგზა თითქოს...

მონატრებიხარ ფიქრებს

მონატრებიხარ ფიქრებს,
მომნატრებიხარ მე,
შენგან ნაფერებ თითებს,
თვალებს, ოქროსფერ თმებს,
გულზე დაბნეულ ღიღილოს,
შენი თვალების ფერს,
სათუთად შეხსნლ საკინძეს
და ათრთოლებულ მკერდს,
კოცნით არეულ მზერას,
ხვევნით აწეწილ თმებს,
,,შენი სურვილი მკლავსო“
ჩურჩულით მოსულ ხმებს.
ცელქი ოცნება ყველაფერს
ერთ დიდ სურვილად კრებს,
ნეტავ დაითმენს რამდენს?
როდემდე შეკვეცს ფრთებს...

შეჩერდა...

შეჩერდა... და ელის...
რას ეძებს, ნეტავი?!
დახუჭვა თვალების,
მას ძილი ჰგონია,
სიჩუმეს აფასებს
უთვალავ განძივით
და ხვდება, სიტყვასაც
რა ძალაც ჰქონია.

მოჩრდილვით გაჰყურებს
წარსულის ნაკვალევს,
უძირო უფსკრულთან
შეხებაც ჰქონია.
ცრემლს დაღვრის ბავშვივით
შეფაკლულ ღაწვებზე
და ხვდება, სიბერეს
რა ხიბლიც ჰქონია.

დრო დაგიმეგობრებს

ღამის თბილისმა ჩაიცვა თალხი,
ნისლად დააწვა ძილქუში ქალაქს,
აქა-იქ დადის ქუჩაში ხალხი,
ვინ იცის, ვინ ვის პატიობს ღალატს?!

ზოგი სუსტია, ზოგი - ძლიერი,
ზოგი - ჭკვიანი, ზოგიც სულელი,
ცოდნა ყველაფერს ვერ აგიწონის,
შეცდომისათვის პასუხს სულ ელი...

როცა წარსული ჩაკეცავს დღეებს
და შემოგახვევს ფიქრის მანტიას,
უკან მოხედვას ვერც კი მოასწრებ,
გადაგიფურცლავს ქცევის ქარტიას.

შენ თუ ისწავლე ლოდინის ფასი
და მოახერხე წამის მიგნება,
დრო არ გახდება ეფემერული,
დამეგობრდებით, შენი იქნება.

თქვა: ,,ჩემი ბრალია!"...

არც წვიმა დასჭირდა, არც სეტყვა აშარი,
კლდიდან ჩამოღოღდა ტუფი და ნაშალი,
ზვავად ჩაიხერგა, ააგო კაშხალი,
მოლბერტმა იშვილა ნახატი, ნაშალი...

მიხვდა, რომ უჭირდა, დაეწყო ახალი,
ღალატში გამოცდილს არ ჰყავდა ბადალი,
მუსიკით შეჭედა მან ღობე მაღალი,
არავის ენახა ის ღობედაბალი...

თუ ჭკუით იქნები და აღარ იცელქებ,
უთხრეს: ,,არ გიხდება ბავშვური სიცელქე,
ხოტბას შეგასხამენ, გაქებენ დიდებით,
ასე იქცევიან დღეს უკვე დიდები"...

წარსულს გადახედა, თქვა: ,, ჩემი ბრალია",
თითქმის ნახევარი ცხოვრება გალია,
სულ მთლად აირია, არ სურდა ახალი,
კედელს შეანარცხა ბოროტი ზრახვანი..

წავიდა, გაუყვა შამბნარს და ლელიანს,
იქ, სადაც მართალნი ,,ლილეოს" მღერიან,
ფარული ზრახვანი ხილულნი ხდებიან,
ინანიებენ, მუხლებზე დგებიან.

სოლოლაკის აღმართის უწყვეტი ჰარმონია

სოლოლაკის აღმართი,
ნაფერები თითები,
ეჰ, რამდენჯერ დავღამდი
და რამდენჯერ ავმაღლდი...

გული უკვე მეღლება,
უშენობა მერევა,
სული ვეღარ ერევა,
ცრემლი კვლავაც მერევა.

ძველისძველი სახლები,
აქვე კიდევ ახლები,
კედლის ქვის ჰარმონია,
გაყინული მგონია...

შემოდგომა... ზამთარი...
შენი ნათითურები...

ოქროყანის აღმართი,
სველი ნაფეხურები.

აქ ძველი და ახალი
უკვე არეულია.
გულისთქმა და დარდები,
კესანე და ვარდები.

ჩემი პატარქალობის,
მეტად, უფლის წყალობის,
მერე, ჩვენი შვილების,
ჩვენი შვილიშვილების.

ისევ ყურში ჩამესმის
უკვე ძველი ჰანგების,
ლამაზი სტრიქონების
უწყვეტი ჰარმონია...

სიცოცხლე გვაცალე!

სიკვდილო, შენ ცივო, უგულო,
მსხვერპლს გინდა შორიდან უყურო?!
არ მინდა ჩაგხედო თვალებში,
აღმოვჩნდე შენს მსუსხავ მკლავებში.

გსურს რომ დაგელოდო?! ნეტავ რად?!
შევიტკბო წუთები ნეტარად,
დარდი და წუხილი გვაკმარე,
სიკვდილო, სიცოცხლე გვაცალე!

ნოემბრის ქარები

დავმუნჯდი, დამღალეს ნოემბრის ქარებმა,
სახლებმა მოიცვეს ფოთლები ფარაჯად,
ფერები იცვალეს ჭრელ-ჭრულად ტყეებმა,
სიმწვანე შემორჩა ოქტომბრის დარაჯად...

წავიდა, გაფრინდა შორეთში მერცხალი,
ბუდიდან იყრება ღერო და ნამჯა,
ციხის გოდოლიდან. ჟღურტული არ ისმის,
ბარტყობა ზაფხულის სახსოვრად დამრჩა.

დამდგარა მარტი

მარტმა დაუყარა ჩიტუნებს საკენკი,
ნაზამთრალ ჩანჩქერებს სულაც არ ეგონათ,
გაზაფხულდებოდა და ჩიტბატონები
თოვლიან დღეების ნაფიქრალს ეტყოდათ.

მე აღარ გავყვები უწვრილეს ბილიკებს,
გზა მხიბლავს ფართო და დღეები ბრჭყვიალა,
მარტი დამდგარა და ბუნება იღვიძებს
ქალი იბადება დღეს თვალებბრიალა.

გაზაფხულია... ნახე, მთვარე ნისლში ეხვევა,
მე მის ხატებას ვუდარაჯებ სულგანაბული,
ნუშის კოკორთა სურნელებით თავბრუ მეხვევა,
ატმის ყვავილთა სინაზისგან თვრება სხეული.

ღამე, ჟამთა სვლის მოამაგე, წრფელი ამბორით
ისე მაბრუებს, საიდუმლო ლამის გავანდო,
გაზაფხულია, ძველებურად გულს ემღერება,
ესურვილება, სიყვარულის ცეცხლი დაანთოს.

ჩ ე მ ო ქ ა ლ ბ ა ტ ო ნ ო!

ჩამჭიდა ხელი და მარტივად არ მიშვებს,
მაფიქრებს, მაცოცხლებს, მივლის და მპატრონობს,
ცხოვრების ეკლიან, აბურდულ ბილიკზე
თავდაჯერებულს მხდის და კი არ მბატონობს...

მიცდის და მასწავლის: ეს ძალა შენია,
ადამიანო, სამყაროს ბატონო,
შენ არ დამიღონდე, ჯერ კიდევ ბევრი გაქვს, საქმე -
საზრუნავი ჩ ე მ ო ქ ა ლ ბ ა ტ ო ნ ო!

ფიქრი და ოცნება ყოველთვის მარგია,
შეცდომებს გიმცირებს,. დროში კამერტონობს,
მადლობა უფალო, არ მტოვებ, ჩამძახი:
,,შენ ეს შეგიძლია, ჩემო ქალბატონო!”.

ამოვაცოცებ უფსკრულიდან იებს, სოსანებს ...

არ მხიბლავს ტანი შემოსილი თალხი ფერებით,
ბობოქარ სულის იძულებით დასამარება,
გულში გაჩენილ ნაჭდევებზე ბევრი ფიქრი და
ილაჯგაწყვეტილს მუხლის მოყრა დასახმარებლად.

უფაქიზესი მოძრაობით, ციცაქნა თითებით,
ნაზად მოვძებნი სულის სიმებს, მკერდში ჩამალულს,
ავიყოლიებ ჩემს ჭკუისსწორს და მოწიწებით,
საკინძეს შევხსნი, დავუმაგრებ ღილთან ყაყაჩოს.

მინდა შევცვალო რაც ვიგრძენი, ვერ დავინახე,
ხატებად ქცეულს დავაკვირდე ფერთა პალიტრას,
ამოვაცოცებ უფსკრულიდან იებს, სოსანებს,
დაველოდები განთიადს და დილის გარიჟრაჟს.

არ დავბერდებით

მადლობა უფალს, რომ არ ვიცით როდის გაგვიყვანს,
რა საიდუმლოს დაატარებს ცოდვის მორევი,
ამ ორი ქვეყნის გასაყარზე საით წაგვიყვანს,
,,ყოფნა-არყოფნის?!“ დაჭიდებას დაძლევს რომელი.

როდესაც რუჯი შეეყრება მთებზე მწვერვალებს,
ბედნიერ დღეთა მოლოდინში ჩავიკარგებით,
მორთულ პატარძალს ვემსგავსებით, უხმოდ მღელვარეს,
ფაფარაშლილი ქვის ცხენივით დავიკარგებით.

თუ სიყვარული სიძულვილში გაიხლართება,
ღამე იტირებს, დღე დადგება უსიხარულო,
თუ ერთმანეთის მიტევება არ შეგვეძლება,
ჩვენი გულები მოიწყენენ უსიყვარულოდ.

ეს სააქაო საცალფეხო ბეწვის ხიდია,
ხიდის ბოლოში ჩამუხლვამდე ჩამოვბერდებით,
ბოლო ნაბიჯის გადადგმამდე გზა თუ დიდია,
ამ ნაბიჯების გაზომვამდე არ დავბერდებით



გურამი ხანგოშვილი - სახალხო პოეტი
პანკისიდან ქისტი

აი ჭეშმარიტი ქართველთა ძმა და მეგობარი გურამ ხანგოშვილი. აფერუმ შენს კაცობას ძმაო და მეგობარო

მე ქისტი კაცი,
რაც კი მახსოვს
ვფიქრობ ქართულად.
ვწერ ქართულად,
ვამბობ ქართულად,
ვმღერი ქართულად.
ვცეკვავ ქართულად,
ვბჭობ ქართულად,
მიკვირს ქართულად.
მიყვარს ქართულად,
მძულს ქართულად
ვხარობ ქართულად.
მტკივა ქართულად
მწყინს ქართულად,
ვღელავ ქართულად.

შენ დაგეთაფლე, გენაცვალე,
მესმის ქართულად.
შემოგევლეო, სხვა არ გეტყვის -
ესეც ქართულად.
სხვა ქვეყანაში ეს სიტყვები
არსად არ თქმულა.
ეს ყველაფერი
მეჩვენება დღეს,
არ დაცულად.
რადგან ეს ენა,
უნამუსოდ
შემოძარცვულა.
მოძებნეთ სიტყვა,
რაც ქართულად
ჯერ არა თქმულა.

მესმის ამ ენის,
საოცრად და
თანაც ზღაპრულად.
დიდმა შოთამაც, არაბებზე
წერა ქართულად.
სხვის ისტორიას
მგოსანმაც
კი წაუქართულა.
ილაპარაკეთ ქართველებო
მხოლოდ ქართულად!

ასეთ საუნჯეს რად
უდგებით
არა ქართულად!

ვუძღვნი ჩემს ახმეტელს. დოდონა ნამორაძეს...

ახმეტელობა არაა
როგორც გგონიათ ადგილი?!
ეს ახმეტელი გოგონა
საოცრებაა ნამდვილი.

სადაც კი ფეხი დაადგა
მონახა თავის ადგილი,
თურმე ამაზე ყოფილა
ყველა კონკურსი გათვლილი.

მე არ მინახავს დოდონა
არც ავლილი არც ჩავლილი,
არც იმან იცის ვინა ვარ,
ქისტი ვარ, მთების ,,არწივი".

ღიმილი როგორ ამშვენებს
როგორც ქალს თეთრი მანდილი,
თვალნი წარბნი და წამწანი,
მძივებივით აქვს გაშლილი.

მეც ახმეტელი გახლავართ,
მიყვარს ახმეტის აჩრდილიც,
მის ნამღერ ყველა სიმღერას
შეხვდა პირველი ადგილი.

აღარ გვენახოს ეს გოგო,
სიმღერისაგან დაღლილი,
დიდ სცენისაკენ ფერიას
ჰქონოდეს მუდამ გზა ხსნილი.

ვარსკვლავებსა და მას შორის,
უკვე მცირდება მანძილი,
მალე გახდება დოდონა,
ჩვენი ესტრადის ყვავილი.

როგორ უხდება ლამაზმანს,
თმები ბეჭებზე დაყრილი,
დოდონას მსგავსი დოდონას
ნახვა არაა ადვილი.

კიდევაც ბევრჯერ დადგება
მის ცხოვრებაში აპრილი,
აღარ გვენახოს მის თვალზე
ცრემლი სიმწრისა დაღვრილი.

გამიხარდება დოდონა,
გულში არ იქმნეს დაჭრილი,
ეკუთვნის ასეთ გოგონას,
ვაჟკაცი კარგად აღზრდილი.

* * *

სანერვეულო რა მაქვს,
ინერვიულოს იმან,
რაც მაქვს მე ჯიბით დამაქვს
მოკვდავს მეტი არც მინდა.

დღეს რომ ვკვდებოდე ვიტყვი,
ქვეყნად ცხოვრება ღირდა,
რადგან ცუდ რამეს ეხლა
მე არ გავივლებ ფიქრად.

რაც იყო, იყო უკვე
ის დრო წავიდა მორჩა,
საჯოჯოხეთედ არ ღირს,
ამ ქვეყანაზე მოსვლა.

ერთიც რომ იტყვის შენზე
რა კარგი კაცი მოკვდა,
ეს უკვდავებას ნიშნავს,
ნიშნავს მეორედ მოსვლას.

ჩემს ხატიას

პაპას დახატული გოგო,
ჯერ შვიდი წლის ხატია,
პაპას გულში ჩაკირული
საფიცარი ქალია.

არც ძალიან ატეხილი,
არც ძალიან წყნარია,
პაპას გულის ჩიტუნები
სულ კარგები არიან.

გავა დრო და დაქალდება,
პაპას დიდი იმედი,
მიხარია ანგელოზო,
შენს პაპად რომ ვითვლები.

თურმე შვილის სიყვარულიც
შვილიშვილზე გადადის,
შვილიშვილზე საყვარელი
დუნიაზე არ დადის.

მაგრამ თუ კი არ ივარგებთ
თუ დაკარგავთ ქისტობას,
არ ეცადოთ უნამუსოდ
ყურადღების მიპყრობას.

ის იყავით როგორც უნდა
იყოს ადამიანი,
არ მჭირდება მე უზრდელი,
თუნდაც სხვებზე ჭკვიანი.

სილამაზეც დღეს თუ ხვალე
დაჭკნება და გაქრება,
კარგი ხალხის სახელი კი
სამუდამოდ დარჩება.

ჩემგან შორს ხართ,
მაგრამ თქვენი
იმედი სულ მექნება,
ბედნიერი ვიქნები მე,
თუ კი სიტყვა მეთქმება.

ოღონდ თქვენა მყავდეთ კარგად,
მე სულ კარგად ვიქნები,
გეხვეწებით არ წაშალოთ
გულიდან ეს, სიტყვები.

* * *

ასეთი კარგი რომა ხარ,
მიტომ უყვარხარ ყველასა,
რაღა სჯობია მითხარი,
მაგ ჭაღარისა ცქერასა.

არ ვიცი როგორ გავუძლო,
ეხლა ამ გულის ძგერასა,
მადლობა მინდა ვუთხრა მე
ამ ჩემი ბედის წერასა.

მადლობა, აქ რომ გავჩნდი მე,
ჩემს მამასა და დედასა,
პანკისში მაცხოვრებლებო,
თქვენ გენაცვალეთ ყველასა!

ვუძღვნი ჩემს შვილიშვილს მანის
რომელიც დღეს ჩემგან შორს 13 წლის გახდა

პაპა გენაცვალოს როგორ მომენატრე
წლები გაფრენილან უკვე,
დღეს შენ ცამეტი წლის ხდები ჩემო კარგო,
მიკვირს შორს ყოფნას რომ ვუძლებ.

ოღონდ კარგად მყავდე ამას გადავიტან,
ჯერ ხომ ვიმორჩილებ მუხლებს,
შენი გაღიმება იცი როგორ მშველის?
შენს ხმას მოფერებით ვუსმენ.

სანთელ საკმეველი გზას არ დაკარგავსო,
შენი მიტომ მჯერა ბალღო!
მინდა სასახელო გოგო გაიზარდო
შენს ერს არაფერი ავნო!...

მართლა გულით მინდა შენ რომ კარგად მყავდე,
ხალხში დიდი გქონდეს ნდობა,
სწავლა განათლება კარგი რამე არის,
უნდა შესძლო ხალხის ცნობა.

თუ კი ვერ გაარჩევ შენ კარგს, ცუდისაგან,
საქმე არ წაგივა კარგად,
ერთი შეცდომაც კი თუ კი მოგივიდა,
ბევრგან გამოგყვება დარდად.

პაპა შენთან არის მთელი სულით, გულით,
თუ კი გაგიჭირდა მანდ ვარ,
ოღონდ კარგად მყავდე ჩემო საყვარელო,
გულზე დაგედები წამლად.

ბოლოს ერთსაც გეტყვი, ამით დავამთავრებ,
ჩირქი არ მსურს მოგვცხო ქისტებს,
ხედავ? ჩემო მანი, პაპის აღსარებას,
მთელი საქართველო ისმენს!

ვუძღვნი წარმოუდგენლად წყნარ და ჭკვიან გოგოს, ჩემს შვილიშვილს ასკას

ჩემი ულამაზესი,
ანგელოზის დარი,
ჩემი გულის მალამო,
ჩემი ასკა არის.

პაპას გოგოვ რა გითხრა,
სხვანაირი მყევხარ,
შენ ისეთი კარგი ხარ,
არავის არ ჰგევხარ.

გაჩუქებდი ამ ჩემს გულს,
რომ შემეძლოს უხმოდ,
რაც დრო გადის სიცოცხლევ,
ვნერვიულობ უფრო.

შენ არ იცი როგორი
იმედი ხარ პაპის,
შენაირი ჭკვიანი
მეორე არ დადის.

იმედი მაქვს როდესაც
შენ გახდები დიდი,
დაბრუნდები შენს ხალხში
არ გჭირდება ფიცი.

ასკავ ჩემო ლამაზო
მომენატრეთ მაგრად,
ნეტავი შემძლებოდა,
თქვენი ნახვა ახლა.

ბედნიერი ვიქნები, თქვენს
ხილვას თუ შევძლებ,
ჩემო თვალის სინათლევ,
იქნებ მალე შეგვხვდეთ.

ხუთივენი იქა ხართ,
ნოსტალგია მღუპავს,
რომ გიხსენებთ, გრძნობები
ჭინჭარივით მსუსხავს.

პატარა არც მინახავს,
დარდს მიმატებს დარდზე,
ოღონდ კარგად მყავდეთ და
დროს ლოდინში დავდნე.

ოღონდ არ შემარცხვინოთ,
ყველასა გთხოვთ ამას,
მე თუ აღარ ვიქნები,
ჩამომძახეთ პაპას.

* * *

მე არ მჭირდება ოქრო და ვერცხლი
და არ მჭირდება ოქროს ჩანგალი,
და არასოდეს არა ვყოფილვარ
ზოგიერთივით საჭმლით დამთვრალი.

საწყალი, მამა იტყოდა ხშირად
ღვინით დამთვრალი გამოფხიზლდება,
საჭმლით დამთვრალი რა კაცი არის,
სიარულშივე გამოვლინდება.

და იმის შემდეგ ვფიქრობ ამაზე,
მართალი კაცი ყოფილა მამა,
დღეს თავმდაბლობა, სინდის ნამუსი,
ნაღდი კაცისთვის სჯობია წამალს.

* * *

კაცობას ნუღარ დავკარგავთ,
აღდგენა გაგვიჭირდება,
კაცს, დამიჯერეთ კაცობა,
ყველაზე მეტად სჭირდება.

ვეცადოთ რომ არ დავკარგოთ
ჩვენი კაცური ღირსება,
კაცური კაცის, კაცობა
ყოველ ნაბიჯზე ვლინდება.

არ გაგვიტაცოს ძალზე შორს,
რაღაც უაზრო ფიქრებმა,
როგორი დონის კაცია,
უცხოც კი უცბად მიხვდება.

შენი კაცობის საზომი,
პირველი ნახვით იწყება,
ეცადე ის არ წამოგცდეს,
რაც ენით აღარ ითქმება.

საქართველოში ოჯახი,
კაცს და ქალს შორის იქმნება,
აქედან გამომდინარე,
ეს უკვე ნორმად ითვლება.

ცუდია როცა კაცი, კაცს
დაქორწილებას ჰპირდება,
არ გაიხარონ ამ ქვეყნად
ღმერთო, ასეთმა წყვილებმა!

* * *

კარგზე ვიფიქროთ, ცუდი
რა საფიქრალია ხალხო,
რაც დასათმობი რამეა
სუყველამ უნდა დავთმოთ.

უბედურება ის არის,
ცუდს რომ არაფრით არ ვთმობთ,
მოვა დრო, ცუდიც და კარგიც
ორივე ჩვენ რომ დაგვთმობს.

და როცა საქმე წახდება,
სათქმელს მაშინღა ვამბობთ,
საუბედუროდ, მანამდე
გეგმებს საჩვენოდ ვაწყობთ.

ადამიანის ბუნებას
ვეღარ გავუგებთ ხალხო,
სჯობია რაც არ გვეკუთვნის
იმას ხელი არ ვახლოთ.

იმ ქვეყნიურზე, ამ ქვეყნად,
არავინ აღარ დარდობს,
ისე არავინ იქცევა
საღვთო წიგნი რომ ამბობს...

რასაც თვითონ არ ვაკეთებთ,
სხვამ გააკეთოს, ვამბობთ,
სხვის ცეცხლზე ბენზინს ვასხავთ და
ვაღვივებთ, კი არ ვაქრობთ.

თინა ჯანიბეგაშვილი ფრანგული ენის სპეციალისტი
დაბადების ადგილი ახმეტა

* * *

ჟანგიან რელსებს ხმაურით,სტვენით,
მიჰყვება ჩვენი მატარებელი,
რომელ ბაქანზე ჩამოგვსვამს ნეტავ,
ცხოვრება,ჩვენი მასწავლებელი?
მაგრამ მანამდე დაღლილი სული
კვლავ სააქაოს დაეძებს პასუხს,
ვინ ვიყავ,ვინ ვარ,ან ვინ ვიქნები?
ჩემ შეკითხვაზე მრავალჯერ დასმულს...
ცისფერ ლანდებში ისევ კრთებიან
ჩემი ოცნების ძველი კადრები,
საკუთარ "მეს"-თან დუელში ვდგავარ,
მე სიყალბესთან ვერ დავზავდები,
ამ წუთისოფლის ორომტრიალში
ყველაფერს თავის სახელი ჰქვია,
ზოგჯერ ბრძენი ხარ,ზოგჯერ სულელი,
თუმც შენი წილი მაინც გიმკია...
ზოგჯერ გგონია,მართალი სიტყვა
გადასასვლელი ხიდია ბეწვის,
ზოგჯერ კი როგორც ცირკის კლოუნებს,
სახეზე ყალბი ნიღაბი გეწვის...
ცხოვრება-დიდი თეატრის სცენა,
განდიდებისთვის ქულებს ითვლიან,
მე კულისებში ვარჩიე ყოფნა,
რადგან თამაში არ შემიძლია,
მთელი ცხოვრება ბორკილებს ვამსხვრევთ,
მთელი ცხოვრება ვეცემით,ვდგებით,
ამაოების ქარსა და ცეცხლში
ჭეშმარიტება ვიწამე ერთი:
უნდა გიყვარდეს!-სიყვარულია
ყველა სიკეთის მქმნელი,მჭედელი,
რათა სიცოცხლის გზის გასაყარზე
არ ჩამოგენგრეს რწმენის კედელი...
ჟანგიან რელსებს ხმაურით,სტვენით,
მიჰყვება ჩვენი მატარებელი,
რომელ ბაქანზე ჩამოგვსვამს,ნეტავ,
ცხოვრება-ჩვენი მასწავლებელი?

* * *

ქალო,გამოდი გარეთ
მთვარე ღრუბლებში გიცდის,
ყურს ნუ დაუგდებ ჭორებს,
ნურც ვარსკვლავების სიცილს,
თორემ შუბისწვერს ისიც
ჩაეფარება როცა,
მერე იქნება გვიან,
წარსულ დღეებზე ლოცვა,
ვიდრე საშენო იებს
ვიღაც ჯერ კიდევ ჰყიდის,
შენს ულამაზეს ღიმილს
მოჰყვება სხივი დილის,
სიყვარულს ერთი დრო აქვს,
ეგ სილამაზეც მიდის,
ქალო,გამოდი გარეთ,
მთვარე ღრუბლებში გიცდის...

* * *

 განა, ვინ უნდა ვყოფილიყავ
შენი საწონი და მოსახდენი,
განა, რა გზა უნდა ამერჩია
შენთან მოსასვლელ,მოსაგნები,
განა, რა სიტყვა არსებობდა
ჩემი სიყვარულის გასაცხადი,
ვერცა ფუნჯი ვპოვე შესაფერი
შენი სილამაზის დასახატი,
განა სხვა რა გრძნობა არსებობდა
უფრო ლამაზი და სანატრელი,
ლექსში ნაწვიმარი რითმები და
სევდა,სიყვარულის დამამშვენი,
მერე...ცხოვრებაც წავიდა და
შენ გახდი სხვისი საფიცარი,
მე რომ დღეს წარსულში მაბრუნებენ,
კვლავ ის რითმებია ნაწვიმარი...

* * *

რა მოხდა მერე...უბრალოდ ვიტყვით,
სულში გამჩხვლეტავს ეკლის ხვიარა,.
ერთი სურვილიც ვერ გაგიბედე,
ცხოვრებამ ისე გადაიარა...

* * *

ცხოვრება მიდის,რა ცოტა რჩება,
ვიცი მოვკვდები სულით მშიერი,
ან უნდა ჩაქრე როგორც სანთელი,
ან არწივივით იყო ძლიერი

* * *

უდღეური ხარ,თეთრო ყვავილო,
ნეტავ, ვინ გიწერთ ასეთ განაჩენს?
ხეს მოწყვეტილებს წაგიღებთ ქარი,
მშვიდობას ეტყვით ღია დარაბებს...
იქნებ, ზეცაში აპირებთ სიკვდილს,
მერე...ვით თოვლის ნაზი ფანტელი,
მოეფინებით მიწას ხალიჩად
და ქრებით,ქრებით,როგორც სანთელი...
მთებზე დაყრილი ნისლების დარად
სულს დაამძიმებს ეს გაფიქრება:
გაზაფხულია ჩვენი სიცოცხლეც,
შემოგვღიმილებს და...გაფრინდება...

* * *

ჩემი წილი დიდთოვლობაც იყო და
ჩემი წილი გაზაფხულიც ვიკმარე,
ჩადგნენ,აღარ ხმაურობენ ქარები,
უფალს შევთხოვ ყოველ დილა ცისმარე,
მინდორ-მინდორ მაკრეფინოს იები,
ისევ ძველი სიყვარულით ამანთოს,
დამაჯეროს,ყველაფერი იყო და,
სურვილები რომ არ ხდება არასდროს...
რა მეგონა,რას ველოდი,არ ვიცი,
ჩაიარეს ჩვენი ყრმობის ზღაპრებმა,
შენ რაღა გჭირს,ფრთაფარფატა ოცნებავ,
შენც დაგაზრეს შემოდგომის ავდრებმა?
თუ ერთხელაც დარდებს ვეღარ გავუძლებ,
სიყვარულზე ნუ მოვყვებით არაკებს,
ერთი ტყემლის ტოტი გამომიწოდე,
სხვას არ გეტყვი,სხვას არ გეტყვი არაფერს...
დამაჯერე,ყველაფერი იყო და,
ის მითებიც,მე რომ მაშინ ვიწამე...
თორემ... ჩემი დიდთოვლობაც მორჩა და
ჩემი წილი გაზაფხულიც ვიკმარე...

სინანული

ახლა რატომ ვნანობ იმას,
რაც არ მინანია მაშინ,
როგორც მოხეთქილი ტალღა
მტკივა ჩავლილ წლების მარში...
ახლა უფრო რატომ ვდარდობ
როცა არდასაკარგს ვკარგავ,
ძალით გამოგონილ დღეებს
უხეირო ძაფით ვქარგავ...
არც მთლად უშენობა იყო,
არცა სასწაული ფერთა,
შენთან საამბობელს,ყველას,
ქარი უგზო- უკვლოდ ხვეტდა...
მერე...მიილია დროც და,
მერე...მერე ვინ რა იცის?..
ცხოვრება სხვა რაა მეტი
ერთი გაფრენაა ჩიტის...
ახლა აღარავინ არ ხარ,
სადღაც,იქეთობას დარჩი,
თუმცა,იმას მაინც ვნანობ,
რაც არ მინანია მაშინ ..

ასაკი

როცა სარკესთან დაღლილი დგახარ
და უნებლიედ ითვლი ნაოჭებს,
ხელში აღებულ საყურეს როცა
ვეღარ მოირგებ და ეს გაოცებს,
მიხვდები,თურმე ასე მალიმალ
რატომ აწყდება ქარი დარაბებს,
და სიბერისკენ დარჩენილ დღეებს,
შენ გამოუტან თვითონ განაჩენს...

თხოვნა

დღეს უნდა მითხრა,რომ შენ გჭირდები,
იგივეს გეტყვი,ადამიანო,
ვიდრემდის ცაში მზეა,დარია,
სიყვარული არ დამიგვიანო,
მერე...იქნება ძალიან გვიან,
მერე კი..მერე...საერთოდ გვიან,
წასვლისას ერთი წრფელი ცრემლი და
მორჩა...ჩვენ უკვე არავინ გვქვია...

საქართველოს პოეტებს

ყორღანებიდან ისევ აფრინდა,
ყაბარდოს თავზე შეჰკრა კამარა,
ეს ხომ იმ გნოლის ნაბარტყევია
პოეტის გულს რომ სევდა აჰყარა...
მტკვარს გადავხედავ, ეგებ მის ტალღებს
შემორჩა ხოხბის ბუმბულის ღერი,
მიცურავს ტივი, ძველი მეარღნე
ამ წუთისოფლის ავ- კარგზე მღერის ...
დუდუნებს მტკვარი, ტატოს აჩრდილი
დაეხეტება, ვით მთვარეული,
დღეს ქორწილია დადიანებთან,
შენ ვინ ხარ, ტატო? მწირი, ეული...
გალაკტიონიც იწვოდა ტრფობით,
და ჯვარისწერის საკურთხეველთან,
ისმოდა მერის უგონო ფიცი,
იქ, შემოდგომის მწუხარ ფერებთან,
სტკიოდა პოეტს, როგორ სტკიოდა,
კვლავ შრიალებდნენ სევდით ვერხვები,
უიღბლო მგოსნის ჩანქრალ ოცნებებს
მიაჭენებდნენ ლურჯა ცხენები...
ვიღაცას ვიღაც ისევ უყვარდა,
ვიღაცამ ბოღმა გულში დამალა,
სადღაც კიბის ქვეშ მთვრალმა ნიკალამ
უკანასკნელი ჭიქა დაცალა...
ვინ ჩაიხედა ტერენტის სულში,
ვინ უშუშებდა პოეტს იარებს,
სერზე შემდგარმა ლადოს ლექსებმა
ჭექა- ქუხილით გადაიარეს...
ბაღებში დღესაც ყვავილობს ნუში,
და ქვემეხების გრიალ- ტყრიალში,
ენატრებოდა მირზას თბილისი
და მთაწმინდაზე ფერთა ტკრციალი...
ყორღანებიდან ისევ აფრინდა,
ყაბარდოს თავზე შეჰკრა კამარა,
ეს ხომ იმ გნოლის ნაბარტყევია,
პოეტს რომ გულზე სევდა აჰყარა...

***

ამ წუთისოფლის სამზეოზე
რით გაგაკვირვოთ,
რამდენ ვაებით,ჭირთათმენით
ერთურთს ვაოცებთ,
შენ კი უფალო,
თუკი მომკლავ, ისე მომკალი,
საკუთარ ცხედარს
ჭირისუფლად ნუ გამაყოლებ...

***

ასე იყო,ასე არის,
ვინ თქვა ნატვრის ახდენა?
ჩაიარეს ამ ცხოვრების
დარებმა და ავდრებმა,
მერე...შემხვდი,გაგერიდე,
გაიკვირვე,ალბათა,
მე სიბერე დაგიმალე,
რით ვერ მიხვდი ამასა?

***

როგორც მუჭაში ჩამდნარი თოვლი,
არაფრისმთქმელი, უკვე წასული,
საოცარია,ასე რად მტკივა,
ის,რასაც უკვე ჰქვია წარსული...
მე მოვალ შენთან,ერთხელაც მოვალ,
თუ არ მინამქრეს გზები ზვავებმა,
რომ ერთხელ კიდევ გითხრა,არ მჯერა
იმ სიყვარულის გარდაცვალება,
მერე ითოვებს ..თანაც რარიგად,
ისევ იმგვარად,მაშინ რომ თოვდა,
ყველა სიწმინდე ზეციდან მოდის,
ყველა სიწმინდე შემორჩა ხსოვნას...
მე მერეც მოვალ,აპრილის თვეში,
როცა ატმები კვირტებს გაშლიან,
გზად ენძელები შემომხვდებიან,
შემომახვევენ ცისფერ მანტიას,
მოვყვებით მითებს,საოცარ მითებს,.
კვლავ ჩვენთან ერთად იქნება ღმერთი...
გეტყვი,რომ ჩემი ოცნების ბაღში
ისევ ყვავილობს ყაყაჩო,კენტი,
თუმცა კი რისთვის,ანდა რაღა დროს,
არანაირი თავის მართლებით,
შენ-უდღეური იებით ხელში,
მე-ჩემი სულის შემოღამებით...

* * *

როცა ბოლო გზაზე გამაცილებთ,
საფლავზე ტირიფი დამიჩრდილეთ,
დრო მოვა,ყველა დამივიწყებს,
მარტო ის ტირიფი დამიტირებს

ვალი

ვხედნე, ვხედნე,
ვერ გავხედნე,
ლექსი,შენი საფერი,
ჩემი ძველი ოცნებიდან
შემრჩა აღარაფერი...
დრო გავიდა, დრო ოხერი,
დარითა და ავდარით,
მოგონებებს შევატოვე
სიყვარულის ზღაპარი...
ახლა სხვა გზას მივუყვები,
არ მაქვს სულის საფარი,
ძველ ბუხარსაც შერჩენია
მარტოობის ღადარი...
იქნებ ჩაქრი...ნაზი იყავ,
შენც დაგაზრეს ყინვებმა,
ან ხმელ ფოთლად გადიქეცი,
დაგათოვეს ფიფქებმა?...
მაინც გეძებ,ეგებ შემხვდე,
(ბედს დაუდგეს თვალები),
უფალს შევთხოვ, მახდევინოს
სიყვარულის ვალები...
ვხედნე, ვხედნე, ვერ გავხედნე
ლექსი, შენი სადარი,
ძველ ბუხარსაც შერჩენია
მარტოობის ღადარი...

* * *

ამ წუთისოფლის ყველა სიავეს,
მაღალო ღმერთო,შენ ამარიდე,
სიყვარულისთვის დამბადე თუკი,
გთხოვ,სიძულვით ნუ გამაცილებ.

***

შეჩვეული ფიქრები
ღამენათევარები,
სადღაც ისევ ნისლია,
სადღაც ისევ ავდრები,
ქარი ქრის და ფოთლები
ეცემიან ყვედრებით,
უფალს უხმობს საშველად
სული, სავსე ვედრებით,
სადღაც სულ იცინიან,
სადღაც მუდამ ტირიან,
დღენი აღარ იცდიან,
მიდიან და მიდიან...
ქარი ქრის და ფოთლებიც
ზოგჯერ ცისკენ მიქრიან,
მიწას მოწყვეტილებმა
ის კი აღარ იციან:
ვერვინ შეცვლის სამყაროს
უსასტიკეს კანონებს,
შენი ერთი ღიმილი
ცისარტყელას მაგონებს,
აყვავებულ ტყემლის ხეს
გაზაფხული მოვპარე,
მერე...ჩემს უნებურად
ისიც ლექსად მოვქარგე...
სადღაც მუდამ მზეა და
სადღაც მუდამ ნისლია,
ეს ცხოვრება სხვა რაა-
უსასრულო ფიქრია...

ციოდა...

იდექი ჩემს წინ....
ჩამქრალი სხივი....
ციოდა...
და შენც იყავი ცივი,
ძალიან ცივი...
ჰო,იდექი ვით უცხო
მგზავრი....
უცნაურ მზერით...
არაფრის მთქმელით...
მე კი... რამდენი
მქონდა სათქმელი...
და უნებურად,
ჩემს უნებურად,
თბილ რადიატორს
დავადე ხელი...
მინდოდა სითბო...
შენ კი იდექი
ჩამქრალი სხივი,
იყავი ცივი...
ძალიან ცივი...

***

გაიზაფხულებს ისევაც,
მოვლენ დღეები ,მზიანი,
ბუჩქებში ამოჩნდებიან
ლურჯკაბიანი იანი,
ფერდობებს ჩამოუქროლებს
ცელქი ,კისკისა ნიავი,
ნეტავ,შენც გამოჩნდებოდე,
ნეტავ არ იყოს გვიანი,
გვეყვარებოდა ერთურთი,
ღმერთთან წილნაყარ მითებით,
სიყვარულს დაგვიპურებდნენ
ჩვენი ჟივჟივა ჩიტები...
ახლა რა გითხრა, სავსე ვარ
ზღვამორეული ფიქრებით,
სიცოცხლე მინდა მოვქარგო
ულამაზესი რითმებით...
გაიზაფხულებს, ფერდობებს
მოედებიან იანი,
ნეტავ, შენც გამოჩნდებოდე,
ნეტავ, არ იყოს გვიანი...

ლია ხმიადაშვილი - ინჟინერი
დაბადების ადგილი ყვარელი საბუე. (ემიგრანტი)

***

ქალაქის ქუჩა სავსეა ხალხით, გზაც მანქანებს ვერ იტევს,
სუფთა ჰაერი ვერ გვისუნთქია, გაზი გვიხუთავს ფილტვებს.

კვების რეჟიმი დარღვეულია, რას ვჭამთ, რასა ვსვამთ, ვიგებთ?!
რამდენ რამეზე ვხუჭავთ თვალებს და პასუხებს არ ვთხოვთ კითხვებს.

სოფლის პროდუქტი რაღას შემოვა, გლეხი გაურბის მიწებს,
- გარე ვაჭრობა სარფიანია, უხვად ივსება ჯიბე...

ჩვენს ჯანმრთელობას შხამ- ქიმიკატით ვშლით და საფრთხეში ვიგდებთ,
ჯანსაღად კვება დეფიციტია, ბავშვებს ვირუსებს ვკიდებთ.

მიწაზე შრომის გარეშე გვინდა, ქვეყანა ფეხზე იდგეს,
უცხო სახლდება ჩვენს ნასახლარზე, ვბრაზობთ და წყევლით ვიკლებთ.

ყველა ჩვენგანი დამნაშავეა, გულგრილობას რომ ვიჩვევთ,
სიკეთეს ჯერ თავს თუ არ ვუკეთებთ, სხვას ვერ მივხედავთ ისე.

როგორ მოითქვას ქალაქმა სული, თუ შეღავათს არ მივცემთ,
უმუშევრობა რა სათქმელია, სოფელი ყელს თუ გვიწევს.

სუფთა ჰაერის ღრმად ჩასუნთქებით სულს იქ სიმშვიდით ვივსებთ...
გვერჩივნოს, ისევ ავაფუსფუსოთ შრომით სოფლური სივრცე.

***

რამდენ ტკივილებს, რამდენ დარდებს უნდა ვათრევდეთ,
თანაც როდემდე!?!-ვიდგეთ ასე დაბინულ გზებთან,
ზამთარს, გაზაფხულს, ზაფხულს ვუცდით თუ შემოდგომას,
ცრუ იმედების დაჯერებით, ვიქეცით მსხვერპლად.

არც შურისგების, არც დასჯების მომხრე არა ვარ,
ბუმერანგივით გვიბრუნდება რისხვაც და წყევლაც,
მაგრამ იქ, სადაც ძაფი წყდება, გაწყდეს ბარემღაც,
რომ საბოლოოდ დავასრულოთ ნერვების წყვეტა.

რად უნდა დროებს, ანდა წუთებს ამდენი მოცდა,
როცა გვიხდება სიყვარულის სანთლებით ძებნა,
რა გახდა, ერთი ბრძენის ნახვა თავის სიმართლით,
რომ უფლის შიშით შეეცადოს სიხარბის ძლევას.

***

ნურავინ მეტყვის,- ასკში ხარ, და ბავშვს რად გავჰხარ,
ადვილად რად გწყინს, რად გჭირდება ამდენჯერ ახსნა,
ვხედავ, არ გვისმენ და გონებას სულ სვაგან ხარჯავ,
ზედმეტად ითხოვ ყურადღებას, ბუზღუნით გვქანცავ.

-დედაშვილობის სიყვარული გზა კვალს არ კარგავს,
ჭირვეულობაც არ ითვლება ასაკის ნაკლად.
დროს ვერ პოულობთ?- არა უშავრს, სულაც ნუ მნახავთ,
ოღონდ, ხანდახან შემომძახეთ- დედა, ვართ კარგად..

ნეტავი იმ დროს, თქვენს გაზრდაში იმ წლების დაღლას,
დღეს უთქვენობა, სიმარტოვე მიკარგავს ძალას,
გულს ვერ ვაწყნარებ, დარდი დამსდევს სიმშვიდის ნაცვლად
და მეც ვბუზღუნებ მაშინ, როცა გვერდში არ მყავხართ.

***

მშვენიერი ხარ, შენს სილამაზეს
დატყვევებული თვალს ვერ ვაცილებ,
მეთაიგულეც გაოცებული
ხელში მაგებებს შენთვის ნარცისებს.

გულს სითამამეს ვერ შევუბედავ,
უარის შიში უფრო მაშინებს,
მიკვირდა უცებ შეყვარების და
თავად მსხვერპლი ვარ, ვისღა დავცინებ.

***

როგორ მინდა სიყვარულით დავტკბეთ
და ერთობა გქონდეს გზად და ხიდად,
სულ ბოლომდე გიძახოდე ჩემო,
ეგ თვალები დღემდე როგორ მხიბლავს.

და გავლიოთ წლები ისე ტკბილად,
რომ ტკივილის კვალიც არსად ჩანდეს,
შენს ალერსში ჩავიკარგო ისე,
მეცხრე ცასაც, მეათესაც გავცდე.

***

ლანძღვით და წყევლით,
უხამსობით წარმოთქმულ სიტყვებს
ბრძენი უვარგის, დამპალ ხილთან აიგივებს,
ყველაფერს ერთი შედეგი აქვს, სულსაც, სხეულსაც
ნელნელა წამლავს, ერთნაირად ანაგვიანებს.

***

მშვენიერება თუ ნამდვილად გიღირს და გხიბლავს,
მსუბუქ მაკიაჟს შეაშველე დავარცხნის სტილი,
განწყობისათვის ჩაიხედე სარკეში ხშირად,
მერე ასაკი არ დაგიწყებს მოთქმას და ტირილს...

***

კვლავ დამიგროვდა გულში სათქმელი
და ვულკანივით გადმოღვრას ითხოვს,
ვგრძნობ თვალთვალს, თითქოს, ხმაც მესმის უფლის,
დასამშვიდებად თავისკენ მიხმობს.

ასეა, როცა ნაღვარივით
მოსული სევდა, წალეკვას ცდილობს,
არ მტოვებს მარტო, ნუგეშისცემით
სასოწარკვეთა სურს ამაცილოს..

***

ადამიანი დამნაშავედ არ იბადება,
ქვეყნიერება აზროვნებას უვსებს ნაგავით,
თუ არ ხერხდება ტოქსიკების გამოდევნება,
გონების წამვლით ბოროტების ხდება ნადავლი.

***

ფული, სიმდიდრე ყველას სურვილია,
ყველას ახალისებს კომფორტის არე...
არ აგვივარდეს თავში მთავარია,
რადგან სიამაყით ჩვენს მორალს ვანგრევთ.

***

ყვავილების თოვა,
სიზმრად ვნახე წუხელ,
მოდიოდი...კრავდი,
ჩემთვის თაიგულებს.

მიტოვებდი კართან
და ქრებოდი უცებ,
სიზმარშიაც, მიკვირს,
დუმილს როგორ უძლებ.

ნახვის ჟინი ვიცი,
ლოდად გაწევს გულზე,
სიყვარულის განცდას
რად მიტოვებ უთქმელს.

***

უკან დაბრუნება უკვე გვიანია,
ნატკენ გულს ვუძახი, იყოს მორჩილებით,
თურმე რა ტყუილად გულზე მიმაბნია
შენი სიყვარული წლებმა ლოდინებით.

ჩემი შეცდომები ბევრჯერ მინანია,
გულის ტყვე ვყოფილვარ მონა- მორიდების,
შენი ცრუ გრძნობები ახლაც მფრინავია
მე, ჩემს ემოციებს ვკვებავ მოთმინებით.

უკან დაბრუნება უკვე გვიანია,
ნატკენ გულს ვუძახი, იყოს მორჩილებით...
ახლა ამინდები გულის მზიანია,
სულსაც ვამზიანებ სხივთა მოფინებით.

***

ფარდები გასწიეთ, უფლება მიეცით
მზის სხივებს- სიბნელე სულშიაც გათენდეს...
დაბურულ სივრცეში გამშრალი თვალები
უცრემლოდ ტკივილებს როდემდე ათრევდეს.

გახსენით ფანჯრები, ნუგეშით აავსეთ
ისე, რომ სიმშვიდე სუნთქვამდე აღწევდეს,
სიცოცხლის საამო სურნელით დაათვრეთ,
სიკეთის ჰანგებზე ბოლომდე ამღერეთ.

კარები გააღეთ, თან ფართოდ გააღეთ,
ვზიდავდეთ გულიდან დარჩენილ ნამსხვრევებს,
უცრემლოდ, უთქმელად გამჯდარი ტკივილი
მტრებს უფრო ახარებს და მეტად ამხნევებს.

დაცალეთ სხეული ცრემლებით დარდისგან,
ცხოვრება გრძელდება, იმედებს გვადევნებს,
გახადეთ კლდესავით ისეთი ძლიერი,
გული მტრის ჯინაზე კიდევაც ამღერდეს.

***

წლებმა მიგავიწყა ჩემი თავი...ვერც კი მიცანი,
მე კი შენს სახეს, ტრფობით სავსეს ვიზეპირებდი,
შენ- უფლისწული, მე-ფერია, ასე ბავშვურად,
გარდასახვებით, ოცნებებით ზღაპრებს მივსდევდი.

ნამდვილ სიყვარულს მოლოდინი არ უძნელდება,
გულის სიღრმეში ვაბუდებდი შეხვედრის გრძნობით...
შენ- უფლისწული, მე- ფერია, ვაგრძელებ თამაშს,
რომ გულგრილობამ არ წამართვას უნარი ბრძოლის.

***

ბოროტო მოდგმავ, შეწყალებას როგორ უბედავ,
რომ მომნანიე სულს მწუხარეს ჩასაფრებულხარ,
საკუთარ თავთან გამართლება როდის ისწავლე,
როდის მიხვდები, ასე ცხოვრობ არარსებულად?!-

ღვთიური მადლი დაჩაგრულის სულზე გადმოდის,
მისი ცრემლები ღმერთს შესთხოვენ ღაღადით შველას,
ღვთის კანონები დაისწავლე, მერე სინდისი
აღარ მიგიშვებს, გქონდეს სხვების განკითხვის ნება.

***

არ ვიცი დავდუმდი, ენა ვერ ტრიალებს,
ვერც ვკვნესი, ვერც ნუგეშს ბაგე ვერ წარმოთქვამს,
ამდენი ტკივილის შეგრძნებით გამჯდარი
მოთმენა სიბრაზის ჯებირებს გადმოსცდა.

ცოდვების სიმრავლეს თუ ვიმკით, ეს არის
ურწმუნო ცხოვრების დასჯისთვის გამოცდა,
ურჩებს და ამაყებს ბუნებაც გვეომის,
თავებს ნუ ვაჯერებთ, თითქოსდა არ ვცოდავთ.

უფალი ზეციდან ჩვენს გზებს თვალს ადევნებს,
გვიხმობს და ვინ ცდილობს ახლოდან გაცნობას,
თავდაჯერებებით ვიკარგავთ სიფრთხილეს,
ვითომდა სწავლულებს -გვამარცხებს არცოდნა...

შევთხოვოთ ზეციერს მორჩილად შენდობა,
გვიკურთხებს სავალ გზებს ურჩობით ნაცოდვარს.

ფრიდონ არაბიძე - ელექტრიკოსი
დაბადების ადგილი - ტყიბული - (მუხურა)

* * *

ცივი ქარი ძლიერ ქროდა,
სიცივე კი ძვლებს ამტვრებდა,
ცა ღრუბელით შემოსილა,
ყინვა იყო, წვიმდა, ქუხდა,

უსახლ-კარო ბაღში იჯდა,
მოწყენილი დარდით წუხდა,
გავიფიქრე სიცივეში რატომა
ზის, მარტოა და აქ რა უნდა?

აღარ დარჩა ნუთუ ვინმე?
ნუ თუ ყველამ მოიძულა?
რატომა ზის ამ ყინვაში,
რა ცხოვრებამ აიძულა?!

იქნებ კიდეც მშიერია,
ენატრება ერთი ლუკმა,
ვაი, ხვალ თუ ამ გასაჭირს,
ვერ გაუძლოს მისმა გულმა!...

* * *

იღვიძებს სიცოცხლით აპრილი,
ასკდება ხეებს კვირტები,
იღიმის ია და ენძელა,
გაზაფხულს ამკობენ ფერები.

გავატკბობენ ტბილი ხმით გალობით
პატარა, ნაცარა ჩიტები,
ნაკადულს გაუდის ჩუხჩუხი,
ბზუიან ფუსფუსებს ფუტკრები.

ქარი ქრის, ირხევა ნუშის ხე,
გასცვივდა ფერადი ყვავილი,
მოდიან ლამაზად ფიფქებად,
ქარს მოაქვს სუნამოს სურნელი.

ფერად ყვავილის სურნელით,
დამთვრალან ყვითელი პეპლები,
ბედნიერები დარბიან,
სიცოცხლით სავსე ბავშვები!

* * *

იხარე ჩემო სამშობლო,
კურთხეული ხარ ღვთისაო,
მუდამ ბრძოლები გიწევდა,
მტერი გყავს ყველა მხრისაო...

ბევრჯერ სისხლით ხარ მორწყული,
მტრები გიკლავდენ შვილსაო,
არასდროს დაგიკვნესია
მტრისგან ჭრილობა ხმლისაო!..

სამშობლო სისხლის წვეთები...
მდინარედ დაგიღვრიაო,
რამდენი დედა გამწარდა,
აკვანი რომ არწიაო.

გმირების სამშობლო გქვია,
თამარის, დავითისაო,
პრწყინვალე გამარჯვებების,
ბრძოლაში დიდგორისაო!...

ბრძოლაში ორომტრიალში...
ხმალი გიწრთვნია ხელსაო,
არასდროს, დაგიჟანგდება
მახვილი დავითისაო.

მუდამ ამაყად იდექი,
როგორც არწივი მთისაო,..
ვერ დაგაჩოქეს ვერასდროს,
მუხლი გაქვს სალი კლდისაო!...

გმირს კლავდენ, იბადებოდა,
ლეკვები შავი მგლისაო!
იხარე ჩემო სამშობლო,
კალთა გფარავდეს ღვთისაო!

ისმოდეს მუდამ განთიადს,
ზარები ტაძრებისაო,
იფრინოს შენს ლამაზ ცაზე
მტრედებმა მშვიდობისაო!

* * *

ქალავუ შენი თვალები,
მაგონებს მწიფე მაყვალსა,
შამყვარებიხარ ძალიან
და ნუ დამიშლი მოსვლასა.

შენთან მოვედი ქალაუ,
მე ხელის სათხობნელადა,
გინდა მთის მწვერვალს გაცხოვრებ,
გინდა გაცხოვრებ ბარადა.

შენ რომ სხვის მკლავზე გეძინოს,
მაშინ მოვკვდები ჯავრადა,
შენი ხმალია იცოდე,
ჩემს გულს გახვედრებ ფარადა,

უარით წასვლას მიჯობს,
გულით დავეცე დანასა,
მსურს, შენთან ბინა დავიდო,
საცხოვრებელი მარადა.

* * *

გამიფრინდა სიჭაბუკე,
გაჰყოლია ოქროს წლები,
დარჩა მხოლოდ მოგონება,
შევერცხლლილი თეთრად თმები,

მეტი რაღა დამრჩენია,
მხოლოდ მოგონებით ვტკვები,
ისევ წლები მემატება,
ვითა ვარდი ნელა ვჭკნები,

მენატრება სიჭაბუკე
და ბავშვობის მეგობრები,
მენატრება ის ბავშვობა
ლაღი იყო უდარდელი.

განა ერთი ჭიქა მათრობს,
მხოლოდ მოგონებით ვთვრები,
მენატრება სიჭაბუკე,
ძმათ ნაფიცი მეგობრები.

დამრჩა მხოლოდ მოგონება,
ჭაღარა და ნაოჭები,
რა კარგია სიჭაბუკე,
გოგონებს რომ ეპრანჭები.

* * *

სიკეთე ვთესოდ ამ ქვეყნად,
სიკეთე ეს მადლიანი,
განა უკვდავი ვინმე ვართ,
ამ ქვეყნად ადამიანი?

ერთმანეთს რომ გავუფთხილდეთ,
არ მივაყენოთ ზიანი,
სიყვარულით და სიკეთით
დღე გავუთენოთ მზიანი!

იმ ქვეყნად ვინ რას წავიღებთ,
მოსული ადამიანი,
ერთმანეთი რომ გვიყვარდეს,
არასდროს არის გვიანი!...

თუ სიყვარულით დადიხარ,
მაშინ ხარ მხოლოდ ჭკვიანი,
ხან ოქროს ფერი გეცმება,
ხანაც ძალიან მტვრიანი!...

იყავი მხოლოდ ამ ქვეყნად
უბრადლოდ ადამიანი!...
ერმანეთი რომ გვიყვარდეს
არასდროს არი გვიანი!...

* * *

ისევ ნისლებად ჩამოწვა სევდა,
ათასმა ფიქრმა ჩემში იელვა.
ოხ, რა ძნელია მენატრებოდე,
მე შენ მიყვარხარ ერთხელ ვერ გეთქვა,

თითქოს სიცოცცლით სავსე გულმა,
ახლა, ამწუთას შეწყვიტა ფეთქვა,
მე ჩემი გულის ტკივილს გიამბობ,
განა ოდესმე პოეტი მერქვა?!

* * *

მეგებებოდნენ თვალები,
ვეღარ ვივიწყებ იმ დღეს,
ნოტებით მელოდიებით,
ვაკოწიწებდი რითმებს...

ლექსად გაგანდობ ძვირფასო,
შეშლილ და გიჟურ ფიქრებს,
ისევ გიმღერებ ტკბილი ხმით,
გიტარას ავწყვეტ სიმებს.

ალერსით, კოცნით დაგატკბობ,
როგორც მზის სხივი იებს,
ვნებით ქარცეცხლში გახვეულს,
მკერდზე აგიწყვეტ ღილებს.

ღილების ნაცვლად დავაბნევ,
ქორფა ლურჯ თვალა იებს,
დავეწაფები წყურვილით,
შენსა ალუბლის ტუჩებს.

ნეტარებისგან მთვრალი კი,
ბარბაცით წავალ ქუჩებს,
არასდროს გავტეხ მე ჩემს
ფიცს, არ გაგიცრუებ იმედს...

მეგებებოდნენ თვალები,
ვეღარ ვივიწყებ იმ დღეს...
ეს ლექსი ყველას გეძღვნებათ,
სიყვარულისგან გიჟებს.

* * *

რომ არ მიყვარდე ჩემო მშვენებავ,
განა ეს გული აღიღინდება?
ჩემი გრძნობები, ვით ატმის კვირტი,
მხოლოდ შენდამი გაიკვირტება!...

მე შენს ლოდინში ვიცი ეს წლები,
როგორც ბეღურა გამიფრინდება,
ლექსებს დაგიწერ მერე მე ისეთს,
წაიკითხავ და გაგიკვირდება!...

მე საუკუნე დაგელოდები,
ვიცი იმედი რომ არ ჩაქრება,
ჩემი ნანატრი ყველა ოცნება,
ერთ მშვენიერ დღეს ვიცი ახდება.

და ეს ოცნება რომ არ ამიხდეს,
იქ საიქიოს დარდად წამყვება,
როს მომიკითხავ საფლავის ქვაზე,
შენზედ მოძღვნილი ლექსი დაგხვდება!...

ჩემს საფლავზე კი ვარდების ნაცვლად,
ყაყაჩოები აბიბინდება,
გაბრუებული ჭრელი პეპლები,
ფარფატ ფარფატით აგიფრინდება.

ვიცი მინატრებ აღარ ვიქნები
და შენც ძალიან გული დაგწყდება,
შენზედ მოძღვნილი ჩემი ლექსები,
იცი? იმ ქვეყნად, სანთლად დაგხვდება?!

* * *

საქართველოში მეფობდა,
ქალი სახელად თამარი,
მაშინ გაბრწყინდა ქვეყანა,
ჩვენი სამშობლოს მთა-ბარი!

ძირ ძველი საქართველო გვაქვს,
როგორც ბერმუხა ჭადარი,
ია ვარდებით მორთული,
სამოთხის ედემ-ბაღნარი,

სამშობლო ასე ლამაზი,
არ მეგულება, არ არი,
სახელოვანი მეფენი,
განა ყავს,სხვას შესადარი?!

* * *

რა პატარა ხარ შენ ჩემო გულო,
მაგრამ გრძნობების სავსე ფიალა,
მერე რა მოხთა თუ შეგიყვარდა
და სიყვარულმა გაგატიალა!

ბედმა ბორბალი ხანაც წაღმა და
ხანაც უკუღმა დაატრიალა,
ყველა შენ გიყვარს,ყველას შენ ეტრფი,
რად დაგიტოვეს გულში იარა!...

ყველა ფიქრმა და ყველა დარდებმა,
შენზედ ტკივილათ გადაიარა,
არ დაგიფასდა შენი სიკეთე,
ყველამ ფეხით ზედ გადაგიარა!..

* * *

ვის რად უნდა სიყვარულზე ლექსები,
სიძულვილსა გაუდგია ფესვები,
აქ მდიდარსა ჩამოსტირის სახე და
ღარიბისთვის დაუკრეფავს ხელები.

აღარ ხარობს ერთგულება, ყიდიან,
ნიღბიანნი მოდიან და მიდიან,
მწარე სიტყვას ტყვიასავით ისვრიან,
არ მითქვამსო,უკმეხადაც იტყვიან.

მტერ, მოყვარის ამოცნობა ნიჭია...
ვის რად უნდა სიყვარული, ტვირთია,
ღვარცოფივით მოვარდნილი ზვირთია,
მდინარეზე ჩატეხილი ხიდია.

თვალთმაქცობით ერთმანეთის შიშია,
უერთგულებ? დაგცინებენ, ბრიყვნია!...
აღარ არის სიყვარული,ზიზღია,
აღარ ფასობს,თუკი რამ შეგიქმნია.

ჩემი ლხენა ალბათ მტრისთვის ჭირია,
სიმდიდრისთვის ერთმანეთის ჯიბრია,
ვიღაცისთვის ალალი- გოიმია,
კეთილი კი- გულუბყვილო ბრიყვია.

სიძულვილში დაკარგულა წლები და
მოღალატე დღეს ხომ ხედავთ, გმირია,
სიყვარული ვისთვის უცხო ხილია,
ერთმანეთში სიყალბე და ზიზღია.

* * *

მიყვარხარო ბევრჯერ მითქვამს,
შენ კი სულ არ გამიგე,
სიყვარულით ანთებული
გული რატომ ჩამიქრე?

მე ხომ ჩემი გულის კარი,
ტაძარივით გავაღე,
სიყვარულში გამოგიტყდი
შენ კი მახე დამიგე.

ხან ბავშვივით ამტირე,
ხან სიმწრით მაცინე,
დღისით ფიქრის აჩრდილი ხარ,
ღამე სიზმრით მაღვიძებ.

ცოტა მაინც შემიბრალე,
ცოტა მაინც დამინდე,
შენთვის ლექსი აღარ ვიცი,
მერამდენედ გავრითმე.

შენ კი სულ არ გებრალები,
გრძნობის ცეცხლში დავიწვე,
სიჭაბუკე გაიპარა,
ოქროს წლები დაგითმე.

მიყვარხარო შენც რომ მითხრა,
ჩემს გულს მინდვრად დაგიფენ,
ერთგულების ნიშნად კარგო,
ცაში თეთრ მტრედს აგიფრენ.

ბარისა და მთის ყვავილი,
ყველა შენთვის დავკრიფე,
როგორ მინდა შენ სახლის წინ
თაიგულით დაგიხვდე.

გული წიგნად გადავშალე,
გრძნობებს ლექსად დაგიწერ,
არ მასვენებს შენზე ფიქრი
იქნებ გსურდეს გავგიჟდე!

* * *

გზად შემომხვდა კოხტა ქალი,
ლერწამისა ქონდა ტანი,
ამშვენებდა წამწამები,
აწკეპილი შუბლზე წარბი.

თვალები კი ზურმუხტისა,
თან ტუჩები როგორც ლალი,
სადაც ქალი შემხვედრია,
არ მინახავს მის სადარი.

ვუცქეროდი, გაოცებას
აღარა ქონდა ჩემში ზღვარი,
გულში ქროდა გრიგალი და
სულში კიდევ ქარიშხალი.

სილამაზემ დამატყვევა,
თითქოს იყოს ჯადოქარი,
ქალი იყო საოცრება,
მოწყვეტილი ცას ვარკვლავი.

მან ნარნარით ჩაიარა
ვერ მოვწყვიტე მზერას თვალი,
ქალი იყო მზის სადარი,
ცქერით დავრჩი კაცი მთვრალი.

რამდენ კაცის გულში ზის და
რამდენის აქვს მონაპარი,
ასე მარტოდ რატომ დადის,
ნეტავ თუ ყავს სახლში ქმარი!

რამაზ ლორია
კავშირგაბმულობის ინჟინერი
დაბადების ადგილი ბათუმი

* * *

როგორც ეხსნები სამყაროს,
სამყაროც ისე გეხსნება,
როცა სირთულე კაბრკოლებს,
სიცოცხლის ჟინიც იზრდება.

იმედის თვალით შეხედე,
რაც კი რამ ხდება სამყაროს,
წარსული გაითავისე,
აწმყომაც, რომ არ დაგჩაგროს.

ასე ფიქრობდა ექვთიმეც,
ლევილის მიწას დამდგარი,
საგანძურიც კი დაიცვა,
წინაპართ ნამოღვაწარი.

ამერში მტკვარი მღვრიეა,
იმერში კიდე რიონი,
იცით რა არის მიზეზი
აღარ გვყავს გალაკტიონი.

* * *

მე არ მინდა უშენოდ,
ეს ცოდვილი სამყარო,
მინდა გკოცნო გეფერო,
მინდა გულით გატარო.

მინდა მკერდზე მიგიკრა,
ცისარტყელა გაჩუქო,
იმ ლამაზი ფერებით,
სულშიც მოგეფერები.

სიყვარული ხიდია,
ცოლისა და ქმარისა,
სიყვარულის ნაყოფი,
დედა ბოძი ხიდისა.

მე არ მინდა უშენოდ,
ეს ცოდვილი სამყარო,
ნისლი, ლეგა ღრუბელი,
მოდი ერთად გავყაროთ.

,,პატრიარქს ილია მეორეს”

უწმინდესი ხართ და გენი ქართული,
სასწაულმოქმედი, დედის მიწაზე,
მუხლმოდრეკილი თქვენზე ვლოცულობთ
და სულ ვილოცებთ ღვთიურ მიწაზე!...

უფლის რჩეულო, დიადო სულო,
სასოებაო ,სულის სიწმინდევ,
სიკეთევ ქრისტეს, სულჩირაღდანო,
სათნო მეუფევ ხალხთა სიმშვიდევ.

უსამანოა თქვენი სიკეთე,
თქვენ ხართ სინათლე ქართა_ველისა,
სალბუნად მოხველთ მართალთმავალთა,
და მკურნალი ხართ ჩვენი სულისა.

მანათობელო დავითის სულის,
მანათობელო თამარის სულის,
მანათობელო წმინდანთა სულის
და განმგმირავო მტარვალთა გულის.

თქვენ საქართველოს იმედო,
ქართველებისთვის შველაო,
ქვეყნად მოვლენას გილოცავს,
თქვენი ტანჯული სამშობლო...

* * *

ბათუმია სიმშვიდე,
ოპერა და მუსიკა,
სიყვარულის ნოტები,
კლავიშები შავ_თეთრა.

შემოდგომა ფერებში,
სიყვარული გენებში,
ტირიფები თავდახრით,
პარკებსა და სკვერებში.

მიყვარს მოსიარულე,
წყვილი გიგო ბიჭები,
პლიაჟები ხმაურობს,
პოეტური რითმებით.

ბათუმო ჩემო ფერადო,
ლაღო და გაბრწყინებულო,
მუსიკალურო ბუნგალო,
იჟღერე არ მოგვადუნო.

იმზიანეთ ბათუმლებო,
უფალს ებარებოდეთ,
აჭარული ჰანგებით,
ჯალაბს ეფერებოდეთ.

* * *

შემაგულჩვილა კალანდამ,
სულს გაზაფხული ალანდა
და სიყვარულის ქალღმერთმა,
გულში ნათელი დაბადა.

გაყინულ მხრებზე მოგვაცვა,
თექის შავ-თეთრი ლაბადა,
მნათობდეს თქვენთვის მზე ცაში,
მრავალს დაგვასწროს კალანდას.

* * *

ნუთუ ზღვა ვერ გრძნობს, რომ მარტის თვეა,
მარტი ხომ ჰოროსკოპით თევზებია,
თევზები ხომ ზღვაშია და მისი სტიქიაა,
შავი ნაბადი რად მოუსხია.

მზე ლურჯ ტალღებში ჩაიძირა,
ზღვა თითქოს სევდას შეუპყრია,
ხვალინდელ დღის მოლოდინში
მთვარეც ესტუმრა და ღამეც გაუთია.

ცაზე ვარსკვლავებსაც ცეცხლი დაუნთია,
ზღვაში მისტიურად, ფსკერი გაუთბია,
თეთრ ტალღებსაც რუდუნებით,
მადლობა გადაუხდია.

* * *

დედა არის შვილის მონა,
შვილი კიდე დედის გული,
როცა დედა გვერდითაგყავს,
ხელს ვერ გახლებს თვით ურჩხული.

დედის სითბო დედის ხვევნა,
სანატრელი რამ არი,
ასე თბილი ქვეყანაზე,
არაფერი არ არი.

რაც არ უნდა დედამ გითხრას,
სიტყვა თუნდაც უხეში,
ღვთისმშობელო არ მოაკლო,
შვილსა დედის ნუგეში.

* * *

მივდივარ მთაში თოვლში ავდარში,
მყინვარის სუსხი ცრემლსა მგვრის თვალში,
გამახსენდება სახლში ბუხარში,
შეფიცხებული მჭადი ნაცარში.

მივყვები ბილიკს ნელ_ნელა კვალში,
ვერაფერს ვხედავ ღამის წყვდიადში,
გამახსენდება თბილი ლოგინი,
და ჟრუანტელი დამივლის ტანში.

რომ დამეძინოს თან მეშინია,
მე არ აღმოვჩნდე მგელის ხახაში,
თვალებს გავახელ და მეცინება,
ცხადი მეგონა ვიყავ სიზმარში.

* * *

მიიწურა აგვისტოს თვის ცხელი დღეები,
აგვისტოს თვე უმასპინძლებს სექტემბრის მოსვლას,
19 აგვისტოს ფერსაც იცვლის ირგვლივ სამყარო
და სექტემბერი ყვითელ ფოთლებით დაგვიგებს ნოხსაც.

ფერთა გამა გვილამაზებს ირგვლივ ბუნებას,
ჭადრის ფოთლები ფოთოლცვენას ვერ ეგუება,
მობერილ ქარის ეშინია და ემდურება,
ყუნწიც ვერ უძლებს ფოთლის სიმძიმეს და მობერებას.

ხე მისტირის ფოთოლ ცვენას,
განა კაცს სურს თბების სცვენა
წუთისოფლის წუთიც დგება,
ორთავე რომ წაიქცევა.

მაგრამ ამით არ მთავრდება,
ღმერთის ჰქმნილი ეს სამყარო,
გაგრძელდება ფოთოლცვენა,
ირაკრაკებს წმინდა წყარო.

* * *

ყველა მოვათავე საქმე,
სიცოცხლეს წუთებით ვზომავ
მინდა უბანში მარტოდ,
დუქანში მოწყენით ჯდომა.

და ჭიქა ღვინისთან ერთად,
იმათზე ფიქრი და გლოვა,
ვინც უკვე ჩაბარდა ლეთას
და ჩვენთან არასდროს მოვა.

მათი სულები ზეცას,
მოჰფენს სითბოს და ალერსს,
ხოლო სხეული მიწას,
ფოსფორს და მინერალებს.

წავალთ ტაძარში ერთად,
დავანთებთ თაფლის სანთელს,
შევსთხოვთ იესოს უფალს,
ღმერთო შენ გაანათლე.

* * *

შენ ხარ მრავლების და სიყვარულის ჩემი ქალღმერთი,
ჩემი მეორე ნახევარი ხარ და ჩვენ ვართ ერთ,
ჩემი ოჯახის აპოთეოზო, ლა მაჟორი ხარ ჩემი სიცოცხლის,
ტოგა მოსხმული მისტერია ხარ, სახიზარი ხარ, ჩემი სხეულის!

თავდავიწყებით შემიყვარდი, დაგნამე ცრემლით,
ირგვლივ სამყარო გაგიფერადე, გვირილას ფერით,
შუბლზე გაკოცე და ჩაგჩურჩულე ყურში ფერებით,
მარადისობას მე შეგხვდები, ვაზის ლერწებით!

* * *

ვერ ვეგუები სიბერეს, ჩემს თავს, რომ ვხედავ არჯალს,
ვცხოვრობდი ოჯახისათვის მიფასდებოდა გარჯას,
შემოვიარე საწუთრო, არ ვპატიობდი ლაჩარს,
მისი ყოველი ქმედება, ქვეყნად აჩენდა ხანძარს.

მე ქართველობით ვამაყობ, ჭირში ვუდგევარ ძმაკაცს,
სამშობლოს სიყვარულისთვის, დღესაც ავისხამ აბჯარს,
მე მტკივა ჩემი სამშობლო, რად იყიდება ქვეყანა,
ნუთუ ფულია მთავარი, სინდისს რომ ჰყიდი მიქარავ.

წინაპრის სულებს რას ეტყვით, სისხლი დაღვარეს წმინდა,
ქართული მიწის გაყიდვით, ფულის აღება ღირდა?
სიცოცხლის წყურვილს მიღვიძებს, ქართული მზე და მიწა,
ნაღვერდალს ავაგიზგიზებ, ჯვარცმულ იესოს ვფიცავ!

* * *

შეიცვალა სამყარო, გაგვიტაცა ფიქრებმა,
ნუთუ ბოლო ჟამია,ღმერთი გვსჯიდეს იქნება,
სიყვარული დავკარგეთ, კაცი კაცის მტერია
დამძიმებულს ცოდვებში ცხვირი გაგვიშავერია.

დედამიწა დამძიმდა, მზე გზას აღარ გვინათებს,
სისხლიანი ხელებით, ვემსგავსებით პილატეს,
დავივიწყეთ წარსული, ღმერთი ჩვენთვის ეწამა,
ვეღარ ვადგენთ აწმყოსა, გავქცევივართ მომავალს.

იოანე ზოსიმე, ნუთუ ტყვილად ეწამა,
ქართულ ასობგერებით ,ჰარმონია ეხატა,
ღმერთი მოწყალეაო, ეს ხომ ბევრჯერ გვსმენია,
დაუჩოქოთ იესოს! მეტი რა დაგვრჩენია.

* * *

მე არ მასვენებს შენი აჩრდილი,
გაკვალულ ღრუბლებს, ვუცქერ შორიდან,
როგორ მომინდა შენთან ალერსი,
შენი ამბორი სიზმრად მოვიდა.

დილით მაღვიძებს მერცხლის ჭიკჭიკი,
მივხვდი ალიონს შევხვდი ლოგინად,
მთელი საღამო სიზმრის ტალღებში,
მე გავატარე შენს მოლოდინად.

დაჰბერა სიომ და მოიტანა შენი სურნელი,
თავბრუდახვეულს მანუგეშოს არ, მსურველი,
მესმის ჩურჩული, შენ არასოდეს, დაჰკარგო სასო,
ჩვენი საწუთრო და სიყვარული, ზღაპარსა ჰგავსო.

შენ ხარ მრავლების და სიყვარულის ჩემი ქალღმერთი,
ჩემი მეორე ნახევარი ხარ და ჩვენ ვართ ერთი,
ჩემი ოჯახის აპოთეოზო, ლა მაჟორი ხარ ჩემი სიცოცხლის,
ტოგა მოსხმული მისტერია ხარ, სახიზარი ხარ, ჩემი სხეულის!

თავდავიწყებით შემიყვარდი, დაგნამე ცრემლით,
ირგვლივ სამყარო გაგიფერადე, გვირილას ფერით,
შუბლზე გაკოცე და ჩაგჩურჩულე ყურში ფერებით,
მარადისობას მე შეგხვდები, ვაზის ლერწებით!

* * *

აბა რა ვთქვა როცა შთანთქა,
ქრისტეს ჯვარცმამ ჰარმონია,
მწუხარებამ დამამძიმა,
ძარღვებშიაც სისხლი გაშრა,

ღამით მთვარე შეიცვალა,
პარასკევ დღეს გვაცვა ძაძა,
შაბათს არა, კვირა დღეს კი,
გავძახოდი ქრისტე აღსდგა.

თამუნა გიორგაძე - იურისტი
დაბადების ადგილი თბილისი

მე მოვდიოდი

მე მოვდიოდი
ანიდან- ჰოეს
დამარხულ ენის
იდუმალ ამბით...

მე მოვდიოდი
ფეხაკრეფით და
თითის წვერებზე
აზიდულ ტანით...

მე მოვდიოდი
ჭეშმარიტების
სიბრძნის მელანში
ნასველებ კალმით...

მე მოვდიოდი
უძველეს გრდემლზე
გამოჭედილი
ნაომარ ხმალით...

მე მოვდიოდი
საკვირველ ძლევით
გამარჯვებული
მებრძოლთა ძალით...

მე მოვდიოდი
წინაპრის ნაგემ
,,აკრძალულ ხილის"
შედეგის მალვით...

მე მოვდიოდი
ცხვრის ტყავში
ოქროდ ჩაკირულ
განძის დაკარგვის მარცხით...

მე მოვდიოდი
ვეფხვის და მოყმის
ნასაზრდოები
დედების კალთით...

მე მოვდიოდი
დაჭრილ არწივის
მუდმივ ბრძოლებით
გაწყვეტილ ქანცით...

მე მოვდიოდი
ტრაგიკულ ბედით,
ღალატით მოკლულ
ილია მართლით...

მე მოვდიოდი
ჩაკლული სულით
და ამავე დროს
ზეციურ განცდით...

მე მოვდიოდი
ფრესკების სიღრმით,
ქვაში ნაკვეთი
ჩუქურთმის ქარგვით...

მე მოვდიოდი
სასახლის ნაცვლად
ტაძრად ნაშენებ
ღვთისმშობლის კვართით...

მე მოვდიოდი
გმირთა ვარამით
ზვარაკ სულთათვის
დანთებულ სანთლით...

მე მოვდიოდი
ქართული გენის
მჩქეფარე სისხლად
ძარღვებში გავლით...

რა გვაკვირვებს?!

რა გვაკვირვებს?!

კრისტალურად სუფთა
სულის ქონა,
არ ამღვრევა
გონებრივი თვალის ...
კლდეებივით მყარი
ნებისყოფა,
არ შერღვევა
მეგობრული ზღვარის...

არ გვაკვირვებს:
სცენარების ქონა,
ოპერეტა კომიკური ჟანრის...
ნევროზული პათოგენის ქონა,
ირონია, არ ქონა საზღვრების...

არ გვაკვირვებს :

მავანთ ზნეთა ქონა ,
არაკეთილხმებად დენა ღვარის...

აღარ გვინდა :

სხვისი ნიღბის ქონა,
აღარც დაცვა უსახოთა ზავის!!!

მთლიანობა

თუკი
ხელში შეგრჩი უცნობ განტოლებად,
მზერა გააპარე თვალთა სიღრმისაკენ...
ფსკერზე ჩალექილი ცვლადის მნიშვნელობა,
ისევ გაპოვნინებს
ბილიკს ტაძრისაკენ...

თუკი
გულში ჩაგრჩი
უცნობ მელოდიად
ნაცნობ გზებით მავალს შინისაკენ,
მაშინ
იგრძნობ რაღაც შენეულს და
ნატიფ სიმებს
გაბმულს სულისაკენ...

დიახ,
ასეთია ეს ცხოვრება :
ორი- სისავსეა,
ერთი-მარტოობა,
ჰოდა,
მუდამ იყოს უფლის ნებით,
ჩვენი მთლიანობის
ფესვთა განშტოება...

სისხამზე ძაღლი ყეფდა

სულში ნაშენებ საყდარს,
სარკმელი შუქს აფენდა...

სიტყვა შეყინულ ბაგეს,
სათქმელი სულ თან სდევდა...

სიმწრით ნაყუჩებ ტკივილს ,
სიჩუმე ხარკს ადებდა...

სიმართლის მოლოდინში,
სიცხადე ვეღარ ძლებდა...

სიფიცხით დამზრალ გულში,
სიმშვიდე აგურს დებდა...

სინდისს ნაძალი გროში,
სირცხვილს ბურუსში ხვევდა...

სიშიშვლე- სინამდვილეს
სამოსად შნოს აცმევდა...

სიბრძნე მოტანილ დროში
სიხარულს სევდა ძლევდა...

სტრიქონი ქსოვდა იმედს,
საათზე ზარი თვლემდა...

სიფხიზლის სიშორეში,
სისხამზე ძაღლი ყეფდა...

*** ის და შენ ***

მიძღვნა ექსპრომტი

,,ის "
ისე გაფრთხობს,როგორც
ელვა, მეხის გავარდნა და
ცასავით გებზარება გულის
კედელი,
რადგან იცი,რომ მოსალოდნელ
წვიმის თქეშებმა,შეიძლება
დაუნისლოს თვალებს ელფერი...

კარგად იცი,
ვერ შეუცვლი გრძნობას
ჰორიზონტს,
ჩამავალ მზის ნათლის ფენას
ზღვის საფარველით
და სული გტკივა
გებჯინება ყელში ბურთივით,რომ
ფიქრთ საზღვარი უნდა ზომო
,,ოქროს საბელით"...

შენ იცი,
წამებს მომავლიდან
დაარქმევ წარსულს
და აზრთა ბმულებს გადაისვრი
ბეწვის ხიდიდან,
რომ აღარ დაგრჩეს ნარჩენიც კი
უტყვი სევდისგან
და ცხოვრება გააგრძელო
სუფთა ფურცლიდან...

ვიბადებით და...

დ--საბამიდან ცხოვრება გვადგამს
 მისიის გვირგვინს
 განგების ხელით,
ა-- რჩევანის თუ არადნის ნებით,
ბ-- ედქუდობით თუ იღბალთა
 კრებით...
ა-- რადა, ყველა,,შესაქმეს" დროის,
 კოსმოგონიდან მოვდივართ
 ფრენით,
 ცოდვის სიმძიმით
დ--ამტვრეულ ფრთებით,
ე--გოცენტრიზმის
ბ--ოროტი ძღვენით ,
ა--რ მიღებული სიკეთის ხელით,
ა--ნდამატური
 კომფორტის ველით,
დ--ატყვევებული სიმართლის ენით,
ა--რ და ვერ ნახედნ
მ--ერანთა რემით,
 განდიდებით და
 სხეულთა გვემით,
ი--ალქნიანი
ა--ფრების რღვევით,
 ძირგამოხვრეტილ
ნ--ავში წყლის პეშვით და
ა--რ შემჩნევით
 სულიერ ხედვის,
 რომ
დ--აბადება
 საწყის -სასრულით ,
 განმსაზღვრელია
 სამყაროს ბედის...

განვაპირობოთ ერთად

გავაკონტროლოთ ფიქრი,
სანამ ითქმება სიტყვად,
თორემ ნათქვამი ხშირად ჩვენი
ზნის ენა ხდება...

გავაკონტროლოთ ქცევა,
სანამ იქცევა ჩვევად ,
თორემ ჩვევები ხშირად
ჩვენს თვისებებად რჩება...

გავიძლიეროთ რწმენა,
გრძნობა გავხადოთ წრფელი,
განვაპირობოთ ერთად
ჩვენი სავალი გზები!!!

ცხოვრება ფიქრთა ხომალდებია

ცხოვრება ფიქრთა ხომალდებია ,
ჟამთა ტალღებში რომ დაცურავენ,
ზრუნვით აწვდიან ძვირფას ტვირთს აწმყოს,
მომავლის კართან ბინავდებიან...

ლექსად ნაფენი ფარდაგები კი
ცხოვრების სცენის მტვერის ფილტრია,
სპექტაკლებს შორის ანტრაქტები და
კულისებს მიღმა ტრიადებია...

ფრთიანი ფრაზა აზრის ბოლოში,
მფეთქავი გულის ფილტვის ღეროა,
ხარბად ნასუნთქი ჟანგბადის ჭავლი,
სიცოცხლის მცველი ატმოსფეროა...

,,არა" ან ,,ჰო"

სულში ჩაღვენთილ სევდას
სანთლად აანთებს სითბო...

სუსხში გაყინულ სიტყვებს,
აამეტყველებს სიტკბო...

არ შეგეშინდეს თუკი ,
დღეს გთავაზობენ სხვის როლს...

ცხოვრება გაძლევს შანსს ,
რომ თქვა- არა ან ჰო...

გული გონებით მართე,
არ გაეტირო წარსულს...

პოზიტიური ხედვით
გაიმარტივებ გზას რთულს!!!

ხელედს

ჯერ კიდევ ირჩენს ბუნება ელფერს,
არ უშინდება თეთრ მთებში ელფებს...
ტყეებიც იხდენს დათოვლილ ეფექტს,
ფოთლებიც ვერ თმობს ხეებს
და
მკვეთრ ფერს...
,,აწოლილს " ნისლი უფარავს ფერდებს,
ღრუბელი ფარავს საჯიხვე ხედებს...
და მეც სხვა ხიბლით აღვიქვამ ხელედს,
ნაწვიმარ ბილიკს,
სველ მიწის ბელტებს,
წყალუხვ ხეობას,
მდინარეს,შხეფებს,
ცხოვრების ფერხულს,
მომავლის სვე-ბედს...

*** წიგნი ***

წარმოსახვის სამყაროში
    გაგიტაცებს,
იის სურნელს გაგრძნობინებს
    მძაფრად...
გულის ფეთქვას გაგიხშირებს
    გრძნობის ალით,
ნიავს ჩუმად მოგიბერავს ნაზად...
ისეთ ამბავს მოგიყვება გაოცდები,
სიცოცხლეში არ გსმენია არსად...
ბედის ბორბალს დააგორებს
რიყის ქვებზე,
ძველ ტკივილებს დაედება
    წამლად...
ნებისმიერ დასმულ კითხვას
    პასუხს გაცემს,
იგავურად მოგიყვება არაკს ...
სავსე ჭიქით მოგაწოდებს
    სიბრძნის წყაროს,
არნახულსაც დაგანახებს ცხადად...

პოეზიის ძალა

აზროვნება როცა მღლის და
ნაფიქრალი ღონეს მაცლის...
განცდილისგან სავსე ჭიქას
დაკვირვებით, ნელა ჩავცლი...

გონება კი ამ დროს ფხიზლობს,
იძიებს და იკვლევს სამხილს ...
ცხოვრებისგან ფერებს ითხოვს,
ქმედებას და პოვნას ახლის...

ჰოდა, მაშინ, გარდაქმნილი,
მეც არ ვიცი, რა როლს ვირგებ,
წარმავალს და გრძნობით აღქმულს,
ქმნილებებით ომს მოვუგებ...

სულით ნაბერს, გულით ნაჯერს,
გონის ძალით ფრთებს მოვარგებ...
მერე ფრთხილად ზეცას ვანდობ,
ღრუბელ-ღრუბელ ვაშრიალებ...

სიტყვის ძალით - გაყრილებსაც
სიყვარულში ვამთლიანებ...
გრძნეულია პოეზია,
არ გეგონოთ - ,,ვაპიარებ"...

*** პოეზია ***

უფლის მადლის მიერ შემოსილო,
სათქმელს შთამბეჭდავად გადმოგვცემ,
საგნებს და მოვლენებს წარმოსახავ,
სიტყვა კაზმული გაქვს, გვაოცებ...

ადამის ფსიქოტიპს ენით არჩევ,
ჟანრის ესთეთიკას იმეცნებ...
სულიერი ზეობის სიმბოლო ხარ,
პოეტს მარადიულ სიცოცხლეს აფიცებ!!!

ხატად ქცეული ეპოსი

(წმინდა დიდმოწამე
ქეთევან დედოფალი)

ქალი,
დედა
და
ბებია,
ქვეყნის სვე-ბედით ტანჯული...
ქეთევან ,სიბრძნის ნაყოფი,
მშვენება გვირგვინ დადგმული...

გაზაფხულს გავდა სურნელით,
ზაფხულს სულიერ სიმწვანით...
შემოდგომას კი სიმწიფით,
ზამთარს სითეთრით წარსულის...

,,დიდების" ხიბლი განაგდო,
ქრისტესთვის ჭეშმარიტ სჯულით ...
ლითონსაც ცრემლი ადინა,
რკინისებრ მტკიცე ,,ზე" გულით...

რწმენისთვის ევნო,ეწამა,
ლოცვით აძრწუნა მტარვალი...
იქცა მშობელად მრავალის,
ერის ხსნად ნააურვალის...

დედოფლის წმინდა ნაწილებს,
საკუთრობს ბევრი ეთნოსი...
სამშობლოსავით ზვარაკის,
ხატად ქცეული ეპოსის...

ნანა ქიბროწაშვილი - პოეტი
ქალაქ ახმეტიდან

მინდა სამშობლოს შევწირო თავი

ვიცი, რომ ერთ დღეს დავტოვებ ქალაქს,
დავტოვებ ლამაზ მთებს და ლელიანს
ვიცი, რომ ერთ დღეს ზეცაში ავალ,
ანგელოზები სადაც მელიან.
ვიცი დავრჩები სულ მარტოდმარტო,
მხოლოდ სიკვდილი გამომდებს ხელკავს
მჯერა, უფალი შემინდობს ცოდვებს
მე - ქურდს, ავაზაკს, მკვლელსა და მეძავს!
არა, არ მინდა ჩუმად გაპარვა,
თუნდაც სატანჯველ ჯოჯოხეთს მოვხვდე!
სიკვდილი მინდა ქვეყნის საზღვართან,
რომ ხუთჯვრიანი დროშის ქვეშ მოვკვდე!
მინდა სამშობლოს შევწირო თავი,
როგორც წესია, როგორც - ადათი.
არა, არ მინდა ჩუმად გაპარვა,
სიკვდილსაც ხომ აქვს თავის ლაზათი.
მე მსურს ისეთი გარდაცვალება,
ლაპარაკობდეს ერი ამაზე,
თუ არჩევანი მომცა უფალმა,
ბრძოლაში მოვკვდე, ქვეყნის საზღვარზე!

ისევ დეკემბერია

ისევ დეკემბერია,
ისევ ყინვა ტრიალებს,
ისევ მართმევს ზამთარი
ძვირფას ადამიანებს.
ვერ დავუთმე ჩემს სულში
ბოროტებას ადგილი,
სიყვარული ძნელია
სიძულვილი - ადვილი.
მიყურებენ ყოველ წამს
ზიზღნარევი თვალები,
მე კი, მზის სხივს მივყვები,
ცისკენ მივექანები.
მტერი მოკეთისაგან
ვეღარ გამირჩევია,
დამიჯერეთ, რომ ეს გზა
მე არ ამირჩევია!
გულში ჭრილობები მაქვს,
ვერ ვიშუშებ იარებს
ღმერთო, რა ცოტას ვხედავ
გვერდით ადამიანებს!

***

იცით, რატომ არ მსურს ვიყო დედა?
იცით, რატიმ არ მსურს მყავდეს შვილი?!...
იმიტომ, რომ ავირიდო სტრესი,
იმიტომ რომ არ მომაკლდეს ძილი.
ახლა ვიცი გამომლანძღავს ხალხი:
'' როგორ ვბედავ დედობაზე უარს!''
ჩემს აზრს ვიღაც გიჟის ბოდვად ჩათვლის,
მედიდურად დამარიგებს ჭკუას.
ხშირად ვხედავ, მეზობელი ქალი,
გზაზე როგორ ელოდება შვილებს,
ნაოჭებში ჩასჭედვია ცრემლი
ისევ კარგავს მათი ნახვის იმედს.
ევას ვნებას მოჰყვა დედის როლი ,
დედის როლს კი უმადური შვილი.
ვერასოდეს ვეგუები ამას ,
ეს არ არის ალბათ, ჩემი სტილი,
ამიტომაც არ მსურს ვიყო დედა ,
ამიტომაც არ მსურს მყავდეს შვილი.

უიმედო მოლოდინი

თითქმის მიილია ღამე,
როგორ ველოდები დილას.
თითით დავახატე გული
ჩემს წინ ჩამოორთქლილ მინას.
რატომ გელოდები ასე,
ან ნეტავ რას მეტყვი ახალს?!
მთვარე უჩვეულოდ სავსე
ალბათ, ვერასოდეს გნახავს.
ნუთუ ალიონზე დილით
ისევ შემთავაზებ თუთას,
შენი ერთი კოცნის გამო
როგორ ვევედრები უფალს.
სწრაფად გაირბინა დრომ და
საათი შესრულდა ორი,
ირგვლივ ბნელი ღამე გაქრა,
ღობეზე შემოჯდა ქორი.
აღარ ელოდება ნახატს.
სარკმლის დაორთქლილი მინა,
ისევ სევდიანი ღამე ,
ისევ უიმედო დილა ...

***

რა უცნაური ხასიათი მაქვს ,
როგორ ვენდობი ყველას მარტივად,
დავუმეგობრდი ათას უღმერთოს ,
რა ჭირად მინდა , ან რა სატკივრად?!
ვერ გავარჩიე კარგი და ცუდი,
მომექცა ბედი ძალზე სასტიკად,
თუ მომატყუა, თუ მიღალატა,
რა ჭირად მინდა , ან რა სატკივრად?!
ვუმზერ მომავალს იმედის თვალით,
აღარ გავიხდი ჩემს თავს სატირლად,
ორპირ მეგობარს ვაქციე ზურგი,
რა ჭირად მინდა , ან რა სატკივრად?!

მომენატრა ჩემი ტკბილი ბავშვობა

მომენატრა ჩემი ტკბილი ბავშვობა,
თეთრი თოვლი, ჯადოსნური ზამთარი.
ბუხრის პირას ჩამომჯდარი ბებია,
პაპის ტკბილად ნაამბობი ზღაპარი .
მომენატრა ძველი სახლის სურნელი,
დილით ფიჩხის ტკაცუნის ხმა თონიდან;
გრძელ ორომზე ცხელი შოთის პურები,
მწვადის სუნით გაბრუება შორიდან.
ყინვისაგან დამძრალ კარალიოკზე
შემომჯდარი მობუზული ბეღურა,
სასაცილო თეთრი თოვლის ბაბუა,
თავზე ქუდად ქოთანი რომ ეხურა
მენატრება საახალწლო ნაზუქი
და თონეში დაბრაწული ბასილა;
მწიფე ზღმარტლით დატენილი მუჭები
ზამთრის ჩაი, კუნელი და ასკილა.
კორდზე თეთრი ენძელები თოვლის ქვეშ,
გაზაფხულის მაცნე, მახარობელი.
გუთნის დედის ოროველა ხნულებში,
გადმოღვრილი, როგორც საგალობელი.
მოდიოდა შემოდგომა მზის ფერი,
მერე ისევ, კვლავ ზამთარი დგებოდა.
ვუყურებდი სიყმაწვილის დღეები,
როგორ ნელა, ნაზად ფერმკრთალდებოდა.
ზამთარს გაჰყვა ჩემი ტკბილი ბავშვობა,
გულში მუდამ ცოცხლობს პაპა-ბებია,
დაილოცოს ის ლამაზი დღეები!
ღმერთო, როგორ ძლიერ მომნატრებია!

ვუძღვნი ჩემს დეიდას

(ნინო როსტომაშვილს)

მოსაწყენ ცხოვრებას დეიდა მიადვილებს,
სიყვარულით სავსე კეთილი გული აქვს.
რა ზუსტად უთქვია გონიერ წინაპარს,
რომ თურმე - ''დეიდას დედიკოს სუნი აქვს''
აღარ მეშინია, მივდივარ ამაყად,
ის მე არასოდეს გამარჩევს შვილისგან.
ზრუნავს და ლოცულობს ჩემს წარმატებებზე.
გზას ისე მიჩვენებს მგონია თილისმა.
მსურს, რომ არასოდეს დამთავრდეს ეს გრძნობა,
არ მინდა დარჩენა ანაბრად ბედისა,
მინდა დიდხანს ვიგრძნო მე ჩემ დეიდასთან
უმშვენიერესი სურნელი დედისა.

***

დედა, სახლში მოვედი!
ვაკაკუნებ კარებზე...
მინდა კარი გამიღო ,
მოგეხვიო მკლავებზე.
არაფერი არ მეცნო,
ჩემს საკუთარ ბუდეში,
არსაიდან იმედი...
არსაიდან ნუგეში...
ღმერთმა მიცვალებული
ყველა დედა აცხონოს;
აბა ის რა სახლია,
სადაც დედა არ ცხოვრობს.

დედის მონატრება

მისდევდა აღმართს ლამაზი ქალი,
თითქოს ის ადრეც ნანახი მყავდა.
ვეღარ მოვწყვიტე დალოცვილს თვალი,
ღმერთო! დედაჩემს რა ძლიერ ჰგავდა.
რაღაც მინდოდა რომ მეთქვა მისთვის,
ქალი კი სწრაფი ნაბიჯით გამცდა.
ვიბრძოდი, მაგრამ ვისთვის ან რისთვის?!
რა უცნაური იყო ეს განცდა.
დაფიქრებული ვუმზერდი დიდხანს,
ფიქრში დაქროდნენ სევდის ქარები.
 მენატრებოდა უზომოდ დედა
და მევსებოდა ცრემლით თვალები;
ვეღარ ვუძლებდი ამ მონატრებას,
ველოდებოდი სარკმელთან ლანდებს,
აღმართზე თეთრი ზამთარი იდგა
და თებერვალი მაყრიდა ფანტელს.

***

ქადრის ჩრდილში ჩამომჯდარა ბებია,
ჯოხს დაყრდნობილს ტკბილად ჩასძინებია.
არვინ იცის, თუ რა დარდი აწუხებს,
როგორ უძლებს წუთისოფლის მარწუხებს.
შვილებს ელის, დაეღალა თვალები,
ამ ლოდინში მიილია წამები.
სიზმარს ხედავს, ეღიმება მძინარეს,
ძილში ალბათ მიუყვება მდინარეს...
წყლის ნაპირთან ელოდება სწორფერი,
 მშვენიერი გარეგნობის ლომფერი.
ვხედავ, მოხუცს გაღვიძება არ უნდა,
თითქოს ირგვლივ ყველაფერი დადუმდა...
მარტოსული, სევდიანი ბებია.
მხოლოდ ბებერ ქადარს შეჰყვარებია.

ექიმებს

რომ ვიბადებით, სულ პირველად ექიმებს ვხედავთ,
სიკვდილის წინაც, ექიმების გვიჭირავს ხელი.
მოდარაჯენო სიცოცხლისა, დაგლოცოთ ღმერთმა!
ხალხს არასოდეს დაეკარგოს იმედი თქვენი!



ბესო ფშაველაშვილი - მხატვარი
დაბადების ადგილი ახმეტა ქისტაური

***

როგორ გაქრა სიყმაწვილე, სანატრელი,
სულ ორ დღეში გამიფრინდა თითქოს
და ბავშვობის ოცნებები, ასახდენი,
ძველი გულის დაბრუნებას ითხოვს.

სად წავიდა, დამიბრუნეთ, დამიბრუნეთ,
იმ დღეების სიშმაგე და ეშხი!
ჰე, მაისო, ძველებურად რად არ მათრობს
არ მაბრუებს შენი თბილი თქეში?!

ეს თვრამეტი გაზაფხული მამყოფინა
და გაფრინდა შროშანის თეთრ ფრთებით,
და დავეცი ლამის, როგორც ამასწინათ
წვევამდელ ძმის მოხოტრილი თმები.

გულო, ალბათ ბევრ გზასა ხარ მოსარგები,
გაითენებ მრავალ ნათელ აისს,
მაგრამ ვიცი, მათრობელა შროშანები,
ყოველ მაისს ცრემლებს მოგგვრის მაინც

ყოჩივარდობას

ყოჩივარდას ფრთახატულა ფოთოლი
სიჭაბუკის ცეცხლით თუ ვერ ამანთებს
და მშობელი მიწის სუნისმთოველი,
გაზაფხული, ცად თუ ვეღარ ამანთებს,

მეტი აღარ მინდა ღმერთო, წარიღე,
ულმობელი თუა ყოფა, უგულო,
ნუ იმღერებ, ნუ იმღერებ ყალბი ხმით,
სიმღერა თუ არ გსურს სულის ბულბულო!

ანდა, გულო, რაღა გვრჩება სათქმელი,
სიყვარულმაც თუ დაკარგა ელფერი,
მიგვიხურა თუკი გრძნობამ სარკმელი,
სატრფოს ბაგეს ეშხით თუ ვერ ემთხვევი!..

ნუთუ მართლა ოცნებამაც დამტოვა,
მე ხომ ქვეყნად კვლავ სიკეთეს ვარიგებ?!..
და თუ ბედმა მაინც სუსხით დამთოვა,
მეტი აღარ მინდა, ღმერთო, წარიღე!

მოდი

პატარძლებად შეიმოსნენ თეთრი აკაციები,
ეფინება არე-მარეს უნაზესი სურნელი,
ყვავილებში მელანდება შენი მწყზარი იერი,
მოდი, ეგებ გამინელო სევდა განუკურნელი.

მოდი, მოდი, მომენატრა შენი ნაზი ღიმილი-
შენს მაგივრად აკაციის ყვავილს ვეჩურჩულები,
მოდი, სხვა ვის გავაგონო ჩემი სულის კივილი,
მოდი, თორემ გაქცეულან ყრმობის ნაკადულები!

ერთი ცეცხლით დადაგულან ჩვენი წრფელი გულები,
სიკეთის მზით ანთებულან, მაგრამ მაინც ვევნებით,
გაფრენილან ჩვენი ბაღის ერთგული ბულბულები,
რა ვქნათ, თუკი მათ სიყვარულს ვეღარ ავედევნებით?!

მოდი, სანამ შებღალულა აკაციის სითეთრე,
მოგვადგება შემოდგომა მატყუარა ფერებით
და ზამთარიც ნატვრის ჭრელ ხეს უცებ ჩამოგვითეთრებ
მოდი, თორემ მერე უკვე ვეღარ მოგეფერები!

ვერ მოვიშორე ავი ზმანება

რატომ ,არ ვიცი,ისევ განვიცდი
უკვე გარდასულ დღეთა წამებას.
ვერ მოვესწრები,ამაოდ ვიცდი,
მოგონებათა გარდაცვალებას.
გულს მითოშავს და სული კვლავ იწვის,
ვერ მოვიშორე ავი ზმანება,
ყელი მაღალი,მკვეთრი ლავიწი,
ჩემი დემონი ცისფერთვალება.
იქნებ მასწავლოთ,იქნებ სხვამ იცის,
ვით დავასრულო ჩემი წამება?!
თორემ დრო მიდის,დრო არ დამიცდის,
მოასწროს სულმა ფერისცვალება.

გული მაინც დაიღვრება ჰანგებად

ვერ ავყევი სხვისა დაკრულ ნაღარას,
ვერ მოვარგე წუთისოფელს სადავე,
ვერ ვუშველე შემოჩენილ ჭაღარას,
გულო, შენ კი მიერთგულებ სადამდე?

ვერ მოვასწარ ერთი განავარდებაც,
მოვიხედე, თურმე უკვე ვბერდები,
ჭკნობა იწყეს ჩემი ბაღის ვარდებმა,
მე კი ისევ ღობე-ყორეს ვედები.

რა ვქნა, მაინც ვერ ავყვები სხვა ამქარს,
დე, სხვამ უწყოს ჩემს ბაიათს ბანები!
მირჩევია მთელი ქვეყნის ჩინს და ლარს
დანამღერი ხმაშუშპარა ქალების!

გული მაინც დაიღვრება ჰანგებად,
მოვრწყავ ვარდებს, ისევ გავახალისებ,
სანამ თქვენი სიყვარული დამყვება,
ვიყვავილებ კიდევ მრავალ მაისებს!

ისევე თქვენ, ჯადოსნური ბგერებით
გადამრიეთ, სოფიკო თუ მარინე,
გამაქროლეთ კვლავაც ,,ლურჯა ცხენებით,“
წუთისოფლის ლელო გამატანინეთ!

ოცნება

აპრილს ენთება ცეცხლი ატმების,
ია-იების სუნი დამათრობს,
შემოფრინდები პეპელას ფრთებით
და აფროდიტეს ღიმილს დამათოვ.

მოგეძალება ხიბლი ღვთიური,
დაემსგავსები ფერთა ფერიას,
გაგიცისკროვნებს მზე მშობლიური
ნეტარ დალალებს, მხრებს რომ გფენია.

ფოლორცი სიო ჩაგიჩურჩულებს
ჩემს დანაბარებს, გზნებას ვნებიანს,
ყვავილს მოვწყვეტავ ღიმით, ჩუმჩუმით,
ღაწვზე ვარდები აენთებიან.

და დაიმორცხვებ, ო, რა რიგ ტურფად,
მაგრამ უსიტყვოდ წამყვები ჩემსას,
შემოიფრქვევი აპრილის შუქად,
გაახალისებ ჩემს ფუძე-ჭერსა.

ფიალით შევსვამ შენს სადღეგრძელოს,
ვახსენებ ზეცას და შემოქმედსა,
ტიკი ნუნუით შესარიგებლად
მამას და ბიძას გავგზავნი თქვენსა!

მზეო

როგორ იქნება, ღვთისმადლცხებულო,
ლალ-ალმასებით ამომავალო,
ყოველ განთიადს, ხელაპყრობილმა,
ადამიანმა, კაცად ხმობილმა,
უფალს დიდება არ შევღაღადო,
შენ შემხედვარემ, მზეო, მაღალო,
ყველა სიკეთის აღმოსავალო!..
დიდხანს გაგრძელდეს ბედნიერება
ღვთიურ მშვენების ცქერის და ტკბობის,
-რაა სიკვდილი, რომ არა სევდა,
დიდებულების შენის დათმობის!

ჩემს სადიხას

ნათელი თვალთა ცუც ფერს ედრება,
სხივი ტრფიალის მზეს დაჰკარგვია,
მეწამულ ვარდებს ცეცხლი ედებათ
და ველურ ვნებად ტუჩს დაჰქარგვიან.

უხვად გიკმევენ გუნდრუკს ავქალას,
ეჭვმა ქვეყანას გადამამტერა,
შენც სიამაყით ნაბავ მაგ თვალებს
და მოირხევი, ვით ძუ პანტერა.

დახვალ და აბნევ გრძნობას ულევად
უგულოდ სძარცვავ ტრფობის საგანძურს,
წლები დაუვლის თვალებს ხნულებად,
გამოგაფხიზლებს ფუჭად დახარჯულს.

მაგრამ, რაღა დროს, კარგო, რაღა დროს-|
რაღაც გამცნობს, რომ უკვე მთავრდები,
ამაოების ციდან დაგათოვს,
დაგაჭკნებიან ტუჩზე ვარდები!..

და გამწარდები!..ავი სიმართლე,
ვიცი, რომ გივლის სულში სამსალად,
მაგრამ, შეუდექ უკვე, მიმართე
წუთისოფელის მწარე დასავალს!

გული გატკინე - ეს ვინ ვყოფილვარ
შენი ვარდების ავი მებაღე?!
მოდი, მოფრინდი და გავყუჩდები,
თუ ჯადოსნური ბაგე შემახე!

მოდი, მომნუსხე, მხოლოდ მე მქმენი
შენი ცოდვების თანაზიარი,
ჩვენ ორნი, ერთად, ჩვენი ტრფიალით
ბნელ ჯოჯოხეთსაც გავამზიანებთ!

... მაგრამ, ო, ვარდებს რა დამართნიათ?!
გახუნებულან შენი ვარდები!..

ვითომ დავბერდი?!

რითმა-რითმა,
ფრაზა-ფრაზა,..
გამეთიშა ყველა ფაზა,
მუზაც ისე გამენაზა,
ვწერე,ვწერე არზა-არზა
და მაინც არ დამებაზრა!
სხვა ხმაზე ვერ ავმღერდი!
მოვიარე,გავაშტერე
სამუზეთის ცხრავე მაზრა:
ვწერე,ვფერე,დავამღერე,
შევაწუხე ყველა გზა-გზა-

მოგიძველდა ყალამიო,
უნდა დადო,რამე, ,,თაზა":
ქალი მხეცად,კაცი ნაზად,
ყვავილებით ჯოჯოხეთი
და სკორეთი სავსე ვაზა.
ანგელოსთა კდემამ თურმე
ტარტაროსი გააბრაზა!..
ამობრუნდა სამყაროვო,
არ მოგსვლია ნუთუ აზრად?!
აქამდე თუ ვერ მიმხვდარხარ,
ესეიგი,ტვინი დაზრა!
ესეიგი დავბერდი?!

ბავშვობის დანაშაული

დღესაც ბავშვური ანცობის
ბევრი ტკივილი დამაქვს,
შეცოდებათგან დავარქმევ ერთს
ზურიაანთ თამარს:

ყველა ეძახდა ყიამყრალს,
კეწაკს, ავსა და აშარს,
გვაკრთობდა, თვალს თუ მოვკრავდით
მის გახუნებულ თავშალს.

ბედსმომდურავი გვბურღავდა
ჭროღა თვალების მზერით,
ტანს არ ვიყრიდი, მეგონა,
მისი კრულვით და წყევით.

და ერთი-ორჯერ უზრდელად
შევეპასუხე ბრიყვი,
თუმც ყურისძირში მამისგან
ხურდაც მივიღე ვიტყვი...

მიწური ჰქონდა თამარას,
ჰგავდა იაზმანაკმევს,
ზამთარს და ზაფხულს ნაირფრად
ბალბა ყვაოდა სარკმელს.

ბაღში - ზაფრანის სურნელი,
ბოსტანში - გოგრის ტევრი.
დერეფნის წინ ჩაგდებული
საშთამომავლო ქვევრი...

მაგრამ რა შთამომავლობა?!
ვახ, ბედის ჯარის ტრიალს:
ქორწილის მეორე დილას,
ომს მოუსწრია, ტიალს!..

და იმ დილიდან ელოდა,
ულვაშშეღერილ ნეფეს...
ვინ იცის, როგორ უძლებდა,
გაჭირვებას თუ ვნებეს?!

გვიან შევიგნე ყოველი...
ბავშვი ვიყავი ჯერ კიდევ
და ჩემი დანაშაული
როგორღაც გამოვისყიდე:

არ უნიშნავდნენ პენსიას,
არვინ უწყოდა, რაზე...
დავწერე მისი ამბავი
და გავუგზავნე გაზეთს...

მისცეს პენსია ასაკის
და ჯარისკაცის ქვრივის
და უნებლიედ შევიქმენ,
მისთვის პატარა გმირი.

მე მაინც დღემდე მაწუხებს,
ის დამნაშავე ბავშვი
და არ მშორდება სახება,
იმ გაცრეცილი თავშლით!

* * *

დედა წავიდა, გამიფრინდა მაქმანის ფრთებით -
ღონემიხდილი, კაფანდარა, უმწეო ჩიტი...
შემკრთალ სულს, ვიცი, უსალბუნებს ქერუბიმთ ხმები
და დაამშვიდებს ნატანჯ სახეს ღვთიური რიდით.
- ახლა რა ვქნაო? - მთელ წელიწადს უხმომ, უგონომ
ხმა ამოიღო, როს შეიგრძნო სიცხადე ჟამის,
შიშით შემხედა, მომიჭირა ხელი უღონო,
განმაცდევინა საუკუნო ტკივილი წამის ...
და ატიტინდა ჩემს მაგივრად პატარა ბესო,
ბევრი ვეფერე დამჭკნარ ღაწვებს შერჩენილ ხალზე ...
- ჰო, ჰოოვო, გენაცვალდე, კარგია ესო -
სასომიხდილი კვერს მიკრავდა ყოველ სიტყვაზე ...
და როგორც უწინ, პაწაწინას, ხალზე ფერებით
ჩამძინებოდა ნეტარი ძილით ...
გაპარულიყო გონსმოსული, მონაფერები,
ჩემი დედილო რიჟრაჟზე დილის...
წავიდა დედა, დამიტოვა ხურჯინი სევდის,
პირთამდე სავსე ტკივილით და სინანულებით,
ბოლომდე ზიდა უბედური ქალის სვე-ხვედრი,
არავითარი საყვედურები!..
გეჩურჩულები...
შუაღამე მამცნეს მამლებმა,
რიყის გადაღმა ყეფენ ტურები,
შორს, კავკასიონს დაუარა ციებამ ელვის
და ამ მისტიურ გარემოში ვზივარ და გელი...
ეს შენს სულს მოჰყვა ყვავილების სურნელი ნედლი...
გესალბუნა აღვლენილი ცად ფსალმუნები?..
- ნატკენი სული დაუამე, უფალო, გვედრი!

ვერიკო პარწიკანაშვილი - მათემათიკოსი
დაბადების ადგილი თელავი

,,სინანული”

ხანდახან,გვინდა თუ არ გვინდა,
დარდები გვეძებენ ფარული,
ხანდახან,გვინდა თუ არ გვინდა,
ცრემლები გვახრჩობენ მალული.

ხანდახან, გვინდა თუ არ გვინდა,
სიმღერას ვცდილობთ და ვერ ვმღერით,
ხანდახან თავდაუზოგავად
ვიბრძვით და მომაკვდავს ვერ ვშველით!

და ასე, ილევა ცხოვრება, ლოდინში,
შუღლსა და კამათში,
ჩვენც ასე, ჩვენდაუნებურად,
ვერთვებით ცხოვრების თამაშში!

შემძვრალნი საკუთარ ნაჭუჭში,
ვცხოვრობთ ლოკოკინას ცხოვრებით
და ნიღაბს იმდენად ვეჩვევით,
ერთხელაც, ყველაფერს მოვრჩებით!

და ასე, გვინდა თუ არ გვინდა,
ცხოვრების როლების თამაშით,
ურთიერთობების მაგივრად,
დრო გაგვყავს უაზრო კამათში.

წლები კი, ერთმანეთს მისდევენ,
ნატვრის ხეს ფოთლები ეცლება,
დრო გვითვლის დღეებს და ღამეებს,
მერე ყველაფერი გვბეზრდება!

ნიღაბს, თვითონ ვიხსნით სახიდან,
ვხვდებით, რომ ჩვენ ვეღარ ვფერადობთ
და ვნანობთ, დრო სიყვარულისთვის,
რომ ვერ გამოვნახეთ ვერასდროს!

მინდა ისევ...

შენს თვალებში ჩაგუბებულ სევდას,
მინდა თბილი, შევაშველო ხელი,
მინდა ისევ, შენი სუნთქვა მწვავდეს,
ჰოდა,ამ გულს ვეღარაფერს ვშველი!

მინდა გახსნა დარდიანი შუბლი,
გაიღიმო ისე, როგორც ოდეს,
მე გელოდე გვირილებით ხელში,
შენს თვალებში გაზაფხული თრთოდეს!

მზის სხივები დაგირბოდნენ თმებში,
ენძელებად გიყვაოდეს ბაგე, ღმერთს ათასჯერ,
მუხლ-მოდრეკით ვმადლობ,
რადგან, მხოლოდ ჩემთვის დაიბადე!

აყვავებულ პალიტრით და ფუნჯით,
მინდა მხოლოდ, ეგ თვალები ვხატო,
მოვდიოდი, რომ მელოცა შენთვის,
ჩემო მზევ და სალოცავო ხატო!

მოყვავილე, ატმის ხე ხარ ჩემში,
ვარდის ჩრდილში ბულბულების მღერა,
შენს თვალებში ჩაგუბებულ სევდას,
მინდა თბილი, შევაშველო მზერა!

სიყვარული უსათუოდ მოვა!

მათრობელა სურნელი აქვს შენს თმებს,
მთის ფერდობებს შეეყარათ თოვა,
სიყვარული შორს არ არის თურმე,
თავის დროზე, უსათუოდ მოვა!

კვირტებს ისევ აიფეთქებს ჯიბრით,
სახადივით შეგვეყრება მარტი,
მოლოდინით ქანც-გალეულ მიწას,
ჯერაც თბილი ოხშივარი ასდის!

გული ფიქრებს უცნაურად ხლართავს,
ეხეთქება, ვით ნაპირი კედლებს,
არავისი არაფერი მართებს,
მხოლოდ სითბოს და სიყვარულს ეძებს!

ბროწეულის-ყვავილისფერ ზეცას,
მარტოობის ქარიშხალი უტევს,
შენ კი გულში, უკანონოდ ისევ
დაიკავე თითქმის, ყველა კუთხე!

ყოჩივარდებს, გაუშლიათ კარტი,
მთის ფერდობებს შეეყარათ თოვა,
გული, ისე უჩვეულოდ მღერის,
სიყვარული უსათუოდ მოვა!

***

ზამთრის დღეები ნელ-ნელა იწვის,
ფიფქები-გვიანს, ცეკვავენ ტანგოს,
იმშობიარეს ნისლებმა მთვარე,
შენს-ტუჩებს-გემო აქვს, მწიფე-მანგოს!

და ცივი ზამთრის, ანთებულ თვალებს,
ჩუმად ეყრება ცრემლი--ზვიადი,
როცა წახვედი, მაშინაც დუმდი,
ჩემშიც ამიტომ გაიშვიათდი!

***

წამი, ლოდინია-წამების,
წუთებით ივსება საწუთრო,
დღენი-უდღეურნი მაწვალებს,
კვირებს, კვირა-ძალებს რა ვუყო!

საათის ისრები სათუთად,
დროს ჩუმად, თითებზე ითვლიან,
მიდიან წუთები უშენოდ,
მიდიან, მიდიან, მიდიან!

თვეები, ერთმანეთს მისდევენ,
წლები-მეწლეული მაშინებს,
დღე-ღამე, ერთმანეთს ეყრება
და წუთებს გვიტოვებს საშინელს!

ცხოვრების წლები თუ დავთვალე,
დავყავი წუთებად, წამებად,
არ გინდა, ნუ მეტყვი საყვედურს,,
მე, ესეც მეყოფა წამებად!

წამი-ლოდინია-წამების,
წუთობით-ივსება-საწუთრო,
რა ვუყო, ამდენ ყალბ ღიმილებს,
ან დღეებს-უშენოს რა ვუყო!

,,მამა-დავითს"

ჩემი ბავშვობის მონატრება, ,, მამა დავითი",
ჩემი წარსულის მოგონებებს, თბილად რომ უვლის,
მისი ლამაზი კალთები და გადმოსახედი,
საჩუქარია, წყალობაა ნამდვილად უფლის!

საოცარია მის კედლებთან ლოცვა და წირვა,
სასწაულია მისი ეზო, ბებერ-ხეებით
და შემოდგომის, მილეული ნამგალა მთვარით,
განათებული, ძველთა-ძველი სიწმინდეები!

მზის ამოსვლისას, აალდება ძველი გუმბათი,
წყობით მიითვლის-სილამაზეს, წარსულ-დღეების
და ეს საყდარი, რელიქვია, ჩემი ბავშვობის,
ისევ დაგვლოცავსკურთხეული ზედაშეებით!

აქ ლოცვა, ვფიცავ, მირონ-ცხების არის ტოლფასი,
აქ, წმინდა ქვევრებს,ხავსის-ფერი სევდა ედება
და სადღეგრძელოდ აწეული თიხის თასიდან,
სულის სიწმინდე, ლოცვასავით გადმომედება!

ჩემი ბავშვობის მოგონებად რეკენ ზარები,
დგას ლოცვასავით, შემართული სუფთა ხელებით
და სალოცავი, ,, მამა-დავითს" რომ ეძახიან,
სიამაყეა აკურის და აკურელების!

***

დრო, არასდროს ებევრებათ არწივებს,
ცას შეხედე, გაწვიმებას აპირებს,
ვეღარ ათბობს მზე, გაყინულ ნაპირებს,
ვერც ბილიკებს, მთვლემარეს და ნაწვიმებს!

დრო, არავის ეკითხება არაფერს,
ის არ ინდობს, არც შვილს და არც ნაშვილებს,
წუთისოფლის უსასყიდლო ბილეთებს,
ქარი ისევ, უხმოდ ჩამოარიგებს!

ანაბელ!

მინდა, რომ სიმღერა გიმღერო,
თან მიკვირს, გიბედავ ან ამდენს,
მე-შენთვის, ისევე მოვკვდები,
ისე, როგორც უწინ, ანაბელ!

ოცნებამ, კარი თუ ჩარაზა,
მზის სხივი, ცრემლებს თუ აგასხლეტს,
ოცნებებს, ნამდვილს თუ დაარქმევ,
იცოდე, შეცდები ანაბელ!

გზას, ხელის ცეცებით მივყვები,
ბილიკებს დავეძებ ასაფრენს,
ჩემი გულიდან თუ გაფრინდი,
ვეღარ დაბრუნდები, ანაბელ!

ზარის ხმა რომ გესმის ტაძრიდან,
მეუფე, იქ ლოცვას აღავლენს,
ეს ლოცვა, ორივეს გვეყოფა,
ოღონდ, ჩემთან დარჩი ანაბელ!

ვაგლახ! ეს ცხოვრება ოხერი,
მისგან, აღარ ველი არაფერს,
მეგონა, ფრთებს გამომასხამდა,
მან კი, ფრთები შემჭრა ანაბელ!

ცხოვრებას თვალს თუ მოუხუჭავ,
წაგაქცევს, გაგთელავს, დაგარბევს,
დაბრუნდი, მოვკვდები უშენოდ,
როგორ მენატრები ანაბელ!

***

ძვირფასო, მე ვიცი ლამაზი ადგილი,
წამოდი, წაგიყვან აგავსებ კოცნებით,
გზის პირებს ამშვენებს წითელი ყაყაჩო,
უბეებს აგივსებ ახდენილ ოცნებით!

ვიცი, ეგ ადგილი, წამოდი, წავიდეთ,
იქ, სადაც სიყვარულს დაუდგეს ძეგლები,
დროს ვერ შევაჩერებთ, ჩვენ უნდა ვიჩქაროთ,
მომყევი ფეხდა-ფეხ, ნუღარ გავჩერდებით!

წამო, გავერიდოთ ამ ტიალ ცხოვრებას,
ამ ბოროტ თვალებს და ეშმაკის მანქანებს,
წავიდეთ იქ, სადაც ყვავილთა თოვლია,
სადაც ბოროტება, არასდროს ხარხარებს!

წამო, გავერიდოთ ამ ტიალ ცხოვრებას,
ამ ბოროტ თვალებს და ეშმაკის მანქანებს,
წამოდი, იქ ახლა ყვავილთა თოვლია,
იქ, ახლა ნიავი ალუჩებს აქანებს!

* * *

მე ახლა ვხვდები,რატომ მიუძღვნა, ყვარლის მთებს ოდა დიდმა ილიამ,
ვნახე ისინი და მომეჩვენა, ქვეყნის ვალები გადახდილია!
მივხვდი,თუ რატომ უჭირდა მგოსანს, მათი დათმობა,თუნდაც გირაოდ,
რადგან იცოდა, რომ თავად მთებიც, დაღონდებოდნენ უ-ილიაოდ!

,,მუზები"

მუზების ტკივილი გულამდე მიუშვით,
მუზებმა, სხვაგვარი განცდები იციან,
მუზებმა მოჰპარეს ღმერთს, ლექსის ნიმუში,
მუზები დაფრენენ, არასდროს იცდიან!

მერე, იბადება ლექსები პატარა,
რომლებშიც ფერები ჩურჩულით დადიან,
ქვიშიან უდაბნოს მტვერს ყლაპავს პოეტი
თუ, ბაღში ისვენებს, მუდმივი დარდი აქვს!

მუზები-განცდებად, სულში ჩაისახლეთ,
გულებს შემოავლეთ მარმაშად-ფიქრიანს,
პოეტის გრძნობებად აშლილან მუზები,
მუზებმა, სხვაგვარი, ტკივილი იციან!

***

უშენოდ, დედამიწა გაჩერდება,
უშენოდ,მარტოობა დაივანებს,
გული ხმამაღლა ატირდება,
ჩემში_უშენობა გაიხარებს.

გულსაც შეეჩვევა ეჭვის ჭია,
სულის სიღრმეში ახირდება,
უშენოდ, ჭრილობები პირს შეიხსნის
უშენოდ, ღიმილი გაძვირდება!

ტყეში გაზაფხული გაიღვიძებს,
ბორკილ_შეხსნილი აყვირდება
და თვალს-ასხლეტილი ცრემლებივით,
ჩემში-უშენობა ატირდება!

***

რა ხანია ჰაერს ვსუნთქავ სიღნაღის
და მის ნახვას, გული თვითონ ითხოვს,
დასალევად, ,, ნინოს წყარო" მეძახის,
სალოცავად, ნინოს ნეშთი მიხმობს!

ბოდბის ბილიკს, თითქოს
ლანდი მოჰყვება,დაღლილი ჩანს,
მიაშველეს ღვინო, თმებით შეკრულ ჯვარზე
ამოვიცანით, წმინდანი და საოცარი ნინო!

ღვინო მოსვა, ცოტა სული მოითქვა,
ცის გუმბათებს შეჰყინვია ზარი,
ყველას გულში დაავანა უფალი,
ამოავსო სულის ყველა ბზარი!

მოვიდა და არსად აღარ წასულა,
ჩვენთან დარჩა, ჩვენში ჰპოვა შვება
და ცაზე რომ მან სანთელი აგვინთო,
კი არ ქრება, უფრო ძლიერდება!

ახლა ბოდბე, სამოთხეა ნამდვილი
და იქ ლოცვას, გული თვითონ ითხოვს,
განსაბანად, ,, ნინოს წყარო " მეძახის,
სალოცავად, ნინოს ჯვარი მიხმობს!

***

ატმის სურნელი ენატრებათ, ,, ათონს" და ,, რიწას",
იმ სილამაზეს გამოვიხმობ, გულში რომ ვეტრფი,
გადაუარა ცეცხლის ალმა შლეგად და ურცხვად
და დაძაბული ვებრძვი სათქმელს, დღემდე რომ ვერ ვთქვი!

გადაიფრენენ არწივები შავი ზღვის კიდეს,
,, დიოსკურია" თვალს აახელს მშვიდობის მტრედად,
მოეძალებათ ტკივილები მარტოსულ ფიქრებს,
ხიდზე თოლია, მომაკვდავის ასრულებს ცეკვას!

ამ სილამაზეს, სიყვარული ზოლივით გასდევს,
აქ, სულ სხვაგვარად იცრემლება, ზეცა-ადრიან,
აქ, ამზევებულ მიმოზებზე ჯვარს იწერს მარტიდა თოლიები,
ზღვის ტალღებთან ზღვარს გადადიან!

იმ საქართველოს დავუჩოქებ, გულში რომ ცოცხლობს,
იმ სადღეგრძელოს ვეტყვი, ბევრჯერ ენას რომ უთქვამს,
რომ არ დაინდეს, რომ აჩეხეს, გაწირეს ურცხვად,
დენთის სურნელი რომ შემორჩა და მაინც სუნთქავს!

ატმის სურნელი შერჩენიათ აწმყოს და მერმისს,
გადაუფრენენ არწივები ,, ათონს" და ,, რიწას",
სულ არაფერი არ შეცვლილა, მაოცებ ისევ,
მეც, ისევ ისე მიყვარხარ და რაც მწამდა, ის მწამს!

***

ცხოვრება ბუმერანგს მაგონებს,
გროვდება სულების კივილად,
თუკი რამ ვატკინეთ ერთმანეთს,
უკანვე გვიბრუნებს ტკივილად!

შეირგეთ ხანმოკლე სიცოცხლე,
ლოდინი-უსისხლო მკვლელია,
ნუ ჩაუსაფრდებით ტკივილებს,
დაბრუნდით იქ,სადაც გელიან!

ნარი ქიქავა - განათლება უმაღლესი-პედაგოგი
1984 წლის 29 მაისი,
მარტვილის რაიონი, სოფ. ნოჯიხევი

***

მე რომ სიყვარული ვარიგე,
სულ უფასო და ცინცხალი,
უმადურებმა შეჭამეს,
როგორც რესტორნის ხინკალი.

თითქოს მოვალე ვყოფილვარ,
გული კეთილი ვაფრქვიო,
ზოგნი კი იმას ფიქრობენ,
რა დროს, რა ფორმით მათრიონ.

ერთი ლოყისა მიმშვერი,
მეორეც ჩამომანგრიეს,
ასე ვისწავლე ილეთი,
კატა რომ წვრთნიდა ნაშიერს.

მე უსასყიდლოდ გამცემი,
ახლა ვწერ ყველას დაფთარში
და გაზაფხულზე გაცემულს,
უკან ვიბრუნებ ზამთარში.

***

რას გრძნობ ჩემო ციცინე?!
სიყვარულის სიმცირეს...
ბევრს სულიაქვს მდაბიო,
სხვის ვარამზე იცინებს.

სამყარო ხომ წრედია
ბუმერანგის მეთოდით,
გასროლილი ბრუნდება,
მილიონი მეტოქით.

გული არვის არ დასწყდეს
ჩადენილის ჯინაზე,
რაც დათესე მოიმკი,
უღმერთობით მიწაზე.

ნერგი გულით ნარგავი,
იყვავილებს რწმენიდან
მოდი ერთად დავიწყოთ
სიყვარული დღეიდან...

***

ადრე წერდნენ,
მელნით კრთოდნენ,
ასველებდნენ წალამს,
დღესკი კლავიშს ვაწკაპუნებთ,
მშვიდობააქვს კალამს?

ახლა რამის წასაშლელად
ვაწკაპუნებ ,,dellete,,(დელეტს)
აღარ ვიღლი საშლელებით,
ჩვენს დახვეწილ ხელებს.

რითმაც ახლა ისეთია,
ვინღა ვიცავთ ცენზურს,
ისეთს ვირჩევთ თანამგზავრად,
სექს მუშაკებს მეგზურს.

გვიკვირს პატივს არაგვცემენ,
ხელი ხელებს არ ბანს,
ისეთ სიტყვებს გაიგონებ,
უტიფარს და თამამს.

ადრე სული გვევსებოდა,
გვქონდა ჩვენი კრედო,
დღესკი უინტერესოდ ვართ,
რად გამწირე ბედო...

***

მე შენ მიყვარხარ,სულით და ხორცით,
რის ვალენტინი...ვინ იყო ნეტა?
ყოველდღე როცა შვილებით ვხარობთ,
რათ უნდა მტკიცი სიწმინდეს ჩვენსას.

ისევ ვიღებ...ვაწკაპუნებ,
კალამს არა მათგანს,
მუზა ჩემში ბორიალობს,
ჰგავს რაღაცის ნაზავს.

ვბრაზობთ ვბრაზობთ ყველაფერზე,
აღარ მოგვწონს ძველი,
იმიჯიც ხომ ისეთი გვაქვს,
ქარაფშუტა შტერის.

თავშიც ვეღარ გაგვიგია,
რა მოგწონს და რა გვწვავს,
ნეტა რამე გვეშველება?!
რა ვუწამლოთ ნათქვამს.

ერთმა ასე დამამშვიდა,
რა გატირებს რა გკლავს,
მადლობა თქვი ამდენ გიჟში,
არვინ ისვრის აქ ქვას.

დაიმშვიდე ეგ ნერვები.
ეხლა ვსწავლობთ აღქმას,
ხალხიც ნელა იხვეწება,
სად როგორ და რა თქვას.

***

,,აღარაფერი გვაყენებს ტკივილს,
ქვითკირად იქცა...განცდები მიქრა,
ის დღე დაიწვას დედამიწაზე,
როცა სიცოცხლე სიკვდილად იქცა''

სატრფიალო

ვინ ხარ, ჩემი ვინ გიწოდო?!
სულზე უტკბესს დაგარქმევდი,
ღმერთმა ჯილდო დამიწესა,
მწვერვალებზე ქარაფები.

ვინ ხარ, ჩემი რა დაგარქვა?!
მოზიარე ჩემი ბედის,
გულის ალმასს გიწოდებ და
ბრლიანტი ხარ ჩემი ბეჭდის.

ჩემი ბედის განმკარგავი,
ჩემი ლოცვის სანთელი,
ანგელოზად შემოსილი,
კელაპტარი კანდელი.

ვინ ხარ, ჩემი ვინ დაგარქვა,
ტკბილზედ ტკბილი მაჭარი.
დადუღდი და ღვინოდ იქეც,
როგორც მარნის ხვანჭკარი.

ვინ ხარ ჩემი ისევ გკითხავ?!
შენზე რატომ ვირევი,
გინდ გეწყონოს მაინც გეტყვი,
ჩემი ნანადირევი.

***

ირგვლივ სამყარო როცა ფარსია
და მზეც ვერ აღწევს ფანჯრის რაფამდე,
ერთადერთია, ვისაც ვენდობი,
დედმამიშვილი...სულის ღაფვამდე.

***

ვიღაც მარტო იძინებს...
ვიღაც მარტო მზიანობს,
ბედნიერი ოჯახი,
სიხარულით ხმიანობს.

ვიღაც გულში იხუტებს,
სხვის წილ ბედნიერებას,
მერე დარდით მოყვება,
სიყვარულის ყვედრებას.

ვიღაც ტკბილად ასრულებს,
სიცოცხლეში ბერებას,
სხვისი წილი ამბორი,
ვერ მოიტანს შენებას.

კლდეც ინგრევა როდესაც,
ქვა დამრეცად ლაგდება,
არასწორი სამიზნე,
ტკბილად აგიმწარდება.

დაფიქრება არ გვაწყენს,
ნუ ვიქნებით თავნება,
ჩვენი ჩვენად შევირგოთ,
სხვისი სხვისას ბარდება.

***

არ მსურს ვინმეს ფულის ფუთა,
ტკბილად მოსაუბრე მსურდა,
ჩემი სულის სიშიშვლისთვის,
კარგიც ცუდად მომიბრუნდა.

***

იცი. კოცნა არ დავუშვი,
მკაცრად ვიყავ აღზრდილი,
ნაზი ქალი უცებ გავხდი,
ლომი ფაფარაშლილი.

ავიჯაგრე ავიფხორე,
ეს რა როგორ მაკადრე,
ჩამორჩენილ ცხოვრებიდან,
ღაწვი მწარედ დაგკაწრე.

სიყვარული სითბოა და
სულში მინდა ჩაგიძვრე,
ან ასეთი რა გაკადრე,
ან რატომღა მაგიჟებ.

მხოლოდ შენი სითბო მინდა,
გულის წყრომა რად გინდა,
ვნება, შენი საყელო და
ჩემს თვალებში დაბინდდა.

მოდის, მოედინება,
შენგან ჩემი ტრფიალი.
სიყვარულმა დაგახვია,
რეტი, ოხერ ტიალი.

ეშმაკურად გამოგხედავ...
განა კოცნა არმინდა...
მკაცრადა ვარ აღზრდილი და
ჩემს თვალებშიც დაბინდდა.

***

ფანჯრებს ვტოვებ უფალო,
შემოღებულს სარკმელში,
ქრისტეს შობა გვახარე,
ამ უკუნით ღამეში.

სანთელს გინთებ სარკმელთან,
შემოუშვი სინათლე,
მეც ხომ შენი შვილი ვარ,
შობის ღამეს გინატრე.

გინატრე და მინდა რომ
გააღვიძო მახათა,
თორემ ძილში არიან,
მისცემიან საღათას.

სადღაც რწმენაც გაუქრათ,
მტკივა გულის კუნჭული,
მინდა ჩემი ქვეყანა,
რწმენაში ახუნძლული.

რთველივით რომ ჰქონოდეს,
ჩვენს ქვეყანას ბარაქა.
თორემ უკვე მოგვწყინდა,
ვაი ვიშვიშ დარაბა.

სანთელს ვტოვებ უფალო,
კელაპტარი ანთია,
გთხოვ მოგვასწარ ამ ქვეყნად
გაბრწყინებულ განთიადს.

გტკივა?

კი მკერდთან ახლოს,
თითქოს ბზარები გამჩენია,
სულში ნაპრალი სახლობს,
ეხ... ასატანი რამდენია...

რად ბორგავ?
არ მაძინებენ ხმები,
არც სიკეთისკენ მიდის...
ნაფეხურები გზების.

რას მისტირიხარ?
რომ ახალგაზრდად ვჭკნები
ეს უღმერთობა მიჭირს,
ეხ უღმერთობავ... ვკვდები.

***

როცა მე შენ გაგიცანი,
ზამთარს მარტი აბრუებდა,
კვირტი ტოტებს შემომსკდარი,
ყვავი ბულბულს აუმღერდა.

იმ დღის შემდეგ ხარობ გულში,
გაზაფხულად შემოქანდი,
ზამთარს თოვლი აულაგე,
უპირობოდ შემიყვარდი.

აგერ წლები გაგვირბიან,
კვირტი გვექცა ნერგის ბაღად.
და იქ ყვავი ჩემომჯდარი,
ავამღერეთ ისიც ლაღად.

***

ვინატრე და რას ნატრობო...
ჩამიფუშეს ოცნება,
დავწერე და დაჯღაბნაო...
მოუნდაო მგოსნობა.

იმედებით აღვივსე და
იქნებ ხვალე კვდებიო...
ერთი მივხვდი საიმედო
დამრჩა დრო და ბედიო.

გახელილი თვალი ფართოდ,
შიშსა მგვრიდეს დავხუჭო,
გიჟად შერაცხული ვყავართ,
ვფიქრობ ნერვიც ავკუწო.

ხვალინდელზე აკრძალული,
ვდგავარ ობოლ ბავშვივით,
სულში შიში ჩამდგომია,
ევას ნაჭამ ვაშლივით.

სიყვარული გავეცი და
უღმერთობა დამწამეს,
მერე ვდარდობ, სულს ვაკვნესებ
უძილობა მაწამებს.

ეხ გონებავ, გამოფხიზლდი,
ჩამორეკე ზარები,
იქ საუფლოს დახშულია
სიგიჟისთვის კარები.

***

ცაო გიყურებ და ამით ვტკბები,
სულ სხვანაირად გვახურავ თავზე,
სულ სხვანაირად არის ფერადი,
ცრემლად მადნები,ზურმუხტად თვალზე.

სულ სხვანაირად ბობოქრობ ცაში,
სულ სხვანაირად ჭექა-ქუხილობ,
აქაც გეტყობა გენები სავსე,
აქაც ქართულად დარდობ წუხილო.

ხან გადაიკრავ პირქუშად ღრუბლებს,
შეიმოსები ძაძებად თითქოს.
გადმოგვიტყორცნი ზეციდან ელვას,
და დედამიწა ქვემოდან გიხმობს.

ხან კი გადმოღვრი ცხრათვალა სხივებს,
დედამიწაზე ღამეც კელაპტრობ.
თავზე გვახურავს ცა ქუდად თითქოს,
და გალაქტიკა მღერის ,,ჰელადოს,,

***

ო როგორ გტანჯავს გულის სიღრმეში,
აღსარებაში უთქმელი ცოდვა,
ღამის წყვდიადი მილულულ თვალთა,
ძილშიც რომ გაკრთობს სხეულთა ბორგვა.

სუნთქვის სიხშირეს აყვება პულსი,
და უკუნითი მრავალჯერ ითვლის,
დრო რომ დადგება გვიან იქნება,
რაც აქ ვერ გითქვამს, იქ როგორ იტყვი.

მერე კი ნანობ,ნანობ მრავალჯერ.
იქ სადღაც წარსულს იყავი უტყვი,
ან რად დარქვი ლაჩარი უხმო
რისი ღირსი ხარ თუარა ფურთხის.

ბორგავს და ბორგავს, ბოგინებს სული
რიტმულად ფეთქავს ისევე პულსი,
და ვინ რა იცის რა ვერ გაბედე,
სად არის შენში წერტილი სუსტი.

***

ზღვა კოვზით არ გაილევა,
ასე არის ხალხშიც ჭორი.
შენ არ იცი, იმან იცის,
არ მოიშლის ტალახს ღორი.

მიდიოდე შენთვის მარტო,
ჭორი არის უკვე ორი,
გვერდს ახმახი უმშვენებს-ო,
ვერ ნახაო თავის სწორი.

ღელე მშვიდად მირაკრაკებს
უნახია თავის ფონი,
ჭორი წუთში გაიფრქვევა,
ტალღას მოაქვს ლეში-მძორი.

გვიან მივხვდი გამუქება.
არის ჭორის თანამდგომი.
კარგიც ცუდად ეჩვენებათ,
არ მოიშლის ტალახს ღორი.

მთვარისა მაჭარაშვილი
1984 წლის 24 ივნისი, საჩხერე
თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი-
ექიმი ნევროლოგი მეუღლე და 2 შვილი

***

ზოგჯერ, ისეთი უხერხულია ,უბრალოდ სუნთქვაც...
სასოწარკვეთა როცა ჰაერს სიცივით ავსებს,
უადგილოა და ზედმეტი ღიმილი, თუნდაც
თანამგრძნობელი, ჩამომდგარი იმედად კარზე...

იქნებ,მიზეზი სიხარულის გქონდეს ათასი,
ბედნიერებით ცას სწვდებოდე, მადლობდე უფალს,
არ ხარ მართალი, ჩალისაც კი არა გაქვს ფასი,
სხვას ყინვა ზრავდეს, შენ სიმღერით ანთებდე ბუხარს...

ტკბები აისით, ცისქვეშეთში სიცოცხლეს ეტრფი,
გასევდიანებს, როს ჰორიზონტს სცდება მწუხრის მზე...
როგორ მკრთალდება ყველაფერი აქვე, შენს გვერდით,
შვილის სიცოცხლის მავედრებელ დედის წუხილზე!

ვისთვის ლხინია ეს ცხოვრება, ვისთვის-წამება,
იდუმალია კანონები ღმერთის,სრულიად...
თუკი სამშობლო უფსკრულისკენ მიექანება,
განზე გადგომა და დუმილი უხერხულია!

***

ყოფა რომ ერთი დიდი ცირკია,
არაერთს უთქვამს გულისტკივილით...
ამ ცირკში როლებს ხშირად იცვლიან,
ყალბია ცრემლი, ყალბი-ღიმილი...

ზოგი იზომებს სამეფო ნიღაბს,
გამოიცვალა, რადგან სამოსი...
სხვას წამებულის გვირგვინი ხიბლავს,
მავანს მასხრობა უფრო გამოსდის...

არ სჯერდებიან საკუთარ ნომერს,
ტაშიც, რატომღაც,სხვისი იზიდავთ...
გარდასახვის ნიჭს უბადლოდ ფლობენ,
დღეს ამიტია, ხვალ კი-ისიდა...

ხშირად, ცილს სწამებს მზაკვარი მართალს,
ვინაც ჩამოხსნა ერთ დროს ყულფიდან
და ვაი იმას, ვისაც არ დაყვა,
ამგვარი ნიჭი დედის მუცლიდან!

ბრდღვიალებს რამპა, არენა ბრუნავს,
ოვაციების ტალღა, დაფის ხმა...
კუთვნილ დიდებას მიელტვის სრულად,
აღტკინებული დასი არტისტთა...

...წარმოდგენა კი სრულდება ბოლოს,
სქელი ფარდები დაფარავს სცენას
და ერთი წესი მოქმედებს მხოლოდ:
ახალ სპექტაკლში იცვლება ყველა!

***

მისდევს დღეები დღეებს,
ზამთრისფერი და კუშტი...
სამოსგაძარცულ ხეებს
ვდგავარ და ნეკნებს ვუთვლი...

არანაირი რიტმი,
არც სურვილების მწკრივი,
შემომეფანტა ფიქრიც,
ვით გაწყვეტილი მძივი...

ვფურცლავ რუტინას უტყვად,
არაფრისმთქმელი მზერით,
ვცდილობ,შევავსო ყველა
სავალდებულო ველი...

სავალდებულო ღიმილს
ჩამოვარიგებ მრავლად,
არ დავიშურებ დილით
სავალდებულო სალამს...

სავალდებულო საქმე,
სავალდებულო ქცევა...
სავალდებულო სათქმელს
ვამბობ ათასგვარ ფერად...

აღარც ოცნების ნიჭი,
არც ლაჟვარდებში ფრენა...
ვალდებული ვარ,ვიცი,
რომ ვიღელვო და ვღელავ...

***

შენს ნატერფალებს მივუყვები ვიწრო ბილიკზე,
ზოგჯერ, ვარსკვლავიც არ მინათებს ღამეს უმთვაროს,
როს საკუთარ თავს თვითონაც კი გადავივიწყებ,
ხელს მაშველებ და მეგზურობას მიწევ, უფალო!

სამშვინველს მივსებ დაკარგული იმედით, რწმენით,
ცხოვრება, თითქოს, ათასფერად ათინათდება,
გზას გავაგრძელებ ფენიქსივით აღმდგარი ფერფლით
და ყოფით გართულს სული ისევ დამენაცრება..

მიხმობ, მეძახი, ბოლო არ აქვს ამ თმენას, ლოდინს,
მე კი, უღირსმა, საკმარისად ვერც კი გიწამე,
სიზიფესავით უტყვად ვზიდე ვეება ლოდი
და შენს ტაძრამდე ერთხელაც ვერ ამოვიტანე!

მაინც მიბრალებ, ურიცხვია წყალობა შენი,
ან მზეს სხივები ხორციელმა ვით დაუთვალოს?
ერთი უძღები მხევალი ვარ, ჩამჭიდე ხელი
და არასოდეს არ გამიშვა, ჩემო უფალო!

***

რა მარტივია და რა უბრალო-
ორი ფინჯანი ყავა გვერდიგვერდ,
აჩემებული ზედა,უმკლავო,
მინანქრის აცლა დამდნარ ზეფირზე...

ფონად- ბავშვების რითმული სუნთქვა,
შეღებულ კარს რომ სცდება და გათბობს,
მზე,ჩამოღვრილი სხივებად სულმთლად,
სარკმელს მომდგარი ირეკლავს აწმყოს...

ხან ტელეფონის "სქროლვა" ღიმილით,
ხანაც- გეგმები სა-ზეგ-ხვალიო...
ჩვეული დილა,მზერაც იგივე,
ყავა ორისთვის ხვდება ალიონს.

არაფერია,თითქოს იმგვარი,
თითქოს,ხვალ არც კი გემახსოვრება-
ლანგარზე მდგარი ორი ფინჯანი-
თვალწინ ჩავლილი მთელი ცხოვრება...

***

არც კი გაბედო, დანებდე ქარებს,
ნებისყოფას რომ უწყალოდ არწევს!
სასომიხდილი ნუ დახრი თვალებს,
ბედი თუ ავად შეგახებს საცეცს!

წაბორძიკება არაფერია,
წამიერ კრთომას სხვას ნუ აჩვენებ!
განა,დაცემა განაჩენია?!
წამოდექი და გზა გააგრძელე!

ნუ გაიოცებ, სავალ ბილიკზე
მრავლად წააწყდი ნარ-ეკალს, თუკი...
დილით,მზის სხივთა პირველ ღიმილზე
დატკბი სიცოცხლის ყოველი წუთით!

იარე მედგრად, ნუ შეჩერდები!
ფორთხვაც მოგიხდეს, იქნებ, ვინ იცის?!
სცადე მოსმენა სამყაროს ხმების,
გწამდეს სიკეთის-ღვთიურ თილისმის!

არ ჩაიმუხლო შუა ბრძოლაში,
არ დაუყარო მტერს წინ ფარ-ხმალი!
გამარჯვებული ფრთებს ლაღად გაშლი,
როგორც ამაყი მთავარსარდალი!

არ მისცე ნება,ძირს დაგანარცხონ,
წელში გაგტეხონ ამ ქარიშხლებმა!
ოცნებით გასცდი ლაჟვარდ ცის ტატნობს,
ღამით, დაგქანცონ, დაე, ფიქრებმა!

...ტკივილთა თმენა არაფერია,
დრო მოგიშუშებს შიშველ იარებს!
მიჰყევი მიზანს, შენი ჯერია,
სანამ ძარღვებში სისხლი წრიალებს!

***

თბილი სიო ჰაერს გრძნობით არწევს,
ქუჩებს დაჰკრავს მზის და ოქროსფერი...
ტივს ტაატით მიაცურებს მტკვარზე,
მეტივე კაცს მეტივური შვენის...

გაშლილია ჭრელ ბაღდადზე სუფრა,
სტუმარს ასე სად ხვდებიან სხვაგან?
პოეტები მოუხმობენ მუზას
და მეარღნეც ააკვნესებს არღანს...

შემოდგომა ჩამოღვრილა ქარვად,
აფრიალებს ფოთლებს ურჩი ქარი,
ყელს იღერებს აშოლტილი ალვა-
აივანზე გადმომდგარი ქალი...

წითელ პერანგს გადაიცვამს ბიჭი,
ბადით ფრთხილად ჩაუყვება ნაპირს,
მთვრალი მხატვრის ზეციური ნიჭი
უკვდავებას აზიარებს ასგზის...

მეტეხიდან გორგასალის აჩრდილს
ნარიყალა ესალმება მდაბლად,
აღმართულა გუმბათები ტაძრის,
აქ ჩუქურთმებს თვით უფალი ქარგავს!

ცაა ლურჯი, უსასრულოდ ვრცელი,
მთაა წმინდა, ოცნებებს რომ აშლის,
ისე გიპყრობს ჟინი აღმაფრენის,
ვით ოდესღაც ტატო ბარათაშვილს...

ანთებული გადმოხედავ ქალაქს,
(ოქტომბრის მზე სულში ატანს ლამის...)
სხვანაირად გამთბარსა და ამაყს
მთელ სამყაროდ გიღირს ერთი წამი!

***

რომ შეგიჩნდება ჭია,
ააფუთფუთებს ფიქრებს,
სხვისი ჭირი რომ ჰქვია,
საკუთარივით ითმენ...
ლუკმას გაუყოფ მშიერს,
სიტყვასაც ეტყვი კეთილს,
უნდობს შეუცვლი იერს,
რწმენას უბრუნებ ღმერთის...
ღიმილით იწყებ დილას,
საღამოს დაისს ეტრფი,
ვინმეს სცივა თუ სტკივა
სულ რომ არ არის ერთი!

ხელს პატიოსნად ართმევ,
მახეს არ უგებ გვერდით,
იმედის სხივსაც მატებ,
უმსუბუქდება ხვედრი...
არვის მოახვევ თავზე
შენს საკეთებელ საქმეს,
იშორებ ფარულ ზრახვებს,
გულწრფელად ამბობ სათქმელს.
ზურგსუკან მონაჭორი
რომ არ გაღელვებს დიდად,
ადამიანებს შორის
ადამიანობ მშვიდად....

ლექსის დაბადება...

ჯერ ისმის რიტმი,სულის მუსიკა,
გამჭვირვალე ფრთებს შლიან პეპლები...
თითქოს,ღმერთს ცაში შარბათს უზიდავ
და ცისფერ ნისლში მზეს უერთდები.

მერე სიტყვების კორიანტელი,
თავბრუდამხვევი რითმების წყება,
ჟამგადასული ფოლიანტების
ხავსმოდებული სკივრიდან ჩნდება..

აზრთა ქაოტურ რბოლა-ჭიდილში,
გრძნობები ტალღად ამოზვირთდება,
ღამეულ ლანდთა უხმო კივილში
ნაფიქრი მძივად აიკინძება...

იშვება ლექსი,ნიაღვარივით
რომ ჩამოლეწავს ბორკილებს, საზღვრებს!
ხან გულჩვილია ნაზი ქალივით,
ხანაც-შორეულ ზმანებებს დასდევს...

ქრება ხილვები...აბორგებული,
სისხლი ძარღვებში ჩქამობს,მშვიდდება,
წამით, სასმისი გამარჯვებულის,
ეული ცრემლით ისევ ივსება...

კვლავაც ბგერათა ციური რიტმი
და ახალშობილ სტრიქონთა სუნთქვა...
გზაარეული გრძნობების ზვირთი,
სიმთა ფაქიზი შერხევა გულთან...

ქართველ ქალს!

გლეხის ვიყავი ასული, ტანთ ჩითის კაბა მემოსა,
ღიმილი, მძივად ასხმული, ათას წლის მერეც შემომრჩა.

თვალ-წარბი ყორნის ფრთის დარი, ალვა რხეული ნიავზე,
მშვენოდა წელზე ნაწნავი, იის კდემა და სინაზე.

ცრემლით ვქარგავდი ტკბილ ნანას, ბაზალეთს აკვანს ვარწევდი,
ცხრა ძეს ვუზრდიდი ქვეყანას, ყრმას ჯაჭვის პერანგს ვაცმევდი!

მტერთან ძუ ლომად ქცეული ტაძარში ლოცვად ვდნებოდი,
მშვიდობას გადაჩვეული მომხვდურს მახვილით ვხვდებოდი!

ქალი ვიყავი ამაყი, ტანით ლერწამი, პირად -მზე,
რხეული, ვით მთის კალმახი, აისს მოვგავდი დილანდელს.

ბედს ლხინის წამებს ვპარავდი, როცა მითხრიდა სამარეს,
სამშობლოს ჭირი, ვარამი ამ სუსტი მხრებით ვატარე!

ზნეობას ვთესავ, მას ვიმკი,ფესვმაგარი და უდრეკი,
პატივად მიჩანს, არ მიმძიმს ქართველქალობის უღელი!

თუმც, კდემით იას მოვგავარ, ვკრთები მონაბერ სიოზეც,
სამშობლოს სვეტად ვუდგავარ, ტვირთს მხრებზე არც დღეს ვიოცებ!

ვიყავ უბრალო ასული, ჟამმა გამძარცვა სამოსი,
რკინის პერანგით შემოსა ტანი ლერწმის და საროსი.

ქართული ვაზის ნაჟური სულს აიაზმად აპკურა,
სამშობლოს დარდი და ცრემლი თავზე ლეჩაქად დამხურა!

...ჯვარს ვზიდავ უფლის ნაბოძებს,ურვა აროდეს მჩვევია,
საუკუნეებს აოცებს ქართველი ქალის გენია!

მაია ხარაიშვილი - ფილოლოგი- კ/გ მუშაკი
დაბადების ადგილი ლაგოდეხი
(ემიგრანტი იტალია)

***

დილა თენდება, უცხო მიწაზე,
რომ ღამის ბინდის დარდი გაჰყაროს,
მიყვარხარ, მზეში შეჭრილი სხივი,
რომ ეფინები, უფლის სამყაროს.

ცისფერ თვალებში, ლოცვით ნათევი,
მთელი სამყაროს სუნთქვა ეტევა,
ჩემი ღიმილი გჩუქნის ყველაფერს,
ზეცის სინაზე რომ ემეტება.

ჩამოწოლილი მუქი ღრუბლები,
გადაირეკა ისევ დარებმა,
შენი ღიმილით სავსე სამყაროს,
ქვეყნად ვერავინ შეედარება.

დილა თენდება, უცხო მიწაზე,
რომ ღამის ბინდის დარდი გაჰყაროს,
მიყვარხარ, მზეში შეჭრილი სხივი,
რომ ეფინები, უფლის სამყაროს.

***

ღამის აჩრდილები გაწვა,
ცაში მოფანტული სევდით,
ჟამმა მოგონება დაწვა,
ციცინათელებს რომ ვსდევდით...

ჩემი სიმფონიის მირაჟს,
შენი ზღვისფერები აჩნდა,
ლოცვა, შეხიზნული რიჟრაჟს,
ელვას აკინძული დარჩა.

თეთრად შეერია ღრუბლებს,
უფლის დაწვიმული დარდი,
ღამემ დაურბინა უბნებს,
დასცდა, როგორ შემიყვარდი.

უფლის ნაბოძები გრძნობა,
გულში ჩამისახლდა თრობად,
დიდი სიყვარულით თრობა,
სულში იხლართება თრთოლვად.

***

მესალბუნება, უცხო მიწაზე,
ქარები, ურჩი შემოფეთებით,
ყოველ ალიონს, ლოცვებით მივსებს,
ჩემს მამულიდან, შენ რომ მერთვები.

თმაგაწეწილი დილის ქოჩორი,
მზის მცხუნვარებით დაივარცხნება,
ეს მონატრება, შენს ხმაზე გალობს,
ეს მონატრება, მაინც არ ცხრება.

შენი ღიმილი ჩამომაფრქვია,
ამ შუაღამემ, ღვთის ბოძებული
და შენი ლოცვა ჩამომიმარცვლა,
მამა ღმერთისგან მირონცხებული.

ზეცამ ინაღვლა, სულის ტკივილი,
ზღვაში ჩაეშვა, წვიმების ფარდა,
ამ ქვეყანაზე ვეღარ ვიწამე,
შენი თვალების ნათელის გარდა.

აღზევებული სულების ბორგვა,
მოეფინება სამყაროს ზეცას,
მსურს, რომ გიხილო, მირონის ქალაქს,
მე კი ნაკურთხი სამოსი მეცვას.

ჩამოიმარცვლა შემოდგომის დღე,
ქრისტეს ფერებში, ცად დაწერილი,
ჩუმი ლოცვები, ცვივა წვიმაში,
შენი სულიდან გადაწერილი.

მესალბუნება, უცხო მიწაზე,
ქარები, ურჩი შემოფეთებით,
ყოველ ალიონს, ლოცვებით მივსებს,
ჩემს მამულიდან, შენ რომ მერთვები.

მე და შენ ერთად ვიცეკვებთ ტანგოს

ზაფხულმა უხმოდ დაკეცა ქოლგა,
ჩამოუარა ქარმა ქარაფებს,
ღამის ბინდებში ანთილი მთვარე,
ნუთუ, არ მეტყვის, შენზე არაფერს...

გალიცლიცებულ ფიალას აწვდის,
სექტემბრის ღამეს, ძველი აგვისტო,
ჩვენმა პირველმა მატარებელმა,
გახსოვს, ორივეს ერთად გაგვისწრო.

ნაცნობ მუსიკოსს კვლავ მოვიკითხავთ,
ეგებ, სამყარომ ღიმილი არგოს,
ძველ მუსიკაზე, მფრინავ ფოთლებში,
მე და შენ ერთად, ვიცეკვებთ ტანგოს.

ფურისულების გამონათება

ფურისულების გამონათება,
საწყისად იქცა გაზაფხულისა,
თურმე, სიშორის გამო არ ხდება,
კვლავ გახარება გადარგულისა.

მწვანე ფერებში ჩაკარგულ სხივებს,
მიწას გართხმული, ისრუტავს ანცად.
ასეთი ციცქნას რომ შეითვისებ,
მაშინ იქცევი, ჭეშმარიტ კაცად.

გაფერადებულ ენძელების თვეს,
ციცინათელას ზოლი არტყია,
ფურისულების გამონათებას,
კვლავ შენეული სითბო ატყვია.

***

ოქტომბრის ღამემ, დახურა ფარდა,
მთვარე შეცურდა, ღრუბლის საბანში,
ჩვენი გრძნობები, ზოგჯერ მყარი და
ზოგჯერაც არის, მხოლოდ თამაში.

სამყარო ბორგავს შეუჩერებლად,
ჟამი გადავა, წაილეკება
და უფლის ზარი, მითიურ ხმებით,
ცის ლაჟვარდიდან დაირეკება.

აბობოქრდება ზღვა და მდინარე,
მთა და გორები ჩამოიშლება,
მხოლოდ დარჩება, უფლის სამყარო,
ღვთის ბილიკები, არ მოიშლება.

სამყაროს გულში, ძველი ჩანჩქერი,
ცივ სიმაღლეზე, ცხოვრობს ღრიალში
და მეც შემოვრჩი, სამყაროს კენტად,
მარტო ცხოვრების ორომტრიალში.

მე მახსოვს აფხაზეთი

სოხუმის ცას, ჩამოსცვივდა ცრემლი,
ნამტირალევს ჩაეხუტა რიწას,
გენაცვალეთ, საქართველოს მგლებო,
ვინც იცავდით, აფხაზეთის მიწას!

დადუმებულ ოჩამჩირეს, გაგრას,
სოხუმის ცას თქვენი სული იცავს,
თქვენს სახელებს კელაპტრებად ვანთებთ,
არ დაჩოქილ, გმირთა სულებს ვფიცავ!

შიგა მტრისგან დაიფლითა მიწა,
დაიჩეხა, ნაწილ-ნაწილ ერი,
ყველა მხრიდან მოესია მამულს,
გარეშე და შინაური მტერი.

სოხუმის ცას, ჩამოსცვივდა ცრემლი,
ნამტირალევს ჩაეხუტა რიწას,
გენაცვალეთ, საქართველოს მგლებო,
ვინც იცავდით, აფხაზეთის მიწას!

***

მონატრებიდან მონატრებამდე,
გაწოლილია ზაფხული წლებთან,
ვზივარ, ვიხსენებ, იმ ლამაზ დღეებს,
ცვრიან რითმებს რომ ვაწყობდით ერთად.

ფარაონების მაგიურ ღიმილს,
უერთდებოდა სიმღერის ხმები,
ბამბუკის ქოხთან ვზივარ ისევე,
ტკბილ მოგონებით, ისევე ვთბები.

ციმციმა ზეცას ჩამოშლილი აქვს,
ფერადი თმები, ცისარტყელებად,
შენი ღიმილი მივსებს სამყაროს,
სულ ყველა ცოდვის მისატევებლად.

მონატრებიდან მონატრებამდე,
მთვარე მზის ღიმილს ღამეებს უთევს,
მე და ლექსები კვლავ ველოდებით,
შენთან შეხვედრის წვიმიან წუთებს.

***

სამყაროს ლაბირინთები,
ამოუცნობი ჰობია,
ბევრჯერ იფიქრებ, სიცოცხლეს,
იქნებ, სიკვდილი ჯობია.

მოძმის ნასროლი მახვილი,
ძირში მოცელავს სამყაროს,
ჯერ მახეს თვითონ დააგებს,
მერე, ვიშვიშებს- გვაკმაროს...

საქართველოში სულ ყველგან,
წარღვნის ფერები მომრავლდა,
ის ნერგიც დაჭკნა, წარსულში,
დიდი ბაბუა რომ რგავდა.

ვერ გაძღა, ასპიტი სული,
მიწა მოწამლა ბოროტმა,
ყველა კაცური ღირსება,
დღეს ჩაანაცვლა რობოტმა.

ადიდდა ყველა მდინარე,
გზები წალეკა მტვრიანი,
,,ცუდსა რად უნდა მტერობა,
კარგია მუდამ მტრიანი."

***

დღე და ღამე, ეფერება სამყაროს,
ცაში ღრუბლით, იწერება ბიბლია,
შენს ძებნაში, გაიპარა ცხოვრება,
შენს ძებნაში, მე სამყარო მივლია.

შენზე ფიქრით, ცის ფერებში გათენდა,
შენზე ფიქრში, დამათენდა ეს ღამე,
სულ არაფერს, არ ვინატრებ, ამ ქვეყნად,
მხოლოდ შენთვის ვინატრებდი, ერთ რამეს.

ღმერთის გზაზე, მე ჯვარცმული მისული,
მუხლმოდრეკით ვევედრები, თვითონ ღმერთს,
მე შენს სახელს, ვუჩურჩულებ ალიონს
და შენს სახელს შევავედრებ, ღვთისმშობელს.

ზღვაში უხმოდ ჩაიფერფლა ზაფხული,
შემოდგომის ცივმა ქარმა დაჰბერა,
მე შენს სახელს რომ დავენთე კელაპტრად,
ტაძრის გზაზე, ელვამ ცაზე დაწერა.

დღე და ღამე, ეფერება სამყაროს,
ცაში ღრუბლით, იწერება ბიბლია,
შენს ძებნაში, გაიპარა ცხოვრება,
შენს ძებნაში, მე სამყარო მივლია.

***

როს ჩამოღამდა ციურ ბილიკზე,
მთვარემ დაიწყო, ვარსკვლავთა ათვლა,
ზღვის სიმფონია, წერდა ტკივილზე,
თვით შემოქმედი, ბარძიმით დათვრა.

სამყაროს ფერმა გადაურბინა,
ქრისტეს ფერებში, განათდა თვით ცა,
ადამის მოდგმას, გზა დაუმძიმდა,
სისხლისფერი ცა, თვით ჯვარცმად იქცა.

უფლის ნათელი, ავსებს სამყაროს,
დღე-ღამე ნათობს, თვითონ მესია,
ჯვარცმული ქრისტე, უნდა ვიწამოთ,
რადგან უფალი, თვითონ ჩვენშია.

***

გალაქტიკის სხივი გაკრთა,
ვარსკვლავები მიჰყარა,
თითქოს სულის საიმედოდ
მყავხართ შენ და ნიკალა.

ჩამოურბენს ირმის ნახტომს,
მთვარის შუქი დაღლილი,
მხარზე ჩუმად ჩამოცურდა,
არყით მთვრალი მანდილი.

ატირდება ,,მე და ღამე,"
იქ სარდაფის კიბესთან,
სულ ცრემლებით მოხატული
ტილო მივა ვინმესთან.

,,ქარი ქრის..." და მაინც სიცხე
ჩამომიწვავს ალიონს,
მთვრალ ნიკალას ნახატებში
დავეძებდი ყალიონს.

,,მესაფლავემ" ჩაიმუხლა,
იქვე ახალ საფლავთან,
მერე ნიავს ჩამოქროლილს
უნებურად გაჰყვა თან.

გაიბერა გალაქტიკის
შეუცნობი სამყარო,
მოემზადა ალიონი,
დღე და ღამე გაჰყაროს.

ღამენათევ სტრიქონებმა,
უძილობა იკმარა,
გალაქტიკის სამყაროდან
იცრემლება ნიკალა.

იქით ნიკო ფიროსმანი,
აქეთ დიდი გალაა,
ორი დიდი შემოქმედი,
ამ სამყაროს ძალაა.

თითქოს სულის შთაგონებით,
დღემდე რომ დავდიოდი,
ფიროსმანი თან დამყვება
დიდი გალაკტიონით.

გალაქტიკის სხივი გაკრთა,
ვარსკვლავები მიჰყარა,
თითქოს სულის საიმედოდ
მყავხართ შენ და ნიკალა.

***

რა საუცხოო ხმა მესმის,
ცისკენ გაფრენილ მერანის,
წვიმებად ცვივა რითმები,
პოეტისა თუ მწერალის.

უძილო, ღამეგატეხილს,
ზეცა დაჰყურებს სევდებით,
ცხოვრების ორომტრიალში,
ყველანი ჩუმად ვბერდებით.

ალიონს ცვარი უხდება,
ლაღად გაშლილი მინდორის,
ქართულ გენს მოსდგამს გმირობა,
ბასიანის და დიდგორის.

ალაზნის ველებს უგალობს,
ჭიაურის მზე ღიღინით,
გაჩეხილ ტყის პირს შემორჩა,
ჩოლოყაშვილის ღიმილი.

წინანდალს ზვიად სასახლეს,
გულის ტკივილი დასჩემდა,
თეთრ როიალთან სიყვარულს,
ტატოს ცრემლები არჩენდა.

გომბორზე ღრუბლის სართულებს,
შემორჩენია ღიმილი,
ქართული სისხლის სუნი მცემს,
ქართული ჯიშის ტკივილი.

ალიონს გმირთა სამარეს,
სევდით უგალობს იმერი,
ალგეთს ლეკვების წკმუტუნი,
დიდია ჩვენი იმედი.

თელავის ჭადრის ფესვები,
მომსწრეა ათას ომების,
მომრავლდებიან ფესვები,
მემატეანე დროების.

რა საუცხოო ხმა მესმის,
მიწიდან ცამდე ასულის,
სამყაროს მაჯისცემაა,
ეს სიყვარული მამულის.

იხარე, გამიძლიერდი,
იმრავლე, ფესვო ქართულო,
უფლის დიდება გლოცავდეთ,
სამშობლოს გადაკარგულნო.

მტკვარი

სულ სიმშვიდით მიდუდუნებ მაინც,
ასე ნიღბით მოქარგული ნუ ხარ,
რამდენს ძალით ჩაეჭიდე ხელით,
არ გეწყინოს, მტკვარო, თუკი მძულხარ...

ახლა ისევ აერია ფიქრი,
სანაპიროს მოცურავე გედებს,
დამძიმებულ გულით ვუმზერ უხმოდ,
მგლოვიარე, გულგაყინულ დედებს.

აიჭრება მღვრიე ტალღა ისევ,
აიმღვრევა კვლავ ბახუსში დარდი,
აღარც მინდა გახსენება როცა,
სულ პირველად როცა შემიყვარდი.

რამდენს ფიქრიც არ აცადე მტკვარო,
შეუმოკლე სიხარულის გზები,
რამდენისთვის გამოდექი მაინც,
სამარე და ტრაგიკული ბედი.

ღვარძლიანი მიდუდუნებ მდორედ,
ხან შმაგი და ხანაც კიდევ ყრუ ხარ,
რომ არ შველი და იხუტებ გულში,
არ გეწყინოს, მტკვარო, თუკი მძულხარ.

მუქ ფერებში იხლართები მუდამ,
მოგნათლეს და დაგიძახეს მტკვარი,
შენთან მოსულს, არ უმართლებს რადგან,
შენ თვითონ ხარ, სიცოცხლიდან მკვდარი.

ნაზი გალოგრე - ინჟინერ ტექნოლოგი
დაბადებული - ლანხუთში, სოფ.მლეთაში

სისხლის ყივილი

მიწის ბრუნვაში ბარის პირით როცა ვხალისობ,
სადღაც მიმქრალი სიჭარმაგე მესალბუნება.
ნაჯაფ ხელებზე შეუშრობი მიწის სისველე
გულის საწვეთურს წვეთ-წვეთობით ჩაედინება.

ხელის გულებში თავჩარგულს და თავდაუღწეველს
უიმედობის მძაფრ უღლისგან მე მეჩვენება:
ჩემი სიცოცხლე ძველთა ხსოვნის უკვდავებაა
ხოლო სიკვდილი - ფუძე-კერის გადაშენება.

წელგატეხილი ვიფარფატებ სანამდეც შევძლებ
და გამრუდებულ ხერხემალსაც ვათრევ ჯახირით,
დედის საფლავთან გადმოღვრილი ცრემლის ნაკადი
გულის მალამოდ მეზიდება ანდამატივით.

უიმედობის მძაფრი ბადე უნდა გავგლიჯო,
წინაპართ ხნულში ძველი კვალი გადავარჩინო,
კაეშნით სავსე სიმარტოვეს შევებრძოლები
ჩამქრალ ნაღვერდალს მუხლმოდრეკით ვეამბორები.

ცაცხვი

ერთ სიმაღლეზე მორკალული ტოტების ჩრდილი
ზეცისკენ მშვიდად აღმართული ეს საოცრება
გუმბათის მხრებზე მოტორტმანე ოთხმოცი წელი
არწევს და მიაქვს ჯადოსნური მშვენიერება.

ქარი შეპარვით რომ ფოთლებს აშრიალებს,
წვიმის მოლოდინში ღელავს, ვეთანხმები
გუმბათის თავზე რომ ღრუბლების კარავია
ღრუბლის დალალებში ჩაწნული მზის სხივები.

ჩაუქად მიმავალ გადახვითქულ მაშვრალს
ჩუმი სიდიადით აძლევს სულის შვებას
და ხალასი გრძნობა აქ რამდენი წყვილის
მისი ტოტების ჩრდილს მორცხვად დაუსერავს.

ო, რამდენ სილამაზეს იტევს დალოცვილი
და რამდენ გასაოცარ ფიქრებს ატრიალებს,
რომ არ შეგაჩეროს წამით გზადგავლილი
რომ არ გემღერება და მაინც აგამღერებს.

არც რას დაგამადლის, არც შენ დაინანებ
ჩრდილით მომადლებულ სურნელს თუ იამებ
ლხინით შეჯერებულს ზოგჯერ ჭიქა ღვინით
ვინც დაგრგო-გზარდაო - მადლს ნუ დაიზარებ.

დილის რიჟრაჟზე დაცვარული ფოთლის შრიალით
ასწლოვან ხეებს, ნასათუთარს იერ-მშვენებით
ჩაეჭიდება დედის ხსოვნა უკვდავყოფილი,
როგორც სიმღერა ღამის ბინდში ჩანაძინები.

ჟამი ბინდ-ბუნდში ჩათვლემილი ქარტეხილებით
ჩემი ბავშვობის ნაფეხურებს ვეღარ წალეკავს,
ვიცი, დრო მოვა მზის ზანზალაკს ააწკრიალებს,
წარსული წლების სადღეგრძელოდ ბევრჯერ დარეკავს.

ასე მგონია

დაკეტილ ჭიშკრის, სახლის და ოდის
კარებს, რომ ვაღებ და ღადარს ვათბობ
ასე მგონია ძველი სიცოცხლით
განახლდა კერა და გულით ვხარობ.

მიტოვებული ეზო-მიდამოს
გარღვეულ ღობეს როცა ვამრთელებ
ასე მგონია, მშობლის შეწყვეტილ
სიცოცხლეს ვხედავ და მე ვაგრძელებ.

ჩამოგდებული ვენახის ღეროს
გასამაგრებლად ჭიგოს რომ გავთლი,
აქაც მგონია ჩემი მშობლების
არ დავიწყების შიშსაც კი წავშლი.

ხელის კანკალით მოვეფერები
ყოველ მტკაველზე მე მათ ნახელავს,
რადგან მგონია ვესაუბრები
და ძველებური განცდებით ვღელავ.

ბუნების წესით, ყველა ვბერდებით,
თუგინდ ატარო გული ფოლადის
ასე მგონია, კვლავ გაგრძელდება
ძველი სიცოცხლე, მჯერა მომავლის.

არ მეშინია მე განაჩენის

მე შენს თვალებში ვხედავდი სითბოს,
ახლაც მგონია, რომ არ ვცდებოდი
უმადურობით ჩახლართულ სიტყვებს
არც კი ვუსმენდი, თუმცა, ვხვდებოდი.

განა მოგტირი, ან შიში მიპყრობს
თითქოს დავშორდით, - აი, ეს მზარავს
შენი შეცდომა - იმას გავს უფრო
წაუკითხავად წიგნს რომ დამალავ.

ნუთუ ეძებდი ჩემთან ფათერაკს
შენიღბულ ღიმილს რა თავში ვიხლი
ჩვენ დავშორდებით და შენ კი შვებით
თავისუფლების ბორკილებს იხსნი.

მერწმუნე დღესაც ფიქრის ხნულებში
იმედით ვაქსოვ სიცოცხლის ძაფებს
თითეულ სიტყვას გულის ნაფლეთი
მიაქვს და ებრძვის ეჭვის გრიგალებს.

არ მეშინია მე განაჩენის,
არც უგუნურად ჩუმად ვგუგუნებ,
მე მეცოდება ჩემში ის გრძნობა,
რომ მიყვარხარ და ვერ შეგიძულებ.

ღირსეული ხარ

ღირსეული ხარ, გჯეროდეს მაშინ,
როცა უფლებას უღირსობისას
არ მისცემ შენს გულს, თუნდ იყოს ძალა
შემოტმასნილი თვით დემონისა.

გულში ჩაღვრილი სიკეთის სხივით
გააჩირაღდნე სულის კარავი;
თვით სიკვდილშიც კი ჰპოვებ სიცოცხლეს,
თუ გაქვს ღირსება შეუბღალავი.

ნეტავ, რამ გამხადა ახლა ასე კერპი

ყოფილა მამშვენებდა უფროსობა
ზოგჯერ კი უმცროსისგანც მისწავლია
წამში დაშვებული შეცდომისთვის
მერე საათობით მინანია.

გადაბმით გათენებულ ღამეებით
სხვათა გასავლელი გამივლია
მოყვასთა დასაძლევი საზრუნავი
საჩემო საზრუნავად გამიხდია.

გზა უსამართლოდ ბოღმით დაგესლილი
აკრეფილ ფათერაკით გამივლია
ჩემთვის საჩოთირო, სხვისთვის დაძლეული
სულის სანეტაროდ ჩამითვლია.

ბევრისთვის გამიკაფავს გზა-სავალი
და ბევრის დაკარგულიც მიპოვნია
ნერვის დაფლეთამდე ძარღვებატოკებულს
მტრისთვის მიტევებაც მისწავლია.

ბოღმით და გესლით ნავსები ფიალა
გულის საწვეთურში თამამად ჩაიცალა
ნუთუ ნაკეთები - ჩემთვის სავალალო
სხვისთვის მადლცხებული, არმად ჩაითვალა.

ძველეთში ჩაფლულ სულით დავრჩი ასე კერპი
ისევ კეთილ ზრახვით მივსდევ წუთისოფელს
არასდროს მაშინებდა სივრცის დასაწყისი
არც გზა მაკრთობს უსაზღვრო, თუნდაც მოახლოვდეს.

ლევან ბოცვაძე
დაბადების ადგილი თბილისი
სამართალმცოდნე, თავდაცვის სამინისტრო

გვირილა და ყაყაჩო

გვირილამ უთხრა ყაყაჩოს;
მინდორს რომელი მბრძანებლობს,
ნეტა ვინ იღებს აქ სარჩოს,
ანდა ვინ როგორ მავნებლობს?

ამ კითხვას მე რად მაკადრებ,
თითქოს მე ვიყო შუაში,
მოდიან გულს მე მიჭამენ,
თვრებიან თავის ჭკუაში.

მერე კი შენცა დაგბელენ
და გაგპუტავენ ბოლომდე,
სუყველას გადაგვთელავენ,
პასუხად სასურველამდე.

თუმცა, არიან კარგები,
სილამაზით რომ ტკბებიან,
ლარნაკში ლამაზმანები,
სიტყვებით თავს გვევლებიან.

მე მომიტევე დობილო,
ეგრე არ უნდა მეკითხა,
ერთ ბედად დაბადებული,
ვყოფილვართ, მეტი რა გითხრა.

უჩინარს ტყეში გასძახეს;
ეგრე არ არის იაო?!
ია კი უხმოდ, ხან სახეს,
ხან კი, ლურჯ თვალებს ხრიდაო.

ტაძრად გადასაქცევი

ცუდიც ბევრია ამდენად,
სურნელოვანი ყვავილიც,
კაცი რას ეძებს ამქვეყნად,
ის არის სახე-სამხილიც.

საქმეა არა საკვეხნად,
არცა ვინმესგან საქცევი,
ცხოვრება არა ტავერნად,
ტაძრად არს გადასაქცევი.

ს ა მ ტ რ ე დ ი ა

სამტრედიას როცა სტუმრობ,
გული სიყვარულით ფეთქავს,
დამერწმუნეთ სულ არ ვხუმრობ,
სტუმრობდე, რომ თავად გეთქვას.

იმერეთის ხარ ბაჯაღლო,
სიბრძნე-ნიჭისა სამჭედლო,
ძმობისა და თავდადების,
ერთგულების საჭესა ფლობ.

ხალხი მეგობრობით სუნთქავს,
პურ-მარილით გაყვარებს თავს
და მისი მზე ავსა სულს ნთქავს,
რადგან სხივით გულებს ართავს.

შენ ყოველთვის სასურველი,
ყველას საოცნებო მიწა,
იმერს სამშვენ-საბურველი,
ოდით, ოდიშს სამტრე-დიხა.

(დავით ულუს შთამომავალთ
მიქელას ძეთ მიურთვიათ
კულით ღვინო შორს მიმავალთ
და იქ ბინა დაუდიათ)

თქვეს მტრედების სავანე და
სამტრედოსაც ფრენს მტრედია,
საიდუმლო გავანდე და
იცის, მიყვარს სამტრედია.

პურღვინობა

აბა ჩემო კარგო „შოთი“ ,
გამომართვი ცხელი შოთი,
დაივიწყე სევდა შფოთი,
ცუდ ამბებსაც ჩამოშორდი.

გინდა? ხაში ზედ ლავაში,
არ მოგყვები მე დავაში,
როგორც წყალი ცხელ ლავაში,
აორთქლდება წავა თავში.

გინდა, იყოს დედას პური
და ზედ ყველი ნაღდი გუდის,
მზეი, ბულბულ-ცრემლ-ნაჟური,
თუნდაც ფერით იაგუნდის.

მე ყველაფერს მირჩევნია,
სუფთა ღვინო, წვენი ყურძნის,
ჩვენს წინაპრებს ურჩევია,
თაიგული ჩვენი პურ-ძნის.

კარგი საქმის კარგად მქმნელი,
აღმოჩნდება ვინც, ჩვენს შორის,
მჭერმეტყველი კარგი მთქმელი,
მისი თამადობა-სწორი.

არასოდეს არ მოგვშლოდეს,
ქართველთ ღვინო, სუფთა წვენი,
სუფრას დიაც-სახლის შლიდეს,
პურით, არსობისა ჩვენი.

სოფლის ბიბლიოთეკა

კარგად მახსოვს სუნი წიგნის
სოფლის ბიბლიოთეკის,
ღამე როგორ ცოცხლდებოდნენ
მისი პერსონაჟები,

მერე ქალაქს მაცილებდნენ,
ფიქრი იყო სიზმრების
და ცხადშიაც სულ დამდევდნენ
მათი პერფორმანსები.

უთენია მაღვიძებდნენ,
დილის გარიჟრაჟები,
კაპიტანი ნემოს გემი,
გულივერის მგზავრები,

პაპა კარლოს ბურატინო,
ჩიპოლინოს ამბები,
ტვენის ტომი და ასტრიდის
პეპის გრძელი წინდები.

უზბეკური, ტაჯიკური და
ქართული ზღაპრები,
ოდისევსის ილიადა,
არგონავტის აფრები,

მიჯაჭვული ამირანი,
ალანური ნართები,
და მსოფლიოს ყველა ერთად
მათი ბრძნული აზრები.

ათას ერთი ღამეები,
სამნი მუშკეტერები.
რენეს მატარებელი და
ბრონტეს ჯეინ ეარი,

ეგზიუპერის უფლისწული,
უკვე ჩემთვის დღე არის
და დუმბაძეს მე რომ ვხედავ
ეს ნათელი მზე არის.

რაც დრო გადის მოგონებამ
მათმა გამომაკეთა
და დროდადრო ისევ მშველის,
მესხმის მათი მანტია,

კარგად მახსოვს წიგნის სუნი,
კლდეისს ბიბლიოთეკა,
იქ დაიწყო და გრძელდება
ურთიერთრომანტიკა.

ცის კიბე

ფიქრში ცას კიბეს მუდამ, რომ უგებ,
ნაბიჯს, რომ ითვლი საფეხურებზე,
გულის კარს ყველა შემხვედრს თუ უღებ,
ბოდიშს ელიან საყვედურებზე.

ძმობის სადღეგრძელო

საგარეჯოს სათავეში სუფრას გავშლი,
მეგობრებთან ერთად, კაი პურსაც შევჭამ,
ერთგულებას ჩემში არაფერზე გავცვლი,
ძმობის სადღეგრძელოს, დიდი ყანწით შევსვამ.

თავისუფლებას რითმაში ვეძებ

თავისუფლებას რითმაში ვეძებ,
ლხინის-ჟამ(იან)ობის მე ვარ მოლექსე,
თუ კი სხვის გულსაც ვერას შევახებ,
გრძნობას დავხატავ მე თეთრ მოლბერტზე.

ამ სტრიქონებში იმ შვებას ვეძებ,
რაც დამანახა უფალმა განგებ,
მინდა რომ მრუდეს სიტყვებით ვკვეცდე
და ეს სტროფები მივუძღვნა გამგებს.

მხოლოდ გრძნობებში მეც ჩემს თავს ვეძებ,
დაბადებიდან ვერწარმოთქმული,
უფალო მე ხომ ყოველთვის გეძებ
და შენს წინაშე ვარ ფეხმორთხმული.

სინანულის ცრემლები

თავის ქებითა ამჟღავნებს,
ჩვენს ყოფას წუთისოფელი,
თავის ნებითა კვლავ გვავნებს,
ჩვენში ავსული მყოფელი.

ცოტა რამ უნდა ვიცოდეთ,
რაც ხინჯად მოგვეკიდება,
ამ ქვეყნად თუ რამ შევცოდეთ,
იმ ქვეყნად მოგვეკითხება.

თუ მოერია ვით ღვალო,
ვერ განკურნავენ წამლები,
მაგ დროს ჯობია დაღვარო,
სინანულისა ცრემლები.

მიმოზა

აი უკვე ტყემ ფოთლები,
ყვითლად რომ შეიმოსა,
ზოგი როგორც ფანტელები
ალაგ-ალაგ მიმოსა.

ზუსტად ამ დღეს დაიბადა,
ჩვენი რძალი მიმოზა,
კარგი და და კარგი დედა,
მორცხვი როგორც მიმოზა.

გამრავლდი და გაიხარე,
გლოცავ როგორც ნინოსა,
ბიძაშვილი გამიხარე,
მე კი დავლევ ღვინოსა.

მე რომ კოცნა დავაპირე

შემოგყვები ყველა კარში,
ერთ დროს როცა ჩემთვის კეტე
და დაგიწნავ ნელა ქარში,
ნერვებს, ჩემში შენ რომ წეწე.

სხვას ვერ ნახავ ვერაფერში
დამნაშვავეს, შენ ხარ.. მტკიცე...
მართალი ხარ ყველაფერში,
შენ რომ გზები ჩემთვის კეცე.

მე რომ კოცნა დავაპირე,
სახე წითლად აილეწე,
მერე თვალი გავაპარე,
რადგან მზერა აილესე.

სამშობლო

შენ ვაჟკაცების მარად სამჭედლო,
ღმერთო, მშვიდობით მუდამ იარე!
“ალგეთს ლეკვების“ კარგად აღმზრდელო,
იმედით კურნავ დაღლილ იარებს.

ცეკვას შეხედეთ რა ალმურია,
ჰანგებს შერწყმული ერთი სულია,
ხანჯლებით, როკვაც საამურია!
ვაჟკაცის მაინც რკინის გულია!

მთებში არაგვი, დაბლობს რიონი,
თბილისს კი მტკვარი მოედინება,
ჩვენ მასპინძლობა, რომ ვიცით,
ვაჟას სხვა რამეც მოეგონება:

“სამშობლოს არვის წავართმევთ,
ჩვენს ნურვინ შაგვეცილება,
თორემ ისეთ დღეს დავაყრით,
მკვდარსაც კი გაეცინება “!

მაგ თვალთა მზერა

მაგ თვალთა მზერა ისე მწველია,
როგორც ვულკანის ლავა მკვლელია,
ნაზი გრძნობების ისე მცველია,
ვით ღამით ზეცა ვარსკვლავთ მთვლელია.

რადგან ღიმილი ასე ძნელია,
ღაწვთა კიაფი საკვირველია
და ეგ ბაგენი ისე სველია,
როგორც სისხამზე ნამით ველია.

მოქნილი მხარი, წელი, ტანია,
ოცნება ზეცად ამიტანია,
მკერდზე ბორცვები ისე გშვენია,
სხვის მაგივრადაც მე რომ მრცხვენია.

გამოხატვა ხომ გრძნობის მცლელია,
როგორც ოსტატი ქვაში მთლელია,
ეგ სილამაზე ისე მწველია,

სულის ჩანთები

ერთხელაც ჩვენსა გაჩნდაო,
იტყვიან კვლავაც ანთებით,
გამოჩნდა, არა ჩანდაო,
სულის მოძრავი ჩანთებით.

წავიდა მარად დაგვტოვა,
იტყვიან კვლავაც, სანთლებით,
საქმე და ჩანთა გვატოვა,
ვითა ნაზიდი ყანთრებით.

ერთგულება

არა ორგულობას! ვლოცოთ ერთგულება,
როცა ერთგული მეგობარი გვეგულება,
არა ორპირობას! ვიხმოთ ერთპირობა,
როცა მეგობარი არის პიროვნება.

ვიდრე ორპირობას შეცვლის პირფერობა,
ყოვლად მოსაწყენი ყველგან ერთფერობა...
როცა დიდგულობას შეცვლის დიდგულება,
მაშინ ორგულობას შეცვლის ერთგულება.

პლიუს-მინუსი

კარგად, რომ იქნები,
სადღაც პლიუსები,
გროვდება უმჩნევი,
სხვისთვის მინუსები.

ცუდად ყოფნის დროს,
ღირსადაც ჩაგთვლიან
და წინ წამოწევენ,
მინუს დაგითვლიან.

მერე კი მიხვდები,
ვისთვის მეტნაკლები,
ქვეყნად არ არსებობს,
სხვისთვის დასაკლები.

ერთი შენ იცი და
ორმა შენი გული,
გიძგერს ერთი ციდა,
არა შენიღბული.

ვინ რას ანგარიშობს,
მაგას არ უყურო,
კეთილს კეთილი შობს,
ოღონდ არ უყრუო.

ეგ კი ღმერთმა იცის,
მაგას მე ვერ განვსჯი,
ყველას თავის გზა აქვს,
მე ვერაფრით დავსჯი.

კლდეისის კოხტაველი

ქვევით წყაროს ჩაყოლებას,
ოღრო-ჩოღრო ბილიკებით,
დაბურული მიუყვება,
ასკილ-ვარდის თილისმებით.

მარცხნივ მხარე, ჩადის ჭალას,
მარჯვნივ, სოფლის ასასვლელზე,
პირდაპირ, კი გზას რომ გავალთ,
აღმოვჩნდებით, კოხტა ველზე.

ყვავილებით გადაპენტილს,
ნაირფერი დასტრიალებს,
თითქოს ფატა იქ პატარძლის,
მოურთიათ ლამაზ პეპლებს.

შეუგრძვნია ჩვენს წინაპრებს,
შეურჩიეს ეს სახელი,
მომავალსაც სულ ანცვიფრებს,
ეს ლამაზი კოხტაველი.

გამოიდაროს

გამოიდაროს, შეგთხოვთ ელია,
გამოდი მზეო! შენ სხივს ელიან,
დიდხანს მტირალი ცა ზე ნელია,
ამ დროს ღიმილიც დარდობს, ძნელია.

კალთა გვაფარე ღვთისამშობელო,
და გაიხარე ხალხო მშრომელო,
გამოდი მზეო! ლამაზო, მთელო!
და დაიფარე შენ საქართველო.

ეკა მექერიშვილი (სურამელი) - ისტორიკოსი
დაბადების ადგილი - სურამი

"სადაურსა სად წაიყვან ბედო"

"სადაურსა სად წაიყვან ბედო,"
სად გაულევ ულამაზეს წლებსა, -
წლობით წასულს... გადახვეწილ ქართველს,
მოანატრებ თავის მთას და ველსა.

ემიგრანტობა არის ძალზე ძნელი,
ბევრსა ნახავთ გადახვეწილთ დღესაც...
ისე, გადის ათეული წლები,
ვერ ნახულობს შვილი ნანატრ დედას.

"სადაურსა სად წაიყვან ბედო, "
რომ უმუხთლებ იმ ავბედით დღესა ...
მონატრებულს თავის მშობელ მიწის
ბევრს იხუტებს უცხო მიწა დღესაც...

 სადაურსა სად წაიყვან ბედო , -
 ბევრს ეს ხვედრი ერგო თითქოს ბედად,
ემიგრანტობა არის ძალზე ძნელი,
ვერ ნახულობს შვილი ნანატრ დედას.

ჩემო საქართველოვ.

ჩემო საქართველოვ!
ნატანჯ, ნაწამებო,
მტერმა ვერ
გაგთელა შენ მაინც,
რადგან ,ოდითგანვე
ალგეთს ლეკვი გყავდა
ფარ-ხმლით,მუზარადით ნაზარდი.
ცხრა ძმა ხერხეულიძენი
როცა წარსულსა ჰყავს
ოჰ, იმ ქვეყანას რა წაშლის!?
ანდა ანწუხელიძის მსგავსად,
ვინ იტყოდა
სიცოცხლე შენთვის შემიწირავს...
იყავ მშობლიუროვ მარადის.
 ხოდა მატიანე ისევ იწერება,
გმირ დედის ამაგს რა წაშლის!?
დღეს ხომ საქართველო მათით
სულდგმულობს და
ამით ვიამაყოთ მარადის.

* * *

ამ სიყვეარულით ნაფერებ დღიურს,
ამ ღამეს ვფურცლავ უკანასკნელად...
გულის ტკივილით მე ვტოვებ წარსულს
ნარჩენ ტკივილებს ვუწამლო მინდა.

გულის კუნჭულში მსურს რომ ჩავკეტო,
რაც დარჩა ჩემში ტკბილ მოგონებად.
მინდა დავიწყო ცხოვრება ახლად,
მინდა წარსულის კარი დავკეტო...

დღეები მაინც ერთმანეთსა ჰგავს,
გაუფერულდა სამყაროც ირგვლივ,
იმედი გულში მაინც კიაფობს,
ვით მოგიზგიზე კოცონი დიდი...

და სიყვარულით ნაფერებ დღიურს,
ამ ღამეს ვფურცლავ უკანასკნელად
და სინანულით წარსულში ვტოვებ
გარდასულ დღეებს ახლის იმედად

* * *

ღრუბლების ჯარს დაუფარავს ცამრგვალი,
მზე გამქრალა, ცის კიდეზეც არ ჩანს,
შემოდგომა დადგა ნისლით, ავდარით, -
ალბათ, ასე კარგა ხანი გასტანს...

მალე მოვა სუსხიანი ზამთარიც, -
ძარღვში სისხლი მეყინება სულმთლად.
ვნატრობ იმ დღეს, თაკარა მზე რომ გვწვავდა,
სიყვარულის მორევში რომ გვხვევდა,

სარკმელიდან თეთრი ღამე მდარაჯობს,
სიზმარად გნატრობ, უძილობა დამჩემდა,
თუმცა, იქნებ, რული მომერიოს... გდარაჯობ...
სიზმრად მაინც, რომ მოხვიდე ჩემთან...

დრო მოვა და კვლავ ვიქნებით ერთად!..

მინდა გიყვარდე

მინდა გიყვარდე ,მინდა მიყვარდე,
ერთად გავლიოთ ლამაზი წლები,
შემოვიაროთ ცის კიდეები
პეპელასავით ფარფატა ფრთებით.

არ გბეზრდებოდე,არ მბეზრდებოდე,
ვუფრთხილდებოდეთ ერთმანეთს ისე,
ლამაზ რითმებად დაწერილ ლექსებს,
გზას ვასწავლიდეთ ოცნებით მზისკენ.

ისე გვიყვარდეს, ჩვენ ერთმანეთი,
ვით აბესალომს ტურფა ეთერი,
ვუვლიდეთ ჩვენსას გრძნობებს უნაზესს,
ვით გვეკადრება,როგორც შეგვფერის.

როგორც მარტის თვეს ამშვენებს წვიმა,
ისე მშვენოდეს სიგიჟე ქალის,
შენ იყო ჩემით გადარეული,
მეკი ლამაზი გრძნობებით მთვრალი...

ხან გაიავდროს, ხანაც გაგვათბოს,
მზემ ვით მინდორზე დაყრილი ნამი,
ასე ამგვარად და სიყვარულით
გავლით ჩვენი ცხოვრების გზანი.

* * *

ფიქრი გორაზე ნავარდობდა,
 გული სიხარულით ივსოდა,
სულს სიო ეალერსებოდა,
სიყვარულს კი ფრთები შესხმოდა.

ერთ დღეს მეც გამიღიმებს მზე...

გათენდება დღეს, ისე, როგორც ხვალ
მზეც გამიღიმებს კვლავ,
ხელ-პირს დაჰბანს მთებს, დააპკურებს ველს...
მთელ დედამიწას მრგვალს.

თვალს ჩამიკრავს და მომეფერება,
სითბოს მოაფრქვევს ირგვლივ,
გამოაფხიზლებს ყველა სულიერს,
ბალახების ზღვაც დაიწყებს ბიბინს.

დილის საარი სასმისს შეავსებს
და გარიჟრაჟიც შესვამს ფიალას,
ვარსკვლავები კი ღამენათევნი
მშვიდობიან დღეს უსურვებენ ცას...

მთვარე მდუმარე და იდუმალი
მიჯნურთა ბოხჩას მოუკრავს თავს...
დიდებული და მესაიდუმლე
ცის კიდურისკენ გაჰყვება გზას...

გაჰხედავ ზეცას, გაჰხედავ შორეთს...
ყველგან ნათელი ჩანს, -
სამარადჟამოდ გვქონდეს ეს წამი, -
მზე, სიყვარული და ცა!

* * *

იმედის მარცვლებს, ვბოჭავ გზადაგზა
და ვკინძავ მძივად ყელსაბამისთვის.
უიმედო და უფერო დღეებს,
ნიავს გავატან დავიწყებისთვის.

* * *

გაზაფხულის თბილმა სიომ დაბერა
და სურნელი შემოიჭრა შენი,
აქ გრძნობები აიშალა თავნება
და ფიქრებშიც გაჩნდა სახე შენი...

ჩემს სიხარულს მზემაც სული შთაბერა,
ცისარტყელა გამოსახა ცაზე,
საიდანღაც სიომ ისევ დაბერა,
შენს მაგივრად მომეფერა მხარზე.

ჩვენს შეხვედრებს ვითვლი ახლა თითებზე
და ვცლი კიდეც მოლოდინის ფიალას,
შემოხვალ და მკლავებს მომხვევ წვრილ წელზე,
გაამრთელებ განშორების იარას...

მეგობრობას...

უანგარო მეგობრობის ტრფიალი მკლავს,
ბევრს კი ვიცნობ ანგარება სუფევს მასში,
მე ამ ლექსით ვეტყვი ახლა იმ მეგობარს,
ნუ გაყიდის ერთგულებას ვერცხლის ფასში.

მიყვარს, ვეტრფი ჰო ჩემს გულსაც ვანაცვალებ,
მეგობრობის სადღეგრძელოს ყანწით დავცლი,
თამადობას დავიჩემებ ამ სუფრაზე,
ჩემს სიცოცხლეს დაემუქრონ თუნდაც საფრთხით.

უანგარო მეგობრობას თაყვანსა ვცემ,
ქედს მოვუხრი, მუხლს მოვუყრი, ერთგულებას,
მე ამ გულით ჩემს თავს მართლა ვნაცვალებ,
ჩავიხუტებ მეგობრობის ნამდვილ გრძნობას.

* * *

იქნება ბუნება გცნობოდათ მშობლისა
და აი, ბურსა გურჯისტანს გაგონებთ,
იქვე დასახლდით და გამრავლდით იმ ოდესღაც...

ვერ შეძლეს, ვერ ჩაკლეს თქვენში გურჯობა,
რადგან ძარღვებში სისხლი ჩქეფს ქართული
და მამაპაპური ადათი, წესები,
ვერ დაგავიწყეს, თუმც სცადეს რამდენი. ...

და მაინც საუბრობთ ძირძველი ქართულით,
ყურს ესმის ნენა და სხვაც ბევრი ქართული...
თქვენ შემოინახეთ ის ძველი ქართული,
დიდებით მბრწყინავი, საუნჯე, ქართული.

მე ის გოგო ვარ ნორჩი პატარა

მე ის გოგო ვარ, - ნორჩი, პატარა,
გვირილებს, როცა მიწნავდი თმაში,
მეფერებოდი ნაზი ღიმილით
და გულში ძლიერ, მიკრავდი მაშინ,

ცასაც სწვდებოდი, ვარსკვლავებს კრეფდი
ფიანდაზებად მიფენდი გზაზე,
მე კი პატარა, და მორცხვი ბავშვი
შეფაკლულ ლოყებს ვმალავდი იმ გზაზე...

გავიდა წლები... ერთი და ორი?!
გული ისევ იმ სინორჩით ფეთქავს
და ვნატრობ ისევ გვირილის მინდორს
და შენი ხელით ნაწნავის შეკვრას...

* * *

ნამიან ბალახს თუ ფეხშიშველი არ შეხებიხარ,
არ შეხვედრიხარ განთიადს ლოცვით,
თოვლსა და წვიმაში თუ არ მოხვედრილხარ,
მაშ, რა ყოფილა წუთისოფელი...

თუ არ მოგირბენია მთა-ველ- მინდორი,
არ შეგრჭობია ტრფობის ეკალი,
თუ არ ტიტინებს შენს სულში ბავშვი,
მაშ, რა ყოფილა წუთისოფელი.

სხვისი ტკივილი თუ არა გტკივა
და სიხარულსაც თუ ვერ განიცდი,
მაშ, შენში სუფევს რაღაც ბოროტი,
გთხოვ, მოიშორე, განთავისუფლდი...

ახარე შენში კდემა, სიკეთე
და სიყვარულით გული იჭერე,
შემოირბინე მთა-ველ-მინდორი,
მშობლიურ მიწას მკერდი უკოცნე.

მტკიცედ დადექი მამულ-დედულში,
მუდამ გახსოვდეს „ვისი გორის ხარ“,
არ დაივიწყო სამი ღვთაება -
ენა! მამული! სარწმუნოება!

დავით ძნელაძე - თეატრის რეჟისორი
დაბადების ადგილი ქობულეთი

ქობულეთის ბულვარი

ზღვის ნაპირზე დავსეირნობ აქეთ-იქით,
სიყვარულის და მუზების მწყურვალი...
რომ იცოდეთ, სულიერად როგორ მაძღებს
ქობულეთის ეს ახალი ბულვარი.

ქვიშის ფრენბურთს ვითამაშებ განტვირთვისთვის,
სკეიტ ბორდით ვისრიალებ მალიმალ.
ველობილიკს მზის ჩასვლამდე ვეთხოვები,
დავისვენებ, რადგან უკვე დავღლილვარ.

ბავშვებს ართობს ბატუტი და გორაკები,
კოშკურებზე გაჭიმული ხიდები,
ჩიკორივით მობზრიალე საქანელა
და ფიჭვებზე შემომსხდარი ჩიტები.

ოლიანდრას ბუჩქებს ვითვლი გამალებით,
ლექსებით და ყვავილებით მკურნალი...
დამიჯერეთ, გულს მალამოდ მოგეცხებათ
ქობულეთის მშვენიერი ბულვარი.

ვისაც მართლა მოგენატრათ დასვენება,
ნუ გადადებთ, აქ მზის სხივი სულ არი...
არ დაიკლოთ სიმშვიდე და ნეტარება,
გელოდებათ ქობულეთის ბულვარი.

ემიგრანტის ფიქრები

ყოვედღიურად თითო ვერცხლად იყიდებოდა:
ცხუმ-აფხაზეთი, ოსეთი და მერე აჭარა...
ჩვენ გვაგონებდნენ - დამნაშავე იყო არძინბა,...
ან კოკოითი... ან და კიდევ ,,ლომი“ ასლანა...

არა და არა,... დამნაშავე იყო რუსეთი,
მისი ,,ჩექმები“ გვაშინებდა დასაბამიდან...
მოგვეცა შანსი, როგორც იქნა, მისი წაქცევის,
ჩვენ კი კვლავ შიშით ვიყურებით ,,კაკანათიდან“.

... მე, უსაშველოდ მენატრება ჩემი სამშობლო,
არ მიშუშდება გულის გულში დაჭრილს იარა...
უნდა დავმალო სიყვარული და ერთგულება,
რათა დავცალო ნოსტალგიის სავსე ფიალა.

ღმერთო მაღალო, გადმოხედე ჩემს საქართველოს,
დამოძღვრე ერი, დაუბრუნე ძველი დიდება...
ქართველყლაპიებს კიდევ ერთხელ გააგებინე -
წილხვედრი მიწა არცერთ დროში არ იყიდება.

* * *

ვერაფრით ვერ მივაგენი
იმ მეორე ნახევარს...
კბილები მსურს ჩავუმტვრიო
ჩემი ბედის მაწყევარს.

დროსთან ბრძოლებს მეც ვიგებდი,
თუმცა ომი წავაგე...
საბოლოოდ ჩემი ხმალი
შენს ქარქაშში ჩავაგე.

რადგანაც დღეს, საყვარელო,
გული შენით ერთობა...
ეცადე არ გააცივო
თბილი ურთიერთობა.

გადარჩენის გზა

ქარიშხალს ვძლიოთ, დრო არაფრად არ მივიჩნიოთ,
დავდგეთ ცერებზე, დაჭიმული გვქონდეს მყესები.
არ დავივიწყოთ არასოდეს ვისი გორის ვართ
და სად საზრდოობს ჩვენი მოდგმის მძლავრი ფესვები.

ენა, მამული, რწმენა იყოს ჩვენთვის მთავარი,
დავგმოთ სიმხდალე, სიმხდალე ხომ ქვეყნის მტერია.
ვისწავლოთ ბევრი, არ ჩავაქროთ ცოდნის ღადარი,
ვპოვოთ ღირსება, ქაოსში რომ გზა აერია.

ვეცადოთ თავი დავაღწიოთ მონობის უღელს
და როგორც ძველად სულელივით წყალი არ ვნაყოთ,
პატარა ნავმა ნაპირ-ნაპირ უნდა იცუროს,
რომ ნავსადგურში მისი წილი ადგილი ნახოს.

ცეკვა-სიმღერით არ შევცვალოთ დროის დინება,
მშიშარა გულით არ ავუყვეთ მდინარეს აღმა...
ტყვეობის თალხით სანამ სული შეგვესუდრება
დავატრიალოთ შევეცადოთ ბორბალი წაღმა.

აღარ ვუმღეროთ გიგანტების კადნიერებას,
უმაქნისების არ დავიწყოთ გაპიარება.
მოდით ვადიდოთ ყოველივე მყარი, ნათელი,
გადავარჩინოთ დაბნეული ბევრი ქართველი.

წინ გავიხედოთ, იმ ბნელ წარსულს ზურგი ვაქციოთ,
ფუჭი ოცნებით აღარ ვქექოთ ძველი დარდები
და არ შევხედოთ ფერმკრთალ ფრესკას რაც არ ანათებს,
ჩვენს მიწა-წყალზე არ ვახაროთ სხვისი ვარდები.

გადარჩენის გზა ცოდნაშია, ყველა დავრწმუნდეთ,
ჭეშმარიტებას ერთსახოვანს, მხარში დავუდგეთ,
დიად მიზნისთვის ბრძოლა არის ახლა საჭირო,
მოღალატეებს მთელი ერი განზე განვუდგეთ.

მიზანს მივაღწევთ, რადგან უკვე დიდხანს ვეწამეთ
და გავიხარებთ ქვეყანაში სადაც ვშობილვართ.
გამარჯვებამდე თუ კი ისევ ერთად ვიარეთ,
აღარ გავქრებით, ჩვენ სიცოცხლის ღირსი ვყოფილვართ.

საქეიფოდ ვემზადები

მი მინორის „მეფე“ ვარ და
ლა მინორის „ლაზიერი“...
თუ სუფრზე გიტარაა,
ვარ ოჯახის მადლიერი.

საქეიფოდ ვემზადები,
სუფრა მომწონს ხვავრიელი...
სიყვარულით აღსავსე ვარ,
არ გეგონოთ ცარიელი.

ნატვრისთვალი ჩამივარდა
ოდითგანვე ზედაშეში...
ჭიქით ხელში დავსეირნობ
ოცნებათა სასახლეში.

დღეს სიმების აჟღერებას,
ღმერთო ჩემო, როგორ ვნატრობ...
ჰოდა სანამ დავუკრავდე,
შავი ღვინით, კვლავ დაგათრობთ.

გთხოვთ არავინ მომედავოთ
ჩემი ჰანგის სისწორეში...
ჩემებური სიმღერა მსურს
„კავკასიურ ცარცის წრეში“.

სალამურსაც ვეშურები,
კარგად გათლილს ლერწმის ხეში...
ჩემებური „ჭიკჭიკი“ მსურს
ღვთისნაბოძებ სიცოცხლეში.

მი მინორის „მეფე“ ვარ და
ლა მინორის „ლაზიერი“,
საქეიფოდ ვემზადები
ქართველობით მადლიერი.

ნათელი ფინალი

უკვე რა ხანია თვალი გავახილე,
სხეული დავტანჯე წრიალით, ზმორებით...
ახლა ყველა სტრიქონს გულის დაფაზე ვწერ,
მახრჩობს მარტოობა თავისი ტორებით.

რადგან სუფთად ვწევარ, გული საგულეს მაქვს,
თავშიც მიტრიალებს კვლავ სუფთა აზრები...
სიბრძნე მეუფლება, გონი მინათდება,
ბაგეს მეხეთქება ასეთი ფრაზები:

დავბერდი... სიბნელეს ბავშვივით გავურბი,
მაგრამ შიშით არა, უბრალოდ გონებით...
მესმის მეძახიან, როგორ მეძახიან,
უკვე დავიღალე მათი გაგონებით.

ცოტა ხნით მჭირდება სიცოცხლე ძალიან,
მინდა შევასრულო გეგმა დასახული...
პესიმისტურია ჩემი შეფასება,
რადგან ახლოვდება მწარე დასასრული.

მე მიყვარს, მე მიყვარს სინათლე ძალიან,
ნათება მზის შუქის და ზეცის ციალი...
ბედნიერებაა, როცა შვებას იგრძნობ,
ბედნიერებაა - ნათელი ფინალი.

* * *

აღვირს ხელიდან ვერ ვუშვებ,
არ დამიფრთხეს ულაყი...
მომწონს ქალი თეთრი, შავი,
უფრო მეტად მულატი.

მოყვრობა

ვიცი, ჩემი ვიზიტებით „გაგაწვალეთ“,
ამიტომაც, მრცხვენია და მეხათრება...
მაგრამ ერთხელ, ერთხელ კიდევ გამახარეთ,
შემეგებეთ ისე როგორც მეკადრება.

სახლის კარი გამიღეთ და დამპატიჟეთ,
რომ შევიგრძნო ჩემი სულის ელვარება...
ღიმილი და სიყვარული დამახვედრეთ,
სიძულვილი ოდითგანვე მეჯავრება.

ჩამომისხით შენახული მზე - ზედაშე,
სხვა ზედმეტი არაფერი გევალებათ...
მამღერეთ და ცოტა ლექსიც წამაკითხეთ,
თორემ, ჩავთვლი, რომ აქ მოსვლა მეკრძალება.

მაქეიფეთ, კიდევ ერთხელ მაქეიფეთ,
ჩემი გული თქვენთან ყოფნას ეტანება...
ხომ იცით, რომ ყველა სასმისს ბოლომდე ვცლი,
დარჩენილი ფსკერზე ღვინო მენანება.

„ვახტანგური“, დალოცვილი „ვახტანგური“,
სიყვარულში, ღმერთო, როგორ გვეხმარება...
თუმცა, ჩემი ვიზიტებით „გაგაწვალეთ“
და ამაში ეჭვი აღარ მეპარება.

თამარი ბერიაშვილი - მშენებელი ინჟინერი
დაბადების ადგილი ყვარელი საბუე

* * *

მე შენთვის ვწერე ყველა სტრიქონი
მათში ვაქსოვე გულის დარდები,
სტრიქონებს ვანდე ყველა ოცნება
მთვარეს ვუამბე შენზე ამბები.

ეს მერამდენედ მე შენი სახე
ოცნებით ცაზე უფუნჯოდ ვხატე,
და მონატრების ჩუმი ცრემლები
კვლავაც სწყდებიან ისევ ამ თვალებს.

და დაჩოქილმა ისევ ხატის წინ
წმინდა სანთლები მე შენთვის ვანთე,
ღმერთს შევავედრე ეს სიყვარული
და გულში ისევ მრავალჯერ გლოცე.

ცხადში თუ სიზმრად...მონატრებულმა
მე შენი ხილვა ვერაფრით დავთმე,
მე სიყვარული ასეთი მწამს და
გულში სათუთად გადაგინახე.

ვიცი ოდესმე დადგება ჟამი...
ჟამი...ამ ქვეყნად დამშვიდობების...
ვარდებით ხელში საფლავზე მოხვალ,
უკანასნელად დამაფრქვევ ცრემლებს.

მაგრამ ცრემლებიც ვერ დამაბრუნებს
ზღაპრებში ხდება ასეთი რამე...
უკანასნელ გზას გამაცილებ და...
გულზე ვარდებს და მიწას მომაბნევ .

* * *

ისევ ჩუმი ქარი ქროდა...
ქარს კი ფიქრი მოჰყოლოდა...
შორს დარჩენილს ჩემი გული
სიყვარულით კვლავ გეტრფოდა.
ქარს გავანდე ყველა ფიქრი
იქნებ შენთან მოეტანა,
გულის კარი გაგეღო და
გრძნობა გულში შეგეფარა.
მაშინ ქარიც ჩადგებოდა...
გულიც თვისად გიგულებდა,
სიყვარულის ამ ამბავს კი...
ქარი არვის უამბობდა.

* * *

და კარს კვლავ მოდგა ეს შემოდგომა
ბუნებამ ჭრელი მოირგო კაბა,
და შემოდგომის სერენადებით
ფიქრებით ისევ მივყვები ქუჩას.
დაჰბერავს ქარი...მოფანტულ ფოთლებს
ნეტავი საით წააფრიალებს,
წამოიფარებს ბუნება სევდას
და სულსაც ჩემსას ააწრიალებს.
გაიჭრებიან ფიქრები ველად
და მონატრებაც გამატიალებს,
ოცნებად მექცა მე შენი ნახვა
ფიქრებით ისევ შენთან ვტრიალებ.
და არც კი მახსოვს ასე ფიქრებში
როგორ აღმოვჩნდი შეხვედრის ბაღთან,
შევჩერდი...ირგვლივ თვალი მოვავლე
მეგონა თითქოს ახლაც იქ დგახარ.
თითქოს ჩამესმა შენი სიტყვები
სალმის მაგიერ...თუ გახსოვს ნეტავ...
"რა ლამაზი ხარ გოგოვ" წარმოსთქვი...
იმ გაბრწყინებულ თვალებს კვლავ ვხედავ.
იმ გაზაფხულის ლამაზ დღესავით
მაგ შენს სახეზე ღიმილი კრთოდა,
სამყარო შენი გეგონა მაშინ
რადგანაც შენს წინ ის ქალი იდგა.
ქალი, რომელიც ასე მოგწონდა...
ქალი, რომელიც გულით გიყვარდა...
თითქოსდა მისი ერთი ნახვისთვის
მთებს გადადგავდი როგორ გეგონა.
დამშვიდობებაც ძლიერ გიჭირდა,
ფეხს ვერ იცვლიდი...იდექი სახტად,
და იმ ლამაზი გრძნობის სანაცვლოდ
შორიდან კოცნას გზავნიდი მრავალს.
დღეს კი გამქრალი ეგ შენი გრძნობა
იმ ფოთლებივით წაიღო ქარმა...
აღარც გაფიქრებს ალბათ ის ქალი...
ქალი...ოდესღაც შენ რომ გიყვარდა.

* * *

და გაზაფხული ისევ გვესტუმრა,
მარტმა ჩაიკრა გულში იები...
მზემ გაუღიმა დარცხვენილ იებს
ყველას უკოცნა ლურჯი თვალები.
იების ცქერამ სული შეგიკრთო,
გულში აშალა ძველი გრძნობები...
თვალწინ დაგიდგა ჩემი სახება...
და ვიცი ისევ მოგენატრები.
ჩემზე ფიქრები არ მოგასვენებს
შემოგაწვება გულზედ დარდები,
მონატრებული...კვლავ ძველებურად
შენ ისევ მოხვალ ხელში ვარდებით.
მაგრამ ვაი რომ დაიგვიანე
გულში დავმარხე გრძნობა ტიალი,
შემომრჩა მხოლოდ მოგონებები
ვით ეგ ვარდები შენს ხელთ დამჭკნარი.

კლასელებს და ბავშვობის მეგობრებს

გაფრინდა წლები...თან გაიყოლა
ჩვენი ბავშვობა, დრო უდარდელი,
სად დამეფანტეთ გოგო-ბიჭებო
დრო გადის..ხედავთ უკვე ვბერდებით...
ვინ სად წავედით, მიმოვიფანტეთ,
წლები გადის და ვეღარც კი ვხვდებით,
გადაგვავიწყდა ჩვენ ერთმანეთი
და ცნობაც თითქოს ცოტაც კი გვიჭირს,
ჰე!..გავიხსენოთ ისევ ბავშვობა,
ხედავთ მოსულა რამხელა თოვლი,
აბა მითხარით, სკოლის დაღმართზე
დღეს სასრიალოდ ვინ მოხვალთ ერთი...
დროზე!..იცოდეთ თორემ დათბება,
თოვლსაც დაადნობს ეს გაზაფხული,
სადა ხართ ჩვენო კლასის ბიჭებო,
ნეტა თუ მოგაქვთ თქვენ ენძელები?!
გამოზაფხულდა...ყვავის ბუნება,
ჩვენში იმატა თითქოს ხალისმა,
აბა უკლებლივ დღეს მთელი კლასი
ჩვენ "შატალოზე" მივდივართ ახლა
სადა ხართ უბნის გოგო-ბიჭებო,
კარს მოგვდგომია ზაფხული ცხელი,
აბა წავედით ჩვენ საბანაოდ
გველის ერეკლეს ჩვენ ნახიდარი...
ასე გაივლის ცხელი ზაფხული,
ჩვენს ჟრიამულში, ხტუნვა-თამაშში,
კარს მოგვადგება ეს შემოდგომაც
და სკოლისაკენ კვლავ ჰერი, ჰერი!
გავიდა წლები...წარსულს ჩაბარდა,
წლები ბავშვობის...ბედნიერების,
დღეს კი ვინ სად ვართ, მიმოვიფანტეთ,
შემოგვრჩა მხოლოდ მოგონებები...
და სანამ კიდევ დრო დაგვრჩენია,
სანამ წინ კიდევ ცხოვრება გველის,
უკლებლივ ყველას გვეპატიჟება
მიგველის ისევ ა ს პ ი ნ ძ ა ჩვენი !!!

* * *

თოვს და ლამაზად ბარდნის ფიფქები
მე კი მათოვენ შენზე ფიქრები...
შენ ახლა შორს ხარ, მაგრამ ჯერ კიდევ
შემომრჩენიხარ ისევ ფიქრებში.
ზუზუნებს ქარი...ბარდნის ფიფქები,
ნამქერი წაშლის მაგ შენს ნაკვალევს,
და მერამდენედ...ისევ ფიქრებში
ეული კვლავაც გავათევ ღამეს...
გავა დრო...ვიცი გაზაფხულდება
თოვლიც დადნება მზის დანახვაზე,
წავა უკვალოდ, თან გაიყოლებს
შენგან დატოვილ იმ ძველ ნაკვალევს.
ჩემი ფიქრებიც, როგორც ზღაპრები
თან გაჰყვებიან უძილო ღამეს,
მხოლოდ ჩემს გულში არ წაიშლება
ის ნაკვალევი, შენ რომ დატოვე.

* * *

ჩემი ცხოვრების წლების ყულაბას
კვლავ შეემატა დღეს ერთი წელი,
წლები გადიან დაუკითხავად...
მე კი მგონია ისევ ვარ ბავშვი.
ერთ დროს გოგონა ბაბთით და ჩანთით,
გაბუტულ მზერით, ღიმილით ნაზი,
ოდესღაც ლაღი და უდარდელი
დღეს კი ულმობელ ცხოვრებას ვებრძვი.
ცხოვრებას ვებრძვი, წლებს არ ვნებდები
არ ვიტყობ თითქოს სიმრავლეს წლების...
მხოლოდ სარკეში თვალის შევლება
მაკრთობს ჭაღარას რომ ვხედავ თმებში.
სახეს დაეტყო წელთა სიმრავლე,
ვითვლი ნაოჭებს თვალების ირგვლივ,
დრო მიდის...წლებსაც თავისი მიაქვს,
ვხედავ რომ ჩუმად სიბერეც მოდის.
მერე რა თუკი წლებს ვერ ვერევი
და ეს სიბერეც გარდუვალია,
იმედით ვცხოვრობ მაინც ამ ქვეყნად
და ალიონიც კვლავ მიხარია.
ულმობელ წლებს კი სულ არ ანაღვლებთ
სიმრავლე მათი მე თუკი მაკრთობს...
და ვიცი წლებთან ამ ორთაბრძოლას
ოდესღაც მაინც წავაგებ ბოლოს...

* * *

ცრემლები?!..
ცრემლები თურმე ის სიტყვებია
თქმა რომ გსურდა და ვეღარ გითქვია,
ცრემლები?!...
ცრემლები თურმე გულსნაგროვები
ეს უსასრულო სევდა-ფიქრია.
მაგრამ თვალები სევდით კი არა
სიხარულითაც ხოლმე ტირიან,
მონატრებით კი ატირებული
თვალების მზერა უფრო ძნელია.
ამბობენ თურმე რომ ძლიერები
თითქოს არასდროს არა ტირიან,
ტირიან თურმე ...და მათი ცრემლი
უფრო მძიმე და უფრო მწველია,
უფრო მძიმეა რადგანაც იგი
გულში დიდიხნის ნაგროვებია,
მწველია რადგან ძლიერნი მართლაც
იშვიათად და გულით ტირიან.
ტირის ძლიერიც, ტირის სუსტიც და
ცრემლი ცხოვრების თანამგზავრია,
მაგრამ ძლიერნი სხვის დასანახად
იცით?!.. არასდროს არა ტირიან.

* * *

ნუ მკითხავთ ასაკს, ნუ შემახსენებთ,
ვიცი აღარ ვარ პატარა გოგო,
წლები გავიდა, ცოტა დავბერდი,
თმაშიც შემეტყო ჭაღარა როგორ...
მერე რა თუკი ცოტა დავბერდი
წლებმა თავისი მაინც წაიღო...
მერე რა თუკი ასაკს არ ვიტყობ
და ძველებურად ისევ ვხალისობ.
მერე რა თუკი ცხოვრება გადის
იმედით ვხვდები ყოველ ალიონს,
თუ სტრიქონებში სიყვარულს ვაქსოვ,
ფიქრებს და დარდებს მაინც არ ვიტყობ.
განვლილს, გასავლელს ერთად დავლოცავ,
ვიცი ვერ შევცვლი ბედის განგებას,
ღმერთო მომეცი იმედი ხვალის
და სიყვარულით მაცხოვრე კვლავაც.

* * *

ამბობენ...თურმე ჩვენი ცხოვრება
ეს უსარჩევო დიდი წიგნია,
მე კი მგონია მისი სარჩევი
უკვე განვლილი ჩვენი წლებია.
ვისთვის ეს წიგნი ტომეულია
თუკი ამ ქვეყნად დიდხანს უვლია,
ვისაც არ ერგო წელთა სიმრავლე
მისთვის...ეჰ, მართლა მცირე წიგნია.
თუმცა სარჩევი ვერცერთი წიგნის
დღემდე ვერავის ვერ შეუცვლია,
და არც ფურცლები ცხოვრების წიგნში
უკან არასდროს იფურცლებიან.
თვალს გადავავლებთ სარჩევს ფიქრებში
გვერდსაც შევარჩევთ სასურველს ალბათ,
ძველი ფირივით ცხოვრების წიგნსაც
მხოლოდ ფიქრებში გადავშლით უკან.
კვლავ გავიხსენებთ ამ გვერდით ისევ
ჩვენი ცხოვრების წარსულის ამბავს,
ხან გვეღიმება ფიქრებში გართულს
ხან კი ცრემლები სახეს გვინამავს.
ხან კი ფიქრებში ღრმად ჩაძირულებს
წარსულში ყოფნაც მოგვნატრებია,
ხან კი, ვინ იცის, იქნებ წარსულის
სარჩევის შეცვლაც კი გვინატრია.
გულს შერჩენია... ეჰ, ჩუმი ნატვრა
შეუძლებელი ვის შესძლებია,
რაც განვლილია... უფლის ნებაა
და მის წინაშე ქედი გვიხრია.
ტკივილიანი გვერდი ნუ გაკრთობს
ბედის განგებას ვინ გაჰქცევია,
წაიბორძიკე?...მერე რა მოხდა
განა ცხოვრების დასასრულია.
გადაიკითხე?...სწრაფ გადაფურცლე
იქ, წინა გვერდი ბედნიერია,
ღიმილს მოგგვრის და ბედნიერებით
სიცოცხლე კვლავაც ისევ გწადია.
ასე იყო და იქნება კვლავაც
ცხოვრება ივლის თავის დინებით,
ამბობენ თურმე გაღუნულ ფესვზე
უფრო მყარად დგას ხე გაცილებით.
დაღმართს ყოველთვის აღმართი მოსდევს,
დარი ავდარის თანამგზავრია
უფლის ნაბოძებ ცხოვრების წიგნში
სარჩევი ვერვის ვერ შეუცვლია.

* * *

ვინა თქვა თითქოს მე არ ვბერდები,
ვერას მაკლებენ განვლილი წლები?!
შემომპარია წლები ჩუმად და
სევდას მოუცავს ფიქრები ჩემი...
შორს გაფრენილა ძვირფასი წლები
გულის სიღრმეში ასე რომ შფოთავს,
მომნატრებია ახალგაზრდობა,
ბავშვობა ჩემი ქცეულა ნატვრად
დამსგავსებია ჩემი ფიქრები
ფოთლებს წაღებულს ანცი ქარისას,
წლებს დაბრუნება არ უწერიათ
ცხოვრებას მაინც თავისი მიაქვს...

კ ვ ლ ა ვ ა ც !!!

ვიცი დადგება ჟამი არ ყოფნის
გადავინაცვლებ იმერში ალბათ,
უჩემოდ მოვა კვლავ გაზაფხული
კვლავაც იქნება ყვავილთა თოვა.
გამოიღვიძებს ლურჯთვალა ია,
შემოასკდება ხეებს კვირტები...
აყვავილდება მთაცა და ბარიც,
მაგრამ მე უკვე აღარ ვიქნები...
იჟღურტულებენ კვლავაც ჩიტები,
აჭრელდებიან ბარში მინდვრები,
მთაში დადნება თოვლის ნამქერი
იჩუხჩუხებენ ნაკადულები.
გამოიღვიძებს ისევ ბუნება
კვლავ სადედოფლოს ჩაიცმევს კაბას,
ბაღში იფეთქებს იასამანი
და მოიწონებს სურნელით თავსაც.
კვლავ გაგრძელდება სიცოცხლე ქვეყნად
და გაზაფხულიც მრავალი მოვა,
ისევ იქნება ყვავილთა თოვა
მე კი ვიქცევი წარსულის ხსოვნად.

* * *

არა, მგოსანი მე არ გახლავარ
ხოტბას ვერ გასხავ ლამაზ ლექსებით,
და არც ნიკალა არა ვარ რომ მე
ფუნჯით დაგხატო ლამაზ ფერებში.
მე ჩემებურად გხატავ ფიქრებში
გულშიც გიმღერი ლამაზ ჰანგებით,
აუხდენელი სიყვარული ხარ
და გული დამაქვს ნაიარები.
ფიქრით მივყვები ისევ შენს ქუჩას
ყველგან დაგეძებს ჩემი თვალები,
დაველოდები შენს გამოჩენას
შორიდან შენი ხილვით დავტკბები.
ამაყი მზერით...კვლავ ძველებურად
ჩაივლი ქუჩას შენებურ ხიბლით,
თვალს გაგაყოლებ გვერდით ჩავლილს და
გულიც სხვაგვარად იფეთქებს ხილვით.
რატომ ვერ ამჩნევ ჩემს არსებობას
ნუთუ ძნელია გაგება ჩემი,
გულში ჩასახლდი დაუკითხავად
შენ რომ გაღმერთებს სულია ჩემი.
თუ სიყვარულში დღეს არ მიმართლებს
არ გამართლებაც ყოფილა ძნელი,
მე შენ გიწამე სულის სიღრმეში
სხვა ყველაფერი ბრალია ბედის...

ნორიკო მგელაძე - ქიმოკოსი
დაბადების ადგილი - ფოთი

არასოდეს მიორგულო ...

იცი ალბათ ,რომ მიყვარხარ
და თან როგორ ძალიან,
შენ ხომ ჩემი სული ხარ და
სიყვარულის ზვარია.
შემოგხედავ, გულს ახარებ,
სულის გულში დათბება,
მე ხომ დღემდე შენით ვცოცხლობ,
შენზე ფიქრი არ ცხრება.
შემომცინე, სიხარულო
გადამყარე დარდები,
ზეცად, სადღაც, ღიმი კრთება
ცისარტყელად გაკვდები.
შენ ხომ იცი,რომ მიყვარხარ
ფიქრში სულ მეზმანები,
შენს ნახვას ნუ დამანტრებ,
უშენოდ ხომ გავქრები,
შენთან ერთი მე თხოვნა მაქვს,
ვიცი,არ დამზარდები,
რომ მოვკვდები, მომიტანე
ალისფერი ვარდები.
ჩემო სულის გულო, ტკბილო
და სიკეთის ფერიავ,
არასოდეს მიორგულო
გამინათე გზებია.
იცი,ალბათ, რომ მიყვარხარ,
სიცოცხლეზე ძალიან,
ყველა ყვავილს შენ გადარებ,
ყველა შემოგვლებია
შენ ხომ იცი,
რომ მიყვარხარ,
სიყვარულის ფერიავ...

* * *

სულის ვარდებად სიყვარულს ვინახავთ,
დრო-ჟამი ვერარას აკლებს ამ გრძნობას,
---გახსოვს?- პირველად ვარდები მაჩუქე...
დღემდე , მათ, გული სათუთად ინახავს....

წუთისოფელი...

ჭრელია წუთისოფელი,
ზოგჯერ ჭადრაკის დაფას ჰგავს,
ძნელია იყო გულწრფელი,
როცა ცბიერი მრავლად გყავს...
რას არ გაიგებ ამქვეყნად,
რა სიურპრიზსაც არ ნახავ,
ძნელია, როს გღალატობენ,
და ამას თვლიან ""არაფრად"".
სუფთაა მართალი კაცი,
კი უჭირს,თუმცა,ხანდახან
ძნელია, კალო გალეწო,
როს დამხმარეც კი არა გყავს.
აჭრელდა, უფრო აჭრელდა,
ისედაც ჭრელი ქვეყანა,
დროა გონებას მოვუხმოთ,
და ვიყოთ ტკბილად, ერთადა.
უფალი კვლავაც გამოგვცდის,
ჩვენ ვერ გავიგებთ ვერა რას,
ვილოცოთ,იქნებ გადავრჩეთ
ამ წუთისოფლის ბეგარას.

60 მოსულა უჩუმრად...

წლები რა მალე გასულა
თუმც გული ვერ დაიღალა,
ბევრი რამ იქცა წარსულად,
თმაც დამეთოვლა ჭაღარად,
მე გაზაფხულის შვილი ვარ,
გულში მზე მუდამ ანათებს,
ჩვენი ლამაზი ბუნების
გამოღვიძება მახარებს.
მახარებს ჩემი მიწის და
ლორთქო ბალახის სურნელი,
კვირტებდამსკდარი ხეები
და სიო მოუსვენარი.
ზოგჯერ წვიმების თქეში და
ზოგჯერაც ქარი--გრიგალი,
ეს მარტი-- ხანაც შლეგი და
ხანაც მშვიდი და მწყაზარი.
მე გაზაფხულის შვილი ვარ,
ია-ენძელის ტრფიალი,
ვმადლობ ღმერთს მოვლინებისთვის,
ვარსკვლავად წავალ, ციალით.
მე გაზაფხულის შვილი ვარ...

წრფელი ცრემლი...

დანამულა წვიმის წვეთით
ვარდი.შენგან განაწირი...
სილამაზე არა კვდება,
სილამაზეს შენაწირი...
რარიგ შვენის დიდებულ ვარდს,
წვიმის წვეთი, ღმრთისგან ქმნილი,
სიყვარულსაც ხშირად ახლავს,
ცრემლი, წრფელად დანადინი....

შემყვარებიხარ...

შენ შემოდგომის ბოლო სხივი ხარ,
სულ ცოტა ხანი თუ დაგრჩა კიდევ,
ამიტომ უნდა მოგეფერო და
გულში ჩაგიკრა ნაზად და მყისვე.
შენ შემოდგომის გაელვება ხარ,
შენი სინაზე აღვიქვა როგორ,
მინდვრის ყვავილო,შემყვარებიხარ
ეს უნდა მეთქვა, ეს იყო მხოლოდ...

გულს

-გულო, ეს რარიგად შეგაწუხა
ამ ჩემმა მშფოთვარე ცხოვრებამ,
მიკვირს, რომ ამდენი რამის მომსწრეს,
ძარღვი-მთავარი, არ გიწყდება.
-გულო, ცოტა კიდევ გაუძელი
და არ დამტოვო შუა გზაზე,
სული, უფლისაგან მონაბერი,
ობლად არ დატოვო მიწაზე.
-გულო, კიდევ უნდა მედგე გვერდით,
ახლა ძალზე ძლიერ მჭირდები,
უნდა გავიაროთ ისევ ერთად,
ღმრთისგან ნაჩუქარი დღეები.
-გულო, იმედით რომ შემოგყურებ,
ნუღარ გაიკვირვებ, იცოდე,
მე ხომ უფლისგან ვარ მოვლენილი,
ჯერ კიდევ მწადია სიცოცხლე.
-ჯერაც, კიდევ ველი ლამაზ დღეებს,
შვილები იმედით მავსებენ,
მათი სიხარულით მინდა დავტკბე,
გულო, ხომ მპირდები, რომ შევძლებთ?
-გულო, ეს რამხელა სიყვარული
შეგძლებია და არ ვიცოდი,
თურმე, მტერიც კი გყვარებია და
მისგან ღიმილსაც კი ელოდი!
-გულო, ასეთი მიამიტი და
მიმნდობი სანამდე იქნები?
ზოგჯერ, შენს ხმასაც უნდა ენდო და
განაგდე მტანჯველი ფიქრები.
-გულო ცოტა კიდევ უნდა მყავდე,
ვუმღეროთ სიყვარულს, გამთბარს მზით,
სიკეთე ვამრავლოთ ქვეყანაზე,
მანამ ჩვენს სულს უფალს არ მივგვრით.

გაგიფერადე ცის კაბადონი ...

ცას მოგიხატავ ცისარტყელებით
მზესაც დავხატავ თბილს,
შენს მოლოდინში არ დავიღლები
დიდი გრძნობა არ ღლის.
ცაზე დავხატავ ღრუბელს თეთრ ფრთიანს,
ჰაეროვანს და რბილს,
სიყვარულით ხომ გული სავსეა
იმედის შუქიც კრთის.
ცას მოგიხატავ ლამაზ ფერებით,
მინდა შეხედო მას,
ამ ცხოვრებაში ყველაზე სუფთა
გული უნდა ჰქონდეს კაცს.
გაგიფერადე ცის კაბადონი
ბევრი დავხარჯე ფერი,
სანამ დადგება აპოკალიფსი
გეცხოვროს ლამაზ წლებით.
მე დაგიხატე სურათი ნაზი,
სიყვარულით და გრძნობით,
და იდუმალი ფერების ვალსით
მზე ცისარტყელას ჰკოცნის..

გულს საახალწლო...

კეთილი იყოს შემობრძანება
წელო ახალო შენი!
შენ დამილოცე დედულ-მამული
ამას გთხოვ დიდი რწმენით!
ამიღორძინე ჩემი ქვეყანა
და გაუბრწყინე წლები,
შენ დამილოცე ყველა მცხოვრები,
მიბედნიერე ერი!
რომ აღარ იყოს ჩემ სამშობლოში
გაჭირვებული ბევრი,
სიღატაკე და გაუტანლობა
გვარიდე ,ამას გვედრი!
აავსე ჩემი ძვირფასი ქვეყნის
მარან-ბეღლები მთელი,
რომ იმარჯვებდეს მუდამ სიკეთე
და არ ხარობდეს მტერი!
გამიმთლიანე ჩვენი საზღვრები,
ღვთისმშობლის მიწა-წყალის,
ჩემი სამშობლოს დანაწევრება
აღარ აღირსო არვის!
სიყვარულია ქვეყნად საწყისი,
მითვე გვაჩინა ზენამ,
დედა-ბუნება გვიმეგობრე და
მოგვმადლე უფლის რწმენა!
....კეთილი იყოს შემობრძანება
წელო ახალო შენი.

შენზე ვილოცებ...

გულში ჩაგიკრავ,
მოგეფერები,
შენს მხარზე დავდებ
ჩემს თავს ანაზდად,
მე რომ უშენოდ
აღარ ვივარგებ,
ეს აშკარაა,
ხვდები შენც ალბათ.
გულში ჩაგიკრავ,
შემოგხვევ ხელებს,
მაგრად ჩაგიკრავ,
მოგეფერები,
დრო გადის ჩქარა,
ისეთ სისწრაფით,
ხვალ იქნებ აღარ
ვიყო, ვერ ხვდები.
შენც ჩამეხუტე,
აღარ გამიშვა,
ჩემი სუნთქვა ხარ,
ჩემი სიცოცხლე,
ერთსა გთხოვ მხოლოდ,
მუდამ გახსოვდეს:
უკანასკნელად შენზე ვილოცებ

ფიფქთა მეჯლისი...

თოვლი მოსულა და გულშიც უთოვია,
თეთრში გახვეულა სულმთლად არემარე,
მე შენზე ფიქრებში ღამე მითევია,
ამის მოწმე არის ცაზე ბადრი მთვარე.
თოვლი მოსულა და როგორ გატრუნულან,
ქუჩაში შეცივნული ხეები გარეთ,
ჩუმად, უხმოდ ტირის გული განაწირი,
ცრემლების ტბაში ცრემლი ვერ დავთვალე.
თოვლი მოსულა და უკვე მერამდენედ,
გავხედე სარკმელს, რაღაცის მოლოდინით,
თმებიც დამეთოვლა, უკვე რა ხანია,
ისევ შენზე ვფიქრობ, შენგან განაწირი.
თოვლი მოსულა და გულშიც უთოვია,
ჯერაც დამზრალია გული გაყინული,
გარეთ ხომ ისეთი სპეტაკი თოვლია,
თვალი მიჭრელდება, ლოდინს შეჩვეული.
თოვლი მოსულა და გულშიც აღარ თბილა,
სული ვეღარა გთმობს,აღარ ემეტები,
თუმცა,ისიც იცის, სულმა ღრმად დაჭრილმა,
რომ არ იოცნებოს ტყუილ იმედებით.
თოვლი მოსულა და ფიფქებს შეერია,
ფიქრთა მთელი დასი, თეთრი ფიფქ-პეპლები,
მერე ქარმა უცებ ხელი წამოჰხვია
და არ დააყენა ადგილს ეს ფიქრები.
თოვლი მოსულა და ფიფქთა მეჯლისია,
ცამდე აჭრილ მზერას სადღაც მაინც წვდები,
უფალს მივენდე და ვცოცხლობ იმ იმედით,
სინანულს მოგგვრის გონი ღვთისმიერი.
თოვლი მოსულა და
ფიფქთა მეჯლისია....

იღვიძებს ბუნება...

მარტი შემობრძანდა, ვიგრძენით სურნელი
ახლადგაღვიძებულ მიწის,
თავი შეგვახსენეს ნაზმა ენძელებმა,
გული დაუპყრია ნარცისს.
მრავლად ამოსულან ტყეში ყვავილები
ყოჩივარდები და ია,
ეს ვინ ამიმღერა გული სხვანაირად?
-დიახ,ეს მიმოზებია.
მალე შემოგვცინებს იასამნები და
ტიტაც შემოაღებს კარებს,
წითლად იბრდღვიალებს ნორჩი ზიზილები
და გაგვიღიმებს კესანე.
ვიმარტ- ვიაპრილებთ ამასობაში და
ვარდიც აფეთქდება მალე,
მდელოს მოგვიჩითავს ყაყაჩოც, შროშანიც,
პიონიც მოგვადგება კარზე..
და ასე ლამაზად გავიგაზაფხულებთ
გვირილაც დაგვიწნის გვირგვინს,
ყვავილთა მეჯლისი უთუოდ გრძელდება
და გულიც თავისას იტყვის:
ღმერთმა დაგილოცოთ ყველა გაზაფხული,
ვარდები გიფინოთ გზაზე,
მუდამ იზაფხულეთ ჩემო მეგობრებო,
მე ისევ თქვენით ვარ სავსე.

ანდრია, ანზორ შერვაშიძე - სამთო გიდი
დაბადების ადგილი მესტია

სვანური პეიზაჟი

დილით ყვავილთა ღიმილი
ნამის ბრჭყვიალა მძივებით
მზე რომ სათუთად ეხება
ცხოველმყოფელი სხივებით
ნიავი აასაუბრებს
ფოთლებს იდუმალ ჩურჩულით
კოშკების ქონგურებიდან
ისმის მერცხლების ჟღურტყლი
ტყე მოიბურავს პირსახეს
რძისფერი ნისლის რიდეთი
ნახირი ფერდობს შეჰყვება
ბალახს ძოვს კრძალვა რიდებით
ნისლ შემოფენილ ტყეებს კი
ჩუმს და მისტიკით გამმსჭვალავს
მგლის სევდიანი ყმუილი
უეცრად გულში გასჭვალავს
ღრუბელს რქით ეხახუნება
ჯიხვი კლდის თავზე შემდგარი
ნამი ღრუბელად ქცეულა
დილის მზის სხივზე შემშრალი
მდინარე კლდეზე ჩაშლილა
ქისტი აღაზას თმებივით
ქშენა-ღრიალით გზას იკვლევს
ყრია ლოდები მთებივით
კლდეებში ღრმა უფსკრულია
დაღმა ჩაჰყვება არხივით
მტრის დამარცხებას ასწავლის
აქ თავის მართვეს არწივი
საღამოს წვიმა წამოვა
დედის ცრემლივით კამკამა
თითქოსდა ზეცის ტატნობი
თავის სამყოფად არ კმარა
მერე კი ბინდი ჩაწვება
სიბნელის წინამორბედი
ფრთისქვეშ თავს ამოიდებენ
სისხლით გამძღარი ორბები
თვალს გაახელენ ვარსკვლავნი
ვერ დაიმკვიდრებს სიბნელე
ძილს მიეცემა სამყარო
სულის სიმხნეს და სიმთელეს.

* * *

მინდა რომ რამე ლექსი დავწერო,
ვეღარ გავართვი თავი ტაეპებს,
სათქმელი მინდა რომ არ გავწელო,
თან რითმა რითმას კოხტად დაემთხვეს.
    რატომღაც მუზამ დღეს მიმატოვა
    და სხვის კალმისთვის გაიღო მადლი,
    როგორც ჩანს ჩემზე მდიდარი ნახა
    და მე ამაღამ უმუზოდ დავრჩი.
მე კი პოეტი მეგონა თავი,
გრანდიოზული ლექსების მწერი,
ახლა კი ვხვდები ის მკარნახობდა
და მე კი თურმე უბრალოდ ვწერდი.
    მუზა ქალია, მე ასე ვიცი
    და აქვს ქალური ყველა თვისება;
    არის ნაზი და ოდნავ გულცივი,
    შეუცნობელი, მკაცრი, თავნება.
არის თუ არა მუზა ერთგული?
ერთგული არის თავის სურვილის,
ამაღამ მივხვდი და შევიცანი
ვინც თვალს ჩაუკრავს იმას უღიმის.
    პოეტის ლექსი მუზას ეძღვნება,
    მუზისგანვეა შთაგონებული,
    გუშინ ვიყავი მისით გამთბარი,
    დღეს კი სიცივით გაოგნებული.

* * *

პეგასს გავხედნი, ზევსს მოვპარავ
                    თავის ბედაურს,
ორიონივით ავედევნები
                    მე შენს ნაკვალევს
და არ მადარდებს თუ შემხვდება
                    სადმე გორგონა
და გამაქვავებს ღამენათევსა და
                    ნამთვრალევს.
ყველას განვგმირავ, გადამიდგება
                    ვინც სავალ გზაზე,
სვანთა ტომმა რომც მომკვეთონ
                    სულაც თემიდან
ან მიმაჯაჭვონ კავკასიონზე
                    როგორც პრომეთე,
თუ გნებავს სულაც გამასამართლოს
                    თავად თემიდამ.
მე გაგიტაცებ ვით პერსეფონე
                    გაიტაცა ოდეს ჰადესმა
და ვერ მომილბობს გაყინულ გულს
                    დემდტრას ცრემლი,
მე სამყაროში ერთადერთი
                    მიღელვებს გრძნობას:
შენი ნათელი და ცისფერი
                    თვალების ეშხი.

* * *

    როგორ მეცნობით ღრუბლებო,
    თითქოს ჩემს გულში ტრიალებთ,
    გამსგავსებთ ჩემს დარდს და ტკივილს
    გულში მუდამ რომ რიალებს.

    წვიმად ცრემლები მომსვლია,
    თვალებში ხშირად ციალებს,
    ელჭექსაც ბევრჯერ განვიცდი,
    ზოგჯერ მეხიც კი გრიალებს.

* * *

აჰყოლიან ქარს ფოთლები
შემოდგომის,
თავს სწირავენ ასრულებენ
სიცოცხლეს,
ნაწვიმარზე მზემ ღრუბლები
გაფანტა და
დედამიწა სითბოში გულს
იოხებს.

აჰყოლიან ქარს ფოთლები
შემოდგომის,
მოდიოდა ნაწვიმარზე თეთრი
ქალი,
მოდის, კაბას და ქერა თმებს
უფრიალებს
მკრეხელობდა, თავნებობდა ურჩი
ქარი.

მის ნაბიჯებს, მიხვრა-მოხვრას
მანერებს
ვაკვირდები, ჩანს უზომო
სინაზე,
ვერვაცილებ თვალს, უყურებ
გაოცებით,
ანგელოზი დადის დაბლა
მიწაზე.

* * *

მზე რომ გადმოშლის მთიდან დალალებს,
სამყაროს მოჰფენს მადლიან მზერას,
ფუტკარი ყვავილს მკერდს მოუშიშვლებს,
გლეხი დაიწყებს ღიღინს და მღერას,
ჯიხვები მწვერვალს რომ დალაშქრავენ,
არწივი ზეცას შეუმტვრევს კარებს,
სვანი მთაზე მდგარ საყდართან მივა
და მოწიწებით შემოჰკრავს ზარებს.
როდესაც ჩიტი გაიწყობს ბუდეს,
თავს აწონებენ ქალ-ვაჟი ერთურთს,
გახელებული კალმახი როცა
აღმა აჰყვება მძვინვარე ენგურს.
ქარი ჩემამდე მოიტანს როცა
ნაზ და სევდიან ჭუნირის ჰანგებს,
გული მკერდს ლამის შიგნიდან ანგრევს
რაკი ვერ უძლებს სიამეს ამდენს.
როგორაც ველზე ყაყაჩო ნაზი
მიწიდან წითლად ამოფეთქდება,
სწორედ ასევე ჩემი გულიდან
ლილეო მისით ამომღერდება.
მუხლებზე ლოცვად ვარ დამხობილი,
გულზე საკინძე ჩამოხეული
ის ჩემში არის: ჩემი სამშობლო
და მე მასში ვარ გამომწყვდეული.

* * *

გარეთ ქარია მკაცრი, მძვინვარე
და ქარში ხეთა სასტიკი ღელვა,
ო როგორ ძლიერ მომნატრებია
შენი თვალების ცისფერი ელვა.

მეც ვუერთდები ფოთოლთა ღელვას,
სახეში მირტყამს წვიმა და ქარი,
შენ ხარ აქამდე რასაც ვეძებდი,
შენახარ ჩემი ოცნების ქალი.

* * *

სვანური ქუდი მახურავს,
ღვთის ჯვარი მადგას თავზე,
გულში სიკეთეს ვერ ვიტევ
როგორ ვიფიქრებ ავზე?

მე იმ კლდეებმა გამზარდეს,
ნისლებში რწევით აკვნის,
სივრცეა ჩემი სახლკარი
კარი არააქვს საკნის

სახურავად მაქვს კოსმოსი,
ნაჭედი ვარსკვლავთ ჯარის,
ხან მზე მიღიმის ხან მთვარე
დროც კი არამაქვს ჯავრის.

ხან ჭუნირს ავაჟღერებ და
ხან კი დაუკრავ ჩანგზე,
ხან ლოცვას წავიღიღინებ,
ხან წინაპართა დარდზე.

იქვე არწივი შეჰკივლებს,
გადიფრენს ფრთების ბათქუნით,
ხან ბანს მეტყვიან კლდეები
ექოს ჯიხვთა რქის ჯახუნის.

ვდგავარ სამშობლოს ქავ-ციხედ
გარს შემორტყმული ფარად,
შეუალია ეს ციხე
ჩემი მკერდი აქვს კარად.

* * *

ლექსი კი არა, ლექსად დამწერა,
რითმებით ნაზად მომაპირკეთა,
და სტრიქონებად სტროფში გამწელა,
თან კალმის წვერით მომეპირფერა.

თანაც შემამკო, ათას ფერებად,
გაზაფხულებად, შემოდგომებად,
სიხარულებად, სევდის ფენებად,
მისი თვალების შემოფეთებად.

შემდეგ კი მკითხველს ხელში მიმართვა,
--- მოგეწონება --- უდგას თავდებად,
მკითხველო ,როცა ლექსს წაიკითხავთ,
ჩემი სიცოცხლე ამით თავდება.

* * *

ფერფლისგან ცეცხლი არ ჩნდება,
მაგრამ ნაკვერჩხალს ინახავს,
ნაკვერჩხლისაგან შობილი
ხანძარი ბევრჯერ მინახავს.
კაცი რომ დაინაცრება
გული ნაკვერჩხლად ციალებს,
სწორედ ეს გახლავთ რისგანაც
ხშირად ხანძარი ბრიალებს.
ქართველის გულიც ასეა,
ის დაუთრგუნავთ ხვიარებს,
მაგრამ ქართველი ცეცხლია
მტერი ვერ გაგვატიალებს.

* * *

იქ სვანეთში ბავშვობაში
ხანა მედგა ბედნიერი,
მომენატრა ის სოფელი
ჩემი ტურფა მაჯვდიერი.

დილის ნამი ხელპირს მბანდა,
ნიავი ფრთას მკრავდა თმაზე,
არე - მარე ყუჩდებოდა
მგალობელი ჩიტის ხმაზე.

ჩემ სახლისწინ მსხლის და ვაშლის
მოშრიალე ფოთოლთ ნანა,
ისეთ სითბოს ღვრიდა გულში
როგორც დედის იავნანა.

მომენატრა თეთრი ლაფშა,
ჭიხვინებდა რაშისდარი.
მომენატრა შუბლზე კოცნა
შრომით დაღლილ ლაბა ხარის,

მომენატრა ძაღლის ყეფა
ალბასი და თოლიასი,
ნადირთ სუნზე რომ შფოთავდნენ,
მათი ღრენა ფორიაქი.

იქ ვისწავლე ლაპარაკი,
იქ ვისწავლე სიარული,
შევიცანი ღმერთის რწმენა
და სამშობლოს სიყვარული.

იქ მომინდა სულ რომ იყოს
ჩემი ერი ბედნიერი,
რომ სამშობლოს გულად ფეთქდეს
ჩემი ტურფა მაჯვდიერი.

* * *

ნეტავ თუ შესძლებს
სიტყვის ოსტატი
ეს განცდა სრულად
გამოთქვას ნეტავ,
როცა ერთი გყავს
სამყაროს ცენტრად,
როცა ერთ ქალში
ყველა-ფერს ხედავ.

* * *

დრო გადის უმოწყალოდ
და ნელ-ნელა ბერდები,
ახალ დროის მოტივებს
ვერ იგებ და ვერ ხვდები,
ვეღარ გუობ იმ მოდას
რაშიც ვეღარ ერკვევი
და ცხოვრების სიშმაგე
გიღრენს როგორც ცერბერი.

* * *

ოდესმე ალბათ,
როცა მივალ სტიქსის ნაპირთან
და ხურდას მომთხოვს
გადასასვლელად მე ბრმა მ ე ბ ო რ ნ ე,
კიდევ ერთხელ გამახსენდები
და დავფიქრდები,
ნუთუ არახარ ის ვინც ასე
მწამდი, მ ე გ ო ნ ე.
კვლავ მოვიხედავ ერთხელ
უკან სუსტი იმედით,
რომ იქნებ სადმე თვალი მოგკრა,
რომ ხელს მ ი ქ ნ ე ვ დ ე,
ჩავეჭიდები ხავსს და
მანამ ხელს არ გაუშვებ,
სანამ თითებს არ დამიკბენს
გველი ი ქ ე დ ნ ე.
მერე მებორნე ნიჩაბს მოუსვამს
და გავცურდები მღვრიე ტალღებზე,
დიდი პატივით მიმიღებენ
შავბნელ ჰადესში,
ავი ცერბერიც თავებს დ ა მ ი ხ რ ი ს,
მერე მაცილი ტანთ გამხდის და
სულ გამაშიშვლებს,
აქ ვერაფერს ვერ შეიტანო
ჩუმად ა მ ი ხ ს ნ ი ს.
მხოლოდ შემყვება იმ ჯურღმულში
შენზე ოცნება,
გამიადვილებს შენზე ფიქრი
იქაურ ყ ო ფ ა ს.
დამიჯერე ჩემო ძვირფასო
სიკვდილი მიჯობს,
ამ მზისქვეშეთში სუნთქვას მაგრამ
უშენოდ ყ ო ფ ნ ა ს.

* * *

დღეა თუ ღამე, წვიმა თუ დარი,
დაგეძებს მუდამ ჩემი თვალები,
ოჰ სიყვარული ცეცხლი ყოფილა
გულს მიბუგავენ მწველი ალები.
  მე ხან მთვრალი და ხან ნამთვრალევი,
  დავალ ქუჩებში მარტო, ეული,
  თოთო ბავშვივით ქვითინებს გულში
  ეგ სიყვარული ობლად ქცეული.
შენ წმინდა ხატო შენზე ვლოცულობ,
შენ დამავიწყე ირგვლივ ყოველი,
შენგამო მიყვარს მე შენი მცხეთა,
ჯვრის მონასტერი, სვეტიცხოველი.

დ ე დ ა

ხარ ღვთაებრივი მადლით მოსილი,
და გაქვს ფიფქებზე სპეტაკი სული,
არის ყველასთვის სიკეთის მდომი
შენი თბილი და მთრთოლვარე გული.

შენი ღიმილი აისს მაგონებს,
რომ აირეკლავს სხივებს მინაზე,
ანგელოზი ხარ სამოთხის მკვიდრი,
რას შეგადარო დედა-მიწაზე.

ნათია ჯიქურაშვილი
ფილოლოგი, ჟურნალისტი

ბორჯომს!

მე ხომ იმ მთიდან ვარ, იმ მიწიდან
სადაც არწივები ლაღად ფრენენ,
სადაც საქართველოს იალაღი
ცხენის გაჭენებით გაგახელებს.
აქ ხომ "ბორჯომულა" სათავიდან
ლამაზ იავნანას ქვებზე ადნობს
და მტერს მოყვრულად და სალამითაც
მაინც მკერდში იკრავს საარაკოდ.
რწმენას ფოთოლეთის მონასტრიდან
ზარის რეკვის მადლი ცამდე მიაქვს
და იმ ბატონ-პატრონ ავალიშვილს
დღემდე თუ კლავს მუშტად შეკვრის ჭიაც!
ძველი თორი აწი სანახია,
გმირი წინაპრების ბრძოლის ნაშთიც,
და დღეს მის ფესვებზე ბორჯომია
ყლორტად ამოზრდილი ქვეყნის თვალი.
ძარღვებს გადაგიგრეხს მიწის ტრფობა,
ის სხვა სიყვარულთან აბსურდია,
ზოგჯერ სიკვდილიც ღირს თუ მეოხად
და ეს მსხვერპლგაღებაც სათუთია.
ყველა სალოცავი ძალას გმატებს,
აქ თვით ღვთისმშობელიც გევლინება,
გიმზერს კედლიდან და ღვთიურ თვალებს,
შველა, სათნოებაც ეფინება.
აქ ხომ ღვთის მიწიდან ამბროზია
წყალი ამოსულა საკურნებლად,
გომის მთის გულისპირს აწერია:
წრფელი სიყვარული არ სრულდება...
წყალი წავა და ჩაივლის საუკუნებს,
მიაქვს სიბოროტის კბილთა ღრჭენაც,
მაინც სიკეთემ თუ გაიმარჯვა,
მაინც სიყვარულმა აგვაშენა.
დღემდე მოდის ტურფა და კოპწია
ედემს ამოზრდილი ნაზი ია,
პეტრეს, გოგიას და სალის ციხეს
ცაში ცეცხლის ალი აუნთიათ.
ქართველს დაუცია აქ კარავი,
გმირი მეციხოვნე ზღაპარს ჰყვება,
ჩემი ბორჯომია ის ქალაქი,
სადაც საქართველოც კი იწყება.
ჰოდა ამ ციდან და ამ მიწიდან
ვალი წინაპრების ხარკად მაწევს
და თუ ყველაფერი ვერ ვთქვი, ვფიცავ
ამ ერთ სიცოცხლესაც შემოვავლებ!

/მიდის და მოდის.../

დრო ბედაურის უნაგირს იდგამს,
ჩემი ცხოვრების წუთით თარეშობს,
ყოფა სულ მსურდა იმ ასტრალიდან:
შეჩერებული წამი გამეგო...
აქ კი წამები მხოლოდ გარბიან
და მეც ჯიუტად არ ვედევნები,
სიცოცხლეს დაცლის დრო თუ ავყია,
წვეტილ ვარსკვლავად ჩავიფერფლები.
ამ სულის მინდვრებს დარდიც ატყვიათ,
როგორც მიწაზე თოვლის ლანქერი
და როცა ყოფას ყოფა არ ჰქვია,
დახუჭული მაქვს ცაშიც თვალები.
და მივალ...მივალ მკერდში მზეს ვანთებ,
სიბნელესაც აქვს შუქის მანტია
ამ გულს სისხლივით გავიღებ სადმე,
როცა უფალი თვისად წამიყვანს.
მანამდე ვტოვებ კლდეში ამოსულ
იის იმედს რომ რწმენა ვიპოვოთ
და ვინმეც ჩემით აივსებს იმ გულს
რომ ქარტეხილში გაძლოს, იცოცხლოს!
და ამის მერე არ მეშინია...
დაე, მე ვიყო ტარიგი დროის
ადამიანობს ჩემი მისია
საშველად ჩუმად მიდის და მოდის...

პოეტური მისტიკა

გულს შეეყარა მგონი ციება,
ჰიპერბოლებთან აღარ თარეშობს,
დღე დღეს კალენდრის ფურცლად მიება,
უწყვეტობისკენ გზა რომ გამეგნო.
მევლო მარშით და ხან ფეხის წვერზეც,
ვინ როგორ ირჩევს ყოფის არეალს,
პოეტი ოდნავ ნაკლები ღმერთზე,
მისი ხატი და მისი ძვალია.
სანთლისკენ იწევს ფარვანა - შიშით?
სიკვდილის იცის გარდუვალობა,
პოეტის ბედი ჯვარცმაა შვიდგზის
და მოსვლა შვიდჯერ არის წყალობაც.
თეთრ ღამეებთან საკინძეს იხსნის
სულის მინდვრები რარიგ ჩქროლავენ
და ლექსი ზოგჯერ მთვარესთან იწვის
და ვარსკვლავები ამ დროს ოხრავენ.
ერთგული რჩება პოეტი რარიგ
იმ ემოციის, რაც გულს დავანდა
სადღაც ცის იქით ჩაესმის ფიციც:
იქნებ დაბრუნდე? ნეტავ სადა ხარ?
ის კი წამებთან მებრძოლი არის,
ტორეადორი "ოლეს" ძახილით
სიკვდილსაც მედგრად აძგერა წამი,
სისხლის დაღვრის და მოსვლის წადილით.
უსაზღვროების არის მეგზური
ამ სივრცე- დროში პილიგრიმს მოჰგავს
და საცერივით ჩამოცლილ დროით
წავა და... ყოფაც გათავდა მორჩა.
და თუ ცის იქით ხვდება ნაცნობი
აქ პლანეტები მასში სახლობდნენ
ბედნიერებას ნახავს განგრძობილს,
ის მიეახლა თავის მნათობებს.

გოგონას მკვლელობის საპასუხოდ!

დღეს თუ არ, ხვალ თუ არ, ზეგ მაინც
შუბლში გვაჭედებენ ცხელ ტყვიას,
ყოფაა მგელი და მურტალიც
და ითხოვს სიცოცხლეს საწირად.
თვალს არ ახამხამებს მავანი,
სულში გეენა აქვს, შხამიც კი
რა გზაა ეშმადან ჯვარცმამდის
პირიქით ნეტავი ვინ იცის?!
სიცოცხლე ასეთი სულმფენი,
სამყაროს ტოლი და საფასე,
ერთ წამში სრულდება მეხივით
სიკვდილი ხელს აწერს განაჩენს!
ცის იქით მიგყვება ტკივილი,
ცრემლი გულის სისხლად გაიღე,
ყველა ჭრილობიდან სულ მიწყივ,
სიცივის ცვარისგან აივსე.
და ვაი, სამშობლოს უკვდები,
გოგონა ლამაზი, სულსავსე
ვინ მოგვცა მითხარით იმდენი
შვილი რომ სიკვდილსაც დავუთმეთ?!
და ყველა გარდასვლა ცის იქით
მიწას აღმოხდება თუ კვნესად
ძარღვებიც უსკდება სიმძიმს,
ღვთისმშობლის მსგავსია ის დედაც...
ასტკივდა ყოველი სამსჭვალი
 რა ქნას, რა წყალს მისცეს დარდები?!
ხორცი და სული აქვს ნატანჯი
ტირილი... ტირილი ვერ შველის!
და ამ დროს ეშმაკი ხარხარებს,
გულზვავობს და ბოროტს ამეფებს
ავწიოთ... ავწიოთ ხელები
სიცოცხლეს თუკიღა გვართმევენ!
დანდობა, შენდობა დღეს თუ ჭირს
საკუთარ ნაჭუჭსაც ვერ ვცდებით,
დღეს თუ, არ ხვალ თუ არ, ვინ იცის...
სიკვდილს ჩვენ ამგვარსაც შევხდებით.
განგაში, ზარის ხმა არ კმარა,
დღეს ყოფა რაკი სულერთია
და თავში დამჯდარა სატანა,
სიკვდილის ცელი რომ უპყრია.
ტოტიას სიმწრისგან ცრემლი სდის,
მარტო ახალგაზრდებს არ კლავენ,
ცხოვრება მგელია გეშილი
და ბრჭყალებს კვდომით თუ გვანახებს.
დღეს თუ არ, ხვალ თუ არ, ზეგ მაინც...
შუბლში გაჭედებენ ცხელ ტყვიას,
ურემი შენს კარსაც მოივლის,
იცოდე სიკვდილსაც არ სძინავს.

* * *

ლექსი ხან სულივით ცისკენ,
ზოგჯერ პეპლის ფრთათა კრთომის,
ვისთვის აღზევების კიბე,
იქნებ განაჩენიც კვდომის.
ძარღვებს გადავუხსნი რადგან
ის მე დაბადებად ვიგრძენ
და სიკვდილის მერეც, ალბათ,
ჩემს წილ სიცოცხლესაც მივცემ

თებერვლის თოვლი

აიშლებიან მთებზე ნისლები,
მწვერვალის ყელზე მძივი სადაფის -
ბროლისფერია, თეთრი ქალი წევს
და იხდის ტანზე თითქოს ზამთარი.
ჩრდილავს ღამესაც ვარსკვლავებიანს,
შავ-ყვითელ ფერებს ნეტავ ვინ სწყალობს?!
და წევს კლდის ქიმზე ქალი რა ქალი,
ცისკრისფერია მთელი სამყაროც.
მთვარეს ამბორი მონებდა უცებ,
ზამთარი ურცხვად ფიფქებს გაიშლის
და საკოცნელად მოკუმავს ღრუბლებს
ტანაშოლტილი თეთრი ქალივით.

სანამ...

მოვალ და მოგიტან გაზაფხულის
ყველა ფერში ჩაწნულ აღმაფრენას,
ტანზე შემოვიცვამ გარდასულის
ლამაზ ღიმილსა და აფეთქებას.
იქნებ იასამნის ყვავილთ ჩქერში
ჩემი სურნელიც კი გაიფანტოს,
ღამემ გაიშალოს შავი თმები,
მერე თეთრი მტრედიც დაგემალოს.
ყველგან აღმომაჩენ სულით მზირალს,
სხეულს შემოვძარცვე აღტაცება,
მკერდზე გაზაფხულსაც თუკი სძინავს,
ძალას მოიკრებს და ამღერდება.
სულის სიმებს ბწკარად თუ აგიშლი,
ლექსის მიზეზად და დაბადებად,
სანამ ამ მიწაზე ერთად ვივლით,
გრძნობაც არასოდეს დამთავრდება.

სინაზე წვება სათუთად მერე
და ეპარება ღამეს სითეთრეც,
ამეტყველდება კლდე მხოლოდ ერთხელ
და დაიცლება ვაჟურ სიშლეგედ.
შავ თვალებს ნაბავს ზამთარი ფიქრით,
როცა ფიფქები მასაც ტოვებენ
და მიწა ხდება კვლავ მარგალიტი,
თოვლივით ქალის თუ მეოცნებე.
ფიფქი ეშვება ციდან თარეშად,
რომ მიწამ იგრძნოს ბროლის მკლავები
და ჩაიხუტოს მკერდში ძალუმად,
ქალი ხელი-ხელ საგოგმანები.

თემურ წიკლაურის ხსოვნას!

არწივს სიკვდილიც უხდება
ის თუ მეფური იცის,
მწვერვალს ტკივილად ადნება
და სამუდამოდ მიდის!
ტოვებს სინათლის ნაბიჯებს,
ყელში ბულბულის სტვენას,
სიცოცხლის ყველა ჩქამს ისმენს,
მერე სიკვდილსაც ხვდება.
შენ აგამღერა ტკივილმაც
სისხლის ცრემლებად კვდომის
და გულში ბევრგზის იწვიმა
დარდთან მოიგე ომიც!
ხმები აჰყარე სამყაროს
დააბუბუნე მეხად
და საქართველოს სდარაჯობ,
იქაც წასული ღმერთთან.

პოეზიაა...

პოეზიაა ირგვლივ ყოველი
და ის შენს სულშიც თუ იტოტება
მორჩი მოქნილი, ძელი ცხოველი
მარადისობის ამაოება.
და წურავ ლექსის ცურებს ბწკარებად,
შენი ცხოვრებაც მას თუ მიება,
სული მძიმდება ათას ჯვარცმებად
და აღდგომისთვის გახვალ გიენას.
და ყოველ ჯერზე გულზე გადავლილ
ურემს შესცქერი, გატკინა როგორ...
და შენ კი...შენ კი მიხვალ არსაით,
თუმც ლექსში რჩები ბოლოს და ბოლოს.
ამ ერთგულებას ვერ არქმევ სახელს,
შენამდე ბევრმა თუკი იალა
და უფალს შესთხოვ შენივე ნაფერს
ბწკარები შერჩეს სუფთა, კრიალა.
სხვანაირად ხომ გულში ღმერთს იცი,
ვეღარ ატარებ, წავა შენიდან
და გზები თუკი ტაძრისკენ მიდის,
ვიღაცა გლოცავს სადღაც ზევიდან.

და მაინც...

პროგრესს თავისი მოაქვს ბრჭყალები,
ხელოვნურობის მზარდი თამასა,
აქეთ სინჯარა ჰბადებს სიცოცხლეს,
იქით რობოტი შენთვის მზადაა.
და ინტელექტიც ალგორითმებით,
გიცქერს და ხვდები გონით სრულდები,
ალბათ, სულ მალე ამ დედამიწას
როგორც მოკვდავი არ დასჭირდები.
შექმნის სრულყოფილ მეტალის კორპუსს,
ღილაკსს ერქმევა სახელად გული
არ მოუნდება ასე სისხლსავსეც
ადამიანად ყოფნის წყურვილი.
არ გაახელებს სულის სილაღე,
მისგან შექმნილი ლექსი, სონეტი
ისეც ანაცვლებს, ისეც ჰკარგავს ფერს
ხელოვნურია ზოგჯერ გრძნობებიც...
და იმ საზარელ უგონო ჟღრიალს,
დადგმულ ანშლაგებს, მიეთ-მოეთსაც
მათ შორის მაინც სათუთს და წმინდას
რა ფერი დარჩა ახლა ჩვენს ცრემლსაც?!
ტკივილის მერე გუგებთან დგება
და სადინარი არ სურს იპოვოს,
გულში ღარები ამხელენ სევდას
და ზოგჯერ თვალიც ტირის უცრემლოდ...
სამყაროს ფასი არის ეს ხილვა,
რა საწყაოთი უნდა ავწონოთ?!
და თუკი ამგვარ ტკივილად ვღირვართ,
ადამიანებს ვგავართ, ბატონო!
თავისი ცოდვა-ბრალით და გზებით,
დასასრულისკენ ნუღარ წაგვიყვანთ,
რაც უნდა შექმნათ, რაც უნდა შეთხზათ
გულწრფელ ცრემლს მაინც ღმერთის ფასი აქვს!

პოეტესას" ქმარი

ხშირად დარდებია უწყინარი,
ზოგჯერ ღვარცოფია, ლექსად ზვავობს
თუ გსურს "პოეტესას" იყო ქმარი,
ბწკართან სულ იქნები საზიარო.
სული ჩუქურთმებად სინაზეს წნავს,
არილს ათამაშებს გონის ზღვასთან,
ციხეს აუღებელს სტროფად შეთხზავ
მერე კვლავ დარჩები მარტო თავთან.
უნდა შეეჭიდო მეხთა ტეხას,
გულში ვარსკვლავებად დამსხვრეულა,
ზოგჯერ გმირობაა ჭირთა თმენაც
ლექსში თვით სამყაროც ჩატეულა.
მხარი მომადე და გულის ძგერას,
რითმის რიკულებში გაიგონებ,
ჩემგან იქნებ სხვა რამ არც კი რჩება,
ლავის ამოთქმაა საპირწონე.
მკერდში სულ ათასი ფერებია,
ცისკრის უცაბედი გაჭენებაც,
ნისლებს მწვერვალებიც შეჰრევიან,
გულის ნაჟურად და გახელებად.
თუკი მისანი ვარ და ფუნჯს ვირჩევ,
ვხატავ სულის მინდვრებს ლექსის ქარგში,
ჩემი ცოდვა-ბრალით თუ გამიძელ,
მიტომ გერქვა პოეტესას ქმარი.
დროსაც უსაზღვრობის ელფერს ვძენდი,
ალბათ, მეც როდესღაც დავსრულდები,
"იგი" იგიშია და ცა მეტიც,
ქარაფს დაძინების გავუყვები...
მაგრამ დაგიტოვებ გაზაფხულებს,
განცდებს რომლებიც არ ბერდებიან,
თვალებს ამ სამყაროს ნათელ ჭრილებს,
შენი შეხებით რომ ღმერთდებიან.
მერე იად მოვალ მიწის გულზე,
ათას აპრილებთან ზავსაც დავდებ
ოღონდ შენ არ უნდა დამიღონდე,
ქვეყნის პულსთან ხელსაც თუ დავადებ.
ზოგჯერ თვალთა ცრემლის მდინარება,
ათას გულისტკივილს აიწონის,
ამ დროს სიხარულიც იბადება,
ლექსად ყველა ტკივილს დაგიკოცნის.
ვინძლო დარდებია უწყინარი,
ზოგჯერ ღვარცოფია, გულშიც ზვავობს
თუ გსურს "პოეტესას" იყო ქმარი,
ბწკართან სულ იქნები საზიარო.

ზრუნვაა დედა...

ზოგჯერ დედობის მადლს სხვა გაგიყოფს,
შეგეხიდება ზრუნვით...
ყოფას ალერსით, რწმენით გაგითბობს
დაგიმშვიდდება გულიც.
დედა ხომ მარტო სიტყვა არ არის,
ის მთელს სამყაროს იტევს,
რარიგ ტკბილია ა, ის ამაგი
და თავგანწირვაც იქნებ...
თუკი ეს განცდა სხვაში იპოვე
და ის სალბუნად გექცა,
მკერდში ჩაიკარ, გულით შესთხოვე,
დიდხანს გიცოცხლოს ღმერთმა...
დედის თვალებით ისიც ხომ გიცქერს
აღარ დაეძებ დედას,
თავსაც უტყდები, გულსაც არ იტეხ,
იცი, ზრუნვაა დედა!
ამ საზომიდან, ამ სარწყაოდან
თქმას და გამხელას ბედავ,
როცა იქნები დიიიდი, ცისტოლა
ზრუნვით რომ იყო დედა...

ეთერ ბერიშვილი - ეკონომისტი
დაბადების ადგილი ქუთაისი. (ემიგრანტი)

* * *

სანთელს ვანთებ ხატის წინ,
დარდი ლამის მომიკვდეს,
სიყვარულით ხათრები,
ტკივილებად მოვიმკე.

გულმა გული ნათლელი,
წინ შეჭმული დამიგდე,
სიმართლისთვის სასჯელი?!
იქნებ ცოტა დაფიქრდე.

ღიმილს ძალით დავათრევ,
გული აღარ ტიტინებს,
ღმერთი თუ გამამართლებს,
მაშინ მართლა ვიტირებ....

ბოღმას არ ვემონები,
არ დავუგებ ლიანდაგს,
მაინც იმად დავრჩები
ვინც მთვლის ადამიანად.

იმ გადაღლილ საღამოს,
ნაწვიმარი ფანჯრებით,
კვლავ გაგიხდი საამოდ
გამოწვდილ ყავარჯნებით.

მერე ისევ შორიდან,
ლოცვას სულში ჩავიცვამ,
თუ გინდ ღმერთმა ორიდან,
მომკლას და არ დამიცვას!

მზის სხივებით მოქარგულს,
გისახსოვრებკარავებს
რომ ლამაზად მოარულს,
სულ ღვთის ლოცვა გფარავდეს!

* * *

ღამეა ირგვლივ და მოუცავს სული სიჩუმეს,
აღარც ფიქრები, აღარც სევდა, აღარც ცრემლები,
მე უშენობით გულს ტკივილი სულ ვერ ვიყუჩე,
ხვალ განთიადსაც ვიცი, ალბათ, ვეღარ შევხვდები.
არ მკითხო - რატომ, ან რად დამაქვს გულით დარდები,
რაც იყო გუშინ, ის არასდროს არ დაბრუნდება,
მე სიყვარული ერთი მწამდა, ერთხელ ახდენით,
მაგრამ ის აწი აღარასდროს არ ასრულდება.
შენამდე გზები ო, რა ტანჯვით გამოვიარე,
თითქოს მოვედი, გაუღიმეს ჩვენმა თვალებმა
და ჩვენი გული სიყვარულით რომ ვაზიარეთ,
მაშინ ჩამოჰკრა ბედისწერის მძიმე წამებმა.
ვერ ავიხდინე ვით ზღაპარი კონკიას ერთი,
ვერ ვიდედოფლე შენს მკლავებში და არ ასრულდა,
გასწიე სხვასთან, ალბათ, ჩემზე უკეთეს შეხვდი
და სიყვარული, მე რომ მწამდა, წამში დასრულდა.
ალი სიცოცხლის, სიყვარულის, რა უცებ ჩაქრა,
გულში ღალატის გაჩნდა ძალზედ ღრმა იარები,
ნაღალატები გული ახლა ტკივილით დამაქვს
და ცრემლიანი ცოცხალ-მკვდარი დავიარები.

* * *

ვკითხულობ გზავნილს არა ახალს, უფრო წინანდელს:
-”გახსოვს გაზაფხული როგორ რთავდა ველებს ოდით”?
თვალს ლიბრი მეკვრის ეს გზავნილი წარსულს მინედლებს
და ამიტომაც ძველი სკივრისთვის ვერ ველეოდი.

ახლა თოვს გარეთ ძლიერ ცივა, ძლიერ სუსხია,
ვკითხულობ გზავნილს და შეკითხვა ძლიერ მადარდებს,
მტევნებით სავსე ვაზი მითხარ ჯერ ვის უსხვლია,
ანდა ღვთის შვილი რად ნატრულობს რომ არ გაავდრდეს.

* * *

გათენდა, მაგრამ არსად მოჩანს ცისკრის ვარსკვლავი,
ცისფერი ზეცა დაუფარავს ღრუბლების ფენას,
მზის მოლოდინში მიწევს ახლა მე ცის თვალთვალი,
რადგან ღრუბლები მახსენებენ ტკივილს და სევდას.
ეს მერამდენედ უშენობით გათენდა ისევ
და მონატრებამ დამინამა თვალზე წამწამი,
რატომ მიყვარხარ ან სიყვარულს რატომ ვერ გიმხელ,
ვერ ვიმეორებ შენს წინაშე ფიქრით ნათქვამის.
არ ვიცი, როდის განათდება ცის კაბადონზე
და ეს ლამაზი სიყვარულიც ცად გაბრწყინდება,
„მე შენ მიყვარხარ" - ეს სიტყვები შენც გამაგონე,
დაგელოდები, ლოდინი კი არ მომწყინდება.
არ მომწყინდება უსასრულოდ გელოდო ისევ,
ჩვენ ხომ ლამაზი სიყვარული გვასულდგმულებდა,
მე მჯერა ჩემი სიყვარული კვლავ გესმის ისევ,
რადგან მე შენი სუნთქვა ისევ მესულგულება.

* * *

....წავიდა ის დრო რაც ვიყავ გუშინ,
დღეს სულ სხვა თვალით ვუმზერ სამყაროს,
ხელთ მაგრად ვიჭერ სათავეს გუთნის
და ფარ-ხმალს არც კი ვცდილობ დავყარო.
რადგან მარგუნა ღმერთმა დედობა,
უფალიც ყველა წამს მაძლიერებს,
დაბრკოლებებსაც ადვილად ვძლევ და
და ხვალინდელი დღით მაიმედებს...
ვერ შემაშინებს ქარის სისინი,
ვერც ერთი წუთით დედამიწაზე,
მედგრად ვდგავარ და არ მაქვს უფლება,
რომ არ ვიფიქრო შვილის წინსვლაზე.
ეს ერთადერთი ვალდებულება,
სადაც კი არ ვარ იქაც მიმყვება
და თუ დღეს მათ აქვთ ღირებულება,
მე ბედნიერი წავალ იმ ქვეყნად!

* * *

იცი ძვირფასო ახლა გარეთ თოვს,
გული კი ისევ შენით მზიანობს,
მინდა მოხვიდე სიზმრად ამაღამ
და სიყვარულზე ისევ მიამბო.

დაგელოდები მე უსასრულოდ,
სარკმელთან მჯდარი,ფიქრებით სავსე.
ალბათ სიზმარშიც გაგიმეორებ,
ჩემო სიცოცხლე სიცოცხლით მავსებ...

ახლა სარკმელთან ავანთებ სანთელს
და ჩავიფიქრებ ბედნიერ წამებს,
რადგან ამბობენ ყველა სურვილი,
ასრულდებაო. ამ შობის ღამეს.

* * *

ისევ მარტო ვარ, მიმატოვა ღამეში წვიმამ,
თვალცრემლიანი ჩამოვხურავ ჩუმად დარაბებს,
უშენოდ ახლა მონატრებას ძალიან სცივა,
დასასრულია? - მხოლოდ ამის ფიქრი მადარდებს.

არ მინდა დილა არც მზიანი, არც ქარიანი,
თუ წუთი არის წუთისოფლის ეს გაელვება,
იყოს გრიგალი, იყოს თოვა კვლავ ავდრიანი,
ოღონდ მეყოლე და სიცოცხლე ნუ წაგერთმევა.

ჩვენ ერთი წამით თუ შეგვეძლო განმარტოება,
ყველგან, ყოველთვის სიყვარულით ვიყავით მთვრალი
ნეტავ შემეძლოს იმ წუთების გამეორება,
არ მომეხუჭა შენთან ერთად იმ ღამეს თვალი...

რად დამიტოვე მე სასჯელად ეს სიყვარული,
ყოველი ღამით მონატრების ცრემლები მცვივა,
დღეს ვეღარ ვხვდები თუ რას ჰქვია კვლავ სიხარული,
ყოველი წამი უშენობით ძალიან მტკივა.

არ მინდა ღამე, გათენებაც არ მინდა ხვალის,
ჯულიეტას როლს ვითამაშებ - საყვარელ ქალის,
სულ არ მადარდებს, რა მოხდება მერე იმ წამით,
ოღონდ ერთსა გთხოვ, გამომიღე სამოთხის კარი.

* * *

ახლა თუ დადგა განშორების მძიმე წამები,
მოგონებები, ვიცი, ჩემთან კვლავ დარჩებიან,
ლამაზი იყო მომზირალი შენსკენ თვალები,
ხვალ კი წარსულის მონატრებით ატირდებიან.

* * *

გახსოვს? - იმ ღამით მივყვებოდით გვერდიგვერდ ბილიკს,
მესაიდუმლე მთვარე ღიმით გზას გვინათებდა,
მზის ამოსვლასაც შევეგებეთ ზღვის პირას დილით,
ჩვენს შემხედვარე ბევრი ჩვენს ბედს წამს ინატრებდა.
გახსოვს? -გულები რომ მოვხატეთ ქვიშაზე მაშინ,
ჩვენი სიცილით ვაყრუებდით იქ არემარეს,
გაკვირვებულნი გვიცქეროდნენ დიდიც და ბავშვიც,
რადგან გვიყვარდა სიყვარული და ვერ დავმალეთ.
გახსოვს ის წუთი? -თუმცა ვიცი რა დაგავიწყებს,
როცა პირველად მიმაცილე მშვიდობით სახლთან,
წამის წამებში შენი კოცნა რომ გადავწყვიტე,
არ მოელოდი და ელდისგან რომ დარჩი სახტად...
მიყვარს ის წუთი და პირველი კოცნის ალმური,
ახლაც კი ტუჩებს ღიმილებით სარკეში ვუმზერ,
თუმცა ცხოვრება არ ყოფილა მთლად საამური,
მაგრამ ძვირფასო შენს სიყვარულს ყოველ დღე ვუმღერ.
რატომ ვიხსენე ყოველივე არ ვიცი ახლა,
ის ყვავილები სულ რომ ვრწყავდით გულის მდელოზე,
ისევ ყვავილობს არ შესცვლია ფერი ჯერ ხალასს,
ჰოდა ძვირფასო დავბრუნდები, ოღონდ მელოდე.

* * *

როცა გარეთ ცივა,
წამით გამოჩენილ
მზის სხივს ვეტანებით
შენ კი ერთადერთო,
მუდამ გულს მითბობ
და მაინც მენატრები.

* * *

სკივრს ჩავაბარე
რაც არ იყო წლები დარებად,
შენზე ფიქრში რომ
ჩემს ცხოვრებას გვერდზე ვრიყავდი...
შენ ვერ შეძელი
შეცდომების აღიარება,
მე პატიება....
რადგან მე შენ მართლა მიყვარდი.

* * *

სულ მარტო დავრჩი და არც ვტირი,
არც ცრემლი მახრჩობს,
მერე რააო, - გულმა მითხრა, შენ არ ხარ ერთი,
თუმც გულზე ლოდი შემომაწვა, არც არას ვამბობ,
ვიცი, ყოველთვის ჩემთანაა, არ მტოვებს ღმერთი.
ვარდობის თვეა, სიცოცხლე ქუხს, ხარობს სამყარო,
არ ვიცი, რატომ ჩამოთოვა ჩემთან მაისში,
თავაწეული მივაბიჯებ, ამით ვამაყობ,
ქართველი ვარ და ქართველობას არსად დავიშლი.
თუ დავრჩი მარტო, ესეც ვიცი, ჩემი ბრალია,
ქართული სისხლი ისევ მიდუღს უცხო მხარეში,
ქართველი ქალის ქართველობა ჩვენი ვალია,
მარტოობა კი გადამივლის გულის არეში.

* * *

ქარი ქრის გულში და ქარს მოაქვს ცრემლებად თოვა,
ყურებში ზუის უსაშველოდ ისე სისინებს,
დეკემბრის ხუთი დე ტკივილად ხვალ ისევ მოვა,
გულამომგჯდარი მარტო ვზივარ ჩუმად ვქვითინებ.
დე, რა გაუძლებს ამ ცივ ზამთარს, გულში ავდრდება,
ულამპიონო ქუჩებს თალხის ეკვრება ფერი,
ორი წელია გეძებ ყველგან ლამაზ კადრებად
და შენზე თბილი ვერსად ვნახე ჯერ ვერაფერი.
მენატრები და დღეს ცრემლები ასგზის დატბორავს,
იმ მოგონებებს ტკბილმწარეს და აწ უკვე წარსულს,
ამაოდ გეძებ, უიმედოდ სიზმარში ვბორგავ,
რომ აღარახარ დაჯერება არა და არ მსურს.
ხვალ ხუთი არის, ო, როგორ მძულს ეს დეკემბერი,
მოვალ'თ საფლავზე გადავწმინდავ'თ ცივად დანათოვს,
ვარდებით მოვრთავ'თ შენს სამყოფელს სანთლებს დაგინთებ'თ
მერე დე ცივ ქვას გულმხურვალე კოცნით გავათბობ'თ.

ხვალ ხუთი არის, ო, როგორ მძულს ეს დეკემბერი



დიმიტრი ბერიძე - შსს -ს დამსახურებული მუშაკი.
დაბადების ადგილი - შუახევი.
საცხოვრებელი ადგილი - ლანჩხუთი.

,,მშრომელ ადამიანს"

მიილია მარტის თვე და
აპრილის თვე გვეგებება,
ბარაქალა ყველა იმ კაცს,
ვინც გაზაფხულს ეგებება.
ვინც ზამთარი გადიტანა
და გასწორდა კარგად წელში,
ამ გაზაფხულს შეეგება
თოხითა ბარით ხელში.
მადლობა მას, ქალაქიდან
ვინაც დაბრუნდა სოფელში
და სასხლავ მაკრატელით
უთენია მიდის ზვრებში.
ვინც ხე დარგო, წყალი უსხა,
ყველა ნერგი გაახარა,
ეს ყველა მშრომელი ხალხი
დიდმა ღმერთმა გაახარა.

ვინაც წინაპრის საფლავებს
მიხედა და მოუარა,
და არც უპატრონო საფლავს
მან გვერდი არ აუარა.
მადლობა მას, მამის კერა
გააჩაღა, გააცოცხლა,
ასეთი მშრომელი კაცი
უფალმა დიდხანს აცოცხლა.
ვინც ახარა ვაშლის ბაღი,
ატამი და ბროწეული,
შვილიშვილებს შეახვედრა
თავის ხელით მოწეული.
ვფიქრობ გულით ყველა ნანობს,
სოფელს ზურგი ვინც აქცია,
ვისაც შრომა ეზარება,
აბა, იგი რა კაცია?!

,,რით ხარ ბედნიერი"

თუ არ გიყვარს შენი ერი,
მაშ რითი ზარ ბედნიერი,
თუ არ გიყვარს შენი ენა,
მაშ, რას დაბჟუტურობ, ნენა.
თუ არ გაქვს რწმენა ღმერთის,
კაცი ვარო შენ არ გეთქმის,
თუ არ გიყვარს ეს ქვეყანა,
მაშ აქ რამ მოგიყვანა,
ამ ქვეყნიდან ჩქარა წადი,
სხვას დაუთმე ეგ ჟანგბადი

,,ჯანსაღი სულით და სუფთა გულით”

ჩემიანების დარდით და ფიქრით
მთელი ღამე ოფლში დავცურავ,
ჩემი მეგობრის გადასარჩენად
ოკეანეებს და ზღვებს გადავცურავ.
ჯანსაღი სულით და სუფთა გულით
ჯანსაღი თვალით ვუმზერ სამყაროს,
ჩემი სიტყვების გულწრფელობაში
ეჭვი არავის არ შეეპაროს.
დამიჯერეთ, რომ მაშინ ვარ კარგად,
მეზობლის სუნთქვას როცა გავიგებ,
ვიცი, ამით ცოდვას კი არა
ასეთი ქცევით მადლს მოვიგებ.
მომაკვდავის გადასარჩენად
ჩემი მკერდიდან გულს ამოვიღებ,
ღამე არ მძინავს, ვინმეს თუ უჭირს,
მის ცუდ ამბავს, როცა გავიგებ.
ამ ჩემს გულში სიყვარულისა
დაგროვილი მაქვს დიდი უნარი,
ვინმეს თუ უჭირს, სისხლსაც გავიღებ
და მე ვიქნები მისი დონორი.
დედას ვიფიცებ, მამას ვიფიცებ და
ლიტონ სიტყვებს არასდროს ვისვრი,
როცა გავიგებ, რომ ვინმეს უჭირს,
გათენებამდე დარდი მაქვს მისი

,,გაზაფხულის დღე მიყვარს”

გაზაფხულის დღე მიყვარს,
რომ იღვიძებს ბუნება,
კაკლის ხეზე კოდალა,
როცა ეკაკუნება.
ოჯახში რომ გაისმის
ბავშვთა ტკბილი ტიკტიკი,
გარედან რომ შემოდის
ფრინველების ჭიკჭიკი.
ეზოში რომ ნარცისებს
უყვითლდებათ თვალები,
ეზოში ფუსფუსებენ
საქმიანი ქალები.
მეზობლის საკვამურზე
კვამლი მიიკლაკნება,
სიცოცხლე და ხალისი
ერთიანად მემატება.
მიყვარს გაზაფხულის მზის
წითლად ამონათება,
გაზაფხულის დღის სითბო
მიყვარს და მენატრება.

,,საქართველო”

ბუმბერაზ ქვეყნების პატარა ნაწილო,
მსურს ჩემი სიცოცხლე შენ გაგინაწილო,
მფრინავ არწივებში არწივო დაჭრილო,
შენ, ჩემი სულის და გულის ნაწილო,
მინდა ჭრილობაზე წამალი ავლესო,
შენ მოგეფერო და მოგეალერსო.
შენ მოგარჩინო და მოგემსახურო,
მინდა ეგ შენი ცა მეც თავზე მახურო,
შენ ჭერის ქვეშ მაცხოვრო და მომცე ბინაო
და ბოლოს, შენს ცაში მეც დამაბინაო.

ირმა თაბაგარი - ფორტეპიანოს სპეციალისტი
აღმზრდელ პედაგოგი
დაბადების ადგილი - საჩხერე

დამწვარი სანთლის ნაღვინთი

დამწვარი სანთლის ნაღვინთი
საოცრად ლამაზი,საოცრად!
წყვდიადს რომ შეუხსნა კარები,
ცისფერ ალს შვება რომ აღმოხდა..
ძლიერი,როგორი ძლიერი,
უკუნეთს,რომ სძლია ძლიერ!
დამწვარი სანთელის ნაღვენთი
რომ დარჩა ალების მაგიერ...
დამწვარი სანთელის ნაღვენთით,
საოცრად ტკბება თვალები,
ვიგონებ უკუნეთს რომ სძლია
და წყვდიადს შეუხსნა კარები.

ოჰ ეს სიბერე

ოჰ, ეს სიბერე ვინ მოიგონა?...
თმებში ჭაღარა, კანკალი მუხლის,
ჟამი სიკვდილთან მიახლოვების
და დაბუდება ჩვენს ხელში მწუხრის..
,,დრონი მეფობენ,არა მეფენი''..
რა ბრძნულად უთქვამს წინაპარს ჩვენსას!
მომიახლოვდა სიბერის დღენი,
ამაყად ვეღარ შევხედვ ზეცას.
ვერ დავიბრუნებ გაფრენილ წლებსა;
გულდასაწყვეტი სწორედ ის არის,
მომიკაკუნებს სიკვდილი კარზე
და შეიკვრება კუბოდ ფიცარი...

უყვარხარო

ქარი ფანტავს ყვითელ ფოთლებს დააქროლებს მინდვრად,
ზეცა არის ღრუბლიანი, დღეს მთელი დღე წვიმდა.
ჩემს სარკმელში ფრთა ფარფატა მტრედი შემოფრინდა,
შენგან გამოგზავნილ ბარათს ხელი თრთოლვით ხსნიდა,
ღრუბლიანში მომეჩვენა თითქოს მზე გაბრწყინდა,
უყვარხარო, უხილავი ხმა მომესმა ციდან.

თოვლი მათბობს

მივდივარ მარტოდ,
მინდორ-ველს ათოვს,
თოვლის ფანტელი
მფარავს და მათბობს,
იფიქრებთ ალბათ,
თოვლია ცივი
და გონება ნათქვამის
გაკრთობთ,
რა ვქნა,
ოცნების თან დამყვა ფრთები,
ამ ფანტელებში
ოცნება სახლხობს.

მარიამს და მამუკას

უფალს ვწირავ მადლობას
ამიხდინა წადილი,
გაიხარა, მარგუნა
დედის წმინდა მანდილი.
მარიამ ჩემო შვილო,
გენაცვალე მაგ გულში,
ბედნიერმა იცხოვრე
ჩვენს ღვთისწილხვედრ მამულში,
და ძმამ კერა შექმენით,
ცოტა გყავდეთ ბადალი,
გამიზარდეთ შვილები
ჩვენი ერის სადარი!

სოფლად

ფოთოლთ შრიალს ვერ ვივიწყებ,
უბერავდა როცა ქარი,
მსხალის ძირში მიძებნია
დავარდნილი მწიფე მსხალი.
თუთის ხეზე ჭრელი თუთა,
მიჭამია მუჭა,მუჭა,
ქოხზე შაშხი შემიწვია,
ჩაქრა კერა ამას ვწუხვარ.

სალოცავის სარკმელთან

ყვავილებით მოვედ შენთან,
სალოცავის სარკმელთან,
შენ იდექი თავდახრილი,
მოკიაფე სანთელთან.
ნეტავ პირჯვარს რომ იწერდი,
მაშინ რაზე ფიქრობდი?
მე კი წმინდა სიყვარულით
გულში ადგილს გითმობდი!

მათხოვარი

თვალს ვერ მისწორებს,
დაჟინებით დასცქერის მიწას,
ვფიქრობ მიცნო,
დაედევნა ცრემლები მწველი,
დაბნეული,ხელში ვუდებ უჩუმრად ხურდას.
თავგზას მირევს სამათხოვროდ გაწვდილი ხელი.

პოეზიის ღამე

მთამწინდაზე მთვარე ჩამომდგარი
და ყვითელი მთვარის შუქი მკრთალი,
ეფერება ჩემი გულის რითმებს,
ვით ბავშობის ახლო მეგობარი.
ცის კამარა-ვარსკვლავივით წყნარი
აფენია პოეზიის ღამეს,
ჩემთან ერთად გარინდული მტკვარი,
თითქოს წარსულს იგონებდეს რამეს.

დაფნის ხე

ცაზე ჩამოწვა შავი ღრუბელი,
მზე ჩაესვენა, წვიმაა წყნარი..
ხე იძარცვება, ფერწასულ ფოთლებს
აცლის და შორით იტაცებს ქარი.

შემოდგომაა, მორჩა ზაფხული,
ისევ გვეწვია ძველი სტუმარი,
ყვითელ სამოსელს იცმევს ბუნება,
დაფნის ხე კი დგას, გაუხუნარი...

***

სიმდიდრე? არა, ეგ ვერ გიშველის,
მაშ სილამაზე? ეგ ხომ ფუჭია,
სინდისი, მხოლოდ პატიოსნება,
რაც სუყველაზე უკეთესია,
იყავ გულ-დინჯი, დაფრიქებული,
სიმართლის მთქმელი, ტყუილის მტერი
და თუ ამ ნაწერს, მუდამ დაიცავ,
ყველგან იქნები გამარჯვებული.

***

გაუშლელი ვარდები,
მოკუმული ტუჩებით,
ეკლიანი ტოტები,
ჯიუტები,ურჩები,
მიმღერიან კვირტები.
მალე მათი ღიმილი
ბაგეს ნაზად გააპობს
და საამო სურნელი
არემარეს დაატკბობს.

დაუვიწყარი დღე

რა დამავიწყებს საბავშვო, ბაღის
როცა შევაღე სისხამზე კარი,
ჟივილ-ხივილით შემომეგებენ,
აღსაზრდელები გულგასახარი.
შრომით ფერხულში ჩავდექი ლაღად,
ათეულობით გავიდაა წლები,
ყმაწვილ-ქალობა ცოცხლდება თვალწინ,
ჩემს აღზრდილ ბავშვებს
როდესაც ვხვდები!

მაშინ ვიღვიძებ

დილით როდესაც შევარდენ სხივში,
წყარო ჩურჩულით მიედინება.
მაშინ ვიღვიძებ აღსავსე გრძნობით
და თქვენ გიგონებ დაუვიწყარსა,
არვინ გიყვარდეს სილამაზისთვის,
მხოლოდ გიყვარდეს,
ვინც რომ იბრძოდა,
შენზე კეთილი მომავლისათვის.

***

მთვარე იძინებს, თეთრი ღრუბლები,
ერეკლებიან ფიქრებს, ნაღამურს,
გათენდება ჩიტების ჟღურტულს,
მე ავაყოლებ ამ ჩემს სალამურს,
აიშლებიან ჩემი ბალღები,
მოედებიან ბაღჩებს და ბაღებს,
დილა მშვიდობის, ჩემო მამულო!
დღეს, მე შენს ფანჯრებს სიმღერით ვაღებ.

დედა მერი

ლექსის წერის დროს
მზეც და მთვარეც მომჩერებია,
ციურ ჰანგებად გულს მეხვევა,
სიტყვები თქვენი.
ლექსის წერის დროს,
ცაც და მიწაც მომშველებია,
შენ ერთი მაინც არ იქნა და არ მეშველები.

ზრვის პირას

საღამოს, ზღვის პირას,
ქარი იყო მეტად წყნარი.
ეხლა მგონი საჭიროა
ჩემი სახელი და გვარი.
აქამდე, მთაში ვცხოვრობდი,
ეხლა ჩამოველ ბარადა,
სახელად ირმა მქვია და
თაბაგარი ვარ გვარადა.

შავი ზღვა

ნუ ენდობი შავ ზრვას,
უთუოდა სძინავს.
წამოუვლის ქარი
და უცბად ჩაგძირავს,
უნდა მხოლოდ იმას,
ვინც სიცოცხლეს გწირავს,
ვისაც თქვენი დარდით
დღე და ღამ არ სძინავს.

* * *

რომ ცხოვრების ქარიშხალმა
აიჩრდილოს ჩემი სახე,
ნიშნად, დობის მოსაგონად
ეს ნაწერი შეინახე.

ეხლა წერას თავს ვანებებ,
ვიცი არ გეწყინება,
უფრო მეტი რომ დავწერო,
კითხვა მოგეწყინება.

დაიკო კალათითია,
მე მოგართვი ხილი,
ეხლა წერას თავს ვანებებ,
რადგან მომდის ძილი.



გია დემეტრაშვილი - ელექრიკოსი
დაბადებული - საგარეჯო - ნინოწმინდა

ლაბირინთი

ერთხელ პატარა ქვეყანას
კარგი ცხოვრება მოსწყურდა,
სხვების კლანჭებში მოქცეულს,
თავისუფლება რომ სურდა.

იქვე, მახლობლად, საზღვრებთან,
დაძრწოდნენ ლიბერალები,
-ჩვენთან მოდიო, ძმობილო!-
ჩაუპაჭუნეს თვალები.

მიგიღებთ ჩვენს დიდ ოჯახში,
მუდამ ღია გვაქვს კარები,
ოღონდ შეგვპირდით, არასდროს
ძველ გზას არ გაეკარებით.

კარგი ცხოვრება თუ გინდათ,
ნუ წაგიგდიათ ენები,
რად გინდათ ღმერთი, ან ხატი,
ან წინაპართა გენები.

ჩვენი წესებით იცხოვრებთ,
მგონი არც ისე რთულია,
გახდებით ევროპელები,
რად გინდათ, რაც ქართულია.

არავინ დაიჩაგრება,
იცხოვრებთ თანასწორადა;
ქალს ქალზე გაათხოვებთ და
კაცს კაცს მოუყვანთ ცოლადა.

ცხვრის ტყავში გამოწყობილი,
თავზე დაგვადგა მგელიო,
ჩვენც გულუბრყვილოდ მივენდეთ
და ევროპისკენ ჰერიო.

ვიფიქრეთ, დოლარს ვიშოვით,
რა შავქვად გვინდა რუბლები,
სწორედ მას შემდეგ გამოჩნდა
ჩვენს ცაზე შავი ღრუბლები.

გზაჯვარედინზე აღმოვჩნდით,
ტრაფარეტზე რომ წერია:
მარჯვნივ თუ წახვალ, შეგჭამენ,
მარცხნივაც შენი მტერია.

ლაბირინთში ვართ შესულნი
და გზის გაკვალვა ძნელია,
მხოლოდ უფალი გვიშველის,
ის არის ჩვენი მხსნელია!

აირია დავთარი

იღუპება საქართველო,
ყველაფერი ქართული,
ჩვენ კი სადღაც ზღაპრებში ვართ,
ტკბილ სიზმრებში გართული.

აღარავის არ ადარდებს
ჩვენი ქვეყნის დაქცევა,
გადარჩენის გზად მონახეს
საზღვარგარეთ გაქცევა.

გვირჩევნია, გვეცვას კაბა,
ვიდრე- ჯაჭვის პერანგი,
მაშინ, როცა ყველა მხრიდან
გვიტევს მტერი ვერაგი.

რა გვინდა და რა არ გვინდა,
იმაზეც ვერ ვთანხმდებით,
სუფრას როცა მივუსხდებით,
ყველა გმირი გავხდებით.

პასუხი გავცეთ, ვინც რომ
ჩვენთვის სისხლი დაღვარა,
იმათ ღვაწლს და თავდადებას
დაფასება აღარ აქვს.

გვავიწყდება ყველა გმირი,
ვინც ქვეყნისთვის ეწამა
და რატომღაც მას ვაღმერთებთ,
ვინც ქვეყანა შეჭამა.

გავრბივართ და ღიას ვტოვებთ
ფანჯრებსა და დარაბებს.
ვის ვამკვიდრებთ ქვეყანაში,
ჩინელებს და არაბებს?!.

სამშობლო გვაქვს, თუ სასტუმრო,
აირია დავთარი.
გაიხსენეთ ის ჭრიჭინა,
რომ მოადგა ზამთარი...

რა მაღელვებს?.. რა მახარებს?..

რა მაღელვებს? - საქართველო,
მტრებმა რომ ვერ დააკვნესეს.
გარეშე მტერს ვინღა ჩივის,
შინაური უღრღნის ფესვებს.

მუმლივით რომ ესევიან,
ნავთს ასხამენ კიდევ ცეცხლზე
და ღვთისმშობლის წილხვედრ მიწას
გვიყიდიან ურცხვად ვერცხლზე.

რა მახარებს?- ჩემს ქვეყანას
მკერდს რომ უთბობს ცხელი გული.
დღეს თუ ცოტა დაიჩაგრა,
ხვალ ეწვევა გაზაფხული.

მალე გავა სამშვიდობოს,
დღეს თუ ბეწვის ხიდზე გადის,
სამართალი გზას არ კარგავს,
სამართალი ურმით დადის!



თენგიზ პაპაშვილი - სამართალმოცოდნე
დაბადების ადგილი-ტაბახმელა

როგორ უაზროდ . . .

იცი, უშენოდ ხრიოკია სულის უდაბნო,
სულში ტკივილი ილექება ცრემლის ქანებად.
ეს დღეც უშენოდ მიილია, როგორ უბრალოდ,
დავიწყებისთვის უფსკრულში, რომ მიექანება.

ღამე უშენოდ ძლივს გავლიე ვაინაჩრობით,
ვგონებ, მგოსანმა შენთვის ყელიც ვერ მოიღერა.
შენთვის ეს ლექსი შესაძლოა დღეს იყოს ბოლო,
როგორც გედისთვის, მომაკვდავის ბოლო სიმღერა.

სული კი უკვე განცხრომისთვის ზეცას მიელტვის,
სულ არ მჭირდება ტიტულები, ყალბი დიდება.
როცა მე წავალ, სანუგეშოს არავინ გეტყვის,
შენი აქ მარტოდ დატოვებაც გამიჭირდება.

მდუმარეს უტყვი, მოლივლივე ლურჯი ცა მიმზერს
და მეწამული უშენობა დაღად მატყვია.
იცი, გულისთვის ამაღამაც შენ ხარ სამიზნე,
ლექსი კი გულში ჩარჩენილი ბოლო ბრმა ტყვია ...

როგორ უაზროდ დაიშრიტა სულის უდაბნო,
გულში ვარამი ილექება სისხლის ქანებად.
ეს დღეც უშენოდ მიილია, როგორ უბრალოდ,
დავიწყებისთვის უფსკრულში, რომ მიექანება....

ვერა, ჩავლილ წლებს ვერ გავატანე...

ისევ თოვს ჩემთან და თოვლი ფარავს,
შენს ფრესკებს, ჩემი სულის ნატყვიარს.
და ქანცგალეულ ჩემს ყრმობას მარად,
ეგ ნატერფალი დღემდე ატყვია.

ჟამმა გარიყა, გაინაპირა,
ლაღი ანცობა, ჩემი სიმარდე.
სულში შემოხველ სუნთქვად, აპრილად,
გიჟი ვიქნები, რომ არ მიყვარდე.

სასწაულია, შევძელი დღესაც,
იდუმალ წლებთან სულის ლაციცი
გამსგავსე მაშინ მთვარესაც, მზესაც,
დღეს მცირედია, თუმცა რაც იცი.

გიჟი ვიქნები ამ გადარეულ
სტრიქონს არ დაჰყვეს ძველი სიშლეგე.
ავიტან მასაც ღამით მთვარეულს,
სალი კლდის ფიქალს ურცხვად მიშენდნენ.

შენთვის ვებრძოდი ურიცხვ სატანებს,
თუმც არ ვყოფილვარ ბრგე და ახმახი.
ვერა, ჩავლილ წლებს ვერ გავატანე,
შენი ბავშვური ეგ მონაჩმახი.

დღეს კი კვლავ სევდამ დამიმარტოვა
სისხლს უშენობის ხიბლი ახუნებს.
მალე დეკემბრის სუსხი და თოვა
კარებს შენსავით გაიჯახუნებს...

მტოვებენ წლები...

ამ ღამეს ისევ ლექსთან გავათევ,
თუ დამყვა სული ნადელგამარი.
გადაწოლილა უძოსთან ღამე,
ვით ხეობაზე შავი ქამარი.

ამდენ სიზმარ-ცხადს ვეღარ ვერევი
და მარტოობის სევდა მაცოფებს,
რომ წვიმის მსგავსად მეც შევერევი,
ჩემი ქალაქის მღვრიე ღვარცოფებს.

გამოვიარე ჩემი გოლგოთა,
მე კი მგონია, ისევ თოთო ვარ.
მზერას ვირიდებ, მერე როგორთა,
წლების ქარბუქში, რახან მოთოვა.

ღამე ძლივს იკვლევს გზასა და სამანს,
შენსავით ცივი მთვარეც როგორ თრთის.
ვგონებ, დასრულდა აქ ჩემი დრამაც,
როგორც სასრული დიდი გოლგოთის.

გამოვიარე ჟამი უნდილი,
ათასი ჯვარცმა, მძიმე გოლგოთა.
მაგ თმის სურნელს და ვარდის სუნს დილის,
მზერა მოვწყვიტე, მერე როგორთა.

წლების ქარბუქმაც გადაიარა,
მტოვებენ წლები შინდის მწიფობის.
სულზე დამაჩნდი დაღად, იარად,
დღემდე ვერ შევძელ გითხრა: მშვიდობით!

ისევ ამიმხედრდა უშენობა...

ტრიალებს სამყაროს კარუსელი,
ჩავლილ წლებს ლექსებად მინაფოტებს.
ვინ რჩება აქედან წაუსვლელი
ან აქ დარჩენაზე ვინ აბოდებს?

ისევ ამიმხედრდა უშენობა,
ჩემი მარტოობის ვასალები.
სული, გაყინული ყრუ შენობა,
განძი საიდუმლო მასალების.

უკვე წლებია და ერთად არ ვართ,
ჟინი აღარ შემრჩა მოდუნების.
ცივი სიმარტოვე მომეძალა,
ჩემი მარტოობის მოდულები.

ისევ უშენობით ჩამომექცა,
სულის შეჭირხლული მინანქარი.
მზერა მაგ ბაგისკენ გამომექცა,
მგონი, მუზის არის მინაქარი.

სუსხმა იმედები გადამიხმო,
(რაღაც უაზრობებს მწერთ ქალები..)
ბაგის დაუპყრობი სივრცე მიხმობს,
შენი სიმყუდროვის მწვერვალები.

სტრიქონსაც სამსალა მოეძალა,
ალბათ, ფარსია ესაც ბუნების.
სიყვარულმა ვერ დაკარგა ძალა,
ჩავლილ დროსა და წლებში ბრუნებით.

ახლა საუკუნოდ დავრჩი უკვე,
ცივი სიმარტოვის ქვაბულებთან.
იქნებ, ოდესმე შენც შეიძლო,
ჩემს სავალ ბილიკზე დაბრუნება...

დრო-ჟამი მაძალებს..

დაწყვეტილ ნერვებზე თამაში გწადია,
გულს რომ ვერ უბრძანებ, ეტყობა არ იცი.
ყრუ სიმარტოვესთან დამჩემდა ლაციცი,
ტკბილ-მწარე წამებიც უშენოდ გადიან.

უშენოდ ღამდება ... სამყაროს ქვესკნელი,
დღეს ისევ, თუ მიხმობს, რა დასანანია.
აქ ტრფობის ლაბირინთს, წმინდაო მარიამ,
თავს ვეღარ დავაღწევ ბიჯებით მე ნელით.

უშენოდ მივყვები სიზმრების ქარავანს,
სულს დარდი მიზაფრავს, წვიმა და თქეშები.
ამ გულის დალაშქვრას დღემდე არ ეშვები,
ვგონებ, ზავს აპირებ, დღეს დაუფარავად.

იმედის ბილიკზე წლებია ვჩერდები,
სამყარო სავსეა სამოთხის მძებნელით.
დღეს რისხვას დამატეხს საწუთრო მზებნელი,
მგონია, უაზრო სიცოცხლით ვბერდები.

ვიხსენებ შენს ფრესკებს და დღეს რომ გაღმერთებ
ძაძებით შემოსილს რად მელის ნაპირი.
ოდეს, ნუ დამძრახავ, როდი ვარ ვამპირი,
ქვეყნად შენს მოვლენას ვუმადლი აქ ღმერთებს.

გაცრეცილ ფრესკებთან უმიზნო ხეტიალს,
ო, როგორ მირჩევნის ეგ თბილი ამბორი.
ვბარდები შენს ხელებს, ტრფობისგან ,,დაბოლილს,"
კოშმარი ვნებათა, რომ წაუხვეტია.

დრო-ჟამი მაძალებს მიმწუხრის ,,ბალანდებს"
და ცოდვილ მიწაზე დავყავარ ,,სათოფე."
ხომ იცი, სამყაროს რომ გადავაქოთებ,
ჩემთან სიახლოვეს, თუკი ვერ დაგლანდე...

და გულს მიბორგებ...

გადითარეშა შენსავით შლეგმა
და უსაშველო ცივმა ქარებმა,
მარტოდ შემოვრჩი სტრიქონის დელგმას
და თვალზე რული არ მეკარება.

ღამით მსტუმრობდნენ მუზის ღმერთები,
ლექსიც სისხლივით გადმომედინა,
თუ სტრიქონებში გაგაღმერთებდი,
დღემდე ვერასგზით წარმომედგინა.

რადგან ეს ლექსი ქილიკს ვერ ასცდა
და გულს მიბორგებ ამ გულის შიგნით,
ვერა, ვერ მთრგუნავს სიკვდილის განცდა
და უსასრულო მნახველის რიგი.

ცხოვრება დღემდე არ მქონდა მყუდრო,
იყო ბრძოლები, დელგმა, ქაოსი,
დრო-ჟამი მნაცრავს უფრო და უფრი,
ვით მდუმარება სასაფლაოსი.

არ მომასვენა ფიქრმა ნაშალმა,
ბედი მაცდური სავალს მიქონის,
ლოდინმა გახრა ლაგამ ავშარა
და გამომტყუა კიდეც სტრიქონი.

ფერფლიდან აღსდგა სულში სეული,
კართაგენი და ძველი მედინა,
ეს ლექსი ჩემგან ანასეული,
ვიდრე სტრიქონზე ჩამომეძინა....

და დამრჩა დღემდე...

ჯვართან ღრუბლების კვლავ ქაქანია,
გამოვცდი არმაზს, მცხეთას, ,,ნარეკვავს."
მთვარემ ვარსკვლავნი აქ რა ხანია,
ცად საბალახოდ უკვე გარეკა.

მგონია ურიცხვ ვარსკვლავთ კრებული,
შენს საამებლად შენთვის აენთო.
გვქონდა ალერსი მონატრებული
და სიყვარულიც გვქონდა საერთო.

გრძნობა დღეს გულში ვერ დავატიე,
განვუდექ ღამეს, მოვხუჭე თვალი.
რა გულსაკლავად მღერის მატიე,
ვნანობ, რომ ჩემი არ რჩება კვალი.

სიკეთის თესლი გზა-გზა ვარიგე,
წინ მხვდება მხოლოდ უიმედობა.
მე უფალი მყავს მხოლოდ გამრიგე,
გულის კუნჭულში ვიცი მენდობა.

დღეს მენატრება აგვისტოს ხვატი,
ხან კაირო და ხანაც დაკარი.
და დამრჩა შენი ძვირფასი ხატი,
უძილო ღამის ნაქანდაკარი.

რად მომანატრე აპრილის ზეცა,
სული ჯვარცმისთვის რად გაიმეტე.
დღეს უშენობა მიერეკება,
ჩემს გადარჩენილი ბოლო იმედებს...

დღემდე ვერ გავერიდე...

ისევ სულის ფრესკებთან, კვლავ დუმილი დამჩემდა,
გული უხმოდ ღაღადებს, ახლა როგორც არასდროს.
საუკუნოდ იდგომა აქ წუხილის დამ ჩემთან
ნაგვემ სულს კი ახსოვხარ, დღემდე მაინც ამავდროს.

ცივი არის ეგ მზერა, როგორც ცივი სამარე,
ისე აღარ მიღიმი, - ჩემი ფრესკის ჯოკონდა.
ღამე მიახლოვდება მე რომ დამასამარებს,
ადრე ჩემთან მას ტრფობის ბარათები მოჰქონდა.

ეს სამყაროც გაივსო უკვე თალხი ფერებით,
მოდის ღამე უძირო, - სისხლიანი დრაკონი.
ვძებნე დიდხანს, ძლივს ვპოვე, დღესაც ნაზი ფერებით,
ჩავლილ დღეთა ნუსხაში დღენი საარაკონი.

დღემდე ვერ გავერიდე ამ საზარელ სიზმარეთს,
კიდეც დაჭირხლულია ყორნისფერი ფაფარი.
ჩემს მამულში გუშინ, თუ ორი გოჯი ვიკმარე,
მაინც სიყვარულივით გავხდი მიუსაფარი.

უკვე ბნელი ღამეა, უშენობის აჩრდილი,
ისევ თან მდევს მიწაზე, შტორმს და ღვარცოფს მპირდება,
ვცადე და შევიმეცნე შეგონება ნამდვილი,
არ მსურს ასე ბითუმად, ყალბი ავლა-დიდება.

ჩემი მიკვირს, რა დიდხანს შევრჩი ღამის სიზმარეთს,
ისევ ისე იღიმის ჩემი ფრესკის ჯოკონდა.
ღმერთო გვედრი, სხვა ღამეს, ნუღარ გამისიზმარებ,
დავასრულო აღმართი, ჩემთვის როგორც გოლგოთა...

გული ცუდს მიგრძნობს...

შენს სავალს ვძებნი, შევძარ სამყარო,
დავლაშქრე ყველა გრძედი, განედი.
მონიშნულია მიწაც აყალო
და გულო ჩემო, რით ვერ განელდი .

გამოვიარე წლები უნდილი,
სტეპი, უდაბნო, დარდის ახო და
მაგ ცივ მზერას და ვარდის სუნს დილის
ვუმზერ იმედის საბალახოდან.

შევნატრი წლების სინატიფესაც,
უდაბნოდ მექცა თუმცა გზა- შარა.
დღემდე შემომრჩი, ვით მნათი ფრესკა
ჟამთა დინებამ, რომ ვერ წაშალა.

როგორ წახვედი და განმეშორე,
ეს გული შენთვის ვეღარ იალებს.
საკმარისია, რომ წლების მერეც,
დაღად დააჩნდი სულის იარებს.

უხმოდ გამცილდი, სიტყვაც კი ვერ თქვი
და სტრიქონებთან მარტოდ დამტოვე.
მითხარ, ბწკარების ძალუმი ფეთქვით,
ვით განვიქარვო ეს სიმარტოვე

გული ცუდს მიგრძნობს, არ დაბრუნდები,
წლები უშენოდ გავლიო უნდა.
ვტოვებ სამყაროს მძიმე ხუნდებით,
ვით დრო-ჟამისგან დაგდებულ ხურდას.

ვარ ქრისტეს რჯულის, ნუ მომთხოვ ახლა,
ვერ აგიშენებ სულში მინარეთს,
კვლავ უსაშველო ღვარცოფი ახლავს,
ყრუ სიმარტოვის შუამდინარეთს.

მგონია, შეგრჩა გონიც, თუ საღი"
ეჭვის ჭია" მხრავს ახლა რატომღაც,
ბნელ დილეგს ვტოვებ ბოლო ტუსაღი,
ამ ცივ სამყაროს, როგორც კატორღას ...

უკვე დაღალულს, წლების თოვაში
ბედმა მარგუნა მძიმე სასჯელი.
თავადაც მიკვირ, მარტოობაში
ამდენი წელი, როგორ გავძელი...

თორნიკე ჯაბახიძე - თეატრალური ინსტიტუტი - კინომცოდნე თეთრიწყაროს რაიონი, სოფ. დიდი თონეთი

* * *

ფშავიდან ვაჟას ნაკვალევს
ჩამოვყევ სოფლისკენაო,
არც იმას გაუხარია,
აღარც მე შამხვდა ლხენაო.

ლაშარზე მინდა შადგომა
მივიწევ, წინ მივხოხავო.
მაცვია, ხარის ქედივით
გამცვდარი,ძველი ჩოხაო.

უღირსი საქმის მხილველო
სისხლო ტკივილით ტოტდები..
მაგრამ შენ ზნეს ვერ შაიცვლი
და ვეღარ გაბოროტდები.

წინ რომ დამიხვდეს მტრის ჯარი,
ისევ ვიმღერებ"არწივოს"
თუ გინდა,მთელმა ქვეყანამ:
თემმა,სოფელმა გამწიროს.

მწყემსების ბინას მივაგნებ
და იქ გინატრებ,ქალაო,.
დაგლევ და მეც დავილევი
ყავრიანთ ცივო წყალაო!

* * *

ერთი ისეთი შვილ მინდა,
დილითავ ადრე სდგებოდეს,
წიგნი უყვარდეს მამისებრ,
ქვეყანას შააკვდებოდეს.

მე რომ სხვებივით მეცხოვრა,
მეგროვებინა ქონება,
არ მექნებოდა ეს ლაღი,
თავისუფალი გონება.

მაგრამ სახელი ვაგროვე,
განა სახლები ვაშენე,
ჭამა-სმა ყორნებს ვადროვემ
ჯიში არ გადავაშენე..

გულზე ბევრი აქვთ მედლები,
ოქრო ვერცხლი და ქონება,
სიმაძღრე ადამიანო,
ცხოვრება თუ გეგონება..

გეტყვი, მეც ბევრჯერ ვიდარდე,
ბევრჯერ ვყოფილვარ მშიერი,,
უსახელობის სირცხვილით,
არ შემიცვლია იერი..

ღმერთო მადლობა!

ღმერთო,მადლობა შვილისთვის
რწმენისთვის, გოლგოთისთვის,
გათენებული დილისთვის
და გაკვალული გზისთვის.

ამ უთვალავი ფერისთვის,
გასაოცარი ცისთვის
ნიჭისთვის,ლექსის წერისთვის
ჯვარზე გაკრული ძისთვის.

ღმერთო,მადლობა მტრობისთვის,
თოვლისთვისა და მზისთვის,
თვალების არჩაქრობისთვის
სიცოცხლის წვიმებისთვის.

ღმერთო, მადლობა ომისთვის
ქარისთვის,ნიავისთვის
მოყვასის თანადგომისთვის
და მოშრიალე ტყისთვის.

ღმერთო მადლობა წყლისათვის
თევზის და ცხოველისთვის
შურისთვის,სიკეთისათვის
ნამისთვის,ბალახისთვის..

ღმერთო,მადლობა ცემისთვის
ჩემი სავალი გზისთვის,
ამაყი დედაჩემისთვის.
ადამიანი ძმისთვის.

მადლობა ჯავრის ჭამისთვის
ფშაველი ვაჟას შვლისთვის
ღმერთო, მადლობა მამისთვის
ღმერთო, მადლობა დისთვის.

ზღვაში ჩაძირულ გემისთვის
შენ სულიწმინდის მადლო
გმადლობ ბებიაჩემისთვის.
ლუკმა პურისთვის გმადლობ.

ღმერთო, მადლობა პაპისთვის.
ყველა ნასროლი ქვისთვის,.
სისხლის სულ ამოხაპისთვის,
დამარცხებული მტრისთვის.

ყველა პასუხისგებისთვის
მეთქვა მადლობა ვისთვის..
ძაღლური ერთგულებისთვის
და გულის გათბობისთვის.

ღმერთო ,მადლობა შობისთვის
და რაც მაკლია-მისთვის,
მშობლების კარგად ყოფისთვის
და კაცის სახელისთვის.

მადლობა, ყველა შიშისთვის
(სულს ხორცი შევუერთო)
შუბლზე პოეტის ნიშისთვის
მადლობელი ვარ ღმერთო!.

* * *

აღარც მტერი გყავს ბეჩავო,
აღარც არავინ მოყვარე,
აღარც სტუმარი მაგიდის
ხარ თუმცა სტუმართმოყვარე.

საშოვარს გადაყოლილო
სიხარბე რას არ გიშვრება,”
მამ-პაპის ეზოს ჭასავით
თვალებში ცრემლი მიშრება.

ორმოცი წელი გავიდა
რაც დარდებს ვაფრთხობ,ფორნიანს
წავიდა,ყველა,წავიდა
მექსიკას,კალიფორნიას..

მანდედან კვნესა უშველის
ხანძრით გადამწვარ მდელოებს?
ვერ გასცდა,ვერა ქართველი
სუფრებს და სადღეგრძელოებს.

ჯერ ჩადენილი ცოდვები
და მერე იმის ნანობა..
სხვის მოყოლილი რწმენა და
უსახო ქრისტიანობა.

მე უდაბნოდან მოვდივარ!
შიმშილი დამიძლევია!
მღვდლები ბიბლიის წაკითხვის
კურთხევას არ იძლევიან.

აქ,ალგეთს მგელი ვერ ვნახე
სულ მელაა და სულ ტურა..
თხამ ჭამა ჩვენი ვენახი
ღვინომ დალია კულტურა.

მანახე, სისხლით დაცლილი
ცხრა ძმის საფლავი მატირე
სამშობლოს ვერცხლზე გამცვლელი
კაცების დედავატირე!

ვიღაცას ერგო სიმრავლე
მე მარტოობა მეწილა
ვზარდე მოხუცმან შვილები
და სხვაგან გადახვეწილან.

ჩამოდით!მიწა დაბარეთ
თქვენი მომავლის სარჩენი
შურს მადლი გადააფარეთ
მიანდეთ ღმერთს დანარჩენი..

* * *

სანამ ჩვენი დედამიწა
ერთ წრეს შემოივლიდეს
მე მინდა ვიყო ბებერი,
ორი ქალი მივლიდეს.

მე რომ ვიქნები ბებერი
და რომ ვიქნები ხნიერი,,
მომვლელი მინდა ბერძენი
და ერთი იტალიელი..

* * *

ქარი რომ ფაფარს გაიშლის
ქალი რომ ნაწნავს იქნევს,
მგელი რომ მგლობას დაიშლის
მეც აღარ ვიყო იქნებ.

სული რომ ყმუილს დაიწყებს
მთვარე რომ შეივსება,
ცხოვრება მეც ვერ ავიწყე
და გამახსენდება სება..

ვერაფერს თავს რომ ვერ აბამ
ახალგაზრობის ჭკნობამ
ჩემმა ძმაკაცმა მერაბამ,
ჩემმა ძმაკაცმა კობამ.

ღვინო თასებში დაისხეს
სამშობლო ისე იგრძნეს..
იარაღები აისხეს
თავის ბავშვობის სიგრძე.

როცა ცის ანგელოზებმა
თვალთაგან ცრემლი ღვარნენ..
ხელი მოხვიეს ეთმანეთს
და ომში გაიპარნენ.

ქარი რომ ფაფარს გაიშლის..
ქალი რომ ნაწნავს იქნევს..
მგელი რომ მგლობას დაიშლის
მეც აღარ ვიყო იქნებ!

* * *

ეს ზღვა შავი არარის
ჩემია და თეთრია.
მონატრება იქცევა
და დღეები ღელავენ
ჩემი სიკვდილისაკენ
გადახვევა მკვეთრია.
შენი თმების ტალღები
მუხლებს შემოცელავენ..

არ ვბერდები მგონია
დღეებს ისევ ვინულებ,
არაფერი არ მრჩება
მხრებზე შემოსაცმელი,
უკან შავი ფონია,
გემია და ყინული
ისევ ოპიატები..

ისევ მე და სასმელი..
ახლა ტიტანიკი ვარ
წყალი უკვე ჩემშია...
ალბათ გადავხტებოდი
რომ მენახა ფიცარი..
სანამ შენი გვარი და
მისამართი შემშლია
მუზებივით მოვალ და
პოეტივით მიცანი..

* * *

მელოდები, ანდა მოვალ მე შინ როდის.
მაგ ლოდინით ღმერთს მშვიდობას უთქვამდე.
მინდა ჩემი აღარ მოსვლის გეშინოდეს,
მინდა გწამდე ბოლო ამოსუნთქვამდე.

ბეღურა

გათენებისას სოფელი,
რომ იღვიძებდა ხმიანად.
ჩემი ბეღურა,მეზობლის
ბეღურას შეეხმიანა.
ჰეი, თუ გახსოვს ,ბეღურავ!..
დაიწყო საქმე მთავარით,
რამდენჯერ თოვლი გვეხურა
ზამთარის სიონავარით
ის ადგილ რამ დამავიწყა.
სადაც შევედით ყრმობაში..
ჭიკ-ჭიკ რა კარგი ყოფილა
სოფელი ჩვენ ბავშვობაში..
სახლს ჰყავდა,სახლის კაცები
თონეში პური ცხვებოდა,
ჩემი ბეღურა მეზობელს
წარსულზე ეუბნებოდა.
მასპინძელოო" - ისმოდა
(ხმა,გავარდილი თოფიდან)
ფურნით გამომცხვარ ხმიადებს
ბერდედა,კალთით, ღობიდან.
აწვდიდა, სოფლის ბავშვებს და
ცხელ-ცხელი ხელში ტყდებოდა,
რაც იქავ ნამცეცებ იყო,
სუყველა ჩვენთვის რჩებოდა.
თუ ვინმეს ქადის ნაჭერი,
ხელიდამ გაუსხლტებოდა,
ან პური გამოსაცხობი,
უყურადღებოდ რჩებოდა.
ან ფურნის ქადა კუთხეში
თუ სადმე მიიწვებოდა
იყო ჩიტების საკენკი
რომ ბეღურებსა გვრგებოდა
დრო იყო მაშინ ასეთი,
აპნევდი-იშოვნებოდა..
-აბა,დღეს ნახე, ბეღურავ,
აქეთ ჩამდგარი ქარები.
კენტ-კუნტი სოფლის ბიჭები,
კუბოს ძლივს მიატარებენ.
ძმებისგან გვირილდაწნულთა
აღარცსად ისმის ქაჯობა,
მართლა სუყველა წავიდა...
მართლა მერცხალმა გვაჯობა..
გაფრიდნდა, გაჰყვა პატრონებს,
დაგვრჩა მთები და ქედები,
ვისთვისღა გვინდა ეგ მთები
თქვენ თუ არ მოიხედებით!
თუ აღარც მუხლში ღონეა
და აღარც თვალში ჩინია,
სოფელში,აღარც თონეა
და აღარც ბრძოლის ჟინია...
მეც შენი ბეღურა ვარ და
სოფელო,მეც მეშინია.
რომ აღარსაით არ ისმის
ქალის ტირილი,ხმიანი,
არ სჩანან გოგო-ბიჭები
დაკემსილ ტანსაცმლიანი.
სოფელი, ბოლის სუნით და
ლხინებში თრობა ღვინითა,

სახლის სულ ღია კარები
სტუმარის მოლოდინითა.
ბევრჯერ რომ შეეჭიკჭიკა
დარდში რომ ესაფეხურა
ეუბნებოდა ტკივილებს
ჩემსას მეზობლის ბეღურა.
-ჰეი, თუ ხედავ აქ რამდენს
ღამეებს მშიერს ვათენებ
წავიდა მთელი ოჯახი,
დაიპყრეს რომი,ათენი..
გამიყორნისფრდა სიცოცხლის
დღეები თეთრად ნათენი.
ჩამომწყდა გული მე, როგორც
სატელეფონო სადენი.
შენ იცი, ხედავ, რომ მე ა,ქ
უპატრონოდაც მკვდარი ვარ
რომ უკვე ვერსად გამფრენი
ამ სოფლის ბინადარი ვარ.
რაღაცით თავი ვირჩინოთ!
მადლსაც გაიღებს ბუნება,
საქმე რამ გამოვიჩინოთ
თორემ გაფრენის ცდუნება..
გაფრენის?! ჩემი ბეღურა
მეზობელს ესალბუნება..
რომ გაზაფხულზე,ფრთხიალით,
შიშველ კენწეროს დაჯდება
მომსვლელებს მონატრებით და
ჭიკჭიკით უდარაჯდება.
რომ შეესიონ ეზოებს,
ფეხისგულები, ბილიკით
ქვების ხავსიან თეძოებს,
სიშიშვლე გაჩნდეს პირიქით.
და ვიჭიკჭიკო
ეშველა, ამ ტიალ საქართველოსა!
მემრ თუ გინდ,ბალღის შურდულმა
თვალებიც დაგვიბნელოსა!
გათენებისას სოფელი
რომ იღვიძებდა ხმიანად,
ჩემი ბეღურა,მეზობლის,
ბეღურას შეეხმიანა!

* * *

ნარინჯის გამხმარ ველებს
და ტყეთა ამოსუნთქვას,
ენატრებიო,ელე,
შენთვის,არასდროს უთქვამს?!
იალქანს გაშლილს გემზე,
ან სიოს “უამფიანს”
ახსენდებიო ჩემზე
არასდროს უამბია?!

ღმერთისკენ აწვდილ ხელებს,
ლოცად ფიქრების წყებას,
არ უთხოვიათ, ელე,
ყველაფრის დავიწყება?!



ჟუჟუნა ვეშაგური - ჟუჟა ნო - დიასახლისი
დუშეთის რაიონი, სოფელი ჭართალი

მარსო გვრიტიშვილს

შენ ამორძალთა შთამომავალო,
შენს აკვანს ფიფქი,საბნად ეხურა,
ვარსკვლავნი,თოვლზე მოციმციმენი,
თავს გევლებოდნენ თითქოს,მეფურად.
შენ ამორძალთა,სისხლის ყივილო,
ძუძუ ნაწოვო,ტყის ლაღი ირმის,
ნაწვიმარ ველზე,გაშლილ კულულებს,
ყელზე მოგახვევს,ნიავი მინდვრის.
მე შენ მოგართმევ,თეთრ ფეხება რაშს,
შენთვის ტახტი სურს,შენს ბედისწერას,
აღელვებულ ვაჟთ,მოსტაცებ გულებს,
დაბლა დახრიან,ბრაზიან მზერას.
სხივი ხარ ცისა,სხვა რამ მშვენება,
სული ხარ თითქოს,ხელშესახები,
მე შენს ქორწილში,მზეს დავპატიჟებ,
ღვინოდ ჩადგება ქვევრს,ვენახები.
შენი სიცილი,ზეცას ასწვდება,
ყანწებს ასწევენ მაყარში,როცა,
სილაღე შენი,გაკვესავს ელვად,
სხივთ სიკეკლუცეს,მოუწევს მოცდა.
შენ,ამორძალთა შთამომავალო,
ცისკრის ნათელო,ამომავალო.

ლომისა

ამოყირავდა ღერძი მიწისა,
უნდა ვამყნო და უნდა ვახარო?
არ მინდა სისხლი,გამიხმობს ნარგავს,
შენ გევედრები,ღმერთო მაღალო.

უნდა ავიდე,წამოვაყენო
თუ გინდა რისხვამ ,მეხად მაწვიმოს,
უნდა ვიპოვო ფესვი ხარების და
მლეთის მთებზე გადავაწვინო.

გრდემლი რახუნობს,ლომისის მთაზე,
დუღს ლავა მომხდურთ დასაშანთავად,
მთის გულს მივაკრავ ყლორტს ამოხეთქილს,
დიკას დავთესავ,მოვა თავთავად.

ფეხს ნუ დაადგამ ,ბედისმწერალო,
ჩემს მიწას ავად და საბატონოდ,
ხედავ?ღვთისმშობელს შეუწირია,
სალოცავად და ღვთის საპატრონოდ!

მშვიდობა იყოს, დიდო ლომისავ!

დრონიმც წაგშლია

სიკვდილო, ყოფა ნაძრახი,
ნეტავ რაით არ მოგწყინდა,
მაგ შუბლზე ცოდვა, ნადენი,
როგორ ვერავინ მოგწმინდა.

შამზიზღდა გათენება და
ცარგვალის შიშით ყურება,
რაღა ვქნა,აღარც კი ვნაღვლობ
აი,თუ დამემდურება.

არ მინდა, დრონიც წაგშლია,
შენს სიახლოვეს ტრიალი,
არ მინდა მოსწვდეს სმენასა
მთათა,ღვარცოფთა ღრიალი.

მთას,კლდეთა გლოვამ დამღალა
შოვს,ბალღთ ტირილის სმენამა,
ვერეს,საჯიშე ქალვაჟთა,
ნაგემ ტკივილთა თმენამა.

უცხო სამ მოუსავლისკე
გუშინ,გოგო- ბიჭთ დენამა,
რით ვეღარ ვწყვიტეთ ბეგარა
რა,ვეღარ არწყო ზენამა.

გულს გლოვის გოლგოთა აწევს,
მიწას,სიმძიმე სულისა,
რამდენს დავტიროთ საფლავებს,
უდროოდ დაკარგულისა.

და-ძმას ვეძებ

საიდანღაც სუნთქვა მესმის იდუმალი,
წარმოსახვის ან,რეალურ სულის,
არსებობსო სხვა სამყარო სადღაც,
სიცრუეა თუ,სიბრძნეა ჩუმი.

გაბმულ სიმებს აცახცახებს სევდა,
მზერა თითქოს მიმეყინა წარსულს,
ვერა ვგუობ ჩემს ახლანდელ ყოფას,
დაძმას ვეძებ,საითკენღაც წასულს.

ჩემს სხეულში თითქოს,სისხლიც გამშრალია,
წვეთ წვეთ,ჩუმად დამდენია უკან,
რა სამყარო გაიარეს უსაზღვრო და
ჩემს ტკივილზე ,ასე როგორ დუმან.

რა ხერგნელით ამოვსილა მოსაბრუნი,
მონატრებაც როგორ უღვთოდ გათელილა,
როგორ უნდოდ დამეხვია მდუმარება,
ირგვლივ მხოლოდ,ჩემი ცრემლი გაფენილა.

თქვენთან მინდა,მომეფერეთ გევედრებით,
სულის კივილს გზა- შარანი არევია,
ნადირთ ყმუილს მოჰგავს ჩემი ნატირალი,
აზრთა წყობა,ღამეულის ნარევია.

ხან ხმაც მესმის ,თქვენი ჩუმი ნაბიჯების,
სიოს მოაქვს ექო ჩემთვის განამეტი,
დაძრწის სული,დაძმათ სულთან შესახვედრად,
მენატრებით,უსაშველოდ მენატრები.

ნამი

მისდევს ქალი ქარისაგან,
წამორეულ ფიფქთა ფრიალს,
ქალის გულს ხომ ოცნებების,
ოქროს საწყაული ჰქვია.

მოვიდაო გაზაფხული
მაშ,ცავ ცრემლი რატომ გცვივა,
თუ ფიფქები,ნამ ნაქცევი,
ცის ცრემლებივითა ცვივა.

ტირის ია,ტირის ტიტა
გრძნობებს,ცრემლით განაწამებს,
დაეკიდა ნამთ ნაღვენთი,
გვირილების თეთრ წამწამებს.

მზის სხივების ხელით ნაჟურს,
თოვლის თასში ფერთა რიალს,
ღვთის ქმნილების ოცნებების,
ჩუმი სადღეგრძელო ჰქვია.

მისდევს ქალი ქარისაგან,
წამორეულ ფიფქთა ფრიალს,
ქალის გულს ხომ ოცნებების,
ოქროს საწყაული ჰქვია.

* * *

გამიშვით მეძახის მე, მთების სილაღე,
არ მინდა მაშინებს აქ ჩემი აჩრდილიც,
იქ, ხატის ადგილზე,ნამეხარ მუხაში,
სიბერის ნაცვალი რქები მაქვს გაჩრილი.

იქ,მთაში,ნისლები თავისას ჰყვებიან,
იქ ღმერთიც ახლოა,თითქოსდა მეძახის,
კარისღობს ატყვია ნადირის ნაჭლენკი,
იქ არც სიფლიდეა,არც ყოფა ნაძრახი.

სანებათ,ცხენთ რემას სული გამიყვება,
ნაქონი ნაბადი ცრემლით დამილბია,
აექავ სიცოცხლეს,იქ მიჯობს სიკვდილი,
ბარიდან იქ,მთამდე ფიქრი გამიბია.

რა ვქნა თუ სიბერემ შუა გზას მიწია,
გამიშვით ვაგროვო დღეები ნაფანტი,
უნდა გავამზეო ხარიხას ნაკიდი,
მღილისგან დაჭრილი,ნაქონი ნაბადი.

ბარად ჩამოყრილი,გზაკვალარეული
ჭრელჭრულა ფრინველნიც მე შამამჩივიან,
წავიდეთ ავუყვეთ მთისაკე ბილიკებს,
ფოთლით და ბალახით მოხატულს,შიბიანს.

* * *

გიორგობას გილოცავთ მეგობრებო
შენს მხრებზე დასცეს ლოდები,მძიმე
რწმენის გოლგოთას რომ ასდიოდი,
ქრისტიანობის საძირკვლად იქეც,
გვიშველე ჩემო,წმინდა გიორგი.
ნუმც მოვსწრებივართ,ნუმც გვინახია
სარწმუნოება,ფეხქვეშ ნაგები,
გაგვსრესავს ისე,ამაოება
სიმწარე მოვა,ჯერ არ ნაგემი.

ივნისის ცაო

პატარძალივით ირთვები,
ივნისის ცაო ტიალო,
სადამდე შამოგცქირო და
კიდით კიდემდე გიარო.

ქალს მალავ სხივსახიანსა
მზეს,დედას დედამიწისა,
მაღლა რა წყდება და დაბლა,
მიწაზე არა ვიცით რა.

იქნებ ნაწნავნი დასცვივდა
თმას,სხივთა ჩამოწნულები,
იქნება სადმე წავიდნენ,
ვარსკვლავნი დედაწულებით.

იქნებ ძალიან შაწუხდნენ
დაბლა,მიწისშვილთ ყურებით,
დარდი ჩამოდის ცრემლებად და
თქვი,აღარ დაგემდურებით.

აკი ვყურობთა ჩვენაცა
სოდომგომორის ცოდვათა,
გველთ,ლიბოს ძირში გაწოლილთ,
წიწილათ ავთა,მცოცავთა.

ნუ შამოგვწყრები ზეცაო
მზეო,სავსეო მადლითა,
წავალთ თუ კარგა ახდება,
კაცთ მოდგმის სადმე წასვლითა.

ბედი

ბევრჯერ შევძახე ჩემს თავსა,
რად არ გასვენებს გამჩენი,
რა შენს სამწერლოდ გაღონებს,
სიტყვათ მარაგის ნარჩენი.

დამალე მაინც,ნუღარ ჰხდი
ლექსთა სამყაროს სარჩენად,
აი ნუღარ ესალბუნები
სიცოცხლის გადასარჩენად.

რაღა ვქნა,განა არ ვიცი,
ვერა ვთქვი აზრი სარჩევი,
ვერცარა ჭკუა,საკითხი
ვერცარა ლექსი,ნარჩევი.

დიდი ხან ხო არ ვიქნები
გონზე,გონების შამრჩენი,
არც საუკუნოდ არა ვარ
ამ ქვეყანაზე დამრჩენი.

ავად ნურავინ მახსენებს
მეყოფა,ღვთის განაჩენი,
ბედი,მუცელში ნაწერი
აი აქამდე ნაჩვევი.

ნურცად შამარცხვნი ნაწერო,
ლექსო,გულიდან მოსულო,
ჩემი ცხოვრების სავალო
ნაფიქრ,საწერად მოცულო.

აქ მთაა

უნდა მოვავლო კაბაზე,
სირმით ნაქარგი არშია,
თორემ ქარი სამ შამარცხვენს,
როცა ავდივარ მთაშია.

როცა მზე,სხივებს ჩამოჰფენს,
პირს რო დაიბანს წყალშია,
წვეთებს რო შამამაპკურებს
წამწამთ ცრემლებად,თვალშია.

გამტაცებს,კაბის კალთებსა,
ამირევს გაშლილ თმაშია,
საწმერთულს ამიფრიალებს,
მწარედ შამრცხვება ხალხშია.

აქ მთაა,სიწმინდეთ კერა,
ნაწნავი ფასობს ქალისა,
აქ კლდეთა ფხებზე ჰკიდია,
ნამუსი ამორძალისა.

აქ ლაღად ნაიალაღრობს
ნამუსი,მხრებზე ქალისა,
შვილების გადმოსახედი და
უფლისთვის,ქუდი მოხდილი,ქმარისა.

მთაო,გამჩენის ნაკურთხო,
სამგან შაგხსნიყოს კარია,
სამგანვე,სამად გეწამლე
მე,ვალმოხდილი ქალია.

* * *

ჩამოსდევს ჟამის სიშავე
მთათ ჩამოყოლილ ხევებსა,
ნიავი სწეწავს ნაირფერ,
ქიშმირ მოხვეულ ხეებსა.

გულს მონატრება შეჰყრია,
მაისის ლაღი ფერების,
ჩამამედინა თვალებზე
წვიმის ნაყარი ცრემლები.

ჯერ ნუ მაიხვევთ გორებო
ნისლებს,გამხეთქავს გულისა,
მზეს ვეძებ გაცინებულს და
ყვავილთ სუნს,გაზაფხულისას.

აღარც მერცხლების ხმა ისმის,
ყვავყორანთ დარჩათ არენი,
მუხები დაბლა დასცქერენ
ტანზე ხავსთ,მგლოვიარენი.

გაშლილა მიწის პირზედა
ფათოლნი,რევენ ქარები,
საზამთროდ უნდა მიჯარონ
სითბოს ნაჩვევი კარები.

დაიცა შე დალოცვილო
ჯერ,ცოტა ადრე არ არი?
სიბერესავით ჩამოსთოვს
თოვლი,ცით ჩამონაყარი.

ჩემი კერია

ღმერთმა დალოცოს შენი კერია,
ბუტბუტებს ჩუმად,ჩემი ბუხარი,
ასე მგონია ზეცამდე ადის
სურნელი კერძის,ანადუღარის.

კარის დირეზე თრთიან სხივები,
მე ფუძის მესმის,ჩუმი ხითხითი,
შემომაფრქვია სულის კიჟინა
თურმე მელის და,აი ახლა მივხვდი.

გულის ბორგვაზე ღიღინს მაგონებს,
სიმშვიდეს მჩუქნის,ცრემლი რომ მომდის,
სულსაც მიბერავს გახეთქილ მხარზე,
ცხოვრებისაგან მოტეხილ ტოტით.

კარის დირეზე თრთიან სხივები,
წელზე მეხვევა სინათლის ელვა,
გაყუჩებულა სული,სიამით
და დასაჯდომად ვეშვები ნელა.

კერიავ შენი მადლის ჭირიმე
წამალო,უკვე ჩემი სიბერის,
მხოლოდ შენ იცი ფასი უთქმელი
ჩემი ჭაღარის,თუნდ ერთი ღერის.

შენ იცი ჩემი დილის ყივილის
და ბევრიც,თეთრად ნათენებ ღამის,
გადაყვანილი თვლების სიმრავლე
მაშინ,წყალსაც რომ ეძინა წამით.

დაჯექი ახლა ჩემს ფერხთითაო
ბუტბუტებს ჩუმად,ჩემი ბუხარი,
ჩემთვის ვიფიქრე ჰო დროა,დროა
მაგრამ,ხმამაღლა ვეღარ ვუთხარი.

ვერ გავუბედე,დამმდურდებოდა,
გული არა მსვამს ეს სატიალე,
ვეღარ დავდინჯდი,ვეღარ დავბრძენდი
ჭკოვ,ჩემსკე ვეღარ მოგატრიალე.

მხოლოდ თქვენ უკვდავნი

მზეო,დედამიწა ,შენც შამოგმდურდება,
არც შენ გაპატიებს ღალატს,გრძნობებისას,
არც რას ვეკითხებით რასმე ,ყოფიერის,
არცრას სატკივრისას მისი ცხოვრებისას.

უხმოდ გაყინულა გული,მდუმარების,
უხმოდ დაუთმია შენი სიყვარული,
ვინ ჰკითხა ,მისთვისაც უნდოა განგება
იქნებ,მანაც იცის თავის სიბრალული.

მზეო ,დედამიწა შენც შამოგმდურდება,
შენგან ორგულობას არ არი ნაჩვევი,
უფალს,თავისი შექმნილი სიცოცხლე,
თქვენთვის გაუხდია სარჩენი.

მზევ,გეცოდინება,ახლო ხარ უფალთან,
დაბლა დედამიწას,მარხვა დასდგომია,
არცრა სიამაყემ დაგძლიოს ნეტარო,
მიწა ხომ ,იესოს ყრმობის სადგომია.

ლია შენგელიძე - ფილოლოგი
ნინოწმინდის საჯარო სკოლის დირექტორი
დაბადების ადგილი ყანდაურა, საგარეჯოს რაიონი

სადღეგრძელო

სადაც დავითის ცხენს უძოვია,
ჭირს წაუღია სადაც ოსმალი,
სადაც მწვერვალნი დაუთოვია,
მრავლად შობილა სადაც მგოსანი,

სად სიყვარული მალამოდ სცხიათ,
მოყვასს გულგაშლით სადაც ხვდებიან,
სადაც მეგობრებს და-ძმებად თვლიან,
ერთგულებისთვის სადაც კვდებიან,

შერკინებიან სად მტრის ურდოებს,
ჩაუდგამთ მკერდში ფოლადის გული,
ყველა მრუდეს და ყველა უნდოებს
ამოსძრომიათ ძაღლურად სული,

სადაც იარებს ლოცვით ირჩენენ,
ტკივილის ნაცვლად ღიმილს იჩენენ,
ამ თასით შევსვათ მაშ სადღეგრძელო,
ეს, გაუმარჯოს ჩვენს საქართველოს!

არასოდეს...

არასოდეს გააყოლო ქარს,
რაც გიყვარს და, რაც ნამდვილად გწამს.
არასოდეს შეიყვარო ის,
სიყვარულით არ გპასუხობს ვინც.

არასოდეს გაიმრუდო გზა,
რომ შენს გზაზე არ იაროს სხვამ.
არასოდეს წაიხდინო თავი,
ვინმე უგვანს არ დაუდო ზავი.

არასოდეს ჩაიდინო ავი,
სტუმარს ღია დაახვედრე კარი.
ნუ აჰყვები ცინიკოსს და უბირს,
ვის ღირსება ჩალადაც არ უღირს.

განერიდე ორგულსა და ცბიერს,
არ გაანდო შენი გულისთქმა.
ვინც ხარ, ყველგან ის იყავი მუდამ,
ყურს ნუ უგდებ, რაც უნდათ, ის თქვან.

როგორ ვიქნები?!.

- როგორ ხარ?- მკითხე.
- როგორ ვიქნები, როცა
გარშემო სევდაა დიდი,
სიბნელესა და სინათლეს შუა
ვერავინ გადო სამოყვროდ ხიდი.
როგორ ვიქნები, როცა ქვეყანა
ტკივილით არის გარემოცული,
შვილი საფიცარ დედას არ ინდობს,
ცოტაღა დადის ქალი ორსული...
დაცარიელდა როცა სოფელი,
ქალაქი მოჰგავს ცირკის არენას,
მთლად გატიალდა წუთისოფელი,
ვხედავთ ქაოსს და არევ- დარევას.
სინდისის ქენჯნა გროშადაც არ ღირს,
ამპარტავნობის არის ზეობა,
მტერთა საქებრად და სადიდებლად,
გადავუარეთ ქართველთ მეობას.
დავითის საფლავს დავადგით ფეხი,
არა -კრძალვით და არა- რიდებით...
გაუფასურდა დრო სანუკვარი,
მომავალს იმედს ვერას ვპირდებით.
კაცმა ჩაიცვა კაბა ქალისა,
სატანის მოდგმის გახდა მხევალი,
თვალში გვეჩრება ჯვარი ვაზისა,
გლეხის ნაოფლარ ზვარში- მტევანი.
შემოგვიგდებენ რაღაც სიახლეს,
თვალს შეავლებ და კარგი გგონია,
გონების თვალით შეხედავ თუკი,
მიხვდები, არის რომ აგონია...
სათქმელს ხმამაღლა იტყვი და ვაი,
სიმართლეს თუკი ქადაგებ მხოლოდ,
გადაგიდვია, როგორც ჩანს, თავი,
ვინ გაგახარებს, ბოლოს და ბოლოს...
ერთმანეთს ვჭამთ და მავანთ ვაბრალებთ,
შენ არ ვარგოდე, ვისი ბრალია?!.
თავად მაცხოვარს, ჯვარზედ რომ ვაცვით,
ფიქრობ, რომ ჰქონდა ვინმეს ვალია.?!.
ჩვენსას არ ვუვლით, ჩვენსას არ ვითმენთ,
სხვათა დაკრულზე უსიტყვოდ ვროკავთ
და სარეველას, ყანას მორეულს,
ვამრავლებთ, თანაც, თაფლივით ვლოკავთ.
შენელებულა ძარღვებში სისხლი,
გონების ტრომბი შემოგვეჩვია,
ვხედავთ, ერთმანეთს დავშორდით მისხლით,
გონის ქონებას ზომბი გვერჩია...
ვლანძღავთ, ვაგინებთ თვით ეკლესიას,
საუფლო სახლი ვსახეთ ბილწებად,
შენ ქადაგებას უსმინე მოძღვრის,
მაგით სული არ წაგებილწება.
თავად მოძღვარიც კაცთაგანია,
როგორც მე და შენ, სავსე ცოდვებით,
ჩვენს წიაღიდან მისული ტაძრად,
ზოგი - უგულოდ, ზოგი - გოდებით.
ღვთის განაჩენი მასაც ერგება,
ცუდს ნუ ამრავლებ, სიტყვით რად ჯავრობ?
ჭეშმარიტება ისმინე გულით,
ყველას მოგვიწევს უფლის სამსჯავრო.
ვამბობთ: ქვეყანა გადაირია,
შურის და ღვარძლის მძევალნი ვხდებით
და ქვეყანაში, ჩვენც რომ , ვითვლებით,
ჩვენს დანაშაულს რატომ ვერ ვხვდებით?!.
როგორ ვიქნები?!. მტანჯავს ფიქრები,
შენ, მომავალო, შენ მეფიქრები!..

ქართველობა არის მკაცრი გამოცდა

ქართველობა მარტო სიტყვა ნუ გგონია,
ან სუფრაზე სავსე ყანწის გამოცლა,
ქართველობა არის მტერთა აგონია,
ქართველობა არის მკაცრი გამოცდა.

ქართველობა საუკუნეთ ნაწრთობია,
ურჯულოთა მარცხით მონაპოვარი,
უფლის მადლით ნაკურთხი და ნამკობია,
მამა- პაპის სისხლით დანატოვარი.

ქართველობად ვერ ითქმება სიტყვა- ბილწი,
სატევარი სარდაფს გადაკარგული,
მიგდებული მანდილი და ეშმას ჰიმნი,
ქართველობა ოშკია და ხახული...

ის ძალაა, სიყვარულით ანთებული,
მოყვასის გულს სალბუნად რომ ეკარება,
ის გონია, მტერთ საოხრად მომართული,
ღირებულს რომ ყველგან ფარად ეფარება.

ქართველობა არ გეგონოთ უტიფრობა,
კუჭის საზრდო და დღიური საკვები,
ქართველობა - ეს არ გახლავთ უფლის გმობა,
ზეობაა შოთას ლექსით ნაკვები!

წარსული ფერმკრთალდება

ძველებურად აღარ მესალმები,
დაჭკნა უკვე ჩემი კესანები,
შხაპუნა წვიმების დარია,
ავდარმა არია - დარია.

ძველებურად აღარ მეგულები,
სხედან მოწყენილი ბეღურები,
ბაღში ყვავილები არ არიან,
სულში სევდიანი ზამთარია.

მთის წვერს გადმომდგარი მზე აისი
სხივებს კანტიკუნტად გადმოისვრის,
თვალწინ დამიდგება დრო წარსული,
ცით სითბო სინათლედ გადმოსული.

რამდენი გეძებე ლელიანებს,
რამდენი შამბნარი გამივლია,
ავყევი ბილიკებს ეკლიანებს,
გული უიმედოდ დამიღლია.

ძველებურად აღარ მენატრები,
სიზმარშიც იშვიათად მელანდები.
დროს მიაქვს ნატვრა და სნება,
წარსული ფერმკრთალდება.

მტკვართან

მტკვართან ცრემლი მომერია,
სევდის ფიქრმა წამიღო.
თანამგზავრი მეკითხება:
-რა გატირებს, რა იყო?
არაფერი, სულ უბრალოდ,
თვალი ამიწყლიანდა,
ძველი დარდი მომეძალა,
განმიახლდა იარა.
მტკვართან ცრემლი მომერია,
სულ უბრალოდ, გგონიათ?
სარკინოზთა ნაფეხურებს
გული დაუტორია.

კაცი კაცისა მტერია

ყველა თავის ჯვარს ატარებს,
ყველას გზა ბეწვის ხიდია,
ცხოვრება ზოგჯერ გვახარებს,
ზოგჯერ თვალებში ბინდია.

ვინ ნახა სული უნაკლო,
სული- უმანკო კრავივით,
წუთების ორომტრიალში
ცოდვები მოდის ზვავივით.

ხან სიტყვებს მოვეფერებით,
სიტყვებს, ლაღებს და მზიანებს,
ხან ენას ვილესთ სიმწარით,
სხვათ გულებს დავუზიანებთ.

მივეშურებით იქითკენ,
სად ბოლო საყუდელია,
აქ არ დავრჩებით და მაინც,
კაცი კაცისა მტერია...

უშენოდ წუთი საუკუნეა

-მზე ჩაესვენა სადღაც, მთებს მიღმა,
ირგვლივ ყველაფერს წყვდიადი იპყრობს,
შენ ალბათ ახლა სიზმრებში დაქრი,
მე კი არ მძინავს და შენზე ვფიქრობ.

გულჩათხრობილი გავყურებ წყვდიადს
და ამ წყვდიადში შენი ლანდია,
შენ კი, თუ გძინავს, გჩუქნი ტკბილ სიზმრებს,
ახლა სხვა მეტი რა მაბადია...

გულში ნაფიქრალს და ნაოცნებარს,
შენთვის ნაჩუქარ სიზმრებში ვაქსოვ,
პირველად ვათევ უშენოდ ღამეს,
დაფერფლილ გულზე მაწვიმს და მათოვს.

პირველად ვათევ უშენოდ ღამეს
და მოუთმენლად ველი განთიადს.
უშენოდ წუთი საუკუნეა,
გულში ისეთი ცეცხლი ანთია.

მწირი ქართველი

(ნიკალას)

-გაისეირნეს მტკვარზე ტივებმა,
მეტივეების ჩანდა აღლუმი,
წუთები წუთებს ისე მიება,
ვით სიყვარულის გრძნობას ალმური.

მეტეხის მკერდში ფეთქავდა ღამე,
მთვარეს ეწადა გუშაგად დგომა.
ხმელი ფოთლები დაქროდა ქარში,
იდგა სიცივე და შემოდგომა.

შორით ,, ტივურის" ისმოდა ჰანგი,
ტკბილხმოვანი და საამო ბანგი,
გადმოჰყურებდა მტკვარს ნარიყალა,
ღამეს ძერწავდა ფიქრში ნიკალა...

მთვარის ციალით ელავდა ქუჩა,
სიონს სიწმინდის ედგა ნათელი
და ცივ ღამეში გათოშილ მუჭას,
ფუნჯით ითბობდა მწირი ქართველი.

მტრის ურდოებს მიარღვევდა ქალი!

(ცხრა ძმა ხერხეულიძის დედას)

ცის კაბადონს ღამის ბინდი შეერია,
გზამ ნისლები აჩრდილივით დალანდა,
აბობოქრდა საზარელი გეენია,
ცეცხლის ალში გაეხვია მარაბდა.
ნაჭარმაგევს იხმო მეფემ ქუდზე კაცი,
ვინ შემკრთალა სავაჟკაცო ძახილზე?!.
კაცთა ქალებს ჩააბარეს ოჯახობა,
გაბედულად ხელი იკრეს მახვილზე.
ერთზე ათი მოდიოდა მომხვდურთაგან,
დაგეშილი მტერი ბოღმას ანთხევდა,
იყო ბრძოლა სასტიკი და ულმობელი,
ვერ მოღალეს მაინც მკლავი ქართველთა.
მარაბდელ ქალს გული აუგს უგრძნობდა,
ვაჟიშვილებს ბრძოლის ველი უხმობდა...
ჩაიხუტა, გადაკოცნა ყოველი,
იყო უფლის შემწეობის მთხოვნელი.
და, როდესაც ყველა კარში გავიდა,
მათთან ერთად ბრძოლის ველზე წავიდა.
ცხრავე ვაჟი დედას თვალწინ მოუკლეს,
ქალს საწუთრო სატირალი გაუხდა,
მარაბდელი დიაცი არ შემდრკალა,
დროშით ხელში მოლაშქრეებს გაუძღვა.
დედობის მადლს ვერ აწონის ვერავინ,
დედის გულში გუგუნებდა ზარი,
ქართულ დროშით, უფლის ერთი მხევალი,
მტრის ურდოებს მიარღვევდა ქალი!

მოდი, გაზაფხულო!

ისე მომენატრა გაზაფხული,
როგორც მშობლიური თბილი კერა,
მარტის თავაწყვეტას ვეღარ ვუძლებ,
მარტმა ოცნებები დამიძველა.

ნისლი, შეფენილი მთათა ჩეროს,
მინდა, როგორმე რომ შევაჩერო,
ზეცას გამოვტყუო სხივთა ალი-
ციურ სილამაზის ნატერფალი.

ბაღში განაბულა ტყემლის ჯარი,
კვირტებს თოვლის კაბა შემოუცვამთ,
აღმა დათარეშობს ურცხვად ქარი,
ვხედავ ზამთარს ბოლო აღარ უჩანს...

დღეებს ვერ გავუგე ვერაფერი,
თვალსა და ხელს შუა მეცლებიან,
თითქოს უხილავი ძალის ხელით
გულაღმა ტატამზე ეცემიან.

ფიქრები, ჯაჭვივით გადაბმული,
ვგრძნობ, რომ ერთმანეთში აირია,
სიცივით მიმქრალი გაზაფხულის
სურნელი დღესავით გაილია.

მწვანე მაქმანებით, ფერად ყვავილებით,
როგორ მენატრები, როგორ გგულობ,
მოდი, შენებურად მორთე აივნები,
მოდი, სიცოცხლეო, მოდი, გაზაფხულო

სიცოცხლისფერი მიყვარს განცდები...

მე მიყვარს ფიქრი, სხვაგვარი ფიქრი,
როცა ოცნება ღრუბლებში მიქრის,
როს გაზაფხულის მხიბლავს ფერები,
მწვანედ ბიბინებს როცა ველები.

მე მტკივა დარდი დამჭკნარი ვარდის,
მინავლებული სიცოცხლის მზერა,
კენტად მთვლემარე ნაზი ბეღურა
და წეროების შორს გადაფრენა.

მე მათბობს სუნთქვა ლამაზი სულის,
გულის სიღრმიდან მომსკდარი ვნებით,
მათრობს მაისის აის- დაისი,
ამ სილამაზის ყურებით ვტკბები.

ტკბილი სიტყვების მიყვარს მოსმენა,
უკიდურესად კიდევ - მოთმენა,
მიყვარს მშვიდი ზღვა, აღმართებზე სვლა,
გზებზე პალმები, ყვავილი და ბზა.

მე განცდაც მიყვარს, ზვირთად მომსკდარი,
სულით- ხორციან რომ შეგძრავს ისე,
ბობოქარ ზღვაში მოხვედრილ ხომალდს,
ჩასანთქმელად რომ ფეხდაფეხ მისდევს.

მიყვარს მდინარის პირას სტუმრობა,
ფრინველთ გალობის რიტმული ხმები
და იდუმალი ბუტბუტი წყალთა,
დახავსებული ლოდები, ქვები.

ტანაშოლტილი მიყვარს ნაძვები,
ტოტიდან ტოტზე მხტომარ ციყვებით,
სიცოცხლისფერი მიყვარს განცდები,
რასაც ერთ ლექსში ვერ მოგიყვებით.

***

ცამდე ასული მთები
ნისლის კარავში წვანან.
სიო უბერავს ნელი,
წვიმა ცრის ისევ ბარად.

ფიქრი ფიქრებზე მოდის,
გრძნობას ასკდება ტალღად.
შორს, სადღაც, სძინავს ხსოვნას,
ფიქრებზე უფრო მაღლა.



ლილი გულბათაშვილი - პროგრამისტი
დაბადების ადგილი დუშეთი

ერთი ფასი აქვ

--ჩაიღვენთების ბოლო სხივი , მიღმა ემ მთათა,
ჩაიფერფლების ბოლო ღამის ბნელი საფარი,
წავალის ხვალე, შენთან ერთად ბოლო იმედიც,
შამრჩების გრძნობა, კვლავ მარტო და მიუსაფარი.

ჩამამაწვიმებს ცის თაღები, წვეთებს ნუგეშად,
სავსეს გარდასულ წუთთა ტკბილი მოგონებებით,
მემრე აღსდგების, ასფალტიდან აწმყო უხეშად,
გულს გამიწყალებს გონად მასვლის მოწოდებებით.

იქავ ბუჩქებზე შამამჯდარი ციცქნა ბეღურა,
დაიწრიპინებს, თითქო რაღაც ჰქონდა სათქმელი,
გუშინ გარემოს, შენი გულის , სითბო ეხურა,
დღეს, ემაგ თოლთა, გადმამყურებს, ციდან ნათელი.

დაიწყებს გული მალოდინის,წუთების ათვლას,
გაილევიან უღიმღამო, გრძელი დღეები,
ერთი ფასი აქვ, ემ წუთებში თქმასა და არ თქმას,
რადგანაც სულში, რითმით უკეთ ჩაიხედები.

მაინც უკვდავია

ალბათ წაიკითხავ, იქნებ გაგეცინოს ?
იქნებ არც გენიშნოს, ჩემი ნაბოდვარი?
შენგნით შაშლილს ან კი, რაი დამეფიცოს?
წვიმაც აგრე სარკმელს არის ჩამომჯდარი.

ჭიქა ღვინითა და ღერი თამბაქოთი,
გადის წამთა წყება, წუთნი სალოცავი,
წამებს ხომ არა ჰყავთ ქვეყნად ანალოგი,
ყველა გულში გვრჩება წარსულ წამ-მლოცავი.

მერე ვიგონებთ და იმ ტკბილ მოგონებებს,
ცრემლებს მირონივით ტანზე ვამცვრევთ ხშირად,
თან რომ გაიგონ და თან რომ ვერ გაიგონ...
ადამიანების გულზე ვკიდებთ მძივად.

მერე დაიწყება კითხვის ნიშანთ როკვა,
ეს მე მეკუთვნისოო? თუ სხვა იყო ვინმე ?
ჩვენ კი შაშლილ პოეტთ, მუზათ სახეთ ხოკვა,
ანდა ღიმილები , ყოფას გვიადვილებს .

ჰოდა სანამ პოეტს ისრე შაუყვარდი
რომ მაგიძღვნას რითმი თუნდაც ერთი ციდა,
იმ საკუთარ აწმყოს ისე გაუმკლავდი,
ხვალე რომ სთქო ამად, მთელი ყოფა ღირდა.

და თუ არა მაშინ ისრე გადიკარგე,
რომ ვერ მაგხელოს და ვეღარ გიძღვნას გული,
თორემ, დამიჯერე, ასჯერ რომ გასცვალო,
მაინც უკვდავია პოეტთ სიყვარული.

ბედნიერი ვარ რომ...

ჩემო გარიჟრაჟის შაბინდებავ,
უნდა მაპატივო სიშორე,
მუზად დამყვებიან ეგ თოლები,
თავიდან ვარც-რაით ვიშორებ.

როცა ვერ გავიგე ეგ დუმილი,
როცა არ ვისურვე ლოდინი,
რაცა დავიჯერე სხოთა თქმული,
დარდი გავიხადე დობილი.

ახლა მტკივა შენი ტკივილები,
ცრემლი ჩუმად რომ გდის ღამ-ღამე,
შენ ხომ არ გჩვევია ჩივილები,
მეც ეგ უთქმელობა მაწამებს.

ნეტავ დააბრუნა ახლა ის დრო ...
ის დრო .... სულს რომ ასე ათბობდა,
ჰოდა მეტად მიჭირს რაც მეტს ვფიქრობ,
თვალზე ცრემლის ცვარი გათოვდა.

იცი განა არა კარგად იცი,
და მეც სინანული მაწამებს,
ახლა ძალას ჰკარგავს ყველა ფიცი,
მუდმივ ცრემლად დახოლ წამწამებს.

ჩემო გარიჟრაჯის შაბინდებავ,
ისევ მეჩემები ... ასე რომ...
გიხსენებ და ისივ მეღიმება,
ბედნიერი ვარ რომ არსებობ.

ნუღარ მევედრები

ახლა უნებურად დაწყებულმა წვიმამ,
ისე მომანატრა შენი შენი ჩახუტება,
ცრემლმა დამინამა თოლნი ღამ-ნათავიკ
თუმცა ეს ცრემლები, იმ დღეს, არ უხდება.

იმ დღეს , რიყეზე რომ წვიმის აკორდებში,
ნაბიჯებს გვითვლიდა მთვარე ოქტომბრისა,
მერე ბედისწერამ ციურ გამოთვლებში,
ჩვენი იმედები ჩაწყვიტ- ჩამოსრისა.

ასე უიმედოდ ერთურთს დაგვაშორა,
და შენ ბინადარი გახდი უცხო ცისა,
მე კი, მე კვლავ შავრჩი, კენტად ნარიყალას,
კვლავაც ემ ბარიდან, მოალერსე მთისა .

ახლა მანძილები უფრო შორი გახდა,
მაგრამ გრძნობა უფრო გულწრფელია მგონი,
ტყუილი ყოფილა, ჩემო, რომ ამბობენ,
გრძნობებს ახუნებსო, მანძინელები შორი.

ახლა უფრო მეტად , ვიდრე აქვე ახლოს,
მენატრები და იმ დღეებსა ვცემ თაყვანს,
მანძილ რას დააკლებს თუ ჩემს გულში სახლობ,
და ჩვილი ბავშვივით გირწევ გრძნობის აკვანს ?

ოღონდ ის კი არის წვიმა ალმაცერი,
სხეულს რომ მისველებს და ცრემლებსაც მალავს,
შენზე ფიქრის გახდა გულში შამმჩენი,
რომ მის გასაფანტად აღარ მყოფნის ძალა.

ახლაც ვსაუბრობდით, ისე, სხვათაშორის,
მერე ცრემლიანი მზერა აგარიდე,
ისევ გამიცოცხლდა იმედები შორი,
თითქოს ბურანიდან ისევ გამაღვიძე.

განა ლოდინი მღლის ? - არა, არც იფიქრო,
რომ ეს მანძილები შენს თავს დამაშორებს,
ნუღარ მევედრები რომ მე არ ვიტირო,
მე ამ ცრემლებით ვრწყავ სულში ყაყაჩოებს.

ვგავართ?

ვებრძვით საკუთარ თავებს,
ცალ-ცალად ვბოჭავთ გრძნობებს,
ვსაუბრობთ ათას რამეს,
ვგავართ გრძნობების ლოთებს .

ნაბიჯს გადადგმულს მცდარად,
 თავს არ ვუტყდებით ჩემო,
ახსნის დავკარგეთ ძალა,
მაინც ერთურთსა ვჩემობთ,

ხელი გაგიშვი როცა
მძლია ვერ თქმულმა კითხვამ,
და წმინდა გრძნობა შთანთქა,
სხვისა ნათქვამმა სიტყვამ.

მაშინ გამიწყრა ღმერთი,
მაშინ დაგკარგე თვითონ,
გულში ანთებულ ცეცხლით,
დღეს გათოშილ გულს ვითბობ.

ისევ სალოცავ ხატად,
მინთია სახე შენი,
თუმც გულში ჰღუის დარდად,
თვალები ღვინისფერი.

ვებრძვით საკუთარ თავებს,
გრძნობას ჯიუტად ვმალავთ,
სიყვარულით და ჯიბრით,
ერთურთს საოცრად ვგავართ.

ერთურთს მოვუხმობთ მაშინ,
როცა ხრამის წინ ვდგავართ,
თუმც სხვა-სხვა ბილიკს მივდევთ,
მაინც ერთმანეთს ვყავართ.

მთათა კალთაზედ

ისევ ჯიუტად მივუყვები მთათა გზაწვრილებს,
გავკიდებივარ ლაღ ოცნებებს შაშლილის ჟინით,
ვამხნევებ გრძნობებს , მოლოდინით ერთობ დაღლილებს,
და მე და ნისლი ერთობლივი ცვარ-ნამით ვტირით .

წიფლნარში შაშვი დაჭახჭახებს ვიღაცას უხმობს,
ნაძვანირის ბოლოს მეყურება ყვირილი ირმის,
შინდიდან ზღმარტლზე გადაფრინდა კაჭკაჭის ბარტყი,
ჩემს ირგვლივ ახლა კაცთა მოდგმის ჩქამი არ ისმის.

მენატრებოდიი ჰოი როგორ მენატრებოდიი...
სანამ ემ მთებმა არ ჩამიკრა გულის წიაღში,
ვყოფილვარ გვამი მე ემ მთათა კალთაზედ მივხვდი,
როცა ვიყავი ბართა და კაცთ ორომტრიალში.

ახლა გავიგე ფასი სულის ნამდვილ სიმშვიდის,
როცა კი დავდეგ , კვლავ ჩემი მთის ლომგულა მკერდზე,
შავიგრძენ მთელი არსით ჩემო გრძნობა სიწმინდის,
აღარა ვჯავრობ სიცოცხლეზე და აღარც შენზე.

მირონად მამცვრევს შავ-ღრუბელი წვიმას კამკამას,
აქ ნისლის ფერი დასდებია , სივრცეს უფეროს,
ახლა ქალაქი მეჩვენება ცოცხალთ აკლდამად,
ნიშთ ვევედრები რომ იქ დამრჩალ ცოცხალთ უშველოს.

ქაოსი ზეობს რაიც უნდა ვეცადოთ მოკვდავთ,
ბარს არ შორდების მიწიერი ამაო დარდი,
მაგრამ ეს მთები ჩაიკრავენ კაცთ გულში როცა,
მაშინ იგრძნობენ როგორ ჰყვავის მათ სულში ვარდი .

ვასრულებ

გადაიფურცლა ეს ერთი გვერდიც,
ცხოვრება მიდის ულმობლად თავქვე,
დავცქერ ცხოვრების საჩემო ვერდიქტს,
დავლურს უვლიან დარდები აქვე .

ჩამასწყდა ერთი დღეც ამ ცხოვრებას,
მთები იხვევენ ჯანღების სახვევს,
ცხოვრება ახლა ცხოვრებას კი არ ....
მოჰგავს , ცხოვრების პატარა ნახევს.

უკუღმა ბრუნავს ცხოვრების ჩარხი,
ხვალ სხვაფრე ვხედავ , ხალხს გუშინ ნაქებს,
უმოწყალოდ და დაუსრულებლად,
სამყარო მაყრის ტკივილის ნამქერს .

ამოვახიე სიცოცხლეს დღენი,
ამავიგლიჯე გულის ნარჩენიც,
დავთმე ცხოვრების საკუთვნო ბჭენი,
აღარ ვარ ქვეყნად თითქო დამრჩენი .

ვასრულებ დროის უაზრო ხედნას,
ფარ-ხმალ დაყრილი ვნებდები ჯავრებს,
შავწყვეტ ლოდინს და განდეგილივით,
შავხსნი მთების და სევდების კარებს,

დამიმარცვალდა...

ახლა დავთმობდი სიცოცხლის წლებსაც,
თუნდ წუთიერად - მაგრამ მენახე,
შამავემდურე თვით მაღლა მზესაც,
სამყაროს ვშარობ თითქოს ყველაფერს.

დამიმარცვალდა სიტყვა და გული,
ირგვლივ ნუგეშად ვპოვებ ვერაფერს,
საკუთარ სულის ნამსხვრევზე დავალ,
და შავად ვფერავ ყოილთ ფერადებს.

ჯანღი ჰფენია სივრცეს უშენოს,
მზე ვეღარ მზეობს ნისლით ბოჭილი,
გავცქერ სიცოცხლის გადამხმარ ფერდობს,
 სადაც ჯავრ-სევდებს უდგათ ქორწილი.

მეწვის სული და თოლიდან ცრემლად,
მდის უშენობის მწარე ნაღველი,
შენს გამაჩანას უთმენლად ველი,
მაგრამ არ კი ვარ შენი მნახველი.

გულში დაჰგუბდი რაი ვქნა თუ კი
ვერ მაგიხერხე გადავიწყება,
სულში ჩამაწვა ნისლები მუქი,
დარდებში ვპოვე თავდავიწყება.

თამარ ბეჟიაშვილი - ხოშტარია -
პროფესია-ფილოლოგი, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი.
დაბადების ადგილი- სიღნაღის რაიონი, სოფელი ანაგა

დასაბამიდან

როდესაც თიხის სხეული
გათბა,
როცა ჩასახლდა სულში
ნიშატი,
დავიწყე თმენის ჯავშანის
ქსოვა,
სხვაგვარად ტკივილს
ვერ ავიტანდი.
შესაქმის დღიდან
ათასწლეულთა
გამოვიარე ლაბირინთები,
დახუნძლული ვარ
მტრებით, მოყვრებით
და უბერებელ
ზღაპარ-მითებით.
გადამეღალა უკვე
სხეული,
გამოიფიტა, ალბათ,
თიხა და
გადამავიწყდა, რისთვის
მოვედი,
მაგრამ სულ მახსოვს,
როგორ მიყვარდა.
თავად ჩემშია
ამოკაწრული
და ჩემს სხეულზე წერეს
კვირბები...
ზედ დამკვდომია მტვერი
წარსულის,
დრო-დაზამთრების და
აკვირტების.
ორენოვანი მახსოვს
ბილინგვა
და სერაფიტაც-ცრემლი
ზევახის,
ბახუსი, მწოლი ველურ
ვაზებთან
და სიტკბოებაც მწიფე
ვენახის.
დაღვრილი სისხლის
სიბლანტე მახსოვს,
მონადირეთა ავი
ყიჟინაც,
როგორ მინდოდა,
გადამერჩინა
შეშინებული ირმის
ბიჟინა...
დრო-ჟამს არ ითვლის
მარადისობა,
ვტიროდი, როცა მსურდა
მეცინა,
დასაბამიდან მთვარე
რომ მდევდა,
დღეს ღრუბლის მხარზე
ჩამოეძინა...

მაპატიე...

მაპატიე თუ ვერ ვიყავი, ვინც შენ გინდოდა,
დღესაც მზეს სჭარბობს და მეტია ჩემში ავდარი,
შენ რომ გიყვარდა მათრობელა შხეფი ღვინოდან,
ჩემთან ნელ-ნელა შენდებოდა სევდის ტაძარი.
მე მაპატიე, რომ დავგმანე სულის სარკმელი,
გზებს მივყვებოდი სიზმარეულს, თანაც ჯვარედინს
რომ დღემდე მიყვარს ძველებურად რითმის საკმელი
და ტკივილებით გაჟღენთილი ლექსის ბწკარედი.
ჩემთან ყოველთვის ბურუსია, განა ვერ ხვდები?
მე ამ ნისლებთან მიყვარს ყოფნა, გაბაასება,
მიყვარს ჩურჩული ღამღამობით ფერმკრთალ ვერხვების
და მთვარის შუქით ცარიელი სულის ავსება.
როცა სიცივე შემაწუხებს, მზისა მრცხვენია,
რომ ვემალები, მაგრამ ვუხმობ, ძლიერ მჭირდება...
და ჩემი ლექსიც, მეჩვენება, შავრა ცხენია,
ყველა საზღვარის გადალახვას როცა მპირდება.
ვერაფერს გეტყვი, რად ვირჩიე ნისლი, ავდარი,
რატომ მომნუსხეს, შემიჩვიეს ასე ფიქრებმა,
რად ავირჩიე სამლოცველოდ დარდის საყდარი
და რად არ ვიცი, ხვალ კი არა, დღეს რა იქნება...

მე ხომ ნისლებთან მიყვარს ყოფნა, გაბაასება
და მთვარის შუქით ცარიელი სულის ავსება.

შენ ვერ გაიგებ

გაგახსენდები, როცა ფერდობი
აგიზგიზდება მწიფე შინდებით,
გენდობი და თან ვეღარ გენდობი,
დავფეთდები და შეგიშინდები.

სათქმელი ისევ ნაკადულს ვანდე,
თავქვე რომ მიდის და თან წაიღებს,
გულმა გაუძლო, ვინ იცის, რამდენს
მე არ გეტყვი და შენ ვერ გაიგებ..

* * *

შეჰყვარებია წაწალი ხევსურს,
დიდპაპას ჩემსას,
ჩამოჰყოლია მთის ნისლს ბარად
უბელო ცხენით,
მზისფერ დალალებს იმშვენებდა
მოქნილი წელი,
ძიძიას მსგავსი ქალის, თურმე,
ბებიაჩემის.

უმრავლებიათ ხევსურთ მოდგმა,
ჯიში და გენი,
ლექსის ტრფიალი ჩარჩა გვარში,
სისხლმა დალექა,
ენატრებოდათ ხევსურეთის
მთანი და კლდენი,
დარდს იქარვებდნენ ფანდურის ხმით,
მოტირალებთან.

მათი ნათქვამი ჭირის ლექსიც
თითქოს ხარობდა,
საგმირო ამბავს „ჩამაჰყრიდნენ''
უცებ, წამიერ,
„თორღვაის ლექსი'', ნანდაურის
მოთქმა-ტირილი,
ენაცვლებოდა კახურ გაშლილ
''მრავალჟამიერს.''

წალეკა დრომ და ჟამთა დენამ
სახელი მათი,
ახლა ხევსურეთს ივანებენ,
ალბათ, სულები,
როცა ამ გიჟურ სიყვარულზე
ჰყვებოდნენ სახლში,
ჩვენ ყურს ვუგდებდით, სანეტაროდ
გასუსულები.

გარდასულ ვნების მითიური
გასხივოსნება,
ყოველთვის ლექსად იღვრებოდა
ჩემს სულს და გულში,
ხევსურეთს ისევ აჭენებენ
უბელო ცხენებს...
აქ კი ნიავი შლის ყვავილებს
ატმის და ნუშის.

თითები

თითებმა იგრძნეს თითები,
თვალებმა ღიმი გაკვესეს,
მდინარის პირას ბიჭები
წყალში ისროდნენ ანკესებს.

მზე რიყის ქვებზე ეფინა,
ძლივსღა სუნთქავდნენ ხეები...
მერე ერთმანეთს წაეწყო
ბადაგისფერი დღეები.

გაგვინამდვილდნენ ზღაპრები,
ლეგენდები და მითები...
არადა, განა რა მოხდა,
თითებმა იგრძნეს თითები...

აგვისტოს ღამე

უჰ, რა დროა გასული, ხდება უკვე პირველი,
რიალებენ ლანდები შუაღამის წკვარამში,
განაბულა სუყველა - ხე და ხეზე ფრინველი,
თითქოს ხმაც მიჩუმათდა ქალის იავნანაში.
მცხუნვარეა აგვისტოს ღამის წარმოდგენები
 შორს, ნესტიან ჭალებში ფაცხებს დგამენ თახვები,
სიცხისაგან იფნებს რომ დასკდომიათ ვენები,
გვერდს ისე ვერ ჩავუვლი, თუ არ დავენახვები.
ღამის მდუმარება და იდუმალი ჩრდილები
სულ სხვაგვარი ფიქრების სხვა თავშესაფარია,
ხელები რომ ათრთოლდნენ, შენსკენ გამოწვდილები,
ეს, უბრალოდ, ტოტებში მონავარდე ქარია.
მწიფობისთვის ბოლოა და ჩაცხრება ალხები,
ღამის წარმოდგენები თუმცა არა მთავრდება,
ჯერ ადრეა, მიდამომ რომ ჩაიცვას თალხები,
შეზარხოშდა ჰაერი და თანდათან მთვრალდება.
მალე ცხადი გახდება სასექტემბრო ზრახვები,
ამსუყდება ბუნება, შემოდგომა იძალებს,
გახშირდება ფუსფუსი, სტუმრობა და ნახვები,
 ზანტი ლოკოკინები შეფარვიან ნიჟარებს...
...და აგვისტოს ეს ღამეც, სიმწიფემ რომ არია,
სულ სხვაგვარი ფიქრების სხვა თავშესაფარია...

***

ხავსიანია ქვიშისფერი კედლის ნაბზარი,
ზედ გაწოლილი მწვანე ხვლიკის უნდო თვალებით,
ცივია მზერა, უწამწამო და შესაზარი,
მაგრამ ნაბზარის ტკივილივით შესაბრალები.

არავინ იცის, იქნებ ისიც წუხილს ამზევებს,
ჩვენ ვერა ვგრძნობთ და იმასაც ჭამს დარდი უღონო,
 იქნებ თავისი არსებობით ვინმეს ამხნევებს
და სურს, ფერადი სამყარო რომ გამოუგონოს.

ვერ შეველიე...

როგორ მომწონდა ძველქართული სიტყვა აპნისი...
სულ სხვანაირად იშლებოდა ციდან ულევი
ზამთრის სიზმრები, ყველასი და არც არავისი,
მიყვარდა ლექსი, ჩემთვის ჩუმად ნაგურგურევი.
მერე გაზაფხულს ეღვრებოდა ფერი პეშვიდან,
იწვერებოდა ჯეჯილები ადრე ნათესი,
მზე პირს იბანდა, მშრალდებოდა წვიმის ლეშხიდან
ნორჩი ფოთლები, ზურმუხტივით უძვირფასესი.
დღესაც მამშვიდებს, შემოდგომა როცა ხავერდობს,
შრიალებს ფარჩა და კაშკაშა ძოწეულები,
მზით გახვითქული რქაწითელი საალავერდო
და სასექტემბროდ დახეჩილი ბროწეულები.
ვერ შეველიე... ბევრს ვფიქრობდი ჯერ კიდევ გუშინ,
არ მავიწყდება, ამ ყველაფერს სულ სხვა ხიბლი აქვს,
სადღაც შორს, იქით შაშვი უსტვენს გადაკარგულში,
ფოთლის ღარიდან წვეთი წყალიც ჰყოფნის ნიბლიას.

***

არ გამიმხილეს ჩუმი დარდი მთებმა ძირძველმა,
გარს გვახვევია მრუდ-მართალი, ხანაც ჭორები,
შემომაღვარა ყვავილები ტყეში ცირცელმა,
წყლისპირს ჩაბმიან შევერცხლილი ფერის წნორები.
დღეს გიხსენებდი.. ნისლისფერი ფიქრის საუფლოს
თითქო ატყვია ნასიზმრევი, გულთან ნაჭიდი,
(ოჰ, ეს ცირცელი.. თითქოს ცდილობს, გამესაუბროს,)
კვლავ მოგინატრე. გულისცემად ისევ დამჭირდი.

დრო ვერ აშუშებს

დიდი ხანია, ფერად სიზმრებს ვეღარ ვნახულობ,
აღარ ამოდის გული ყელში ფართხალ-ფართხალით,
როგორ ძალიან მოგეფერო, მინდა ხახულო,
და ერთხელ მაინც მოვილოცო, იქნებ, პარხალიც.

თავს არ მანებებს ფიქრი ფიქრზე დარდით ნახვევი,
მსურს, თქვენი ქვების სურნელება სულში აყვავდეს,
შემონახული ძველი სისხლი, ქვებზე ნანთხევი,
იქნება ისევ ბობოქრობს და იბრძვის აქამდე.

დაგტრიალებენ შაოსანი ბერთა ლანდები,
როდესაც ყველა მიიძინებს, ლოცვად დგებიან,
აქეთ დღედ მყოფი, მგონია, რომ თქვენთან ვღამდები,
ეს ღამეული ზმანებები მომნატრებია.

კიდევ რამდენი მტკივნეული მყესი გამწყდარა,
რამდენი სიტყვა გასახარი მოკვდა, არ ხარობს,
ამ მონატრებამ ოდითგანვე გიალამდარა,
ტკივილო ძველო და მუდმივად მაინც ახალო.

მიწიდან სისხლად ამოსული ყაყაჩო, ალბათ,
მანდაც იქნება წითელკაბა, შავხალდართული,
ბევრი რამე გვაქვს მტკივნეული, სამყოფი დარდად,
ბერთა ქართული, მიჯნაძორი, ანჩიც ქართული.

გემახსოვრებათ მტრის ყიჟინა ქვებზე ნახალი,
დრო ვერ აშუშებს, თუ ტკივილი მშობელს ეხება,
მექართულება პარეხიც და ჯმერკიც, პარხალიც
და მენატრება წამიერად ხელის შეხება.



ედუარდ უგულავა -
გალაქტიონის პრემიის ლაურიატი
დაბადების ადგილი - გორდში (ხონი)

მე და შენ

მე მიყვარს შენი დაღლილი სახე,
შენი ცრემლებით სავსე ცხოვრება.
გეჩვევი, მაგრამ ვერასდროს გახებ
თითებზე თითებს აუთრთოლებლად.
შენ კარგად იცი, თავსაც ვერ ვუვლი,
დაბადებიდან ვებრძვი იმ ხილვებს,
ბავშვობისას რომ მატკინეს სული,
რომ შეამჩნიე და შემიხვიე...
თავად კი, ალბათ, ვერასდროს გშველი,
ვერაფრით გწამლობ ჩემში შემოშლილს
(მე რომ თვალები მეხილა შენი,
უნდა მეცხოვრა საქართველოში).
როგორ გაჩვევდი სიცივით დაღლას,
მაგრამ მიყვარდი, თუნდაც იმიტომ,
არ შეუშინდი სულიერ წარღვნას
და მომიტანე ზეთისხილის რტო.
მე კი გადავწვი მხურვალე ეჭვით,
ეს ჩემი სული - ცხელი საჰარა,
მაგრამ სხეულის ყოველი კენჭი
შენს წრფელ სიყვარულს ეტაჯმაჰალა!

წვიმს

აი, ისევ წვიმს... ოდნავ მოვეშვი...
ააციმციმეს სული სანთლებმა.
კარგია ასეთ სიმყუდროვეში
მსუბუქ ფიქრებთან მოკალათება.
წვიმს... უსათუოდ დიდხანს იწვიმებს...
წვიმს და კარს, ალბათ, აღარ ჩავკეტავ...
ცა ერეკება მწივან წიწილებს,
ღამის სიჩუმის ამოსაკენკად.
წვიმს და იმგვარი ძალით მინდები,
რომ სიკვდილამდე აღარ გამივლის.
შემოაქვს ჰაერს სევდა მინდვრების
და გულისცემა ათას ყვავილის.
წვიმს და არ მიღირს თავთან კამათი,
მაგრამ რა ვუყო ეჭვის ნარჩენებს,
გაჩერებული კედლის საათი
ახლა, როდესაც სწორ დროს აჩვენებს...
ეშვება წვიმა ნაცნობ ფარდებად
და მინოტივებს სულის მტვრიანებს,
იქ სხვანაირი ღამე ღამდება,
იქ სხვა წვიმების ფარდა შრიალებს.

ტიტე, ძამიკო...

ემღვრევა თვალებს სიმშვიდე ლილის,
უახლოვდები აშლილ სარეცელს,
სადაც ჯერ შენი მღელვარე ჩრდილი,
მერე სხეული უნდა დაეცეს.
მაგრამ დროება იმდენად გზარავს,
რა გარდასახვა აიტანს ამდენს
და ფილტვებიდან შენი ხმის ძალას
ვიდრე სისხლივით ამოიტანდე,
მკერდს მცხუნვარება ედება ჭინჭრის,
შორეულ წარსულს წიგნად გადაშლი
და ხედავ, ორი პატარა ბიჭი,
სიცილით დარბის „მეფის ჭალაში“.
იყო დრო, ფანჯრებს კოცნიდით მზიანს
და უცნაურად თრთოდნენ გულები,
როცა იყოფდით სიხარულს ზიარს,
ერთი საბნის ქვეშ შეყუჟულები...
ახლა კი მკლავებს უმწეოდ გაშლი,
გზა მოვარდისფრო სულაც არ იყო...
მწარე სიცივე დაგივლის ტანში
და ატირდები _ “ტიტე... ძამიკო“!..
გაუგონარი ტკივილი გახლავს,
სიზმარშიც ხედავ, უკვე წლებია,
როგორ ეხები მის უცნობ საფლავს,
რომელიც, ალბათ, არც ღირსებია.
გადახდილია სამშობლოს ვალი,
ეს განცდა გრძნობებს უფრო ანაზებს...
შენ კარგად იცი, ვის უძღვის ბრალი, _
„ის ყაჩაღებმა მოკლეს არაგვზე“...

მე ვდარდობ

მე ვდარდობ, შენი მორცხვი ღაწვები,
რომ შევაჩვიე უცნობ სიფითრეს.
ახლა ამ პირველ თოვლში ჩავწვები
და, რა თქმა უნდა, შენზე ვიფიქრებ.
ჩვენ დრო დავკარგეთ თავის მართლების
და მოლოდინი დაგვრჩა განკითხვის,
მაგრამ ჯერ შუქი მაქვს ასანთები
და შენი სული მაქვს წასაკითხი.
ვიცი, ამ თოვლში დიდხანს ვიწვები,
ვიდრე არ ვიგრძნობ ტკივილს უარესს,
ვიდრე ტანიდან თეთრი ჩიტები
ამომკორტნიან იმ სიმხურვალეს,
რომელიც შენზე მეტად მაფითრებს,
რადგან (როგორ ვთქვა), ისე ძნელია,
ვუცქირო ბეჭედს შენ არათითზე,
რომელიც მე არ შემიბნევია.
და მხიბლავს თოვლში ასე თამაში,
არ ვცდილობ, ტკივილს რამე ვუშველო.
ეს ის განცდაა, ალბათ, საფლავში,
რომ შევეჩვიო ყოფნას უშენოდ!

***

ისევ ღვინო მსურს წითელი,
ერთხელაც უნდა ავხირდე
და ხორცს, ხის ტახტზე მითელილს,
წამოვკრეფ შენს დაძახილზე.
და თუ ვერ წამოვიწევი,
პერანგს მოვურღვევ საღილეს.
მიყვარდი, თორემ იმ წლების
ოხერი დედაც ვატირე!

ვერცხლის ტყვიები

ამისთვის არვინ გეტყვის მადლობას,
ხელწერა შენი მწარედ გეცნობა -
ჩემი სიცოცხლე... ჩემი დანდობა...
შენი ყველაზე დიდი შეცდომა...
ჩემს დილეგს ბნელი ება კარებად
და მხრებზე წლები მასხდნენ ყორნებად,
მაგრამ რა ჯაჭვი დამაკავებდა,
ან რა ჯურღმული ჩამიყოლებდა?!
ისე დაიწყო სისხლმა ხურვება,
ფრთა დაეღუნა წყევლას ასწლიანს.
ეს მაშინ, როცა შენმა სურნელმა
ამ ქვესკნელშიაც ჩამოაღწია.
ვერ გავექეცი თვალებს ვნებიანს,
იქ, სადაც უკან სამი წერტილის,
ლაჟვარდის უცხო ხეივნებია,
სილურჯეებში გადაწყვეტილი.
ისე რთულია ბედს არ მიენდო,
როცა უეცარ ცოდვის კურნებად,
ყველაზე მტკიცე და საიმედო,
არსებობს გულთა ხელშეკრულება.
და უშენობა როგორ მეკმარა,
როცა ისედაც არსად მელიან...
სისხლისფერია ცა და ქვეყანა,
შენი სხეულიც სისხლისფერია.
წითელი მთვარე ადგას მონასტრებს
და გამომძვრალი კაცის კანიდან,
ღრძილაქავებულ ყბებით მოგათრევ,
შეჩვეულ მკლავის სიმხურვალიდან.
სიკვდილი ყველა მხრიდან მოღოღავს,
ღამე სურვილებს ისხამს ცოდვებად.
გარკვევით ვხედავ წითელ ობობას -
მსხვერპლს რა სიდინჯით უახლოვდება.
ცოტაც და შენი სულიც იკივლებს,
რომელშიც შიში რჩება მეტწილი
და ისე გითრთის მკერდის სიმკვრივე,
ბასრი ეშვებით გადაღეჭილი,
უკვე ამ ლოგინს ვერასდროს აშლი,
ვერ გადახვეწავ ვნებას სხვა მხარეს...
შენ მაშინ შეცდი, როცა კეფაში
ვერცხლის ტყვიები არ დამახალე!

მამიდა

გარდაიცვალა კაცი და ცოლმა
დატოვა შვილი... სხვისას წავიდა...
არ აკარებდა ცივ ნიავს ძმისშვილს,
ბავშვს ხელის გულზე ზრდიდა მამიდა.
ვერ მეგობრობდა ბიჭუნა სხვებთან,
უცქერდა იმათ თამაშს ეზოდან.
ზოგიერთს ჭკუა იმდენი ჰქონდა
ბავშვს ასეთ რამეს ეკითხებოდა:
დედა გიყვარს თუ მამიდა უფრო?
თან აფიცებდნენ, _ სიმართლე სთქვიო;
და პასუხობდა ბიჭი თავდახრით:
მამიდა! დედას გეფიცებიო!

ლაზარე, გამოვედ გარე!

გლოვობენ მართა და მარიამ,
შეძრულ სულს წამლობენ ლოცვით.
ლაზარე ოთხი დღის მკვდარია,
ხრწნას იწყებს სისხლი და ხორცი.
მარიამს რა დარჩა ნუგეშად,
დამხობილს იესოს ფერხთით?!
მკლავები გაშალა უეცრად,
ბავშვივით ატირდა ღმერთი...
წინასწარ იტკივებს იარებს
და ნათლად ჩაესმის ეგებ,
ბრბო როგორ ღელავს და ღრიალებს:
„ჯვარს აცვი, ჯვარს აცვი, ეგე!“
_ ოჰ, თურმე რა ძლიერ უყვარდა, _
ჩურჩულებს იქ მყოფთა რიგი
და მტირალ მარიამს უფალმა
ჰრქვა: „სადა დასდევით იგი?“
ანიშნებს, ბრმის თვალის ამხელი,
გასწიონ ქვაბიდან ლოდი.
გროვდება სეირის მნახველი,
საფლავთან ზღვა ხალხი მოდის.
ბნელში წევს სიკვდილი ვერანი
არცა რა აშინებს პირშავს.
ჰაერში ირევა მკბენარი,
მზე ხურს და ადუღებს ქვიშას.
და თითქოს სურნელმა საკმევლის
გაალღო ჰაერი მდარე,
მოძღვრის ხმა გაისმის გარკვევით:
„ლაზარე, გამოვედ გარე!“
და სახემ შეიგრძნო ნიავი...
და ყურმა შეიცნო ბგერა...
მკვდრის სისხლმა დაიწყო შრიალი,
მკვდრის გულმა დაიწყო ძგერა.
ნანახმა გონება დაბინდა,
სხვა შიში ეწვია მნახველს...
ლაზარე გამოდის ქვაბიდან,
გამოდის და თვალებს ახელს.
იწვება ეჭვების ფითილი,
გრილდება უდაბნოს თექა.
მას ძალუძს სიკვდილთან ჭიდილი,
ვინც თავად სიცოცხლე შექმნა!
ხარობენ იმედის კვირტები
და ქვეყნის ოთხივე მხარე,
ყოველდღე იღვიძებს სიტყვებით:_
„ლაზარე, გამოვედ გარე!“

***

მგონი, რაც უფრო შევდივარ ხანში,
მშვიდად ვეჩვევი უცხო ალმურებს.
სხვა მელოდიას უკრავენ ქარში,
თითებს უწყობენ სხვა სალამურებს.

დგას ახლა სახლში სურნელი ვაშლის,
ვესაუბრები ბროლის ამურებს,
მაგრამ ეზოდან ტირილი ბავშვის
ამ დღესაც სევდით ასათაურებს.

ჩანან ბავშვები ცაცხვების გვერდით,
მიწას აყრიან ცისფერ სასახლეს
და წამებს ითვლის საათი კედლის...

ბავშვებმა მკვდარი ჩიტი დამარხეს...
და როგორც ხელი, შვილმკვდარი დედის,
სარკმელთან ცაცხვის ტოტი ცახცახებს...

მანანა კორძახია - ჟურნალისტი
დაბადების ადგილი - თბილისი

"ვერ შეგირიგე კარგად"

ნოემბრის ცივი ქარია
ფოთლები ჰქრიანსადღაც,
მეც დავემსგავსე თითქოს მათ
ვგრძნობ გადამედო რაღაც....

გამინაწყენდი უეცრად...
ვერ გაგიმხილე რაღაც,
ალბათ არ მეყო სიტყვები,
ან კი ვიჩქარე კვლავაც.

როგორ მსურს ახლა მეც გავყვე
ხმელი ფოთლების ლაშქარს...
ვიქროლო სადღაც
მეც მათებრ უმისამართოდ ლაღად....

ამ შემოდგომის ქარივით
მეც გაგეცლები წავალ....
ვერ შეგირიგდ მშვიდობით,
ღმერთი გფარავდეს მარად.

"უცნობ მხატვარს"

თითქოს გულში შემოიჭრ მალულად,
შენ მხატვარო ააცეკვე ფუნჯები,
სევდის ფარდა გადამხადე სათუთად
გაგიღია ფრთხილად გულის კარები....

აქ გრძნობების ზღვაში ვცურავ
უძიროდ,როგორც მუდამ მახვევია განცდები,
ვუმზერ ტილოს და საოცრად მაოცებს
უნახავად ჩემში როგორ შემოდი....

მე არ ვიცი ვინ ხარ სად ხარ როგორ ხარ,
ან როდესმე თუკი გნახავ შეგხვდები...
მაგრამ მინდა გაგიმხილო უთუოდ,
როცა ვუცქერ ნახატს როგორ ვმშვიდდები..

ჩემად მინდა დაგილოცოთ მარჯვენა,
იმ თილისმით,როცა იმ დროს მხატავდი..
შენთან ერთად გიდღეგრძელებ
მეგობარს,და ჩემს გულში ორივენი
დარჩებით..

"ღამეს მოვპარე"

ღამეს მოვპარე დუმილი
ცივი და უტყვი მზერაო...
ბნელ იდუმალ და სევდიანს
სხვას ვერ გამოვრჩი ჯერაოო

მუზა სტროფდბად ვაბნიე,
რითმებს ლექსებად ვბედავო...
ნაღვლიან გამებს
კვლავ და კვლავ, ვაცეკვებ ჯერა-ჯერაო.

გულის ნაჟურად ტკივილებს
მაინც მივყვები ჯერაო
და ისევ სერაფიტების
ნაკვალევს დავდევ დღესაცო,

ღამევ განათდი გათენდი...
ბნელი ვანდევნე ჩემგანო,
თუმცა კალამი მოვღალე.,
სევდიანს მაინც ბედავსო,
,,ვერ შეგირიგე კარგად"

ნოემბრის ცივი ქარია
ფოთლები ჰქრიან სადღაც,
მეც დავემსგავსე თითქოს მათ
ვგრძნობ გადამედო რაღაც....

გამინაწყენდი უეცრად...
ვერ გაგიმხილე რაღაც,
ალბათ არ მეყო სიტყვები,
ან კი ვიჩქარე კვლავაც.

როგორ მსურს ახლა მეც გავყვე
ხმელი ფოთლების ლაშქარს...
ვიქროლო სადღაც მეც მათებრ
უმისამართოდ ლაღად....

ამ შემოდგომის ქარივით
მეც გაგეცლები წავალ....
ვერ შეგირიგდ მშვიდობით,
ღმერთი გფარავდეს მარად.

არ გეტყვი მიყვარხარ"

არ გეტყვი არასდროს მიყვარხარ...
ნუ ელი ამ სიტყვებს ჩემგან...
გავყვები ფიქრია ტრამალებს,
ზეცამდე მივაღწევ მჯერა.

არ გეტყვი მიყვარხარ არასდროს..
წარსულის აჩრდილად ვივლი..
გამათბობს ამბორთაიმ დროის
,მოგონებათა ჩრდილი...

არ გეტყვი მიყვარხარ არასდროს,
მოვივლი ფიქრიან ტრამალს,,
და შემდეგ ვით გზირი დაღლილი
მოვალ და შენ სახეს ვნახავ....

არასდროს არ გეტყვი მიყვარხარ,
ქალი ვარ ამაყი იცი?!
უსიტყვოდ ჩაგხედავ თვალებში...
და მაშინ მიხვდები ვიცი.

ბევრჯერ მითხარი მიყვარხარ...

ბევრჯერ მითხარი მიყვარხარ .
და მზის სხივები მაფრქვიე..
გრძნობა მძივებად ავკინძე,
და ჩემ ყელს შემოვახვიე...

ბევრჯერ მითხარი მიყვარხარ
ბევრჯერ ბგერები ვაფრინე..
და შორს მდგარ ლამაზ ნატვრის ხეს
ვით სურვილები დავკიდე,

ბევრჯერ მითხარი მიყვარხარ
ბევრჯერვე მზერა გაციე..შენთვის
სათქმელი სიტყვები
გაჰქნენ ვერ აღმოვაჩინე....

ბევრჯერ მითხარი.მიყვარხარ
მე კი მრავალჯერ გამხილე,
შენთვის ყველა გზა ჩიხია,
უჩემოდ სადაც აბიჯებ.

ლურჯი ფერი

შროშანების ფიფქი ცვივა..
განუწყვეტლივ მოდის ციდან
ვარდკაჭაჭა ლურჯ ხასხასას
უქსოვია ჩემთვის ბინა...

შიგ შევალ და ლურჯი შუქი გამინათებს
ოთახს ლამაზს, მხოლოდ ლურჯად
მოვირთვები ლურჯ ფარდაგებს
გავფენ ახალს,

შემდეგ ფიქრი ამეშლება
მოელვარე ცის კამკამად,
ლურჯთვალება გოგო ბიჭებს
შემოვიკრებ ირგვლივ მარდად,

ვიბაასებთ ლურჯ აპრილზე
ლურჯ ალპებზე წავალთ ალბათ,
ლურჯი რაში ჩაგვიქროლებს
გადმოგვიყრის ზღაპრებს ლამაზს.

"სევდის წვიმაში მაცეკვე"

სევდის წვიმაში მაცეკვე
შტრაუსის ვალსი ნაზად...
მერე გამიშვი ხელი და,
ვით თეთრი გედი წავალ....

სურვილებს აუხდენელებს
წავიღებ თქვენსას მრავალს,
თუმცა გული ნუ დაგწყდებათ
არც მე ამიხდა მრავლად ..

სიოს მონაბერ ქროლვისას
ნიავი ფოთლებს აცვენს....
და ჯადოსნური ფლეიტა
სევდიან ნოტებს აფრქვევს...

მაცეკვე სევდის წვიმაში
შტრაუსის ვალსი ლაღად,
რომ ცეკვის ბოლოს ვით გედი...
ხელში ჩაგაკვდე ნაზად.

ან იქნებ ...

ქარი ქრის წვიმა სცრის, ფიქრიც მღლის...
და მაინც დღეს შენგან მშვიდი ვარ..
ვიხსენებ მე რამდენ უძილო ღამესთან
ვხვდებოდი განთიადს...

მსუბუქად დავფრინავ დღეს თითქოს
სიმძიმე მხრებიდან მომცილდა...
სიყვარულს ვერ გუობს ეს გული,
ან თითქოს უგულოდ დავდივარ...

და ყველა ის გრძნობა გამქრალა
ჩემ სხეულს რაც მალვით იპყრობდა .
ღამეულ აჩრდილთა ქაოსში,
ვმგზავრობდი დღეს ვუმზერ სარკმლიდან...

ახლა ფრინველად ვიქეცი,
ტვირთი მომცილდა ვარ მშვიდად...
სიყვარულს ვერ გუობს ეს გული,
ან იქნებ უგულო ქალი ვარ.

სადა ხარ როგორ ხარ..

სადა ხარ როგორ ხარ არ მოხვალ?
გაწვიმდა ჩემ გზაზე ძლიერად,
მე ფიქრი მასველებს ყოველდღე..
ვიცი დრო ყველაფერს გაიტანს..

სადა ხარ როგორ ხარ გახსოვარ?
და. .მაინც მაწვალებს ფიქრები..
არ მოვალ მე შენთან არასდროს
ზეცისკენ მივილტვი მშვიდობით...

ღრუბლებზე დავფრინავ მე ახლა
ყოველდღე იქიდან გიყურებ,
ვნებები არ მაკრთობს არასდროს....
სული მაქვს სპეტაკი იცოდე...

სადა ხარ ნუ მოხვალ ასე სჯობს,
მანძილი ჩემამდე შორია...
გადაგღლის შენ ჩემში სიშორე....
მშვიდობით სულ ჯვარი გწერია.

მე მოვალ მხოლოდ სიზმრებად

ოლოდ სიზმრებად
მოგონებათა სხივს მოგფენ,
სულს კაეშანი გაჰფანტავს,
უკუნი გაიცისკროვნებს..

წუთით განდევნილ მწველ ნაღველს,
სიმშვიდე მოეფინება,
და ვით ნიავი სალბუნად
შეიგრძნობ ბედნიერებას...

და როს სიბნელე იდუმალს
დილა განდევნის ნათელით
გაჰყვება როგორც მირაჟი
სიზმრად ნანახი ამბები,

არ დაგიტოვებს არაფერს
ღამის ნეტარი წუთები
მოგონებების აჩრდილად,
შენში დავრჩები მარადის.

"შეჰრაზადეს ზღაპარი"

და ჩამოჰკრა ზარმა მწუხრის
ვაჟის გულში აალდა,,
ნაპერწკალი სიყვარულის
ჩაიფერფლა დანაცრდა....

თითქოს იყო დამნაშავე
სატრფომ ზურგი აქცია...
და ყოველი მისი ტრფობა
სალაღობოდ აქცია,

იყო არა, იყო ერთი,
შაჰრაზადეს ზღაპარი,
სანამ ქალი გონს
მოეგო,ვაჟი იყო გამქრალი.

"ახლა"

ახლა ეს მთვარე ისე მანათებს
თითქოსდა გრძნობსო ჩემს გულის ნადებს,
ახლა ეს ღამე ისე მდარაჯობს
თითქოს მე ტყვე ვარ სამარადჟამო,

ახლა ეს გული ისე მარტოა
როგორც ნიკალა სარდაფში როა..
ახლა მე ფიქრი შენზე მაწვალებს,
ვერ მოვიცილე ვერსად გავაგდე.

ახლა სიჩუმე მე ისე მწამლობს,
არაფერს ვითხოვ ამის სანაცვლოდ,
ახლა ეს ლექსი ისე მამშვიდებს..
თითქოს დრო-ჟამი უკვე მაცილებს.

"უცნობ მხატვარს"

თითქოს გულში შემოიჭრ მალულად,
შენ მხატვარო ააცეკვე ფუნჯები,
სევდის ფარდა გადამხადე სათუთად
გაგიღია ფრთხილად გულის კარები....

აქ გრძნობების ზღვაში ვცურავ
უძიროდ,როგორც მუდამ მახვევია განცდები,
ვუმზერ ტილოს და საოცრად მაოცებს
უნახავად ჩემში როგორ შემოდი....

მე არ ვიცი ვინ ხარ სად ხარ როგორ ხარ,
ან როდესმე თუკი გნახავ შეგხვდები...
მაგრამ მინდა გაგიმხილო უთუოდ,
როცა ვუცქერ ნახატს როგორ ვმშვიდდები..

ჩემად მინდა დაგილოცოთ მარჯვენა,
იმ თილისმით,როცა იმ დროს მხატავდი..
შენთან ერთად გიდღეგრძელებ
მეგობარს, და ჩემს გულში ორივენი დარჩებით..

"სად მირიან სიყვარულის ქარები"

სად მიქრიან სიყვარულის ქარები..
რად აღარ ჟღერს სიხარულის ბალადა,
დღესაც ისე მივუყვები შენ ქუჩას,
მხოლოდ გული აღარ მიცემს მალ და მალ..

საით დაჰქრის ახლა ქარაშოტები...
ათინათებ ს რად არა აქვთ ნათება...
ცისარტყელა ასე ვის ემალება,
ყველაფერი რატომ გახდა ზმანება?

რად არ ააქვთ იებს ძველი სურნელი..
ყოჩივარდებს ფერი რამ შეუცვალა...
გვირილებმა ასე რად მოიწყინეს.,
ნუთუ მართლა ყველაფერი დამთავრდა..

შორს წასულა დრო რომელიც მხიბლავდა,
გაფრენილან სადღაც უმისამართოდ,
დაბნეული გზის გასაყარს გავცქერი
მონატრება ვიცი ვეღარ დამათოვს,

სულის სიმებს რად არ არხევს გრძნობები...
სად ქრებიან ვით ფიფქები ფარფატა,
მე დღეს მოვხვდი შენ ქუჩაზე შემთხვევით...
მხოლოდ გული აღარ ძგერდა მალ და მალ.

,,დრო როცა ხდება ერთფეროვანი"

დრო როცა ხდება ერთფეროვანი
და იყინება თითქოს სამყარო ..
ყველა გრძნობები კარგი თუ ავი,
ქარს მიაქვს სადღაც უმისამართოდ ...

მაშინ შეიგრძნობ მთელი სიცხადით
რა ამაოა მიწაზე შფოთვა
რამდენ ტკივილებს დარდასა თუ ვარამს
გულები უძლებს ძლივას რომ დაგვაქვს..

საღათას ძილით გამოფხიზლებულს
თითქოს შეიგრძნობ ცხოვრების დამღას,
რა საჭიროა ეს ყველაფერი
როცა შენც ქრები გრძნობებთან სადღაც ..

გული გატკინა..

გული გატკინა ჩემმა ლექსებმა
ცრემლი მოგადგა თვალზე...
შემომხედე და იმ წამს მითხარი
"ფიქრობ გაგიშვებ სადმე"?

მე კი გავჩუმდი, მზერა მოგტაცე
და გავიფიქრე იცი?!
მე ხომ წავედი კარგა ხანია,...
შენ კი მაინც ვერ მიხვდი.

* * *

გადაიარეს ქარიშხალებმა,
არც ვიცი ახლა რას ველოდები...
ალბათ იქნება გამონათება-
ზეცისკენ სანამ გაგიფრინდები...

ახლა ისე ვარ როგორც უდაბნოს-
ცხელი დამშრალი სილა უწყაროდ....
და მაინც ვეტყვი ჩემს გულს ჩურჩულით
მინდა გიყვარდე უ კ ი დ ე გ ა ნ ო დ.

თამაზ გველესიანი - ლიტერატორი
დაბადების ადგილი - ხარაგაული

* * *

უფალო ჩემო, ისე მაცხოვრე,
ისე მატირე ამერ-იმერი,
რომ ჩემს ქვეყანას თუ დასჭირდება,
მუდამ ჰქონოდეს ჩემი იმედი.

მზის სხივზე მეტად არ ვამძიმებდე,
ჩემს მშობელ მიწას, ვიყო საჭირო,
ჩემს სამშობლოსთვის და მიწაწყლისთვის
მზადა ვარ თავი ასჯერ გავწირო.

ბედნიერი ვარ, ვიცი როდესაც
რისთვის ვარსებობ და ვცხოვრობ რისთვის,
არ მივეცემი წუხილ-გოდებას,
დავიხარჯები ბოლომდის მისთვის,

არ მეშინია, სიკვდილიც მომწონს
უკვდავებისთვის თუა მიძღვნილი,
მე მეშინია ერთ რამის მხოლოდ,
ულამაზო და მართლა სიკვდილის.

ცხოვრება ჭრელია

ცხოვრება ჭრელი, ტანჯვა ვაების,
ვყელას არ მოსავს ია-ვარდებით.
სხვისთვის ზამთარიც ალბათ მოთბება,
შენთვის ზაფხულშიც ცრის და თოვდება.

ზოგს ფული კლავს და ზოგს უფულობა,
ზოგს ჭკუა ღუპავს, ზოგს-უჭკუობა.
ხშირად ძნელია ამის გაგება,
შენ დაგელოცოს ღმერთო, განგება.

* * *

გინდ რეგვენისთვის გისწავლებია
გინდა მკვდრისათვის გიწამლებია,
უფრთხოდე წყლისა ადიდებასა,
უვიცის კაცის განდიდებასა.

გლახიდან გლახას უნდა ელოდე,
სხვას არაფერს არ ეგულებოდე,
ნურაფერს გასცემ, არც მისი გინდა,
რარიგად წახდე და გაგიჭირდა.

არ წახვიდე

ჩემი საფიცარი შენ ხარ,
სიცოცხლე და გაზაფხული,
ცად მოწყვეტილ ვარსკვლავს გევხარ,
ქალთა შორის არნახული.

შენ სამოთხის ყვავილი ხარ,
მხოლოდ ჩემი დასამტვერი,
არ შევმცდარვარ, სწორედ ის ხარ,
ქალი ჩემი სანატრელი.

აღარ ჩანხარ, სად წახვედი,
აკი მითხარ შენი ვარო.
ნუ ეცდები, თუ გწამს ღმერთი
წახვიდე და დამემალო.

სად გეძებო, ამაღამაც
მარტო დავრჩით მე და ღამე.

* * *

დათვი რომ კვდება, ტყავს ტოვებს,
კაცი რომ კვდება, სახელს,
ეს მუდამ უნდა გვახსოვდეს
და მუდამ უნდა გვწამდეს.

არ გვაქვს ფული?

თუ გაქს ფული გერჩის გელი,
მარტო არ ხარ, შენ გყავს ძმები...
არ გვაქვს ფული? გაგძვრეს სული,
არავის არ ედარდები.

სიმარტოვეს მისამძიმრებს
და გკითხულობს ბადრი მთვარე.

გველოდება იმ ადგილას
ხე და ბუჩქი ჩვენ რომ ვიცით...
მათაც ახსოვთ ჩვენი კოცნა,
დადებული შენი ფიცი.

ოცნებებში ცად ავმაღლდი
და გულში მღრნის რაღაც ჭია,
ხან იჭვები მმოსავს ირგვლივ,
ხან ვარსკვლავთა რია-რია.

დამტოვე, თუ სად წახვედი,
აკი მითხარ შენი ვარო.
ნუ ეცდები თუ გწამს ღმერთი
წახვიდე და დამემალო.

* * *

დედა ვაშლის ნაყოფია,
შვილი ვაშლის მღრღნელი ჭია.
დედა არის შვილისათვის,
შვილი მხოლოდ თავისთავის.

გიორგობის თვე

ზეცამ ფერი იცვალა,
დღეც საგრძნობად დამოკლდა.
ჩემს წინ გარდაიცვალა,
ხეს ფოთოლი ჩამოწყდა.

ქართველ ემიგრანტებს

საქართველოში ბედკრულობის
შავმა ნისლებმა
გადაიარეს არაერთხელ ვაი და ვიშით.
ეს ის დრო არის, ჩვენს სულს ხორცი
როცა სცილდება.
სული აქ რჩება, ხორცი სხვაგან,
შორს, სხვაგან მიდის.
ადამის დროდან ჩვენი გენის
შთანთქმას ცდილობდნენ.
ეს ირონია, გამოცდა ბედის
რას შევადარო.
აქ ცას ვარსკვლავნი მიყოლებით
უხვად ცვიოდნენ
და მამლუქებით გავაჯერეთ
მთელი სამყარო.
უცხო მიწაზე გატანილი
ჩვენი ღირსება,
ხან ჯირკვზე იდო როგორ მამლის
კისერი ჭრელი.
სხვაგან სავანის მოძიება
როგორ იქნება
როცა გეგულვის ცხრა მთას იქით
მამული შენი.
ახლა, სულ ახლა ვისაც ახსოვს,
გონება უჭრის,
რამდენი იყო სამშობლოდან
განშორებული.
მარტო ექვთიმე ის სულმნათი
მამულს რად უღირს
და ან ქაქუცა მართალი და
თავდადებული
გულს უსერავდათ სამშობლოსკენ
მუდმივი ლტოლვა,
ფარ-ხმალს არ ყრიდნენ, ძალას გვრიდათ
ფიქრი ამაზე.
მოგეხსენებათ, ბედისწერა
სასტიკი როა,
არ უკოცნია იმედის მზეს
მათ ფანჯარაზე.

* * *

დინოზავრივით ნაკვალევი
თუკი დატოვე
და სააქაოს ის სათქმელი
შენი თუკი თქვი,
სოფელსა ესე უკვდავება
შენ თუ კი ჰპოვე,
მაშ გიზრუნვია საიქიოს
შენი სულისთვის.
თქვი გიცოცხლია, არ წასულა
ის წლები ფუჭად,
შენი უღელი სანამ იყავ
ატარე მარჯვედ
და მიგაყრიან სანამ მიწას
შენ თითო მუჭას,
მოხედვა უკან, კარგად ვიცი
გულს აღარ გატკენს.

ჩემი მესხეთ-ჯავახეთი

შენ მესხეთო სიხარულო ჩემო
და ტკივილო წარსულ შავბნელ დღეთა.
ახლა მხოლოდ სიყვარული გმოსავს,
და დაგყურებს გაბადრული ზეცა.

ვარძია კი გიდგას როგორც ფარი,
და გიყურებს ისევ ფხიზელ თვალით,
შიგ სულები გუშაგებად დგანან,
შეიგრძნობა მათი ხმა და კვალი.

შორით მოაქვს ნიავს გმირთა ექო
მტრებთან ჯახის, ხმლების თქარათქური.
აქ თამარსაც დაუდგია ფეხი,
ცოცხალია დღესაც მათი სული.

თქვენს კერიას სიყვარული ათბობს
ბუხარს ასდის უკვდავების კვამლი.
ვენაცვალე თქვენს კუთხეს თუ კუნჭულს,
არსად არის თქვენი შესადარი.

შენ სულ სხვა ხარ ჩვენს მამულთა შორის,
სხვა ძალა გაქვს, სხვა ელფერი გამკობს.
მზეც დაგნათის უფრო სხვანაირი.
სიკეთე და სილამაზე მათოვს.

საღამოს კი ვარსკვლავები ზეცის
ყვავილებად ეხატება ჩემს სულს.
დაგლოცავთ და ღმერთს წყალობას შევთხოვ,
ჯამით დავლევ ქვევრის ღვინოს მესხურს.

* * *

ჯიხვებს სალი კლდე ურჩევნის
ვერავინ ნახავს ბარშია.
კალმახი ტბაში ვერ ცოცხლობს,
ბულბული გალიაშია.

ვინ ნახა მწყერი უდაბნოს,
ხეზე შემჯდარი ვინ ნახა.
აქ დავიმარხო ჯობია
მამულის შვილი ვითარცა.

მეც სხვა სამოთხე არ მინდა,
ჩემი საძვალე აქ არის.
სამშობლო მხოლოდ ერთია,
სხვა საქართველო არ არის.

ნუღარ გაჯიუტდები

უკარება ყოფილხარ,
სევდამ ხელი დამრია,
ისევ შენთან რომ მინდა,
მხოლოდ შენი ბრალია.

ისევ შენთან მოვდივარ,
მომაქვს შენთან ვარდები,
კარებს თუ მიმიხურავ,
წყალში გადავვარდები.

რადგან ვეღარ გელევი,
გულს გიბოძებ დაღიანს,
ცოტას მოგეფერები,
რა ვქნა,ასე მწადია.

მოვალ მოგინახულებ,
სილამაზის დედოფალს,
კოცნით თუ დამაპურებ,
ახლა ეგეც მეყოფა.

გაგანია ცეცხლი მწვავს,
წყაროსავით მწყურდები,
შენთან მინდა, არ წავალ,
ნუღარ გაჯიუტდები.

შენ მაისის ყვავილის
ეკლიანი ყლორტი ხარ,
ეს ჩემს მეტმა არ იცის,
რა სანდომი ყოფილხარ!

შენ მიყვარხარ, მხოლოდ შენ,
მომაქვს შენთვის ვარდები,
ნუ მკრავ,ნუ მკრავ ნუ მკრავ ხელს,
წყალში გადავვარდები!

გაგანია ცეცხლი მწვავს,
წყაროსავით მწყურდები,
შენთან მინდა,არ წავალ,
ნუღარ გაჯიუტდები.

გინდა გეტყვი ჭირიმე,
სხვა ენაზეც, მერე რა,
ახ სირუმემ,სირუმემ,
ჰაი,სევირამ,სევირამ.

ჩემო ნარიყალავ

ციხევ ნარიყალავ,
ციხევ ნატყვიარო,
ციხევ ნაომარო
ჩემო დაღიანო.
შენ რა არ გინახავს
ჩემო საფიცარო.
ვინ აღარ გებრძოდა
მონღოლი, ოსმალო.
შენ ჩემო გუშაგო,
თბილისის კარიბჭევ,
შენ ჩემო მედროშევ,
შენ ჩემო ბებერო.

რა დაგრჩა სათქმელი
მითხარი გაფიცებ.
როგორ განუგეშო,
როგორ მოგეფერო.
ქვებიც ჩურჩულებენ
მაგ შენი კედლების.
ამბავს თუ ყვებიან
აწ შენი ვარამის.
სისხლმა გაღებულმა
იკმაროს ეგების
როდემდე ვიომოთ,
მითხარი სადამდის.

გიყურებ ჭრილობა
მეც გულზე მატყვია.
შენთან ამოვედი
მე აქ საგანგებოდ
ბზარი გაგჩენია,
ეს რა დაგმართნია,
ხავსიც მოგდებია
ჩემო სანატრელო.
ჩემო ნარიყალავ,
ჩემო ნატყვიარო,
ციხევ ნაომარო,
ციხევ დაღიანო.

ჩემი სამშობლოს მთაბარი

მადლი სულს მიძრავს ჩემი მიწაწყლის,
აქ სიყვარულის ადის ალმური.
მთაში ნისლების გროვა მეძახის,
ბარში ედემი და გაზაფხული.

როცა თვალს ხიბლი მოენატრება,
როცა ჩიტივით გული ფრთხიალობს,
მე მინდა მაშინ ცაში აფრენა,
ამ სილამაზეს რომ ვეზიარო.

როდესაც ჯიხვი ქარაფებს იპყრობს,
და მესმის სადღაც ირმის ბღავილი,
შვლის ნუკრი ცვრიან ბალახს რომ იძოვს,
სასიყვარულოდ ფრთხილად გაივლის.

ცის კაბადონზე ლურჯი ოცნება,
მთაზე ღრუბელი წამოწოლილი,
სხვა სილამაზე არ მაგონდება
ბუნებისაგან წარმოშობილი

მიყვარს მერცხლების აჟღურტუნება,
მზის ფოჩებს როცა ხელში ვადნები,
როცა გარემო მივსებს გუნებას,
ავენთები და გავდიდკაცდები.

აპრილის თვეში კვირტების სკდომა
და მზის აისი ხოხბისფერ დილას,
როდესაც სიო უჩუმრად მოვა
და გააღვიძებს ყვავილებს მძინარს.

მთის ნაკადულის მიყვარს ბუტბუტი
და წყაროს წყალი მთაში ნახადი,
ტყის პირას მდელო, მიწა ზურმუხტი,
ვითარცა ხელით ნაშრომ-ნახატი.

ამ სილამაზეს ვერ მივატოვებ,
მზის სხივი მკოცნის, მელამუნება.
აქ უნდა ვიყო დიახაც, სწორედ,
მე სხვა სამოთხე არ მეგულება.

მალე დადგება ჩემი დაისი...
აცრემლდებიან ოდეს ვაზები.
მე ისევ მოვალ. როგორ? არ ვიცი,
ალბათ ცის ნამად, ალბათ ყვავილში.

ამ სილამაზეს ვერ მივატოვებ,
მზის სხივი ისე მელამუნება,
აქ უნდა ვიყო დიახაც, მარად,
მე სხვა სამოთხე არ მეგულება.

* * *

მკვდარი პალტოში ვის უნახია?
ვერას წაიღებ ნასკების გარდა.
ჭამე, დალიე, სანამ ადრეა,
სანამდის გახვალ მარილზე გაღმა.

ეკატერინე ბულაძე - ისტორიკოსი
დაბადების ადგილი ხარაგაული, ციცქიური

ნუ მეტყვი

ნუ მეტყვი გიყვარვარ თუ გულში ეჭვი გაქვს,
ნუ მეტყვი , არ მინდა სიტყვები ლიტონი.
სიცივეს ისედაც უთქმელად მივხვდები,
თუ მკერდში ქვა გიდევს და ანდა ლითონი.

არ მინდა დამპირდე ვარსკვლავებს დაგიკრეფ,
ტყუილ არ ამიგო ოცნების კოშკები.
მითხარი ალალად უფრორე გაგიგებ,
ჯიბეში მიწყვია სულ რაღაც გროშები.

ტყუილზე ნაშენი გრძნობების არ მჯერა,
სულ ციცქნა ტყუილი წამებში დაანგრევს.
ეცადე იყავი წრფელი და მართალი,
სიმართლით ნორჩ გრძნობის აკვანსაც დაარწევ.

თუ გიყვარს იყვირე, ახარე სამყაროს,
ამ გრძნობას ემონე, მოიკალ წყურვილი.
თუ გიყვარს არ შეცდე არასდროს, არასდროს,
შენს სატრფოს არასდროს არ უთხრა ტყუილი.

ილია მეორეს

მინდა რომ დიდხანს იცოცხლო
ჩემო წმინდანო მოხუცო.
შენს დასალოცად ზეციდან
მსურს ანგელოზებს მოვუხმო.

წლები მოგმადლოს უფალმა
და ჯანი მოგცეს მრთელიო,
დაბადების დღეს გილოცავს
მთელი ქართველი ერიო.

მრავალგზის ჭირგამოვლილსა,
დღენი გქონოდეს ტკბილიო.
კიდით კიდემდე გენათლოს
ბენრი ქართველი ჩვილიო.

მინდა კვლავ შესძლო ქართველთა
გამოზრდა დაფრთიანება.
სიცოცხლეშივე იხილო
სამშობლოს გამთლიანება.

გარდავიცვლები

ალბათ იმ ქვეყნად როდესაც წავალ,
კი არ მოვკვდები , გარდავიცვლები.
ღრუბლები ციდან მომაბნევს ცრემლებს,
მე ისევ ისე თქვენთან ვიქნები.

გამაცილებენ ყვავილთა ჯარით
ალბად იტყვიან დავთესე რაცა.
და მერე ერთად დამიტირებენ
დაბლა მიწა და ზემოდან ცაცა.

და მაშინ როცა გარდავიცვლები
ზეცას მოსწყდება ვარსკვლავი ერთი.
მე გავუყვები უცნობ ბილიკებს,
გულს ჩამიხუტებს მე მამა ღმერთი.

იქნებ მოვიდე ისევ ამ ქვეყნად,
ან წვიმის წვეთად , ან და ფიფქებად.
გადაგეგცევი ალბათ მე გულში,
გარდასულ დღეთა ლამაზ ფიქრებად.

იქნებ გაზაფხულს ამოვსკდე იად,
ნაზი სურნელი მიმოვაფრქვიო.
იქნება ჩუმად მოგიალერსო,
გარდავისახო საღამოს სიოდ.

და იქნებ სიზმრად მოვიდე შენთან
ყველას უჩუმრად ჩაგეკრა გულში.
არსად წავსულვარ, მე სულ შენთან ვარ,
ჩუმი ჩურჩულით მე გითხრა ყურში.

თუ არ მოვედი მაშინ იცოდე
მსგავსი ვიყავი ყვავილთა ფერთა.
გარდავიცვალე, სულად ვიქეცი
და სამუდამოდ წავედი ღმერთთან.

კაცი თუ ხარ

კაცი თუ ხარ ,კაცი იყავ,
სიტყვა უნდა გეთქმოდეს.
აზრი კარგი კაცობისა,
უთქმელადაც გესმოდეს.

შენი სიტყვა უნდა სჭრიდეს
სიტყვას ჰქონდეს ლაზათი.
გულში გქონდეს ჩაქსოვილი
წინაპართა ადათი.

ოჯახს უნდა თავში ედგე
მართო მისი მსვლელობა.
სიკეთის ქმნა უნდა იყოს
მხოლოდ შენი ხელობა.

უნდა შესძლო გაარჩიო
მტყუანი და მართალი.
არასოდეს არ დაჩაგრო
ღარიბი და ალალი.

თუკი ქალმა შეგიყვარა
თავი იგრძენ მეფურად.
ხელის გულზე დაისვი და
მოექეცი ერთგულად.

შენი სინდის-ნამუსი კი
არაფერზე გაცვალო.
სადღეგრძელო კაცობისა
ბოლობდე რომ დასცალო.

ღმერთს მადლობა უნდა სწირო,
უნდა უნთო სანთელი.
თუ რამ რჩება ქვეყანაზე
მხოლოდ კარგი სახელი.

***

ლამაზად შვილის გამზრდელო!
დედაო გენაცვალები.
ქართველებს მრავლად გვყოლია
ასეთი გმირი ქალები.

დაურწევიათ აკვანი
დაუმღერიათ ნანაო.
სამშობლოს როცა უჭირდა
აულესიათ დანაო.

სამშობლოს შვილებს უზრდიდნენ
საამაყოს და კარგებსო.
იმ ქართველს ვენაცვალები .
ვინც რომ სამშობლოს არგებსო.

იმ დედას ქედსა მოვუხრი.
და ზოგჯერ კიდეც ვსტირი მე.
ცხრა შვილი მამულს შესწირა.
იმ ქართლის დედის ჭირიმე.

იმის დარწეულ აკვანში,
გამობრძმედილან გმირები.
სამშობლო შევაყვაროთ და
ისე დავზარდოთ შვილები.

ლამაზად შვილის გამზრდელნო
მსურს დაგიკოცნოთ ხელები.
გმირო ქართველო დედებო!
თქვენამც კი შემოგევლებით.

წერილი სატრფოს

გარეთ წვიმს და ჩემს ოთახში
კი არ ცივა , უფრო ცხელა.
გადავწყვიტე ჩემო შენთვის
მე წერილი მომეწერა.

თუმცა გარეთ სიბნელეა
შუაღამე იწვის დნება,
მაგრამ შენი სახე გოგო
მე თვალთაგან არ მშორდება.

ხელში ვიღებ კალმისტარს და
წითელ მელნით სავსე ჭიქას.
წერილებზე გულის ხატვა
შენ ხომ იცი როგორ მიყვარს.

მონატრებით გოგოვ გული
დაიღვენთა, დაილია,
ნეტავ როდის გიხილავ რომ
შევქმნათ სრული იდილია.

იცი როგორ მენატრები?!
მენატრება შენი ცქერა.
ცისფერ თვალთა ელვარება,
კულულები ასე ქერა.

იმედია მალე გნახავ
ჩაგიხუტებ გოგოვ გულში.
გოგოვ შენი სიყვარულით
ჩამისახლე ეს მზე სულში.

მთავარია გქონდეს ფული

ყველაფერი დღეს რატომღაც
ოქრო, ვერცხლზე იყიდება,
ყველა ქისას უცქერის რომ
შენს ქისაში რა იდება.

არ ადარდებთ თუ ხარ ბრძენი
მთავარია გქონდეს ფული.
თუ ჩხრიალებს ოქრო , ვერცხლი
რას მიქვია სიყვარული.

თუ ფულით გაქვს სავდე ქისა
მხოლოდ მაშინ აღწევ მიზანს,
რის ნიჭი და რა გონება
ნეტავ ვის მოაგონდება.

ნიჭიერი და უფულო
დღე და ღამე ფიქრში ათევს,
ის დროება დაგვდგომია
სადაც აყეფებენ კატებს.

ყველაფერი გაიყიდა
დღეს ნამუსზე მიდგა ჯერი.
დღეს ის მეფობს ვის ფული აქვს
თუგინდ იყოს ბრიყვი, შტერი.

მაინც არ დავკარგავ იმედს,
ხვალისას და მომავლისას.
სადაც ადგილს დაუთმობენ
ნიჭსა ფართოს, არა ქისას.

***

ქარმა დაუბერა ღრუბლებს
ცხრა მთას იქით მიმოფანტა.
ამ ჩემს ტკივილებს და დარდებს
წყვდიად ღამეს თან გავატან.

სადღაც მთებში დაიქუხა,
ამინდია საავდარო,
გაზაფხულის სურნელება
ჩემთან მოიტანე ქარო.

და შორს აყუდებულ მყინვარს
თეთრად მოუჩანდა კალთა.
უფლის ბოძებული მადლი,
ღმერთო! დამიფერთხე კართან.

კლდოვან ბილიკებზე მავალს
ღმერთო შემაშველე ხელი.
დილას ლამაზსა და მზიანს
ისევ მოუთმენლად ველი.

ცაში გაიკლაკნა ელვა,
წვიმა გამოუვა ნამად,
დღენი გამიგრძელე ღმერთო!
წუთი გადამექცა წამად.

მთებზე გაწოლილი თეთრად
ბარში გადმოეშვა ნისლი.
ჩქარა მოდი სიყვარულო,
ვერა მეტს ვეღარ დაგიცდი.

იავ სიტურფით მოსულო

იავ ! სიტურფით მოსულო
სიტურფემ ხომ არ გძლიაო.
ჩვენს გაჩენაში ბედშავო!
მართლაც და არა ყრიაო.

მოვალთ ცხოვრებას ვისწავლით,
დილას ვიყვარებთ მზიანსო.
გულში ჩავიკრავთ ფაქიზად
სიტურფით მოსულ იასო.

სიყვარულს შავეფიცები
არ მოგაკარებ ნიავსო.
უწინამც შავეწირები
ვინც მოგაყენებს ზიანსო.

მოვა სიკვდილი უთქმელად
დღეს დაგვიბნელებს მზიანსო.
მერე თავისთან წაიყვანს
ჩვენგან ნაფერებ იასო.

რაი ყოფილხარ საწუთროვ
რადა გვაყენენებ ზიანსო.
ცხოვრებამ არა დამინდო,
შხამი შამასვა ტიალსო.

აწ ვერვის ვერ შევიყვარებ
ადამის მოდგმას, დიაცსო.
რადა გამყარევ საწუთროვ
სიტურფით მოსულ იასო.

რაღადა მიღირს სიცოცხლე
გულს ვერ ჩავიკრავ იასო.
იქნება სიზმრად მოხვიდე
გულის კარს დავტოვ ღიასო.

მხოლოდ ღმერთია მსაჯული

შენ კაცო აბა მითხარი
ვინ დაგაყენა მსაჯულად.
შენი ცოდვები ნეტავი
ზეცამდე ჯერ არ ასულა.

სხვის თვალში ბეწვს რომ დაეძებ,
შენში ვერ ამჩნევ დირესა.
მარტოკა დარჩენილიც კი
არ მისცემიხარ ფიქრებსა.

ნეტავი რასა დაეძებ?
სხვის ცხოვრებაში ქექვითა.
სჯობია შენსას მიხედო
აღვსილი არის ნეხვითა.

ტალახს რად ესვრი ისედაც
ტალახში ჩავარდნილსაო.
წინასწარ ვერა განსჭვრიტავ
რა ელოდება შვილსაო.

წაქცეულს წიხლს რად დააჭერ,
რად არა უწვდი ხელსაო.
მაგისთვის მოგეკითხება
რა პასუხს გასცემ ღმერთსაო.

იქნება იმით დავიწყოთ.
ვისწავლოთ მიტევებაო.
რასაცა სხვისთვის ინდომებ
იგივე მოგეზღვებაო.

ვინც გინდა ისა იყავი,
რა ჯიშისა და რა რჯულის.
ეს კარგად დაიმახსოვრე
ღმერთია ჩვენი მსაჯული.

***

მადლი ვქენი ქვაზე დავდე,
გავიარე ქვაც არ დამხვდა.
ის ქვა ხელში აიღეს და
პირდაპირ კეფაში მომხვდა.

ვისაც შარბათი ვასმიე
მან შემასვა თასით შხამი.
ვისაც დღენი შევალიე
არ დამითმო ერთი წამი.

ტანთ ვიხდიდი , მას ვაცმევდი
სიცივეში გამთბარიყო.
ტანზედ არაფერი მეცვა
კარს ზამთარი მომდგარიყო.

ჩემს ლუკმასაც კი ვუყოფდი
მშიერი არ მომკვდარიყო,
ბოლოს ჯამში ჩავიხედე
იქ ნამცეციც აღარ იყო.

ვინც რომ გზაზე დავაყენე
სწორედ მან გამომდო კვანტი.
ყველას გულშემატკივარსა,
არვის ჰქონდა ჩემი დარდი.

ვისაც გული დავანახე
სწორედ მანვე დამჭრა გულში.
არ იკმარა მარტო ეს და
ჩამაფურთხა სპეტაკ სულში.

ვინმეს სიკეთეს უკეთებ?
არ ელოდო იგივესო.
მხოლოდ მაშინ ეგები გონს
როცა იგრძნობ სიცივესო.

მაგრამ მაინც ამას გეტყვი
იმედი არ გადიწურო.
არ გინდოდეს სხვისი მადლი
გვერდით ღმერთი დაიგულო

მე ამ სიყვარულის მჯერა

ისევ ჩამოთოვა ,ნაძვებს დაათოვა
ფიფქებს გავაყოლე მზერა.
ისევ მეყვარები შენ ვერ შეგელევი,
მე ამ სიყვარულის მჯერა.

ოხ რა ლამაზია, ოხ რა სათუთია
თეთრად დაფიფქული მთები.
წლებმა შენც შეგმოსა, უფრო დაგამშვენა
თეთრად შეგივერცხლა თმები.

თუმცა სიცივეა , გარეთ ზამთარია
შენი გამოხედვა მათბობს.
ისევ ძველებური გრძნობა დამეუფლა,
შენი სიყვარული მათრობს.

ისევ გაივლიან წლები ათეული
ერთურთს მივადევნებთ მზერას.
რაც დრო გადის ჩემო! უფრო მიყვარდები
მე ამ სიყვარულის მჯერა.

დარეჯან მაჭარაშვილი - ინჟინერი
დაბადების ადგილი საჩხერე

ისე უნდა იქართველო

მიწა თუ ვერ აღორძინე
მამა-პაპის განაშენი,
სიტყვა თუკი ვერ მონახე
ქართულ სუფრის დამამშვენი.

მტრის ჯინაზე არ ამრავლე,
შენი ფუძე და ნაშენი,
ერთი მითხარ რა კაცი ხარ,
ერთი მითხარ- რა ქართველი.

სადაც მიხვალ იქაური
თუ გახურავს თავზე ქუდი,
როცა წვეთი ვერ დაგახრჩობს,
როცა დიდ ზღვას გადაურჩი.

სწორი გზა თუ გიძებნია,
არ გდომია გზები მრუდი,
კაცი გქვია, თუ მოყვარეს
ეჯიბრები სიყვარულში.

ისე უნდა იღორძინო,
გადაიქცე ერთი ასად,
შვილი უნდა გამოზარდო
ღვთის მოშიშ და ერისკაცად.

გაჭირვებულს ბინა მისცე
არ გაუშვა ღამე არსად,
დალოცვა და თბილი გული
გაატანო მერე საგზლად.

გუთნეული უნდა ავლო
წინაპრების კვალ და ხნულზე,
აუგი არ ათქმევინო
არა კაცსა შენსა სჯულზე.

სიყვარული დააყენო
უფრო მაღლა ჩაგვრა-შურზე,
ისე უნდა იქართველო,
მტერი ბოღმით გასკდეს გულზე!

***

ახლა “ვაი-ვიში" არ მსურს,
მდელო მოუქარგავს ფარჩას,
ვეღარ “ამოვგლიჯე" ამ გულს,
ის-რაც ბავშვობაში დამრჩა.

უხმო საყვედურებს ვისმენ,
გული გამებზარა ვინძლო,
იქნებ დამიბრუნდე ისევ,
იქნებ ძველებურად გიგრძნო.

იქნებ დამიბრუნდე ისევ,
გახდეს უსასრულო- წამი,
მინდა გიყურებდე ისეთს,
როგორც გხატავდი და მწამდი.

ვკვებოთ სიყვარული მწველი,
დღე გადავაქციოთ ზღაპრად,
ფრთხილად შემოგხვიო ხელი,
მერე- არ გაგიშვა არსად!

სიყვარულის ბალადა

ბროწეულების დაგკრავდა ალი,
შენი სინაზით მოჰგავდი შროშანს,
დღეს ყველაფერი არის ფერმკრთალი,
დღეს ყველაფერი შორიდან მოსჩანს.

ვერ მოვერიე ფიქრებს დაღდასმულს,
ვერ დავივიწყე შენი სითეთრე,
შემეფეთები გონზე გადასულს,
როს გაზაფხულის სუნი იფეთქებს.

თითქოს ხარხარით მომდევენ მთები,
ხიდან დამძახის ჩიტი მზეწვია,
ხან ვგმობ, ხან ვლოცავ შეხვედრის იმ წუთს,
როს სიყვარული შენი მეწვია.

და სიყვარულით შლეგი და მთვრალი,
ლოცვით შევხვდები აის-დაისებს,
თუ ერთხელ გულის გამიღე კარი,
თუ ერთხელ კიდევ გავიმაისე.

სევდა

წარსულ გაბზარული,
რწმენა დაკარგული,
გრძნობა არეული,
როგორც მთვარეული.

საზღვრებ დარღვეული,
სახლებ დანგრეული,
"ფიქრის გორა"-ს ქვაზე
ღამეგათეული.

ღამე გატეხილი,
ნდობა ვერნახული,
გაკაპიკებული
ძმობის საზღაური.

მუჭში ჩატეული
დიდი სიყვარული,
ვეღარ დანახული
მცირე სინანული.

ეზო ცარიელი,
სევდა გარეული,
ჭიშკარდაკეტილი,
ბოქლომდადებული....

მაინც იმედოვნებს
გული დაზაფრული.
მოვა გაზაფხული!
მოვა გაზაფხული!

***

ნისლში ცურავს წარსული,
მონატრება დიდია,
სიყმაწვილის დღეები
ისე სწრაფად მიდიან.

აღარ მოსჩანს იმედად
ის გავლილი ხედები,
საღამოდან დილამდე
სულ ერთი დღით ვბერდები.

რაც დრომ მიისაკუთრა,
თითქოს იყო, არც იყო,
ღმერთო, ნუ დამავიწყებ
იმას- კარგი რაც იყო.

როგორც ფეტვის მარცვალი
სითბო ისე ვაბნიე,
ბევრი ცუდიც და კარგიც
ერთმანეთში ავრიე.

მივალ, ნისლებს მივაპობ,
დაბინდული გზებია,
თანადგომა ნაკლები,
გულისტკენა ბევრია.

ბევრზე თვალის დახუჭვა,
არც გინახავს ვითომ და
"აქეთ" რასაც ველოდი,
ყველა "იქით" ითხოვდა.

დღე დღეს მისდევს, წუთი წუთს,
უკეთესის ლოდინში,
თანდათან იკარგება
"მადლობა" და "ბოდიში".

მჭრელი თვალი დამშრალა,
აღარსად სჩანს ნუგეში,
შვილი ვეღარ გამთბარა
ნანატრ დედის უბეში.

ცარიელი თავები
უფრო მეტად ხმაურობს,
სისხლი ადუღებულა,
უფრო აურზაურობს.

ხალხი ა-ნაირფერ-და,
გამოცნობა ძნელია,
ზოგი ტყავით ცხვარი და
ბუნებით კი მგელია.

როგორც გვაწყობს, ვხედავთ და
რაც არ გვაწყობს- არ გვინდა,
გავიძახი მთელი ხმით
ს ი ყ ვ ა რ უ ლ ი გ ა ძ ვ ი რ დ ა!

სამართალი დაღლილი
მობანცალებს, გზადაა,
ღმერთო შენ თუ გვაჩვენებ
გამოსავალს- სადაა.

გული გადაიღალა,
ამდენ ცდა და ლოდინში,
გორგალს ვახვევ იმედის,
სიბერის მოლოდინში.

დაგვხარხარებს სატანა,
იმედი სურს აგვყაროს.
სანამ კიდევ დრო არის,
"გ ა მ ო ფ ხ ი ზ ლ დ ი ს ა მ ყ ა რ ო"!

***

კვლავ ელვის სისწრაფით
მიჰქრიან დღეები,
ახლა მიტევების
და თმენის ჟამია,
და როგორც არასდროს
დღეს დაგღლი ვედრებით,
მოთმენა მასწავლე
დედაო, მარიმ.

მეც ჩემი ცოდვებით
მივათრევ საწუთროს
და ვგრძნობ აღსარების
დამდგარა წამია,
ვშიშობ, არაფერი
არ დამრჩეს უთქმელი,
უნდა დამეხმარო
დედაო, მარიამ.

კვლავ დაუკითხავად
ჩამოდგა ზამთარი.
მთაში თოვს,
თუმც ბარში ჯერ კიდევ
დარია,
იქნება სულშიც
არ ჩამოწვეს ზამთარი
თუ შემეხიდები
დედაო, მარიამ.

და თუკი ჩაივლის
სიცოცხლე ლანდივით,
არ ვდარდობ,
ვიმღერო თუნდ ბოლო
არია,
არც კი გამიხდება
სიკვდილი სადარდი,
როცა გვერდით მყავხარ
დედაო, მარიამ.

ჰო, თუკი ოდესმე
დამჯაბნის იღბალი
და თუ დამარცხებაც
სისუსტის ბრალია,
ერთსა გთხოვ,
არ მომცე უფლება დაცემის,
ლოცვა შემაშველე
დედაო, მარიამ.

დღეს, როცა სამშობლოს
სჭირდები ესოდენ,
ჩემი "ახირება"
რა მოსატანია,
დაიცავ ქართული
ჯიში და ჯილაგი,
თუნდ ჩემი სიცოცხლე
წაიღე- მარიამ.

***

ქვეყნად რამდენი გზებით ვიარე,
გზის ბოლოს რა არ ვნახე,
ხან ფრთები დამხვდა ასაფრენი და
ხან დაგებული მახე.

ბევრი "მიყვარხარ" შემხვდა გზადაგზა
და ერთგულების ფიცი,
ბევრი "როგორ ხარ" "მომენატრეო",
მოვალეობის მიზნით.

გზამრუდმა ხევში გადამისროლა,
ბედმა მაჩუქა კიბე.
სადაც სიკეთე სიავედ მექცა
იქვე დავბრუნდი კიდევ.

ცხრა მთა და მეტიც გადავიარე,
ცხრა საოცრება ვნახე.
ბევრი ლოდინით სავსე თვალები
და ნიღბიანი სახეც.

გზა ეკლიანი, გზა ვარდიანი,
მთლად საოცნებო გზები
გადამივლია ზოგჯერ ტირილით,
ზოგჯერ ხმამაღლა მღერით.

ზოგი მღელვარე და ბობოქარი,
ზოგი წყნარი და მშვიდი...
ის გზა ვერაფერს ვერ შევადარე
დედის სახლთან რომ მიდის.

***

სახე-ღიმილით ნაფენი,
სხვათა და კიდევ სხვათა.
დილით მზის ამობრწყინება,
გადაძახილი მთათა.

ბებოს ფუსფუსი ეზოში,
ამოწეული კალთა,
ზეცას ასული ყიჟინი
განებივრებულ ბალღთა.

სიყვარულით და სიკეთით
ამოვსებული გული,
საძმოდ გაწვდილი მარჯვენი
დამარცხებული შური.

არ დავიწყება მოყვარის,
გული ბავშვურად სუფთა.
ბევრი "ნანინა" აკვანთან
ბევრი სალხინო სუფრა.

ცად ცისარტყელას ღიმილი,
დილით მბრწყინავი ცვარი,
ბარში ვაზი და ხეხილი,
მთაში ძროხა და ცხვარი...

ღმერთო, მოგვეცი სიკეთე
და სიყვარული ბევრი,
რომ თვალზე მუდამ გვდიოდეს
სულ სიხარულის ცრემლი.

ვკოცნიდეთ მამის ნაკვალევს
დრო რომ ვერაფრით წაშლის.
არ ვარდებოდეს ძმათ შორის
განხეთქილების ვაშლი.

რწმენა, იმედი მოგვმადლე,
გვიმრავლე გოგო-ბიჭი,
მოგვეც სიმართლის უნარი
და სიყვარულის ნიჭი.

დედმამიშვილებს

იქნებ სისუსტეს ვძლიო,
დარდის დაფარვას ვცდილობ.
გული წაიღეთ ჩემი,
შაქრო, ჯამბულ და ნინო.

მოგონებების სკივრი,
სევდით ავსილა სულ მთლად,
მანდ სამოთხეში მიჯობს,
აქ ჯოჯოხეთში სუნთქვას.

თქვენ გზა მართალი ნახეთ,
გეგოთ ია და ვარდი.
მე სად დავტიო ნეტავ
სამყაროსხელა დარდი.

ეს უთქვენობის ჯვარი,
უმწეომ როგორ ვზიდო.
იქნებ თქვენ მითხრათ ძმებო,
იქნებ შენ მითხრა ნინო.

ესა ვარ რაც ვარ

ვერ შემაშინებს
ქროლვა ქარიშხლის,
ჩემი ცხოვრების
ბილიკზე მავალს,
მე ანგელოზის
არა მაქვს ფრთები,
მეც ჩემი წილი
ცოდვებით დავალ.
ვისთვის არ ვღირვარ
ერთი შაურიც...
ვერ შევიცვლები,
ესა ვარ, რაც ვარ!

თუ შემიყვარებ,
მეც შეგიყვარებ,
აგეფარები
დღე და ღამ ფარად.
გაგიფერადებ
წუთებს და წამებს,
სიყვარულის და
სიცოცხლის დარად.

არ გენდომები?
არ შეგაწუხებ,
არ ჩაგიდგები
ტირილით კარად.
შეცვლას კი
ნუ მთხოვ,
მაინც ერთია,
ვერ შევიცვლები,
ესა ვარ, რაც ვარ!

არ მიძებნია
თვალ-მარგალიტი,
შიშველი მოველ,
ასევე წავალ.
ხან როგორც ბრძენი
ვმჭერვმეტყველაობ,
ხანაც ბავშვურად
ტიტინით დავალ.

ხანაც ისეთი...
ხანაც ასეთი...
წონასწორობა დაკარგულს
ვგავარ,
ვერ ვფარისევლობ,
თავს ვერ ვატყუებ,
და დაე ვიყო,
ვიყო ის
რაც ვარ!

***

ერთი წამი უნდა გულისტკენას,
ზოგჯერ სიტყვაც კვალის ამრევია,
დარდს ნუ მომიმატებ თუ კაცი ხარ,
ისეც სადარდელი რამდენია.

ვისთვის ეკალია ეს ცხოვრება,
ვისთვის მობიბინე ვარდებია,
ზოგჯერ იმედები გვბატონობს და
მერე გულის გულში სახლდებიან.

ზეცას გადასცილდა ჩუმი ფიქრი,
ღრუბელს შიშის ფერი დასდებია,
უკვე "გაუგებრებს" აღარ ვითვლი,
ბევრად უფრო მეტი გამგებია.

***

მშვიდად მთვლემარე ღრუბელს
წამოუქროლა ქარმა,
უსიტყვოდ, უმიზეზოდ,
ჩუმად გამოსდო სარმა.

პირსავსემ- (როგორც ქვევრი),
გადაიარა ცხრა მთა,
სათქმელი ქონდა ბევრი,
მაგრამ რატომღაც არ თქვა.

შენი დუმილი ოქროდ
ყოველთვის ფასობს ვითომ?
ღრუბელო, მაგ მოთმენას
ბრძოლა ისწავლე- გიჯობს!

ოთარ რურუა - იურისტი
დაბადების ადგილი - ფოთი

ხვიჩა კვარაცხელიას

მიშა მესხის ტექნიკა აქვს,
მხედველობა არწივის,
ქართველია! - ჩემი ქვეყნის,
ჩემი ერის ნაწილი.

გადარია ნეაპოლი,
იტალიის ალპები,
ხან პასით და ხანაც გოლით...
მიქარწყლდება დარდები.

დაილოცოს ქვეყანაზე
ნიჭი, გარჯა, უნარი,
მეგობრობა, სიყვარული,
წრფელი, გაუხუნარი.

ლექსით ვაქებ ნიჭიერებს,
არასოდეს მწყინდება,
როცა გადის კვარა - გოლი,
აღმაფრენა მინდება.

ჯიხვის ყანწით ვადღეგრძელოთ
ეროვნული ღირსება,
გული - გარდა სიხარულის,
სიამაყით ივსება.

მსურს დავლოცოთ მშობლის კერა,
როგორც კალთა ჩოხისა...
შევსვათ ხვიჩას სადღეგრძელო,
ჭეშმარიტი კოლხისა.

მეც კოლხი ვარ, სისხლი მიდუღს,
მმართებს არდავიწყება...
მე თუ მკითხავთ, საქართველო
კოლხეთიდან იწყება.

შეწირულთათვის

ამ ქვეყნის მიწის ნაგლეჯი
ჩვენია, განა სხვისია!
საქართველოა გარეჯი,
ქართველთა ჯილაგისია!

ისევ მღერიან „ჩაკრულოს“,
ფოლკლორი ჩვენი განძია,
ბედნიერ მერმისს ნატრულობს
თვით სულხან-საბას ტანძია.

მინდა მგოსნებმაც შემინდონ,
თუ რამე კარგად ვერ ვთქვი მე,
ლოცვებში მოვიხსენიოთ
თაყვანიშვილი ექვთიმე.

ვკითხულობ იმათ ცხოვრებას,
ვინც იყო ქვეყნის სინდისი...
ერს მუდამ ემახსოვრება:
ცხრა აპრილი და შინდისი.

მეც მტკივა ბერი თევდორე,-
დუშმანმა ხმლით რომ აკუწა...
ვარ იმის თანამედროვე,
ვინც დააფასა ქაქუცა.

ქვეყნად ყველაზე მთავარი
სამშობლოს სამსახურია,
დავითიც მიყვარს, თამარიც,
კოსტავაც, გამსახურდიაც.

მაოცებს ცოტნეს გმირობა,
ლომ-ვეფხვს ვადარებ, განა მგელს,
ვუქებ მამულიშვილობას
ცხრა ძმას და სამას არაგველს.

აწ ქეთევანიც ვახსენოთ,-
მარტვილი ქრისტეს რჯულისთვის...
ვაცოცხლებ, ვიდრე ვარსებობ,
ამ მიწის სიყვარულისთვის.

ვლოცულობ, დედა ღვთისმშობელს
წყალობას შევსთხოვ ქართველი,
ბიჭად-კაცს ცრემლშეუშრობელს
რომ არ ჩამიქრეს სანთელი.

ლექსში-ვით უხმლო ქარქაშში,
თუმც ყველა ვერ ჩავატიე,
შეწირულთათვის ტაძარში
მე ღამეები ვათიე.

მეუბნებიან: დედას ჰგავხარო

მეუბნებიან: დედას ჰგავხარო,
მინდა მწყალობდეს მე ღვთისმშობელი,
ჩემად მიმაჩნდა მთელი სამყარო,
როდესაც მყავდა გვერდით მშობელი.

მეუბნებიან: დედას ჰგავხარო,
ვარ სიკეთის და სითბოს მცნობელი,
რომც მოვიარო მთელი სამყარო,
ვერ გადავიხდი ამაგს მშობელის.

ჩემო გვანცა დედოფალო...

ჩემო გვანცა დედოფალო
კვლავ ამოდის შენთვის მზე,
მე კი ისიც მეყოფა, რომ
ერთხელ გნახე მეჯლისზე.

თუმცა არა! ჩემთვის შენი
მარტო ნახვა არ კმარა,
გავაჭენოთ თეთრი ცხენი,
შევსვათ წყალი ანკარა.

თუმც არ მქვია შენი ქმარი,
მაინც მინდა გაკოცო...
ავაჟღერო შენთვის ქნარი,
ერთხელ მეც გაგაოცო.

სიზმრად გხედავ, თეთრი ღვინით
ვლოცავ ყველა ბედიანს,
ახდენილი სიზმარივით
გულს აოცებ სევდიანს.

მაშ, კეთილი ინებე და
ამისრულე სურვილი,
მემართება ლამის ბნედა,
მაღრჩობს კოცნის წყურვილი.

ჩვენით ხარობს აქ ჯეჯილიც,
თუ გსურს, კიდეც ვიმღეროთ,
მსურს ჩემს თვალწინ მაგ ჯეირნის
ყელი რომ მოიღერო.

თუ გაქვს რწმენა, ბედიც გწყალობს,
სულ გესმოდეს რწმენის ხმა...
ჩემო გვანცა დედოფალო -
ბაღვაშების გენის ხარ!

ჩემო თანაკლასელებო...

ჩემო თანაკლასელებო:
გოგონებო, ბიჭებო,
ვიდრე ვცოცხლობთ ქვეყანაზე,
ვიმღეროთ და ვიჭექოთ.

დავულოცოთ ქალს მანდილი,
მთას - ქორბუდა ირმები,
ვით თინათინს - ავთანდილი,
ჩვენ ერთმანეთს ვჭირდებით.

მინდა გული ავამღერო
ცხადია თუ ზმანება,
ჩემს წინ ყელი მოიღერონ
ჩვენმა ლამაზმანებმა.

ალალი ვარ დედისერთა,
გულს ვიჯერებ ოცნებით,
მსურს ჩვენივე გოგონებმა
გამაბრუონ კოცნებით...

თორემ მიჰქრის ასაკი და
მეც ნელ - ნელა ვბერდები,
სადმე გამიფრინდებიან
მოღუღუნე მტრედები.

გამამდიდრეთ ფოტოებით,
გაღიმება მინდება...
ისევ ამბობს ფოტოგრაფი:
,,ჩიტი გამოფრინდება!“

ჩემო თანაკლასელებო
მზე კვლავ აღმობრწყინდება,
როგორც ნესტანს - ტარიელი,
ერთმანეთი გვჭირდება.

საქართველოს

ლექსებს ვუწერ საქართველოს,
სიზმრად ვხედავ ერთიანს!
ღმერთმა დიდხანს აჯანმრთელოს,
დედასავით ერთია!

მიყვარს ცოტნე დადიანი -
თაფლწასმული ქართველი,
მკერდქვეშ გული დარდიანი
იწვის, როგორც სანთელი.

აქ - დავითის დიდგორია,
შამქორია თამარის,
ჩემთვის ჩვენი ისტორია
არის მუდამ მთავარი.

გულმხურვალე ვისმენ ლოცვებს,
მრევლსაც ვხედავ სევდიანს,
მჯერა: ისევ მოვილოცებთ
ქურმუხს, ილორს, ბედიას.

შორს არწივთა საბუდარს და
ვხედავ ჯიხვთა ქარაფებს..
მივალ ვაჟას ალუდასთან,
მთებს კაფიას ვაჯახებ!

ლექსით ვთვრები, გრძნობებს ვამხელ,
ეს არ არის არაკი...
მართალს ვამბობ, მსურს მეც გავხდე
შეწირული ზვარაკი!

ვიდრე ვცოცხლობ უფლის მადლით,
მწვავს ჩემი მზის არილი...
ვწევარ... მცხია ტანზე თაფლი
ცოტნე დადიანივით.

მეც ვეტრფოდი ერთ კარგ გოგოს,
ნეტავ კიდევ მაჩვენა!
მისი დარდი მტკივა, როგორც
მოკვეთილი მარჯვენა!

ვეფერები დედის სურათს,
ვით შორენა - თავის შველს...
გული შავად შენისლულა,
მიწაც არსად არ მიშვებს.

გაუმარჯოს საქართველოს,
სიზმრად ვხედავ ერთიანს!
ღვთისმშობელმა აჯანმრთელოს,
დედასავით ერთია!

მჯერა: ისევ ითამადებს,
დაზრდის ლომებს, ავაზებს,
იდავითებს, ითამარებს,
კიდეც იფარნავაზებს.

ღვთის ნათელი მოსავს ციდან,
ცხოვრობს რწმენით მომავლის...
ერი - ნადიდგორალი და
ერი - ნაშამქორალი!

ჩვენია...

ისევ მეწვია მუზა და
შემომეწერა დარდიანს,
გორგასალს ვუქებ მუზარადს,
გმირობას - ცოტნე დადიანს.

ვლოცავ ბასიანს სოსლანის -
თამარის თანამეცხედრის,
სხვის მიწაში წევს მგოსანი -
რუსთველი - შვილი მესხეთის.

თუმც არამხოლოდ მესხეთის,
ის მთელი ქვეყნის შვილია,
რეკენ ზარები დღეს მცხეთის,
ამ მიწის გამოზრდილია

არსაკიძეც და შორენაც,
მეფე გიორგიც, გირშელიც,
განვიცდი მათ განშორებას,
მხოლოდ სიმღერა მიშველის.

მსურს: არჩილ კერესელიძის
ვიმღერო „სვეტიცხოველი“,
მაოცებს ფერი ჩემი ცის,
წყალობას ღვთისგან მოველი.

შეგვერგოს სადილ - სამხარი,
ის მიყვარს, - რაც დაგვრჩენია,
ჩვენია ვარდისახარიც,
თარაშ ემხვარიც ჩვენია.

მე სიხარულის ცრემლებით
მოვრწყე ჩემივე მინდორი,
ვწერ სიამაყის შეგრძნებით,
მეამაყება დიდგორი.

გავჩნდი... შუბლზე მცხეს მირონი,
დამათვრეს საპოვნელათი,
ბედიაც მაქვს და ილორიც,
მაგრამ სულ სხვაა გელათი.

ვარ ისტორიის მქებელი,
მომფერებელი ვაზისა,
ამ ლექსში გამცოცხლებელი
ქუჯის და ფარნავაზისა.

ვიხსენებ გამსახურდიას,
კოსტავაც არ მავიწყდება,
ორთავე ნამსახურია,
არასდროს დამავიწყდება.

ასეა... ვამბობ სიმართლეს,
ტყუილის თქმაც არ მჩვევია,
ჩვენია ქვეყნის სინათლეც,
ეს საქართველოც ჩვენია.

წინაპართ ნაკვალევზე

მარტო ვარ, თამაშგარეში,
თუმც ეს კალამიც მიჭრის...
მშობელი დედის გარეშე
სიტყვის უთქმელად მიჭირს.

კვლავ მარტო დავეხეტები
დარში, თოვლსა თუ თქეშში,
მსურს წყარო დაუშრეტელი
შევსვა ჩემივე პეშვით.

არა ვარ შარახვეტია,
არც ვინმე მოგზაური,
თუმც მივეჩვიე ხეტიალს,
ჩემგან შორს არის შური.

მინდა მივიდე ტაძრამდე,
მცხეთაში პირველ ყოვლის,
ძალას მმატებს და მახარებს
დანახვა სვეტიცხოვლის.

ხეკორძულას წყალს შევსვამდი,
დროშას გავშლიდი ზართან,
მინდა მმოსავდეს მზესავით
დედა ღვთისმშობლის კალთა.

მივყვები დროის დინებას,
წევს თხოთის მთაზე ნისლი,
ძარღვებში მოედინება
მირიან მეფის სისხლი.

ღირდა ქაქუცას გაჩენა,
ერში დატოვა კვალი,
ისე უჭრიდა მარჯვენა,
როგორც ერეკლეს - ხმალი.

ლექსები ვუთხრათ ჩვენ ცოტნეს,
ცხრა ძმას, არაგველს სამასს,
თუკი რაიმე შევცოდეთ,
შენდობა ვთხოვოთ მამას.

მერაბ კოსტავაც ვახსენოთ, -
სინდის - ნამუსი ერის,
ვიდრე ამქვეყნად ვარსებობ,
გული ,,შავლეგოს“ მღერის.

არ დავივიწყოთ ზვიადიც -
კლასიკოს მწერლის შვილი,
ქვეყნისთვის არის დიადი
ყველა მამულიშვილი.

მსურს ჩანგი ავახმიანოთ,
ვიმღეროთ ვაჟას მთებზე...
და სიკვდილამდე ვიაროთ
წინაპართ ნაკვალევზე!

თეა ბარბაქაძე - ბუღალტერი
დაბადების ადგილი ხაშური ბეკამი

ალილო...

ფიფქები ხეზე ჩიტებივით ჩამოსხდებიან,
აუყვებიან დათოვლილ გზას ცამდე ნისლები,
ქარის ქროლვაზე ჩვილებივით იზმორებიან,
დედის ჩამოქნილ თითებივით ჩამოქნილები...

წუხელაც ქროდა, გამეტებით ჰკიოდა თერხვი,
მოჰქონდა მამის ღიღინი და დედის ნანინა,
ტოტებდამტყდარი ირწეოდა ბებერი ვერხვი,
თითქოს ტიტინი მოისმოდა ყრმათა აკვნიდან...

შენც ხატმწერი ხარ - ფსალმუნივით გადაწერილი,
გაცხადებული შენი კალმით, არ დაწრეტილი,
პალიმფსესტზე თუ პერგამენტზე გადაწერილი,
როგორც მცნებები,სტრიქონები,წმინდა წერილი.

არწევდა ვერხვი მის მკლავებში მოქცეულ ღამეს
და უმღეროდა ცის ტატნობზე ნაშობ ალილოს,
ჰკიოდა თერხვი, ღიღინებდა აკვანში მთვარე
და დედის ნანა ერეოდა რძისფერ ალიონს.

და რადგან იშვი...

და რადგან იშვი, რადგან ჩემშიც ღმერთი დადუღდა,
რადგან ბაგასთან აღსადგენი ტაძრით მივედი,
მიკაკუნებდი, ეგების და კარი გამეღო
და სტროფებივით, ტანზე სისხლით ლოცვებს მიწერდი...

ცრემლად გიდნები სანთელივით, მოდი მიწამლე,
მუხლზე ვუდგები შენს შობისთვის სრულად სამყაროს,
მეტამორფოზა სანამ ჩემი უფალს მივანდე,
მიკაკუნებ და მეც გელოდი, იშვი მაღალო...

რომელმა ბაგამ დაიტია შენი სიმდაბლე,
და მეც ბაგასთან აღსადგენი ტაძრით მივედი,
როგორც გჩვევია, ვიცი ისევ თავს დაიმდაბლებ
და რადგან იშვი, ლოცვასავით გადაგიწერდი.

***

და როგორც - მიწაზე ნატანჯი ღმერთივით,
მოგლეჯდი გულიდან სიტყვას და იარას,
რამდენი ეწამე მიწაზე და მაინც,
ცდილობდი სხვებისთვის გეკურნა იარა...

ძაძებში რწმენას და სიმართლეს მალავდი,
წამსკდარი ლოცვიდან რა ძალამ იავარ...
და როგორც ჯვარცმაზე, იესოს ჯალათი,
შენც შუბით გაგლეჯდნენ ტანიდან იარას.

***

ახლა ყველაფერზე მეტირება,
გასკდა გული ბოლო მონეტებით,
გული ბოლოს მაინც მეტკინება ,
შენთან გამოვლილი მომენტებით...

იმედის სანთლები მეტირება,
საკმეველს ღმერთივით ვემატები,
შიშველი სულივით მეტკინება
სხეული და მაინც ვეტანები...

***

ვენები დახეთქე, სტრიქონად მოვარდი,
წალეკე ფურცლები, გეტყვი, რომ - მადლია...
სტროფიდან ამომსკდარ სისხლს როგორ მოჰგავდი,
სისხლს, რომლის წყალობით ზეცამდე ადიან...

***

შენი თვალები - ლაჟვარდებში ვნების ალმური,
ცისა და მიწის გასაყართან ცისკრის ანთება,
გულის წასვლავდე მიყვანილი სისხლის ხმაური
და წარღვნის შემდეგ ჩემს მაჯაზე ლოცვის დანთება...

ჩემში ნაშობი უფალივით რარიგად მწამდი,
თვალები, მაგრამ რა თვალები - ცოდვის გამხელა,
დაბადებიდან აქამომდე ყოფნის მიზანი,
ვთოკავდი გრძნობებს, მაგრამ სისხლი მაინც გახელდა...

მოასკდა კალამს აზვირთებულ სისხლის ღრიალი
და საუკუნემ ამოხეთქა ჩემი ტანიდან,
ლოცვა ხარ ჩემი, მაჯას წამსკდარ ლექსის გრიგალი,
ყოველ პირჯვარზე მემღერები ჩემი აკვნიდან.

***

შენს ნალურსმანში ვაფათურებ ხელებს მდუმარე,
შენს ძიებაში ბევრ თეზისთან შებმა მომიხდა,
საკუთარ თავსაც იმდენი რამ გადავუმალე,
რაც არ მეგონა ახდებოდა ისიც ამიხდა

და ის ღვთიურიც სადღაც ჩემში რომ დათარეშობს,
თეოლოგიურ არსებასაც ვეღარ მიწოდებს,
ეს აქსიომაც, რომ საკუთარ თავზე დიდი ვარ,
შენ შემარქვი თუ საიდანღაც გამოვიგონე...

შენ უკეთ იცი რა მჭირდება, რადგან მოვედი,
რადგან ღმერთსავსედ ჩამთვალე და შენში დამტიე,
რადგან სამყარო - ყველას დედა, ყველას მშობელი,
ასე უთქმელად, უნებართვოდ ჩემშიც ჩატიე...

"ეს ბედისწერა."

ჩამოიქცევა ზეცა ცოდვისგან
თუ სილამაზეს დროება წაშლის,
თუ სოფლის ნამუსს ასე ვინახავთ,
თუ უსახსრობა ოცნებას აღგვის.....

მოსვლით და წასვლით ნატკენი გული,
ჩასაფრებული ბოროტი მზერა.....
ტალახით თქმული,ყველასგან კრული -
გაუგონარი ეს ბედისწერა.....

აფეთქებული ბროწეულები
და სილამაზის განმეორება.....
ნასახლარებად ქცეული ჭერი
და ოცნებების დასამარება.....

გეძებე ცვარში..... გეძებე ქარში.....
გიპოვე, მაგრამ დაგკარგე მაინც.....
გაყიდულ სინდისს დავუხვდი გზაში,
სიცოცხლის ფასი გამიხდი ის ვინც .....

აღმოგაჩინე სადღაც სივრცეში
და დაგემგზავრე ყვავილთა ქარში.....
მთის ფერდობებზე გიკრიფე ია
და კესანები გაბნიე თმაში.....

მოვალ ყვავილად - ლამაზ ყვავილად,
რომ განვმეორდე - მარად და მარად.....
ჯვარდაწერილი უსამართლობა -
აღარასოდეს არ რეკდეს ზარად.....

ჩამოიქეცი! ჩამოწყდი ზეცავ
და ბოროტების წაშალე კვალი,
რომ ამ უნიჭო ჭეშმარიტებას -
არ ვეპირფეროთ,არ ვუკრათ ტაში.....

უმანკოების დაღვრილი სისხლი.....
ზეცად ასული გლოვის არია.....
დამძიმებული ობოლი სული
და ვერ ნაზიდი საზიდარია.....

ზეცას მივადგათ ოცნების კიბე.....
ზღვაზე ავაგოთ იმედის ხიდი.....
ვიყოთ კურთხეულ დედამიწაზე -
სიყვარულის და სიკეთის მზიდი.....

***

ნეტარ არიან - ვინც არიან სულით მდუღარნი,
ვინც შენთან ერთად - ჯვარზეც ევნო, ღმერთშიც აღსრულდა,
შენა ხარ ჩემში მოზელილი რწმენის დუღაბი
და ბედლოუზე აღმართული ლექსის შუქურა.

***

ეგების ყორნებმა დამგლიჯონ,
ჯანდაბას, ხორცი რას მარგია...
ჩამოწყდი და მერე ამტკიცონ,
ვინ ვისი ფერები არია...

ადამ და ევა'დან მოგვყვება,
ქომაგად არავინ გარგია,
ვერაფერს გიშველის თვით-გვემა,
გაყიდულ ღმერთში თუ გაგცვლიან...

დალეწილ ოცნებებს დავტირი,
ეგების გადავრჩე და მერე...
გულმა თუ გაუძლო ამ ტკივილს,
იმედსაც ტალახში ჩაკლავენ...

გაშლილი ხელებით მოვდივარ,
უფალო მიმიღე - შენი ვარ...
ღიმილი სახეზე მახმება
და მაინც სულ ჭირთა მთმენი ვარ...

საიდან მოხვედი უფალო,
ან მიწად როდემდე მატარებ,
შენამდე ვიყავი აყალო,
მოხვედი და ღმერთი გამხადე.

***

ახლა დასიცხულ ვენებზე მიწევს,
ჩემი და შენი გრძნობის ბიბლია...
ყველა სტრიქონში ლოცვებად გიწერ,
რომ უშენობა არ შემიძლია.

***

ეგების ყორნებმა დამგლიჯონ,
ჯანდაბას, ხორცი რას მარგია...
ჩამოწყდი და მერე ამტკიცონ,
ვინ ვისი ფერები არია...

ადამ და ევა'დან მოგვყვება,
ქომაგად არავინ გარგია,
ვერაფერს გიშველის თვით-გვემა,
გაყიდულ ღმერთში თუ გაგცვლიან...

დალეწილ ოცნებებს დავტირი,
ეგების გადავრჩე და მერე...
გულმა თუ გაუძლო ამ ტკივილს,
იმედსაც ტალახში ჩაკლავენ...

გაშლილი ხელებით მოვდივარ,
უფალო მიმიღე - შენი ვარ...
ღიმილი სახეზე მახმება
და მაინც სულ ჭირთა მთმენი ვარ...

საიდან მოხვედი უფალო,
ან მიწად როდემდე მატარებ,
შენამდე ვიყავი აყალო,
მოხვედი და ღმერთი გამხადე.

***

დაღამდა ისევ, აყმუვლდა მთვარე
და ჰორიზონტზე მხეცივით გაწვა,
ადამიანად მოსული ღმერთი,
მე და შენს შორის ლექსივით ჩადგა.

***

ჰო, ამაღამაც გადავიხსნათ კალმით ვენები
და შემომფიცე - შენც ეშმაკთან ნუ გარიგდები...
მელანმა ისევ დამისვარა წითლად ხელები,
 ახალ სტრიქონსაც დაგიწერ და გაგირიგდები...

რომ გავფრინდეთ და ერთად შევკრათ ცაში კამარა,
რომ არ დაგვარქვან სასიკვდილოდ განწირულები,
რომ შენი მხრები ჩემთვის ყველა ღმერთზე მაღლაა,
როგორც ეს ცა და ცას აყრილი ღრუბლის ქულები...

დუალისტური სპექტრი - როგორც ჩვენი ერთობა,
მიწიერის და ზეციურის პარადიგმები,
რა ცოტა გყოფნის - 10 მცნება უკვდავსაყოფად
და ნეტავ რომლის დარღვევისას გარდავიცვლებით.

თვალებს დავხუჭავ, წარმოვიდგენ როგორ მჩორკნიდნენ,
დავმსგავსებოდი მეც მიწიერს, თუნდაც მათხოვარს,
ჩემი თუ სხვისი ამ სუსტ მხრებზე ძალად ამკიდეს
და დავემსგავსე ჩემში მცხოვრებ - ღმერთს თუ მაცხოვარს...

მას შემდეგ ჯვარი ხერხემლიდან ვერვინ გარდმომხსნა,
შემიხორცდა თუ მიმაჭედეს - ვეღარ ვსაუბრობ...
წმინდა მიწაზე, როგორც შენი ცეცხლის გარდმოსვლა,
ეგ სტრიქონებიც, შენს ცეცხლივით, შენზე საუბრობს...

***

იქ არის ჩემი სულის სამოთხე, მარადიული ჭეშმარიტება,
იქ არც გვარი გაქვს და არც სახელი, არც უფალი ხარ და არც ქიმერა,
აქ მღერის მხოლოდ - ჩემი მელანი, გალაქტიკიდან რითმად იღვრება,
მოედინება ყველა სტრიქონში - მარადიული შენი დინება...



ოლეგ ივანაშვილი - მხატვარი
დაბადების ადგილი: საჩხერე-ჭორვილა

მოგეპარები.....

ეს შემოდგომაც
მიმალვით წავა,
მოვა ზამთარიც
ფიფქის ბრადვნებით,
მოგეპარები
ყვავილო წამად,
მაგ ტურფა მკერდზე
ვნებით დავდენები,
და აჩრდილებად
გულიდან თავად
ღრუბლებს გაჰყვება
სევდა დარდები,
მერე ვიქცევი
შენს ხელში ბაღად,
თოვლიანი
თეთრი ვარდებით.

ალბათ.....

ალბათ გსაკლისობ
მიტომ,
შენ რომ გაქვს ჩემი
ნეკნი,
და შენ ამის გწამს
ვითომ?
მჯერავს ძალიან
მე კი,

ქეც რომ გარწმუნო
რამით,
ვითომ რაიმეს
შევცვლი?
მაგრამ ვეცდები
მაინც,
გულს შემოფრენავ
მერცხლის,

***

რად მინდა თასით
დამიდგა ღვინო,
თუკი ბანგი გაქვს
შიგ გარეული,
ჩემდა შემცვლელად
შავ ეშმას იძმობ,
თქვენით ვიქნები
ხელ დარეული.

ფეხქვეშ გათელავ,
გულითად ნდობას,
შარებს მატარებს
გონ არეული,
შხამად შემასმევ
ჩვენს ფიცს და ძმობას
და მით ვიქნები
სულ დალეული.

აღარ

არა და არა აღარ ჰქნა მარტმა,
პირ მზიანობა გამოდარება,
როდემდე უნდა ირბინოს აღმა,
თოვულმა წვიმამ შფოთმა ქარებმა,

სხვისი არ ვიცი ჩემად კი ვიტყვი,
არ მომწონს მისი პატარძალობა,
და არც იმისი თვალ ჭრელი კვირტით,
მოუსვენარი ამორძალობა.

აღმოგაჩინე...

აღმოგაჩინე ვით ამერიკა,
როგორც კოლუმბმა
ესა ჰქმნა ერთ დროს,
ახლა კი მნათო
გითხარა ეს მინდა,
როგორც მზე დილას
ისე ვერც მე გთმობ,
მას მერე მექცა
ძილი სიმკრთალედ,
თავზე თენების
გვირგვინად მერგო,
შემომრჩი ჩემში
შლილად სივარდევ,
ლტოლვა სიტურფის
ვნებათა ნერგო,
ჰოდა ეგება
იას ღიმილო,
თვალთ ციკარების
სიზამთრე გეყოს,
თორემ ეს გული
მინდვრის ღიღილოვ,
ვეღარ გაუძლებს
მაგ ზვავთა ექოს,

მშობლების ხსოვნას

თბილია მაინც
გული სოფელის,
აქ მთების ექოც
არ მტოვებს მარტო,
ვარდიც კი მისი
ბუჩქად ყოველი,
მახსენებს დედას
ასე რომ ვნატრობ.

თუმცა მამასაც
აღარ მოველი,
ზეცას აფრენილს,
იმასაც ვდარდობ,
თითქოს მთვარესაც
შემძვრალს ყორეში,
ფერი წასვლია
და ვეღარ ბადრობს.

მომყვება გვერდით
ფიქრის ქსოვებში,
დაგორებულ ცრემლს
თვალებზე მაშრობს,
ამ ხეტიალში
ღმერთო მოვედი,
როგორც დაგპირდი
ზუსტად ე მაგ დროს.

ეგებ მანახო
ვდგევარ მთხოვნელი,
მანდ რომ გყავს
მაღლა
კალთის ქვეშ ცას რომ,
მანახე ერთი
ცრემლის კრთომები,
რომ ჩამოვწმინდო,
თვალთაგან მაგ ორს.

ჩავიკრა გულში
მათი თრთოლვები,
რაც ახლა ამ წუთს
მომსვლია ამ გონს,
მერე წავალ და
შენი მლოცველი,
გადვიკარგები,
ისევე მთა-გორს,.

როცა

როცა შენ გსურს განშორება,
მასში ეძებ იქით მიზეზს,
ეჭვს დაუწყებ აგორებას,
და ვეღარ სცნობს ღიმილს მის მზეს,
გავა დრო და ფიქრებშიდაც
ან თუ იყო დაივიწყებ,
მაგრამ გვიან მიხვდები და
მის თავს ვეღარ დაიფიცებ.

ფერი იცვალა...

ფერი იცვალა
შემოდგომის მზემ,
ხეებს ჩაუცვავთ
კაბა ჭრელები,
ჯერ განთიადი
კვლავაც ისევ თვლემს,
ლაჟვარდს იქარგავს
ცისკრის ფერებით.

მოგასმენინა
ნეტავ ახლა შენ,
ამ გულის ფეთქვა
ხმა და ბგერები,
როგორ ასკდება
შინაგან ჩემს მეს,
სულს მოტრფიალეს
თავის ძგერებით.

თუ ჩაუვლიდი
ნეტავი ამ დარდს,
მაგ თვალ ბაგენით
ეშხით მწველებით,
და არ გახსნიდი
ფიქრად ქცეულ კარს,
ვერ მიწამლებდი.

მოსვლა მშვენებით,
მიმატოვებდი
ნუთუ მართლაც და,
უკიდეგანო
მონატრებებით,
და წახვიდოდი
მეტყოდი არც რას,
შენი სივარდით
მონაფერები.

ანდა.....

ათასჯერ მიჯობს
ძირის თხრას სხვისას,
ვკაფო მიუვალ
ეკალ-ბარდები,
ან წამლად ვექცე
მეზობელ იმ კაცს,
გულს რომ სისევდით
დააქვს დარდები.

ანდა ვენახში
ვეშველო გლეხ ძმას,
შევაფურჩქვნინო
სარზე ვაზები,
ან თუ არადა
სიმწვანით ფერთა,
ეზოს ვამწკრივო
რიგში ნაძვები.

ანდა კი შენთვის
ღობის ძირს ერთად,
შტო ახრილები
დავრგა ვარდები,
შემდეგ კი მივალ
ლოცვებით ღმერთთან
და ლექსის მუზას
ტყვედ ჩავბარდები.

***

ღმერთი ათასად
გიბრუნებს უკან,
ვისთვის როგორიც
გინდა სიკეთე,
ცრემლს მოტანებულს
თვალებზე თუნდაც,
სალხინოდ გიქცევთ
გადაგიკეთებთ.

***

ქალის ტრფიალი
როდია მარტო,
კონა აჩუქო
დიდი ვარდების,
ზოგჯერ ვნებების
ფიალით გათრობს
ზოგჯერ სევდაა
გულში დარდების,

***

რა პატარაა
სიტყვა დედა და
რა დიდი არის
მისი ამაგი,
დაატრიალებს
სამყაროს ღერძსაც
რაც მასში არის
ძალის მარაგი.

საჩხერევ...

ცას მიხატვიხარ
საჩხერევ,
მგოსნების აკვან
ბულბულო,
შენთვის მთებს შევძრავ
ნამქერებს,
აბჯრად გექცევი
სულ-გულო.

გფიცავ მაგ კალთის
მიწვდენით,
თუ ერთი წამით
ვუმუხთლო,
აკაკის ცაზე მიწერილ
ცა, ფირუზ,ხმელთ,
ზურმუხტოს.

ანდა პაოლოს,
მუხრანის,
ლომებრ ნაომარ
სტრიქონებს,
ნაწრთობებს ერის
სუნთქვაში,
ნაბრძოლებს
როგორც
დიდგორლებს.

ჩამოვადნები
ამათ სულს,
როგორც სანთელი
წვის რიგებს,
ამ იმერეთის
სამკაულთ,
და პოეზიის
გვირგვინებს.

ფიქრები....

(მამას)

ვენახის სარს
გახსოვს მამა,
მუხის ჯირკზე,
რომ თლიდი,
მე კი გოდრით
მინდვრის გაღმა
ანათლელებს
შორს ვყრიდი.

რომ გაწვდილი
ნიტრით ღვინოს
ნება-ნება
თან ცლიდი,
თვალს მიკრავდი
ვტოლობთ ვითომ,
წლებს არაფრად
არ ვთვლიდით.

მომიჯენდი
გვერდში მერე,
ღიმილებით
ავსილი,
თან ვხუმრობდით
ჩავლილ დღეზე,
სიამებით
განცდილნი.

თბილად მხვევდი
მხრებზე ხელებს,
მამის გრძნობით
ანთილი,
გაწოლილი
იყო მზეზე,
ჩვენი ორი
აჩრდილი.

ჰე ფიქრებმა,
შორს სვლა იწყო,
სააქაოს ავცილდი,
დამიბრუნა
ნეტავ ის დრო,
ოცნებით ფრთებს
გავშლიდი.

დავჯდებიდით
როგორც იყო,
არაფერში
გაგცვლიდი,
და ღმერთისგან
ზე უბიწო,
დიდ საჩუქრად
ჩავთვლიდი.

მოდინახე

დგას მოდინახე,
მთის ზურგზე,
ფიქრობს იმ დღიდან აქამდე,
რომ არა ქალის
სიტურფე,
ვინ ამაგებდა
აქა მე.

ვინ ამაწვდენდა
ზე სხივებს,
ვინ იძიებდა
შურს მტერზე,
ან ვინ ჩამწერდა,
მე ციხედ,
დღეს ისტორიის
ფურცლებზე.

ვდგევარ დავყურებ
საჩხერეს,
გაშლილს ყვირილის
ნაპირებს,
ამ ბუდე აკვან
სამერცხლეს,
მგოსანთა გულის
აპრილებს.

მადლობა უფლით
იმ ძალას,
რისი ძალითაც
ამაგეს,
ზემო იმერეთს
იმ ჟამად,
თავზე გვირგვინად
დამადგეს.

ჯერ.....

ჯერ არ დავღლილვარ
თეთრ სიბერისგან,
ჯერ ისევ დამდის
ჟრუანტლად ტანში,
მამულის, ქალის,
და ვაზის ჯვრისა,
ჟინი მლოცველად
ღმერთამდე ცაში.

მათი ტრფიალი
სულ დამაქვს მუდამ,
სიცოცხლეს ვხედავ
სწორედაც მათში,
თუ ვუღალატო
როგორც იუდამ,
ტყვიის ვქცეულვარ
წერად მე მაშინ.

ვინც....

მის დიდების
სასმის ავწევ,
აბა როგორ
გავდგე განზე,
ვინც მშვიდობას
ზედ წააწერს,
ამ ნატყვიარ
ერის ცაზე.

რომ არ გაცვლის
მადლით სავსეს,
თავის დროშით
არსად სხვაზე,
და მის მიწის
ყოველ ნამცეცს,
იავანანით
ირწევს მკლავზე.

დამაკრეფია

დამაკრეფია
ნეტავ ცისა ქვეშ,
შემოპარული
ქულა ღრუბლები,
მერე მაგ მკერდის
ტურფა სიბაღე,
ვნებად ქცეული
სავსე გუნდებით,.

თვალთა სიეშხე
მზერა სინაზე,
და ზედ წარბები
გადაბმულები,
მაცდურად მდომი
ბაგეთ მღიმარეს,
მზედ დაფენილი
ეგ ალუბლები.

ვცდილობ

ვცდილობ უფალო
დარდიანს,
ვექცე მალამოდ
გზად დავალ,
ისეც საწუთრო
წამს მიაქვს,
ვბრძოლობ გავუხდე
ძმას წამლად.

კარს დავუტოვებ
მას ღიას,
ვინც ჩემებრ ფიქრობს
თავადაც,
დავუსხავ ღვინოს
ლალფრიანს,
თვითონვე იყოს
თამადაც.

თუკი რაიმე
მაქვს კია,
ტაბლას დავაყრი
ხვავადაც,
ძმობა სიცოცხლით
სავსიანს,
გულს მივაჩუქებ
ფარადაც.

უფლით....

ეს უფლით არის,
რაც გაგვაჩნია,
სიჭაბუკეც და
ეს ხნიერებაც,
ის სიტრფიალე
რაც დაგვაქვს იად,
ამ სიგარშემოს
მშვენიერებაც.

მისითვე არის
ვხედავთ ცას მიზანს,
სიცოცხლე დააქვს
ბედნიერებად,
რომ დავივიწყოთ
ეს რაც გვაქვს კია,
უნდა გვმტყუნობდეს
მეხსიერება.

ამიწევია....

ამიწევია
სადღეგრძელო მე,
ჯვარის მამულის
ქალის და ვაზის,
დამილოცნია
მათი ხატი, მზე,
ვინც მათთვის შვილებს
არწივად დაზრდის.

კიდევ ის გული
რომელიც და ვინც,
იმათ ღირსებას
ლაფში არ გასვრის,
მოხდეს რაც უნდა
თუნდ წამებაც კი
იუდასავით
ვერცხლში არ გაცვლის.

დაიარება....

ეგებ იქ რამე
ვერა ვთქვი ისე,
ვერ ვამკე სიტყვა
სადმე საქები,
ეგება მათთვის
ვერ მივწვდი მზის ფერს,
ვერც დავურიგე
სხივის ნათებით.

კაცი რომელიც
კი ფიქრობს ამას,
რომ არვინ დარჩეს
ირგვლივ ნაწყენი,
ის სუყოველთვის
მუდმივად თავად,
დაიარება
სულ გულ ნატკენი.

ინგა ორველაშვილი - დიასახლისი
დაბადებული - გურჯაანი - სოფელი ზემო კაჭრეთი

* * *

მე ახლად დღეებს ნელ-ნელა ვფურცლავ,
ვისველებ სიცხით გადაღლილ ტუჩებს,
ყველა ოცნება გაფრინდა, თუმცა
კვლავ ხეტიალით მივყვები ქუჩებს.

და შემოდგომის ფოთლები ცვივა,
ქუჩა გაივსო სიმრავლით ფერთა,
შენ რომ იცოდე დღეს როგორ მცივა,
შემიფარებდი ფრთების ქვეშ შენთან.

შენ რომ იცოდე სიცხიან ფილტვებს,
ერთ ამოსუნთქვად არ ყოფნი ჩემო,
უჰაერობა ფანჯარას მიმტვრევს,
რომ უშენობის გავსინჯო გემო.

სიცარიელე ოთხში დაძრწის,
შემომახვია ხელები, თუმცა,
შენ რომ იცოდე სახლშიც როგორ წვიმს,
როდესაც დღეებს ნელ-ნელა ვფურცლავ.

* * *

უდაბნოში ცხელი ქვიშა,
დარდმა ცრემლით დაასველა,
ბუტბუტებდა „მე რა მიშავს,“
ფიქრი მკლავზე დაასვენა.

გადაუსვა თავზე ხელი,
ისიც ცოტა გამხნევდა,
მოიტოვეს უკან გრძელი
დღეები და რამხელა,

გასავლელი კიდევ დარჩათ,
მთა, ანკარა წყარო და,
აქამდე რომ მოვაღწიეთ,
მხოლოდ ღმერთი მწყალობდა.

ცრემლს იზოგებს თითო-თითოდ,
მთაზე ხედავს მერწყულებს,
ფიქრს დახედა, გადავრჩითო,
გვეშველაო, მერწმუნე.

* * *

შუქნიშნით სავსე სველი ქუჩები,
ღონემიხდილი ქალაქი ღამის,
ხელებს მითბობენ შენი ტუჩები,
მარადისობა რომ ვიგრძნო წამით.

ნოემბრის ნისლში მივყვებით ფიქრებს,
რომლებიც ხეებს ძლივსა კიდია,
ერთმანეთს შევრჩით ორნი და იქნებ,
ეს დედამიწა ჩვენთვის დიდია.

და დეკემბერი ცივი და მტკიცე,
ერთმანეთს ვათბობთ და მაინც გვცივა,
თოვს, დედამიწა განიცდის ტკივილს,
მას სათითაო ფიფქები სტკივა.

ვიცი, მივაღწევთ მარტის ათამდე,
დროთა დინება გაგვცვეთავს აბა?
თუ სული შეგვრჩა საღი აქამდე,
ფეხშიშველ აპრილს ვუყიდოთ კაბა.

მაისს დავადგათ გვირგვინი ვარდის,
ჭრელი მარაო ვაჩუქოთ ივლისს,
ალბათ თავიდან თუ შემიყვარდი,
ის ჟრუანტელი ტანში რომ მივლის.

მახსენებს, როგორ მოვედით დღემდე,
გამოვიზამთრეთ ჩიტის ბუდეში,
თუ სასთუმალთან ხანდახან ვთვლემდი,
შენს მხრებზე მედო ჩემი ნუგეში.

და ძველებურად გავყვებით ქუჩებს,
რომლებიც ხეებს ძლივსა ჰკიდია,
ერთმანეთს შევრჩით ორნი და იქნებ,
ეს დედამიწა ჩვენთვის დიდია.

* * *

თუკი სიყვარული შეგიძლია,
სიკვდილს დაუჯექი მეინახედ,
ტრფობით შეგროვილი ყვავილები,
გულში სამუდამოდ შეინახე.

თუკი იარსებებ, როგორც გინდა,
რომ ყველა სიკეთის იყო მაცნე,
მაშინ ჩამოხსენი მთვარე ციდან,
ლურჯი ვარსკვლავები ჩამომარცვლე.

როცა სიყვარული შეგიძლია,
სახეს მზის სხივებით გაიშუქებ,
ყველა ტკივილსა და სადარდებელს,
ერთი მოფერებით გაიყუჩებ.

როცა სიყვარული შეგიძლია,
გრძნობა არასოდეს გახუნდება,
სიკვდილს თვალებში რომ გამოედო,
შეტრიალდება და გაბრუნდება.

და თუ ნიჭი მოგცა ზეციერმა პოვნის,
სასიკეთოდ გაუფრთხილდი,
როგორც კი იპოვნი იმ ერთადერთს,
სიცოცხლეზე მეტად გაუფრთხილდი.

როცა მთელს მინდორზე იებია,
სითბო ჩაეღვრებათ მოკვდავ სულებს,
მაშინ სიყვარული გშიებია,
რაც რომ ჰაერივით გასულდგმულებს.

თუკი სიყვარული შეგიძლია,
სიკვდილს დაუჯექი მეინახედ,
წლები სათითაოდ შეგროვილი,
გულში უკვდავებად შეინახე.

* * *

სიკვდილი ყოველთვის გმირობა როდია,
ბობოქარ დღეებსაც ეჩვევა სიმუნჯე,
როდესაც ფიქრები სიზმრებში მოდიან,
ლაჟვარდში ხმაურობს გრძნობების სილურჯე.

მე ყოველ განთიადს ბუნება მირჩევდა,
მითბობდა დაღარულ ოცნებებს მზე სხივით,
მაგრამ ნაცრისფერმა დღეებმა მიჩვევა
იციან, ვარდებიან ყოველდღე მეხივით.

იქ, სადაც სიცოცხლე სიკვდილზე მეტია,
გულზე დამეფინე ყვავილად, მივარდე,
შენი სურნელებით მოვყვები ხეტიალს,
სიკვდილის მერეც რომ ძლიერად მიყვარდე.

* * *

დილას ღიმილს თუ არ ვუწილადებ,
სულმა სიმარტოვე იცის მერე,
ოცნებებს ცრემლებზე უწინ დავდებ,
მერე სილურჯე და სიცისფერე.

უმალ მოედება სანაპიროს,
თეთრი თოლიები სამყოფელს,
ჩემი მიტოვება აღარ დააპირო,
თორემ ორ ნაწილად გამყოფენ.

თურმე ხელის ხელზე ჩაჭიდებამ,
დიდი სიყვარული იცის მერე,
ზეცა ნისლიანი არ მჭირდება,
მიყვარს მხოლოდ მისი სიცისფერე.

* * *

შენ არ ხარ, გულს ვუშლი ქარაფებს,
სველ ბალახს შევუშრე ნამი და
მე შენგან არ ვითხოვ არაფერს,
ჩვენი ერთდ ყოფნის წამიდან.

სისხამზე გრძნობების ქუხილით,
სიცელქეს ვუწონებ ამ ქარებს,
ხანდახან სევდა და წუხილი,
სიყვარულს სულ უფრო ამყარებს.

ყოველდღე თვალები ზარმაცი,
სამყაროს მეორე კუთხეში,
გეძებენ, შენს პოვნას არ მაცდის ქარი
და ზურგს მიხვრეტს უხეში.

გავრბივარ და დროის მანქანის
ძალა უფრო ახლოს მოდის და
მე მაინც ვერ ვიღებ მაგალითს,
ევას და ადამის მოდგმისგან.

შენი სიყვარული სულ მყოფნის,
მხოლოდ ხანდახან თუ ვწუწუნებ,
მე მაინც სამყაროს სრულყოფილს,
ვერასდროს ვერაფერს ვუწუნებ.

ცაზე მზე ამაყად ანთია,
წლები კი მიდიან წვალებით,
და მე ამ საოცარ განთიადს,
ვუყურებ სულ შენი თვალებით.

* * *

მიყვარს ჩემი იანვარი,
რომ შეღებავს თეთრად ამ მთებს,
ამინდები სულ სხვა გვარი,
გულში თითქოს კოცონს ანთებს.

როგორ მიყვარს ეს ღრუბლები,
კრძალვით თმას რომ გაიშლიან,
მზე მათ შორის ხეტიალობს,
თითქოს ისევ მაისია.

როგორ მიყვარს ფიფქთა ცვენა,
რომ ცვივიან აკვნებიდან,
როგორ მიყვარ ყველა, ყველა,
ხელისგულს რომ აკვდებიან.

მერე თეთრი ძაფით ქსოვენ,
ხეებისთვის ყელსახვევებს,
და ბინდამდე ათეთრებებ,
ვიწრო გზებს და შესახვევებს.

მიყვარს ზამთრის თეთრი ღამე,
ვარსკვლავები, ხალი ცაზე,
დედოფალი მიყვარს მთვარე,
მოგოგმანე ხალიჩაზე.

და რიჟრაჟზე მზის ამოსვლა,
რომ ჩააქრობს ღამის ლამპარს,
კიდევ ბევრჯერ მოგვიყვება,
ქარი ცივი ზამთრის ამბავს.

* * *

ეს გზა არ მთავრდება ჩემს ჯინაზე,
სევდის ნაბიჯებზე ნამი ტირის,
დილით თმას გაიშლის სინაზე და
ტირიფებთან ერთად დამიტირებს.

მერე ამაოა ყველა დარდი,
მერე ფუჭი არის სინანული,
მერე სულერთია ყველა ვარდი,
მერე უძლურია სიყვარული.

ვეღარ იყვავილებს გაზაფხული,
ნაქსოვი ცისფერი ენძელით,
ამდენი ცრემლებით დაღარული,
ამდენი ტკივილის შეძენით.

ვხედავ ალუბლების გაწითლებას,
მორცხვად გხა რომ მაინც მე დამითმეს,
გავცდი ყველას, უკან მოვიტოვე,
ყველა მლოცველი და მედავითნე.

ეს გზა არ მთავრდება ჩემს ჯინაზე,
შავ-თეთრ კლავიშებზე ნამი ტირის,
დილით თმას გაიშლის სინაზე და
ტირიფებთნ ერთდ დამიტირებს.

* * *

მზის სხივებს ვკრეფდი და ფანჯრებთან ვუწყობდი,
იმათ, ვისაც ბნელით ვაშინებდი,
ღიმილს, თანაგრძნობას, თანაბრად ვუყოფდი,
მაგრამ მშიერს უფრო მეტად ვაშიებდი.

შევძელი მწყურვალთან წყალი რომ გამეყო,
ქუჩაში დარჩენილს გავუყავ სახლიდან,
მაინც სიკეთისთვის რაღაცა არ მეყო,
მაინც ყოველი დღე იწყება თვიდან.

ყოველ მზის ამოსვლას ხელებით ვეხები,
კიდეც ვილოცე და კიდეც ვიმარხულე,
ვცადე და ვიარე შიშველი ფეხებით,
ყველა ავადმყოფი ერთად ვინახულე.

ბევრჯერ ხვალინდელი ვიდარდე ნაკლებად,
კაცსა და ღმერთს შორის რომ არის გამყოფი,
ალბათ ღმერთის რწმენა ხანდახან მაკლდება,
რადგან სიკეთისთვის რაღაცა არ მყოფნის.

* * *

მე გავუძელი ტკივილებსაც და დღის გარინდვა,
გულზე მეხება სიოსავით, მიყუჩებს ტკივილს,
და როცა შენი მონატრება გადის კარიდან,
სული სხეულში განწირული ხმამაღლა კივის.

ნელ-ნელა დაცლის ღამე შენი სურნელით სივრცეს,
და ყოველივე უკთხავად გაყვება სიზმარს,
მე კი სანაცვლოდ ბედისწერას რა უნდა მივცე,
თუკი წახვედი სიზმარივით, ვერაფერს ვიზამ.

* * *

რა უღმერთოდ ლამაზია მთვარის შუქზე თოვა,
წამწამებზე რომ გადნება ფანტელების გროვა,
სადედოფლო კაბებს მოქსოვს თოვლისაგან ღამე,
კიდევ უფრო განათდება ირგვლივ არემარე.

რა უღმერთოდ ლამაზია ფიფქი სათითაო,
გავიწყდება ოხვრა, დარდი, „ვაი ჩემო თავო,“
სიცივეში უნებურად ფიფქებივით დნები,
და ბავშვივით წამიერად უდარდელი ხდები.

იმ წუთიდან გადაგიხარ მარადიულ დროში,
აღარ გინდა ფუფუნება, აღარც ერთი გროში,
აღარ გინდა აღრც ოქრო, მითუმეტეს ვერცხლი,
და სამოთხეს გასაკვირალს ვერაფერში ვერ ცვლი.

აქ იგრძნობა სურნელება აკაციის, ნუშის,
ადგილი ვერ მოიძებნა ორპირის და მრუშის,
აგერ მლიქვნელს, ამპარტავანს გამოვკარი მხარი,
ქურდთნ ერთდ მატყუარას დაუხურეს კარი.

იქაც თოვდა, მსუბუქ სულებ ქარი სწევდა მაღლა,
მხოლოდ უფალს ეტყობოდა დარდისაგან დაღლა,
დარაჯობდა დედამიწას დღისითა და ღამით,
სწყინდა, მაგრამ ჩვენს გაჩენას არ ნანობდა წამით.

ცოდვილ სულებს თუ გავატანთ ამოვარდნილ ქარებს,
კიდევ გახსნის ზეციერი სამოთხის დიდ კარებს,
და თუ კაცმა სამუდამო სიმსუბუქე ჰპოვა,
სამოთხეშიც ლამაზია მთვარის შუქზე თოვა.

პაპუნა ქვარიანი - ისტორია-ფილოლოგია
დაბადების ადგილი ცაგერი ორხვი

საგულქვაო

ვერ შევიგრძნე ძილში
ვარსკვლავების ლხენა,
სიზმარშიაც ვსტირი,
ჩაიბუდა წყენამ.

ორომტრიალს ძაბავს
საგულქვაო რიტმი,
მზემ ღრუბლების დასჯა
მიამგუნა კირჩხიბს.

შევეკედლო საით,
დავღიაფობ სახტად,
აბობოქრდა ჩქამი
სახვალიო ტალღად.

შეაცბუნა ურვა
საფრთიანე ქნარმა,
ავყიების ზურნამ
იცამტვერა არმად!

* * *

ბელტებს აქუცმაცებს
კაცი დაზაფრული...
სხეულს დარაკრაკებს
ოფლის ნაკადული.

კრუხი ქოთქოთს ბარდნის
ციცქნა წიწილებთან...
წვიმს და მთვარის ლანდი
წყალში იძირება.

ისე გაიცეცქვა
სივრცის შარავანდი,
ძლივსღა შეიმჩნევა
ტაძრის გალავანი.

ო,ეს ტლუ ქაჯები
ღრუბლებს დალალობენ...
უფალს ვეაჯები
სულ მნათ საგალობელს.

რაც

არ დავამწუთხებ
შემცბარ იმედებს,
თუკი საწუთრო
არ გამიმეტებს.

ვერ მოვიჩრდილე
სუნთქვა მძივებად,
კიდობნის ძგიდეს
უნდა მივება.

ვიღაცა მხარში
ამოგვდგომია,
ვიღაცა ფარში
ისრად გვსობია.

რაც გვიწვალია,
რაც გვიომია,
სულის მანტიად
ხვეწავს ფორიაქს!

უხერხულობა

ო, ამ ჩაკეტილ სივრცეს,
როგორ ვიფერებ იცი?-
გული ზარივით მიცემს,
უხშირა თვალმა ციმციმს.

ო, ეს რარიგად დაძრწის,
თავისუფლების მახრა.
უხერხულობა მაწვიმს,
მცეცქვავს სიახვის ნახვა.

შინაგანობა მხუთავს,
დღე შეაცბუნა დელგმამ.
ეჰ, ბოლო-ბოლო უნდა
გავითავისო ელვა.

* * *

როცა ჩვენთა ნაკლთა გამო
ბჭობა გვეთაკილება,
როგორ უნდა გავამყაროთ
ერთურთ შეკავშირება...

როგორ ვიხსნათ ყვავილები
ქარბორბალას სუსხისგან?...
დგება ჟამი გაწბილების,
ბოღმა ბორგავს გულიდან.

სიჯიუტის ფრთის შეკვეცა,
წუთით შვებას გვანიჭებს...
ცრემლნათხევი შევთხოვ ზენას--
შეკრას ვნების კარიბჭე!

ჯიხვი ქარაფზე

გამოგაფხიზლა ხეთა შრიალმა,
შეგრძნებადია დუმილი დილის;
მთაში მეწყერმა დაიგრიალა,
აჰა, განგაშის სირენაც წივის.

უნდა გახვიდე იმ შარაგზაზე,
სადაც ეკლები გასისხლიანებს,
გაყურსულია ჯიხვი ქარაფზე,
მტლად დასდებია შფოთი იარებს.

და ჰა, ზამბახთა შემოგარენი
საიდუმლოთა ინახავს ნუსხას;
დაჯავშნულია გასახარელი,
გულს ჯადოსნური ჭინჭარი სუსხავს.

ფერთაცვლა

გვერდს უვლის წამიერ განცხრომას
ზნეობის საუფლო,
ყარიბმა ვნებების დაცხრომას
კანდელი აუნთო.

მომღიმარ ნაძვნარში შეიჭრა
კოცონის სილურჯე....
სასოთა ნათლობის ერთ ინჯრად
ბრიყვიც კი იყუჩებს.

ეამა ვენახის ცრემლები
აქოჩრილ ყოჩივარდს...
გაცრეცილ ფერთაცვლას ვეცლები
აღრენილ სოფლიდან!

ემწუთხა

დამშეულ ზმანებით ბახალა
პირს აღებს ჩქარ - ჩქარა,
წიკწიკებს საავდრო მაშხალა,
ნატბორი დამზრალა.

ყვავილებს მიაწყდა ფუტკარი,
ემწუთხა ჭრიჭინას...
გრძნეულმა ღატაკი მუშტარი
ქეჩოდან იფრინა.

არწივმა გულნაკლულ დახედა
შესუდრულ ჭიუხებს,
ფაფარი აეწნა სახედარს,
საცაა იქუხებს!...

შეაშრა

სიმწრისგან ქვა - ქვაზე დანაყეს
მორჩილმა ბერებმა...
მოკვდავი შეადნა საწადელს
ღაჟღაჟა ფერებად.

ო, როგორ უმწეოდ ჩაღამდა,
იალა სანთელმა...
ჯაშუში გისოსებს ჩაბარდა
წარსულის საკვნესად.

შეაშრა ცრემლები გაზაფხულს
მომავლის თანხვედრად...
უბირი ბიძგებით გამჭვარტლულ
ღრუბლამდე აღზევდა.

კურცხალი

ფიქრები, ამდენი ფიქრები,
ნაგვემი სიზმრებით,
თუ თანხვედრ თამამად ვიქნები
ვნებით აღვივსები...

ო, მაგრამ შემბოჭა ზმანებამ,
ვბანაობ წუმპეში...
რამეთუ ჭირს იმის გაგება,
ვით ვპოვოთ ნუგეში.

ა, უნდა მოვსინჯო, გრიგალი
თუ როგორ მაკვნესებს...
ცინცხალი საწყვილო კურცხალი
შეერწყა საწვეთელს!...

ძნელია

აი, რა საოცრად მღერიან
ფრთოსანთა გუნდები...
ვიღაცას, სადღაც კვლავ ელიან
სურვილით უძღებით.

კვლავ, ისევ სასაში რჩებიან
სიტყვები უთქმელი,
ძნელია, იპოვო ძნელია
მეტყველი გულწრფელი.

რამეთუ შენამდე ვაფრინე
საზღაპრე ჭახრაკი,
თუ სულის ღადარი აღვივე -
ხვაშიადს დათანხმდი!...

გვწყურია

გულ - ღვიძლი აეწვა ღვარცოფებს
უფსკრულის ძგიდესთან;
უსასო კივილი აშფოთებთ
ზენაარ ნიმფებსაც.

ჩარეცხა, ჩალეკა სტიქიამ
ტერასა თავთავთა...
ნიღბებს კვლავ აშკარად იცვლიან,
როს შფოთი ჩათავდა.

თამამად ჩაებნენ ფერხულში
კასტები მლიქვნელთა,
გამძაფრდა ზურგსუკან ერთურთის
ქილიკი თავკერძად.

გამარჯვდა მრუდ - მრუდე თითები,
გონება გალიგვდა...
მითები, გვწყურია მითები,
რომ ვიშვათ თავიდან!

სადა ხარ

იელვა, იმედის სხივია,
თუ ბინდის ლამპარი?...
რასა ვიქმ, თუ მაინც ჩივიან
ვნებანი ჩამქრალნი!

მოარულს თან დამდევს ნაღველი,
გნატრულობ დღედაღამ...
რადგანაც არაა მნახველი -
ვით გპოვო ხელახლა.

უდაბნოს ტრამალი ტორტმანებს,
არ უჩანს ცას კიდე,
ტალღები უაზროდ მატარებს,
აფრები გავკიდე.

ვცახცახებ, უფსკრულში ვკიდივარ
ჩაძირულ კიდობანს...
სად დარჩი, სადა ხარ, მივდივარ -
გავურბი ფლიდობას!

ხორხოცი

ზოგჯერ ის, რაიც რომ მადლია
გვბოჭავს და გვაწამებს,
ხანდახან ბრდღვიალა მანტია
ჩაკაწრავს ბნელ წამებს.

დასჭექა ნაპირმა იხვების
ავყია ხორხოცი,
ამ ბუღში, კაცი ვით მიხვდები
ვინ როგორ მოცოხნის.

იმგვარად აგორდა სტიქია -
ისხლიტა ისრებად...
ჭალაში კვიცები იცდიან -
მარულა იწყება.

მრავალი უკვალოდ ეცემა -
ფინიშის ბოლომდე,
სახელიც კი აღარ შერჩებათ
ბევრ ჭკუის კოლოფებს!

ლევან ფრუიძე - სამართალმცოდნე
თადარიგის ვიცე-პოლკოვნიკი
დაბადების ადგილი - თბილისი

* * *

როცა დაცემულს ზურგს არ შეაქცევ,
ყველა სიკეთეს გული ინახავს,
ღირსებით უნდა იცხოვრო თორემ,
ცოცხალი მკვდარიც ბევრი მინახავს.

ბევრმა იშოვა ფული და ოქრო,
მხრები გაშალა როგორც აფრები,
ღარიბი თუ ხარ არ უნდა შეგრცხვეს,
სირცხვილია თუ გაიაფდები.

ყველა განსაცდელს გაუძლე თუნდაც,
ზურგი გაქციოს ქვეყნიერებამ,
დაიმახსოვრე დიდ ტკივილს მალე,
მოჰყვება დიდი ბედნიერება.

არ დაიზარო წარმოთქვი ლოცვა,
ლოცვით გონება არ იბინდება,
რისიც გწამს, გულით იწამე თორემ,
ტაძარში რწმენა არ იყიდება.

* * *

ზურგი ვაქციე ყველაფერს წმინდას,
დროსტარებაში ვიყავ გართული,
ადამიანის სახეს ვკარგავდი,
ეშმაკისგან ხშირად მართული.

ამიყოლიეს მაცდური სიტყვით,
ქეიფში ვტეხდი ღამეს დილამდე,
ბევრი შევცოდე, ერთ დროს ხელები,
მეც დავიბანე როგორც პილატემ.

იქნებ, ნამთვრალევს სახლში მეძინა,
როცა ირჩია ხალხმა ბარაბა,
ალბათ ხმაურმა ძილი დამიფრთხო,
და მივიკეტე უმალ დარაბა.

როცა ცოდვილი წარვსდგები შენთან,
ყველაფრისათვის მზად ვარ, განმსაჯე,
უკანასკნელი ავაზაკივით,
როგორც მეკუთვნის ისე დამსაჯე.

* * *

მენატრება ქვიშიანი ზღვის ნაპირი,
და ტალღებზე მოთამაშე სუსტი ქარი,
მშვენიერი შეხამება ერთმანეთთან,
ლურჯი ზღვა და თოლიების თეთრი ჯარი.

მხარე არის ზღაპრული და საოცარი,
ისტორიის დიდ საუნჯეს რომ ინახავს,
ჩათვალე რომ აფხაზეთში არ ყოფილხარ,
სტუმრად ჩასულს რიწის ტბა თუ არ გინახავს.

მე შორიდან ვეფერები ახალ ათონს,
ოცნებად მაქვს მის ტაძარში რომ ვილოცო,
მოვიარო აფხაზეთის მონასტრები,
ყველა ტაძრის კედლები რომ მოვილოცო.

აფხაზეთი მოხატული სამოთხეა,
ქართველების გარეშე რომ მენანება.
ბოღმითა და დარდით არის გული სავსე,
ენგურს გაღმა გადასვლა რომ მენატრება.

დრო მოვა და დავბრუნდებით აფხაზეთში,
მისი გზები კიდევ ერთხელ რომ გავლიო,
არ მოვკვდები ნატვრა თუ არ ავიხდინე,
მწყურვალმა რომ ფსოუს წყალი არ დავლიო.

მისი მიწა მინდა გულში ჩავიხუტო,
მიმავალი საგზლად ფიქრებს გავიყოლებ,
ვდგავარ გზაზე იქნებ ვინმემ მომაძახოს,
სოხუმისკენ მივდივარ და გაგიყოლებ.

* * *

სიმდიდრეს არ დავხარბდები,
არ დამებინდოს გონება,
ფიქრშიაც ნუ გამიელვებს,
ნამუსს ვარჩიო ქონება.

ზოგმა იმდენი იშოვა,
ფული მოუდით ქარავნად,
ცა ქუდად არ მიაჩნიათ,
დედამიწა კი ქალამნად.

იმას კი არა ფიქრობთ რა,
საფიცრად ვის ეყოლებით,
იმდენ ქონებას აგროვებთ,
ოცნებით ღმერთს ეტოლებით.

ნამუსი თუ-ღა შემოგრჩათ,
მადლი ჰქენით და გაიღეთ,
რად გინდათ ამდენი ფული,
საიქიოს ვერ წაიღებთ.

სიმდიდრით დაბრმავებულნი,
ოქროს ვერა თვლით წონაში,
საფლავის სიგრძე, სიგანე,
ყველა ერთია ზომაში.

* * *

მადლობა უფალო ყოველი დღისათვის,
იმედით მევსება გული და გონება,
ლოცვაში გავედრებ ოჯახის სიკეთეს,
არ მინდა ფული და არ მინდა ქონება.

მინდა რომ განზრახვა არ მქონდეს ბოროტი,
არავის ვეჩხუბო, არავინ ვატირო,
სუსტი არ დავჩაგრო, გლახაკს არ დავცინო,
არასდროს არავის გული არ ვატკინო.

მოვლენილ განსაცდელს მინდა რომ გაუძლო,
ცოდვილმა კვლავ ცოდვა არ მინდა ვიტვირთო,
გულით რომ ვილოცო, გონებით ვიფიქრო,
გულწრფელად ვიცინო, არასდროს ვიტირო.

შემინდე უფალო თუ რამე შევცოდე,
ცოდვილიც ვბედავ და სათხოვარს გიგზავნი,
როდესაც დაცემულს აღარ მაქვს იმედი,
ზეციდან საშველად ანგელოზს მიგზავნი.

როდესაც ზეცაში სამსჯავროს წარვსდგები,
ვეცდები უფალთან ჩუმად რომ შევიდე,
მუხლს მოდრეკილი ჩურჩულით გაუმხელ,
ცოდვილი მოვედი, უფალო შემინდე.

უმაღლესი მწვერვალებიც რომ დაიპყრო,
დაიხსომე და ეს წესად გაიხადე,
ცხოვრებაში რაც არ უნდა დიდი გახდე,
გახსოვდეს რომ სულ პატარა დაიბადე.

მეგობარი შენი გულის ნაწილია,
ცეცლის ალად აენთება ძველ ბუხართან,
შენს შესახებ ყველაფერი კარგად იცის,
მაგრამ მაინც წრფელი გულით რომ უყვარხარ.

ზოგიერთმა ვერ გაუძლო ცდუნებას და
ორგულობა თავზე ქუდად დაიხურეს,
მეგობარი კარებს მაშინ შემოგიღებს,
როცა სხვებმა შენი კარი გაიხურეს.

ცხოვრებაში ბევრჯერ მწარედ დამარცხდები,
ბევრჯერ ლაღად მიუჯდები გაშლილ სუფრას,
დაცემულიც არასოდეს არ დანებდე,
ეშმაკი ხომ ჩვენს გულებში ებრძვის უფალს.

არასოდეს გაგიხარდეს სხვისი ცუდი,
გული შურით გაჟღენთილი დიდხანს ვერ ძლებს,
შეეცადე იყო ოდნავ კეთილი და
სიბოროტის გაკეთებას ვეღარ შეძლებ.

* * *

ერთხელ თუ ფეხი გადაგიბრუნდა,
შენს კეთილ საქმეს ყველა ივიწყებს,
მარტო დარჩენის არ მეშინია,
რადგან უფალი არ დამივიწყებს.

რწმენა არასდროს არ დამიკარავს,
მომავალს ვხედავ ნათელ ფერებად,
ყველა განსაცდელს ვიცი გაუძლებ,
უფალი მიცავს, ვინ მომერევა.

ბედნიერება ის არის ჩემთვის,
როცა ცხოვრების ვარ მადლობელი,
რადგან უფალთან მე სათხოვარზე,
უფრო მეტი მაქვს სამადლობელი.

* * *

სირბილში არ შეეჯიბრო საპყარს,
ღარიბის წინ არ დათვალო ფული,
ზემოდან ნუ გადახედავ გლახაკს,
ეცადე რომ არ ატკინო გული.

მტირალის წინ ნუ იცინებ ურცხვად,
მწყურვალის წინ ნუ დააქცევ ღვინოს,
ვინ იმღერებს, რომც არ ჰქონდეს სმენა,
ნუ დაუშლი, მაინც იღიღინოს.

შენს ნადიმზე ნუ უამბობ მშიერს,
შენზე სუსტი არ დაჩაგრო ძალით,
მოხუცებულს ნუ შეხედავ ზიზღით,
გადახედე მათ მოწყალე თვალით.

ჭიქა წყალი გაუწოდე მწყურვალს,
ლუკმა პური მიაწოდე მშიერს,
ობოლს თვალზე შეუმშრალე ცრემლი,
მოუფრთხილდი როგორც შენს ნაშიერს.

დაეხმარე უპოვარს და ღატაკს,
შენს სიკეთეს ნუ დაადებ ვალად,
ეს ცხოვრება ბუმერანგი არის,
ხვალ არ იცი სად იქნები თავად.

* * *

სათქმელს ნაწილ-ნაწილ ვაგროვებდი,
დღემდე ვერ გავბედე, მოვითმინე,
ღმერთო მუხლმოყრილი გევედრები,
ჩემი სათხოვარი მოისმინე:

ყველა გაჭირვებულს შველა მიეც,
ყველა უგულოს კი გული,
საპყარს და დავარდნილს ფეხზე დგომა,
ყველა უპოვარს კი ფული.

ყველა უიმედოს რწმენა მიეც,
ყველა უშვილოს კი ჩვილი,
ყველა ბრმას თვალი აუხილე,
მშობელს არ მოუკლა შვილი.

ყველა უსახლკაროს სახლი ჰქონდეს,
ყველა ავადმყოფს კი ჯანმრთელობა,
მშიერს საარსებოდ ლუკმა ქონდეს,
ღმერთო დამილოცე ქართველობა.

ლხინმა შეგვიცვალოს განსაცდელი,
ყველას ბევრი მოგვცეს სიყვარული,
ღმერთმა არასოდეს არ მოგვაკლოს,
რწმენა, იმედი და სიხარული.

* * *

ვერ დავიცავი ათი მცნების ყველა ერთობა,
ჩემს შეცდომებზე ეშმაკიც ხომ ჩემით ერთობა.
რადგან უფალი ასე მძიმე ცოდვილს მენდობა,
იქნებ ვისწავლო მე ცოდვილმა სხვისი შენდობა.

* * *

საქართველოს სალოცავებს მოვილოცავ,
ფეხშიშველი შემოვივლი ყველა ტაძარს,
სიონში და სამებაში მუხლს მოვიყრი,
სინანულის მე გავიჩენ გულში ხანძარს.

მოვილოცავ იყალთოს და ბოდბის ტაძარს,
უნდა ვნახო ალავერდის მონასტერი,
ნეკრესიდან გადმოვხედავ გრემის ტაძარს,
რომ შევიგრძნო მადლი მისგან მონაბერი.

სვეტიცხოვლის დიდ ტაძარში სანთელს ვანთებ,
უფლის კვართთან დაჩოქილი ვამბობ ლოცვას,
სამთავროში ემოციას ვეღარ ვმალავ,
გაბრიელის ლუსკუმასთან ვდგევარ როცა.

რაჭის კუთხის სალოცავებს მოვილოცავ,
ვესტუმრები ცად აზიდულ ნიკორწმინდას,
დილით წირვას დავესწრები ბარაკონში,
შენდობას ვთხოვ მაცხოვარს და ყოვლადწმინდას.

მოვილოცავ გერგეტსა და ლომისის მთას,
მე ვიცოცხლებ მუდამ უფლის მადიდებლად,
მთის და ბარის სალოცავი გვეწეოდეს,
ჩვენი ქვეყნის - საქართველოს სადიდებლად.

* * *

ჩემთან ყოფნა ვისაც არ გსურთ,
რა უფლებით დაგიშალოთ,
გული სუფრა ხომ არ არის,
სუყველას რომ გაგიშალოთ.

სიმართლის თქმას თუ ვერ ბედავთ,
ტყუილს მაინც ნუ იგონებთ,
რასაც თვალით ვერ შეხედავთ,
მას ენით ნუ მოიგონებთ.

სიმართლეს რომ პირში გეტყვით
და ჩემს სათქმელს გაგიმხელთ,
მაშინ აღარ გამაჩუმოთ,
როცა თვალებს აგიხელთ.

ბევრმა ზურგი შემაქციეთ,
მარტოდ მარტო დავრჩი ერთი,
მაინც არვის განვიკითხავ,
ცოდვილი ვარ, არ ვარ ღმერთი.

ცოცხალ კაცს თუ გაუჭირდა,
უნდა იქცე მისთვის ქველად,
დაეხმარე, თორემ მკვდართან
თაიგული მიაქვს ყველას.

მირზა ვარძუკაშვილი - მშენებელი ინჟინერი
დაბადების ადგილი - ყაზბეგი

ახლა საათი ორია ღამის...

ახლა საათი ორია ღამის,
ირგვლივ წყვდიადი მდუმარედ წვება.
ფიქრი შეშლილი სულ ერთი წამით,
მიმოდის ბორგავს უკვალოდ ქრება.

გული რეკს ზარებს დიადი მშვიდი,
და მგრძნობიარედ მის რიტმებს ჰყვება.
მთვარე ცის თაღზე კრძალვით და რიდით,
მთათ სენაკებთან სულმნათი ჩნდება.

ღამეა მარტის ჯერთ ისევ დიდი,
დასვენებული ვაჟკაც კლდის მკერდთან.
იკვრება ზეცის ვარსკვლავთა ღილით,
მთვარის სამოძღვრო მანტია ყელთან.

ახლა ბუნებას დრო უდგას ჟამის,
ფიქრი ცვილივით მწუხრისგან დნება.
სულში კი ამდროს მარადიული,
ჰკვეს სიყვარული და უკვდავება.

აიშალნენ საქართველოს არწივები...

დაუბერა არენაზე ბრძოლის ქარმა,
აიშალნენ საქართველოს არწივები.
მათი გენის ნაწილია გამარჯვება,
დამარცხებას არ ჰგუობენ "ფრთა ცივები"

მწვანე მოლი თვალ წინ უდევთ საბრძოლველად,
წყდება მათი მომავალი ქვეყნის ბედი.
არ ზოგავენ ქვეყნის გულის მოსალხენად,
თავს ლომები ლაღი ცის ქვეშ გაზრდილები.

არ აცდენენ მასპინძლები მომხვდურთ ისარს,
მომავლისთვის გაიტანონ უნდა ლელო.
სიხარულის ეს ყიჟინაც ზეცას სწვდება,
"გიხაროდენ" გაიმარჯვე საქართველო.

დაუბერა ბრძოლის ქარმა არენაზე,
გადაავლეს არწივებმა თვალი მდელოს.
"ფრთა ცივები"ქართულ ზეცას არა თმობენ,
ეს მათთვია უკვდავების სამლოცველო.

ცას შავცქერთ...

ცას შავცქერთ მიწას არ ვსწყალობთ,
გულ მკერდზე ვდგებით ფეხებით.
ცას უფრო ჰფარვენ შე კაცო,
ამპარტავანების ნისლები.

ნანერწყვი მიწა გერჩივნოს,
თავმდაბლად ფეხძირნაგები.
ღმერთმა მის გულში თუ ღირს გყო?
მკვდარი თესლიდან აღსდგები.

ლექსი და პოეტი. შენ მლოცველი ხარ....

შენ მლოცველი ხარ უკვდავებისთვის,
მე კი მცოდველი მწერალი მუდამ.
ლექსო გზას იკვლევ სულ ცხონებისთვის,
სააღმსარებლოდ მე მმოძღვრავს მუზა.

შენ საქორწინე გმოსავს სამოსი,
მე პატრუკივით უზეთოდ ვბჟუტავ.
ლექსო უფალთან შენ გაქვს სამყოფი,
მეც ცის კელაპტრად ამანთო უნდა.

ტალღები გონის...

ტალღები გონის მღელვარებს შფოთავს,
ეხეთქებიან ქალის ნაპირებს.
ფქვავს ფიქრთა ლოდებს მუზის მოქცევა,
ეს ლექსიც მალე გაიაპრილებს.

ქრის ულმობელად გრძნობების ქარი,
ოცნების ნიავს მოსდევს სიმკვირცხლე.
სულიერების მდუმარე ნაპირს,
შემორჩენია ცოდვის სიწითლე.

სისხლის მდინარე მიედინება,
კალოპოტს იჭრის სისხლძარღვით ტანში.
გული სიყვარულს აფრქვევს რითმებად,
და პოეზია სულით დგას ცაში.

ჩამთვლიმა ახლა...

ჩამთვლემს ფიქრები იქეტკენ მაცქერს,
საითაც ტყვიის მესროდნენ ნაკადს.
ვბრუნდები ზურგით აღარ მსურს ნაცემს,
ნახვა თუ მსროლელს ვინ აწვდის მასრას.

გადაღლილილობამ წამართვა თვალი,
დენთის სურნელი საყნოსელს სწვდება.
თავს მადგას თითქოს მსროლელი წამით,
და მომაკვდავთან ნისლვით ქრება.

ჩამთვლიმა ახლა ჩამესმის ხმები,
ხარხარის ვინაც ტყვიას მარისხა.
ნუ ხარობთ არა მე ჯერ არ ვკბდები,
უნდა დამათროს ვარდით მაისმა.

მზის სიყვარულით...

სძოვს ღრუბელთ ფარა ნისლების მინდორს,
წინ უდგას მწყემსად სარქალად ქარი.
მწვერვალი მზეზე ქუდ ნაბადს იშრობს,
ილევა მიდის მძიმე ზამთარი.

მთა ქუჩთ ულვაშით ბალღივით ბიჭობს,
კლდე შავი ჩოხით დგას გულ მაგარი.
დრო მგრძნობიარე გაზაფხულს იხმობს,
დილა თენდება როგორც ზღაპარი.

მზის სიყვარულით მიდამო მორცხვობს,
გულით ნათდება ბრძენი ცისკარი.
ქარი ღრუბელთა ფარაში მწყემსობს,
და გაზაფხული ხარობს მზისდარი.

მზე თვით ჯვარცმული ღმერთია...

აიმ მთის უკან მთა არის,
მთებს იქეთ ისევ მთებია.
თვალცრემლიანი ნისლები,
ლაზარეს მტირალ დებია.

მწვერვალებს მიღმა ცა არის,
კლდე შუბ ნაგმირი ფერდია.
მიწა სისხლისგან ნასყიდი,
მზე თვით ჯვარცმული ღმერთია.

* * *

ცისკარი კართან მოდგება,
მზეობს მზე მიწა ხმიანობს.
ღმერთი ჩვენს შორის ღონდება,
რომ ვერრით ვადამიანობთ.

* * *

მომხიბლველია მზე ზეცა,
ღამით მთვარე და ვარსკვლავნი.
ამ მიწის შეუცნობელად,
იქ ვერვინ ნახა საყდარნი.

* * *

მე გაზაფხულებს ვხატავ ლექსებად,
მარტს კიდევ სძინავს ჩვენთან ზამთარში.
გაიზაფხულებს სულ მალე ალბათ,
მზე აენთება გრძნობის ღადარში.

* * *

ვისაც მეფობის ახრჩობს წყურვილი,
იგია ძალაუფლების მონა.
მონა სჯობია უფლის მორჩილი,
ადამიანად თუ კი გსურს ყოფნა.

* * *

მთვარევ მწუხრს ვმარცვლავთ მე და შენ,
ფიქრი ჟამნს მიეძალება.
ვარსკვლავი მოსწყდა ზეცაზე,
ცისკრისკენ მიექანება.

გულში გადმოგრგე....

აგაყვავილე ქალბატონო ყაყაჩოდ გულში,
ვენით მოდენილ სისხლით გირწყავ ნიადაგს ფესვებს.
უკვდავ გრძნობაზე ჩაგჩურჩულებ ფიქრებით ყურში,
და სიყვარულის ერთგულებით წითლდები მზეზე.

სულის სენაკში აიკვირტე ამომზისფერდი,
გრძნობით საცეცხლურ ნახშირივით ღუი და ელავ.
გადაიშალე პირისახით როგორც ცის ნერგი,
მაგ სურნელების მებაღესვით შესუნთქვა მცელავს.

გულში გადმოგრგე ქალბატონო მზისფერ ყაყაჩოდ,
შემოგაზღუდე ერთგულების გრძნობის მესერი.
თვითონ ვექცევი ემაგ ფესვებს მოკვდავ სამყაროდ,
რომ არ ყვაოდეს სიყვარული ქვეყნად შენფერი.

გილოცავთ ყველას პოეზიის დღეს.

ეს სამყარო ხომ ერთი დიდი პოეზიაა...

ეს სამყარო ხომ ერთი დიდი პოეზიაა,
და შემოქმედი ამ პოემის ციური ცეცხლი.
მოდის სტროფებად ღვთის წყალობით ზეშთაგონება,
ასე იქმნება ხელთუქმნელად უკვდავი ლექსი.

თვალ წინ დევს ხატად მზე მთვარე და ცა უსასრულო,
სამშობლოს სისხლის სიყვარული გულად სცემს მკერდში.
ვერაფერს შექმნი ქვეყანაზე უსიყვარულოდ,
გაუკვდავება პოეზიით ღირს მხოლოდ ღმერთში.

მიყვარხართ მე ვიცი...

კარზეა აპრილი მზეც მოდის ცხრა თვალა,
არ თბება გულცივობს რატომღაც სამყარო.
გულები გაცივდნენ მკერდის ქვეშ ფართქალა,
მხოლოდ მზე უგრძნობელ გულს რითღა დაათრობს?

გახსენით გახსენით მასპინძლად აპრილის,
გულები გახსენით მკერდში სადარბაზოდ.
ეს მარტი ენძელით ტანზე ჭორფლ დაყრილი,
იებით თავს ირთავს აპრილის სამაყროდ.

რატომღაც ისევე გულგრილობს ამინდი,
სიცივეს ბუნება არაფრით არა თმობს.
მარტია მომკიდე ხელის შარიანი,
ცისკრამდე ჯერთ კიდევ წყვდიადი თამადობს.

იღვიძებს ნელ ნელა ადრიან ცისკარი,
იბერტყენ მწვერვალნი მხრებს ზამთრით დანათოვს.
ლაღდება სიცოცხლე დედოფალ აპრილის,
წყარო ფერდობებში კისკისით ნავარდობს.

იასამნისფერი აპრილი კარზეა,
ნაპირებს აწყდება გულს სისხლის მდინარე.
მიყვარხართ მე ვიცი უთუოდ დათბება,
შემოვა აღდგომით სულში ღვთის სინათლე.

მარტოობა....

მარტოობა ნეტარებით შემიყვარდა,
სიყვარულით განთქმული და მეტად მშვიდი.
მიღალატოს?არასოდეს არ მოხდება,
ერთგულებას ის ხომ არაფერზე ყიდის.

ბევრნი ვართ...

დრო ჟამის დნება როგორც სანთელი,
ალს იქით ვლანდავთ ხატის აჩრდილებს.
ბევრნი ვართ ქვეყნად პირჯვრის დამწერი,
ჯვარცმას კი არვინ არ ითავისებს.

ისევ გაშლიან კოკრებს ვარდები,
ყაყაჩოც წითლად შეიღებება.
ცოტა დარჩება მღაღადებელი,
მწვალებლად მეტი გარდაიქმნება.

დრო ჟამის ელავს როგორც პატრუკი,
ცოცხალნი ცეცხლის შუქ ჩრდილებს ჰგვანან.
მცირედს შერჩება გულს სიყვარული,
ბევრი ჯვარმცმელთა რიგებში დგანან.

ლიცლიცებს უკვე თიხის კანდელი,
მუხლს ვიყრით მაგრამ სიყვარულს ვფარავთ.
მეტად ჰყვირიან სისხლის მთხეველნი,
თითქმის არვინ ვართ მტვირთველი ჯვართან.

* * *

ახლოს ზეცასთან იქ ჰორიზონტზე,
ბეთლემის მოძღვარ მწვერვალს არ სძინავს.
ამ დროს ცოდვაში მთვლემ წუთის სოფელს,
ქალწული მარტის ალერსი ნისლავს.

სულიკო ჯამალაშვილი - პოეტი
დაბადებული - საგარეჯოში

* * *

გორგასლის ციხეს გვერდით ჩავუვლი
უკან მომყვება ავი ვნებანი,
წვანან ჭაბუკნი ხმალ ჩაბღუჯულნი
ვერ დაიოკეს გულის ძგერანი.
მოგონებანი ზოგჯერ ტკბილ-მწარე
გზა არ არსებობს რომ აგარიდო,
თქვენითა ხარობს ეს არე-მარე
სამარადჟამოდ სამარადისოდ.
რით შეგადაროთ ახლა დღევანდელს,
ბრძოლით და სისხლით უძღები შვილნი,
მზეს მთვრე სცვლიდა, მთვარე ისევ მზეს,
ციხე კი იდგა ისევ ურყევი.
აღარ დაგვიდგა ნანატრი დარი,
ვწუხ ყველგან მარცხი როგორ ვიწვნიეთ,
თუკი გამოჩნდნენ თქვენი სადარნი
აღარ წამოგშლით ტკბილად იძინეთ.
გორგასლის ციხეს გვერდით ჩავუვლი,
უკან მომყვება ავი ვნებანი,
წვანან ჭაბუკნი ხმალ ჩაბღუჯულნი
ვერ დაიოკეს გულის ძგერანი !

* * *

უსასრულობავ თუ ვერ დაგძალავ
არ გამამწესო ცარიელ თაროდ,
ანდა მთად ვიქცე ანდა ტრამალად
ან ამოვხეთქო აქა-იქ წყაროდ.
ზოგჯერ მითია სიცოცხლის კრძალვა,
ჟრუანტელსა მგვრის ზოგჯერ არასრულს,
უსაზღვრო სივრცის ზღვრისაგან მალვას
ანდა გოლგოთას ლექსად განაღმულს.
თანასწორია ვით სატრფოს ხილვა
აგვისტოს ხვატში სიოს ალერსი,
მთვარის ემბაზში ჩასმული ვილა
და ხეტიალი უცხო მხარეში.
თუ გსურს ღრუბლებში ვოკალის ხილვა
ცისარტყელათა ხშირი სწორება,
ისე უდრეკი ვით მუზის ჯილა,
ვით ქარაფს მიღმა უსაზღროება.
მოდი და ნახე თქვენი მსახური
და მომთაბარე თეთრი ნისლები,
მოდი და ნახე აღარც ნაჟური
წყარო დაშრა და სისხლად ვიცლებ.

* * *

იყო რითმების ვალსი
მერიდიანთა კვეთა,
ვერ მოვუფრთხილდი შარას
რომ მივსულიყავ ღმერთთან.

ბილკს მივუყვები მთათა
ღამით ქარსა და თქეშში,
ისევ მეცვალა მხარე
ნისლები დიან ტყეში.

კრთის მეწამული ველი
ხოხბის კრიახი რთვილი,
ღამემ ირგუნა მთვარე
მე კიდევ მისი ჩრდილი.

ხან კურო მერქვა გლახაკს
ხანაც სასწორი, ვერძი,
ვარსკვლავებივით ბრწყინავს
ყელს შებნეული ჯვრები.

მიყვარს ყომარი ლექსი
მუზა შეშლილი მხარე,
ქუხდა მუზების ვალსი
და ქუხდა არემარე.

ჩემი წარსული ღელავს
ქარი ქრის ახლა ქვემო,
მთებზე ნატარი ელვა
უსინათლობას ზეობს.

გზებს ცისარტყელა რკალავს
რკალავს დღითა თუ ღამით,
ვერ გაახუნებს ამ ლექსს
ვერც ეს დრო, ვერც ის ჟამი.

იყო რითმების ვალსი
მერიდიანთა კვეთა,
ვერ მოვუფრთხილდი შარას,
რომ მივსულიყავ ღმერთთან!

* * *

ჩატეხილია ხიდი,-
მიკლავს ინტერესს ცხოველს,
წინ გზასაყარი მიდევს,
ნეტავ ავირჩევ რომელს.

ჯანღი განდევნას იწყებს,
ცას შევუმტვრიე კარი,
მხმობდა უსაზღვრო სივრცე
და სამრეკლოსი ზარი.

მე თუ ვარსებობ შენით
ლექსად შეკრულო ბწკარო,
ტრამლად ქცეულო ველო
და უკვდავების წყაროვ!

არ მომანატრო სიო
ასახეჩი ვარ ლერწი,
ცრემლი მაქციე წყაროდ
დადექ მერე და შემსვი!

* * *

ლექსსა ვწერ არ მყოფნის რითმები
ლექსსა ვწერ და ქარი თამადობს,
იქროლოს გაუშვი მინებდი
აწყვეტილ რაშივით სამყაროვ.
ბინდდება და მუზავ გეძახი
და ვიცი დაგეძებ ამაოდ,
ისეთი შორია შენამდის
ვერც ეს მზე ვერც ცეცხლი ვერ მათბობს.
ვჭიხვინებ ისეთი საამოდ
გზადაგზა ვაგროვე რითმები,
გავგიჟდი შევშალე სამყაროც
გავგიჟდი და ცეცხლში ვიწვები.
ვჭიხვინებ გასახედან რაშივით
ვჭიხვინებ და არ ვთმობ არიალს,
კლდიდან კლდეს დავხტოდი არჩვივით
და ბანსაც ვაძლევდი დარიალს.
შეკვეთებს მივიღებ მითხარი
რაში ვარ სივრცეთა ჭამია,
დავწერო, მოვასწრო ვისწრაფი
სიცოცხლე ხომ ერთი წამია.
დაცხრება ეს რითმა მომენდე
დაცხრება ეს რაშიც ტიალი,
დაგბურძგნის ეს ლექსი ოდესმე
ვით ზეცას ვარსკვლავთა ციალი.
ლექსსა ვწერ, არ მყოფნის რითმები,
ლექსსა ვწერ და ქარი თამადობს,
გაუშვი იქროლოს მინებდი
აწყვეტილ რაშივით სამყარომ!

* * *

და მაინც გეტყვი მჭირს უძილობა,
მაგრამ არასდროს მეკარვის რული,
მაშინ მამხილე შევხვდებით როცა
მე, შენ, მაისი და გაზაფხული.
რაა მზის სხივი თუ ვერ ალაგმა
სალი კლდეების ნისლი მცურავი,
ანდა აპრილი ან გაზაფხული
თუკი დარჩება შეუმოსავი.
ზეცის თავანი და კაბადონი
საგალობელი ირგვლივ ყოველთა,
შენი გაშლილი თმების დონორი
წამოუქროლებს სიო როდესაც.
სხვა რა შემომრჩა სუნი მცემს დენთის
ქარი გაჭრილი მხოლოდ ველადა,
საჯიხვეთი და საარწივეთი
გადახვეწილი როგორც ელადა.

* * *

კამათელივით ერთ წრეზე ვბრუნავთ
რქებიც ვიმტვრიეთ ლაბავ სახარე,
შენ ჩემს გოლგოთას გააპიარებ
და იმ წყლულებსაც, რაც მოგაბარე.
მეტაფორაა ეს კაეშანი
ვისთვის გოლგოთა ვისთვის სახადი ,
გაივლის დრო და გაივლის ხანი
ასე იქნება აწ და მარადის!
მე, გუშინ ლეგა ღრუბლებთან ვიწექ
და ზეცაც გვქონდა გუშინ საერთო,
ხან მზრუნველობას ქარი გამიწევს,
ხან ის ნამგალა წუხელ რომ ენთო.
ერთი ბედი გვაქვს აქაც და იქაც
ერთი ღმერთი გვწამს წამსვლელს და მომსვლელს,
ერთი მზე გვაქ და ერთი მთვარე გვაქ
სამშობლოს გარდა ყველაფერს მოგცემ!

* * *

ნისლი მარტყია ჯარად
ვიცი ,ამაღამ მოთოვს,
ფეხს ნუღარ დააბიჯებ
ძირს დაცემულსა ფოთოლს.
მზრუნველს დავეძებ მოვთქვავ
ვერ განმიქარვა აწმყომ
მე ,ამ ნისლსა და ფოთოლს
ერთი წყურვილი გვახრჩობს.
ვუმზერ ფიფქების ცვენას
ჟრიამულსა და ხორხოცს,
რიდით მოეპყარ ადამ
ძირს დაცემულსა ფოთოლს.

გადანახული ელვა
იქ მთების იქით როა,
დრო ჰყავს სახედნი დოღში
და უცილობლად მოვა.
დაცემულს ვგავარ ფოთოლს
ვაშიებ კალამს როცა,
ხან ეს ნისლია მუზა
და ხანაც ქარი მლოცავს.
ნისლი მარტყია ჯარად
და ვიცი ისევ მოთოვს,
ფეხს ნუღარ დააბიჯებ
ძირს დაცემულსა ფოთოლს.

* * *

უარვყავი ვილა და
გზა დავუთმე ლიანებს,
გოლგოთა მხვდა წილადა
წალკოტს დავაგვიანე .

მძულდა კი არ მიყვარდა
ჩემი ბედი თავნება,
მოვა როსმე სიკვდილი
და ჩემს ფერხთით დაწვება.

ბოლო ათვლის წერტილი
წლებსაც ხავსი ედება,
მე ნისლებში ველოდი
ის ხევებში მეძებდა.

მარტმაც აპრილს უგანა
თებერვალთან ღრეობდა,
ლერწსა ვიღა ჩიოდა
მზეც კი აღარ მზეობდა.

სისხლი უნდა გამეღო
ბედი ჩემი წყდებოდა
მსვავდნენ, მსვავდნენ და მაინც
გული არ ნებდებოდა.

უარვყავი ვილა და
გზა დავუთმე ლიანებს,
გოლგოთა მხვდა წილადა
წალკოტს დავაგვიანე.

* * *

მოსჭირვებია კაბადონს
მთვარე ატარებს ყრილობას,
ზოგსა ზრდილობას უწუნებს
და ზოგსაც გვარიშვილობას.

მე ჩემი ვმართე ყრილობა
ვარ კალმოსანი ურიგო,
ხან ფანტაზიას ვაღმერთებ
და ხანაც თავად ვხულიგნობ.

ასე დავიწყე მგოსნობა
მთვარეც შევშალე მგონია,
ტკივილს ტკივილით განკურნავ
სევდა რა მოსაგონია.

ვაღმერთე ასომთავრული,
დილის ცვარ-ნამთა ჰოლია
და მერე ვარსკვლავთკრებულმა
კაბადონს გამიყოლია.

სისხლი მდის სისხლის გარეშე
მტერიც იყოლო ძნელია,
რითმით ნამშევი სტრიქონი
ყველასგან განირჩევიან.

* * *

დამღად ნატყვიარი ყელი
სტრიქონს ასომთავრულს ვახევ,
რაღა ბოდლერი და შელი
ვაჟას გავაცოცხლებ სახეს.

მინამ გადიქცევა მიწად
ჩემი გასახრწნელი მძორი,
მთებზე გავილაშქრებ რაცხა
ტრამალს დავამჩნიო ტორი.

სანამ მეგზურობას მიწევს
ჩემს წინ გასაფურჩქნი მოლი,
ზოგჯერ ციალია ნატვრა,
ზოგჯერ არსმენილი ჰოლი.

წლები გასახიზნი კენტად
ვხრამე საუკუნეთ შორის,
ღამეს ძველებურად ვტეხავ
მგზავრი უკუღმართი დროის.

დამღად ნატყვიარი ყელი
სტრიქონს ასომთავრულს ვახევ,
რაღა ბოდლერი და შელი
ვაჟას გავაცოცხლებ სახეს!

* * *

თალხი ღრუბლები დღეებს ავლია,
ქარი ღრიალებს და ზენიტს აღწევს,
სადღა შეხვდები მგოსანს კალმიანს,
მგოსანს მთვარესთან მოლაპარაკეს.
ალგეთის ბოკვრებს შრხვდები სადღა,
ანდაც რაინდებს თორ -აბჯრიანებს,

მე ვარ მყობადი მაჩნია დამღა,
ვერ განგარიდე გზებზე ლიანებს.
მითხარი მუზავ, დღეს ვიღას ვენდო
კარი დავტოვე ისევ ღია და
მცხეთავ ,გელათო და ალავერდო,
რა ღრმა ყოფილა ჩვენი იარა!

* * *

ქარაშოტს ჩავუდექ მე კვალში,
მომკალი და ისევ ბინდია,
იძალეს ქარებმა ნისლები
ნეტავი საითკენ მიდიან!

მზის ნაკლი არაა სამყოფი
სიცივეს ხატავენ მინები,
ჭყოპია, წვიმები, ღვარცოფი
მინებდი, მინებდი, მინებდი1

წლებია სიცოცხლის არშია
ყოველდღე მანჩხრევს და მაღვიძებს,
ფრთოსანი რითმების კვალდაკვალ
ვაშიე ქარაფებს სიმშვიდე!

მოვპარე სოპრანოს რითმები,
ვიღვიძებ და მაინც ბინდია,
ქარებმა ალაგმეს ნისლები
ნეტავი საითკენ მიდიან!

ამდენი ჭირ-ვარმის მომსწრები
დრო და დრო სისხლისგან მწურავენ,
ყოველდღე მკლავენ და ვცოცხლდები
მიღებენ კარებს და ხურავენ!

* * *

ლექსი მინდა დავწერო,
ლექსი შტორმზე მძვინვარე,
სანამ ქარი მიპოვის
ლაჟვარდებში მძინარეს.

ლექსი მინდა მეწყერი,
ზვავზე არანაკლები,
ლექსში სადაც ბინადრობს
ვულკანური ქანები.

შლ,ეგი, როგორც მდინარე
შევახეთქო ნაპირებს,
ლექსი თანაც ისეთი
მკითხველს რომ დააპურებს.

ფრთები ,ფრთები რა ფრთები
დასალეწი ქიმერის,
ასე მინდა ვლაღობდე
ჩემი ამერ იმერით.

ლექსი მინდა დავწერო,
ლექსი შტორმზე მძვინვარე,
სანამ ქარი მიპოვნის
ლაჟვარდებში მძინარეს!

* * *

ქარი სუნთქვას როცა წყვეტდა
აწრიალდა ჯადოქარი,
გადახედვას თაკილობდა
დადებული ჰქონდა ზავი.

ზავში იყო გაწერილი
ნოტი ნოტზე უნაზესი,
მოცარტად რომ დაღვრილიყო
მარტო კენტად ბნელ ღამეში.

არცა მთვარე ვარსკვლავედი
კაბადონიც გამქრალიყო,
ასე არის ხელოვანი
ერთი ნოტით ცა დაიპყრო.

ალექსანდრე ჩაჩუა - სტუდენტი
დაბადების ადგილი - სამტრედია

* ეპიტაფია *

აგონიიაში წერილები ეპიტაფიის-
შავ სავანეში გამიღებს ქვაბულს,
მე შევაბიჯებ დანამულ ცრემლით
და შევიმეცნებ სიმშვიდეს ნატრულს,
ეს ბობოქარი ზვირთები სულში
მუნ, განელდება უკანასკნელი
და წარმოჩნდება ლანდები წუთში
ვერ წარუშლელი მგრძნობიერ გულში,
და წამიერად ვით ღრუბელი ცაზე,
მოვავლებ თვალებს იმავე მიწას,
თან დავფიქრდები თუნდაც ერთ წამზე,
მე რომ ვამბობდი პირველად სიტყვას,
თითქოს გაჩნდება გრძნობა უთქმელი,
შვებას დამაფრქვევს უცხო სურნელი
და ეს მგზავრობა კაცის კუართი,
თვალწინ წარსდგება როგორც სურათი,
სად წავიქეცი ნაკლები შუქით,
არ მანაღვლებდა დაბნედა თვალის,
მეტად ვიწვოდი ნაფერფლი სულით,
როგორც იწვოდა ოცნებას ცამდის,
ასე თუ ისე მაინც ვდგებოდი,
არ მედებოდა სუდარის მტვერი,
ვერ მაშინებდა სიკვდილი ბნელი,
რადგან თვით ვიყავ სიკვდილის მტერი,
ღრმად ჩაფლული აზრების ზღვაში,
კვლავ თავს წამოყოფს უცვლელი ფიქრი,
რად დავიბადე უმწეო ბავშვი,
ან სად ვეძიოთ ცხოვრების არსი,
ადრე თუ გვიან ღამით თუ დღისით,
ნაცნობ ან უცნობ ნეტარ სივრცეში,
უმალვე იგებ რომ კედლების შიგნით,
არს ყველაფერი სულის სიღრმეში,
ზოგჯერ ეშმაკნი გითხრიან მიწას,
დღეს გიბნელებენ შავი ლაქებით,
მაგრად გახსოვდეს უთუო სიტყვა,
სერაფიმები თეთრ იალქნებით,
შავ სავანესაც დავტოვებ წამად,
ის გრადაცია სათნო ფერების,
დღეს მოასწავებს სანატრელს მარადს,
სიცოცხლის აკვანს სულისკვეთების,
წავა ქარავანი დაუნდობელი,
მუხლსაც მოიდრეკს დროის უღელი,
ეს ჩემი სიტყვა დაუცხრომელი,
ძეგლად დარჩება კლდეებრ ურყევი.

ქადარი

ოხ, დაღვრემილო დიდო ქადარო,
რად გარინდულხარ ჩუმი კლდესავით,
წუხელ არ იყო? ლომის მაგვარო
რომ გრიალებდი ნაცნობ მეხსავით?!
იცი? მაღელვებს მე ეს სიჩუმე,
ცქერა ნაღვლიან ტოტებთა ხმობის,
და გევედრები წამით მიყურე,
გამიღე კარი უსაზღვრო ნდობის.
ვნანობ და ვგლოვობ თვითეულ ფოთოლს,
ფოთოლს დაღალულს სასტიკი ბრძოლით,
საკუთარ შვილნი გინთებენ კოცონს,
შვილნი გართულნი ფესვებთა ხმობით.
ნუთუ დაგჯაბნა ქარის ზვირთებმა?
განა გულს გიპობს სვეტები ელვის,
არ მიგატოვეს სათნო წვიმებმა-
შენი წუხილი ვიცი და მესმის.

ოხ, დაღვრემილო დიდო ქადარო,
დიდად სიღრმეში გაგიდგამს ფესვი,
სხვა რა ვიფიქრო, ვის შეგადარო,
იქნებ კვლავ დარჩა ძველებურ ნერვი.
ახლაც შევყურებ გარინდულ ტოტებს,
სისხლით დანამულ უხუცეს მიწას,
სიო ჩამძახის გულმოკლულ ნოტებს,
მთვარე დუმილით მახვედრებს სიტყვას.
კვლავ ეფინება ტოტები ფსკერზე
და ეს საბოლოო შავი შეხება-
ვით ალესილი მახვილი გულზე-
როგორც სიკვდილი ისე მედება.
ვიცი ტკივილი დღეს არ გაქრება,
ვერ იგრიალებს დიდი ქადარი,
მაგრამ ტკივილშიც ურყევად ვიტყვი-
რომ საამაყო მხოლოდ აქარი.

* მელანქოლია *

კვლავ გავეხვიე გრძნობის წყვდიადში,
და ეს შემოდგომის მელანქოლია,
როგორც სნეულის წყნარი სეანსი,
მძიმე ნისლებთან ერთად მქონია,

ახლა განცდების კორიანტელი,
ფოთლებთან ერთად ცაში შრიალებს,
და მაფიქრდება შენი თვალები,
აწმყოში წარსულს თან რომ მინახლებს,

და თითქოს ჭკნება სული ეული,
ვით ეს ფოთლები მიმობნეული,
მსგავსად ყინულის მეც ხომ დავდნები,
მანამ კი მიწას რმწენით ვაწვები,

ეს დანაცრული წუთებიც მიდის,
ფიქრს მოდებია ხავსი უცვლელი,
მე ისევ ვიწვი უხმო გოდებით,
და მაინც ვდგავარ ქედმოუხრელი,

ვიცი იმ დღესაც იელვებს ზეცა,
ვარსკვალვთ ცრემლების მწუხარე დენა,
ხე-ტყეს შევარყევ როგორც გრიგალი,
და ბრბო შემხვდება ისევ მტირალი,

სიო მომაყრის მიწას უსულოს,
ცრემლი ედება ბევრსა უგულოს,
ბევრი იცინებს ბევრიც იტირებს,
მაინტერესებს იქ ვინ მიმიღებს.

* * *

სული ოდესღაც ზეცას გასწვდება,
ღრუბლებს გააპობს ვითა არწივი,
ნეშტი უსულო ბნელში დაჭკნება,
მაღლივ ერგება ალბათ პატივი,

გარდაიტარებს ათასგვარ ავდარს,
ზოგიც გაივლის დააყრის ნაგავს,
კვლავ ევლინება უებრო წვიმა,
მოსჩქეფს, გასწმინდავს აქაურ ტალახს,

აღარც დარჩება მისგან აჩრდილი,
შროშნებს მოუფენს ირგვლივ აპრილი,
ძვლები უძრავი ხრამში გაქრება,
მისი ნაფერფლი მიწას ბარდება,

სული მოიხსნის ცოდვის ბორკილებს,
სხვებსაც იხილავს სოფლის ლტოლვილებს,
მათთან შეიგრძნობს შვებას წამებში,
მანამდე ბევრჯერ ნანატრ მხარეში.

* * *

ოჰ, ასე ფერფლავს სინათლე წლების,
დაე მეც გავქრე გავშალო ფრთები,
როგორც უცხოა ივლისი თოვლში
მეც ვეღარ ვპოვე ადგილი ბრბოში.

ისევ გრძნობები ჩანარიგალი,
ზოგჯერ სიო და ზოგჯერ გრიგალი,
მუდამ უნაპირო ჩემი თებარვალი,
ისევ უსხივი ცივი ინტერვალი.

ვითა არ სჩანს საფლავში გვამი-
ისე არ ელავს თვალებში ნამი.
ვერ ირეკლება ვაება გლოვის,
თუ არ გაიპო გულ-ფსკერი ლოდის

ალბათ მეეტლეც მიაღწევს მიზანს-
როცა დავტოვებთ სეტყვას-წვიმას,
გავინავარდებთ ნარიან ბაღებს
როცა მიზანი მისწვდება მისანს!

* * *

თითქოს ავირიე, დავდივარ უგზოუკვლოდ,
კვლავ დავიკარგე ამ ბნელ ქუჩებში,
მივყვები ნამიან გზას უსასრულოდ,
აღარსად არის სითბო და ნუგეში.

ისევ სიჩუმე, ფიქრები მხოლოდ-
რჩება ერთგულად ვით მეგობრები,
ისევ შიშველი ცივი ხეები
და კარგად ნაცნობი შავი ფერები.

დავრჩი ღარიბად, წვიმიან უბნებში
ვერაფერს ვამბობ ვერაფერს ვყვები,
მარტოდ ხეტიალი ამ უკუნეთში
და არაფრის მთქმელი უაზრო ხმები.

ირგვლივ აღარსად ჩანს უმანკო სახე,
გულწრფელი გული ლაღი თვალები,
ამ უფსკრულში არს მხოლოდ მახე-
უსიყვარულოდ მდგარი სახლები

* * *

ზოგჯერ უცხოა ცხოვრება,
გუშინ გიყვარდა ზრუნავდი,
ხვალ აღარც გემახსოვრება-
ტკივილს რომ გულში ბურავდი.
გული უსაზღვროდ ფეთქავდა,
სათქმელი თვალშიც ელავდა,
დუმილიც მისას ამბობდა,
მასავათ ვინღა გატკბობდა?
მაგრამ მიჰფრინავს დროება,
ნელდება უაზრო გოდება,
წყდება უმწეო ძაფები,
თავს იჩენს ძველი ლანდები,
არა, ასეთის არა მწამს,
მე ვეტრფი ურყევ სიყვარულს,
არა ტყდებოდეს ძნელთა ჟამს,
არეს მოჰფენდნენ სიხარულს,

ვერას აკლებდეს სოფელი,
შური, ბოღმა და ჭორები,
ერთმანეთისვის კვდებოდნენ,
შაითანს ერთად ხვდებოდნენ,
დაე მიჯნურთა ლამპარი,
სხივით ავსებდეს უკუნეთს,
მათი უმანკო ზღაპარი,
ჭკუას სწავლიდეს უგნურებს,
აი ასეთსა შევხარი,
შევნატრი ზეცის სიყვარულს.
ალალი ლაღი თვალები,
სულში იწვევვდეს სიხარულს,
და თუ არ არის გრძნობები,
გულის წრფელისა სადარი,
სჯობს დავლიო ცხოვრება,
სიღარიბეში ნარნარით.

* როცა მიწაშიც შემოდის ზეცა *

რამდენ ხანს გაძლებ უდაბნოს გზაზე,
რამდეს გაჰყვები მახრჩობელ ქვიშას,
ზოგჯერ ყორნები გადიფრენს ცაზე,
გამცნობენ წამით დაცემის გრგვინვას.

და თუ გაშავდა ყოველი არე
და თუ დაგხატეს საფლავის ქვაზე,
თუ გაგაყოლეს მეწყერს უსიერს,
იქნებ მოხვიდე, დაფიქრდე არსზე.

სარკოფაგიდან შეგეძლოს ხედვა,
როცა მიწაშიც შემოდის ზეცა,
ვერას გაკლებდეს ქარ-ცეცხლი, სეტყვა,
თუნდ რომ ზარებმაც დაიწყოს რეკვა.

ნუ გაგაფითრებს ცელი და ავი,
უფრო გიკვირდეს თვალები ლაღის,
შენ მძევალი ხარ აშარი ქარის,
ფერფლი რომელიც აატანს ცამდის.

ნუ დაგატყვევებს სახე მზიანი,
თუ ზრახვები აქვს მწარ გესლიანი,
ლამაზ თვალებში სული ყორნისა,
სწრაფად გააბამს ძაფებს ნდობისა.

ჯვარცმა იგება იცოდე ერთმა,
შენ კი ვინ მოგცა დაცემის ნება,
როცა იწვოდა მიწაც და ზეცაც,
მაშინ იმ ერთმა გვიბოძა რწმენა.

* ვარდი *

ჩემი პოემის ამ პროლოგში
ბაღში ვნახე ერთი ვარდი,
ვიხილე და დამატყვევა,
ვნებით კოსმოს გავცდი,
ამიბნია გზადაკვალი,
სიტყვა მითხრა უებარი,
რა ყოფილა თურმე ქალი?
გრძნობა გაჩნდა უეცარი,
სულ დაჩრდილა ენძელები,
შენს თავს უფალს ვევედრები,
ეს მზის სხივიც ისე გშვენის,
ენძელებიც რაღას გეტყვის,
შეგხებია წვიმის წვეთი,
შეგირხია კაბა ქარმა,
არ მინახავს მსგვასი ტერფი,
იქნებ დამიცადოს წამმა,
ან ეს ტურფა დალალები,
ტუჩ-ნიკაპი, წამწამები,
ლერწამივით სათნო ტანი,
უნაოჭო თეთრი კანი,
იქნებ კიდევ რამე მითხრა,
იქნებ სადმე დავიკარგოთ,
განა სხვა რამე მინდა?
ერთმანეთი გავიაზროთ!

* * *

მე ხომ ვიცი რომ ვინ ვარ,
რას ვქარგავ, საით მივალ,
ვხედავ ზოგი მაყრის
ნიავს მისაცემ სიტყვებს.

მე ხომ ვიცი რომ ვინ ვარ,
დიდი ქვეყნისა შვილი
და რომ მისახლებს მიწა
მინდა დავტოვო ჩრდილი!

მე ხომ ვიცი რომ ვინა ვარ,
ერთი მოყვარე ღმერთის
და თუ ნება ღვთისა
კარი გამიღეთ ზეცის!

მე ხომ ვიცი რომ ვინ ვარ,
დიდად ერთგული მთვარის,
ციდან შობოლი ერთი-
დიდი პოეტი ღამის!

მე ხომ ვიცი რომ ვინ ვარ,
ვარ წუთიერი მგზავრი
და თუ დავხარე თავი
გზად გოლგოთაა მკაცრი.

მე ხომ ვიცი რომ ვინ ვარ,
ვარ წარუშლელი კვალი,
დაე როგორც თქვა ბრძენმა
მოდი ვასრულოთ ვალი,

* როდის დადგება *

როდის დადგება სათნო დღეები?
ეალერსება მყინვარს სხივები,
აცეკვდებიან მინდვრად ყვავილნი
ვით საამური ნაზი სიზმრები.

ჩვენ საბრალონი მიწით მოკვდავნი,
ზეცით დავიწყებთ საამურ გარჯას,
თეთრი მარცვალის ძლიერ ლტოლვაში-
კლდეებრ დავხვდებით წამიერ ტანჯვას.

* მითხარ რისთვის მოხვედი *

გადის დრო და ზმანება, ისევ შემოღამება,
შემონათოვ ფიქრებში სხივნის შემონათება,
მოელვარი სარკმელი უმიწობის სარტყელი,
საუცხოო წადილი მითხარ სხვისგან რას ელი,
როგორც ნერგი ჩარგული ხოტბით გამოქარგული,
მოხვალ ზეცის ამარა, კაბადონის კამარა,
ვისთვის იწვის ნუგეში, ვისთვის მადლი ანკარა,
ნეტავ იმას ოდესმე ვინც კი თავი დახარა,
მითხარ რისთვის მოხვედი? მითხარ რისთვის მიდახარ?
ნუთუ მართლა უსიცოცხლო უსახლკარო ნისლიხარ?
თუ ვერ ცვალე უდაბნო სისხლით გადანაცრული
და თუ ატრიბუტია ჯვარი გარშემორტყმული,
მითხარ რისთვის მოხვედი, მითხარ რისთვის მიდიხარ,
ახლა გონში ეშაფოტზე პასუხისთვის ჰკიდიხარ,
თუ არ უჩანს ნაპირი უმოწყალო თებერვალს,
არ ირეკლავს დღეები თუნდაც მარტის ინტერვალს,
გადანაცრულ ტრამალზე ვნებებს სული დაება,
აღარც არის სინათლე, აღარც ლოცვის ხარება,
თითო წამით ნასობი განუყრელი ვაება,
გახევებულ მკდარ სუნთქვით სულის გადაყვარება,
თვალუწვდომელ სივრცეში მხოლოდ თოვლი, დუმილი,
გადავერცხლილ ღამეში მოთარეშე ფიფქი ხარ,
არც ანათებს შანდალი, კვდება, ჭკნება კურუმი,
ახლა გონში ეშაფოტზე პასუხისთვის ჰკიდიხარ,
მითხარ რისთვის მოხვედი, მითხარ რისთვის მიდიხარ?
ნუთუ მართლა უსიცოცხლო უსახლკარო ნისლი ხარ?

ნაირა დანელია-შანდელი
დაბადების ადგილი-მარტვილი
დიასახლისი-ემიგრანტი

მე დავარქმევდი შენს სახელს ჩემს ფიქრს

მე დავარქმევდი შენს სახელს ჩემს ფიქრს,
სადაც ვიტყოდი ფარული ვნებას,
მე დავარქმევდი იმ ღამეს მშვიდის,
თუკი ეს ვნება უთქმელ ახდება.

ქარი მოვა და არევს ყველაფერს,
კორიანტელი დგება ფიქრისა,
ქარო რატომ ხარ ასე ულმობი,
რატომ ბობოქრობ იქნებ სხვისი ხარ.

საღამო ისევ მთვარესთან ფიქრში,
ღამის გუშაგიც ფიქრებს დაყვება,
იქნებ ეს ღამე ღამე ვნებისთვის,
საით მიქრიხარ წლებო რა ხდება?.

მე დავარქმევდი ფიქრებს შენს სახელს
გაცვეთილ ბილიკზე, მე რომ დამყვება
ძნელი ყოფილა ფიქრთან ჭიდილი
უფრო ძნელი კი გადავიწყება.

რატომ სტირი

რატომ სტირი, ლამაზ თვალებს,
არ უხდება ცრემლი,
მზის სხივი ალისფერად,
შენს სახისფერს შეცვლის.

გაზაფხულზე ვარდის კოკორს,
თმებს დაგაპწვნის ნაზად.
ნაზი სიო ჩაიქროლებს.
შენსფეხ ფიანდაზად.

არ იტირო თვალხატულა.
განუგეშებს მტრედი
სიყვარულით გაგიქარვებს,
მონატრებას დედის.

რომ იცოდე, ლამაზ თვალებს,
არ უხდება ცრემლი.
ალბად მალე შეგვახვედრებს,
ეს ტიალი ბედი.

მხატვარი

მიდი მხატვარო, მიდი დახატე,
გთხოვ დაიკავო ფუნჯი ხელებში,
ისე დახატე ჩემი სამშობლო,
რომ იყოს ირგვლივ ნაირფერებში.

ისე დახატე მთელი სამყარო,
შავი ღრუბელი რომ არა ჩანდეს,
იქნებ ისეთი ქალი დახატო,
ქართული სულის სიწმინდეს გავდეს.

მიდი მხატვარო, მიდი დახატე,
არ დაიშურო ფერები წმინდა,
მიდი ისეთი ზეცა დახატე,
როგორიც გახსოვს ,როგორიც გვინდა.

მიდი მხატავარო, მიდი დახატე,
ისე დახატე ფუნჯით გამები
რომ ამ ტილოზე არ იყოს სევდა
მუდამ ისმოდეს ტკბილი ჰანგები..

რომ უკვდავება დარჩეს ტილოზე
ვით შემოდგომის უხვი ფერებით,
და ამ ნახატით, ვქმნიდეთ სიმღერებს
სიყვარულისთვის, ნოტთა ბგერებით

ქარი და მუხა

შლეგი ქარი მრისხანედ დაჰქრის,
ტოტებს ლეწავს და უგულოდ ყრიდა,
მუხის კვნესა ქარს მიქონდა ექოდ!
ხე იდგა და ცრემლის წვიმას ღვრიდა.

ქარი არ თმობს და მრისხანებით დაქრის!
და ხის ტოტებს ერთმანეთზე ახლის,
ქარო შესდეგ ნუხარ ასე მკაცრი,
შეიბრალე შემოტევით დაღლილს.

ქარიშხალს კი გაგონებაც არ სურს,
შლეგა შლეგა მიმოყრიდა ფოთლებს!
ქარო შესდეგ! დაემსგავსე ნიავს,
ნუღარ ლეწავ მისუსტებულ ტოტებს.

ვერაგი კი არ ინდობდა მუხას,
წია- წია მიმოფანტა ირგვლივ,
მუხა მაინც შეუპოვრად იდგა
ქარიშხალმა ვერ ურყია ძირი.

საქართველო ნატანჯი და დაღლილი
წინ უდგება შემოტეულ გრიგალს
საქართველოს ვერ მოუდრეკთ მუხლებს
ძველებურად ფესვი მყარად გვიდგას.

მომნატრებიხართ რაღაც საოცრად

თუ დავფიქრდებით, რად ღირს სიცოცხლე,
ან რისთვის ვიწყებთ ფუძე ავიგოთ,
მხოლოდ ამისთვის რაც ძალას გვმატებს
სიცოცხლეც მიღირს, თქვენ რომ გაგიყოთ.

სანამდის გიყვარს, სიყვარულია,
და ირგვლივ სითბო ,სიხარულია,
ეს ხომ უფლისგან, საჩუქარია
ჩემი სიმდიდრე თქვენი გულია...

საქართველო შეუნახეთ შვილებს

სხვის მიწაზე ფეხის ადგმას ვცდილობთ,
არ წავიქცეთ ვეჭიდებით ბედსაც,
უცხო მზე კი სულსაც აღარ გვითბობს,
არვინ ფიქრობს, როგორ გვტკივა დღესაც.

ვდგავართ ისევ, ქარიშხალის ზღრუბლზე,
სული გვიმძიმს მონატრებით ტანჯულთ.
ჩვენ კი ისევ წამოვდგებით ფეხზე,
აქ სიკვდილი სხვის მიწაზე არ გვსურს.

დავბრუნდებით საქართველოვ ისევ,
ჩვენი ძალა მთელ ქვეყანას იცავს,
ნუ გაყიდით საქართველოს სხვაზე,
შეგვინახეთ ჩვენი წილი მიწა.

საქართველო მარგალიტებს იკვნეხს,
თქვენ კი ისევ შეგიცვლიათ ფერი,
მზის სხივიც კი სხვანაირად ათბობს,
მოგვიმრავლდა საქართველოს მტერი.

საქართველოს შუა გული კვნესის,
ეკარგება მას გაზრდილი შვილი,
სიყვარულით ვერ უნახავს სარჩოს,
არც ადგილი ვეღარ პოვა მისთვის.

საქართველო შეუნახეთ შვილებს,
წასულ დედებს დაუბრუნეთ ლოცვა,
საქართველოს ნუ გავყიდით სხვებზე,
საქართველოს სიდიადეც მოვა..

სჯობს იყო შენთვის

სჯობს იყო შენთვის თუნდაც შორეულს,
იყო შენს ფიქრში როგორც გრიგალი,
ზოგჯერ აგშალოს ზოგჯერ აგწეწოს,
მაგრამ ყოველთვის პირმომცინარი.

ვისღა ანაღვლებს შენი წუხილი,
ან კიდევ ოდეს გტკენია გული,
შენ შორეულ რომ წარსულს მისტირი,
ცხოვრებამ უკვე იცვალა პირი.

ალბად დაფიქრდი , არ ხარ პირველი,
არც უკანასკნელი წყობა კიბისა,
ქარს გაატანე შენი ტკივილი,
რადგან სიცოცხლე ამად არ ღირდა.

დაეძებ სადღაც გამქრალ სიმშვიდეს,
ხელს აფათურებ ბურუსს ღამეში,
ვეღარ გებულობ სად დაგეკარგა,
მაშინ ხომ არა როცა დაეცი..

ვის ესმის შენი გოდვა ტირილი,
ან კიდევ შენი, ხმა მშვიდობისა,
შენ ხომ ერთი ხარ სულცარიელი,
ფიქრობ ყოველი არაფრად ღირდა.

დღე ნათდება და, თურმე ბინდია,
გულში ისევე უხეშად წვიმდა,
ნუღარ დაეძებ წარსულს დაკარგულს,
ღრუბელმა შთანთქა, ცრემლად გაწვიმდა.

რატომ დაიგვიანე

სიყვარულს რომ ასხვისებდნენ!?
რატომ დაიგვიანე,
ბოროტებას როცა თესდნენ!?
რატომ დაიგვიანე,
მზის სხივს სითბოს რომ ართმევდნენ!?
რატომ დაიგვიანე,
ბარბაროსად რომ გვაქცევდნენ!?
რატომ დაიგვიანე,
ხემ, ნაყოფი ვერ მოისხა!?
რატომ დაიგვიანე,
როცა რწმენა გადასხვისდა!?
რატომ დაიგვიანე,
მიწა წყალი რომ გაგვიქრა !?
რატომ დაიგვიანე,
კაცი ქალად რომ გარდიქმნა?!
რატომ დაიგვიანე,
კლდეს ჯიხვები რომ არ იდგა.?!
რატომ დაიგვიანე,
ქვეყნად ბნელი რომ დგებოდა?!
რატომ დაიგვიანე,
ცოდვა მადლი რომ ქრებოდა?!
რატომ დაიგვიანე,
ცრემლით კალო ივსებოდა?!
რატომ დაიგვიანე,
დედა - შვილი ცილდებოდა?!
რატომ დაიგვიანე,
როცა რჯული იცვლებოდა?!
რატომ დაიგვიანე,
როცა სითბო ცივდებოდა?!
რატომ დაიგვიანე,
ცისარტყელა რომ კვდებოდა?!
რატომ დაიგვინე,
ყველაფერი რომ ქრებოდა?!
რატომ დაიგვიანე.

მხოლოდ ჩვენი ზეცა

როგორ მიყვარს თოვლიანი მთები,
შენთან ერთად გათელილი გზები,
როგორ მიყვარს, როგორ მიყვარს ქვეყნად,
მე და შენ და, მხოლოდ ჩვენი ზეცა.

მითხარ როგორ არ ვუშველო ამ გულს,
მითხარ როგორ გადავლიო სევდა,
მითხარ როგორ ჩავიფერფლო გულში,
თუკი მინდა იყო ისევ ჩემთან.

რა ვქნა, თუ კი ჩემს გულს ისევ ათოვს,
თუ კი ისევ თბილი კოცნა მახსოვს,
რა ვქნა, თუკი ჩამოგვეჭკნა ვარდი,
ამ გულს თუკი არ სცილდება დარდი.

მოდი ისევ გავაჩაღოთ ცეცხლი.
თუნდაც ისევ ჩამოთოვლოს თოვლმა.
მოდი ისევ ერთმანეთის ცქერით,
გავაჩაღოთ სიყვარულის კოცნა.

გაზაფხულზე გაიდარებს ისევ,
წვიმა ისევ ნაკადულად მოვა,
ვარდი ისევ გამოისხამს ყლორტებს
შენ კი ჩემთან ნუთუ აღარ მოხვალ.

აფრიალე ლალისფერი თმები,
შენს სახეზე ისევ ღიმილს ვხედავ,
რა ვქნა გული ისევ შენსკენ მიხმობს,
ისევ ვეტრფი შენს გიშრისფერ მტევანს.

ქალი ქალად ფასდებოდეს

სულ არ მინდა ქალი ვიყო,
მეცვეს ფარჩის კაბა,
უძლურობას ვეჩემო და
ჩამოვხურო ფარდა.

არც სიტყვა და არც პასუხი,
დავიგუბო გულში,
პროტესტიც ვერ გამოვხატო,
ვიყო დაზაფრული.

და არც კაცი მინდა ვიყო,
ქვეშ ქვეშ მძრომიალე,
ვაჟკაცობას ვჩემობდე და
გული მოფრიალე.

ვერ დაგიცვა გვერდით მდგომი,
ენით ბეჭებს ვგლიჯდე,
გარეთ სუპერმენი ვიყო,
სახლში ნაგავს ვგვიდე.

და არც ისეთი ახალგაზრდა,
წეს ზნეობა აყრილი,
დაფასება არ ვიცოდე,
სტუმარი თუ მასპინძლის.

გზაზე გვერდით აგიარო,
არ ვიფიქრო სხვაზე,
იქნებ როგორ ვაწყენინე,
ქალს მიმავალს გზაზე.

არც ასეთი საქართველო,
გაყიდული სხვაზე,
მტერი ყველგან ბობინობდეს,
თითს გვიქნევდეს მკვახედ.

არც ისეთი ქართველები,
ქვეშ ვძრებოდეთ მარჯვედ,
ვიღაც გიჟის დაძახილზე,
თმები გვედგეს ყალყზე.

მე ისეთი მინდა ვიყოთ,
ქვას ტეხავდეს სიტყვა,
ქალი ქალად ფასდებოდეს,
კაცი როგორც რკინა.

ვერ გვჯაბნიდეს გარეული,
შემოსული შიგად,
ადათ-წესი შევინახოთ,
თუ ქართველობა გვინდა.

* * *

კვლავ რაღაც ხდება, მაგრამ ვერ ვხვდები,
რა შეიცვალა უცხო ფერებად,
და მაგრამ მაინც, უფრო ვერ ვწვდები,
რა არის თვად გარდაცვალება..

დაბერებულხართ ქალბატონო

თქვენ, დაბრუნდებით ქალბატონო ალბად მოხუცი,
ისევ დაიწყებთ გაცვეთილი ბუდის შენებას,
სნეული ფეხით აუყვებით ნაცნობ ქუჩებს და,
ვაი თუ იქაც უცნაური გქონდეთ შეხვედრა..

თქვენ აშენებდით ქალბატონო წლობით სავანეს,
არ შეუშინდით ზამთრის სუსხს და დროის დინებას,
მუხლმოუდრეკლად ფეხზე იდექ მხნედ და მდუმარედ,
ჩუმად სტიროდით, ინახავდით წლობით ღირსებას.

დაბადებულხართ ქალბატონო მხოლოდ ბრძოლისთვის
და შეგიცვლია ჩითის კაბა, ჯაჭვის პერანგად,!
ყმაწვილ ქალობა შეგიფერავს რკინის მანდილით
და სიყმაწვილე, უკან მოგდევთ სულის მძევალად.

მუხლ ჩადრეკილო, ქალბატონო თვალთ ცრემლიანო,
ცქრიალა სახე, ჩამოგსტირით, გამობრდძნილ სარდალს,
წლების იარა დატყობია ნაომარ თვალებს,
ქალბატონო, ნუ დაღონდებით დადექით მყარად!.

ნუ დაეცემით, თქვენ ძლიერი, სულის ბატონო,
გსურს გაიხსენოთ, გაცრეცილი სიყრმის აპრილი,
გსურს ნაცნობ ქუჩებს, ეამბორო ვით ნორჩი სიო,
ჰო როგორ ახლოს და რა შორსა სულის მანძილი.

თქვენ, დაბრუნდებით ქალბატონო ალბად მოხუცი,
და თქვენს ნაოფლარს არ ექნება ძველი სურნელი,
თქვენ ვერ შეიცნობთ იმ ხეივანს გამქრალი კვალით
ერთ დროს ოდესღაც, სეირნობდა თვალრმტაცი ქალი.

ნუ ჩაიხედავთ ქალბატონო წლების სარკეში,
მიენდეთ გრძნობას ვით ლოთი, უღვინოთ მთვრალი.
შემოგპარვიათ მარტოობით თმებში ზამთარი,
დაბერებულხართ ქალბატონო, ლამაზი ქალი.

აზა ფიცხელაური - ფიზიკოსი
საცხოვრებელი ადგილი:
ყაზბეგის რ-ნი, სოფ. ახალციხე

ზოგჯერ

მე ჩემი ნებით ვერ ვჭრი და ვკერავ,
ცხოვრება ტრაპეზს მიმზადებს თვითონ,
სულს მიდგამს ქვეყნად იმედი უფლის,
ვარ კმაყოფილი ხანდახან ვითომ.

ზოგჯერ ოცნება მიმაფრენს მაღლა,
ზოგჯერ მიწაზე დახოხავს ფიქრი,
ზოგჯერ ფეხს ვითრევ ნაღველით სავსე,
ზოგჯერ ფეხმარდი ღრუბლებთან მივქრი.

ზოგჯერ სავსეა იმედით გული,
თავზე დამყურებს ცა წმინდა,ლურჯი,
ზოგჯერ იმედი სადღაც ქრება და
ჩემი ოცნება კვლავ ხდება მუნჯი.

ზოგჯერ გულწრფელი შევყურებ ზეცას,
ზოგჯერ სიბნელე მაშინებს მისი,
ეს ჩემი გული ხან იჩაგრება,
ხან ბრიყვულად აქვს იმედი სხვისი.

ქარებს უსწრებენ

ქარებს უსწრებენ ჩემი ფიქრები,
ისე ადიან ბილიკით ცაში,
იმ სიყვარულთან რაც გულით დამაქვს,
სიტყვები მხოლოდ წვეთია ზღვაში.

ხან ახლოს მოდის, ხან კი მშორდება,
იმედი შენი ფეხზე დადგომის,
ჩემო ქვეყანავ, გტკივა ტკივილი,
შენივე შვილის განზე გადგომის.

არც თავი უჩანს და აღარც ბოლო,
უგუნურებით მართულ ქაოსებს,
ერთობას რწმენაც ვეღარ ამრთელებს,
ყველაზე მეტად მე ეს მაოცებს.

ნდობა გაძვირდა და მაინც ვნატრობ,
ღმერთო , მოგვმადლე ეს სიხარული,
,,მოჰმადლე ქართველს ქართველთა ნდობა,
და აღადგინე ესე მამული“.

გაზაფხული

მთა მხრებგაშლილი ხვდება გაზაფხულს,
კვლავ მოგზაურობს ცაზე ღრუბელი,
მარტი ჩათავდა, აპრილი ლაღობს,
მინდვრის ყვავილთა გაჩნდა სურნელი.

აყვავდა ჩემი ეზოს ტყემალი,
ტკბილი გალობა ისმის შორიდან,
დაგვიანებით, როგორც ყოველთვის,
ხევს გაზაფხული მშვიდად მოვიდა.

გარემო გახდა ხალისიანი,
მკვეთრმა ფერებმა შეცვალა ბაცი,
გამოიცვალა ავი ამინდი,
არ შეიცვალა ბოროტი კაცი.

ბუხართან

მე ჩამოვჯექი ბუხართან ახლოს,
იწვოდა შეშა, ბოლავდა დარდი,
ღელვის, ტკივილის და სიხარულის,
დროს კი დღეების მიჰქონდა ბარგი.

ფიქრებით ცხრა მთა შემოვიარე,
ძნელსავალი გზის მგზავრი არ ვიცდი,
მიდის დღეები სულში ხმაურით,
ზოგჯერ კი სათქმელს უხმოდ განვიცდი.

ჩემ სავალ ბილიკს მივყვები ნელა,
დამაქვს უფალმა მარგუნა რაიც,
ფიქრს ღამე ნათევს ვერ გავურბივარ,
უთქმელი სიტყვა მძიმეა მაინც.

მთაში ვარ

მთაში ვარ მთით ვიკვებები,
ბარზე არ მრჩება თვალია,
მთამ მშობლიური ალერსით,
გამზარდა მთისა ქალია.

მასვა მთის წყარო, მასწავლა,
მთის სიყვარული ნამდვილი,
მკაცრია მისი ბუნება,
მასთან შეჩვევა ადვილი.

მთაში ვარ მთით ვიხიბლები,
ვეტრფი ამ ლამაზ ხევ-ხუვებს,
თრუსოს ხეობას, დარიალს,
მთიულეთსა და ხევსურეთს.

მიყვარს მთის ლამაზ ყვავილთა,
დამათრობელი სურნელი,
კლდიდან მომსკდარი ჩანჩქერი,
და კაცი მთაზე მზრუნველი.

მთის ზვიად მხარ-ბეჭს უხდება,
ზამთარში ზვავი, ნამქერი,
მთის კაცის სიმღერა მიყვარს,
ფანდურზე გულით ნამღერი.

მთას სამკაული ბევრი აქვს,
განა ერთი, ან ორია,
კაცი მთის დამწუნებელი,
ჭკვიანი არა მგონია.

კლდეთა უბეში

ხავს მოკიდებულ კლდეთა უბეში,
მზე ჩამავალი სხივებს ბარდნიდა,
მწვერვალთან ისევ ნისლი გამოჩნდა,
შემომიძვრება ვიცი ფანჯრიდან.

ფიქრებს მოსწყინდა ნისლებში ძვრომა,
ეხლა ჩანჩქერთან სურდა ნავარდი,
ნისლებთან ფიქრი უფერულდება,
მთის წყაროსთან კი ხდება ფრთამარდი.

გადაიქროლებს ნისლი მწვერვალებს,
გაიამინდებს მერე თანდათან,
მივალ ჩანჩქერთან გულს გადავუხსნი,
ფიქრებს ვაშიშვლებ მასთან ხანდახან.

ფიქრი ,,ასეა“

ფეხის ათრევით მიდის ეს ღამე,
სულს ნისლით ავსებს ბუს ყრუ გოდება,
ღრუბლის ჩრდილებში შეცურდა მთვარე,
მამშვიდებელი მთვარე მშორდება.

უფერულ ფიქრის არსად ჩანს ბოლო,
მოგონებებში ჩავსახლდი ისევ,
ღამეს ვერაფერს გამოაპარებ,
და მეც გულისთქმას მიმიხვდა მყისვე.

ფიქრი ,,ასეა“ და ხანაც ,,ისე“,
ცხოვრებას ახლავს ფერთა ცვალება,
აიკრიფება ბილიკიდან ნაფეხურები,
და დაერქმევა გარდაცვალება.

მთის მიჯნური

მთაში ზაფხული რა ხანმოკლეა,
ხეებს ფოთლები რა მალე სცვივა,
გრძელვადიანი გვსტუმრობს ზამთარი,
ყველაზე მეტად ,,მარტოსახლს“ სცივა.

ვერარა კურნავს იმ ტკივილს გულში,
მიტოვებული სახლი რომ ჰქვია,
კარზე დადებულ ბოქლომებს შორის,
რა სევდიანი ქარები ქრიან.

სხვა სათქმელი აქვს მთის მიჯნურს მთაში,
გულით უმღერის მთასა და ნიავს,
ზვავთა ბათქა-ბუთქს, ქარების გრიალს,
შეშინებული ქათმების კრიახს.

გულით უმღერის სამოთხედ ქცეულ,
თეთრ სამოსელში ჩაკარგულ ღამეს,
და ხოტბას ასხამს მწვერვალებს შორის,
სოფლის დარაჯად ჩამომჯდარ მთვარეს.

როცა მთის ღამე მთავრდება მშვიდად,
თავს შეგახსენებს ბერი მყინვარი,
დიდია მთებში ფიქრი, ოცნება,
გხიბლავს გარემო თოვლქვეშ მძინარი.

დროის დინება

დროის დინებამ დღევანდელ დღესაც,
ამოურჩია სახელი ,,გუშინ“,
რაც აწმყო იყო წარსულად იქცა,
და მოგონებად დარჩება გულში.

ეხლა კი ღამეს ვუმზერ სარკმლიდან,
და ნელ-თბილ წვიმას ერევა ფიქრი,
მიმოექცევა მწვერვალებს შორის,
ხან ბილიკიდან ბილიკზე მიქრის.

ფიქრს და ოცნებას წამები ცვლიან,
უცვლელი რჩება სულის ცხონება,
თავის ხმაურით ძალ - ღონეს გისუსტებს,
,,ნეტავ“ და ,,იქნებაზე“ ნაგები ცხოვრება.

გრძელდება დღეები ახალთან ჭიდილში,
ზოგჯერ თავს გახსენებს ამბავი ძველი,
ფეხი თუ დაგიცდა არავინ გპატიობს,
განსჯაა ადვილი, გაგება ძნელი.

ვერ გავიმეტე

აღმართ-დაღმართზე ფიქრებით მავალს,
ფეხდაფეხ მომდევს კვლავ სიმარტოვე,
სიმართლეს ვამბობ ფიქრთაგან ზოგი,
ვცადე და მაინც ვერ მივატოვე.

ჩემი ფიქრები სიკეთეს ხატავს,
სული მევსება მხოლოდ სიმართლით,
და როცა მთებში შემოიღამებს,
ფიქრი ნათდება მთვარის სინათლით.

დრო დროს არ კარგავს, როგორც ყოველთვის,
უკან არ რჩება ფიქრიც თავნება,
განსაცდელები ცხოვრების გზებზე,
უსასრულოა, არ დამთავრდება.

ვუმზერდი ცაზე ჭაღარა მთვარეს,
და ვაგროვებდი გულში იმედებს,
დასავიწყებლად ფიქრთაგან ზოგი,
ვცადე და მაინც ვერ გავიმეტე.

ავ და კარგ სიტყვას

ავ და კარგ სიტყვას ერთი კარი აქვს,
აღარ ბრუნდება კარს სცდება როცა,
სანამ წარმოთქვამ კარგა გარანდე,
ლაგამს არ ხმარობს, არ იცის მოცდა.

სიტყვებს მსმენელი ნებდება წამსვე,
სულს შეარხევენ ავით, ან კარგით,
მთქმელის ნებაა, მისი სურვილი,
შვებით აგავსებს, თუ სევდა - დარდით.

ნათქვამი ზოგჯერ ლოდზე მძიმეა,
მიზეზი ცრემლის, ანდა ხარების,
სულის ნათება, ძალა ლოცვისა,
ზოგჯერ მიზეზი ცოდვის ტარების.

სიტყვას მართალს და კაცთ მაამებელს,
ვერა რა ჯობნის ძვირფასი თვალი,
ღვთიური მადლით არის აღსავსე,
მართალი სიტყვა - იმედი ხვალის.

ჩემი აწ სცანით ყოველმან,
მას ვაქებ ვინაც მიქია,

ვარ ვინმე მესხი მელექსე...

სერგო ანთაძე, ასპინძა, სოფელი ხიზაბავრა,
პოლიციის პოლკოვნიკი,
საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის
წარმოებული ომების მონაწილე

ველოდოთ რწმენით

მიმავალი წლის ბოლო დღე გვიდგას,
დრო არ ჩერდება, არ არის შველა,
მომავალი წლის პირველი დღისთვის
საათის ისრებს შევყურებთ ყველა.

ღამის თორმეტზე ველით ბათქა-ბუთქს,
ფეირვერკებით ბრწყინვალე ცასა,
მოლოცვისათვის - პირველ მეკვლეს და
ახლად მოვლენილ სიცოცხლის ხმასა.

ველით ტკბილეულს, კოცნას, სიყვარულს,
თოვლის ბაბუას, ბავშვებს რომ ართობს,
მომავალი წლის კეთილ სურვილებს,
სუფრის თამადას, დილამდე გამრთობს.

ცისკრის ვარსკვლავი როცა ჩაქრება,
გუშინდელივით მზეც რომ ამოვა,
ლოცვა-კურთხევით, მომავლის რწმენით,
სამების მადლი ჩვენზე გადმოვა.

დამიჯერე, გულწრფელი ვარ...

ლამაზი სახე გიღიმის მკრთალად,
ელვარე თმები შრიალებს ნაზად,
შენ მიმაჩნიხარ მიმზიდველ ქალად,
შეუდარებელ, ართქმულ ანდაზად.

აღფრთოვანებით გიმზერ, გიცინი,
დინჯად მოვდივარ, მოგიალერსებ.
ამცდები სწრაფად, დამეკარგები,
სიყვარულით თვალს ცრემლით ამივსებ.

ენდე მას, ვინც შენ კვლავ მოგენდობა,
რატომ ეჭვებით მიცქერ და ფიქრობ,
გინდივარ? - მითხრა, რას ელოდები,
ოცნებებს მკერდში რატომღა იფლობ...

საფიცრადა მაქვს შენი სახელი,
მომისმინე და არ გაგიკვირდეს,
ჩემს გულწრფელობის კვლავ თუ არ გჯერა,
ეს სიყვარული სიკვდილად ღირდეს.

ვაღმერთოთ დედა!

ვაღმერთოთ დედა, -
დედა მშობელი,
დედა მკვებავი,
დედა გამზრდელი,
დედა მკურნალი,
დედა - წყარო ჩვენი მომავლის.

ვევედროთ წმინდანს - დედა მარიამს,
გვიმრავლოს ქალი დედად ქცეული!
ყველგან და ყველა შექმნილ ოჯახებს
დააბედოს შვილთა სიმრავლე,
გვიცოცხლოს დედა,
დედა, - მზრუნველი ჩვენი მომავლის.

ვაღმერთოთ დედა - ერთშვილიანი და შვილმრავალი,
გულმხურვალე და ჩუმნაღვლიანი...
დაბადებიდან სიკვდილამდე ვაღმერთოთ დედა,
დედა, - ცრემლი ჩვენი მომავლის.

გულში ხანძარი ჩამიქრე

იმას, რასაც მთხოვ, ძვირფასო,
ვერ შევძლებ და არც იფიქრო,
მინდა, რომ ღრმა სიყვარულზე
მყარი აზრებით ვიფიქრო.

ერთსა გთხოვ, დაიმახსოვრე,
ნუ დამგმობ, არც შემიბრალო,
მიყვარხარ და ნუ მემდური,
სიცუდე არ დამაბრალო.

პირქუშობას ნუ დამიწყებ,
დამიჯერე, გირჩევნია,
შენი ერთი გაღიმება
ყველა წამალს მირჩევნია.

ჩამჭიდე ხელი, ვიაროთ,
უარყავ - „არა, არაო“,
გულში ხანძარი ჩამიქრე,
გეძახი - „ჩქარა, ჩქარაო“!

შენ იმედი ხარ ჩემი ცხოვრების

შენ იმედი ხარ ჩემი ცხოვრების,
ტკბილი ოცნების, წინ-წინ მავალის,
შენ დაისი ხარ და ალიონი,
დღევანდელი დღის და მომავალის.

როცა შენთან ვარ, - მიხარის, ვგალობ,
დარდი და ოხვრა უმალვე ქრება,
მარტოდ დავრჩები, - თავს ობლადა ვგრძნობ
და სიხარული იწვის და შრება.

თვალი რომ მოვკრა და დავინახო
შენი არსება, თუნდ მოშორები,
მომაკვდავს წყლული გამიმთელდება,
გამოვიქცევი სწრაფ გაცხარებით.

შეგეგებები, მოგიალერსებ,
მომიალერსებ და გზას განვაგრძობთ,
ჩვენს სიყვარულის გამობრწყინებას,
პატარა გულში უხვად, უხვად ვგრძნობთ.

მაშ, ნუ გამირბი, იარე ჩემთან,
ლაღი ცხოვრება ვაშენოთ ერთად,
ვფიცავ, იქნები მარად და მარად
ჩემი სულიერ გრძნობათა ღმერთად.

და მაინც, მინდა...

მე არ მინდა უენძელოდ
გაზაფხულის მოსვლა,
არც უვარდოდ, დარცხვენილად
ზაფხულის ჩუმად წასვლა.

სულ არ მინდა შემოდგომა,
უძლური და დამშეული,
არც ის მინდა, რომ ზამთარში
თოვლი იყოს უფერული.

მე არ მინდა ცისარტყელა
ერთ ფერში რომ ვიხილო,
მზე და მთვარე, ვარსკვლავები,
ვინმემ რომ არ იხილოს.

თუ არ დაწვავს გულს და გრძნობებს,
მაშ, რად მოდის სიყვარული?
ჭმუნვას თუ არ მომაცილებს,
შორს, ასეთი სიხარული.

თუ ვიცოცხლე, მაინც მინდა
სიყვარულის მწარე ცრემლი,
ჯანმრთელობა, ლუკმა პური,
და სამყარო ვრცელზე ვრცელი.

შეგვერგოს

ღვინოს პურზე, რომ ვაწვეთებთ
გარდაცვლილთა ხსოვნას ვამბობთ,
პირჯვარს ვიწერთ, ვიტყვით: ამინ,
ზოგჯერ უფლის განაჩენს ვგმობთ.

საგანგებო ლუკმა-პური
ქრისტეს სისხლი და ხორცია,
ვიდღეგრძელოთ და შეგვერგოს,
რაც ღმერთს ჩვენთვის მოუცია.

შოთაობა

რუსთაველი რომ მესხია,
შეჭმარიტებით დადგინდა,
მესხეთში მისი ხსოვნის დღე
სამარადისოდ დამკვიდრდა.

ქართული პოეზიის დღე,
მგოსნებს მიუხმობს სცენასთან, -
იწყება ნიჭის შეჯიბრი,
გაშაირება შოთასთან.

სიტყვის კონის ოსტატები
რუსთაველის ჩანგს ეტრფიან,
„ვეფხისტყაოსნის“ შემოქმედს
გულთბილ მადლობას უძღვნიან.

მის უშიშარ ვაჟკაცების
კაცურ გრძნობებს ქედს უხრიან,
თინათინის და ნესტანის
კარგ ქალობას უმღერიან.

პოეზიის მძლავრი ტალღა
იერუსალიმამდე აღწევს,
და რუსთაველის საფლავთან
ქართულ მარგალიტებს აფრქვევს...

მთებს გადაღმიდან მოისმის
გამოძახილი ხმოვანი -
„სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა
სიკვდილი სახელოვანი“.

ქართველი კაცი ფიცსა სდებს,
ქართველი ქალი - პირობას,
ცხოვრების მიზნად იწამებს
მეგობრობას და გმირობას.

რუსთაველის ანარეკლით
ერის წარსული ანათებს,
მისი რჩეული, იმედად,
ლექსთა ჩირაღდანს აანთებს.

გამოზაფხულდა

მზემ სხივები მიმოფანტა,
ცაზე ღრუბლები გაქრნენ,
ირგვლივ სითბო ჩამოვარდა,
თოვლის ზვავები გადნენ.

ყველგან, ყველა მდინარე
გაშმაგებით მღელვარებს,
მაღლა ციდან მათ ტალღებს,
მზე დასცქერის, ელვარებს.

ხეებმა სითბოს ძალით
უკვე გაშალეს კვირტები
და ამ ხეების ჩრდილებში
ხტიან ბავშვები, ცქვიტები.

ენძელამ და მორცხვმა იამ
მოგვიკაზმა მინდორ-ველი,
გაზაფხული უკვე დადგა,
კვლავ გვესტუმრა სანატრელი!

სიბერის ჟამი იღვიძებს

ვუძღვნი ჩემს შვილს - დიანას

დიანა, ჩემო დიანა!
დრო მიქრის, უჩინარდება,
ყოფიერება ამ ქვეყნად
ყოველდღე წარსულს ბარდება.

შენს წლოვანებას რომ ვითვლი,
ორმოცდაათზე ავიდა,
მამაშვილობის ეს ხანი,
მიკვირს, რა მალე გავიდა.

ოთხი შვილი გყავს, მათ შორის,
ქალ-ვაჟებია წყვილ-წყვილად,
ყველანი გულს გიხარებენ, -
არ გიშრომია ტყუილად.

მარი, ანი და თორნიკე,
ალექსანდრეა მეოთხე,
ნოდარი გზამკვლევარია,
ოჯახის ბურჯი, მეოხე.

მრავალშვილიან დედიკოს
გამშვენებს სიტყვა მართალი,
სამსახურში და ოჯახში
ქალი ხარ ალალ-მართალი.

დაბადების დღეს გილოცავ,
გულმხიარული მენახე,
ჩვეული სითბო, ალერსი,
ჩემთვისაც შემოინახე.

დიანა, ჩემო დიანა!
სიბერის ჟამი იღვიძებს,
დაისს ჩამყოლი ფიქრები
აისზე გამოიღვიძებს.

ღმერთო, მაჩუქრე დრო

დედამიწის ბრუნვას ვერ ვგრძნობ,
მზეს და მთვარეს თვალს ვადევნებ,
ცას მოწყვეტილ უცნობ ვარსკვლავს
ჩემს ღრმა ფიქრებს დავადევნებ.

სიცოცხლეში საზომად მაქვს
დრო, სწრაფად წინ მოარული,
მოწყალედ მყავს მხოლოდ ღმერთი,
ზეციური და ფარული.

ზოგს ცხოვრებას უხალისებს,
ზოგს კი ტანჯვის წუთებს უთვლის,
სარეცელზე მწოლიარეს
კარგს და ცუდსაც ის დაუთვლის.

ღმერთო, ჩენ იცი ჩემი გზა
რა დროშიც გასავლელია,
მიწყალე ნება, ვიარო,
ოჯახი მოსავლელია.

პაპაშენს კაცად მომბაძე!

ეძღვნება შვილიშვილის,
ალექსანდრე ნოზაძის დაბადებას

ერთხელ კიდევ დაიკვნესა
შენ დედიკომ, როცა გშობა,
ჩაგეხურა, მოგეფერა,
არ გადროვა შენ შეშრობა.

და პირველად, მეც რომ გნახე,
მოგაფინე სიყვარული,
პაწაწინა, კაცად გიცან,
აშკარა და დაფარული.

თვალში სინათლე ჩაგიდგეს
ყურებში სმენა მოგეცეს,
ქართულად ალაპარაკდი,
არავის თვალი არ გეცეს,

ხელ-ფეხიანი კი ხარ და
ჯანმრთელ სიცოცხლეს გისურვებ,
ჩემგან თუ რამე დაგჭირდეს, -
მითხარი, რასაც ისურვებ.

მეთერთმეტე შვილიშვილო,
ხარ ალექსანდრე ნოზაძე,
დედ-მამის მეოთხე შვილო,
პაპაშენს კაცად მომბაძე!

გამიხალისდი ანი

დაბადების დღის მისალოცად

დიანასგან მოვლენილო,
შენ, მეოთხე შვილიშვილო,
უკვე ოცი წლისა ხარ და
პაპა გენაცვალოს, შვილო.

შენ ხომ ანი ნოზაძე ხარ,
ცხოვრებას რომ იშენებ,
ნდობასა და მეგობრობას
სიყვარულით იმშვენებ.

ზოგჯერ ისე გაფიცხდები,
იმას ქმედობ, რაც არ გშვენის,
მოფერებით ცრემლი გდის და
ტკბილი სიტყვა ნაღდად გშველის.

დინჯი აზროვნებისა ხარ,
გსურს, რომ გახდე ფსიქოლოგი,
ცოდნაზე და სიკეთეზე
ღმერთთან გქონდეს დიალოგი.

მსურს, რომ უკეთ გაისარჯო
და იცოდე შრომის ფასი,
ჯანმრთელობა გაიკაჟო
და იცოცხლო წელი ასი.

ნინო (ნაზი) თოთაძე - პედაგოგი
აწყური

ჩემი ტკივილი

ოშკი, ხახული, იშხაანი, ტბეთი, პარხალი,
ხანძთა, ბანა და არტანუჯი, ოხვრით მთხრობელი,
ლაზი თუ მოსხი ოსმალეთის, ლუკმა გამხდარი
ფორთა, ოპიზა, თუხარისი (ცრემლით) ფიქრში დამდნარი.

სანთელჩამქრალი, მონასტრები, ცრემლით გამშრალი,
უპოვრობაში, გათენებული, ღამის ლამპარი,
სათნო მამათა, ტკივილები, იმედგამწყრალი,
დაუნდობელი, ქარიშხლები რად არ ჩამქრალი!!!

ო! ღა მდუმარედ იცრემლება „ნუკას საყდარი“,
„შატბერდს“ მოუჩანს შენგრეული, გულისფიცარი.
ჭმინდა საძვალე, მონასტრები, კლდოვან კონცხებზე
გველოდებიან, მოთმინებით და კეთილკრძალვით.

ხანძთის წყაროსთან, ჩამომჯდარი, ბილიკს გავყურებ,
თამარის ლოცვა, სანუგეშოდ, ჩამესმის ყურში.
ბერ-მონაზვნების მოშიშობა მაოცებს მწუხრთა
თავმდაბლობა და სიყვარული, უფალი ღმერთის.

ნეტარ მამათა ღამისთევა, ღმრთის სიყვარული
მაცხოვრის მადლით, შემოსილი ჭეშმარიტება
ჯვარ-დაწერილი, საქართველოს შემოგავედრებთ!!!
შენ დაიფარე, ო! გევედრებით, უფალს დიდება!!!

სამშობლოს

ელვარებ ცაზე, ვით ქონგური,
სიონის კედლის,
ძილმორეული, შეღაღადებ,
ცისკრის ალიონს
ჩასჭიდე ხელი, ამ საოცრებას,
ცრემლი არ გინდა,
და კენწეროდან, გადმოხედე
მთლიან სამყაროს!!!
მოქანცული ხარ, ტკივილებით
ნაიარევი,
შენს გვერდით ბორგავს ალბათ
ყველა არარაობა,
გასცურე ნაპირს, ქარიშხალი,
უკვე ჩამდგარა
ჰა!!! შენი მტრების კელაპტარიც
უკვე ჩამქრალა!!!
ღამემ მოკეცა თალხი კაბა,
მნათობ მძივებით,
ჩაეკრა გულში მთვარეს,
გრილს და ცივთვალებიანს,
პირქუში ძილი მოერიათ
ცაში ვარსკვლავებს,
ღრულებზე გაწვნენ და აჟღერდა
„ეს სიმფონიაც“.

თბილისს

ციმციმებს შენი ვარსკვლავი
სტუმართმოყვარე თბილისო
დარდის უთქმელო ლამაზო
მოსაფერებლად ხალასო.

ცად აზიდულო მთაწმინდა
საუფლოვ რჩეულთვისაო
ქართლის დედავ და მეტეხო
ჩუქურთმავ სიონისაო.

ღმერთო! წყალობა გაიღე
გაგვიღე სამოთხის კარი
მარად მშვიდობა გვაჩუქე
დარეკე სიცოცხლის ზარი.

გიცავდეს გიორგის ფარი,
თეთრ ტაძრებს გიმშვენებს ჯვარი
არ დაგვიბერდე თბილისო
შენთნა ვართ ყოველი წამით.

ლაჟვარდოვანო გუმბათნო
სუნთქვავ ქართული მიწისა
გაშლილი მკლავებით გეხვევით
ჩვენს დედაქალაქს თბილისსა...

***

მორჩილი წლები მისმენენ გარინდული
სათქმელიც დამიგროვდა ჯერ არ გაგონილი
დაღლილი სტრიქონებით მოვიხმე სიჭაბუკე
ო! არ დამტოვო ასე განწირული.

ლოცვა-ვედრება

ვის შევჩივლო? სამართალი სად ვიპოვო?
ანთებული სანთლით დავიარები
საქართველო მინდა შემოგავედროთ,
დაკემსილი, გულით ნაიარევით.

სიბნელეში კიდით-კიდე მივდივარ,
დამისველდა ცრემლით, დედის მანდილი,
ქარაფებზე ფეხაკრეფით გავედი,
გავიხედე შორეთს ჩაფიქრებული.

მწარედ ვტირი, მაღლახელებაპყრობით,
ფეხშიშველი, ტანზედ მაწვიმს იარას,
გევედრები ღმერთო!!! ერი გადამირჩინე
ამას შეგთხოვ სხვას არაფერს კი არა.

იგრაგნება ცაზე შავი ღრუბელი,
ჩვენიც გვებრძვის მარტო მტერი კი არა,
შორეთს, მესმის ანგელოზთა ღაღადი,
გაამრთელეთ საქართველო მთლიანად!

სადღაც ბნელი გაიხლიჩა სანთლებად,
გამობრწყინდა ცაზე სხივი კიაფა,
ანგელოზი მომეგება საჩუქრით
წაიღეთ ეს გამარჯვების ფიალა!

თვალებიდან ძლივსღა გამოვიხედე
არა მჯერა ჩემს სიტყვისაც კი არა,
აღვავლინოთ, ლოცვა ყველა ქართველო
შევავედროთ ერი, ხალხი ციანად.
(ბერი)

ქართულ გენს

ტაო კლარჯეთი ქართველთ სამყარო
დიდი ტაძრებით, ციხე კოშკებით
ულამაზესი ბაღ-ვენახებით
ტერასებით და ნასოფლარებით.

ჩაძინებული ლეგენდები თამარ დედოფლის
ტბეთის ტაძარი, ერუშეთი, ციხე ქაჯეთის
ოქროს კუბოში ჩასვენებული მითი თამარის
მშობლიურ კუთხეს მოწყვეტილი გენი ქართული.

წიგნსაცავებში გაფანტული ფოლიანტები
სატრაპეზო თუ სენაკები, ბერთა სავანე
დაუცემელო ქართულო გენო, დაუჭკნობელო
სიბრძნით მორწყულო, მეფიქრები, მეიმედები.

***

როგორ ჰგავხარ ზღაპრის
ქალღმერთს იცი?
ო! მაგ მკერდში
გაზაფხული ფეთქავს
ნეტავ შენი სიყვარული
მეგრძნო
ო! ეს ნატვრა ამხდენოდა ნეტავ.

***

როცა ტირიფი ტირის,
მიწა ნთქავს წვეთებს,
როცა რომ გული ტირის,
ქვაზე ვწერ სტრიქონს.

ტაოს

ხანძთას ნაელვო ხანჯალო
იშხანს ნათქვამო სიტყვაო
ტაოს აქნილო სანთელო
შავშეთ ნაგებო ღვთისაო.

ნაჭარმაგევო კლარჯეთო
ტბეთო ნასხივო მზისაო
ხახულო თამარს ნავედრო
საკურთხეველო ღვთისაო.

ოშკში ანთილო სანთელო
წყალობავ სამოთხისაო
ტბეთს ნალოცაო ხატებო
მოჭედილ ოქროცვრისაო.

ტკივილო რარიგ ტკივილო
ცრემლებო ნიაღვრისაო
გულს ჩარჭობილო ისარო
წვეთებო ამ სისხლისაო.

გულგატეხილო იმედო
შობილო დიდი ხნისაო
გამტეხა უიმედობამ
დავბერდი მეც ამ დღისაო.

გათენდეს ღამე ბნელეთი
ზარმა ჩამოკრას დღისაო
ერთად შეგვყაროს ქართველნი
ასრულდეს ზენაღვთისაო.

გალობდნენ ალილუიას
ჯვარი გესახოთ პირსაო
მადლყ სუფევდეს გვეწამოს
აღდგომა ქრისე ღმრთისაო.

***

ღამემ მოკეცა თალხი კაბა
მნათობ მძივებით
ჩაეკრა გულში მთვარეს, გრილს
და ცივთვალებიანს
პირქუში ძილი მოერიათ ცაში
ვარკსვლავებს
ღრუბლებზე გაწვა და აჟღერდა
ეს სიმფონიაც.

***

ფერდობის მხრებზე გაწვა მთვარე
დნება საღამო,
თავი დახარა ზენა ქარმა,
დაცხრა ნაპირი,
მშვიდმა ნიავმა მოიტანა როიალის ხმა
თანდათან მესმის კერპი ღამის
გამონათქვამიც
„ღამე მშვიდობისა“!!!
ღამე ე მშვიიიიდოობიისა.

ჯავახეთს

ცის სილურჯე გაგაოცებთ ალბათ,
ყვავილების სურნელება უფრო,
გარიჟრაჟი ლამაზია ნეტა?
თუ საღამო გამოფენა ფერთა.

ძალიან შორს მონატრება მეძებს,
მონაბერმა ქარმა ველი დათმო,
გაბუტული ვარსკვლავები ციდან
სიხარულით ჩახუტებას ჩქარობს.

აწეული, ქუსლზე ხელებს გავშლი
ცას შევცქერი და გაფრენას ვლამობ
მგონია რომ გულში შემადნებით
ჯავახეთის ცა ფირუზო ლალო.

ემიგრანტებს

ვის უტოვებთ საქართველოს ქართველებო,
ვის უტოვებთ გელათსა და გრემს,
ვის უტოვებთ სვეტიცხოველს, ჯვარს და სიონს
ვის უტოვებთ წინაპრების ძვლებს.

ნაღვლიანი შემოგვყურებს, ღვთისმშობელი,
ქართლის გული გამალებით ძგერს
შენი ცა და შენი მიწა მოღუშულა (მოწყენილა)
გულნაკლული, ევედრება ღმერთს.

ხის წვეროზე შემომჯდარი არწივივით,
აქეთ-იქით აშრიალებს ფრთებს,
ვინ უშველის, ვინ გაფანტავს ფიქრს და ნაღველს
თავდახრილი ცრემლიანი უიმედოდ მზერს.

მამულს

ტყე-ტყე ბილიკებს მივყვები,
დნება გზა შორით ტაძრისა
ღმერთო! მამული მიცოცხლე,
მესმის ჩურჩული ქალისა.

ეს ჩემი ტკბილი ბალღობა
ისევ მამულზე ნაღვლობდა
სამშობლო დედა სამშობლო
მაღლა ძე ღმერთთან სახლობდა.

სიონის ტაძრის მახლობლად
თვით ქართლის დედა დარდობდა,
და ხელთუქმნელი ფრესკების
გადაფარებას ლამობდა.

ცა დაქანცული ფერებით
ცისკრის ვარკსვლავით ნათობდა
თვალიდან ნისლგადაყრილი
დედა სამშობლო ხარობდა.
ამინ. ამინ. ამინ.

სონეტი

ცვივა შენს თმებზე წვიმის წვეთი
და გეფერება
ცვივა ჩემს სულში სიყვარული
მარგალიტებად
მიხმეთ! დღეებო მანუგეშეთ
მომყეთ კვალდაკვალ
და გამაქანეთ ცის ტატნობზე
გათენებისას.
ვერ გავძლებ იქაც როგორც გედი
სიმშვიდეს ეძებს
და ჩამოვყვები მთის ჩანჩქერებს
ადიდებისას.

მეომრის დედებს

შეშფოთებულხართ, აბობოქრებულხართ,
რით განუგეშოთ „ქართველნო დედავ?
აცრემლებულხარ, შედუღაბებულხართ
რით განუგეშოთ „მზე“ რომ ვერ ვხედავ?

შვილები გაგიზრდიათ, ნანა გიმღერიათ
აკვნები გირწევიათ, ღამე გითევიათ
ფეხშიშველი გივლიათ, კალო გილეწიათ
ხმლები აგიღიათ, მტრები გინდევნიათ.

ქართველო დედებო, იმედი გფენიათ
მტრები წყევლა-კრულვით შორეთს გიფრენიათ
დაკოჟრილ ხელით ლოცვა გივლენიათ
ცრემლებს თვალებიდან ღვარად უდენიათ.

მტრის წინ დაჩოქება თქვენ არ გიფიქრიათ
ვაჟკაცი ბიჭები სანთლად გინთებიათ
ალესილი ხმლები ქარქაშში არ გდებიათ
ოჰ! ერთი ამოსუნთქვა რა ფასად გღირებიათ.

ხვალის იმედებით ჭაღარა გფენიათ
მშიერი ბავშვები უგულოდ მღერიან
ის შავი ღრუბელი სკაფანდრად გცმევიათ,
ბოროტი სულები უღმერთოდ გდევნიან.

ო! არ დაჩოქება მშვიდობა კერიას
გამოზაფხულება კვლავ ღრუბლებს სჩვევია
სიცოცხლის იმედი ქართველებს ჰფენიათ
თქვენ გეამბორებით დედობის ფერიას!!!



ბადრი, პავლე თამაზაშვილი - მსახიობი
(ხიზაბავრელი)

ისევ სოფლელი ბიჭი ვარ

დრო რა უეცრად გავიდა,
ვერაფერი ვერ მოვასწრე,
ისევ მგონია ბავშვი ვარ
და კვლავ ვაშენებ მონასტერს.

ოცნებებს ვერ დაუღლივარ,
ფანტაზიები დიდი მაქვს,
ისევ დავდივარ სოფელში,
ისევ სოფლელი ბიჭი ვარ.

მოვხუცდი, გავჭაღარავდი,
ხვალინდელი დღის შიში მაქვს,
დღენი თავისას ითვლიან,
წლები უეცრად მიჰქრიან.

წუთისოფელი მოკლეა,
გზები შორი აქვს სავალნი,
ვისთვისა ფართო ხიდია,
ვისთვისა გადასავარდნი.

მაგრამ მე ისევ ბავშვი ვარ,
ვერ დაუღლივარ ვერაფერს,
ისევ სოფლელი ბიჭი ვარ
და კვლავ ვაშენებ მონასტერს.

დროება

არ დაბერდებით არასდროს,
სულ აახალგაზრდა იქნებით
თუ კი ბავშვური ოცნებით
სიბერეშიაც იზრდებით.

დარდსა და ნაღველს გაფანტავთ,
გულთან არაფრად მილიტანტ.
ღიმილიანი თვალები
სიკეთის გზასთან მიგიყვანთ.

ბოროტსა დასძლევთ ყოველთვის,
თუ კი უფალთან იქნებით,
ბარაქით დაიხუნძება,
თქვენი ყოველი ფიქრები.

სიყვარულს დიდი ძალა აქვს,
სიცოცხლის ნექტარს თაფლიანს.
გაუხალისეთ ცხოვრება
მოლხენილსაც და ნაღვლიანს.

გაუმჯობესეთ დროება,
მდიდარსაცა და ღარიბსაც.
ეს ჩვენი წუთისოფელი
ყველას თანაბრად გაგვიყვანს.

ჩემს შვილიშვილს – ნინოს

ოთხი რამ არის მთავარი,
რაც კი გვაქვს ქვეყნად უფლისა.
მიწა, წყალი და ჰაერი,
ცეცხლი უკვდავი სულისა.

ერთგული იყავ ქართველო,
შენი სამშობლო მხარისა,
მისი მიწაწყლის მშვენებავ,
სურნელო უჭკნობ ვარდისა.

თავისუფალი იყავი,
მონა არ იყო არვისა.
გარჩევა მუდამ შეგეძლოს,
ცუდი აზრის და კარგისა.

სადაც არ უნდა რომ იყო,
ღვთისმშობლის ქვეყნის მოდგმისავ.
ქართველი დედა იყავი,
ვეფხვისაცა და მოყმისაც.

გიყვარდეს შენი გამჩენი,
სათავე ყველა ამბისა.
ზომიერება იცოდე,
შენივე ყველა საქმისა.

დიდი წინაპრის მოდგმის ხარ,
აღმაშენებლის, თამარის.
ასიათასი წმინდანის,
ამირანის და ყამარის.

სიკეთე არ დაივიწყო,
გზა მშვიდობისა იარე.
ერიდე ყველა ბოროტსა,
შორს იყოს შენგან სიავე.

სულ გელოდებით, გვიყვარხარ,
დილის ცვარ-ნამო მაისის.
ამომავალო მზის სხივო,
ტკბილო სიმღერავ დაისის.

მზე იყავ დილის ნათება,
მთვარე ღამითა ბადრისა.
ვარსკვლავნი მოციმციმენნი,
ნატვრის ახდენა ზღაპრისა.

დაბადების დღეს გილოცავთ,
ბებო, პაპა და ბიძია.
ჩვენი სიცოცხლის-სიცოცხლევ
ნინიკო მესხურ სისხლისავ.

სოფლის იგავ-არაკი

კაცს თუ ბედით თან არ დაგყვა,
ვერაფერს ვერ გახდები,
ცხოვრებაში აგერევა
ყველა გზა და საქმენი.

ვერ ააწყობ შენს ნოტებზე,
გუდასტვირს და სალამურს
და ვერ ნახავ სიცოცხლეში
დღეებს ტკბილს და საამურს.

შორი გზაა ეს ცხოვრება,
ვისთვის მოკლედ სავალი,
გამოცანად მუდამ გვრჩება
სოფლის იგავ-არაკი.

კაცობრიობავ ვისწავლოთ

მწყემსი ვარ ხიზაბავრელი,
გუთნის დედა ვარ ჯავახი.
სელის და ხორბლის მომყვანი
მრავალ ვაებას ნანახი.

მაღლარუს ჭობაურავარ,
წვერის წყარო ვარ მთისაო.
საბურთლებში ვარ კოპინა,
შიგ წვიმის წყალი ცისაო.

ვაზი ვარ ვენახებისა,
პაპის ჩაყრილი ქვაბისკარს.
შვიდრავანტისა თუთა ვარ,
ხმლისა ტარი ვარ ტაშისკარს.

ოსკერიისა ოჩხე ვარ,
გომების ფიჭა თაფლისა.
კაკლის ხალა ვარ ჩიხორიშს,
სამყინვარო რას დამღლისა.

მესხეთის მეციხოვნე ვარ,
ზარზმა, საფარა დამნათის
თამარის მედროშეცა ვარ,
ვარძიის კლდოვან ქალაქის.

ხერთვისის ციხის ბურჯი ვარ,
აწყურისა და თმოგვისა,
ერთი პატარა კენჭი ვარ,
ამაღლებული ბორცვისა.

საინგილოსა ბიჭი ვარ,
ალავერდის და ლორესი.
სამყაროს ემიგრანტ ვარ,
მოსულიშვილი ფორესი.

ობოლი ერის შვილი ვარ,
ნათესავიც კი არა გვყავს.
ღვთისმშობლის წილხვედრ მიწაზე,
დარდი, ნაღველი თან დამაქვს.

უფლისა გლახაკს შემინდე,
ყოველი ჩემი ბოდვები.
უნებლიედ თუ შენგებით
კაცობრიობის ცოდვები.

ძალაუფლებავ, სიმდიდრევ,
შენ ყველა დროის მტერი ხარ,
სიხარბეს შეგუებული,
სულელიცა და ბრძენიც ხარ.

მსოფლიოს სინდის-ნამუსი,
დიდი ხანია მკვდარია.
კაენი დღესაც ნავარდობს,
ავდარია თუ დარია.

ადამიანთა სიცოცხლე,
დღეს ყველაფერზე იაფია,
ჩვენ მას არაფრად არ ვაგდებთ
ეშმაკი ჩვენზე სწრაფია.

კაცობრიობავ ვისწავლოთ,
ერთმანეთისა გატანა.
ფლორას, ფაუნას ვუშველოთ,
თუ გვსურს დავძლიოთ სატანა.

ჩემი სიცოცხლის, სიცოცხლევ,
სამშობლოვ ჩემო დედაო.
ქრისტეს ქალდეურ ენისავ,
სამთა ანბანთა ქებაო.

იმედი არ დაუკარგოთ,
მომავალს მივცეთ შვებაო.
ვერ ხედავთ, როგორ იმღვრევა,
გენური სისხლი შრებაო.

მადლობელი ვარ უფალო,
ქართველი რომ ვარ გულითა.
რომ მიყვარს მთელი სამყარო,
როგორც ქრისტიანს სულითა.

ა დ ა მ ი ა ნ ი

სამყაროს გვირგვინად შექმნა
უფალმა ადამიანი,
არ უღალატო მის რწმენას,
სანამ არ არის გვიანი.

სამყარო შენთვის შექმნილა,
აქ ყველაფერი რაც არი,
მიხედე დედა-ბუნებას
და ნუ ხარ გაუმაძღარი!

ნუ კარგავ მისკენ სავალ გზებს,
ნუ დაიშურებ ქებასა,
პირჯვარი გადაიწერე
და მიეცემი შვებასა.

უფალი არვის დასტოვებს,
ყველას ეყოფა რაც არი,
სიხარბეს ბოლო მოუღე,
სანამ გახდები ნაცარი.

ბედნიერება ის არის _
მადლიერება თავისა,
უმადური ნუ იქნები,
იმედი გქონდეს ხვალისა.

მოიკელ შენთვის რაცა გაქვს,
თაობებს მიეც საგზალი,
ვინ მოგცა მაგის უფლება
გაანადგურო რაც არი.

მოვალეობას ნუ კარგავ,
თავის - უფალი იყავი,
სამყაროს გვირგვინად შექმნილს
გიყვარდეს ადამიანი.

მეუღლეს ნინოს „ნაზის“

წუთისოფლის მგზავრი ვარ,
დრო ჩემთვის არაფერია.
მარადიული გზა წინ მაქვს,
ის ჩემი გასავლელია.

წლეებს საერთოდ არ ვითვლი,
ის ჩემთვის ყველაფერია,
ამ სოფლის წუთი, წამი ვარ,
ოცნებით მრავალფერია.

ერთი უბრალო მოკვდავი,
თამაზაშვილთა გვარისა,
ამა სოფლისა ზურგჩანთა
იმ ქვეყნიური მგზავრისა.

შუქი ვარ სულის ნათება,
დღისით მზის, ღამით მთვარისა,
ერთი უძღები ცოდვილი,
სიზმარი ერთი ღამისა.

დილის ნამე ვარ ყვავილთა,
ნიავი სუსტი ქარისა.
შეუდრეკელი მებრძოლი,
მონა კი ლამაზ ქალისა.

ჩემი თვალების სინათლევ,
ყველაზე დიდო ქონებავ.
ჩემი სიცოცხლის სიცოცხლევ,
კარაბადინო, მოძღვრებავ.

გთხოვ, შეისმინო ყოველი,
წუთისოფელის მგზავრისა.
მადლობელი ვარ უფლისა,
შენს გვერდით ყოფნა მაღირსა.

ჩემი ცხოვრების მეგზურო,
მშობელო სამი ვაჟისავ.
ეს ჩვენი წუთისოფელი
ვაი, რა სწრაფად გარბისო.

ღმერთო

ღმერთო ადამიანებს გადმოგვხედე,
სანამ დედამიწა ბრუნავს,
სანამ ყველაფერი დავივიწყეთ,
საკუთარ თავზეც კი ზრუნვა.
შენი სიყვარული აღარ გვახსოვს,
დავშორდით სიკეთის მიზანს,
სიხარბე ვერა და ვერ დავძლიეთ,
დროს კი თავისი მიაქვს.
ღმერთო ადამიანებს გადმოგვხედე,
სანამ მზე მზეობს და ბრწყინავს,
თორემ სიბნელეში დავიბუდეთ,
სული ცოდვებისგან გმინავს.

ჩემო ტკბილო სოფელო

ეხ ლარებო, ლარებო, ჩემი ფიქრის დარებო,
საგოგაოს გლერძებო, ვერხნალისა ნაძვებო,
ღვთის მადლითა აღვსილო ობოლეთის საყდარო,
დღეს ლეგენდად ქცეულო ანა ბაჯის ამბავო.

სიყმაწვილის დღეებო, ტყენო, აგარაკებო,
ჭობაურას ცივწყალო, საბანაოდ საქებო,
ქოჩორათ წისქვილებო, მსხლით და პანტით გავსილო,
წლებო სიჭაბუკისავ, სიხარულით აღვსილო.

შვიდრავანტის ბაღებო, დიდხანს ვეღარ გნახეთო,
ვარანტებში ვიყავი, პოტოს წყარო ვნახეო,
ორმანიებს გავხედე, ვეღარ ვიცან ნამდვილი,
პაპისეული ყანა, ჩემი ყრმობის ადგილი.

წვერის წყაროვ კამკამა, მთაში ობლად გაზრდილო,
გადმოჰყურებ სოფელს და გსურს შხეფები აწვიმო,
სანაქრეებს ჩავივლი, ჩავალ ხარიათაღზე,
უკვდავების წყალს დავლევ - ბუნების სილამაზეს.

დედოფლეთებს, ფამფარას - აპრაჭიჭას მოვკრიფავ,
მერე ხიხატსაც ვნახავ, ოლოლიას ბუხარსა,
ბასეინის ფერდობზე, სოკოს დავკრეფ ქამასა,
გადავხედავ მაღლიდან ჟამიას ქვას ლამაზსა.

გაუყვები ზედაგზას, მაღლარუსაც გავტოპავ,
ოღონდ შენ დაგინახო, ჩემო ცელქო ბავშვობავ,
პაპისეულ ნასახლარს დაუჩოქებ, ვემთხვევი,
ჩემო ტკბილო სოფელო, მუდამ შენთან მყოფელი.

დონარ ადეიშვილი - ინჟინერ, პედაგოგი
დაბადებული სოფელ ხიზაბავრაში

მესხეთს

ისევ ვესტუმრე დედულ-მამულეთს,
კვლავ მოვიარე მთელი მესხეთი,
მიწას ვემთხვიე და ვეამბორე,
ვკოცნე წინაპართ ნატერფალები,
ყველგან ღიმილით მეგებებოდნენ
და თან მიშლიდნენ ეზოში ტაბლებს,
იქით ჩურჩხელა და თუთის ტყლაპი,
ჰალვა, ბაქმაზი და დედას პური
უხვად ელაგა ლამაზ ტაბლებზე...
მეაჯებოდნენ პურის გატეხვას
და ეზო-კარის ტკბილად დალოცვას!
და მეც ვლოცავდი, ღმერთს ვავედრებდი,
კეთილი ხალხის ბედნიერებას!
რამდენი სითბო და სიყვარული ,
გამომაყოლეს საგზლად მესხებმა,
დიდხანს გამყვება მე მათი ლოცვა,
მშობლიურ კუთხის სითბო და სევდა!!!

მე ისეთი საქართველო მინდა!

მე ისეთი საქართველო მინდა
დავითმა რომ დაგვიტოვა შვილებს,
მე ისეთი საქართველო მინდა,
ქართველი რომ ამყობდა წინეთ!
მე თამარის ქართველობა მინდა
ამაყი და უძლეველი ერის
კავკასიის პატრონის და მცველის,
მილიონებს რომ ითვლიდაკაცთა
მებრძოლი და უძლეველი ერის!
ემიგრანტთა დაბრუნება მინდა,
ქართველ ერის გამრავლება მინდა
შოთას ენით მოუბარი ერის.
სიყვარულით და სიკეთით სავსე
მე ძლიერი საქართველო მინდა,
მინდა, მჯერა და ღვთის ნებით ვიცი,
ვიცი კვლავაც გაბრწყინდება ჩვენი,
ძველთაძველი ივერია დ ი დ ი!

***

არ მიყვარს, როცა ვინმეს მაქვს ვალი,
სიტყვით ან საქმით, საჭმლით ან თანხით...
მე მსურს რომ გავცე ულევად ბევრი:
სითბო, სიკეთე და სიყვარული!

***

გადაირია სამყარო,
მთლად გადირია ხალხიც...
შვილი მამას ჰკლავს, არ ინდობს,
ქმარი ცოლს დანით ებრძვის.
ეშმაკი შემოგვეჩვია
სატანა მეფობს ხალხში,
ღმერთო მოგვხედე,
გვიშველე და დაამშვიდე ხალხი...
კაცები ქალებად იქცნენ
ქალები გახდნენ კაცნი,
აღარც რწმენა და სინდისი,
აღარც კაცი და ღმერთი.
სულ აირია სამყარო
გადაგვერია ხალხი...
ქართველნო გამოიღვიძეთ
იცხოვრეთ ათი მცნებით,
გადავარჩინოთ სამშობლო
ქართველთ საუფლო ღმერთის,
ხელი ჩავკიდოთ ერთმანეთს
ერთად ვადიდოთ ღმერთი
არ გავახაროთ სატანა
და დავუმტრიოთ კვერთხი.
გადავცეთ შთამომავლობას
მამული, ენა, ღმერთი!
საქართველოა საუფლო,
მხოლოდ ქართველი ხალხის,
ნუ მივატოვებთ სამშობლოს
დაბრუნდით ყველას გელით,
გაათბეთ თქვენი ბინები
დიდ სიყვარულის ცეცხლით!

***

მე არ ვწერ ზღაპრებს უტოპიაზე,
მე არ დავფრინავ ცაში!
მე ვწერ ტკივილზე, მონატრებაზე
ჩემი ქვეყნის და ხალხის...
მტკივა იარა ქვეყნის და მიწის,
რაც გაყიდული არის,
მე საქართველო მტკივა მთლიანად
თავის ტანჯული ხალხით...
მე იმ ქართველის ტკივილი მტკივა,
უცხოეთში რომ მიდის,
რომ ენატრება თავისი სახლი,
შვილი და კერა თბილი.
მე იმ ქართველზე ვდარდობ და ვწუხვარ,
უცხოეთში რომ სტირის.
ღმერთო მომეცი მიწა ქართული
და დაკარგული შვილნი!

***

პოეტი არ ვარ
პოეზიის ვარ მოყვარული,
მიყვარს ლექსი და
ლექსში თქმული,
სიტყვა ქართული
მე ყველა მიყვარს,
ვისაც უყვარს
ენა ქართული,
ქართველი ერი უძველესი
გონით განთქმული.

იყო და აღარ არის

როცა ქუჩაში გავდივარ
ვხვდები მოწყენილ ხალხს,
რატომ გაუქრათ ღიმილი
ჩემი თაობის ხალხს?!
მოწყენილები დადიან,
და სიღარიბეს ებრძვიან,
ჯიბეში თეთრი არ უდევთ,
სახლში შიმშილით კვდებიან...
რისთვის იშრომეს ამდენი,
ხრიოკზე დადგეს ქალაქი,
ააგუგუნეს ქარხნები
ახალი რუსთავ ქალაქის!
ტკბილად და ძმურად ცხვრობდა
სხვადასხვა ჯური მრავალი,
ლუკმას უყოფდნენ ერთმანეთს
ოსი, რუსი და თათარი!!!

შ ე გ ო ნ ე ბ ა

ცუდზე ფიქრი შეწყვიტეთ და
მხოლოდ კარგზე იფიქრეთ,
მოეფერეთ ერთმანეთს და
სთესეთ მხოლოდ სიკეთე!
რადგან წუთისოფელი
საოცარი რამ არის
ისე მალე ჩაირბენს
შენი მატარებელი,
ვერ მოასწრებ მოხედვას
და ვერც დამშვიდობებას...
ამიტომაც ძვირფასნო,
სთესეთ მხოლოდ სიკეთე
და აკეთეთ მუდამ ის,
რაც მოგიტანთ სიკეთეს.
შეიყვარეთ მოყვასი და
ბედნიერად იცხოვრეთ!!!

მტკივა საქართველო

მტკივა ჩემი საქართველო,
მტკივა მისი წარსული.....
ჭრილობები ქართულ მიწის
სისხლი მისთვის დაღვრილი
მოძმის ხელით გაყიდული
მიწა, მამაპაპური!
აჩეხილი ვენახები
ტყე სიცოცხლის საწყისი,
დანგრეული სახლები და
გაყიდული მიწები.
უნდა ვიხსნათ, დავიბრუნოთ
წართმეული მამული,
დავაბრუნოთ სამშობლოში
გატანჯული ქართველნი,
მაღლით ციდან ღმერთი გვიცავს
ქვევით მიწა ქართული
ოღონდ ერთად, ოღონდ ერთად
იდგეს ერი ქართული,
გაიღვიძოს, გამოფხიზლდეს
შეიყვაროს ქართველი,
დაიბრუნოს წართმეული
მიწა მამა-პაპური.

მ ტ ე რ ი

საქართველოს მუდამ ჰყავდა
მტერი აურაცხელი,
მაგრამ ის ვერ გვერეოდა,
გვერეოდა ქართველი,
ვერცხლზე დახარბებული
და ფულით გაუმაძღარი,
ხმლით ურდოც ვერ გვერეოდა,
ჯაჭვს გვირღვევდა ქართველი,
მტერს ორპირად ეკვრებოდა
ხან თავადი, ხან ბერი
და სისხლისგან ირწყვებოდა
საქართველოს მთა-ველი...
რამდენ ბრძოლას, შემოსევას
გადაურჩა ქართველი
და ვერ მოჰკლეს, ვერ დაჯაბნეს
გმირი ერი ქართველი!
ზეცით ღმერთი გვფარველობდა,
ქვევით მიწა ქართული,
გმირობა და თავდადება,
თავგანწირვა ქართული,
ქართველ ერის, ქართულ გენის
ორი დიდი დამცველი!

წ ა რ ს უ ლ ი დ ა ნ

დედამ მომიყვა პატარობისას,
როცა თურქები დათარეშობდნენ
გამოკეტილნი ვისხედით სახლში
და გარეთ გასვლას ვერა ვბედავდით.
წყალი არ გვქონდა, რომ დაგველია
გარეთ გასვლა კი იყო საშიში...
დედას წაუსვეს სახეზე მური
და ხელში თუნგით წყალზე გაუშვეს,
თან დაარიგეს: "პირდაპირ წადი
ა რ გაიხედო გვერდით არსაით"...
პატარა გოგო, შიშისფეთებით
მირბოდა სწრაფად ის თუნგით ხელში.
იქ კი, წყაროსთან, იმ დიდ ტირიფზე
ეკიდა ხალხი ჩამოხრჩობილი,
მაგრამ რადგანაც ის იყო ბავშვი
ხელი არ ახლეს და მისცეს წყალი...
სახლში კი ბებო, ტირილით, ლოცვით
ელოდებოდა ელისოს შიშით...
როს დაინახა ის თუნგით ხელში
მან ღმერთს შესწირა მადლობა დიდი,
რომ დაუბრუნა შვილი მშვიდობით!

მ ა მ ა ს

მე ძალიან კარგი მამა მყავდა,
მას უყვარდა ოჯახი და შრომა
და საფიცრად სამშობლო და
რვა თავისი კარგი შვილი ჰყავდა!
მე ძალიან კარგი მამა მყავავდა
ადათის და ტრადიციის მცველი,
ის ყოველთვის გვარიგებდა შვილებს,
რომ გიყვარდეთ საქართველო ჩვენი
და იყავით კეთილნი და ქველნი
უხაროდა სტუმრის მოსვლა სახლში,
თამადობა სუფრის თავში თასით,
სადღეგრძელო ლამაზი და კარგი
მშობლიური მიწა-წყალის ხატვით,
სიმღერით და ლექსად მთქმელი
ამბის წინაპართა საგმირონი საქმის...
მე ძალიან კარგი მამა მყავდა!

დაბრუნდით ქართველებო

საქართველოზე ვარ უზომოდ შეყვარებული,
არ მიძებნია სხვაგან არსად თავშესაფარი,
ბევრჯერ მციოდა, კიდეც მშიოდა,
მაინც სამშობლოს ბედი მტკიოდა.
,,უცხოობაში რაა სიამე“,
თუ ჩემი ქვეყნის ყოველ გოჯ მიწას
არ ვემთხვიე და არ ვეზიარე,
თუ მისი წყაროს წყალი არ შევსვი,
დაჭრილი გული არ გავიმთელე,
თუკი ქუჩაში დავარდნილ მოხუცს
არ მივეშველე და არ ვუწამლე?!
მაშინ ვინა ხარ, მითხარ ქართველო,
შენ უცხო ქვეყნის მონავ-ეულო,
სხვის ჯანმრთელობას დარაჯობ უვლი,
როცა შენს სისხლ-ხორცს დღეს ასე უჭირს...
დაბრუნდით ყველა, დებო და ძმებო,
ერთად მივხედოთ ჩვენ საქართველოს,
გადავარჩინოთ ქართული გენი
და ავაყვაოთ მამული ჩვენი!

ჩ ე მ ი ხ ი ზ ა ბ ა ვ რ ა

რატომ მიყვარს ეს სოფელი
მეკითხებით რატომ?!
აქ ხომ ჩემი წინაპრების
დიდი სული სახლობს.
აქ ხომ მათი სამუდამო
სახლია და საძმო.
ყოველი ქვა, ყოველი ხე
მათი ხსოვნით ხარობს...
იმათ ფეხის ნატერფალზე
დღეს ქართველი ხარობს.
მათი სისხლით მორწყულ მიწას
ბაღ-ვენახი ამკობს!
წითელ ღვინით სავსე თასით
აქ გმირების სადღეგრძელოს სვამენ.
ყაყაჩოებს მათ საფლავზე
ნაზი სიო არხევს!
აი, რატომ ვერ ველევი,
აი, რატომ მიყვარს
ვეფერები ყოველ ქვას და
მის მადლიან მიწას!

დ ე დ ა ს

შენ შემაყვარე ერი ქართველი,
შენვე მასწავლე აკვანში ენა,
შენ შთამინერგე ხალხთ სიყვარული,
ჩემო ძვირფასი და ტკბილო დედა!
მე ახლაც მესმის შენი ნანინა,
შენი სიმღერა, თაფლივით ტკბილი,
შენ არ გეძინა დედი ღამითაც,
რომ გაგეზარდა პატარა შვილი.

ღამეს ათევდი ჩვენს აკვნის გვერდით,
რამდენჯერ თეთრად დაგთენებია,
რამდენჯერ დედი გვატარე მხრებით
და ჩვენზე დარდით არ გძინებია.
ჩვენზე ფიქრში და ჩვენზედ ზრუნვაში
შავ თმებში თეთრი შემოგპარვია,
ვერცხლი რომ ბრწყინავს დედი მაგ თმებში
შენი დედობის მტკიცე ფარია!

გაბრწყინდება ივერია

ჩვენთან მუდამ შობა არის,
ჩვენთან მუდამ ზეიმია,
თუმცა გვშია, თუმცა გვტკივა
და ტანიდან სისხლი გვდის....
მტკივა ჩემი აფხაზეთი,
სამაჩაბლო მაჩაბლის
ჩემი ტაო და კლარჯეთი,
ძველთაძველი ლაზეთი
ჩემი საინგილო მტკივა
აქვე გვერდით ვერ ვშველი....
დაკარგული ქართველების
მესმის კვნესა, ქვითინი...
ფერეიდანს რაღას ვერჩით
ოხვრა, გმინვა ჩამესმის,
მემლექეთზე ოცნებაში
თაობები ცრემლსა ღვრის....
არ დაკარგეს ქართველობა
ცისარტყელას ლოდინში,
რადგან სწამდათ, ახლაცა სწამთ,
თუ მას გადააბიჯებენ
მემლექეთში ყველა ერთად
დაბრუნდება ქართველი!!!
უყვართ იმათ ერთმანეთი,
ტრადიცია ქართული,
სიყვარული ერთურთისა
მათ სისხლში აქვთ გამჯდარი!
წვიმის შემდეგ მზე ამოვა,
გაბრწყინდება წარსული,
დაბრუნდება ყველა სახლში ნაწამები, დაღლილი...
იზეიმებს ჩვენი ჯიში და ჯილაგი ქართული,
გაბრწყინდება ივერია კავკასიის პატრონი!

მე მიყვარს მესხეთი

მე ვეტრფი მესხეთს,
ხერთვისს, ვარძიას,
თმოგვის ციხეს და
ქვაბებს ვანისას!!!
მე ვეტრფი რუსთავს,
ოთას, ასპინძას,
ხიზაბავრას და
საროს საფიცარს!
ვეტრფი საფარას,
ზარზმას, ხვილიშას,
ჩიხორიშსა და
ვარანტის ველებს,
ქუნცას, აწყვიტას,
თოკსა და ვარგავს,
წვერის წყაროს და
ჩემს აბასთუმანს!
ვეტრფი ობოლეთს
და ნაქალაქებს,
წუნდის ტბასა და
დედოფლის წყაროს,
მესხეთს უძველესს
და უნეტარესს!!
მე ვეფერები უდეს და არალს,
ჩემს ახალციხეს,
მინაძეს, რაბათს,
მთელ საქართველოს ბაღსა
და ვენახს,
ქართველი კაცის გამრჯე
მარჯვენას!
მეამაყება რომ მქვია მესხი,
იქ დავიბადე, ავიდგი ფეხი,
იქ შემასწავლეს ქართული ენა
და სიყვარული მშობლიურ
ქვეყნის!!!

ვასილ ადეიშვილი - ეკონომისტი
წარმოშობით მესხი, სოფელი ხიზაბავრა

ალიონს...

ამბობენ - თურმე პოეტებს
შემოეცალათ მუზები,
ამბობენ - ლექსად ითქმება
სიცოცხლის მწარე წუთები.
შემოღამებულს მინდორზე
ია-ვარდთან, რომ ზეიმობს
მე ჩავჩურჩულებ ალიონს
ცის-ნამზე გავისეირნოთ.
ცის-კარ თოლების კარდაკარ,
კვალად ცის-მარე დილისპირ
დავიკრეფ მინდვრად ლილიებს
ზღვის ტალღებს ვურთავ ღიმილით.
ნაზი ნიავი ეშაფოტს
ჩამოუქროლებს ხეივნებს,
გულით სათქმელი მოჰქონდა
დაინახა და - ვაიმე
სულ დაბნეულა ეული,
შემოძარცვია ლაბადა,
ისევ მზემ უნდა გაათბოს
რითმების მთელი ქარაგმა.
ამბობენ - თურმე ერთ პოეტს
გამოჰპარვია მუზები
და ალიონზე დამდგარან
სიმშვენით ნაბახუსევნი...
ამბობენ თურმე... შევეშვათ...
გრძნობა რითმებში ეშვება
და განთიადზე დაისით
სალამს გეტყვიან და ისიც
ჩუმად, დარცხვენით დამდგარა
ცელქი რითმების კამარა...

სახელდება

წვიმიან ალიონს დავარქმევ შენს სახელს,
მას შენი თვალების აჰყვება ელფერი
და სევდა ნარევი ღიმილის გადაღმა
კვლავ გამოანათებს მზე - ღამენათევი.

13 ივნისი

მაშინაც ასე ცხელოდა,
მზე ცის კამარას სწვდებოდა,
ბობოქარ ღამის ეპოქას
დილით სითბოთი შველოდა...
მაშინაც ასე ცხელოდა
ცამეტი დილა დგებოდა,
ცად მზის სხივების ერთობას
ანგელოზთ დასი ერთვოდა.
ღამემ დატოვა ნაღველი,
ტკივილიანი სათქმელი,
უკვე ვერაფერს ვერ ვშველით
ჩაქრა სიცოცხლე თვალებში...

მაშინაც ასე ცხელოდა,
ცამეტი დღე თენდებოდა,
სული ზეცის გზას ერთვოდა
გულში დარდები რჩებოდა...
მახსოვს ცამეტის დღე იყო,
ხალხი ერთობამ შეიპყრო,
მახსოვს მრავალი სანთელი
და ლოცვა გულის ამნთები...
მაშინაც ასე მზე იყო,
ივნისის იდგა ფერები,
მას მერე ცრემლით ვიხსენებთ
და ლოცვით მოვეფერებით...

უალაგო...

(მწარე სიმართლე)

გაყალბებულხარ ადამიანო,
გაგიყიდია სულის ტაძარი,
ჩამორღვეული ღობის კიდეზე
შემოძონძილა გმირთა ალამი.
რას ემსგავსები ადამიანო,
სულ წაგიშლია სახეს ხალასი,
ბოლო კაპიკზედ დახარბებულხარ
გადაგიცია მტრისთვის სახლ-კარი.
ძმობა გაყიდე ადამიანო,
ადამის მოდგმის შეგცვლია ფერი,
იუდა იყავ, სისხლმა გიყივლა
გამოაჩინა სახე მეზვერის...
გაყალბებულხარ ადამიანო,
დაგირღვევია შენი ტაძარი,
გამყიდველი ხარ ადამიანო
და საღორეშიც არ გაქვს ალაგი...

ქალი

შენ ზეცამ გძერწა
სინაზე - სირინოზთ მონაბერია,
მთის სურნელების სადარი
ოცნება შენი ფერია.
შენ ზეცამ გშობა - სიცოცხლე
თვით უკვდავების წვეთია,
წყაროს წყალივით კამკამა
შენზე ოცნება გვწვევია.
შენს ღიმილს ვუმზერთ - ნარნარად
ალიონ - ბინდის ფერია,
მთრთოლვარე ბაგით გაჰფანტავ
ცას ნისლი რომ შესჩვევია.
შენ ზეცამ გძერწა
იმედი - შენს თვალში ანარეკლია,
დილის თოვლივით სპეტაკი
სიცოცხლე შენი ხვედრია.

ორი გზა

ზოგს სამოთხისკენ მიაფრენს ნატვრა,
ზოგი ეშმასთან სტუმრობს ძღვენებით,
შემოუდვია მხრებზე სიავე
კიდით-კიდემდე ჰფანტავს ჭენებით.
ზოგი უფალთან შენდობას ითხოვს
და ცოდვებს ნანობს ცხარე ცრემლებით,
ზოგსაც განცხრომის დროება ხიბლავს
და სიდიადე ბილწი ვნებების.
ზოგს საბურველად მანდილი ჩრდილავს,
ზოგსაც სიშიშვლე ათას ფერებით,
ვერცხლის ჩხრიალით ნაყიდი ღამე
და განთიადზე მდორე ფერები.
ზოგს სამოთხისკენ წაიღებს ნატვრა,
ზოგი ჯოჯოხეთს სტუმრობს ძღვენებით,
დამდაბლებული - სიქველემ გასცა
და ამაღლება - ნათელ ფერები

სა-ქართველო

დღეს საქართველო რვალია ბედის,
ბრძმედ-ვაჟკაცების უტყვი სამჭედლო,
ეს საქართველო ნავია ღმერთის
კვართმოხვეული წმინდანთ სამეფო.
დღეს ქართველობა მამაცებს ერჩით,
სისხლ-მოყივარი ვაჟკაცთ სათემო,
ეს ქართველობა კალოა ფეტვის
წელგამართულად უნდა გავლეწოთ...
დღეს საქართველო - თეთრი აფრებით,
ბაირაღებით ხვდება ალიონს,
ეს ქართველობა ვალია ღმერთით
დროა!.. ბრძოლის წინ ხმალნი ავლესოთ.
დავიჩოქებით დედის წინაშე,
ჰო... ღვთისმშობელი მიგვიძღვის კარად,
ბრძოლის ყიჟინით ვდგევართ დიდგორზე
და იერიშით ზე-ცამდე ავალთ...
ჰო... ქართველობა მადლია ჩვენთვის
შარავანდედი გვიფარავს მარად...

ზმანება

ცელქი კაბა ნიავთ
ქროლვას აჰყვა,
აშრიალებს ქარი მაგ
დალალებს ნაზად,
სიო ურცხვად ეფინება
ბაგეთ,
ამბორს ჩუქნის მოცინარე
სახეს.
ვარსკვლავები ციმციმებენ
ღამე,

ჰო - თვალები ამ
უღრუბლო ცაზე,
მთვარის შუქი ირეკლება
ჩქერში
გული ჩუმად სილამაზეს
ეტრფის.
ცელქი სიო, ელვარება
თვალთა
ამ სტროფებში უკვდავებად
დარჩა.

გზავნილი - ქალაქს

ჩემს კუთხეში პოეტები სახლობენ,
შენს კუთხეში მოუთმენლად გველიან,
ჩემს კუთხეში პურს ღუმელზე აცხობენ,
შენს კუთხეში მაღაზია ბევრია,
ჩემს კუთხეში ვარსკვლავები მნათობენ,
მთა და ბარი ეზო-კართან ერთია,
შენს კუთხეში ლამპიონნი ნათობენ,
შემორტყმული ბეტონ-ღობეებია.
ჩემს კუთხეში ქალს მანდილი აბურავს,
შენს კუთხეში არ გაქვთ ამის წესია,
ჩემს კუთხეში გათენებას ნატრობენ,
შენს კუთხეში დღე და ღამე ერთია.
ჩემს კუთხეში ერთურთს ხილვით ხარობენ,
შენს კუთხეში ყველა „სოც. ქცელებშია“,
ჩემს კუთხეში კაცს საქმეთი აცნობენ,
შენს კუთხეში საქმე დოლარებშია...
აქ მთა-ბარი შემორტყმია ხეივნებს,
ჟრიამული ისმის პატრა ბავშვების,
შენს კუთხეს ჩიტის ხმასაც ვერ იგებ,
ჩემი კუთხის მონატრებით იწვები.
ჩამობრძანდი, მოდი, სტუმრად მიგიღებ,
შენ - ქალაქელს გიხმობს სოფლის ხიზნები,
ჩვენს სიყვარულს თუ კი გულით მიიღებ
ჩემს სოფელში მასპინძელიც იქნები...
ჩემს კუთხეში პოეტები სახლობენ,
სიყვარული არის გრძნობა პირველი,
ჩემს კუთხეში ლოცვით უფალს მადლობენ,
თუნდაც ლუკმა ერგოთ ძალზედ მცირედი.
შენს კუთხეში ღიმილი და ცრემლია,
ღალატი და ორგულობა ბევრია,
შენს კუთხეში უმალ ვერცხლზე გყიდიან,
ჯვარს გაცვავენ... სულაც არ განიცდიან...
მასპინძლობა ძველ-ქართული წესია
და ქართველი ყველა კუთხის - ერთია.

***

ყველაფერი არაფერია
ზოგჯერ სიტყვები არაფერია,
როცა ქმედება სხვა საქმეს ხლართავს,
ზოგჯერ საქმენიც არაფერია,
რადგან სიმართლე - თვალებმა გასცა.
ზოგჯერ სიცრუე დასასჯელია
თუ ორპირობამ გული დაღარა,
ზოგჯერ ღიმილი დასაჭერია,
რადგან ტკივილი იყენებს ფარსად.
ზოგჯერ სიტყვები განაბნევია
ცელქი ნიავი დაჰკრეფავს ხარბად
და თვით სამყაროც არაფერია,
თუ სიყვარულის ეშვება ფარდა...

ლამაზი ქალი

მინდა დაგხატო - როგორც ოცნება,
ოცნება - ციდან ჩამოვარდნილი,
მინდა დაგხატო - როგორც ყვავილი
ზამთარში თოვლზე მარტოდ გაზრდილი,
მინდა დაგხატო - როგორც ცხოვრება
ვით ცისარტყელა ფერად აღვსილი.
მინდა გადმოვცე შენი სურნელი
ენით ვერ თქმული, გულში ჩაღვრილი,
მინდა ხმა ტკბილი ვამცნო მსოფლიოს,
როგორც მგოსანის ჰანგნი ფაქიზნი.
მინდა დაგხატო - როგორც პოეტმა,
ყველას ვანახო სახე ნამდვილი,
მინდა დაგხატო ლექსში სტროფებად
უკვდავსაყოფად შენი მანდილის...

ამ ჯერად...

უკვე არ მჯერა გულთბილი ,,პოსტების''
არც სცენის მგოსნების,
არც ტანჯვის მოსმენის.
უკვე არ მჯერა მე ნაზი გრძნობების
არც ლაღი ტრფობების
უმანკოდ მოლხენის.
უკვე არ მჯერა მე სიტყვის მწრთობელის
აზრს მალავს სტროფებში,
არ ტყდება გრძნობებში.
უკვე არ მჯერა მე ტაძრად მლოცველის
გასასრულს რომ ელის,
ტაძარშიც ხორცს ეტრფის.
უკვე არ მჯერა მე ლხინად მყოფელის
გასცემს - და მოელის
ასმაგად მოდენილს...
მე დავიჯერე სიცოცხლე მშობელი
იმ ჩვილის ტორებში
დედას რო მოეკვრის.
მე დავიჯერე გრძნობები მორევში
დაკოჟრილ თოლებით
სიყვარულს მოელის...
მე დავიჯერე პოეტის სტროფების
სულ ბოლო ტაეპზე
კალმით მინაწერი.
მე დავიჯერე მლოცველის ლოცვების
უბრალო სიტყვებით
და ცხელი ცრემლებით.
მე დავიჯერე გულთბილი ,,პოსტები''
მთვარის ჩუმი ტრფობის
მზის თავდავიწყების.
რბილად შევიგრძენი მე ნაზი გრძნობები
ნიავის მოტანილ
ვარდების სურნელით.
მე ბევრი ვიხილე, ბევრიც დავივიწყე
თავიდან ვისწავლე, თავიდან ვიფიქრე,
რაც რწმენა მქონდა და რაც მქონდა დიდება
სულ ქარს გავატანე - ვით თავ-დავიწყება...

მინებს მიღმა...

წერდა ცხოვრებას... ლამაზ ნოტებით ათბობდა ეზოს,
თხრობდა სიყვარულს... გულს იმედების ლამპარი ენთო.
არავინ ჰყავდა... მხოლოდ ლამაზი ოცნება ერგო
და ყველას გაჰყვა მისი ნამღერი ჰანგების ექო...
თხრობდა ცხოვრებას... სევდა უთქმელი თვალებში ერგო,
ცრემლებს მალავდა, რომ სიყვარული ხალხში განევრცო,
გრძნობას ფანტავდა... ტკბილი ჰანგებით ათბობდა ეზოს,
სევდას მალავდა... ლამაზად წერდა ცხოვრების ძნელ დროს.
ისე გათავდა, რომ ჩახუტება ვერავინ შეძლო...
ყველას მოაკლდა... სიტყვა ვერ აღწერს რაც გრძნობით შეძლო...

***

იქნებ დაუბეროს ქარმა,
ძველი ოცნებები ახდეს,
შრომით გადაღლილი გული
ირგვლივ ვეღარაფერს ამჩნევს.
ხავსი მოსდებიათ სიტყვებს,
გარეთ შემოდგომა ხარობს,
ვეღარ შეველიეთ ფიქრებს
ძილში ოცნებებით ვხარობთ.
ისევ ალიონი ცისკრის,
სული აღმაფრენას ნატრობს,
ნეტავ დაუბეროს ქარმა,
სევდა გაატანოს წარსულს...

ალიონს...

დღე თითქოს წამით დაფიქრდა,
ცამ დარდი ნისლად დაჰფინა,
ალიონს ფიქრით ნამიანს
თრთვილის საბანი აჩრდილავს.
შემოღამებულს სარკმელზე
ბინდისფერია სამზეო
მთვარე - შუქჩრდილთა ნავარდით
ესალბუნება პანთეონს.
დღეს თითქოს წამიც გარინდდა,
დრო გაიყინა, ჩაფიქრდა,
სათუთ გრძნობათა არშია
გულს სამშვენისად არტყია...

იუდას სახლობა

უცებ ღალატი შემომიჩნდა რატომღაც გულში,
იუდა სახლობს ყველა ცოცხალ ცოდვილის სულში
და საძიებლად გავემართე ოცდაათ ვერცხლის,
როგორც იუდამ გაიყვანა სავაჭროდ ღმერთი.
ვერცხლის ძიებით გაილია სიცოცხლის წლები
და განიძარცვა სამოსელი ჩემივე ხელით.
უფლის წყალობას ქუჩა-ქუჩა ვფანტავდი ხრეშში
სამოთხის ნაცვლად ჯოჯოხეთის ტანჯვა მომელის.
როგორც იუდამ გაიყვანა სავაჭროდ ღმერთი,
ისე დავდექი შავ ბაზარზე... ნეტავ რას ველი...

ეთერი გაჩეჩილაძე - ექთანი
ახალციხე, სოფელი აწყური

ვეტრფი

გაზაფხულს ვეტრფი, გასაშლელად ამომსკდარ კვირტებს,
ნაზამთრალ ხეზე გასაფრენად ჩამომსხდარ გვრიტებს,
ისევ დათოვლილ კავკასიონს, ქათქათა მყინვარს
გამაცოცხლებელ მტკვარს და რიონს, ნარნარად მდინარს.

ვეტრფი სამშობლოს მთებს და ველებს, ნაომარს წლობით,
დედაღვთისმშობლის მეტად მეტყველ დალოცვას გრძნობით,
ჩვენი მზე-ქვეყნის სასახელო ჯიშსა და ჯილაგს,
გენში ჩატეულ საქართველოს მზის სხივთა ციაგს.

მიყვარს მაისი-გაზაფხულის მეფეა თვეთა,
ბინდი, დაისიც-განსაზღვრული ფერებთა კვეთა,
დილის აისი, როცა შაშვი ჭახჭახით გალობს,
რომ არ შევყურებთ დროს და მანძილს, სალამიც გვათბობს.

ვეტრფი ყვავილად ამოხეთქილ ხეხილის ტოტებს,
ახლად ამოყრილ, გადმონერგილ ნედლი ხის ყლორტებს,
ჩემი სამშობლოს მზიან ზეცას დალოცვილს ღვთისგან
და მის მიწა-წყალს დიადს, მედგარს ნაწრთობი ხმლისგან.

დაუნამია ცრემლებს სტროფები

დაუნამია ცრემლებს სტროფები,
დაუმჩნევია ფურცლებზე ლაქა.
გულს ჩაკეტილი ძველი გრძნობები
გაღვიძებია, ეტყობა აქაც.

ზამთრის გრძელ ღამეს სცვივა ფიქრები,
ასოებს ხატავს კალამი ნაზად
და იწერება ფუჭი სიზმრები,
აუხდენელი ოცნების ფაზად.

განთიადამდე სწვდება წარსული,
მოგონებები გონებას ძაბავს.
დარდი და სევდა ცამდე ასული
მოქუფრულ ზეცას წუხილით ჰბაძავს.

განცდით იქმნება ღამის ლექსები,
ნაბიჯებს ზოგჯერ ბარბაცით ადგამს.
თვალსაც წვეთ-წვეთად დასდის ცრემლები
და ატყობს ფურცლებს სისველით ნადგამს.

სარკმელზე ჩნდება დილის აისი,
სისათუთე კი, მინებსაც ნამავს.
გაზაფხულდება, მოვა მაისი,
ენძელა, ია თვალებს განაბავს.

ცრემლები მაინც დასწვდება სტროფებს,
მაინც დაამჩნევს თეთრ ფურცელს ლაქას
და გულს შენახულ უნაზეს გრძნობებს,
ისევ დაატყობს ნამჟღავნებს, აქაც.

მორჩილი ვარ

შენთან მინდა მოვიდე და გნახო,
ჩემს გულში კვლავ, რომ ისევ ჩაგსახო,
უნდა გკითხო, რად მატარებ მარტო,
მე ხომ ყველგან დაგატარებ, გნატრობ.

ფიქრში ზოგჯერ ჩამოვდივარ ველზე,
შენ კი, მძივებს გამომიკრავ ყელზე,
ხელებს მოგხვევ გადასალტულს, მხრებზე
და გვირილით გადაფარულ მკერდზე.

მალე ისევ გადმოგივლი ფიქრად,
ზამთრის ღამეს ჩამოგითვლი ფიფქად,
დილით ადრე გამოვივლი მინდვრად,
ისევ შენსკენ ჩამოვივლი ჯიბრად.

დაგიტოვებ გულის კარებს ღიას,
შეგადარებ სულში დარებს, იას,
მოგატარებ სურვილნარევ მზისდარს
და ადრიან უფლით ნათელ ცისკარს.

მაგრამ მგონი აირია გზები,
აღარ ისმის, დაღლილია ხმები,
ვეღარ მოვალ, დათვლილია წლები,
სულ ბრძოლებით დაშლილია ძვლებიც.

მორჩილი ვარ უფლისა და ღმერთის,
დავიცალე უღლისაგან ერთის,
დამისუსტდა გული, რადგან ფეთქვით
და ტკივილით სული ახლა მეწვის.

მაშინ კი, როცა ვარსკვლავცვენა იწყება ციდან

აღარც მზე ჩანს და არც სხივები, გაფითრდა ზეცა,
საღამოს ბინდი შეეპარა ფანჯრების მინებს,
ალბათ სიავდრე ენიშნა და ჩაფიქრდა მზეცა,
რადგან სიჩუმით ჩამოაწვა სათქმელი მიზნებს.

უმთვარო ღამეს ნუ უხურავთ დარაბებს მუდამ,
ვინ იცის იქნებ რა აწუხებს ან რამე უჭირს,
ან იქნებ ზურგი შეაქცია ბარათებს მუზამ
ან მნათი სხივი დაეკარგა და ძალზე უკვირს.

მაშინ კი, როცა ვარსკვლავცვენა იწყება ციდან,
ღამით მკრთალ შუქზე აჩრდილები დარბიან ქარში,
მთვარე ფხიზლობს და ვერ ისვენებს, იღვრება მთიდან,
რადგან ზოგს უნდა გაუნათოს გზა ღია კარში.

ღამის სიბნელე გრძნობებს უწვავს მარტოსულთ ძლიერ,
მისი სიმძაფრე დაბრძანდება კუთხიდან კუთხეს,
გადარჩენილ წლებს ისე უხრავს ჩამოცმულ იერს,
რომ ავიწყდება ის რაც წეღან, მწუხრისას უთხრეს.

გრძელდება დიდხანს, იწელება დრო, დარდი ღამის,
ფიქრი კი გულში, უძილობით ტკივილებს აჩენს,
ისე დაკარგა ამ ქვეყნიდან წვდომა გზის ლამის,
რომ ვერც აწმყოში დაუბრუნებს ღიმილებს დამრჩენს.

ქარია გარეთ, შიშველ ტოტებს ახეთქებს კედლებს,
შიში და დაღლა დამატებით ართულებს განცდებს,
ხმაურით კვნესის სიბნელე, რაც ახელებს ხევებს,
თითქოს ვიღაცის დავალებით ასრულებს წამებს.

პოეტი

როცა ლექსით სიყვარული მღერის,
თან ეტყობა სიხარულიც წერის,
პოეტს დარდი მზის სხივებთან აჰყავს
და სიტყვები ცის კიდესთან გაჰყავს.

როცა ის სხივს ხელს ღიმილით უწვდის,
მადლობასაც დღეს სიცილით უხდის,
მაშინ სტროფსაც სილამაზით ხატავს,
მის თხრობასაც სითამამით სახავს.

როცა სევდა ლექსებიდან წვეთავს,
ხოლო გული ცრემლებისგან ფეთქავს,
შემონახულ ამოსათქმელ სათქმელს,
ის ადარებს ჩამოსაქნელ სანთელს.

იქნებ რად წერს,რატომ ავსებს ფურცლებს,
სად აცილებს მაღლა ცაზე ღრუბლებს,
ნეტავ ვინმე თუ გაუგებს ნატვრას
ან მის დარდებს თუ დაუწყებს დაღვრას.

პოეტს ამ დროს ნეტავ გულში რა აქვს
და ფიქრები რომელ სურვილს დააქვს,
თუ ოცნებით მაინც არსად დადის,
აბა, ცრემლი სტრიქონს რაღად დასდის.

მაგრამ თუ კი მიუხვდებით სათქმელს,
მის გულშიდაც მიუწვდებით სარკმელს,
თქვენთვის სითბოს გაიმეტებს წამში
და არასდროს აღარ გაგცვლით სხვაში.

რა შეედრება მშობლიურ მხარეს

თენდება დილა, დგება აისი,
სიცოცხლეჩქეფს და ფეთქავს მაისი,
გამოაფხიზლა ზამთრის ძილიდან,
ბუნება ძვრება საბნის პირიდან.

რა შეედრება მშობლიურ მხარეს,
რომ ეფერები შორს ციურ დარებს,
მხტუნვარე ცელქებს მზის სხივებს ველზე
და ნამის წვეთის ღიმილებს ხელზე.

ჩიტების სტვენას,გალობას ხიდან,
ეს მშვენებაა, წყალობა ღვთიდან,
მწვანე სამოსით მორთული ტოტი,
კვირტით ნაფეთქი,, ლომგული" ყლორტი.

ცისკრის ვარსკვლავის დანახვას რა სჯობს,
სოფლის ცის თაღზე ან სხვაგან ნაჯობნს,
მონაბერს მთიდან გრილ ქარს და ნიავს,
დარდს რომ გაშორებს და სადღაც მიაქვს.

ანდაც სოფელში ყოფნას ზამთარში,
რომ გეგონება თოვა ზღაპარში,
მაშინ გზებიც კი თეთრად ქათქათებს,
როგორც ნაფენი კლდეთა ქარაფებს.

შინ კი, ბუხარი გუგუნებს თბილად,
შეშა ტკაცუნით ღუღუნებს წითლად,
უკეთესს რომელ დროს ნახავ სადმე,
ვიდრე სოფელი რომ ხატავს რამეს.

რა ლამაზია ხეობა

დილით მტკვრის ჩურჩულს ვუსმენდი,
თითქოს სიყვარულს მიხსნიდა.
ტალღების დუდუნს ვუთმენდი,
რადგან სიხარულს მიძღვნიდა.

თუმც დილაობით გამვლელებს,
გულში მწველ ისრებს უყრიდა.
ნაპირზე ხეებს ჩამვლელებს
უნდობლად ძირებს უთხრიდა.

ტირიფს, ვერხვსა და ალვის ხეს
ფოთლები კვნესით სცვიოდათ
და დარდით ყველა ნაწვიმ დღეს,
ნიაღვრად ცრემლი სდიოდათ.

თავს ნისლი დაჰფარფატებდა,
ეფერებოდა მძინარეს
მზის სხივიც დასთამაშებდა
მოჭიატე და მცინარე.

გვიან ზოზინით თვალები
გამოახილა მზის დარზე.
აახმაურა ტალღები
ამოთენებულ ცისკარზე.

რა ლამაზია ხეობა
ნაპირზე მდგომი ხეებით.
ყველას მოჰყვება მეობა
შემონახული დღეებით.

მობუზულია სიცოცხლის ყლორტი

როგორ უხდება ტექსტიან ფურცლებს
ხელში ნაჭერი კალამი ცერად
და გულში ჩამწვდომ სევდიან ზღურბლებს
გადმომავალი ნათქვამიც, ბევრად.

პოეტი რომ წერს, გასცქერის შორეთს,
თითქოს'და ბინდი აწვება თვალში,
მოძებნილ ფერს და ნაწერის მორევს
ნაფიქრი რითმით გაჰყვება კვალში.

რატომ უელავს ცრემლების წვეთი,
რატომ ევსება თვალები ნისლით,
ჯერ არ დადგება შედეგი ერთით,
მაგრამ მოხვდება ალების ხიბლი.

ფურცელს ეცემა ცრემლები მსხვილი,
ასოებს ურევს გზასა და მიზანს,
კვლავ ეწერება ლექსები ჰქმნილი,
რასაც აკუთვნებს გზასაყარს მიმყვანს.

ცა კი დამშვიდდა, თვითონ ხის ტოტიც,
თუმცა მშფოთვარე გული ძლივს ფეთქავს,
მობუზულია სიცოცხლის ყლორტი
და გაზაფხულის სურვილი ლეწავს.

ისევ შეგროვდა ღრუბლები ზეცას,
ნაძარცვ ოცნებას კალამი მისდევს,
ახლა მეგობრად ფურცლები მექცა,
სადაც გრძნობებსაც ბანცალით მივდევ.

არავინ მითხრას...

არავინ მითხრას, დრო რომ უკვე გავიდამართლა,
ვეღარ შევწვდები ვეღარასდროს ცას სხივთან, მაღლა,
რომ არ შემფერის სიცელქე და თამაში, ხტუნვა
და ვერც ვერასდროს გამაღიმებს თამამი ზრუნვა.

არავინ მითხრას, ზამთარი რომ ჩამოდგა, ცივა,
ვერ მივეჩვევი, თუ მთა-ბარში გამოჩნდა ყინვა,
თუ ან ოცნებებს დაეკარგა უნარიფრენის,
ან ჩემს გრძნობებსაც დაემართა ,,უარის" სენი.

არავინ მითხრას, რომ დასრულდა ლამაზი წლები,
რომ თეთრმა ფერმა გადამფარა ნაშალი თმები,
რომ ვეღარ შეძლებს ყმაწვილივით სიმღერას გული
და ვეღარც მივა სანუგეშოდ სიმებთან სული.

არავინ მითხრას, რომ გრძნობებზე მაღლა დგას ნება,
რომ ყველა ნატვრა, ოცნებები გაქრა და დნება,
რომ სიყვარული ჩაატარა, წაიღო წლებმა
ან როგორც თოვლის ფანტელები დაიდნო მთებმა.

არავინ მითხრას, რომ ვერ ავალ მწვერვალზე ფეხით,
უკვე ასაკით რომ გავარდა ზეცაზე მეხი,
ვეღარასოდეს რომ ვერ შევძლებ გავშალო ფრთები
ან ჩამომცვივდა ღონიერი და ფართო მხრები.

არავინ მითხრას, დრო რომ უკვე გავიდა მართლა,
ვეღარ ავიხდენ ჩემს ოცნებას, გაფრინდა მაღლა,
არ დაბრუნდება სიყმაწვილის ფერი და განცდა,
ნეტავ არ მეთქვა...ახლა ვნანობ... ერთიც რად დამცდა.

თორნიკე ბერიძე - ფილოლოგი
დაბადებული ახალციხეში

წუხელ სიზმარში ვიხილე

წუხელ სიზმარში ვიხილე
შეხვედრა მზის და მთვარისა
მიუალერსა მზემ მთვარეს,
იმედი ვიგრძენ ხვალისა...

დიდხანს გაგრძელდა სიზმარში,
ალერსი ჩუმი ღამისა
მზემ მალე გაქრა,თუმც კვალი,
დასტოვა ნიაღვარისა...

ცრემლმორეული ზის მთვარე,
ნიშან არუჩანს დარისა
სხეულს კანკალი გაუდის,
სუსხია იანვარისა...

თან მარტოობის ხმა ისმის
მაღლა მთის, დაბლა ბარისა
მწუხრი,ნაღველი,ტკივილი
პოეტურია ღამისა...

მთვარემ მიზეზი გამანდო,
შეხვედრის მზის და მთვარისა
ყოველ ღამობითო მსტუმრობსო,
მეგობარია ღამისა...

შემოქმედია,როგორც მე,
ხოლო მუზაა კალმისა
დღის ანგელოზი სხივად ჰყავს,
პოეტურ არე-მარისა

დღის დარდებს თავად მიყვება,
ხოლო მე შუაღამისას
ეს ღამე მალე გათენდა
ვერ მოვუსმინე თავისას...

ფიქრ გატაცებულ ღამეში,
შეხება ვიგრძენ ქალისა...
თვალ ავახილე, რას ვხედავ?!
დამნანათის მზე ვარსკვლავისა.

გზა მესხეთიდან სამაჩაბლომდე

ძნელი აღმოჩნდა გზა მესხეთიდან
თუმც კი უარესს აწი მოველი
გადმოვიარე კლდენი და ტყენი
სამაჩაბლომდე ისე მოვედი.

თან წამოვიღე - ხერთვისის ციხის,
თმოგვის,რაბათის თბილი სალამი,
ვერ მაჩერებდა უღრანი ტყე და
ჯერ გაუკვალი გზები სავალი.

ვერ მაჩერებდა ტყვიების წვიმა,
უღმერთო სახით ერის მავანი
ვყვიროდი ძლიერ, ჩემო სამშობლო!
გადამირჩინე შთამომავალი...

ვკოცნიდი მიწას,ვყვიროდი ძლიერ,
მიწავ შენა ხარ ჩემი წამალი,
თურმე სიზმრებში შემომათენდა,
დილის ჟამს მივხვდი - ყივის მამალი.

გამომეღვიძა, როგორც სასიძოს,
ხელში მეჭირა ტკბილი - ალავი
არც სამაჩაბლო აღარ მოსჩანდა,
და არც თაობა, გმირთდამკრძალავი.

პოეტები არ კვდებიან მეგობარო

პოეტები არ კვდებიან მეგობარო!
ასე უთქვამთ, იცვლიანო მხოლოდ ბინას,
კალამს ვინც კი ხელის მოსდო აღვიძებსო,
გალაკტიონს - უკვდავებას სულში მძინარს.

არ კვდებიან პოეტები მეგობარო!
თაფლს ასხამენ, მარადიულ ფრაზებს ფრთიანს,
სიყვარულს, რომ უანგაროდ გადასცემენ,
დავესესხოთ მაგ გრძნობებში ასათიანს.

არ კვდებიან შემოქმედნი მეგობარო!
უკვდავების სტატუსი აქვს გმირს,ხელოვანს,
არ შეგვრცხვება,გარდაცვლილი, რომ ვუწოდოთ,
ფრონტის ხაზზე მიძინებულ გმირ გელოვანს?!

ან ვაჟაზე, როგორ ვიტყვით გარდაცვლილი?!
ან აკაკი,როცა სტროფი ისევ გალობს,
როცა შვილებს ტიციანის სტროფზე ვზრდით და
მამულს გული,ტაბიძესი ლექსით ჰყვარობს.

პოეტები არ კვდებიან მეგობარო!
ვინც იწამა კვდებიანო, ყველა ნანობს,
ვინ გაბედავს ხელოვანის მიძინება,
სამუდამო სიკვდილს ოდეს მიამგვანოს?!...

***

ნიღაბ აფარებულ სახეს
თბილი ღიმილები შვენის
თვალებს რა დამალავს ნეტავ
ვაჟას- გულმოკლული შველის

გრძნობას რა დამალავს ნეტავ
როცა მუზა გსტუმრობს წერის
ცრემლი დაუმალავს ნეტავ
შოთას-სიყვარულის წერილს...

ყველა ემიგრანტს...

წლები გადის უცაბედად გადის,
წლებს მერწმუნეთ შებრალება არაქვს,
სხვა მიწიდან ჩემს სამშობლოს ნატრულს,
ჩემი მიწის,სიყვარული დამაქვს.

დამაქვს დარდი,ტკივილები დამაქვს
ენა დამაქვს ქართულად,რომ მიმღერს,
ქართველივარ სადაც წავალ ყველგან,
ჩემი გული სულ ქართულად იძგერს

იძგერს გული სამუდამოდ იძგერს
მენატრება მე ქართველი ერი,
საქართველო,ჩემო საქართველო,
სხვა მიწაზეც,მხოლოდ შენ გიმღერი.

ღმერთო კმარა! შემიბრალე ღმერთო
ტკბილი წლები ისევ დამიბრუნე,
სხვა მიწაზე დავიღალე ღმერთო
ჩემს მიწაზე,მალე დამაბრუნე.

ისევ მინდა მოვეფერო დედას,
ისევ მინდა ჩავიხუტო შვილი,
ისე ძლიერ ნატრულივარ ქვეყნის
ჩემს ქვეყანას,ფეხით შემოვივლი.

მახსოვს, როგორ მიმღეროდა დედა,
მახსოვს,როგორ მიღიმოდა მამა
ისევ მინდა სხვა მიწაზე დაღლილს
გავიგონო,ტკბილი იავნანა,

თმას ჭაღარაც შემეპარა უკვე,
დარდისგანაც ვხვდები ვვუძლურდები
მე გპირდები ჩემო საქართველო
სიკვდილამდე,შენ თანდავბრუნდები.

ერთხელ ბილიკზე შემომიღამდა

სწრაფი ნაბიჯით ბილიკზე მავალს,
ჩირაღდნად მთვარე გზებზე კიაფობს
სხეულში სულთან ორთაბრძოლაა,
ვითხოვ სხეულმა სულს კვლავ მიათბოს.

შემომიღამდა ვალს მადებს მთვარე,
და ვარსკვლავები ამბებს მიამბობს
როგორც გითხარით სულში ბრძოლაა
თითქოს ეს სული ტალღებს მიაპობს.

აღარც მზე მინდობს და აღარც მთვარე
სულში ვარსკვლავიც აღარ დიადობს
დაცარიელდა სითბო,ნუგეში
კვლავ ჩუმად ვიწყებ ღმერთთან დიალოგს.

პოეტურად

პოეტურად ავმღერდები,
სტროფებს ვიტყვი წარა-მარა
გთხოვთ ნუ მიწყენთ პოეზია
მე ტაბიძემ შემაყვარა....
რითმის კონა სულში მიზის
უსაზღვროა სტროფის ძალა
ნიღბის უკან სახეს ვხედავ,
თუმც,ღალატმაც ვერ დამცალა
სტროფმა სად არ მიმიყვანა?!
მომატარა გზები შარა
ორპირსაც კი ჩამახუტა,
მიწა ცოცხლად დამაყარა.
მტრის თვალებში ჩამახედა,
სული მოყვრის ამაფარა
დამანახა მეგობარი,
არ დამინდო, არ მაკმარა
ცხელი ტყვია სიმართლისა,
მწარედ, შუბლში დამახალა,
მაგრამ სტროფის სიყვარულში,
ვერც დამცალა, ვერც დამღალა.
ერთხელ ზეცად ამიყვანა,
სიყვარული დამაბარა
ერთხელ მიწას დაცემულს კი,
ამბიცია დამაბრალა.
სტროფმა სად არ მიმიყვანა
მომატარა გზები შარა
მომღიმარი შავი ნიღბით,
ბოლოს თავი შემაყვარა...

სატრფიალო - ირაკლისა და მაიას სიყვარულს...

მესხეთიდან ვარ, ძღვენად მოგართვით!
ხერთვისის,თმოგვის თბილი სალამი,
ფრაზებს მესხეთი მკარნახობდა და
მწერალი გახლდათ ჩემი კალამი...

ვარძიამ ლოცვით შემოგითვალათ
შვილი აღზარდეთ როგორც თამარი,
როგორც დემეტრე, როგორც ერეკლე,
ან გუარამი ,,ერისმთავარი“...

ოქროს ციხეც კი თქვენს გრძნობებს ლოცავს
გლოცავთ ზარზმა და გლოცავთ ,,ჭულევი”.
არ მოგკლებოდეთ ლოცვები მზისა
წრფელი გრძნობები გქონდეთ ულევი.

თქვენ ნინოწმინდის კალთები გლოცავთ!
ჯავახეთს გმირთა გზები ნავალი,
აბულის ციხე,ჭიქიანის მთა,
ტბა საღამოს და ტბა ფარავანი.

გლოცავთ მესხეთი, მესხური სიბრძნით
ძველი ლომსია დღეს კი რაბათი
თქვენ ადიგენის ჰაერი გლოცავთ
და ახალციხე გმირთა ქალაქი.

ინასარიძე ნინო - სტუდენტი
ასპინძა, სოფელი ჭობარეთი

მესხეთი

საქართველოს ყველა კუთხე
ერთმანეთზე ლამაზია,
რომ მოივლი ყოველივეს,
ვეღარ წახვალ, ხაფანგია.
მე მესხეთში გავიზარდე,
ღმერთმა მარგო ჯილდო წილად,
რომ მაჩუქა მე სიცოცხლე,
სამცხე-ჯავახეთის შვილად.
ამ მხარეში ყველა სეზონს
გულში სითბო,დარი მოაქვს ,
ზამთარსაც კი ,რომ შეხედავ,
თითქოს გაზაფხული მოჰყავს.
ფერად მესხეთს ,ვახ, რამდენი
მტერი, ომი ,ცუდი ახსოვს,
მაგრამ მაინც ერთი ძალით,
ერთად ყოფნით ისევ ხარობს.
შემოდგომა საოცარი
მრავალ ფერთა ნარევია,
უცხო კაცსა აქ ჩამოსულს,
ლამის თავგზა არევია.
ტაძრები აქვს უამრავი,
სულ ძვირფასი ერთმანეთზე,
როცა ყველას მოილოცებ,
მაშინ ფიქრობ მაღლა ღმერთზე.
გვაქვს რაბათის დიდი ციხე,
სილამაზით სახელ თქმული,
ძალზედ ძლიერ გაუთბია,
მესხი ხალხის დიდი გული.
ხერთვისი და თმოგვის ციხე
ლამაზია შესახედად,
ბევრი მტერი შემოჰყრია
სამწუხაროდ მათდა ბედად.
დავით თამარს შემოსძახა,
სად ხარ შვილო?! აქ ვარ ძია!
ამის შემდგომ დარქმევია
საამაყოდ მას ვარძია.
აქ ქარიც კი სხვანაირი,
საიმედო და უცხო ქრის,
რაც კი ჩვენი საქართველოს
მცირე ისტორიასაც ქმნის.

მამა

სულ პატარა ციდა გოგო,
როცა ხელში ამიყვანა,
თითქოს ასე ჩემი ყოფის,
ყოველი გზა გამიკვალა,
ვიცი მუდამ ვედარდები,
ფიქრი დააქვს ჩემზე დიდი,
უნდა ფეხქვეშ გამეფინოს,
ჩემთვის იყოს გზა და ხიდი.
ყველა ჩემი წარმატება
უპირველეს მას ახარებს,
თანაც ჩემი გულის სევდა,
მასზე მეტად ვის ადარდებს?

მამაჩემის გასახარად
მინდა უფრო კარგი გავხდე
მისი თხოვნაც არის,
ერთი საამაყო შვილი ვყავდე.
თვის სიყვარულს ის ჩემდამი,
სიტყვებით არ ლაპარაკობს,
მამაჩემის გვერდში დგომა,
ამ სიტყვებზე მეტსაც ამბობს.
გამიმართლა! მამა მიდგას
დღემდე გვერდით ურყევ კედლად,
მეტი ქვეყნად რა ვინატრო?!
მას, რომ ვხედავ ჩემს დამცველად.

აკრძალული ხილი

მესხი ქალის სიყვარული
გულზე დაღად დამმჩნევია,
ვიბრძოლო და არ დავნებდე,
სხვა გზა აღარ დამრჩენია

ყველგან მისი ერთგული ვარ,
სადაც მიდის ჩემი გზები,
სულ,რომ უარს მეუბნება,
მაშინ ძლიერ ცუდად ვხდები.

რომ შევხედავ მის თვალ-წამწამს,
მუქს ,მიმზიდველს,გიშრის თამამს,
ამოდენა სიყვარული,
ვფიქრობ გულით,როგორ დამაქვს?

თმის სურნელი გაჟღენთილი
ვარდის ფურცლის მსგავსი დაჰკრავს,
ვინცა გინდა ეს შეიგრძნოს,
ალბათ იქვე გონს დაჰკარგავს.

რა არ ვცადე,მივდექ ,მოვდექ,
ლამის მუხლის ჩოქს დავუდექ,
არა ,წადი ,ჩემგან ბიჭო,
ისევ შენს გზა-კვალს გაუდექ.

ემიგრანტი

საქართველოს ნამდვილ შვილებს,
ქვეყნის სიყვარული დააქვთ,
მაგრამ თავი საზღვრებს გარეთ,
შრომითა და ჯაფით გააქვთ.
ამ ცხოვრების შარა გზებმა,
სადღა აღარ წარიყვანეს,
სულ ბოლოს კი თვისი ქვეყნის
ფარგლებს გარეთ გაიყვანეს.
რა რთულია მოსწყდე მიწას,
სადაც გშობა ტკბილმა დედამ,
თუმც ცხოვრებამ წაიყვანა,
ძალიან შორს მათდა ბედად.
წასულები ცხრა მთას იქით
სხვის მიწაზე ოფლსა ღვრიან,
დარდი დააქვთ გულით დიდი,
შვილებს მათსას სხვები ზრდიან.
მონატრება ძვირფას მიწის
გულსა უკლავთ ძალზე დიდად,
თუმცა საქმეს აკეთებენ,
დაუღლელად,მეტად მშვიდად,

ეს სიმშვიდე მიზეზია
სამშობლოში დაბრუნების,
რასაც ქვეყნის და ოჯახის
დიდი სიყვარული შვენის.
ემიგრანტის გული ახლა,
გამალებით და უფრო ცემს,
როცა ქვეყნად დაბრუნდება
ის გაჰყვება მლოცველის ხმებს.
ყველა ტაძარს შემოივლის,
მუხლის ჩოქზე შეუდრეკად,
დაღლა არა შეეტყობა
მოილოცებს შეურყევად.
გაიხსენებს როგორ მოსწყდა
მის ქვეყანას გულის ტკენით,
როცა მისთვის იბრძოდა და
ხმალს იქნევდა დიდი თმენით.
ემიგრანტი საქართველოს
სამუდამო ტკივილია,
თან მიზეზი ძლიერების,
გულის-სულის ყივილია.

***

შენთვის გავჩნდი ქვეყნად? თუ შენ ჩემთვის დედავ?
რა სიტყვებით მოგილოცო ეს დღე ტკბილო ნეტავ...

სურვილი მაქვს ერთი, სულ რომ ვიყოთ ერთად,
გწამდეს მუდამ დედი,მე აღგიქვი ღმერთად.

შენი თვალის მუქი ფერი,სითბოთია გაჟღენთილი,
ჩემი გული კი შენს მიმართ,სიყვარულით გახეთქილი.

ამ პატარა ,თბილი ტექსტით ,დაბადების დღეს გილოცავ,
ყოველ განვლილ წელსა და თვეს,სიყვარულით დაგილოცავ

საქართველო

ირგვლივ არსად მეგულება
ჩემი ქვეყნის მსგავსი რამე,
რომელსაც,რომ უთევია
მომავლისთვის ბევრი ღამე.
კაცი ისე ფეხს არ დადგამს,
ამ მიწაზე ხმლის გარეშე,
ჯარისკაცი საქართველოს
პასუხს აგებს მსგავს თარეშზე.
ვინღა აღარ შემოვიდა,
ყველას ქვეყნის წილი მიაქვს ,
ჩვენ კი ჩვენი ვაჟკაცების,
საფლავებზე ვარდი მიგვაქვს.
შენ სამშობლო ჩემო ერთო,
ვაზის მხარევ, საქართველო!
ყველასათვის მოსაწონო
ერთადერთო ,,შაქარ ველო".
ვიღას აღარ დაუცვიხარ ,
ოდითგანვე დიდსა კაცსა,
გურამიშვილს,თაყაიშვილს,
მეფედ თქმულსა ილიასა.
მიწა ვინ აღარ წაჰგლიჯა,
მონღოლმა თუ თურქის ჯარმა,
ლამის ზეცაც ჩამოაგდეს
რუსის დამანგრეველ რაზმმა.
გვაძლიერებს ჟინი ბრძოლის,
ნიჭი ცეკვის ლექსის წერის,
ქართველ ქალსაც დღემდე
თავზე სინდისის მანდილი შვენის.

სიყვარული

სიყვარული მშობელია
დიდზე დიდი ოცნების,
სიყვარული მუზა არის
ჩვენი დიდი მგოსნების.
სიყვარული რთული არის
კენწეროში იბუდებს
და თუ მისთვის თავს დადებ,
არასოდეს გიმტყუნებს.
სიყვარული ომია,
კაცი თავსაც გასწირავს,
ვისაც იგი უგვრძნია,
მიხვდება ეს რას ნიშნავს.
სიყვარული სიცოცხლეა,
მისი ნაკლი-სიკვდილი
და როცა მას ღალატობ
არის დიდი სირცხვილი.
სიყვარული ცაზე მზეა,
მის გარეშე სიბნელე,
ნურასოდეს შეგაშინებს
მოპოვების სიძნელე,
სიყვარული წყურვილის დროს
დასალევი წყალია,
სიკვდილისგან იხსნას კაცი
მისი დიდი ვალია.
სიყვარული ერთგულება,
სამომავლო კვალია
ვინცა მასზე უარს იტყვის,
ის უდაოდ მხდალია.

***

ხშირად მაღლა ვიყურები
ცას შევყურებ თვალუწვდენელს,
თითქოს სულაც მას ვატანდი
ჩემს ოცნებებს აუხდენელს.
ამ ცხოვრების ბევრი წელი
მე სულ მარტომ გავატარე,
გახდი ჩემი მეგობარი,
თქმა ვერავის ვერ ვაკადრე.
გზაზე ბევრი ცუდი დამხვდა,
უფრო ცუდიც თავს გადამხდა,
მარტოდ უნდა გავუმკლავდე,
სხვა მეტი გზა აღარ დამრჩა
ბევრჯერ მწარედ ძირს დავეცი
სამშვიდობოს ძლივს გავედი,
ესეც მხოლოდ იმ მიზეზით,
მეტზე-მეტი ,რომ გავეცი.
მაგრამ დარდი ამის არ მაქვს,
თავი წრფელი გულით გამაქვს
თანაც ქვეყნად სულ ყველაზე
ფიქრად მუდამ კარგი დამაქვს.

სადღეგრძელო

მოდი შევსვათ სადღეგრძელო, მეგობრები ვადღეგრძელოთ,
ტკბილი სიტყვებით შევამკოთ ,შემდეგ ლხინი გავაგრძელოთ
უფალს შევსთხოვ კარგად იყვნენ,ფეხზე მუდამ მყარად იდგნენ,
ყველასათვის საამაყო,ძვირფას ,ქვეყნის შვილად იქცნენ
მინდა ჩემო ძვირფასებო, ეს სასმისი თქვენ მოგიძღვნათ,
და ისეთი რამ გისურვოთ,რაც ყველაფერს კარგს მოგიტანთ
საამაყოდ აღარ მყოფნის თქვენი ჩემთან ახლოს ყოფნა,
მარად ასე ერთად ვიყოთ,ეს იქნება ჩემი თხოვნა.
ბედს ვერაფრით ვემდურები,დარდის დროსაც კი არ მაცდით
მოვიწყინო თუნდაც წამით,რომ გიყვარვართ და მაფასებთ
თქვენ ამტიცებთ ყოველს ამით.
გადღეგძელებთ!
გადღეგრძელებთ!
გაიხარეთ მეგობრებო,სულ ყველაზე მაღლა მდგომნო ,
ჩემი გულის დებო,ძმებო!

***

რთულია მუდამ მარტომ იარო ,
რთულია იყო ძლიერი მარად,
ბევრი რამ უნდა გამოიარო
ფეხი რომ დადგა ძლიერად,მყარად.
ვარდით მოფენილ უეკლო გზაზე,
რომ მივდიოდი ჩემთვის თამამად,
ფეხი დამიცდა,იქვე დავეცი ,
ვერ გავიარე ისევ ამაყად.
თურმე ბრძოლაა ბევრი საჭირო,
ცხოვრება გქონდეს შენთვის სალხინო,
პირველი მაინც უფლის რწმენაა,
რომ ქვეყნად ვერვინ,ვერსად გასწირო.
ლაბირინთს მოჰგავს ცხოვრების გზები
,სადაც უამრავ პრობლემას ხვდები,
და როცა ფიქრობ უცებ გადავჭრი,
სწორედ ამ ფიქრში ძალიან ცდები,
ცხოვრება ომი,ომზე ომია,
მეტად რთულია ვიდრე გგონია,
ფხიზლად უყურო და მყარად იდგე,
ჩემგან იცოდე,შენთვის სჯობია.

შორენა კაპანაძე
ახალციხე, სოფელი ანი

***

სიზმარში თვალებზე ცრემლად მოგეკერები,
ამაზე მეტსაც გაუძლო უნდა
და თუ გასაფრენად გამზადები
გადმომიყარე ზეციდან ხურდა...
სამოთხის კარზე ჯოჯოხეთი წვიმს,
არვიცი ნეტა ამხალხს რაღა ცვლის?
ხმაურს კი ისევ ვაკუმი ცვლის
დედა ათასგვარ ნივთებს ყრის
ძველმანებს,ძონძებს
ნაფრონტალ წიგნს.
სიზმარში თითქოს რაღაცას თვლის
მარიგებს ისე რამელის წინ.
ალაგებს ახლებს
ამაზე საუბარს არზრს აღარ აძლევს
იღიმის, დუმს მიღიმის ის.
იდგა სიჩუმე და ყველა ბგერა
სადღაც ბნელში იკარგებოდა
მე კი ვიდექი გაქვავებული,
ვგრძნობდი, რომ მალე გათენდებოდა.

დარიგება

თვალებში ნაღველი გაფანტე,
იყავი ურჩი და თავნება,
დახატე, ცხოვება დახატე
სევდისთვის ადგილი არ რჩება,,,,
ცხოვრება იმდენად მოკლეა
მხოლოდ შენით თუ გაიტან
სიკეთე ატარე ულევი
ყველა გასაჭირს აიტან..
ღიმილი ჩაცვი ტკივილებს,
უკეთეს ვერ გეტყვი ვერაფერს
აჩუქე უკლებლვ ყველაფერს,
აყუჩებს, ყველაფერს აყუჩებს,
სევდა და ცრემლები არ გინდა
ხატის წინ ილოცე გულით და
აიტან,მერწმუნე აიტან
ძალა მოივა უფლიდან..
მადლობას ნურვისგან ნუ ელი
არეულია სუნელი,
გიჟი ,დარტყმული სულელი
შენ დაგიფარავს უფალი...

***

უსახელო,ქალი პოეტი
თოვლი იყო და ყინვა გვტოვებდა
ნაზი ფანტელი მიწაზე იძვრის
და უსახელო, ქალმა პოეტმა
დაკარგა თურმე წერის ხალისი.
წუხილით ღამე მემარტოვება
იწყება წერა, რასაც ველოდი
და უსახელო ქალმა პოეტმა
დაკარგა გრძნობა მარადისობის.
წუხელ მოპარა მუზას პოება,
უკან მოყვება ათასი რითმა
და უსახელო ,ქალმა პოეტმა
დაკარგა მუზა ამ მუზებს შორის.
იყო სითბო დათანაც თოვდა
უსახელო ქამა პოეტმა
დაკარგა თურმე რითმა და მუზა....

***

დილით ვიღვიძებ,თვალებს ვაცეცებ,
ყველგან ყველაში მე შენ დაგეძებ,
ნახევრად სიზმარს გამოყოლილი!
დედი,მონატრებას ვარ აყოლილი!!!
უშენოდ სული ცარიელია,
ფერი დაკარგა ირგვლივ ყოველმა,
სათქმელად ღმერთო რა ძნელია,
ცა კი უშენოდ კვლავ იქუფრება...
ლაღი ცხოვრების ფურცელი იხურება,
მიჭირს,მიჭირს მეთქი
უშენოდ იცი დამიგროვდა
სათქმელი ბევრი...
ფრთამოტეხილი ფეხზე ვერ ვდგები!
სიზმრად თუ ცხადში ყველგან გეძებდი,
ყველა ქალში კი დედას ვარჩევდი,
შენკი არ ჩანდი,არ ჩანდი ვდარდობდი,
არა ვერგთმობდი დედი.....

***

დღეს როგირ გიხდება ეს შავი ძაძები
დარდიც შენ სახეზე ათინათია,
სულ ერთი სურვილი მოგხვიო ხელები,
და მერე სამყაროს რაცუნდა უქნია.
სანამ მიხვდები სხვა ყველა ყალბია
და სიცოცხლე სიკვდილის დარდია
მოდი ჩაუწნათ ზამთარს სიცივე
მარტი მოვა იწვიმებს,ვიცი მე
ნაჯღაბნით გაღმერთე მუზა გიწოდე .
და სულში როდემდე როდემდე იწვოდე,
უშენოდ დარჩენილს ალიონს უმღერე
შენზე მოგონებებს კი სული უბერე,
სიზმარში მტოვებ ცრემლების თაღებში
ამ ქარებს მოვყავარ ისევ შენ თვალებში,
გიპოვი გპირდები გნახავ დამერე ჩაგეხუტები.

ვედრება ჩემი

მე სიჩუმეში დავეხეტები
და ეს სიჩუმე ჩემია მხოლოდ,
არსად ჩანს ხალხი
ამ სიჩუმეში დიდია ლანდი.
და მეც მოვკვდები
ჩემზე იტყვიან იყოსაწყალი,
პოეტი ერთი ეული ქალი
არცკი მჯერაშენთან მოვხვდები.
ეჰ,უფალო შემიფარე შენთან მოვედი
მე იმ ტკივილებს გამობექეცი
დედამიწაზე თავხედობს ბევრი
მომეცი ძალა არ გავიქცევი.
ადამიანნო,ღვთისშვილნო
თუ დადის თქვენში ისევე რწმენა
და უფლის ისევ თუ გჯერა
ბოროტს უთხარით არა..
მადლობ უფალო ეს ჩემთვის კმარა
შენი მცნებები ხალხს ახსოვს ახლა,
დავეხეტები რომ ვნახო დედა
მისი სიკვდილი ჩემია ბნედა.
მე მწამს არა ვარ მარტო
ბინძურ მიწაზე არიან სამდო
ვისთვისაც სიკეთეს ფასი აქვს მარტო
და გთხოვ ეს გული არვის განდო
არ მეშინია მე ვდგავარ შენ წინ
უფალო გიმხელ ჩემ ცოდვებს მალულს
რადგან მიგზავნი მფარველ ანგელოზს...
აქა ვარ ღმერთო ერთი ცოდვილი
მუხლმოდრეკილი ლაპარაკს ვბედავ
დაბადებული დედამიწაზე
შენ სიძლიერეს განა ვერ ვხედავ.....
გახსენი წარბი ნუ მიცქერ ასე
მე ხომ პირველი შენ დაგაფასე,
რატომ გამწირე ასე
გულს იარა რად დამასე?
გამომეღვიძა ამმონოლოგით
თურმე სიზმარი ყოფილა შფოთვით
და დედამეჯდა თავთით
დედისთვალებში უფალი იყო..
უფალო დიდი ხარ
და სიყვარული შენა ხარ თვითონ,
ბედნიერივარ გიპოვე რადგან
აღარ დაგეძებ მაღლა ღრუბლებში,
დიახ,გეძებდი ყველგან ყველაში..
და შენ გიპოვე დედისთვალებში...
მიმატოვა,დამტოვა ამ სიბნელეში...
არ მეშინია უფალო არვის
ეს ლექსი ჩემი შენია მხოლოდ
ეს ვედრებაა მოძღვნილი შენთვის,
მე სიყვარული მინდოდა მხოლოდ
მინდოდა ყველგან სითბო მეთესა..
და ეს ხდებოდეს მარად და მარად..
დიახ,უფალო შენია მხოლოდ
ეს დედამიწა რომელსაც ფარავ
ჩემთვის უფალო რაც გაიმეტე
მადლობელი ვარ ამას არ ვმალავ...
ბედნიერი ვარ გიპოვე რადგან
ათარ დაგეძებ აღარსად არა..
შენთვის არ მყოფნის სიტყვების კრება..
დედის თვალები კვლავ მენატრება
უფალო შენთან თუმეღირება
მოვალ,მოვივლი სამყაროს მარტო.
ოღონდ, ტკივილო შენ არ მიმატო

და შენთან ჩემით მე მომიყვანო.
ვნახო მად ხალხი ვისაც ,ვეძებდი.
მოვინახულო ის ძველი ძვლები
ოღონდ მინდა რომ მანახო დედა
შენ ხომ არიცი რომ მენატრება
უფალო დიდია დიდება შენი

ეს ვედრებაა არა ლექსი
გთხოვ მაპატიე ,რომ გაგიბედე
და ფკადრე სტყვები ბევრი,
ამ ლექსში ჩავწერე ჩემი ტკივილი
ჩავწერე ყველა მოგონებანი
არ დამავიწყდეს აწდა მარადის
და უკუნითი უკუნისამდე ამინ.

შენ ხარ

მახსოვს როგორ თკბილად გეძინა,
თმაში ჩაგიწნა ნიავმა ია
ცრემლიანია,
მოგონებებს ვეღარ ვერევი
და მარტოობა უშენობით განა კარგია.
მე ჩაციკლული
ისევ წარსულს ვეამბორები
სევდიანი სიზმარშიც გაგეტოლები,
ამ დინებას ვეღარ ვეწევი
უშენობით ამცხოვრებას ვეღარ ვეწევი..
და ყოველ დილით მკვდარი კაცივით
ფილტვებიდან სისხლის წვეთად რატომ მეცლები
მაჯის ცემა ისე ნელდება როგორც არასდროს
ტკივილი რატომ მეწვევა მარტოს..
საკუთარ თავზე გაცინება ზოგჯერ, ან ხშირად
ისევე ჰობად გადაქცეულს მე შემიძლია.
არ დამეცალო დაჭრილ სულში მონატრებებად,
ტაძარში ვცადე ეს ცხოვრება გამომელია
შენა ხარ ჩემი ცარელი სევდის კელია.
შენახარ ჩემთვის ტაძარზე მეტი
შენახარ სადაც მუდამ ელიან.
ჩემი ფიქრების ღამენათევი ანგელოზი ხარ
ღვთისმშობელიხარ ამხდენელი ყველა ოცნების
და ტკივილი ხარ
განვლილი ან გასავლელი ცხოვრების..

***

დე! არასოდეს არ მითქვამს შენთვის
როცა გტოვებდი თავს რა მიმძომდა
დე! არასოდეს არ მითქვამს შენთვის,
რას ვგრძნობდი, როცა გტოვებდი მარტოს....
დე! ახლა უშენოდ მძინავს ,
უშენოდ ვიბან ცრემლიან თვალებს,
ვდგავარ და ვნანობ იმ უთქმელ სიტყვებს,
რთული ყოფილა უდედო შვილი,
როცა დამღა გაქვს ობოლი გქვია
მე ისევ ცრემლმა მატკინა გული
და გული ისევ იწევდა შენკენ
ღელავდნენ ,იბრძვიან ფიქრები შენზე,
სულ ყველა სიტყვა ამოტივტივდა,
რაც კი უთქმელი ვაგროვე ფსკერზე...
მოვედი მოვლე შენი საფლავი
კვლავ მოვეფერე გაყინულ სურათს
ისევ ვიფიქრე გვერდით არ მყავდი
თან მერე სიზმრად გელოდე დიდხანს....
ქვაზე ჩამოვდე ლოდინით თავი
იქნებ მოხვიდე,იქნებ მოხვიდე
მოხვალ და წამი საუკუნოვდება
განა ამ დროს ვიცი რახდება...
ისევ მოდიხარ გაცვია ჩითი
ათას ფერებით მორთული შენ ხარ
გული გატკინე მითხარი რითი?
იცოდე მარტო არდამიტოვიხარ
არ ხარ და ისევ ტირიან ჩემში,
გრძნობებმა უკვე მოიკლეს თავი
ნეტა, მყოლოდი და თუნდაც სულაც შორს,
მაგრამ მყოლოდი შორეულ მთებში
ნეტა ღმერთს არ წაეყვანე
ნეტავი,კარგი არ ყოფილიყავი,

***

ვიცი წარსულისკენ ვეღარ ვიხედები,
ოქროს გალიაში სულის ტკივილია
ვეღარ ამოვკემსე ვეღარც შევიხორცე
ჩემ წარსულში ბევრი ცრემლებია.

წინ-უფსკრულისკენ ვეღარ გავიხედე.
ჩემი გასავლელი ბეწვის ხიდებია
ერთად მიბმულები სიცილი სევდა
რა უცნაური ცხოვრება მსდევდა..

სხვები უიღბლობით ბევრჯერ გავაოცე.
სულში ვარდები მალევე ჭკნებიან
შენგან მიტოვებულ გულშიც ყინვებია
შენთან დაბრუნებაც უკვე ღალატია!

მთვარე დაბზარული ოქროს ბადროა და
მხოლო იმან იცის ღამე ვინ ტიროდა
ღამეც იტმასნება
(რო აღარ თენდება აი ისეთია)
ახლა რომ შემეძლოს გულით დაგკოცნიდი.

ჩემგან გულცივობას ნუღარ გაგაოცებს.
ესეც ლოცვასავით სულის ღაღადია
შენგან მიტოვებულ გულშიც ყინვებია ,.
შენთან დაბრუნებაც უკვე ღალატია!

სიყვარულის ფერი

სიყვარულს სამოთხის სუნი აქვს
და ცოტა მომწვანო ფერი ,
სიყვარულს მზესავით სითბო აქვს
და ზღვის ხმაური მკერდში.
სიყვარულის ლიმიტი არა აქვს
სიყვარულს სიტყვით ვერ გადმოცემ
განმარტება აქვს ბევრი.
სიყვარულს ისეთი ძალა აქვს
შეგაძლებინებსო გეტყვის.
მზესაც კი აწვდები შენით
სიყვარულს აქვს ისეთი ფერი
რომ ვერ დახატავ ხელით,
სიყვარულს უწერენ სიმღერებს,
მაგრამ ვერ გადმოცემ ბგერით.
სიყვარულს პეპლებით თან აქვსს
 რომელიც დაფინავენ შენში,ს
 სიყვარულს ნეფრიტის ფერი აქვსა
 ალტროისტობა შვენის,
 სიყვარულს ჭირდება რა ძალა?
სჭირდება გრძნობები წრფელი.
და საყვარულში ჭაღარას ნუ ელი.
სიყვარულს არ სჭირდება ფერება
სიყვარულს სჭირდება გრძნობები წრფელი.
სიყვარულია ჩემთვის შენი თვალების ფერი,
სიყვარულს სამოთის სუნი აქვს
და ცოტა მომწვანო ფერი...

კეღოშვილი გიორგი - სტუდენტი
ადიგენი, სოფელი ქიქინეთი,

* * *

ეს ლექსი არ მოგწონს? მეორეს დაგიწერ,
რაცა მაქვს სათქმელი ამ ლექსში გაგირევ
ლექსი თუ არ გინდა- პოემას დაგიწერ,
ან თუნდაც ზეცაზე, მიყვარხარ, დაგიწერ.

არ გიყვარს ლექსები, სიმღერებს დაგიწერ,
ავიღებ გიტარას მოგიძღვნი აკორდებს,
იქამდე დავუკრავ სანამ არ გაიგებ,
რომ ვეტრფი შენს თვალებს მაგ თვალებს ღამის ფერს.

არ უსმენ სიმღერებს დაგხატავ ფუნჯებით,
გიჟივით დავუწყებ შეღებვას სამყაროს,
დაგხატავ ფურცლებზე მოვრჩები ქუჩებით
მინდა რომ ეს ქალი ვანახო სამყაროს.

არ გიყვარს მხატვრები მაშინ მე ვიქურდებ,
გავქურდავ მსოფლიოს გაჩუქებ ყველაფერს,
ნუ მეტყვი უარს, თუ შენს გამო ვიცუდებ
მე ხომ შენ გაძლევდი ლექსებით ყველაფერს.

ეს ლექსი არ მოგწონს მეორეს დაგიწერ,
ყველაფერს, რაც კი ვთქვი თავიდან აგიღწერ,
ლექსი თუ არ გინდა - პოემას დაგიწერ,
ან თუნდაც ზეცაზე მიყვარხარ დაგიწერ.

* * *

რაც იყო მაშინ - ის იყო ადრე,
არც არაფერი დაბრუნებულა,
კოცნაც, ღიმილიც - ეს იყო ადრე
ახლა ყოველი დასრულებულა.

მახსოვს ამაყად მედექი გვერდში
და ჩემგან არსად არ გაქცეულხარ,
თითქოს სიზმრებში ვიჯექით სკვერში,
თითქოს სიზმრებად გადაქცეულხარ.

მე ასჯერ მაინც მოვკვდი იმ ღამეს,
უკანასკნელ დღეს შენ რომ ეძახი,
მე ვერ ვივიწყებ იმ ლამაზ თალებს
შენ რომ უბრალო თვალებს ეძახი.

ქარმა წაიღო ჩემი ფიქრები
და თითქოს სხეულს რაღაც მოება,
მე მარტო დამრჩა მოგონებები
და საზარელი გარემოება.

აქ ყველაფერი გახდა უაზრო
და ყველაფერმა იცვალა ფერი,
ნეტავი იმ დღეს მაინც მომასწრო
რომ დაგამშვენებს შენ თეთრი ფერი.

რომ შევეცოდე დეკემბრის მთარეს,
ალბათ სამარეს გამითრის მარტში,
მე ასჯერ მაინც მოვკვდი იმ ღამეს
ბოლოს როდესაც გიხილე ცხადში.

* * *

გადახედე შენს შამშობლოს:
ნაირ ნაირ ფერია,
იქით კავკასიონია,
აქეთ იმერეთია.
ჩემთან არის ჯავახეთი,
ვარძია და რაბათი,
ჩემს მხარეში ზარზმა, ჭულე,
ძველის ძველი გუმბათი,
თმარის დროს ნაშენები -
ხერხემის მაქვს ციხე კლდეზე,
უფრო ძველ დროს ნაშენები
აქვე არ მაქვს ოქროს ციხე?
რად განაღვლებს სხვა ქვეყანა,
ან იმ ქვეყნის ისტორია,
შეეკითხე შენს სამშობლოს
თუ რამდენი უომია.
ჯავახეთის წასართმევად
რუს და თურქსაც უომია,
მაგრამ მაინც ჩვენთნ არის
ჯავახეთი უკვდავია.
რა დღე არ გამოვიარეთ ,
რა ჭირი არ შეგვხვდა გზაზე,
მაგრამ მაინც მივაღწიეთ
მწვერვალს უშველებელ მთაზე.
რამდენი არ დაგვემუქრა:
„თქვენს ქვეყანას დავანგრევთო,“
მაგრამ მაინც შევინახეთ
ჩვენი ტურფა საქართველო.

„ბოდიში ქალბატონო“

ბოდიში ქალბატონო - მოგართვი ვარდები,
მეგონა რატომღც მე შენით დავთრები,
ბოდიში სიყვარულო გაკოცე ლოყაზე
მეგონა უარს არ მეტყოდი კოცნაზე.

ბოდიში ქალბატონო ერთ ჭიქას დაგილევ,
რაცა მაქვს სათმელი ლექსებში გაგირევ
ბოდიში ქალბატონო მაგიჟებ ძალიან,
ვუყურებ შენს თალებს ზღისფერი არიან.

ბოდიში ქალბატონო, რომ გიწერ მე ამ ლექს
რავქნა სხვა გვარად ვერ ვამბობ ჩემს სათქმელს
ბოდიში დედამიწა ლამაზი ქალია,
მე გულით ვიძახი არ თქვათ რომ მთრალია.

ბოდიში ქალბატონო მიყვარხარ ზეცამდე
და როგორც ღმერთის გწამს ,მინდა რომ მეც გწამდე
ბოდიში ქალბატონო მთვრალი ვარ ძალიან,
თუ წახვალ იცოდე მიყვარდი ძალიან.

ზამთარი დგას ისეთი სულს მიყინავს შიგნიდან,
მეც ხომ ფურცლის ნაგლეჯი ვარ დაკარგული წიგნიდან,
ბოლოჯერ ვსვავ მეტი არ მაქვს გამოვლიე ხურდები
გახსოვს ერთ დროს რომ შემპირდი „მე კვლავ დაგიბრუნდები“.

ბოლო ღერს ვწვავ მეტი არ მაქვს გამოვლიე რაც იყო
თითქოს უკვე მავიწყდება შენთნ კარგი რაც იყო.

მომიტევე ქალბატონო თვხედივით ვიქცევი,
დრო გავიდა მაგრამ კვლავაც შენი ტრფობით ვიწვები,
მაპატიე სითვხედე რა ვქნა მე ეს ჩვევად მაქვს
გახსოვს ერთ დროს რომ მეგონა ყველას თვის ევა ყავს.

ნუ დამძრახავ ქალბატონო მთვარე რომ ვერ გაჩუქე,
ვარსკვლავი ხომ მოგიტანე, ვარსკვლავი ხომ გაჩუქე,
ბოლოჯერ ვსვავ მეტი არ მაქვს გამოვლიე ხურდები,
მივხვდი უკვე აზრი არ აქვს მაინც არ დაბრუნდები...

* * *

ასე ამბობენ ციდან სამ მეტრზე
ანგელოზების საბუდარია,
შენც იქ წახვედი და იქ გაფრინდი,
სადაც გეგონა შენი სახლია.
დედამიწიდან ციდან სამ მეტრზე
მე რომ შემეძლოს ვისწავლი ფრენას,
მოგეფერები მაგ ტკბილ ბაგეზე
დამიბრუნდიო დაგიწყებ ხვეწნას.
წამით მაინც რომ შემეძლოს მოსვლა,
შემოვაღებდი სამოთხის კარებს,
მოვეხვეოდი შენს ლამაზ სხეულს,
დაგიკოცნიდი მაგ ლამაზ თვალებს.
ასე ამბობენ ციდან სამ მეტრზე
ანგელოზების საბუდარია,
დედამიწაზე ყველგან დაგეძებე-
შენის თანები აქ არ არიან.
შენზე ფიქრებს უამრავი გზა აქვს,
ზოგი კარგი, ზოგსაც ახსნა არ აქვს
ვფიქრობ ქალი ხარ , თან აფროდიტე
და მეშინია არ გამიფრინდე.
ცა ახმაურდა, ანათებს ველებს
მე კი ხმაურში მივყვები ფიქრებს,
ვგრძნობ დავიკარგე მენ ფიქრში,
ვგრძნობ რომ დღეიდან ამიტანს შიში,
ფიქრებს მივყავარ მონატრებამდე,
ფიქრებს მივყავარ მოგონებამდე...

* * *

სადღაც მთის წვერზე მარტო კვდებიან
და კვლავ ზევიდან ყრია ცხედრები,
სადღაც ტაძარაში ისევ ტირიან
შენ კი ტაძარში ვეღარ ჩერდები.

ჩემთან წუთები აღარ არსებობს,
ჩემთან დღეები მალე გარბიან,
ნეტავი ღმერთო რისთვის ვარსებობ,
ჩემთან ხომ მაინც აღარ არიან.

ქვაზე ცივია ჩემი გრძნობები,
ვერც მოგონება ვერ ათბობს წყეულს,
დღეს არვინ არის ჩემი გამგები,
ზურგი მაქციეს გარიყულ ,წყეულს.

სადღაც ზეცაში ისევ ტირიან,
შენ კი ჩემს გვერდძე აღარ ჩერდები,
სადღაც მთის წვერზე მარტო კვდებიან
და კვლავ ზევიდან ყრია ცხედრები.

„თუ ისევ ცოცხლად დამასამარეს“

ქარავანივით მიქრის სტროფები,
მუზა ნელ–ნელა ითხრის სამარეს,
მარტო დაგრჩება მოგონებები,
თუ ისევ ცოცხლად დამასამარეს.

გაუვალ ტყეში ვდგავარ შიშველი
და სიცივისგან ვიკაწრავ სახეს,
თუ ვეღარ მამჩნევ მაშ ვერ მიშველი,
თუ ისევ ცოცხლად დამასამარეს.

მაშ გამიტეხე მეასედ გული
ახლა ამას ხომ ეძახი ჩვევას,
მაშ კიდევ ერთხელ გაყიდე სული
შენთვის რომ ისევ ქალობა ერქვას.

უკვე სტროფები გაფრინდა მარსზე,
სასმელში თავი გავასამართლე,
ეხლა იზრუნე შენს მეგობრებზე,
მე უკვე ცოცხლად დამასამარე....

„სიყვარულს დავარქვი მე შენი სახელი“

სიყვარუს დავარქვი მე შენი სახელი
და გრძნობებს ვუწოდე უსაზღვრო წამება,
ჩემს ღიმილს დავარქვი მე შენი სახელი
და ცრემლებს ვუწოდე ტანჯვა და წამება.

მაგ ნაზი ღიმილით მომჭერი თვალები,
კოცნით და ალერსით გამხადე სხვა კაცი,
მაგ შენი თვალებით მე დღესაც დავთრები
გვერდით არ მედექი რამდენიც დავეცი.

მიყვარხარ გითხარი და დღესაც ასეა,
გძულდები მაგრამ მე მიყვარხარ ძალიან
მდიდარი თუ არ ვარ - რა ჩემი ბრალია
მე შენი ტრფობით ვარ მდიდარი ძალიან.

სიყვარულს დავარქვი მე შენი სახელი
და გრძნობებს ვუწოდე უსაზღვრო წამება
ჩემს ღიმილს დავარქვი მე შენი სახელი,
და ცრემლებს ვუწოდე ტანჯვა და წამება...

* * *

სექტემბრის თვეში გაგიცანი,
სექტემბერშივე შემიყვარდი,
ოქტომბერს ლექსები დაგიწერე,
ნოემბერს თვალები გაგიბრწყინე.

სამთვეში გამიხდი საფიცარი,
შობა თვეს შენს გამო თავს ვიკლავდი,
იანვარს საათი მოგიტანე,
თებერვალს ვარდები მოვაყოლე.

მარტში გრძნობები გაგიმხილე,
მაშინვე ნაზად გამიღიმე,
თიბათვეს შენს ფოტოს ვუყურებდი,
ივლისში მესიჯს ვერ გიბედავდი.

აგვისტოს თვეში მომენატრე,
მარიამობას მომელანდე
და ამის მერე გავიდა წლები,
კარზე მომადგა სხვა სექტემბერი.
სხვას მოყვა უფრო სხვა ოქტომბერი,
უფრო სხვა დღენი, უფრო სხვა წლები.

„მხატვარი მინდა რომ ვიყო“

მხატვარი მინდა რომ ვიყო -
ნაზი ფერებით გხატავდე
პოეტი მინდა რომ ვიყო -
ლექსით ხოტბას გასხავდე...

ეხლა დაკვრა რომ შემეძლოს
სიმღერებს შენზე დავწერდი,
ცოტა დიდხანს რომ გიცქერდე
ალბად ჩემს გოგოდ გაქცევდი.

პატიება რომ შემეძლოს
ალბად დღეს ჩემთნ იქნები,
შენი ხელი რომ შემეხოს
გპირდები ჩემთან დარჩები.

დავიწყება რომ შემეძლოს
ალბად არასდროს დავთვრები,
შენთან ყოფნა რომ შემეძლოს
ლექსებს თავიდან დავწერდი.

მხატვარი მინდა რომ ვიყო
ნაზი ფერებით გხატავდე,
პოეტი მინდა რომ ვიყო
ლექსით ხოტბას გასხავდე...

„თურმე მყვარებია“

შენს ირგვლივ ისევ ლამაზი ფერებია,
გულიდან ამოსული ნაზი სიტყვებია,
სულს რომ შეხებია, გულს რომ შეხებია
დავფიქრებულვარ და თურმე მყვარებია.

ჩემი ხელები შენ ვეღარ გეხებიან,
ისე ენატრები ვეღარ ელევიან,
მხოლოდ ,შენს ნაჩუქარ კალამს ეხებიან
ლექსი დაუწერე თითქოს მეძახიან.

ღმერთო, რა ძაან, როგორ მყვარებია
მისი ხვეული თმა, მწვანე თვალებია,
ღმერთო, რა ძაან, როგორ მყვარებია
მისი მოფერება, ნაზი თითებია.

ჯერ არც ადრე არის და არც გვიანია,
შენთან მე არცერთი წამით მინანია
უკვე მენატრები ალბად თვეებია,
თურმე უშენობა მე არ შემძლებია.

შენს ირგვლივ ისევ ლამაზი ფერებია,
გულიდან ამოსული ნაზი ბგერებია,
სულს რომ ეხებიან, გულს რომ შეხებიან
დავფიქრებულვარ და თუ რმე მყვარებია.

დარეჯან ხუციშვილი - პედაგოგი
დაბადებული - აბასთუმანში

ლიკას

(ვუძღვნი შვილიშვილს)

ამ დიდ სიხარულს ველოდი, ხომ გამახარე ბებო,
სულ ნათელ გზებზე გევლოს, შენ გენაცვალოს ბებო,
შენ ჩემო სიყვარულო, ჩემი ოცნების მჭედო,
შენ ჩემო ცუგრუმელავ, შენ ჩემო გულის მტრედო.

ხომ გაგვახარე სუყველა, ხომ დაისვენე ბებო,
რამდენი ღამე უძილო გითენებია ბებო,
შენ ჩემო ჩიტოლია, ჩემო ცუნცულა გოგო,
მადლობელი ვარ ბებო, ამ სიხარულს რომ ვერგო.

უეკლო გზებზე გევლოს, ცუდი არასდროს გერგოს
ჯანმრთელობას და წინსვლას გისურვებ ჩემო ბებო
შენი ოცნების მიზნები შეგსრულებოდეს ჩიტო
და ყველა შენ შეგნატროდეს, ვახ რა კარგი ხარ გოგო.

ცხოვრების გზაზე ბებო, ია-ვარდებით გევლოს
და შენი ჩანაფიქრი ასი პროცენტით გერგოს,
იადონივით ტკბილო, ჩემო ხატულა გოგო
გაიხარე და იმრავლე, არ შემარცხვინო ბებო.

დედა

არ მეგულება ქვეყნად მე სიტყვა
დედავ ძვირფასო, დედაზე ტკბილი
ოხ, რამდენს ნიშნავს ეს ერთი სიტყვა
გულის სიღრმიდან ამოქარგული.

დედავ მშობელო, უტკბესო დედავ
შენა ხარ ჩემი სუნთქვა და შვება
დედაზე თბილი არაფერია
და განა მართლა არსებობს ნეტავ?

გიყურებ დედა, თმა გითეთრდება
ვიშ, როგორ გშვენის ჭაღარა თმები,
მაგრამ რატომღაც მე გული მწყდება,
რომ გემატება დედიკო წლები.

მაგრამ ჭაღარამ არ შეგაშინოს,
იყავ ჯანსაღი, მხნე და დღეგრძელი,
რომ ჩემთან ერთად შენც გაიხარო,
ტკბილად ჩავკიდოთ ერთმანეთს ხელი.

დედა

დედა, ჩემო საყვარელო
ჩემო აკვნის მრწეველო
ჩემო დიდო იმედო
ჩემი გულის მრჩეველო.

როგორ მალე გადის წლები,
დამიბერდი დედიკო
რა ტკბილი ხარ, რა იმედი
საყვარელო დედიკო.

შენთან მოვალ, გაიხარებ
გეხუტები დედიკო,
გაკოცებ და შენც მაკოცებ,
იდღეგრძელე დედიკო.

ყველა შვილი ძლიერ გიყვარს,
ეფერები დედიკო
ასი წელი შეგისრულდეს,
სულ იცოცხლე დედიკო.

აბასთუმანი

ოხ, როგორ მიყვარს აბასთუმანი
ჩვენი მესხეთის წყნარი უბანი
ობსერვატორია, მთა ყანობილი,
ზეკარი, არაზინდო თუ აღობილი.

მინდა აყვავდეს, როგორც ყვაოდა,
და მოდიოდა ბევრი სტუმარი,
არ ყოფნის მხოლოდ ის ფილტვის ცენტრი
და საჭიროა აიგოს მეტი.

დამშვენდეს უფრო ლამაზი მხარე,
არ დაიკარგოს მისი წარსული
გულს უხარია ეს არე-მარე
ლამაზ ტყეშია მართლა ჩაფლული.

მიდის შენება, გზებიც კეთდება
მწამს ყველაფერი კარგად იქნება
ვაშა, შენებას და შემართებას
აბასთუმანი კარგი გახდება.

სევდა

ხეზე იჯდა და უსტვენდა
ნაზი, ლამაზი ბულბული
სტვენაზე სტვენას აწყობდა
კოხტა და გახარებული.

ვუსმენდი, თანაც ვტკბებოდი
არ მსურდა ქვიდან ადგომა
ვკვნესოდი, როგორც ტბის გედი
გულიც ნელ-ნელა დნებოდა.

გაფრინდა ჩემი ბულბული
როს დაამთავრა მან სტვენა
მე დავრჩი დაღონებული
თან დამიტოვა მან სევდა.

ახ, ნეტავი შენ ბულბულო,
რომ არ იცი გულის დარდი
ნუთუ მართლა ხარ უგულო,
იყავი თუ ახლა გახდი?

გულის დარდს კი არ ეშველა
არც სევდით და არცა ცრემლით
ვსტირი ჩუმად, ნელა-ნელა
და ფურცელს ვსვრი შავი მელნით.

ახლა დარდი გვიანაა
ის გაფრინდა, სხვას მონახავს
სხვას უმღერებს, სხვას დაატკბობს
და მის დღეში მე არ მნახავს.

ზამთარი

ოცნებაა თუ სიცხადე
ჩვენთან ასეთი ზამთარი
სახლს თეთრი ქუდი ახურავს
გათეთრებულა მთა-ბარი.

არ მინახავს და არ მახსოვს
მე ზამთარი ასე დიდი
ჩემს ეზოში ჩხიკვი ფრინავს
უშიშრად და არ აქვს რიდი.

ავიხედე მელნისისკენ
თავქვე მორბის კუდა მელა
არც ძაღლების ერიდება
საქათმისკენ მოდის ნელა.

ობსერვატორია

რა ლამაზია მთა ყანობილი
სიცოცხლით სავსე, ხით დაყოფილი
მომწონს და მიყვარს ეს დალოცვილი
ჩემი სამშობლოს მესხეთის შვილი.

აქ, ამ მთაზეა აშენებული
ობსერვატორია დამშვენებული
ტყეში ჩაფლული, გამწვანებული
ყოველი კაცის გამხარებელი.

დღისით თუ ღამით წარმოებს ცაზე
დაკვირვება თუ ახალის ძებნა
აქ, ყველას თვალი შეჰხარის ზეცას
რადგან ირკვევენ ვარსკვლავთა ხვევნას.

ჩემი საქართველო

ცა, ფირუზის ფერი, თვალწარმტაცი მთები
ეს პატარა წალკოტი წილხვედრია უფლის
აფხაზეთი, სვანეთი, რაჭა, იმერეთი,
გურია და სამეგრელო და აჭარა ჩვენი.

ერთი ქართლი, კახეთი და ფშავ-ხევსურეთი
ჩემი საყვარელი მესხეთ-ჯავახეთი
ენგური და რიონი და მშფოთვარე მტკვარი,
ალაზანი, არაგვი და გიჟმაჟი თერგი.

ჩვენი დიდი მხატვარი – ნიკო ფიროსმანი
საქართველოს განძი - „ვეფხისტყაოსანი“
შოთას კალმით ნახატი მეფე დიდი თამარი
საქართველოს არ ჰყავს დღეს ასეთი ქალი.

ერის ბურჯი ილია, წიწამურში მკვდარი,
საქართველოს ბულბული – დიდი აკაკი
და ბუნების მგოსანი, ჩვენი ვაჟა-ფშაველა
დიდი გალაკტიონი – პოეზიის მშვენება.

აფხაზეთი, სამაჩაბლო, ორი დიდი ტკივილი
არ ეშველა ამ საქმეს, ევროპაში ჩივილი
საქართველო მოძლიერდი, მოიკრიბე ძალა
რომ გავაგდოთ ჩვენ მიწიდან ოკუპანტი ჩქარა.

გოჯა მიწას არ დავუთმობთ, დავიბრუნებთ მალე,
გაბრწყინდება საქართველო, დღეს თუ არა ხვალე,
ერთ დიდ მუშტად შევიკვრებით, არ დავხუჭავთ თვალებს
„ჩემო ტურფა საქართველო, შენ კი გენაცვალე“.

ოქროს ციხე

ოქროს ციხედ წოდებულო კლდეზე ციხესიმაგრე
ვინ აზიდა, ააშენა, აქ ასეთი სინაზე
თითქოს ღრუბლებს ემიჯნება ცათამბჯენი კედლები
ვეღარ ვითმენ ამ მშვენებით, ჩუმად დავიფერფლები.

ოქროს ციხევ მშვენებავ, შენ მესხეთის გული ხარ
ოხ, რამდენი ბრძოლა გაქვს მწარედ გადატანილი
მტერთან შეუპოვარი, ბევრი დღე გაქვს გავლილი
და რვაასი წელი დგახარ შეუპოვარი.

რა ლამაზი მშვენებაა, შენს გარშემო გაშლილი
ნაძვები და თხილის ტყეა ირგვლივ შემოხატული
კოხტა მთაო, ძირ-მაგარო, მადლიანო ალაგო
დაილოცოს ის ხელები, ვინც ამ კლდეზე აგაგო.

თამარიდან მოდის დღემდე შენი კედლის სიმაგრე,
ჭაც ყოფილა ამ ციხეში ცივი წყალის მარაგით
ნეტავ, როგორ აიტანეს მიწისქვეშა მილებით?
არსად არ ჩანს მისი კვალი, უქმად დავეხეტებით.

გაფრთხილება და მოვლა, შენ ძალიან გჭირდება
კარგი გზები დააგეთ, სტუმარს გაუხარდება
ეს ხომ საგანძურია ჩვენ ერამდე მოსული
გახსოვდეთ, არ დაივიწყოთ, ჩვენი მძიმე წარსული.

საქართველო პოეტების აკვანი

„საქართველო ბეჭედია ბაჯაღლო
და თბილისი შიგ ჩასმული ბადახში“
გრიშაშვილის ამ საამო ნათქვამში
სიმართლეა, ამას გულში ვერ წაშლი.

საქართველო, პოეტების აკვანო,
დაილოცოს შენი წმინდა წარსული,
შენი მიწა, შენი ენა ქართული
ჩვენს გულებში ნაზად ამოქარგული.

დიდი შოთა, ილია, ენატკბილი აკაკი,
და ბუნების მგოსანი ჩვენი ვაჟა-ფშაველა,
ლურჯა ცხენის ჭენებით მოდის გალაკტიონი,
მურმანი და ჯანსუღი, ლადო ასათიანი.

გრიშაშვილი იოსებ, აბაშიძე ირაკლი,
ქართულ ენის მხოტბელი ჩვენი დიდი პოეტი
გოგლა ლეონიძე და ნონეშვილი იოსებ,
ანა კალანდაძე და ნაზი კილასონია.

მე ყველას ვერ ჩამოვთვლი, ეს ძალიან ძნელია,
სუყველას გენაცვალეთ, მეტი რა დამრჩენია.
იდღეგრძელეთ, იმრავლეთ, მე ვარ თქვენი მხევალი,
სანამ საქართველოში იწურება მტევანი.

ცარო ფირფირაშვილი-ლეკიშვილი - ფიზიკოსი
ასპინძა, სოფელი ხიზაბავრა

შ ე ნ

თრთოდა გულები გამალებით ვეძებდით ერთურთს,
სენი შეხვედრა იყო სულის დღესასწაული,
იყო ზრაპარი,იყო ლოცვა,იყო ჩურჩული,
გარდასული დღის მოგონებებს გვერდს ვერ აუვლი.

გვერდს ვერ აუვლი,მრავალი ღამის თეთრად თენებას,
აღერსს ვნებიანს ცელქს და ბავშვურს,რომელიც გვფლობს და
უერთმანეთოდ ჩვენს ყოფას,რომ აზრი არ ჰქონდა,
ზაფხული იყო,შემოდგომა თუ ძლიერ თოვდა.

ათეულობით წლები უცბად ამოვიარეთ
მიუხედავად იმისა,რომ იყო ცრემლები...
ჩვენგან თელილი გზა სიმართლით შემკობილია
და მე ყოველთვის შენს თავს მუდამ შემოვევლები.

თუ განვმეორდით ბუნებაში ღმერთმა ინება
უცნაურია ეს სამყარო ცხოვრების წესით,
ისე მიყვარხარ თვით ბუნება იზრუნებს ჩემზე
უშენოდ ყოფნა წამებაა და მომავალი შენი.

მთვარე მეგობარი სანდო

გადის ბავშვობა, გადის სიჭაბუკე,
გადის ბალზაკის წლები,
გამვლილ ცხოვრების მოგონებებით
წარსულს უღიმი და თვრები...

უკმარისობა სხეულს ეუფლება,
წარსული ეჩხუბება აწყმოს,
ვერავინ ხედავს ამ დროს რას ფიქრობ
და გაჩუმებას ნატრობ.

ახალგაზრდობას,რომ არ ჰქონია
სიბერეს მოაქვს მალვით,
თურმე სიყვარული ისევე ბერდება,
რჩება ნუგეში კრძალვით.

მთვარე კი გრჩება უცვლელ მეგობრად
არასდროს გტოვებს მარტო,
მთვარე შეუცვლელი და მუდამ ერთგული
მთვარე დიადი და სანდო.

ის მწარე დღეც მოვა თავისთავად,
რომელსაც არა აქვს აწმყო
და იქაც,ისევე,გაგათბობს ბუმბერაზი...
მთვარე მეგობარი სანდო.

საკუთრი სამოთხე

მე სამოთხეში აქაც ვარ
ჩემი შვილების ფასად,
გელა და გია გავზარდე
ღირსეულად და კაცად.

შვილიშვილების სამოთხე
მარიდან მაქსიმემდე,
მოდი და ასე მითხარი:
უფლება არ გაქვს-თველმდე.

მარი,მაქსიმე,თიკა და
ალექსანდრე და ანა,
თეკლა მაისის ყვავილი,
ერთმანეთისთვის ფარად.

ოჯახის მამა-მეუღლე,
არწივი გულანთებით,
შიგ შეგვიბუდა განცხრომით
ისე გაშალა ფრთები.

მე საკუთარი სამოთხე
ოჯახის განძი დიდი,
ღმერთის წყალობით შევქმენი,
ამიტომაც ვარ-მშვიდი.

რვაქიმიანი ვარსკვლავი
კიაფობს პლანეტაზე,
და ჩემს საკუთარ სამოთხეს-
ერი დაარქმევს სახელს.

მამულში ვიქეცით ეულად

რა ხანია პწკარი-პწკარს აღარ მიჰყოლია,
გულის ძახილი დროს არ გაჰყოლია,
დროის,რომლის დინება მარწუხებად გადაქცეულა
რამდენი დარდი დაგროვდა და არ გაქცეულა.

ჩემი სიამაყე ნელ-ნელა წაქცეულა
დროს წაუშლია სათნოების ყველა აბზაცი,
სამშობლო მინდა,სულს სწყურია მისი დიდება,
მაშინ ძლიერი მუზაც აღარ დაიბინდება.

ცამდე აზიდულა ფიქრები,
გზა ლაბირინთად ქცეულა,
ცხოვრებამ ნიჟარაში ჩამკეტა,
ფიქრებთან დამტოვა ეულად.

ღმერთი აგვიანებს წყალობას
და მივექანებით შვეულად,
შეჩერდი, ცხოვრების გამოცდავ,
ყოფნა არყოფნად ქცეულა.

წლები აღარმაქვს ბრძოლისთვის,
ქარი ქრის,მივდივარ ქარდაქარ
მაცხოვარს იმედი მოვთხოვე
შენ,დიდო ქართველო სადა ხარ?!

გაიხიზნა ქართველნი სხვა მხარეს
დავცოტავდით და მტერი ვახარეთ
ხნულში დგას იმედი მბორგალი
ღმერთზე მინდობილი ბორბალით.

მამულში ვიქეცი ეულად
ქარიშხლად ქცეულა ფიქრები
ქარი ქრის,არ მიაქვს ფიქრები
რას ვტოვებთ თუ აღარ ვიქნებით?!

შენ,დიდო ქართველო, სადა ხარ?
მოგვევლინე განგებით გამოჩნდი
იღვაწე,იბრძოლე ერისთვის,
სამშობლო გხედავდეს ვალმოხდილს.

დაბრუნდი ქართველო შორიდან
სამშობლოს ტკივილი გტკიოდეს,
ქართული გენი და ჯილაგი
ყველა სამშობლოსთვის ყიოდეს.

მომავლის წინაშე მრცხვენია,
ო,როგორ გვჭირდება გენია!
ღმერთო გამოგზავნე წილხვედრად,
მუხლი მოვუდრიკოთ ღვთის ნებას!

პატარა ალექსანდრეს

ალექსანდრე,ცხოვრება გერგოს სანუკვარი
სიმართლე იყოს შენი საყრდენი,
შენი ცხოვრების ლაბირინთებში,
შეინავარდე -ვით შევარდენი.

გისურვებ გახდე დიდი გენია,
ისტორიაში გაავლო კვალი...
შენი გონებით,შენი ნაღვაწით
ზენიტში იყავ,როგორც პოლარი.

შენს დაბადებამ კვალი გავლო,
სიხარული ხარ ყველასი ერთად,
ღმერთო ამიხდეს მე ნაფიქრალი
შენ,საქართველომ გიწამოს ღმერთად!

ქაღარა და კოცნა

ლექსი კოცნააო უთქვამთ...
სიყვარული არაა უგულო,
ლექსით თუ მიწვდები ოცნებას,
ლექსია ჩემად,რომ გიგულო.

ღამით მოწყვეტილი ვარსკვლავი,
ცრემლებით ბალიში სველი,
საკუთარ თავთან ჭიდილი,
ლექსით-ყველაზე ძნელი.

მთვარე შენი დარდის მოწილე,
სათქმელს,რომ გიხვდება უხმოდ,
მთვარე მიმქრალ ბნელს,რომ ანათებს
ესაუბრები და უხმობ.

თან გითვლის უძილო ღამეებს
და ხედავს ქაღარას შენსას
თუ როგორ ანთია,მიმქრალი თვალები?
გულს ხედავს თუ,როგორ ფეთქავს

გავხედე წლებსა და გავხევდი,
სახეზეც აცურდა ნაოჭი,
მე ისევ ისა ვარ,რაც ვიყავ
გული არ ბერდება-გავოცდი...

სხეული ბუნების შვილია
სივრცეში-სივრცითვე მაძღარი,
გული დროს არ ემორჩილება
გული მხნე,სხეული საწყალი.

ლექსით ხომ იმედი პურდება ,
განწირულს სიცოცხლეს აძლევს
ლქსი ხომ,კოცნაა პირადი
პირად სიცოცხლეზე გამძლე.

შენ ჩემი ლექსი ხარ,ქაღარაც
თმებში,რომ გამრავლდა მორცხვად,
მიიღე სიცოცხლის კამარად
ჩემი უნაზესი კოცნა.

ლექსი ხომ კოცნით შენდება,
გული რომ,ამოსთქვავს ხსნას
ბრძოლაა გულის და სხეულის
და თვითვე პოულობს გზას...

* * *

ღირსებაა აზროვნება და სიდიადე,
დრო და სივრცეში განასხვავებ აზრს და ქმედებას,
თუ ეს ქმედება, შენი ქვეყნის დროს ოქროდ აქცევს,
საქებარია შენი ყოფაც და შენი საქმეც
და მხოლოდ მაშინ გადაწვდები საუკუნეებს.

ფიქრები მათოვს...

სამშობლო ჩემი ღმერთივით სიყვარული,
ეს ერთი სიტყვა სულში გამჯდარი,
სამშობლო ჩემი-ჩემი სივრცე,ჩემი სამყარო-
ღმერთო,არასოდეს გამყარო-
არც ცოცხალი და არც მკვდარი!

შენი მიწის და შენი ცის დარი
არ მომანატრო,
მე შენი წვიმა,რომ მეფერება
არ ვრჩები მარტო,
შენზე ფიქრები ღამეს ათევენ
ფიქრები მათოვს...

მე შენი მიწა მომნატრებია
ღმერთმა,რომ მოგვცა,
ღმერთო მიიღე ჩვენი ვედრება
დაგვიბრუნე ცა,
ყველა ქართველის ფიქრი მიწისთვის-
წილ-ხვედრი
ისევ
ცან!

ანზორ ხუციშვილი - ზოგადტექნიკოსი
ასპინძის რაიონი სოფელი ხიზაბავრა

კაცისა ვერ გაგვიგია

კაცისა ვერ გაგვიგია,
ამინდს რა უნდა გავუგო.
დილიდან ლურჯი ცა იყო
და ეხლა უკვე რა იყო.
ზოგი ისეთი ვინმეა,
ამინდს რა უნდა გავუგო.
ვერ დაანახვებ ვერაფრით,
ოქროს კოშკიც რომ აუგო...
თუ მიაკუთვნებ შენ რამეს,
ის სულ სხვაგვარად გამოთვლის.
ეს ისეც ხომ მერგებოდა,
სიკეთეში არ ჩაგითვლის.
ვინ დააწესა, ვინა ჰქმნა?
საქმენი ორჭოფოსანი,
ვინ გაახარა ბოროტი?
ვით ლაღი ფრენით ფრთოსანი.
მიჩვეული ვარ ამ ყოფას,
ასე მოვდივარ ოდითგან
და ვერ გაიგებს არ ყოფნას,
დამეგობრება ლოდინთან...

ვის მეტად დაენანები

ეს რომ ვიცოდეთ მაშინა
და ამას რომე ვხვდებოდეთ.
ვინ დაგინანებს გულითა?
ქვეყანას როცა სტოვებდე.
ვინ როგორ დაგიტირებდა?
იმას რომ გაიგონებდი
და როგორ დაღონდებოდნენ
ყველაფერს მოითმინებდი.
თავსა ვინ შეიწუხებსა?
ვინა ჩაიცვამს შავებსა?
ტირილით ცრემლის დადენით,
ამოიღამებს თვალებსა.
ვის მეტად შეებრალები
ზოგი მოჰყვება ავებსა.
მადლობას ვეტყვი სუყველას
ვინც შეიწუხებს თავებსა.
ვინა მოჰყვება სიტყვებით?
ვინ გულით დაიგლოვებსა?
ყველას წაიყვანს უფალი,
აქ არვის დაიტოვებსა...

თუ არ იცი ვერ იგრძნობ

თუ არ იცი შენ ყინვა
სითბოს მაშინ ვერ იგრძნობ.
ნურას იტყვი იმაზე
ვინც არ იცი არ იცნობ.
თუ არ იცი რა არის
შიმშილი და ვაება,
არ გინახავს არასდროს
უშედეგო წვალება.
თუ არ იცი ბოროტი,
კეთილს როგორ გაიგებ
იოცნებებ და კოშკებს
ყინულებით აიგებ.
უნდა გქონდეს ცუდი და
კარგის ფასი გაიგო.
საკუთარი თავისთვის
რომ კოშკები აიგო.
მოღალატეს იცნობდე
რომ ერთგული გაიგო
და ყინულზე იცოდე
კოშკები არ აიგო.
მარტოობა თუ იცი,
ხალხში ყოფნას რა გიჯობს.
ორგული და ცბიერი
ზურგში დანას ჩაგირჭობს.
მივესალმოთ მეგობარს,
თხილის გულს რომ გაგიყოფს.
დაგიდგება მხარით-მხარს.
გეტყვის ძმაო რა გიყო...
თუ არ იცი შენ ცუდი,
კარგის ფასს ვერ გაიგებ
და ოცნების კოშკებსაც
სულ ტყუილად აიგებ.
თუ არ იცი შენ ყინვა,
სითბოს მაშინ ვერ იგრძნობ
დაგეწყება შენ ხილვა
ხალხს რომ კარგად გაიცნობ.

აბა ინატრე რაც გსურდეს

ერთმანეთსა ჰგავს ყველა დღე
ხვალ უკვე შობა თენდება.
შევთხოვოთ უფალს ის ნატვრა
რაც კი რამ გაგვახსენდება.
განა სათქმელი ცოტა გვაქვს?
აზრი ყველასი ერთია.
ჩვენი მშველელი ამ ქვეყნად
და გადამრჩენი ღმერთია.
მე ვინატრებდი სამშობლოს
გაძლიერებულს ერთიანს....
მე ასე ვფიქრობ ამ ბოლოს
ჩემთვის არ არის ერთია.
ნატვრის თვალს დაგვირიგებდეს
აბა ინატრეთ რაც გსურდეს.
ჩვენი ასეთი ცხოვრება
იქნებ ამ წელში დასრულდეს.....
მამულის უკვდავება და....
ჩვენი ნატვრები ასრულდეს
ღმერთმა ისმინოს ყოველი
ის აგისრულოს რაც გსურდეს.

ქალის სამკაული

თავმდაბლობა, მორჩილება,
სამკაულია ქალისა.
სინაზე და მოთმინება
ყველა მომხრეა ამისა.
აბა მითხარი თუ რა სჯობს
დიაცსა მოცინარესა
რომ უხარია და ამბობს
ამბავსა მიმდინარესა.
როგორცა წყალი მოძრავი
იპყრობს სმენასა კაცისა,
დამდგარში ბაცილებია,
ყველა მომსწრე ვართ ამისა.
მოღუშულ, გაცინებული
განსხვავებაა ამისა
თქვენ გინდა
დამეთანხმებით
როგორც დღისა და ღამისა.
თავმდაბლობა და სიტურფე
სამკაულია ქალისა
სილაღე და მორჩილება
სუყველა ლამაზმანისა.
უცხო ტომისა არავარ
მეც ამის მომხრე გახლავარ.
თუ ქალს ესენი არააქვს
წასალეკია ლამისა.

ღმერთო დალოცე ყოველი

კვირის რომელი დღე არის?
სიახლე ნეტავ რა არის?
ჩვენი ლამაზი მთა-ბარის
პატრონი ნეტავ სად არის?
ნეტავ რომელი თვე არის?
ვეღარ გაიგებ ვერაფერს
ხან გაიხედავ თოვლია
ხან კიდე კაი მზე არის.
ხშირად წვიმს,მერე დარია
ბუნება რამ გადარია?
აბა არ გაგიკვირდება
როგორი იანვარია?
თითქოს გავიდა ზამთარი
თოვლი და ყინვა არ არი
არავის ახსოვს ამგვარი
შეფერილობის მთა-ბარი.
ორი რამე გვაქვს ჩვენ ბევრი:
ორი თვალი და ხელია,
ორი შობა და აღდგომა,
ორი ახალი წელია.
ორი დღის მერე დადგება
ძველით ახალი წელია.
ღმერთო დალოცე ყოველი
და მოუმართე ხელია.

***

სიკეთეს მიტომ არ ვსთესავ
რომ მოვმკო სამაგიერო,
შენ ამ სიმართლით მატარე
ცხოვრება შე წამიერო.

მუდამ კეთილი აკეთე
იცოდე შე ბედნიერო
თუ გააკეთე სიკეთე
ნუ ითხოვ სამაგიეროს.

სიზმარი

ნეტავ რა არის სიზმარი?
რაღა არ გაგახსენდება.
აბა შენ ერთი მითხარი,
საიდან რა გეფიქრება?
ნაფიქრი ჩაჰყვა ამბობენ
ტვინმა გაშალა ღამითა.
სიცივეს დააბრალებენ,
თავს იმართლებენ ამითა.
მერე დილაზე იტყვიან
პირს რომ იბანენ წყალითა.
ვითომ წყალს გააყოლებენ
თავს დაიზღვევენ ამითა.
მარჩიელებმა იციან
მომადლებული ძალითა
ყველა ნანახის განხილვა
საათობით და წამითა.
ნეტავ რა არის სიზმარი?
ხანია სამი წამითა.
ნუთუ რაც უნდა გადახდეს
ის გესიზმრება ღამითა?
სიზმარი მაინც რომ გვქონდეს
გაუზომავი ხანითა
სულ კაი რამეს ვხედავდეთ
დღისითაცა და ღამითაც.
შენ გენაცვალე სიზმარო,
ნეტავ ასეთი რა ხარო?
ის დაგვასიზმრე რაც გვინდა,
სიზმარით მაინც გვახარო...

მზე ამოვა ჩვენგან

მზე ამოდის ჩვენგანა
მერე წაშლის სიბნელეს,
ასე თქმულა თანაბრად,
გვიმსუბუქებს სიძნელეს.
მაგრამ ისიც გვანსხვავებს
აქ ამოდის იქ ათბობს.
რა მკაცრია ბუნება
ხან გვაწვალებს ხან გვართობს.
სამხრეთ აღმოსავლეთით
ეფინება სხივები,
სითბოა დასავლეთით,
აქ კი გვააქვს ყინვები.
აირია ბუნება
როგორც კაცის გუნება.
ზამთარია ეხლა წვიმს
გაზაფხულზე თოვლდება.
კაცის ვეღარ გავიგე
რას გაუგებ ბუნებას.
ყვავილებზე დაათოვს
გააფუჭებს გუნებას.
მზე ამოვა ჩვენგანა,
მერე წაშლის სიბნელეს.
ასე თქმულა ყველგანა
გვიმსუბუქებს სიძნელეს.

თამადა

ნეტა თუ ღირს სათქმელად.
არ ვიხსენებ ავადა
აღარ მახსოვს პირველად
სად ვიყავი თამადა.
წლები შემომეცალა,
რაც ვიარე ცალადა.
აღარ მახსოვს პირველად
ვისთან ვიყავ თამადად.
მწუხარების მაგიდას
ვუძღვებოდი თავადა
ხშირად სულ არ მინდოდა
და მნიშნავდნენ ძალადა.
ყველაფერმა ამ ქვეყნად
იცის ალბათ შეჩვევა
ასე არის ამჯერად
გადგექცევა შენ ჩვევად.
ლხინმა ხშირად იმატა,
მეც ვლაღობდი იმათთან.
შევიცვალე მიმართვა
ასე იყო ხშირადა.
ამკრძალავი თვისება
არ მქონია ჩვევადა.
ვიყავ ახალბედა და
ბარში, მინდორ-ველადა.
მე დიდ სუფრებს ვგულისხმობ.
არცა ღირდეს ამბადა.
მე მოვილხენ და ვხუმრობ
დრო კი გადის თავადა.
თორე ტოლ-მეგობრებში
და სამოცდა ცხრამეტში
ვსაუბრობდით, ვამბობდით
ვუყურებდით თვალებში.
ასე იყო იმჯერად,
ასე არის ამგვარად.
აღარ მახსოვს პირველად
სად ვიყავი თამადად.

მიკვირს და გამკვირვებია

მიკვირს და გამკვირვებია,
ეს რაღაც ბოლო წლებია
რაღა არ მიკეთებია
რომ დამინახავს სხვებია.
განსაცდელის დროს არავინ
არსად არ მიტოვებია
თუ მითქვამს მისრულებია
ასე ვატარე წლებია.
დღეები ისე გავიდა
სულ მოლოდინის რეჟიმში
და წლებიც ასე წავიდა
თითქოს ვიყავი სიზმარში.
განა ვისთანმე ცოდვა მაქვს
ყველას შევხვდები პირნათლად
თუნდაც დღეს იყოს სულ ვფიქრობ
როდესაც ცოტა ინათლა.
ვერ მიპოვნია პასუხი
კითხვები სულ ამერია
მათი სიმრავლით, სიუხვით,
მოთმენა გამომელია.
მიკვირს და გამკვირვებია
ეს რაღაც ბოლო წლებია.
როცა კი გამჭირვებია
მოთმენა მომძალებია

***

ძველი დაკეტილი ბინა,
უქმად დაკარგული წლები.
ნეტავ ვინ დაგვწყევლა ვინა?
ფიქრით გამითეთრდა თმები.
თვალში დაილია ცრემლი,
გულში დაიბუდა სევდამ
და კარგს არსაიდან ველი
ნეტავ ვინ დაგვწყევლა ნეტავ?
რო გორ შეიცვალა დრო და
მშველელი არსად არის.
უკვე ჩამოიქცა ოდა.
იცლება მთა დაბარი.
მივდივართ საზღვარგარეთ,
რაც გვაქვს იმასაც ვკარგავთ
და რა იქნება ხვალე,
ალბათ ვიხილავთ მალე.
ნაღველი, სევდა, განცდა
ერთმანეთს სცვლიან რიგით.
რა უნდა იყოს ანდა
სევდა ამაზე დიდი...

გაუმარჯოს იმ სიტყვებს

გაუმარჯოს იმ სიტყვებს
გული შიგნით რომ იტევს.
რომ გინდოდა გეთქვა და
ჩააბრუნე შენ ისევ.
ის სათქმელი შენია
შენი სევდის მფლობელი.
აბა რა დაგრჩენია
სევდის წარმომშობელი.
გაუმარჯოს იმ წუთებს
და გულღია საუბრებს,
სიალალეს, სიკეთეს,
ყველა კეთილ ნაფიქრებს.
რომ არასთქვა ჯობია,
ხშირად ესე როდია
სათქმელი ხომ ერთია
სიტყვა-სიტყვის კეტია.
რაც არ გვითქვამს ისა ვსთქვათ
და მერე კი ისე ვქნათ,
გული როგორც გვკარნახობს
და ამისთვის არ ნანობს.
ბოლო წელიწადია
ბევრის თქმა კი მწადია
უთქმელობაც ცუდია
არვარგა და მრუდია.

***

ცხოვრებაში არის წუთი,
რასაც შენ არ ელოდები.
დაგიდგება გასაჭირი,
ღობე-ყორეს მოედები.
ისეთ საქმეს წამოიწყებ
და ადრე რომ გძულდა სხვისი.
ყველა შენით გააკეთე
არ გინდოდეს არავისი.
ბევრი გყავდეს კარგი ვინმე
ტოლები და მეგობრები,
სიკეთისთვის, სიმართლისთვის
არასოდეს დაისჯები.

ოტია ზედგინიძე - ფილოლოგი

***

ქუჩაში ვზივარ სევდამორეული,
ვწერ მემუარებს და ვიწყებ გოდებას,
ცხვირწინ დავიყენე ჩემი ორეული
მინდა გადავხედო საკუთარ ცხოვრებას..

არ ვარ ეგეთი და მინდა შევიცვალო
სასუწარკვეთილი ვიწყებ ბოდვას
ღმერთო დამეხმარე ღმერთო
ნუ ჩაიდენ ცოდვას...

მე ხომ ასეთი არ ვიყავ
კარგი ვიყავი თავიდან,
ასე ცხოვრება არ მინდა
სულის სიმძიმეს ვეღარ ავიტან...

მინდა შევიცვალო
ცხოვრება დავიწყო თავიდან
ან ღია ზღვაში გავიდე
და გადავვარდე ნავიდან...

ჩემო სამშობლოვ

არ მინდა მტერმა დაგვჩაგვროს
ჩვენში ურიოს ხელები
თავისუფლება მწყურია
მშვიდობავ შემოგევლები,

არ მინდა თავზე დაგვადგან
ეკლები როგორც წამებულს,
არ მინდა წკეპლას გვირტყამდნენ
ურჩობისათვის გაბედულს,

მიყვარხარ ჩემო სამშობლოვ
მიყვარს მე შენი ბუნება.
შენი წარსული მაცოცხლებს
და მომავლისკენ ყურება,

არ მინდა მტრის მონად ყოფნა
თავისუფლება მწყურია,
სამშობლოს გამარჯვებისთვის
სიკვდილიც სიხარულია.

ჩემზეც იფიქრეთ

ჩემზეც იფიქრეთ, რას ვფიქრობ ახლა
ნეტა რასა გრძნობს ოხერი გული
იფიქრეთ, მწარე სიტყვების ნაცვლად
ტკბილი სიტყვებც არ არის რთული.

ჩემზეც იფიქრეთ რკინის არა ვარ
გაუტეხელი არა მაქვს გული
ზოგჯერაც თქვენი მწარე სიტყვები
გულში ლახვარად არის დასული,

იფიქრეთ, ბევრი იფიქრეთ
გამოვისწოროდ სუყველამ სული
რომ არასოდეს ჩვენს კეთილ გულში
აღარ სახლობდეს ბოღმა და შური.

კავკასია

ყვავ-ყორნები დახვევია საქართველოს
უნდათ გული ერთიანად დაუფლითონ
ალმაცერად უყურებენ კვლავაც თბილისს
ჯანღი აწევს მიძინებულ კავკასიანს.

თბილისის თავს მოუყრიათ თავი ღრუბლებს
წვიმის ნაცვლად ცეცხლი მოდის ციდან თითქოს,
მზის სხივები ვერ ანათებს ამ ქვეყანას
სიბნელეში ეძინება კავკასიონს.

თეთრი თოვლით დაფარულა მყინვარწვერი
ჩვენი ბედი არ აღელვებ იმას თითქოს
მისთვის მაინც სულ ერთია
ვინ დაპორჭყნის, ვინ დაიპყრობს.

* * *

არა ვარ კარგი მხატვარი
მე ვერ დავხატავ პორტრეტებს
მე მიყვარს სტროფის ჩამოშლა
ეს გვეხერხება პოეტებს.

სადაც იქნება მთავარი
შენი თვალების სილურჯე
სადაც მხოლოდ შნ დაგხატავ
და მხოლოდ შენით ვისუნთქებ.

წელზე ჩამოშლილ ნაწნავებს
გაგიშლი, ნიავს გავატან
მერე აგიყვან ხელში და
ზღვის ტალღებისკენ წავიდეთ.

სულ დაგიკოცნი მაგ სხეულს
ცხელ გვიშაზე რომ დაგაწვენ
იმდენს გაკოცებ, რამდენიც
არ მიკოცნია აქამდე.

* * *

ზოგი ცოცხალიც ბევრიც მკვდარია,
ახლა თავად მეც გარდავიცვალე
სულ ახალგაზრდას უკვე მომბეზრდა
აწ ნაჩუქარი სიცოცხლე მწარე.

სულ ახალგაზრდა თითქოს ვბერდები
თითქოს ჩემს გულსაც რაღაც აკლია,
უსიყვარულოდ ყოფნა მიწაზე
კაცისთვის ესეც დიდი ნაკლია.

ცხოვრებამ ბედი მარგუნა მწარე
ღმერთო ამ ტანჯვით მეც დავიღალე,
უბრალოდ მინდა ვიცოცხლო მეტი
მაგრამ, არ მინდა სიცოცხლე მწარე.

არ მინდა ბედმა დამცინოს ასე
ცრემლი მდიოდეს თვალებზე ცხარე,
სიცოცხლე მინდა განწირულ პოეტს
მინდა შეაშრეს ცრემლები თვალებს.

მაგრამ ყოველთვის როცა ვფიქრდები
ოცნება ისევ ოცნებად რჩება,
ეჰ, დავიღალე ქვებზე ფართხალით
სიცოცხლე მიდის, მიდის და კვდება

შვილის საფლავზე ტიროდა დედა

შვილის საფლავზე ტიროდა დედა
გამალებული უცემდა მკერდი,
შვილის საფლავზე ტიროდა დედა
გაყინულ მიწას ათოვდა ცრემლი.

ეფერებოდა ქვაზე დახატულს,
ქვას მოჰხვეოდა ჩაეკრა მკერდში,
ღრუბლების მიღმა გულდაკოდილი
გადმოჰყურებდა უფალი ღმერთი.

გაყინულ მიწას ათოვს ცრემლები
შვილს ეამება გაყინულ მკერდში,
თმებს იბღოკავდა მტირალე დედა
ნუთუ არ ნანობს უფალი ღმერთი?

ოცდახუთი წლის გავზარდე შვილი
ღამეს ვუთევდი ცუდად რომ იყო,
ნუთუ იმისთვის გავზარდე ღმერთო,
ნუთუ იმისთვის რომ მომკვდარიყო.

შვილის საფლავზე ტიროდა დედა
გამალებული უცემდა მკერდი,
შვილის საფლავზე ტიროდა დედა
გაყინულ მიწას ათოვდა ცრემლი.

***

ჩემო სამშობლოვ ვიცი რომ გიმძიმს
რადგან შვილები აღარ გივარგა
ვისაც შანსი აქვს გტოვებს და მიდის
სხვა ქვეყანაში გადაიკარგა,
ხომ ხედავ ჩემო სამშობლო
არავის უნდა დარჩეს და
ძირგავარდნილი ნავიდან
სათლებით წყალი აქციოს
ის ურჩევნია ზოგს ქართველს
შორს წავიდეს და ზურგი გაქციოს..

* * *

მივყვები ტროტუარს
ფიქრებით დაღლილი,
ვშიშობ, რომ გაზაფხულს ვერასოდეს დავხატავ
არასდროს დადგება ჩემს გულში აპრილი.

დარდი და ნუგეში ერთმანეთს ერევა
როგორც, ქარცეცხლი მარტის და აპრილის
ატმის ხეებზე კვირტი იშლება
მე კი სუნს ვერ ვგრძნობ ლამაზი ყვავილის.

მივყვები ტროტუარს, თვალს ცრემლი წამოსცდა
მაღალი ჭადრები შორიდან დამცინის,
ზეცას ავხედე, თვალებში გამომცრა
ვხედავ, რომ ზეცაშიც ვიღაცა განიცდის.

წითელი ღვინის ვიგრძნი თარეში,
გრძობები ერთმანეთს თანდათან ერევა
ცრემლები იმატებს სევდიან თვალებში
და მაინც, მივყვები ტროტუარს,
მივყვები უკუნით ღამეში.

* * *

ჯერ ოცი წლისაც არა ვარ და
ვგრძნობ რომ დავბერდი
ყბადაღებული მოხუცი ვარ ასე მგონია
ზურგი მაქცია ცხოვრებამ და ჰო... მეც გავლოთდი
ჩემზე ნათქვამი იმდენი რამ გამიგონია,
რომ დასაწერად თაბახებიც აღარ მეყოფა,
იქნებ კალამმაც გამიჭედოს ყველაფრით დაღლილს,
ვხედავ, კედელზე ისევ იანვრის კალენდარია
ვერ შევეგუე, ვერ შვეგუე ვერაფრით აპრილს.

არწივი და მონადირე

კლდის თავს გამოჩნდა არწივი
ყელზე ბუმბულით თეთრითა
ნისკარტი ჰქონდა ოქროსი,
ტანი კაკაოს ფერისა.

დასჭყივლა მონადირემა
კლდე აიარა ფეხითა
კლდის თავს მოექცა ბეჩავი
თოფს უმიზნებდა ქშენითა.

არწივმა სტვენა დაიწყო
გაჯავრებულმა წყენითა
გაჩერდი მონადირეო!
თოფი დაუშვი ხელითა!

არ ესმის მონადირესა
არწივის სტვენით ნათქვამი
,,გამასტყვრა ჯალათის თოფი
კლდემ ბანი მისცა მაღალი''.

არწივი ხევში ჩაეშვა
დაბლა გაერთხა მიწასა
ფრთებს იქნევს, ცდილობს აფრინდეს
მაგრამ ვერ სცდება მიწასა,

თავს მონადირე წაადგა,
დასცქერის ახლა იმასა,
სწადია კიდევ ესროლოს,
მაგრამ ცრემლი სდის ფრთიანს,

არა ეს შიში არ არის
არც კრთომა არის წყეული,
არწივის თვალზე ცრემლები
ტკივილს აქვს გამოწვეული.

არც მონადირე არ შედრკა
არ გმობს საქციელს თავისა
თავს არ ხრის გმირის წინაშე
ქედს არ მოიდრეკს წამითა.

გაჩერდა თითქოს ბუნება
ჩამი არ ისმის არვისა
აღარც ფოთლები შრიალებს
არც ნაკადული სულისა.

მხოლოდ ბულბული უსტვენს და
სევდიანს გალობს წყნარადა,
თითქოს იმ ქვეყნად ისტუმრებს
ცრემლი სდის თვალზე ცხარადა.

დატოვა წუთისოფელი
დასთმო სიცოცხლე თავისა,
ნათელში იყოს ბედშავი
ყორანიც ამას ჩხავისა.

რად მოჰკალ მონადირეო!
მუხა აყვირდა ბრაზითა,
თავისუფლება უყვარდა
მით დაფრინავდა მაღლითა.

ერთი შეხედე შენს თავსა
რა საცოდავი კაცი ხარ
დაეხეტები ტყეებსა
ვითომ დიდ საქმეს სჩადიხარ.

მოდიხარ გვირევ ოჯახს და
თოფს გვესვრი, ცოდვას სჩადიხარ,
თავი ვაჟკაცი გგონია
გახარებულ დადიხარ.

შენ ის მოჰკალი ტიალო
ცოდო დაიდე მაგისა,
ღმერთია მოწმე ყველასი
დამნაშავის და მართლისა

* * *

კოკოლიებზე გავიჭერი ჩემი ცხენით და
ყალყზე შევმართავ მითიური პერსონაჟივით
თვალს გავუსწორებ აბულის მთებს და
გულში ჩავიკლავ მძიმე დარდივით.

თუკი წამძლია სურნელებამ მაღალი მთების
შორს, ირმისრქაზე გამაქროლებს ბუცეფალივით,
ამათლებაზე შევასვენებ ჭენებით დაღლილს
და მე ვილოცებ იქ გულწრფელი მირიანივით.

მადლობა ღმერთო იმისთვის რაც მე გამაჩნია,
მადლობა ღმერთო იმ მთებისთვის შენ რომ მაჩუქე,
მადლობა ღმერთო იმ სოფლისთვის მე რომ ვცხოვრობ და
რომ უიმისოდ არ არსებობს ჩემთვის სამოთხე.

რომ არა მთები, მთის ჰაერი რომ არ მესუნთქა,
რომ არ მქონოდა მთის ჯავრი მარად
მაშინ სხვაგვარად დავწერდი ლექსებს
და ალბათ მთასაც ვაქცევდი ბარად.

ანა ბერიძე - სტუდენტი ასპინძა

საუბარი „მე“-სთან

დღეს ისევ თითქოს დაიმკვიდრე თავი დავიდა,
მაღალ მწვერვალებს ეჭიდები და ფიქრობ ვეღარ...
გიძნელდება აღმართის ავლა
სადაც ცხოვრების უმეტესი წელი გავიდა.

დროს შენთვის დღესაც დაყოვნება არა სწადია,
არეულ ფიქრთა პრელუდია ბავშვივით გართობს,
დღეს მერამდენედ გაიფიქრე რომ ეს ბოლოა,
ბოლოზე ფიქრიც ხომ საშინლად გაშინებს, გაფრთხობს.

გაჰყურებ სივრცეს, სამყაროს მიღმა არსებობა უფრო რთულია,
საკინძეს შიგნით გული გულში რომ ვერ ეტევა,
თამბაქოს კვამლში ახრჩობ ფიქრთა შავ-თეთრ დროებას,
ილუზია გაქვს, რომ ყველაფერი არაფრისგან შექმნა ეგება.

როცა ცდილობ რომ დაიმკვიდრო თავი თავიდან,
ქაოსურ დროში ვერ პოულობ და ეძებ შვებას,
ძალიან მაღლა, რეალობას მოწყდი და ატყობ,
რომ ვეღარ შეძლებ უმტკივნეულოდ დაბლა დაშვებას.

ვილაპარაკოთ

მოდი, დღეს ერთმანეთზე ვილაპარაკოთ,
ცოტახნით დავივიწყოთ ირგვლივ სუყველა,
მხოლოდ მე და შენ, ორნი მოვწყდეთ მძიმე მიწას და
მერე ქარში ამოვიცნოთ თავისუფლება.

მოდი, დღეს შენზე ვილაპარაკოთ,
ბოლომდე ჩაწვდი შენი ფიქრების უცნობ ნაპირებს,
შენ ნამდვილ სახეს ნუ დამალავ, მელაპარაკე,
მხოლოდ ჩვენ დავრჩით, თუმცა მგონი წვიმას აპირებს.

მოდი, დღეს ჩემზეც ვილაპარაკოთ,
გინდა მოვიშიშვლო სული მთლიანად,
ნიღბებს ჩამოვიგლეჯ არცერთის გამოკლებით,
ნაკლით და ღირსებით, მინდა მიცნობდე ყველაფრიანად.

მოდი, ფარულ ზრახვებსაც ავხადოთ ფარდა,
ვილაპარაკოთ სიკეთეს რომ ბოროტება ხანდახან ჯობნის,
მერე ნამუსმა რომ შეგვაწუხოს (თუ შეგვაწუხებს),
თავს გავიმართლებთ, კაცნი ვართ და სუყველას მოგვდის.

მოდი, ამ ღამეზეც ვილაპარაკოთ
და ამოვწუროთ ყველა სათქმელი იქნებ ბოლომდე,
მერე თუ გინდა ჩავიდინოთ რამე სიგიჟე,
უთქმელ სურვილებს ფრთები შევასხათ ცხადში როგორმე,

მელაპარაკე, სანამ გათენდეს მელაპარაკე,
თორემ ყრუ მდუმარება შეცვლის ისევ ყველა დღეს,
და ბოლოს, მოდი არაფერზეც ვილაპარაკოთ,
რადგან ამდენ ლაპარაკში ეკარგება აზრი ყველაფერს.

ზმანება

ვხუჭავ თვალებს და წარმოვიდგენ სამყაროს ფერადს,
არაფერია მასზე ლამაზი და საოცრება,
სადაც არ სუფევს არც სიყალბე, არცა ვერაგი,
სადაც უცხოა სიბოროტე, კაცთა გოდება.

სადაც ერთნი ვართ მტერიც, მოყვარეც,
ქრისტეს კალთისკენ მივიწევთ და არ ჰგავს ამაოს,
არარაობად ქცეულიყო შიმშილიც, ტანჯვაც,
ასეთ სამოთხეს ვერ ინატრებდი ამ სააქაოს.

მარადიულად მსურდა მაშინ მე დღეთა რბენა,
ვხედავდი როგორ დავამარცხეთ უღმერთოება,
როგორ რჩებოდა ეშმა თურმე გაოცებული
კაცობრიობამ რომ მიუსაჯა მას მარტოობა.

ვახელ თვალებს და ვეღარ ვხედავ სამყაროს ფერადს,
არა იყო რა მასზე ლამაზი და საოცრება,
აქ არ სუფევდა არც სიყალბე, არცა ვერაგი,
აქ უცხო იყო სიბოროტე, კაცთა გოდება.

გაზაფხული დადგა

სილამაზის დამჩნევია იერი,
ხეებს ცვარი მოუხოცავს დილის,
ალიონზე ჩიტებს ამცნობს ქარი,
გაზაფხული შემოსულა თითქმის.

მზის სხივებში დანავარდობს სიო,
ბალახებში გაპარულა ნამი,
ატმის ხეებს ეპრანჭება კვირტი
გაზაფხულდა, გაზაფხულდა ვიცი.

ააშრიალა ხეები, აახმაურა ეზო,
ზეცას სილაღე აყრუებს, ანაზებს ფერთა გამა,
მარტი დგას გიჟი და თავნება,
გაზაფხული ჩვენ ქუჩაზეც დადგა.

უფალო ჩემო

როგორ ჩამობნელდა უფალო ჩემო,
ისევ ვახსენე შენი დიდება.
ცხოვრება გამიძნელდა,ფიქრები გამიხუნდა,
ხელი მომკიდე, შენი სიახლოვე მჭირდება.

სული გამეყინა უფალო ჩემო,
შენკენ მომავალი გზებიც მცირდება,
ყველას ჩამოვშორდი, ყველა ჩამომშორდა,
პატარა გული ცოდვებით მძიმდება.

ჩუმად ამეტირა, მწარედ ამეტირა,
სიწმინდეს ვეღარ გავუგე გემო,
ტაძართან ახლოს დავიჩოქები, შესვლას ვერ ვბედავ
მე ცოდვილი ვარ უფალო ჩემო.

ცრუ ღიმილს ვხედავ ყველას სახეზე,
ყველა მე მთელავს, შეენო...
ჩემ ნატანჯ ფიქრებს მხოლოდ შენ განდობ
სუნთქვამ დამღალა უფალო ჩემო.

სად დამიკარგა ბედმა მართალი,
წლებმა წამებით გადამატარა,
რად არ მიმართლებს უფალო ჩემო?
ან სულელი ვარ ანდა პატარა.

უკეთურებას ნუ მიმაბარებ უფალო ჩემო,
ნუ დამსჯი სხვათა სიბრმავის გამო,
ისეც ცოდვილ სულს ნუ დამიმძიმებ,
მომეცი ნება, რომ მეც ვიხილო ედემის მდელო.

შენი სამოსი ნახმარი, მომასხი ცოდვიან ტანზე,
შენი მადლი და ლოცვა გამომაყოლე გზაზე,
წმინდა საიდუმლოს უფალო, მარგუნე წმინდავე გემო,
გულით გევედრები, შენ გევედრები მაღალო უფალო ჩემო.

ბარები ჩქარა! (9 აპრილი)

დილა დგას უტყვი და პირქუში,
მზის ელვარება უეცრად ჩაქრა,
სადღაც გაისმა მძიმედ ტანკის ხმა...
ჯარისკაცებო, ბარები ჩქარა!

ოდითგან ებრძვი ქართველო მტარვალს,
ძმათა სისხლის ღვრა დღემდე არ კმარა,
ისევ გაჰკივს ხმა საზიზღარი,
ჯარისკაცებო, ბარები ჩქარა!

შავი დღე დაუდგა საბრალო დედას,
შვილის თვალებში სიცოცხლე ჩაქრა,
არა, არ აცადოთ მისი დატირება
ჯარისკაცებო, ბარები ჩქარა!

დღეს აპრილია, 9 აპრილია გარეთ ჯალათო,
სისხლი გწყურია უცოდველ ქალთა,
გაქრა მათ გულში გაზაფხული, სილაღეც გაქრა,
ნუ ჰყოვნით, ჯარისკაცებო ბარები ჩქარა!

აპრილის დილა დგას, მუნჯი და პირქუში,
თბილისის ქუჩებში სიცოცხლე ჩაქრა,
ისევ არ წყდება ხმა საზიზღარი
ბარები ჩქარა! ბარები ჩქარა! ბარები ჩქარა!

ელეგია

კვლავ და ყოველთვის წამოგყვები დროის გადაღმა,
შენს თვალებს სევდის მძიმე ფერი დასჩემებია,
მე და შენ, ორნი გავეცლებით ნაცნობ ქალაქებს
და ჩვენ არ ყოფნას რუხი დილა დასჩემებია...

როცა იცი რომ...

გარეთ სიყალბის ერა დამდგარა,
ტყუილებისგან ვერ ანსხვავებ ჭეშმარიტებას,
ადამიანში ვეღარ ხედავ მომცინარ თვალებს
ისინი მხოლოდ სიცრუეში გეპატიჟება.

მიდიხარ სადღაც, უსასრულო გზებით ეშვები,
თავს ვეღარ ანდობ უცხო სცენაზე ვიწრო კულისებს,
მიდიხარ შორს და გაურბიხარ კაცობრიობას,
ცრუ ბედისწერას დატენილ ნაგანს შუბლში უმიზნებ.

არა მეგობარო, მეამბოხეებს აქ ნუ მოძებნი,
აქ ყველა მხოლოდ დინებას მიჰყვება,
იქნებ არარის შენი ადგილი ამ სამყაროში
სადაც ოცნებებიც უაზროდ და ობლად გიკვდება.

ჰოდა წადი, გაერიდე უღმერთოებას,
~რათა იგრძნო შენი ღირსება მიწიდან ცამდე,
სხვა თუ არავინ, მხოლოდ ღმერთთან იყავი სუფთა,
დანარჩენს თვითონ გამოარჩევს განკითხვის ღამე.

დუმილი გაარღვიე მარტოობასთა,
ჯიბრში ჩაუდექი ბოროტ სურვილებს,
საკუთარ თავს კი ნუ განუდგები,
და ნუ დაუწყებ რაიმეს ახსნას ბრიყვს და უვიცებს.

როცა იცი რომ გარეთ სიყალბის ერა დამდგარა,
ტყუილებისგან ვერ ანსხვავებ ჭეშმარიტებას,
ადამიანში ვეღარ ხედავ მომცინარ თვალებს
ისინი მხოლოდ სიცრუეში გეპატიჟება.

ლევან გოგოლაური

მარაბდის ბრძოლა

იბრძოდა ცხრა ძმა შემართული ხერხეულიძე
და აქვე იბრძვის ცხრა პირ-მგელი თვით მაჩაბელი,
იყო ვაება, კბილთა ღრჭენა ვით სოდომური,
ხმალთა კვეთება, შუბთა ძგერა წარსაწყმენდელი,

ბრძოლის პინაკი მტრის ფაჯაბნით გაფაიხარა,
ნუთუ არ აცლის ქართველ გმირებს ბოლომდე ზეიმს?!
და ამ სიმძლავრით ლაშქარმა ხომ ვერ გაიხარა,
ეჰ, არ შეარგეს მიწის მებრძოლთ თვით გამარჯვება,

ლომებრ იბრძოდა მკლავ მაგარი გიორგი შლეგი,
ეტევებოდა სად უჭირდათ თანამებრძოლთა,
სადაც ჯგროდ იყო მტერი თვისი დაუნდობელი,
სადაც რომ წვიმდა სისხლის წვიმა ეს ულმობელი,

წყდებოდა გლეხი საქართველოს ეცემოდა ზედ გულზე მეხი,
ირეცებოდნენ ვაჟკაცები კლდეთა მაგვარნი,
ერთად შეკრულან გლეხნი მცირედნი ამ სამსხვერპლოზე,
და არ ტოვებენ სისხლიან ველს აქ მარაბდისას.

ავღანეთი

ჩემი პატარა მაგრამ ლამაზი,
სუფთა ჰაერი ხალხი ხალასი,
ჩემი სამშობლო თვით ოაზისი,
როგორც მედეას ოქროს საწმისი...

მე იქ ვარ სადაც ცხელი ქარები,
მიჰქრი-მოჰქრიან განახარები,
თემურ ლენგის და ჯებე ნოინის
ვით, სისხლის მსმელი ურდო-ჯარები,

აქ ნამი ძუნწობს არა და არ წვიმს
არ უყივლია ქედმაღალ არწივს
არ უხილვია თვალთაგან არვის,
სწორუპოვარი სიმაღლე ალვის

მიმტევებელნი მოყვარის მიმართ,
გულმაგარი და მხარ-მკლავ ჯანმრთელი,
შეუპოვარი მათ მტერთა მიმართ
ირგვლივ გარნიზონს იცავს ქართველი

განსაცდელის ჟამს მუდამ თან ჰქონდა
დავითს თავისი წმინდა ქნარია
არ მეშინია და იცი რატომ ?
იესოს ლოცვა ჩემი ფარია !!!

წმინდა გიორგი გვიცავს ყოველთა
ლაშარის ჯვარი როგორც ფხოველთა
ტროას კედლები როგორც ტროელთა
ვით კიდობანი მრავალ ცხოველთა

გამომშრალ მიწას ასდის ალმური
სულს მიძლიერებს
კითხვა ფსალმუნის...

ჩემ ძმებს

ძმავ ძმის ტკივილის მოზიარევ, სათნო მყოფელო,
შენი ძმისათვის სისხლ-ხორცშიაც განუყოფელო
ჭირსა თუ ლხინში მხარში მდგომო დიდო კედელო,
ძმისთვის სიკეთის, სიხარულის კარგო მჭედელო,
მისი გმირი ხარ მისი მცველი სიცხეში ჩერო,
სადაც სჭირდები იქვე ჩნდები, პირ-სისხლა მგელო,
ორლესული ხარ, დაშნა ხარ, შუბისა წვერო
მისთვის თავს სწირავ, ეწამები ჯიგარის მწველო,
ომში სანგარო რაღას გადარო ბასრი ხარ პერო,
შენ გაიხარე იდღეგრძელე მისი მტრის მტერო

* * *

სამყაროსთვის ხარ დაბადებული
ლამაზო, ამაყო, ქალავ
ვხედავ უფალმა მადლით აგავსო
შენზე სტრიქონებს ვქარგავ.

კვიპაროსივით რომ აწვართულა
შენი კენარი ტანი,
ირგვლივ რომ ყველას ასხივოსნებს
ორი მაცდური თვალი

მთის ჩანჩქერივით ჩამოგდიან
აეგ სპეტაკი თმები
ისეთი სურნელი ასდის რომ
კაცი ლოთივით თვრები

სათუთ ტუჩთაგან მოგიჩანს
თეთრი ბრილიანტის ქვები
ისეთი საოცრება ხარ
შენი სურვილით ვდნები

ზღვის ტალღასავით თამაშობს
შენი კაბისა ბოლო
ვაჟების გულის მომკლავო
როგორ არ შეგაქო გოგო

ქურდულად რომ იმზირები
განა ვერ გამჩნევ გგონია?
ტყის ველზე ხარ-ირმებს შორის
თავი ქორბუდა გგონია.

უხილავ ხელით ნახატო
უტკბესო როგორც ზედაშე
გულში გაყრილო მახვილო
თანაბარი ხართ მზე და შენ

ეს ლექსი შენთვის დავწერე
ვარდის ფურცლებში ნახარშო
ვიცი რომ არ გამიწყრები და
არ შედგები სალაშქროდ.

* * *

მუზებს ვიკრებ ძლიერ
მტკვრის პირას ვარ კარგო
საამო ხარ როგორც ტროპიკული მანგო,
ტირიფის ქვეშ ვწევარ მზეს მიჩრდილავს იგი,
ნიავმაც კი მითხრა არ შეჩერდე მიდი,
როგორ მინდა წელზე შემოგხვიო ხელი,
უარყოფით პასუხს შენგან მე არ ველი,
მტკვრის პირას ვარ ისევ, გავსცქერივარ გაღმა,
ვერ ვერევი ფიქრებს რომ დავეშვა დაღმა,
ნეტავ გაჩნდე ტყეში შვლის ნუკრივით მარტო,
მოდი ჩემთან მოდი იცი როგორ გნატრობ?!

,,წერილი ავღანეთიდან”

მადლობა ჩემო ძამიკო
მუდამ ჩვენთან ხარ სულითა
ყველას ნათელი მოგვფინე
შენი ლამაზი გულითა,

შენ გაიხარე იმრავლე
მაგ სიტყვა ოქრო მძივითა
შენი დალოცვით ბიჭები
მუდამ უშიშრად ვივლითა

თვალზე მოგვადგა ცრემლები
სულში ჩამწვდომი სიტყვითა
აქ მყოფი ყველა მებრძოლი
შენზე სიკეთეს ვიტყვითა,

ლოცვა ურყევი ძლიერი მთას გადადგამსო
იქითან მუდამ დავლოცოთ
ერთურთი
წმინდა გულით და სულითა,

სულ მალე დაგიბრუნდებით
მდუღარე მონატრებითა
ჩვენ ვიზეიმებთ ყველანი
თქვენ და სამშობლოს ხილვითა...

მეგობარი

მიყვარს მეგობარი, ერთგული და თბილი,
მიყვარს ისე როგორც უძილოსა ძილი,
მიყვარს როგორც მდელოს,
დილით თეთრი ცვარი,
მიყვარს როგორც შვლის ნუკრს,
თავის დედის ცური,
მიყვარს როგორც დაჭრილ ირემს წყარო ცივი,
მიყვარს როგორც მტკვარზე არღნიანი ტივი,
მიყვარს ისე როგორც ტყეში ქოხი თივის,
მიყვარს როგორც ძუ მგელს მსხვერპლი განწირული,
მიყვარს როგორც ჯიხვი კლდეზე დაკიდული,
მიყვარს ისე როგორც ტაძარს უყვარს მრევლი ...

რუსის ჯოგს

(სდექ რუსო)

ვერას დაგვაკლებთ ქართველებს, მუდამ ომებში ნაბერებს,
წინ ვერ უდგება ჩვენ ფხიან პირ გაცოფებულ სატევრებს,
ვერც სულიერი ბოროტი, ვერც ხორციელი გულ-მაგი,
ვერც რჯულიანი და ვერცა ურჯულო ერი ვერაგი,
ალბათ იმედებს ამყარებთ მაგ ქეციანი ჯარითა,
დადიან მშიერ-მწყურვალნი, აყროლებული ტანითა,
აბა როგორღა აპირებთ რით მოგვერევით ნეტავი,
ჩვენი მიწისა მფარველი ღვთისმშობელია ნეტარი,
არ გყოფნით მაგხელა მიწა!?
არ გყოფნით საჭმელ-სასმელი !?
მალე მაგასაც დაკარგავთ გახდებით ძაღლის საჭმელნი,
არ გახსოვთ რა დაგიბარათ თქვენმა ჭკვიანმა წინდანმა,
სათნომ და უსაყვარლესმა
მკურნალმა სერაფიმემა ?!
შეეშვით საქართველოსა არ გინდათ მათთნამ მრობაო,
ბოლომდე განადგურდება ვინც გადაწყვიტა მგლობაო,
რა გინდათ რად გვავიწროვებთ
რად გვღობავთ მავთულ ხლართებით,
გაავლეთ ეგ დიდი ხნული დაძრწიხართ დაიხლართებით,
დედა დატოვეთ იქითა შვილი კი ღობის აქეთა
გულს გვიკლავს მათი ქვითინი და თქვენი ბილწი სისინი ,
ისედაც ერთი მუჭა გვაქვს წინაპრის სისხლით ნადენი,
ეს მიწა ჩვენთვის ძვირია გმირი გაზარდა რამდენი,
ნუ გვაიძულებთ ფიალით,
სისხლი დავლიოთ დამპალი
და ბოლოს გამარჯვებისა დავანთოთ წმინდა ლამპარი.

მეფე თამარი

მზეო თამარო და მზეო სახიერო,
გლახკთ მოყვარე და მტერთა მარბიელო,
უფლის მოწამე და ქრისტეს მადლიერო,
შენი სამშობლოსთვის მარად დარდიელო

ქვრივთა მფარველო და ობოლთა დედაო,
ომსა შიგან იყავ მუდამაც მხნედაო,
მრავალჯერ გინახია ბექთართა გლეჯაო,
მამაცი ქართველების მდუმარე კვნესაო,

ლაშქარს წინ უძღოდი ტერფებ დასერილი,
ღმერთს ევედრებოდი დარდით დასეტყვილი,
ჩემს ერს აარიდე ტანჯვის ქარტეხილი,
შვილნი არ მანახო სულით გატეხილი,

მსოფლიოს აოცებდა შენი უზადობა,
სამყაროს ანცვიფრებდა შენი უმანკობა,
ვერვის დაენახა შენი უსასობა,
გურჯისტანს სჯეროდა შენი უკვდაობა

მზეო თამარო და მზეო სახიერო,
საპყართ მოყვარე და ბოროტთ გამგმირელო,
ერის მოწამე და ქრისტეს მადლიერო,
შენი სამშობლოსთვის მარად დარდიელო.

იამზე პარუნაშვილი-გელაძე - ეკონომისტი
ახალციხე,

გონი მომმადლე

ღმერთო, მომმადლე გონი იმდენი,
ქვეყნად მოსულმა სანთელი ვანთო,
სითბო მიბოძე გულში იმდენი,
ყინვით დამზრალი შევძლო გავათბო.

შემაძლებინე არვინ გავწირო,
ცად მოკაშკაშე ვარსკვლავი ვთვალო,
სხვას რომ სიკეთე არ დავამადლო,
სხვისგან კეთილი ვთვალო და ვთვალო.

ჩემი ტკივილი არად ჩავაგდო,
თუნდაც ოთხმოცი წელი ვატარო,
არვის ღალატი არ გავიკარო,
ჩემი სისუსტე უფალს გავანდო.

ვინც რა უნდა თქვას, ღმერთო უფალო,
მე რაც მიბოძე გული სადარო,
რომ მომმამადლე და გამაძლიერე,
მადლობელი ვარ, გმადლობ და გმადლობ.

რომ შევიგრძენი გაზაფხული და
შემაძლებინე ვთვალე იები,
რომ მომიყვანე დაზამთრებამდე,
შემაძლებინე ვთვალე ფიფქები.

გულს დამეყაროს ფანტელი თეთრი,
ზეცად ავიძრა დიდ ქარტეხილში,
ახდეს, ასრულდეს ოცნება ჩემი,
ბინა დავიდო ცა-ვარსკვლავებში.

სარკმელთან მისულს მგონი მოგმადლე,
არ დავენარცხო პატარა ძალით,
ისე გამზარდე, გამაძლიერე,
შემაძლებინე, მიგწვდე ნეტავი...

შენდობა და დანდობა

შევცბი, ვნახე ჩემს მიწაზე ია-ვარდი ეყარა,
ზოგმა ფეხი დაადგა და ისე გადაიარა,
ყაყაჩო და გვირილები ეკალ-ბარდშიც ყვაოდა,
თეთრი და წითელი ფერი ერთმანეთს შერეოდა.

თეთრ რძეს ერთი წვეთი სისხლი სითეთრეს უკარგავდა,
სულ ერთი ციდა შეცდომა გულს ხანჯად დასდებოდა,
ზოგს სიცილად არ ყოფნიდა, ზოგს კი დარდად დაჰქონდა,
კაციც ვნახე დავრდომილი, უძლურს ეხმარებოდა.

ხორცის ტკივილს განა მარტო ძე-კაცისა იტანდა,
ზოგს ხორცი და ზოგს კი სული ეწვოდა და სტკიოდა,
ჩვენ ჩვენსას და უფალი კი მხოლოდ ჩვენსას ჩიოდა,
განა სუყველა კაცობდა, ქალიც მამაკაცობდა.

კლდეზე ჯიხვი ასულიყო, მთის წვერს მიახლოებოდა,
მაგრამ მაინც ის საბრალო უფსკრულს დასჩერებოდა,
კაცი სინათლეს ეძებდა და მზისკენ მიილტვოდა,
მაგრამ იგი `მზის დაკვრით~ და `სიბრმავით~ აშინებდა.

დაჩოქილი ვნახე კაცი, მტრისთვის რომ ლოცულობდა,
ბევრი ქვეყნად ისეთია, მართლაც რომ საოცრება,
დავრდომილი ადგება და კვლავ სხვისთვის დავარდება,
მსურს ყველასთვის ნორმად იქცეს თუ უფალმა ინება.

ნატვრად ვიქეც საქართველო სულიერად ყვაოდეს,
ნატვრად ვიქეც სხვა ქვეყნისკენ გული არ გვეწეოდეს,
ნატვრად ვიქეც ქართველობა ფეხზე მყარად რომ იდგეს,
ერთგულებამ იმძლავროს და მოღალატე დაკნინდეს.

ღმერთო იქამდე მაცოცხლე სანამ ძალა მეყოფა,
სანამ ლოცვა შემიძლია და სანთელის დანთება,
სულიერი სათხოვარი შევასრულო იქნება,
ქვეყნად ყველას მოგვანიჭე შენდობა და დანდობა.

გზა-გზა ნარ-ეკალს ვთხრიდი

დაბადებიდან დამყვება უკმარისობა გრძნობის,
დაბადებიდან სურვილი შეუცნობელს აგვყვა,
დაბადებიდან დაგვყვება ღიმილიცა და სევდაც,
ქვეცნობიერშიც რაღაცის გვაქვს შიშიცა და სევდაც.

ვერ გავერკვიეთ უგნურნი, ნაღდი რაა და რა არ,
ვერ გავერკვიე რად არ გვაქვს სიმაღლისადმი სწრაფვა,
გზა და გზა როცა ვიზრდებით, რად გვსურს ვგარგოთ განძი,
მატერიალურს ვაგროვებთ, მიწად რომ ვიყოთ მყარი.

ვიძენთ ცოდნას და იმიჯებს, ხიბლით მოვდივართ გზა-გზა,
შვილებს ისე ვზრდით, ვუნერგავთ სინათლისაკენ სწრაფვას,
ხან ვსჯით, ხანდახან ვუღიმით და ვცდილობთ კარგად გავწვრთნათ,
თანდათანობით ვამაღლებთ, ვასწავლით თავის მართვას.

და არ ვიცოდით უფალი, მიტომ ვცხოვრობდით შიშში,
რამდენჯერ მწარედ გვითქვია `ხელჩაქნული ვივლით~,
გსაყვედურობდით უფალო `რაღა მე მერგო დარდი~,
მე ვარდი მსურდა, გარგუნა ღმერთმა ულევი დარდი.

აწ გავიზარდეთ, აწ მივხვდით, თურმე შენს შვილებს სჯიდი,
გვსჯიდი უფალო და ასე გვწვრთნიდი, შენს შვილებს გვწვრთნიდი,
განსაცდელებს დაძლევდით, ასე თანდათან გვზრდიდი,
ყველას მამა რომ იყავი და შემოქმედი დიდი.

აწ აღარ ვუფრთხით განსაცდელს, ქვეყნის კიდემდე ვივლით,
ყველაფერს წყალობად ჩავთვლით, გავუძლებთ ყველა ჭიდილს,
შენს გზაზე ვდგავართ მოვდივართ, ავიტანთ ყველა ტკივილს,
ტაძრამდე ისე მოვედით, გზა-გზა, ნარ-ეკალს ვთხრიდით.

მადლობელი ვარ უფალო, შვება მოგვმადლე დიდი,
რომ დაგვანახე და ჩავწვდით, ცხოვრების სიბრძნეს მივხვდით,
აწ ბედნიერი ვიქნებით, სიკვდილს შევხვდებით მშვიდნიდ,
მანამდე გიგალობებთ და მადლობას ვიტყვით მშვიდნი.

შენ ჩამიფიქრე

ღმერთო, როგორიც შენ გამაჩინე,
მიწისგან შემქმენ, შთამბერე სული,
ამ მიწისა და ამ ცისად გავჩნდი,
და შევიყვარე ყველა სულდგმული,

მესხეთისა ვარ, სხვა ცის არა ვარ,
სადაც მელიან მეც იქით დავალ,
რაში მჭირდება ღვინით თამაში,
მე ხომ ისედაც აზარტით დავალ,

ყველა ბუჩქსა და ბუჩქის ძირებში,
იას დავეძებ, იის ფანი ვარ,
ფრენა მაოცებს ყველა ფრინველის,
სიხარულით მეც ცაში დავფრინავ.

გულის ტლივილით ვიარები და
ძვალთსამარხებში ტკივილით დავალ,
დავეძებ ტკივილგამაყუჩებლებს,
გული მტკივა და ცრემლებს ვერ ვმალავ.

არ მსურს მიწიერს რამეს დავხარბდე,
შვილები მყავს და მათ ვითვლი მრავლად,
შვილთაშვილების სითბო თან დამაქვს,
სიყვარულით და ხალისით დავალ.

სხვისას არაფერს დავეხარბები,
არ მინდა, რადგან ამ ჯიშის არ ვარ,
უფალი, რასაც ჩემად მომითვლის,
გულით მივიღებ, მე თანახმა ვარ.

თუ დავიფიცებ, გულსაც თან ვატან,
მესხურ კალმით ვწერ, უბით რომ დამაქვს,
არ დავიტოვებ ჩემთვის არა რას,
ვიფიცებ მესხთა მიწას და თავანს.

უფლის სიყვარულს გულით ვატარებ,
ეს სიყვარული მუდამ თან დამაქვს,
რაში მჭირდება სხვა რამე განძი,
საგალობლები მუდამ თანა მაქვს.

მინდა ზეცაში შევინავარდო,
შევკრა კამარა, ვწვდე ზეცის თავანს,
მე აღარ მინდა მიწას შევეხო,
არ განვიკითხავ არავის... მავანს.

თუ უნებლიეთ რამ შემიცოდავს,
არა, არ მინდა ცოდვა დავიდო,
უფალო, ღმერთო შეგევედრები,
გამაძლიერე, არ დამანარცხო.

და განა ნაზი ია-ია ვარ
და არც ვარდი ვარ, ფერად-ფერადი,
თუმცა ხშირია გულის ტკივილი,
კლდე ვარ ძლიერი, ნირს არ შევიცვლი.

ღმერთო, როგორიც შენ ჩამიფიქრე,
მინდა ისეთი ვიყო მარადის,
ვეწამო... სული მწვავდეს, მტკიოდეს,
ოღონდაც შენში დავრჩე მარადის

გამოიდარებს

გამოიდარებს, კვლავ წავალთ, ერთად გავყვებით შარას,
ბილიკს მოვძებნით საჩვენოს და გადავუხვევთ ბარად,
დავკრებთ ენძელებს, შროშანებს, გვირილით გვირგვინს დავწნავ,
თავზე დავიდგამ ჩიხტიკობს და ვიქორწინებთ ტაძრად.

ტყე-ტყეც დავივლით, შეგვხვდება იქ უამრავი სოკო,
კალათს გავავსებთ მანჭკვარით, ალბათ შეგვხვდება ქამაც,
ირმის ნაკვალევს შევხვდებით, ავედევნებით კვალად
და ისე დაგვაღამდება დაგვავიწყდება ჭამაც.

ერთად გავუყვეთ კვლავ აღმართს, ერთად ვწვდეთ თმოგვს და ხერთვისს,
სოფელს წავიდეთ, ვილხინოთ, სერზე შევდგებით რიდით,
გავხედავთ ოქროსციხეს და წავალთ ბუზმარეთს მშვიდი,
ვილოცებთ, სანთელს დავანთებთ და ვიგალობებთ კრძალვით.

თუ კი შევწვდებით უფლის მთას, თითქოს ვყოფილვართ ცაში
და ყინულივით ცივ წყაროს დავეწაფებით პეშვით,
ერთად ვიფრინოთ ღრუბლებშიც, ერთად ვწვდეთ ზეცის თავანს,
როგორმე თავი დავიხსნათ და გადავურჩეთ ზამთარს.

დაგვღალა სნეულებამ და მოვალამაზოთ წლები,
კვლავ მოვლენ ჩვენი შვილები, შვილიშვილები ლხენით,
შვილთაშვილები გვამკობენ, გვატკბობენ სიბერეში,
ხალისით შევეგებებით, გულებს ავუვსებთ ლხენით.

გაზაფხული კვლავ დადგება, კვლავ აყვავდება მდელო,
ჩვენი სიცოცხლე გრძელდება, თქვენ გააგრძელებთ ბებო,
მყარად იდგება ტაძარი და ეყოლება მრევლი,
უფალმა იცის ვინცა ვართ, რისი დავტოვეთ კვალი.

ვფიცავ

ვფიცავ ჩემი და-ძმის საფლავს, ჩემი დედ-მამის საფლავს ვფიცავ,
ჩემი შვილების მომავალს დას მზიან ცხოვრებას ვფიცავ,
მესხურ კალმით დაწერილ და გულით წარმოთქმულ ლექს ვფიცავ,
წინაპართა დაღვრილ სისხლს და სისხლით გაჟღენთილ მიწას ვფიცავ.

რუსთაველის აკვანს ვფიცავ `იაი~-მ რომ დაარწია,
ჩემი ქვეყნის მთა და მდელო მუდამ გულზე მაწერია,
არ ვისურვო სხვა ქონება, არ მინდა მე სხვა სიმდიდრე,
ამ მიწაზე მინდა მოვკვდე, ამ მიწაზე დავიბადე.

არასოდეს ვუღალატებ, მაღლა ღმერთს და დაბლა მიწას,
ვუერთგულებ ციხე-რაბათს და ვარძიას კლდეში ქალაქს,
ჰე, უფალო, დაიფარე მესხეთი და მისი გენი,
ღვთისმშობელო დააფარე მადლმოსილი კალთა შენი.

ჩემი გულისთქმა

მინდა უვალოდ ვიცხოვრო, არც ვინმე მყავდეს ვალში,
მინდა მიმინოს ვემსგავსო, გავინავარდო ცაში,
მინდა შევიცნო სამყარო ამად ვიყურო ზღვაში,
ზოგჯერ მიწაზეც დავრჩე და დარი ვიგრძნო ავდარში.

მინდა წყურვილი მოვიკლა, ღვთის სიყვარული მინდა,
ეკალ-ბარდებში ვიარო, ეკალს ვიღებდე გზა-გზა,
მინდა უფლისკენ ვილტვოდე, მიტომ ვიარო ტაძრად,
რიტუალისთვის კი არა, ნაღდად ჩავიწვა სანთლად.

მინდა შეგიგრძნო უფალო, აქ მყავდე გულში მარად,
მომხედე, გამაძლიერე, გამზარდე, იქნებ შეგწვდე,
მინდა წირვის დროს ტაძარში მრევლს ფეხთამტვერს დავწვდე,
იქნებ, არაა უფალო ეს მკრეხელობა დიდი,
ეს ჩემი სურვილი არი და გულისთქმაა დიდი.

ციცო მაისურაძე
ახალციხე, სოფელი მუსხი

ამღვრეული ფუღურო

ჩემი ბავშობის ნაკადულო,
მარტში ამღვრეულო ფუღურო,
სად მატივტივებ სიყვარულით
სისხლის ძარღვებში დუღილო.
სველ ბილიკებზე მასრიალებ,
ყორეზე დაფენილი ხავსით,
ტირიფის სტვირზე ამაცეკვებ,
ბაბოს მოქსოვილი ნასკით.
ხელებ გაშლილი დამიხვდები,
დიდედას თბილო აჩრდილო,
საჯვარეს ფიქრით ამიტაცებ,
ახდილას მოხდილო მანდილო.
პანტიჭალაში მინანიებ,
საბძრისპირ მომიყვები ამბებ,
კენჭიანებზე ცას შევწვდები,
მოვესიყვარულები რამდენ.
ჩემი ბავშობის ნაკადულო,
მარტში ამღვრეულო ფუღურო,
სადღაც ჩაკარგულო ბავშობავ,
კარებზე ზრიზა და ურდულო.

პაპამ დამიტოვა სკამი

პაპამ დამიტოვა სკამი,
დატოვა და წავიდა,
იმ დღის შემდეგ ნახევარი
საუკუნე გავიდა.
პაპას სკამის დანახვაზე
გული უხმოდ კრთებოდა,
პაპას სკამი მზის გულობზე
მარტო როცა თბებოდა.
აღარც არაკს, აღარც ზღაპარს,
არავინ მიყვებოდა,
თვალზე ცრემლი მორეული
უსიტყვოდ მიშრებოდა.
მერე, მერე როცა ამ დრომ
სიყმაწვილე გათელა,
პაპას სკამზე გაანათა,
სიყვარულის სანთელმა.
რაც უთქვას და ულოცია,
სულს რომ სწვავდა იარად,
თურმე ჩემთვის მოუცია,
მიწა,წყალი მთლიანად.

მამა გაბრიელს

იმედის ფიქრი
შეიწირა მარადისობამ,
სიცარიელემ ვერ
შეავსო ამაოება,
ხმა უწვდენელი
დუდუნია მარტოობისა,
რა უცნაურად
იმოსება ეხლა ბუნება.
მთვარე ცაზეა, მარტო სული
უხმოდ გამდგარი,
სიკვდილის ცრემლი
შეჰყინვია ბაგეს გამწყრალი,
არ მოლიდინის
მოლოდინით იმედ ჩამქრალი,
სანუგეშებლად
უფალია ფეხზე დამდგარი.

რა ვიყავით

ღმერთო ჩემო, ნეტავ უწინ,
ვინ ვიყავით რა ვიყავით,
ერთი ციდა საქართველო
რატომ ვეღარ გავიყავით.
ვერ გავყიდეთ ნაწილ-ნაწილ,
მთებით ბარით მდელოთი,
სალოცავით, წყლებით, ქვებით,
ციხით, ზღვით და ჩეროთი.
წინაპრების საფლავებით,
ხავსითა და ხვიარით,
ძველი ყორით, ხაპით, დოქით,
ჯამითა და ფიალით.
ღმერთო ჩემო, ნეტავ უწინ,
ვინ ვიყავით, რა ვიყავით,
ამ ერთ ციდა საქართველოს
ვჯიჯგნით და ვერ გავიყავით.

სამშობლო

ა, ეს პატარა ქვეყანა,
ჩვენ რომ სამშობლოდ გვრგებია,
სისხლით და ცრემლით ნაპოხი
ჩვენ წინაპრების ძვლებია.
ქარაფი წამომართული,
უფსკრული, შავი ხევია,
ჩემ წინაპართა დამცველი,
მათი ლამაზი ფრთებია.
წყალი, მდინარე, ჩანჩქერი,
რაც, რომ ამ მიწას დენია,
ჩემს წინაპართა განცდაა,
მათი ნაპკური ცრემლია.
მიწას ჩაზრდილი ლოდები
წვიმისგან ნატირ-ნალოკი,
აქ გმირთა მთელი მოდგმაა,
მათი ბრძოლა და ამბოხი.
ა, ეს პატარა ქვეყანა,
ჩვენ, რომ სამშობლოს ვეძახით,
სისხლიდან სისხლზე გადადის,
ვით დაწურული ვენახი.
ესაა ჩემი ქვეყანა,
მხოლოდ უფალის ამარა,
აქ არწივების მართვეებს,
ცაში კვლავ გააქვთ კამარა.

ჩემი სოფლის სუნთქვა

ზამთრის სუსხმა ურჩად
შემომხვია ხელი,
ფანტელებმა თეთრად
დამითოვა თმები,
თოვლით შემოსილმა
მთამ დაიბა ბაფთა,
ნაძვს აუციმციმდა,
ვერცხლისფერი კალთა.
თოვლის ფანტელები
მოდის ნაზად ციდან,
მე კი ეხლა დედის
მოფერება მინდა.
ჩემი სოფლის სუნთქვა,
ცას ბუხრების კვამლი,
თოვლში გაკვალული,
ორი ფეხის კვალი.
მტკვარში ჩაწყობილი,
ტირიფების ოჩხა,
აკაპიწებული,
დიდი პაპის ჩოხა.
შარას დაწეული,
სუნთქვა ქადებისა,
ტაბლა ტკბილეული,
ხონჩა ქალებისა.
ცხელი კეცის პური,
დარაბები ღია,
ყველით სავსე გუდა,
ჯამს ტენილის ხვია.
თაფლით დაბერება,
შობის წმინდა ღამე,
დაჩოქილი ხატთან,
ზამთრის სავსე მთვარე.
შორს გაჭრილი ექო,
ჩონგური და სტვირი,
იქვე სუფრას ღვინო,
ჰარალე და ლხინი.
ზამთრის სუსხმა ცივად
შემომხვია ხელი,
მე კი მონატრების
გახსენებით ვთბები.

განცდის ცრემლი

ახლა თუ არ მოგეფერე,
ახლა თუ არ გნახე,
სიყვარულად მომევლინე,
ვით გრძნობების მახე.
არ შეგეხე, ვერ შევიგრძნე,
ძალა შენი მიწის.
ფესვებს თუ არ ვეამბორე
სიყვარულის სიყრმის.
ქონგურიდან არ გავხედე,
შენს ჩაგრეხილ ქედებს,
თვალი არ გადავაგორე
მაგ ხასხასა ველებს.
არ გავიჭერ მთებში ქარად,
არ გავაპე სივრცე,
ელვასავით არ დავიპყარ
შენი მიწის სიღმე.
თვალებიდან არ დავღვარე
ჩემი განცდის ცრემლი,
შენს ტაფობზე ფეხშიშველმა
არ ვიარე ბევრი.
ჩემო მიწავ საფიცარო,
ხევ-ღელე და ხრამო,
ჩემ გულში ჩაბუდებულო,
სიყვარულის ბწკარო.

წამებულ გმირებს

შემოდნობია ცას შავი ფარჩა,
ხევს შეჰფარვია რუხი ფერები,
სადაც არ ვიყო მამული ჩემო,
მოვალ მუხლმოყრით მოგეფერები.
დამშვიდებული მიდის ჭოროხი,
მტკვარიც ჩურჩულებს, რაღაც არაკებს,
აქ ათასობით ქრისტეს მოწამე
აუჩეხიათ მომხდურ ჯალათებს.
წითლად დიოდა, თურმე ჭოროხი,
მეწამულ კალთას არხევდა მტკვარი,
იქ ზეფენიის სახრჩობელასთან
იყო ქვითინი და იყო ზარი.
მე ეხლა ვხვდები რად ტირის ზეცა,
ნაპირს რად ლოკავს, ჭოროხი, მტკვარი.
სურს შეგვსხსენოს, რომ წინაპრები,
გოლგოთის გზაზეც არ იყვნენ მხდალი.

თამაზ გინტურს

ლომისავ შენს ძალას
ვენაცვალე, მამულს
გავედრებ მტრის ნაწამებს,
სისხლს შეგავედრებ ვაჟებისას,
მიწა სიცოცხლეს რომ ანაცვალეს.
ცრემლებს შეგავედერებ დედებისას,
ვაებით ბნელ ღამეს
ანათალებს.
დღეებს შეგავედრებ
ჩემი ერის,
დროთა ჭიდილში
განაწამებს.
მტრისგან განწირული,
ჩემს მიწაზე,
შენს წინ დაჩოქილი
ვხუჭავ თვალებს.

მერცხალი

მინდა მერცხალი ვიყო,
შენს სახლის თავზე მფრინავი,
დილ-დილად დავიჭიკჭიკო,
გამოგაღვიძო მძინარი.
ფრთა ფრთას შემოვკრა, გახარო,
ქვეყნის ახალი ამბები,
ტრფობის ჭიკჭიკით დავატკბო,
შენი ლამაზი თვალები.
ღამე გიმღერო ნანინა,
შორს გადგიყარო დარდები,
დილით კი გამოგაღვიძო
და დაგიკოცნო თვალები.

ტიტვინიძე შოთა - სტუდენტი

ქალია

ქალია ევა და ქალია დედა,
ქალია ვისზეც სიყვარული წერდა,
ქალია სიმშვიდე, ქალია ომი,
ქალია ვნება და ქალია მორცხვი,

ქალია სამყაროს ავიც და კარგიც,
ერთმა მოიხვეჭა ღვთისმშობლის მადლიც.
ქალია სიცოცხლე და ქალია სიკვდილი,
ბევრია ვისთანაც არ ღირს ჭიდილი,

ქალია სიწმინდე და ქალია მაცდური,
ქალია სილაღე და ხშირად ბავშვური,
ქალია ბევრი ისეთი ვერ ვხსნი,
მაგრამ აირჩიეთ ყოველთვის ერთი.

***

ჩემი ცხოვრება ერთი წუთია,
წუთისოფელიც ამას მიმოწმებს,
ერთი წუთი მაქვს, ისიც ჩუმია,
ისიც ცოცხლებში აღარ მიგონებს.

ჟამბაზებს ვხედავ, მიდი-მოდიან,
სცენა წინ კი არა ირგვლივ მქონია,
ყველგან ნიღბები, ყველას ჰგონია,
რომ დაფარული თავი ჰქონიათ.

ჩრემლები წამსკდა, ღიმილი დამრჩა,
გაურკვევლობა ჩემში ღრმად ჩაძვრა,
თუკი ცხოვრება მას კარად ჰგავდა,
ჩემი ნიღაბი ნეტავ სად გაჰქრა?

სძინავს ქალბატონს

სძინავსქალბატონს, დილის მშვენებას
სძინავს, ნახულობს, ალბათ სიზმრებსაც,
სახეს დავყურებ, გული მიკვდება,
კოცნა ლოყაზე ისე მინდება.

სუნთქვას ვიკავებ, ფიქრებს მივყვები,
არ გააღვიძო! თავს ვეუბნები.
დუმილს ვჯერდები, მიზეზს მიხვდებით,
თვალს რომ გაახელს ჩავეხუტები.

შენც დაბერდები

შენც დაბერდებიო მითხრეს ერთხელ,
დასუსტდები, ძალა გაჰყვებაო ძველ წლებს,
სიცოცხლეს ჩაებღაუჭებიო, როგორც ფესვებს,
გაუგებ ჟამიდან გარდასულ ხეებს.

აღარც ნაყოფი, აღარც ფოთლები,
მხოლოდ დამშრალი ჩონჩხი ტოტები,
აღარც გრძნობები, აღარც ლტოლვები,
მზეში ნათდება წარსულის მონაგონები,

აღარც იმედი, რისთვის მიზეზი,
ცხოვრება გავლილი იქნები ფიქრებში,
სიმშვიდე არ მოვა, გვიან მიხვდები,
მთელი ცხოვრება ამაოებას მისდევდი.

შეგვხდება სისუსტე, ჯერდება ძარღვებში,
შეგხვდება სიკვდილი, დამდგარი კარებში,
დაგრჩება ქონება, სკივრში თუ ბანკებში,
სული იქნება ცოდვებთან ვალებში,

შეგრჩება ღიმილი, ბავშვური დარდი,
შეგრჩება სევდა, ისიც დასანანი,
მიხვდები ცხოვრება გიღირდა წამი,
ჭამი როდესაც გქონდა დასაკარგი.

ბოლი გული

დრო გადის,
გული ობლად რჩება,
ცას ფერი აქვს ჟანგის,
მზე უსხივოდ მხვდება,

აღარ მესმის ჟრიამული ხალხის,
მხოლოდ სიმღერაა თეთრი გედის,
ალბათ დრო მოვიდა დაშლის
და ობლობა ბოლო სტუმარს ელის.

***

ომნანიებლის სახით ვიწერ ჯვარს,
შაკმევლის კვამლით ვნიღბავ თავს,
შული იმალება ცოდვები ჩანს,
ჩემი ქმედება ფარისევლისას გავს,

რაფრად ვაგდებ წმინდანთა ღვაწლს,
უძლურად აღვიქვამ დაწერილ მრწამს,
დავცინით მას ვინც უფლისკენ ნაბიჯს დგამს,
ვკარგავ და ვერ ვინარჩუნებ ღვთის მადლს,

როგორ ვივიწყებთ უცოდველ სისხლს,
საზიარებლად რა ნამუსით ვაღებ პირს,
როგორ ვიღებ ამხელა ტვირთს,
წარბსაც არ შევხვრი, ვეამპარტავნები ვის?

შემოქმედს? მამას? რომელიც მიწოდებსშვილს,
მაძლევს ყველაფერს, რასაც საჭიროდ თვლის,
მე კი ვიმარჯვებ თაბახს და საწერად კალამს,
ლექსად კი ვწერ ჩემი გულის კარნახს:

`ხომ მივყვებოდი ცოდვილი აღმართის გზას,
ხომ ვატარებდი წელში მოხრილი ჯვარს,
როგორ არ ეყო რწმენა სამოთხის კარს,
ალბათ არც ვიმსახურებ მეორე შანს”

ამ სტროფებს დავწერ და ცრემლით დავუსვამ წერტილს,
სხვებსაც რომ ვანახო, თითქოს სიტყვა მეთქმის,
ჩვენ ხომ ვაფასებთ ქმედებებს, ოღონდ სხვების,
საკუთარს ვმალავთ, რადგან ვერაფით ვერ ვხსნით.

ბოლოს მივატოვებ წერას და ვიტყვი ჩემთვის,
ცხოვრება ფუჭია, ვერაფერს ვიყოლებ ზევით,
ამ დროს საყვარელ ადამიანთა თვალები მეტყვის
ჯობდა მეტი დრო დაგეთმო ჩვენთვის.

ვერაფრით ვერ ვხსნი გრძნობებს, რომლებიც მეკვრის,
რწმენა ძალაა მე კი სისუსტე მერჩის,
სიყვარული საგზურია, სამოთხეში შესვლის,
მე არ მაქვს, დედაჩემი კი ზეციდან მესვრის.

***

შორეული სამყაროდან მიხმობს დედა,
დარდობს, შვილი რომ ვერხედავს,
დამიძახებს, ხმა კი სადღაც ქრება,
ჩამიხუტებს, გული ცივად რჩება,
ჩრემლებსა ღვირს, მაგრამ მე ვერ ვხედავ,
ლოცულობს და მე არმჯერა,
წლები იქით მალე ქრება,
მაგრამ დედის გული ვერა ხვდება.
მე კი მტკივა, თუმცა ვეღარა ვგრძნობ,
ამ ყინულის გადნობასაც აღარ ვნატრობ,
მივეჩვიე ღმერთის ნებას, აღარა ვგმობ,
რაც წილად მხვდა განსაცდელი იმას ვკმარობ,
ყველას გვაკისრია ღმერთის მისია,
წასულები უდროოდ გულის მოგონილია,
ნუ ინატრებ იმას, რაც კი სხვისია,
შენი ჯვარი იცოდე შენთვის მოგონილია.

***

დავგმეთ, ჯვარს ვაცვით ღმერთი,
გვირგვინი დავადგით ნაქსოვი ეკლით,
ბრალი დავადეთ ცოდვების შენდვის,
ვერ შევიგუეთ სიწმინდე გვერდით.

გაუგებარი რჩება რისთვის ვერჩით,
ჭყალობას ვიღებთ ურჯულო ქცევით,
ალბათ შენდობა არ კმარა ჩვენთვის,
რადგან ცოდვებს ხელახლა ვერწყმით,

ალბათ ვბრაზდებით, ვერ განვარისხეთ ღმერთი,
ადამიანში გვერევა, უმიზეზოდ რომ გვესვრის,
წუხს, დარდობს ჩეენი შემოქმედი,
რადგან სამყაროს აღსასრული ელის.

იგი გვგონია მსაჯული ქვეყნის,
გვგონია დაგვსჯის თუ არ დავემორჩილებით,
შამყარო შექმნილია უბრალო წესით,
მოიმკობთ იმას რასაც კი თესდით.

მე შეგადარებ

მე ვერ გადრებ ბროლს,
თუნდაც მარგალიტს ზღვის,
მე შეგადარებ ერთად ერთს ნილს,
ქურქს, მშვენებას ამაყი მთის,
ხელშეუხებელს, მიუწვდომელ ცის,
ზოგჯერ ნაწვიმარ ველების ქვრივს,
ცივს, არ ატარებს ხივებს მზის,
მაგრამ გხედავ და ეგ სილამაზე მცრის,

როგორც ამ ქვეყნის შვილს,
შენი მშვენების მნახველ ბიჭს,
ნორჩს და ამასთანავე გიჟს,
გეტყვი: შენი ხილვა სიკვდილად ღირს.

თოვს

თოვს, თეთრი გედი ჩაეხუტა სამყაროს,
მოგონებებს დაამღერა, წარსულს გვთავაზობს,
მე კი წასვლა მინდა, ოღონდ შორს,
სადაც მელოდება ის ვინც გამათბობს,
ის ვინც ჩემს გულშია,წასვლას არ ნატრობს,
გველოდება, მე და თოვლს,
მჯერა ძველებურად გავაჩერებთ დროს,
ავაშენებთ საუცხოო კოშკს,
მოვქსოვთ ტკბილ მომენტთა ნოხს,
ზედ გავწვებით, საიდუმილოს გაგვანდობს,
როგორც ზღაპარს ისე მოგვითხრობს,
გარეთ თოვს, გედი ჩაეხუტა სამყაროს,
ეს წუთები დავიჭიროთ, სანამა გვაქვს დრო,
სანამ მოგონებად იქცა, ნება მივცეთ გაგვათბოს,
თოვს, ქვეყნად სიყვარული არსებობს,
ფანტელების ქაოსია, თუნდაც არ დადოს,
ამ სიხარულს, ამ სიყვარულს გული არ დათმობს,
მე აქ, შენ მანდ ეს ფიქრები ვიცი გაგვათბობს.

მთვარისა ცუცქირიძე - ფილოლოგი
ახალციხე, სოფელი ბოგა

ა, რატომ მიყვარს მაისი

გაგიჟდა მარტი, რა გიკვირს
განა პირველად?,მარტია,
ბანზე იებს რომ დაგიყრის
თან ფიფქებს ათოვს მაღლიდან.
გაგიჟდა მარტი ამ წლისიც
გამოიდარებს ხვალიდან?,
ბეღურა უშტვენს დაღლილი
ზამთარ-ზაფხულის ფანჯრიდან.
თავის რიგს უცდის აპრილი

წელსაც რიგში დგას,მაშინაც,
ურჩ დღეებს უთვლის მარტივი
და ამ ლოდინში ამრიგად...
... ...
ეს შუათანა აპრილი,
მარტივით სულ მთლად გაგიჟდა.
... ...
თუმც მარტი რისი მარტია,
აპრილს თუ დღენ აპატია.

***

ვატყობ რა სწრაფად გადის დრო
და ჩვენც რა სწრაფად ვბერდებით,
ვერ დავეწიე განვლილ წლებს
ჯერ არ განვლილი ვნებებით.
სულაც არ უჭირს დროს ფიქრი
წუთებში ისარ ნატყორცნი,
მოვა და განცდებს მოიტანს
თმაში ჭაღარად ნათოვლი.
ვერ დავეწიე განვლილ წლებს
და ვერც ბავშვობის იარებს,
ვერ მივწვდი დღეებს გაფრენილს
მუხლდაკაწრულს,ხან მზიანებს.
დრო სწრაფად გადის,დრო ურჩი
დრო არსად დააგვიანებს,
ჩვენი ბავშვობა მეძახის
სულ-თან ახლოს რომ ტრიალებს.
წრიალებს და ჩვენც ვბერდებით
დავითვლი წლებს,ნაკიანებს,
გული გეძახის ბავშვობავ
შენს ღმერთთან გამაზიარე.

მ ა მ ა

როცა შვილები ვახსენებთ მამას
გული სიკეთით მევსება,
და თავს მახსენებს მოგონებები
ფერი რომ არცერთს ეცვლება.
წრიალებს დრო და არც კი იცვლები
სულ არ გაშინებს დაღლა,
მეამაყები მამი მთისფერი
როგორიც მყავხარ ახლა.
ვატყობ ხანდახან გეღლება გული
ამოიხვნეშებ მაშინ,
რამდენი დარდი შემოგფენია
ჭაღარით ნაფენ თმაში.
წლებმა წაგართვა ის სიჭაბუკე
და გაგიტაცა დარდმა,
ვიცი ვერასდროს ვერ დავივიწყებ
შენს სითბოსა და ამაგს.
მახსოვს გვიან ღამ,დედის ლოდინი
შენ გეკუტვნოდა და,მე?,
მახსოვს ძილის წინ როგორ გითვლიდი
ხალებს შენს მკლავზედ ნაფენს.
არ გამიწყრები,ვიცი ეგ გული
მიჭირს მე შენზე წერა,
დედის დარდიან გულს გეფიცები
განუყრელ `ბედისწერას~.
რომ შენ ხარ ჩემში ძალა,იმედი,
სიცოცხლის აღმაფრენა,
ერთი პატარა თხოვნით მოვედი
არ დამიბერდე მეტად.

***

სხეულს შეუშფოთდა სული
სხეულს,თვითნებურად მგოსანს,
გარე უშნო ნაკვთებს უვლის
შიგნით წუწუნებს და ოხრავს.
სხეულს აუჯანყდა მშვიდი
მასში ნამყნობ მაინც ვერ ცნობს,
სული სიმსუბუქის ჭრილი
არა,არ სურს სხეულს ენდოს.
დადის,ეხეტება გარე
სხეულ,ოცნებებში წვება,
მასში ამოდენა მხარეს
სულმა ვერ იპოვა შვება.
იბრძვის,ფუფუნებას ეტრფის
ფეხი ეშლება და ბრაზობს,
სულთან გაბუტული სხეულ
სხვათა წარმატებებს ხარბობს.
ყველა სიმახინჯის მალვად
იღწვის,მოიპოვოს ფული,
მაგრამ რა უნდა ქნას ახლა
აწ,დამახინჯებული სულით.
ყველა ამბიციის ხატად
ღმერთთან იჩოქება ღრეჯვით,
სულ დავიწყებია მართალს
ლოცვა ღვთიური და წრფელი.
ასე გაბუტულნი ერთურთს
ძმობა,ტკბობა უბერდებათ,
ამდენ წვალებაში ერთგულ
სული სხეულს გან-ეყრება.

***

გაავდარდება მოქუფრულზე,ცა ცრემლებს დაყრის
და მთის სხეულში გაიღვიძებს თქეშით სტიქია,
გარეცხავს ქუჩებს,მთა ბილიკებს ჩამორეცხს შრამებს
ქარში ნასროლი ხმაური და ირგვლივ ნისლია.
მზისგან დამწვარი ამ ზაფხულზე,ყეყეჩობს ნარი
ლოდქვეშ მოყოლილ ხავსის ნედლი სასახლით შურობს,
ჩამომხმარ ტოტზე შერჩენია მკვლელი იერი
და დიდ ბუნებას ბედიღბალზე ამაყად ნდურობს.
წვიმა აცოცხლებს და ვერაგი ქარიშხლის ქუსლი
დაჰბედებია უსახლკარო ფერდობზე შინდებს,
მისი სტიქია იბადება დიდ ბუნებაში
ცეცხლისფერ დაისს ცხელ განცდებით რომ არ შეშინდეს.
კვლავ განდეგილი შევერცხლილ თმას ივარცხნის ზეცა
და ბადრი მთვარე შემოაღწევს ბუნების წიაღს,
გადაიყრება საწვიმარი მთის ცივ კალთებში
გათამამდება ბილიკებზე ნარ-ეკლის ფშვინვა.
გულშემოყრილმა,ასკილის ტოტს მოაჭდო ბრჭყალი
შენისლულ ტყეზე გადაღლილმა ფრენით,ბეღურამ,
ბებერი სოკოს ნასახლარზე გადაცრის წვეთებს
და ფრთას გაისვამს დასველებულ შუბლზე გლეხურად.
ცალ ბაგეს გახსნის მშიერ კუჭზე ქვის ლოკოკინა
სველი ფოთლების სურნელებას ყნოსავს და ძღება,
ხავსმოკიდებულ,ნაძვნარ ტყეში გაფანტულ შიმშილს
წამით ავიწყებს გავარდნილი ბულბულის სტვენა.
ქერქ შეფარებულ ჭიებს შიში კანკალში სძინავთ
გამოაღვიძებს რაკა რუკი კოდალის,კაკ კუკ,
და დაღამებულს შემოურბენს დიადი ფრთებით
თვალებბრიალა მღვიძრად მყოფი,დამზვერავი ბუ.
მშვიდდება ღამე,აკვანს არწევს,გათენდეს სანამ
ტყის სამეფოში სამაჭანკლოდ სურს სიარული,
და იკაზმება ნაავდრალზე მისთვის ბუნება
ყველაზე დიდი სილამაზით და სიყვარულით.

ფერისცვალება

სურნელ გაფანტა გარიჟრაჟზე წიწვების წვიმამ
ფერებს შეიცვლის ტყეში ხავსი და ჯარი ხეთა,
უცნობი სახე ფერნაცვალი განცდებით დრტვინავს
მას შემდეგ სული თან ხუნდება,თან იწყებს ძერწვას.
ისევ თან ჰყვება საამური გალობა მშვიდი
თბილად იწყება ბუნებაში ფერისცვალება,
და ემოსება უცნობ სხეულს სულ,ფერნაცვალი
და ხელთავიდან უსუსური დაიბადება.
დარეკავს ზარებს ტაძრის გუმბათს სულის ძახილი
შემოსავს აღვსილ,გამძაფრებულ გულის უფლებას,
და სიჭაბუკე ნანატრ სულში დაიდებს ბუდეს
სურნელ გაფანტულ,ფერნაცვალი თავისუფლება.

***

თუკი შენს გამო ქალი ტირის და,შენ ამაყობ
არ დაგავიწყდეს,ყველა მის ცრემლს ღმერთი დარაჯობს,
თუ ქარიშხალში შუა გზაზე მარტო დატოვე
მზიან ამინდში ნუ გაჩნდები მის სიახლოვეს.
თუკი შენს გამო ღამეს ათევს,შენ სხვაში დნები
არ დაგავიწყდეს მისი ძალა,ქალური რწმენის,
თუკი შენს გამ ოვერ იცინა ქალმა უაზროდ
ყველაზე დიდი ბრიყვთა შორის, შენ ხარ უბრალოდ.
თუ შეუყვარდი,არ ჩათვალო დამსახურებად
არ აგერიოს,თვითონ გჩუქნის ამ მსახურებას,
ქალი მრწამსია სიყვარულის,არა მთხოვნელი
შეყვარებული ქალის გული თვითდამპყრობელი.

ი უ დ ა

არ მინახია,მეც არ ვიცი როგორი იყო
ან ძილად მყოფს დამსიზმრებოდა თავგანწირულად,
სახეშეშლილი,უნაყოფო ამბორით ხელზე
სახეს ამჟღავნებს და თან ტკბება ცოდვით იუდა.
იცის მოკლავენ და ცბიერი მაინც გაბედავს
ჯვარზე გააკრას და გაწიროს კოცნით მესია,
მის ბაგეს ეყო სიმამაცე ცოდვისთვის ერთხელ
მოძღვრის ღალატში სულს ახრჩობდა,ვერ მოერია.
მერე მოუნდა სინსნული უსუსურ თვალებს
სახეზე ნაფენ წვერსაც მგონი ეცვალა ფერი.
იმ ერთ ამბორით გადაფარა ჩრდილმა სინათლე
ჩამოაბნელა დედამიწას ცამ ყველაფერი.
მაინც ვერ ჩავწვდი მის შინაგან,გარე სამყაროს
ერთხელ გასცა და,ამ დაცემით თავი მოიკლა,
თვითონ მშიშარა,უმადურმა სიცოცხლე დაგმო
და ამის შემდეგ მაინც ყველგან ფეხი მოიდგა.

მონატრება

გაუწყრეს ღმერთი დროს და საათს იმ მონატრების
იმ მონატრების სიჩუმეში დღესაც ვწრიალებ,
ვერ დავივიწყებ ხელგაშვებულ უთქმელ ოცნებას
მე მონატრების სავიწყებლად სად არ ვიარე.
სად არ,ვიარე,მაგრამ მაინც,სულს თან დაყვები
სულ შენით მღერის ეს უგულო გული,უგონოდ,
სად არ ვიარე,მაგრამ მაინც სულ ერთში არის
იმ მონატრების ბილიკები,ხშირი,უფორმო.
ღმერთი გაუწყრეს დროს და საათს წაღმა გრძნობების
ისრებზე წაღმა,ამ გრძნობების შერევას ვსწავლობ,
გაუწყრეს ღმერთი იმ შეხვედრას,არდავიწყების
მე რომ ვერაფრით ვერ წაგშალე წუთიდან,წამო.

***

ჰოლივუდის გამიბნიე ღიმილები
არა კარგო,ჰოლივუდის მე არ მინდა,
მე მიტაცებს მხოლოდ შენი სიცილები
მხოლოდ შენი გაღიმება,დარდს რომ მიკლავს.
ატმის ფერში დამიხატე ეგ ლოყები
არა კარგო,მთვარის ფერი მირჩევნია,
ეგ ღაწვები აფერადე მხოლოდ ჩემთვის
ეგ ღაწვები,რომ არცერთს არ მისჩვევია.
მომიყევი აშლილ სტროფად ის ამბავი
ის ზღაპარი,დასასრულს რომ კეთილია,
ერთი ორჯერ გამიხსენე რვის მსგავსად
არაფერში ყველაფერი შეშლილია.
ბედად თვალებს შემახვედრე სამუდამოს
მე შენს დარდებს ღიმილები მირჩევნია,
მირჩევნია ქალი იყო ცხრამეტი წლის
რომ აჯობო მკაცრ სიბერეს,მირჩევნია.

უნდა დაგიბედო

უნდა დაგიბედო ჩემთვის მზის ამოსვლად
ვცვალო იანვარი ცივი,ზამთრობელა,
უნდა დაგიბედო თვალზე ღიმის ტოლავ
ღაწვზე დაფენილო ნატვრავ,მათრობელა.
უნდა დაგიბედო,სხვა გზა არსით გადის
შენი გულის ძგერა ჩემში დავაბერო,
სხვისთვის მე ვერ დაგთმე, ჩემ მზემ მიცნობ?არც კი
ცივ იანვრის ორში, თბილ მაისის ეშხო.

რევაზ ზუმბაძე
ახალციხე, სოფელი კლდე

დედას

დედაო ჩემო.იავ-ნანაო
სული მიბერე.ჩაგეხუტები.
შენ ჩემი ფიქრისწმინდა ფარაო
გულს გაქცეულიც დაგიბრუნდები.

დედავ ხელ მჭკნარო,დედავ გულ დიდო
დედავ შვლმკვდარო,ორი „დაღისა“,
უფალს ის სიტყვა უნდა ვუდიდო
შენი შვილობა მე რომ მაღირსა.

დედავ სევდაში გადავარდნილო
დედავ ღიმილში მაინც მტირალო,
გულგატეხილიც არ დავარდნილო
ფრთებმოტეხილო,მაინც მფრინავო.

შენ ჩემო ფიქრის წმინდა ფარაო
დედავ შვილ მკვდარო,ორი“დაღისა“.
დედაო ჩემო.იავ ნანაო
შენი შვილობა ღმერთმა მაღირსა!

***

აი ია და ენძელა
ჯერ ვარდობა არის გვიან,
და სიცოცხლის კვლავ შეძენა
ყვავილს, ყვავილს შეუძლია!

გაზაფხულდა აპრილია
და მაისი მოვა მალე,
ის სიცოცხლე ნამდვილია
მე რომ ერთხელ დავიბადე.

განა ყვავილს ვერჩი რამეს?
დაბადება არის ერთი,
რომ ათენებ ყველა ღამეს
ყველა ღამეს გიცემს მკერდი

და ერთხელაც კვდება სუნთქვა
სუნთვა ერთხელ კვდება მხოლოდ!
ნამდვილია ამოსუნთქვა
მხოლოდ ერთხელ, მხოლოდ ბოლო.

დრო

ნეტავ სად მიდის თვითონ დრო?
იქნებ ოჯახი დროსაც ჰყავს,
იქნებ ჩვენშია თვითონ დრო
ისხამს სიკვდილის მოსასხამს.

იქნებ სულია თვითონ და
უბერავს წამებს თვითონ სულს.
იქნებ აძალებს სამყარო
ასე ცხოვრება სულ არ სურს?!

იქნებ ტკივა და იარებს
სხვის ტანზე მეტად ამძიმებს.
ცოდვილი არის იქნებ დრო
და ეს არასდროს აძინებს.

იქნებ სიცოცხლე უყვარს და
არ სძულს სიცოცხლის მიზანი.
იქნებ უკვდავი არც ის და
თვითონ სიკვდილი ის არის.

იქნებ დრო არის ჩრდილი და
ჩვენი აჩრდილის მხევალი.
თავისუფალი იქნებ არც
და თვითონ ჩვენი მძევალი.

იქნებ ბებერი უკვე და
ბრძენი ჭაღარ წვერებით.
იქნებ ბრაზდება მოხუცი
რომ მის დროს,რომ არ ვეფერებით.

იქნებ ვუყვარვართ მაინც და
უწევს ხანდახან ბრაზობა.
იქნებ ჩვენშია პრობლემა
არვიცით მისი დანდობა?!

მომავალ ნათლულს

დაიბადები და რომ იტირებ
სწორედ ეგარის სიცოცხლის აზრი,
მერე სიცოცხლეს გადაიბირებ
და დაბადებას ათასჯერ დათვლი.

ჰაერს შეიგრძნობ,თვალებს გაახელ
დაგხვდება ქარი,და გარეთ ნისლი,
სათქმელს შენ ეხლა რომ ვერ გაამხელ
გაიზრდები და ყველაფერს იტყვი.

გაიზრდები და მიხვდები ქარი
რატომ ქრის ხოლმე როცა დარია,
შეგიყვარდება ამინდი მშრალი
და წვიმაც იცი?საოცარია!

შეგიყვარდება თამაშის დრო და
დაძინებისას იავ ნანობა,
შვლის ნუკრიც,მარტო ტყეში რომ კრთოდა
მზეთუნახავი ურჩხულს ყვარობდა.

შეგიყვარდება მთაში ყინული
ბარში მგლის ყმუილს გაიგებ როცა,
შეგიყვარდება საქმე გმირული
დამმარცხებელი ყოველი დროთა.

როცა გაიგებ,რა არის აზრი
დედის სითბოს და მამის ხმალისა,
ოცნებას მერე შენ მიზნად გახდი
ოცნებას რამე საოცარისა!

დაიბადები და რომ იტირებ
სწორედ ეგარის სიცოცხლის აზრი,
მერე სიცოცხლეს გადაიბირებ
და დაბადებას ათასჯერ დათვლი.

***

წყალი გადაივლო ბუნებამ
წვეთმა მოიარა სხეული.
აღარ გამიარა ცდუნებამ
თითქოს სამუდამოდ ჩვეული.

სადღაც გაჰკიოდენ ქარები
სადღაც ჟღურტულებდა ბეღურა,
ოთახს ღია ჰქონდა კარები
და ცას შავი კუპრი ეხურა!

კალამს კიდევ ჰქონდა სილურჯე
სიტყვებს კიდევ ჰქონდა აზრები,
შენს ფიქრს ჩემი ფიქრი მივუწყე
შავ ფირს ვუფერადე კადრები.

ჯერ მზეს შემოესხა პლედი და
შენს თმას არეოდა ფერები,
შენს ლექსს გამუდმებით ვხვდი და
ასე იქცევიან მწერლები.

რადგან შორს არიან მუზები,
წყალი გადაივლო ბუნებამ,
შენ ხომ ეხლა სველი ბრუნდები
აღარ გამიარა ცდუნებამ!

სადღაც გაჰკიოდენ ქარები
სადღაც ჟღურტულებდა ბეღურა,
ოთახს ღია ჰქონდა კარები
და ცას შავი კუპრი ეხურა!

***

შეგეპარო მინდა გულში
შენი გულის რითმებს ავყვე.
ცრემლი მინდა ვიყო შენი
ყოველ ხამხამს თვალში ჩავყვე.

ფიქრი მინდა ვიყო შენი
სამუდამო დაფიქრება.
ტუჩი მინდა ვიყო შენი
კოცნააღარ დამჭირდება!

სარკე მინდა ვიყო დილის
ანარეკლი „მძინარების“
სითბო მინდა ვიყო შენი
ქურქი ზამთრის მყინვარების.

თმები მინდა ვიყო შენი
თითქმის წელზე რომ გწვდებოდე
ფეხი მინდა ვიყო შენი
ნაკვალევად გეგებოდე,

ბგერა მინდა ვიყო შენი
ან და ხელი, ვწერო კალმით.
მინდა გითხრა: მშვენიერო
სულით, გულით, ფიქრით, ტანით.

მინდა სულში „შემოგიძვრე“
ჩუმათ, ჩუმათ წაგყვე ყველგან
მინდა ბევრ ქარს გამოექცე
ვერ წახვიდე მხოლოდ ჩემგან!

***

შენ ალბათ ეხლა შეჰყურებ ზეცას
სამყაროს კიდის უხილავ მხარეს,
ზამთრის სიუჟეტს ჯერ ოდნავ ფერმკრთალს
ესაუბრები უღრუბლო მთვარეს.

ვიცი რომ გიყვარს ხედებით ტკბობა
ვიცი შეიგრძნობ სამყაროს ძგერას,
საოცარია გრძნობებით თრობა
და ასე აღწევ თავს ბედისწერას?!

თუმც დაივიწყე შეიძლებ რაღაც
რაც ქმნიდა შენში,საოცარ წამებს,
მუზა გაუშვი რატომღაც სადღაც
დღემდე არუღებ დახურულ კარებს.

მაგრამ პოეტი,პოეტი არის
და რაც დაწერე,დახატე თანაც,
ყველა პოეტში,ცრემლიც კი ყვავის
და დგება ხოლმე სევდების ხანაც.

შენ ალბათ ეხლა შეჰყურებ ზეცას
სამყაროს კიდის უხილავ მხარეს,
ზამთრის სიუჟეტს ჯერ ოდნავ ფერმკრთალს
ესაუბრები უღრუბლო მთვარეს.

***

***

გზა გაუვალი,როგორც უღრანი
მაგრამ იმედი ვერვინ წაგვართვა,
ამდენი დედა,შავით მწუხარი
ამდენი ცრემლი,მამაც მამათა.

„ტყვია მიზანში განასროლია“
ტყვია უმიზნო არატყვიაა,
და არასწორი ზოგჯერ სწორია
და მწყობრი ჯარი,ანარქიაა!

ზოგჯერ მეფეც კი მათხოვარია
ოქრო მტვერია,არა იქმნება,
ზოგჯერ დუმილი „სათხოვარია“
სიკეთე ავად გარდაიქმნება.

ზოგჯერ ნაბიჯი,უკუცემაა
მტვერი ნისლია,ცვარი მდინარე,
და დამარცხება,აღმაფრენაა
თუ კაცი კვდება სახემცინარე.

ზოგჯერ ტირილი გამარჯვებაა
მუშტი „სილაა“ლოყა მეორე,
მერე ტკივილი უფრო შვებაა
თუ სამშობლოსთვის გაიმეორე.

***

თუმც ყვავილებს არ გჩუქნი. სიტყვა ჩემი მიიღე.
ცხოვრება ხომ ხანდახან, უყვავილო დრო არის?!
და ეს ჩემი სიტყვები ტკივილებზე მიიდე
შენი გულის საწყისში, ჩემი გულიც რო არის!

იყო რა!

ბორბალი მიგორავს,დროის ბორბალი
ბერდება ძლიერი და მარჯვე ნიკორა.
გუშინდელ ნახნავებს,იხსენებს გუთანი
ძლიერი ,მაშინ და დღეს უკვე იყო რა!

ჩაღუნავს თავს ბაბუ და თეთრი ჭაღარა
არეკლავს ნაცხოვრებ გზებსა და არაკებს.
და მერე იტყვის,რომ დრო არის ბორბალი
რომელიც აღმართებს-დაღმართებს განაგებს.

ყოველთვის ზამთარი თავის დროს თუ დგება
გაზაფხულს ეშლება სიგიჟის „აფრები“
ყოველთვის მოვლიან ტირილით თუმცაღა
ღიმილით ბევრჯერ ვერ მიდიან „კაცები“

ბევრჯერ ვერ ხვდებიან,ბედები ერთმანეთს
თავშივე მთავრდება ნაწყები სიტყვები.
და კაცი თუ ცხოვრობ,სიცივეს ეჩვევი
ოდესღაც გრძნობებით ცოტახანს იწვები.

შენდება ბუდე და პირღია ბარტყები
ხდებიან კაცისთვის მიზანი ცხოვრების.
და იყო შენ თუნდაც ჩუმი და უთქმელი
მოგიწევს მოგება ყვირილის ომების.

მოგიწევს,ბეწვის ხიდს გაუყვე ხანდახან
ხანდახან გათელო თუ შენიც გათელეს.
მოგიწევს დარღვევა ცხოვრების მცნებების
ღმერთებმა კაცების ენით რომ დაწერეს.

და ასე ურემზე ცხოვრება შეგაჯენს
ბორბალი ივლის და ალაგზე გატარებს.
და კაცი თუ ხარ და ქუდს თავზე იხურებ
ფიქრები ეკუთვნის ბუდეში პატარებს.

და მთელი ცხოვრება,ჭირი და ვარამი
უხორცებელი უთქმელი იარა.
დაბერდა ძლიერი და მარჯვე ნიკორა
ურემმა მის მხრებზე გადაიარა.

კაციც ხომ დაბერდა?!ბორბალი გაცვითა
ურემი მოხსნა და გაუშვა ნიკორა.
კაცი თუ გუთანით სწორ ხაზებს ავლებდა
ეგ „გუშინ „იყო და დღეს უკვე იყო რა!

გავიდა წამი და წაიღო თვეები
თვეები დაგროვდა წლებზეც კი ავიდა
ურემი მოხსნა და გაუშვა ნიკორა
მერე კი წესია,წავიდა!წავიდა!

გაფრინდა ქარს გაჰყვა,ასეა სული და
შავი გვირაბის თეთრ ხაზებს გაჰყვება,
მაგრამ მანამდე,ამბობენ კაცები
:-ბუდეში“ორმოცჯერ“ „წასვლამდე“დარჩება!

ყოველთვის ზამთარი თავის დროს თუ დგება
გაზაფხულს ეშლება სიგიჟის აფრები.
ყოველთვის მოვლიან ტირილით თუმცაღა
ღიმილით ბევრჯერ ვერ მიდიან კაცები.

კვინიკაძე იზა - პედაგოგი
სოფელი გურკელი

***

ეს, ამდენი წელი ერთად
წამში როგორ გასრულდა?!
დავიჯერო სულ ეს იყო,
ასე უცებ დასრულდა?!
არა, ისევ ძველი მინდა
ჩითის კაბა მომიხდეს,
და ის ბებო, ჩემს ქუჩაზე,
თეთრ შროშანებს მომყიდდეს!
გავიშლიდი მხრებზე ნაწნავს,
წვიმას შევიყვარებდი,
მერე ჩემი თვალის ჩრდილში
იმერთს შევიფარებდი.
სურვილს ერთად ჩავუთქვამდით
მომწყდარს, ციდან ვარსკვლავეთს,
ვერასოდეს გვიპოვნიდნენ
თვალში იმედჩამქრალებს.
მერე ისევ დადგებოდა
ეს თვე...ეს დღე...საათი...
ისევ ასე გავირთობდი,
თავს სარკესთან ბაასით.
ვერ შევაბი დროს ეჟვანი,
ცხოვრებასთან დამტოვა,
მხოლოდ ისევ ის, კეკელა
ღიმი შემომატოვა.
ახლა კიდევ, სულერთია
მისთვის წლები (როგორცჩანს!),
ყოველ დილით სულ მიღიმის
სარკეში რომ გოგო მგავს!

***

მარხულობ, გალობ, პირჯვარს იწერ,
ძვრები ტყავიდან.
და (თავის სახლში) ღმერთს შენხელა
კელაპტარს უნთებ...
ღმერთი კი... ღმერთი... ყოველ ჯერზე
გადის სახლიდან,
გადის და ქუჩის მაწანწალებს
ღამეებს უთევს.

***

ფერი აქვს ღამეს
დეკემბრის მწუხრის,
ცოტაც და...
იცი, უნდა გათოვდე,
ისე მიდიხარ,
არ გითქვამს ერთი
სიტყვაც კი,
მხოლოდ ეჭვი დატოვე...
რომ აღარას დროს
მოხვალ მარტივად,
ასე ცოტა ხნით ,
ასე დროებით,
არასდროს დაწერ
ასე ცალმხრივად,
ჩანასახშივე
მკვდარი გრძნობებით.
სანამ გათოვდეს,
მანამდე წაშლის
წარსულის ყველა
გეშსა და სამხილს
ეს ღამე,
უკვე დაგათრევს, როგორც
მოგონებების
მძიმე ბალდახინს.
ღამე
დეკემბრის მწუხრის ფერია,
მიდიხარ,
ალბათ უ ნდა გათოვდე,
ეს ლექსი
დიდი ვერაფერია...
უბრალოდ,
თავი დაგამახსოვრე!

***

მთებზე
ენძელების თოვით,
მოდგა
დარაბებთან მარტი,
ლამის
იისფერი კონით,
სახლის
შემომიღოს კარი.
მალე
გაზაფხული ატმის
ხეებს
დაუხეთქავს კვირტებს,
მარტი,
ნათებერვალ ღამეს,
ახლა
ტკივილივით ითმენს.
გუშინ
რა შორიდან ჩანდა,
ყვითელ ყვავილობა
შინდის,
დღეს კი,
ჩრდილ იმიწევს კართან
ზამთარგალეული
ბინდის.
სხვას მე,
აღარაფერს ვითხოვ,
სხვა მე,
არაფერი მინდა,
ღამე
მოდიოდეს წყნარი,
მშვიდი
თენდებოდეს დილა.

***

ერთხელ ალბათ, მოგინდება
მის ღამეებს შეეხიზნო,
და ის ქალი, ვინც გიყვარდა,
შენი ერქვა... შენი იყო...
ცხადიდან შორს, ციდან სამზე,
თუნდაც სამიათას მეტრზე,
იპოვი და უთხრა ყოფნას
მის გარეშე ვეღარ შეძლებ.
რომ აღმერთებ ქრიზანთემებს
მისნაირებს, მისიანებს.
ფობია გაქვს დროის როცა,
პაემანზე იგვიანებს.
და გინდა რომ გვირილების
ტანზე ჩითის კაბა ეცვას,
წელზე ქამრად იმ ქალს ისევ,
შენი მკლავის სითბო ერტყას.

მისი წამწამების ჩრდილის
გადაწევდი ღამის ფარდას,
იმ დღეს გაიმეორებდი,
რიჟრაჟი რომ შეუყვარდა.
დაირჩენდი, შენთან ვიდრე
ჭადარზე მზე მსხმოიარობს,
ვიდრე ზეცა ნაცრისფერი
მთის გადაღმა მშობიარობს.
ახალშობილ მთვარის აკვანს,
ხელის გულზეც დაურწევდი,
ლექსი რაა?! სიყვარულზე
სიმღერასაც დაუწერდი...
მაგრამ ქალი, ვინც გიყვარდა
და ვისასაც ხიზნობ სიზმრებს,
ჩითის კაბას, თმაჭაღარა,
რახანია ვეღარ იხდენს.

***

თვალში მანძილები შემოკლდა,
გზები გრძელია და მყიფე...
მე რომ იმედები შემომრჩა,
ის თან ნედლია, თან მწიფე...
ყეფა გოშიების მაფხიზლებს
ღამეს ეკიდება რული,
მე რომ ქრიზანთემებს ვასხვისებ
განა ცხოვრებაა რთული?!

თვალზე წამწამს ვეღარ მითვლიან
ისე გამწოლია დირე...
სწრაფად ის დღეები მიდიან,
მე რომ მოგონებებს მირევს.
მინდა ოქტომბრების ზღვაური...
გიორგობისთვეში თოვა...
და ამ ლექსის ფერიხ მაურით
მალე გაზაფხულიც მოვა...

***

შევიყვარებდი
წვიმიან ამინდს,
სისოვლეს კაბის
და ნაწნავების...

რომ არა დარდი,
ქუჩის პატარა,
უთავშესაფრო
მაწანწალების...

***

ნეტავ, იმ ღამით რას ფიქრობდი
ჩემო მარიტა,
როგორ გეძინა,
ან რანაირს, ხედავდი სიზმრებს,
იმ ღამით...
როცა ნასიზმრები დილით აგიხდა,
გესროდნენ ვიდრე ტალახიან
ქვებსა და სიტყვებს?!-
გაგისხლეს ალბათ
სიზმრად ბაღში ბროწეულები,
უფსკრულის პირას
აგიშენეს ქვისგან სამრეკლო,
გტკიოდა ჯერაც
დასამტვრევი ალბათ მუხლები,
გოლგოთამდე რომ შენთან ერთად
უნდა გაეძლო.

ჩემო მარიტა,
ღმერთმა უწყის, რა უფრო გტკენდა,
ნასროლი ქვა თუ
ქვაზე უფრო მძიმე მზერები,
თუ ის პერანგი,
ჭუჭყიანი ტანზე რომ გეცვა,
სუდარა
შენი უსიცოცხლო მკვდარი ვნებების.
შენი ჯალათი,
ციციკორე, მომკვდარა წუხელ,
უნახავთ
თვალზე ცრემლებით და ხელში ხატითა,
შენი საფლავის მიწა,
თურმე უწვავდა მუხლებს,
ბროწეულები _ ხელის გულებს,
ჩემო მარიტა!

***

დღეს ვიცი, რომ არც დიდი ვარ,
არც ძალიან პატარა,
გული თუ გამიდიდგულდა,
თმა გამიჭაღარავდა.
წვიმა უფრო ხშირად მოდის,
ვიდრე ცაა მზიანი,
ვხვდები, ახლა არც ადრეა
და არც ისე გვიანი,
რომ დავიწყო ყველაფერი
ხელახლა და თავიდან,
რომ მიყვარდეს ვინც დამირჩა
და ვინც ჩემგან წავიდა...

ოღონდ ყოველ დ ილას მამლის,
მაღვიძებდეს ყივილი,
გვიან ღამით ჩემს ბაგეზე
იძინებდეს ღიმილი.
და მესიზმროს ზოგჯერ ის დროც,
სადაც ბავშვი ვიყავი,
სადაც ჩემი მამის სახლის
ჭრიალებდა ჭიშკარი...
ავდარში რომ შეგიყვაროთ
და მიყვარდეთ მზიანშიც,
ვიცი, ახლა არც ადრეა,
არც ძალიან გვიანი...

***

სველი თებერვალია, ახლა ჩემი მოძღვარი,
მთვარე მთისკენწეროზე კანდელივით კიდია.
ხეს ჩრდილები ქარისგან გახდომია მოძრავი,
ცა თოფია, ღრუბელი - დასაცლელი მჭიდია.

და კრავს სოფლის გადაღმა მთებს მარხულის სიფითრე,
თებერვალი ერთი დღით, ახლა ნაკიანია,
ენძელებმა, თოვლისქვეშ, ყოფნა გადაიფიქრეს,
წააწერეს ფერდობებს ზამთრის ეპითაფია.

***

ხანში შესულან ჩემი უბნის აკაციები,
მამის დარგული ჭერმის ხე წელს ისევ გაბერწდა,
მე რომ შემეძლოს ,,იმდროს" შორეთს გავაცილებდი,
ჩემი მამა რომ უჭაღაროდ ქვაზე დაბერდა.

მოირგებს ღამე საპაემნოდ კაბას თავისფერს,
მთვარეც მოწმეა ხის ჩრდილებში ქარის თარეშის.
მხოლოდ ამ ღამით, რა იქნება ჩერო დამითმე,
ღმერთო, მძინარეს, ჩემი მამის გაშლილ მკლავების.

***

კარებთან წვება შიშველი ბინდი,
მაშინებს ცხადი სიზმრების ნახვა...
და გვირილების გამხმარ კენტ ფურცლებს
უჭირისუფლო მკვდრებივით ვმარხავ...

***

ეს თებერვალი,
ცოტათი გრძელი
და მაინც მოკლე,
ერთი ოქტავით,
მოვიდა,
ჩადგა ხეში სულივით
ცოცხალი,
თუმცა, მაინც მოკვდავი.
და ახლა ქარის,
წააგავს ბორგვა
მეძავის
(შიშით ვნებიან) როკვას,
მაძღარი ძაღლის
სიხარბით, ფანჯრის,
სუსხი, ჯერისევ,
აგრძელებს ლოკვას.
თებერვლის ღამე,
დილამდე შორი...
ცაზე კი მთვარე
კიდია, თოთო,
ისარი -
სამი საათის სწორი,
მოთოვს... არ მოთოვს...
მოთოვს... არ მოთოვს...

***

ვიზრდებით, იცვლება სამყარო,
ფერების გამები ხუნდება,
არ გვინდა და მაინც გადის დრო,
გადის და უკან არ ბრუნდება.
ვეჩვევით გადაღლილ ღიმილებს,
გვგონია სიზმრებად გვინახავს,
გრძნობები, რომელიც დაგვქონდა
და გულის კუთხეში ვინახავთ.
მზერებით მზები რომ ვზიდეთ,
იმედებს ნიავი ვარიდეთ
... დღეს გულით ოცნებებს ვატარებთ ,
თვალით კი - წვიმიან ამინდებს ...

ნატო ყრუაშვილი -- ისტორიკოსი.
მესხეთის უნივერსიტეტის პროფესორი.
მესხეთის ისტორიული მუზეუმის
მეცნიერ მუშაკი -- 18 ისტორიული კრებულის ავტორი.
იგი სოფელ სოფელ დაეძებს, აგროვებს უნიკალურ
ისტორიულ ნიმუშებს, რომ ერს შემოუნახოს თავისი კუთხის
ძირძველი, საამაყო ისტორია.

მესხეთის გვერდზე მუშაობენ

ელგუჯა ველიჯანაშვილი -- სამხედრო პირი.
ბატონი ელგუჯა მთელი თავისი ძალითა და ენერგიით
იდგა სამშობლოს სადარაჯოზე,
მკერდით იცავდა საქართველოს ნებისმიერ
სახიფათო ტერიტორიას...

პოეზიის კორიფეები

იოსებ ბესარიონუს ძე ჯუღაშვილი 6
ზვიად გამსახურდია..... 10
კონსტანტინე გამსახურდია 14
მერაბ კოსტავა 18

ჩვენი დროის ქართული პოეზია

არქიმანდრიტი სერაფიმე, გოგი ფილია.. 24
მამა ამირან ამირანაშვილი 30
ბაღათერ არაბული..... 34
გულნაზ ხარაიშვილი 38
ირაკლი ნადარეიშვილი 44
ნინო უძილაური..... 50
ეთერი ჭელიძე 54
ცისანა ბებრიშვილი..... 60
მანანა სამყურაშვილი..... 66
ნელი საგინაძე 72
თენგიზ ფანცულაია-ხერგილელი ოქროპირი....78
რევაზ ნაჭყებია..... 84
ვანო რევაზის ძე ჟვანია 90
მერაბ კვიცარიძე 96
ეკატერინე გაბედავა..... 102
ცირა ოქროპირიძე 104
გურამი სახვაძე 106
გაგა გომართელი..... 112
ირაკლი დარძული 114
გიორგი ბერძნიშვილი 120
თეიმურაზ კვარაცხელია 126
ეთერ გოგეშვილი-ისაკაძე 134
ნანა დარჩიაშვილი..... 140
მალხაზი ფუტკარაძე..... 146
ირა სოფრომაძე..... 150
მალხაზ უღრელიძე..... 156
იზა კარიჭაშვილი 162
ვალიდა, ნესტან ხარებავა 168
ლეილა არხოშაშვილი..... 174
რამაზ ჩხიკვაძე..... 180
რუსუდან კერვალიშვილი..... 186
ელგუჯა შალვას-ძე ადეიშვილი 192
ზაზა მედულაშვილი 198
ნანა კაკიაშვილი-ქაჯაია..... 204
გურამი ხანგოშვილი..... 210
თინა ჯანიბეგაშვილი 216
ლია ხმიადაშვილი 222
ფრიდონ არაბიძე 228
რამაზ ლორია 234
თამუნა გიორგაძე..... 240
ნანა ქიბროწაშვილი 246
ბესო ფშაველაშვილი 250
ვერიკო პარწიკანაშვილი..... 256
ნარი ქიქავა 262
მთვარისა მაჭარაშვილი 268
მაია ხარაიშვილი 274
ნაზი გალოგრე..... 280

ლევან ბოცვაძე 284
ეკა მექერიშვილი (სურამელი) 290
დავით ძნელაძე..... 296
თამარი ბერიაშვილი 302
ნორიკო მგელაძე 308
ანდრია, ანზორ შერვაშიძე..... 314
ნათია ჯიქურაშვილის..... 320
ეთერ ბერიშვილი 326
დიმიტრი ბერიძე 332
ირმა თაბაგარი 334
გია დემეტრაშვილი 338
თენგიზ პაპაშვილი..... 340
თორნიკე ჯაბახიძე..... 346
ჟუჟუნა ვეშაგური - ჟუჟა ნო 352
ლია შენგელიძე 358
ლილი გულბათაშვილი..... 364
თამარ ბეჟიაშვილი - ხოშტარია 370
ედუარ უგულავა 376
მანანა კორძახია 380
თამაზ გველესიანი 386
ეკატერინე ბუღაძე 392
დარეჯან მაჭარაშვილი 398
ოთარ რურუა..... 404
თეა ბარბაქაძე 410
ოლეგ ივანაშვილი 416
ინგა ორველაშვილი..... 422
პაპუნა ქვარიანი 428
ლევან ფრუიძე 432
მირზა ვარძუკაშვილი..... 438
სულიკო ჯამალაშვილი 444
ალექსანდრე ჩაჩუა..... 450
ნაირა დანელია-შანდელი 456
აზა ფიცხელაური..... 462

ვარ ვინმე მესხი მელექსე

სერგო ანთაძე 468
ნინო (ნაზი) თოთაძე..... 474
ბადრი, პავლე თამაზაშვილი 480
დონარ ადეიშვილი 486
ვასილ ადეიშვილი 492
ეთერი გაჩეჩილაძე..... 498
თორნიკე ბერიძე 504
ინასარიძე ნინო..... 508
შორენა კაპანაძე 514
კეღოშვილი გიორგი..... 520
დარეჯან ხუციშვილი 526
ცარო ფირფირაშვილი-ლეკიშვილი 532
ანზორ ხუციშვილი 538
ოტია ზედგინიძე 544
ანა ბერიძე 550
ლევან გოგოლაური 556
იამზე პარუნაშვილი-გელაძე 562
ციცო მაისურაძე 568
ტიტვინიძე შოთა..... 572
მთვარისა ცუცქირიძე..... 578
რევაზ ზუმბაძე 584
კვინიკაძე იზა 590

ავტორთა შერჩევითი კომისიის წევრები:

მანანა სამყურაშვილი
კომისიის თავმჯდომარე - (სამართალმცოდნე.)

თენგიზ ფანცულაია
სწავლული მდივანი - (სამართალმცოდნე.)

ნელი საგინაძე
(ფილოლოგი.)

„ვარ ვინმე მესხი მელექსე" **კომისიის წევრები:**
ნატო ყრუაშვილი - ისტორიკოსი (პრიფესორი)
ელგუჯა ველიჯანაშვილი - (სამხედრი პირი)

კრებულის გარეკანის დიზაინერი
მანანა სამყურაშვილი

დამკაბადონებელი
თამარ ტყაბლაძე

კრებულში განთავსებულ ლექსებში
დაცულია ავტორთა სტილი და შინაარსი

ეუ
ჩ ლ
რ პოეზია ი

ISBN 978-9941-8-6361-5